

ალ. ბარამიძე

ნარკვევები ქართული
ლიტერატურის ისტორიიდან

VI

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1975

„ნარკვევების“ წინამდებარე VI წიგნი სამეცნიერო შრომების კრებულია. აქ განხილულია ძველი ქართული საერო მწერლობის რიგი მნიშვნელოვანი საკითხები. ძირითადია რუსთაველისეული პრობლემატიკა. რამდენიმე ნარკვევი შეეხება გვიანდელდღიური პერიოდის ქართულ მწერლობას („ქილილა და დამანა“, „თრითინო“). სპეციალური განყოფილება ეთმობა მოძმე ხალხების ლიტერატურის საკითხებს (ალიშერ ნავოი, ოვანეს თუმანიანი, შანდორ პეტეფი).

„ნარკვევებს“ ხურავს მოგონებათა ციკლი.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და სტუდენტობისათვის, აგრეთვე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

ძველ-ქართული საერო მწერლობის აღმოცენება და განვითარება

ძველი ქართული მწერლობის კლასიკურ პერიოდად ითვლება მთელი XII საუკუნისა და XIII საუკუნის პირველი მეოთხედის მწერლობა. ამ მწერლობის წინსვლა ძლიერ შეაფერხა მონღოლთა ბატონობამ საქართველოში.

კლასიკური პერიოდის ქართული მწერლობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაა საერო მიმართულების აღმოცენება და მისი სწრაფი გაფუჩქვება. როგორც ცნობილია, V—XI საუკუნეების ქართულ მწერლობას ჰქონდა სასულიერო-საეკლესიო (საქრისტიანო) ხასიათი. ქრისტიანული ეკლესია უარყოფდა ამქვეყნიურ სინამდვილეს, ადამიანის დანიშნულებას იგი ხედავდა მხოლოდ საიმქვეყნო ცხოვრებაში: სასულიერო-საეკლესიო მწერლობის განსაზღვრებით, რეალური, მატერიალური, ანუ „ხილული“ ქვეყანა არა-არსია, „აჩრდილია და წარმავალი“, „უამიერი და განქარვებადი“. ნამდვილია („არსია“), „ცხოველი“ და მარადიული „საიქიო“ ქვეყანა და „საიქიო“ ცხოვრება. „არსი იგი მერმე იგი სოფელი არს და არა-არსი — სოფელი ესე“, ვკითხულობთ ბალაგარიანში¹. ადამიანის საამქვეყნო ცხოვრებას ქრისტიანობა განიხილავს როგორც საიმქვეყნო ცხოვრების შემამზადებელ საფეხურს, ამიტომაც უარყოფს მის (საამქვეყნო ცხოვრების) თვითღირებულებას. ქრისტიანული მოძღვრებით, ადამიანმა უნდა შეიძლოს წუთისოფელი, ჩაიხშოს და ჩაიკლას პიწიერი, ბუნებრივი, ვნებები, სხეული გასტანჯოს და სიკვდილი მოიახლოვოს, რომ ამით სულს მისცეს შვება და საიმქვეყნო ნეტარება დაიმსახუროს. „სიყვარული ხორცთაი მტერობაი არს ღმრთისაიო“, აცხადებდა ქრისტიანობა. ასკეტიზმის ეს მორალი ძირითადად მსკვა-

¹ ბალაგარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1957, გვ. 6.

ლავს მთელ საქრისტიანო ლიტერატურას, კერძოდ V—XI საუკუნეების ქართულ მწერლობას.

სულ სხვა პრინციპულ ნიადაგზე იდგა საერო მწერლობა. ეს მწერლობა ცნობდა ამქვეყნიურ, მატერიალურ სამყაროს, აღიარებდა ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების თვითღირებულებას, ასახავდა ადამიანის ცხოვრების სინამდვილეს, ქმნიდა ადამიანის საამქვეყნო იდეალებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ძველ-ქართული საერო ლიტერატურის განვითარება მიმდინარეობდა ჰუმანიტურ საფუძვლებზე.

ძველ-ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარების საკითხები ყოველთვის იპყრობდა ქართული სულიერი კულტურის მკვლევარაა შეუწინაღებელ ყურადღებას. სპეციალური წერილები მიუძღვნა მას ნ. მარმა. ჭერ კიდევ 1899 წელს მან გამოაქვეყნა ცნობილი ნარკვევი «Возникновение и расцвет древнегрузинской светской литературы»². ეს ნარკვევი მარის ცალკეული გამოკვლევებით მიღებულა შედეგების შეჯამებაა და თეორიული განხილვებია. აქ თანამდებურად განეიარებულა თვალსაზრისი უცხოური შემოქმედებთა ძალების გარდამწყვეტ მნიშვნელობაზე ქართული ლიტერატურის ხასიათისა და თვისების განსაზღვრაში. ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის მასაზრდოებელ წყაროდ ნ. მარი თვლიდა ბიზანტიურ მწერლობას. საერო მწერლობის აღმოცენებასა და განვითარებას კი მხოლოდ და მხოლოდ სპარსულის გავლენით ხსნიდა: «В памятниках древнегрузинской литературы, даже периода так называемого Золотого века, мы имеем продукты всепоглащающего персидского влияния», ასკვნიდა მკვლევარი³. ლიტერატურის გავლენის შესაძლებლობას, ნ. მარის ვარაუდით, აპირობებდა სპარსეთისა და საქართველოს პოლიტიკურად დაახლოება, ერთი მხრით, და სპარსული ლიტერატურული ცენტრების შირვანსა და რანში გადმონაცვლება, მეორე მხრით. ძველ-ქართული საერო მწერლობის წარმოშობის დროდ ნ. მარი თვლიდა XII საუკუნის დასაწყისს, უკიდურეს შემთხვევაში XI საუკუნის ბოლოს (გვ. 239—240). XI საუკუნის ბოლოსა და მეთორმეტის დასაწყისში აღმოცენებულა საერო მწერლობა ვითარდება დაახლოებით ერთი საუკუნის მანძილზე და დაუყოვნებლივ წყდება მისი განვითარება მონღოლების შემოსევისთან ერთად (გვ. 232). ძველი ქართული საერო ლიტერატურის აღორძინება იწყება XVI საუკუნის დასაბამი-

² ЖМНП, 1899, XII.

³ დასახელებული წერილი, გვ. 251 (დაყოფა ჩემია, — ა. ბ.)

დან სპარსეთში სეფევიდების ხელისუფლების დამყარების შედეგად (გვ. 232—233). ერთი სიტყვით, ნ. მარის მოსაზრებით, თითქოს სპარსეთი და მისი მწერლობა წარმართავდა ქართული ლიტერატურის ბედს, სპარსეთის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების პერიპეტეიები განმსაზღვრელ გავლენას ახდენდა ქართული საერო ლიტერატურის აღმოცენებასა, დაცემასა და აღორძინებაზე. ძველ-ქართული საერო ლიტერატურის ჩასახვა-განვითარების ისტორიიდან ნ. მარი მაშინ გამორიცხავდა ქართული ეროვნული შემოქმედებითი ძალების როლს და ხალხური სიტყვიერების მნიშვნელობას.

ქართულზე სპარსული კულტურის წ ა მ ლ ე კ ა ვ ი გ ა ვ ლ ე ნ ი ს მ ნ ი შ ვ ე ლ ო ბ ა ნ. მარმა შემდეგ საგრძნობლად შეარბილა, ერთგვარად უარყო კიდევაც, თუმცა არსებითად ის მაინც არ შელევია თავის ძველ თეორიას. 1917 წელს ნ. მარი აცხადებდა: «Теория моя о возникновении и развитии грузинской светской литературы под влиянием персидской литературы... устарела: она, мне кажется, нуждается в поправке и восполнении»⁴. თითქოს ამ „შესწორებისა და შევსების“ მიზნით 1925 წელს ნ. მარმა კიდევ უფრო გააფართოვა ქართულ ლიტერატურაზე უხეცოურ ლიტერატურათა გავლენის წრე. ამ დროისათვის მან სპარსულ გავლენას დაუმატა თურქული გავლენა, რის გამოც შეიქმნაო «необходимость пересмотра в частности и вопроса об источниках возрождения грузинской литературы»⁵. იუსტინე აბულაძის მიერ გამოცემული „როსტომიანის“ პირველი ტომისადმი მიძღვნილ რეცენზიაში ნ. მარმა განსაკუთრებით სასიამოვნო მოვლენად მიიჩნია აბულაძის დაკვირვება ე. წ. აღორძინების პერიოდის ქართულ ლიტერატურაზე თურქული ლიტერატურის გავლენის შესახებ. «Особую важность и желанную новость в этих наблюдениях (Ю. Абуладзе), — წერდა ნ. მარი — представляет для истории грузинской литературы указание, что в возрождении грузинской литературы в начале XVI века особую роль сыграла турецкая литература»⁶.

⁴ Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» и новая историкокультурная проблема (ИАН 1917, გვ. 416—417. დაყოფა ჩემია, — ა. ბ.).

⁵ Из грузинско-персидских литературных связей (Записки Коллегии Востоковедов, 1, Л., 1925, გვ. 114).

⁶ დასახელებული წერილი, გვ. 113. განცვიფრებას იწვევს ის გარემოება, თუ

1917 წლის ნაშრომით, რომლითაც ნ. მარმა თავისი აღრინდელი შეხედულების მოძველებულობა აღიარა, მან წამოაყენა „ახალი ისტორიულ-კულტურული“ თეორია. ამ თეორიის მიხედვით, სამხრეთ საქართველოს, მესხეთის, მუსლიმანიზაციის პროცესის დასაწყისის პერიოდში, XIV საუკუნეში, თითქოს ეს მხარე აღწევს კულტურულად დაწინაურების მაღალ საფეხურს და თითქოს სწორედ აქ და ამ დროს შეიქმნა ქართული პოეზიის სწორუპოვარი გვირგვინი, შოთა რუსთველის ვეფხისტყაოსანი. ახალმა თეორიამ მოითხოვა გადასინჯული ყოფილიყო საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხასიათის საკითხი. ნ. მარი გაემიჯნა თავის აღრინდელ წარმოდგენას მონღოლთა ხანაზე, როდესაც, მისივე სიტყვებით, ამ ბარბაროსი დამპყრობლების ძალმომრეობამ „თანდათანობით გააუქმა ქართველთა მთელი კულტურული მუშაობა, ალგავა პირისაგან მიწისა მისი დიდი შედეგები და საქართველო შედარებით პირველყოფილ მდგომარეობაში დააბრუნა“⁷. ახალი თეორიით, მონღოლთა ხანა ემთხვევა ქართული კულტურის გაფურჩქვნის ხანას. გარდა ვეფხისტყაოსნისა, თითქოს ამ დროს ჩამოყალიბებულა „თამარიანის“ ზოგიერთი ნაწილი, კერძოდ ე. წ. ელეგიები⁸, ამ დროსვე (უფრო ზუსტად XIII საუკუნეში) შემუშავებულა „ვისრამიანის“ ქართული რედაქცია⁹. ერთი სიტყვით, XIII—XIV საუკუნეების მანძილზე შექმნილია ძველი ქართული საერო მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლები. ყოველივე ამით ნ. მარმა ძირი გამოუთხარა ძველ-ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარების მთელ თავის თეორიას, კერძოდ ძველ-ქართული საერო მწერლობის აღმოცენების თ ა რ ი დ ის ს ა კ ი თ ხ ს:

1928 წელს ფრანგულად გამოქვეყნებულ ნაშრომში „ქართული ენა“¹⁰ ნ. მარმა აღიარა, რომ მისი თეორია ნასესხობისა და ქართული კულტურისათვის უცხოური შემოქმედებითი ძალების მნიშვნელობისა ჩავარდა თუ დაირღვაო. ერთი წლის შემდეგ მან კვლავ გამოაქვეყნა ნაშრომი იმავე სათაურით „ქართული ენა“ გერმანულ ენაზე, სადაც გაკვირვებით შეეხებო ძველ-ქართული საერო მწერლობის აღმოცე-

რად უნდა ყოფილიყო მკვლევარისათვის ქართულზე თურქულის გავლენის დადასტურება სასურველი ამბავი (ажеланная новость)!
⁷ Грузинская поэма... (ИАН, 1917, გვ. 501, შენ, 2).

⁸ იქვე, გვ. 503.

⁹ Из грузинско-персидских литературных связей, ЗКВ, I, 1925, გვ. 136.

¹⁰ La langue géorgienne (პარიზი, 1928). ეს წერილი გამოქვეყნებულია რუსულადაც კრებულში «Язык и история» I, 1936, გვ. 28—41.

ნების პრინციპულ საკითხს¹¹. ახალი თვალსაზრისით. ძველი ქართული საერო მწერლობა იმ სალიტერატურო ინტერესების გამოცხლება თუ აღორძინებაა, რაც პრექრისტიანული, წარმართული ქართული პოეზიის თვისებას შეადგენდაო. მუსლიმანურმა სამყარომ, სპარსულმა და არაბულმა ამ შემთხვევაში ის როლი შეასრულეს, რაც ევროპული რენესანსის მიმართ ანტიკურმა სამყარომ. სამეცნიერო მოღვაწეობის ბოლო ხანებში ნ. მარი ყოველგვარი ნასესხობისა და ლიტერატურული გავლენის შესაძლებლობის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ამ მხრით უფრო შორს მიდიოდნენ მისი სკოლის წარმომადგენლები.

ნ. მარის ადრინდელ თეორიას ძველ-ქართული საერო მწერლობის სპარსული ლიტერატურის ზეგავლენის შედეგად წარმოშობის შესახებ ახლა აღარაინ ემხრობა (ამ თეორიას თავის დროზე ბევრი მიმდევარი ჰყავდა). სადავო არ არის, რომ ისეთი დიდი მასშტაბის მოვლენა, როგორცაა ქართული საერო-მხატვრული მწერლობის წარმოშობა, შეუძლებელია აიხსნას უცხოური გავლენით. საკირო ისტორიული პირობების მომწიფების გარეშე ყოველად შეუძლებელი იქნებოდა ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის აღმოცენება და მისი წარმატებანი ეროვნულ ნიადაგზე. მეორე მხრით XII საუკუნის განათლებული ფეოდალური საზოგადოების დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება და ლიტერატურული ინტერესები უთუოდ სხვაგვარი უნდა ყოფილიყო, ვიდრე გვაროვნული დროის (პრექრისტიანული ხანის) ქართველი საზოგადოების სალიტერატურო ინტერესები. რაც შეეხება წარმართულ ხალხურ პოეზიას, საეპეო არაა, რომ მან გავლენა მოახდინა როგორც სასულიერო-საეკლესიო, ისე, და განსაკუთრებით საერო მწერლობაზე. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ძველ საქართველოში ფართოდ გავრცელებული და პოპულარული ყოფილა საგმირო-ეპიკური სახალხო თქმულებანი. ამისი ნაკვალევი აღბეჭდილია ქართულსა და სომხურ საისტორიო მწერლობაში (ლეონტი მროველისა, ჯუანშერისა, მოსე ხორენელისა და გრიგოლ მაგისტროსის თხზულებებში). მწიგნობრულმა ლიტერატურამ ფართოდ გამოიყენა მდიდარი ქართული ფოლკლორის ფორმაც (მაგალითად, შაირის მეტრი) და შინაარსიც (მაგალითად, ეპიკური თქმულებანი, სატრფიალო ლირიკა). ერთი სიტყვით, ფოლკლორული წყაროს როლი ძველ-ქართული

¹¹ Die georgische Sprache, Das Neue Russland, 1929, № 5—6, გვ. 35—54; იგივე ნაკვეთი რუსულად: — Грузинский язык, 1949.

საერო მწერლობის განაყოფიერების მხრით არამც და არამც არ არის გამოსარიცხავი, მაგრამ თუ ფოლკლორის შეუფასებლობა უმართებულო იქნებოდა, ასევე უმართებულოა მისი გადაჭარბებული შეფასებაც.

აკად. ნ. მარის ახალ თეორიას ძველ-ქართული საერო მწერლობის აღმოცენების თაობაზე ენათესავება მკვლევარ პ. ინგოროყვას თვალსაზრისი. იგი ამბობს: „ქართულს ლიტერატურისმცოდნეობაში დღემდე გაბატონებულია შეხედულება, რომელიც ქართული ლიტერატურის განვითარებას ასე წარმოგვიდგენს: ქრისტიანული სასულიერო მწერლობა უფრო ადრინდელია და ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა საერო მხატვრული მწერლობის წარმოშობას; ქრისტიანული სასულიერო მწერლობა ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდი იყო საერო მხატვრული მწერლობისათვის, და რომ შემდეგ, სასულიერო მწერლობის მიერ გაპოხიერებულ ნიადაგზე, წარმოიშვა და განვითარდა ქართული საერო მხატვრული მწერლობა“. „მაგრამ ეს შეხედულება, როგორც ჩანს, არ შეეფერება სინამდვილეს“¹². პ. ინგოროყვას სიტყვით, „არც ბიზანტიაში, და არც ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ჩვენ არ გვაქვს საშუალ-საუყუნებში საერო მხატვრული მწერლობა იმ რანგისა და მასშტაბისა, რასაც ქართულს ლიტერატურაში ვხედავთ“¹³. ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში მკვლევარი გულისხმობს უპირველეს ყოვლისა სირიასა და სომხეთს. არც სირიელებსა და არც სომხებს „არ ჰქონდათ საშუალ-საუყუნეთა განმავლობაში საერო მხატვრული ლიტერატურა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით“ (გვ. 2) ქართულ საერო მწერლობას მკვლევარი უწოდებს „უცნაურ გამონაკლისს“. ხოლო ეს „უცნაური გამონაკლისი“ იმით უნდა აიხსნას, რომ წინააღმდეგ სხვა ხალხებისა, „ქართულ ენაზე, ქრისტიანობის საბოლოო გაბატონებამდე უკვე არსებულა ძველი საერო მწერლობა, რომელსაც იმდენად ძლიერი ტრადიციები და ღრმა ფესვები ჰქონია, რომ მისი აღმოფხვრა, მისი განვითარების საბოლოო შეფერხება ვერ შესძლო უფრო გვიან ხანაში გადმონერგილმა ქრისტიანულმა მწერლობამ“ (გვ. 4).

პ. ინგოროყვას მოსაზრებათა გამო უნდა შევნიშნოთ. რომ თუ საერო მხატვრული მწერლობის წარმოშობისათვის საქართველოში საკმაო აღმოჩნდა ადრინდელი ძლიერი ლიტერატურული

¹² რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მეგვიდრეობა (რუსთაველის საიუბილეო კრებული, თბილისი, 1938), გვ. 1—2.

¹³ იქვე, გვ. 1.

ტრადიციების არსებობა, მაშინ საერო მხატვრული მწერლობის აღმოცენება და აყვავება გაცილებით უფრო იყო მოსალოდნელი ზიზანტიაში, ვიდრე მის სხვა რომელიმე მეზობელ ქვეყანაში. პრეჟისტიანული პერიოდის საერო ლიტერატურის ტრადიციებით ზიზანტია ყველას გაუსწრებს წინ.

ნ. მარისა და პ. ინგოროყვას შეხედულებათა ნარევს წარმოადგენს პროფ. გ. სოსელიას მოსაზრებანი ძველ-ქართული საერო მხატვრული მწერლობის აღმოცენებაზე და ამ მწერლობის ხასიათის ჩამოყალიბებაზე. გ. სოსელიას ფიქრით, სხვადასხვა მიზეზთა გამო თითქოს ძლიერ ნელი ტემპით მიმდინარეობდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება, თითქოს ამ ნიადაგზე მოხდა ქართველ ხალხში პირველყოფილ-თემური წყობილების „გადმონაშაებისა“ და შესაფერისი „ტრადიციების“ „კონსერვირება“¹⁴. ამ ტრადიციებს „ცხოველყოფელი ძალა“ გამოუჩენია და არსებითად მას განუსაზღვრავს XI—XII საუკუნეთა საერო-მხატვრული მწერლობის „არსებობა“ და მისი „ძლევამოსილება“. გ. სოსელიას დასკვნითი დებულებაა: „ფეოდალური საზოგადოების სუსტი ტემპით განვითარება საქართველოში და მასთან დაკავშირებული პირველყოფილ-თემური საზოგადოების ტრადიციების კონსერვირება, ამ ტრადიციების ცხოველი ძალა წარმოადგენს იმ ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს, კერძოდ, ისეთს სპეციფიკურ მოვლენას საქართველოში, როგორიც არის აქ XI—XIII საუკუნეებში, განსხვავებით სხვა ქრისტიანულ ქვეყნებთან, მწერლობაში საერო საწყისის ძლევამოსილება—ბატონობა, განვითარებული საერო მხატვრული ლიტერატურის არსებობა“¹⁵. ამრიგად, საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების ჩამორჩენილობას, პირველყოფილი თემური წყობილების პრიმიტიული ყოფის ტრადიციათა განუვითარებლად „კონსერვირებას“ განუსაზღვრავს „განვითარებული საერო მხატვრული მწერლობა“. სამწუხაროდ, პროფ. გ. სოსელიას მთელი მსჯელობა ემყარება ვულგარულ სოციოლოგიურ სქემებსა და საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების აშკარად ტენდენციურსა და მცდარ კონცეფციას. რა თქმა უნდა, ქართული მწერლობა თავისი განვითარების მოკლ მანძილზე ქართველი ხალხის ზნეობრივი ცხოვრების საუკეთესო ტრადიციებს ემყარებოდა, ასახავდა და ნერგავდა ამ ტრადიციებს, მაგრამ უცნაური იქნებოდა XII საუკუნის ქართველი სა-

¹⁴ გ. სოსელია, საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება ვეფხისტყაოსნის მიხედვით, სოხუმი, 1956. გვ. 226.

¹⁵ დასახელებული ნაშრომი, გვ. 227.

ზოგადობის დიდად განვითარებული სულიერი ცხოვრების მასულ-დგმულბეღ წყაროდ პირველყოფილი თემური წყობილების ტრადიციათა გადმონაშთები მიგვეჩინია, თუკი ხალხის სულიერი ცხოვრების ხასიათს საბოლოო ანგარიშით მაინც ამ ხალხის მატერიალური ყოფის ვითარება განსაზღვრავს.

ძველ-ქართულ საერო მხატვრული მწერლობის აღმოცენების თაობაზე არსებობს სხვა, შედარებით ნაკლებად ანგარიშგასაწევი შეხედულებანი, რომელთაც აქ აღარ ვეხებით.

ქართული მატერიალური და სულიერი კულტურა უადრესად ორიგინალურია, გააოხიერებული და განვითარებულია ეროვნულ-ხალხურ ნიადაგზე. რასაკვირველია, ეს ოდნავ არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო განკერძოებული იყო ან კარჩაკეტილი და მოწყვეტილი მეზობელი ხალხებისაგან. მთელი თავისი ისტორიული ცხოვრების მანძილზე ქართველობას მეტად მკიდრო და ცხოველი კულტურული ურთიერთობა ჰქონდა გაბმული როგორც ერთმორწმუნე, ისე სხვა სარწმუნოების აღმსარებელ ხალხებთან. სარწმუნოებრივი სხვაობა გარდამწყვეტ გავლენას ახდენდა პოლიტიკურ-ეკონომიური თუ კულტურული თანამშრომლობის ვითარებაზე. მოსწრებულად ამბობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, სახელმწიფოთა შორის „სჯულის ერთობა არარას არგებს, ოდეს თვისება ერთა მათ შორის სხვადასხვაობდეს“. მაგრამ ისიც უდავოა, რომ სარწმუნოებრივი ერთიანობა (მაგალითად, ქრისტიან ბერძნებთან, სირიელებთან, სომხებთან) ხელს უმართავდა კულტურული თანამშრომლობის საქმეს.

ქართული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების სტრუქტურა, როგორც ვთქვით, საუკუნეების განმავლობაში აპირობებდა საქრისტიანო-საეკლესიო იდეოლოგიის სრულ ბატონობას საზოგადოებრივ აზროვნებასა და მწერლობაში. V—XI საუკუნეების მანძილზე შეუწელებელი ძალით ვითარდებოდა ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა. წარმატებებიც დიდი მოიპოვა. ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო ლიტერატურა მეტად მდიდარია და მრავალფეროვანი თავისი დარგებით, შინაარსით, ფორმით (მათ შორის სალექსო ფორმებითაც). განსაკუთრებით ისაა აღსანიშნავი, რომ სასულიერო-საეკლესიო მწერლობის ნიადაგზე ჩამოყალიბდა, დაიხვეწა და ჩამოიქნა მშვენიერი ქართული ლიტერატურული ენა.

სრულიად ბუნებრივად სასულიერო-საეკლესიო ლიტერატურა ჰქმნიდა საიმპევეყნო. ირრეალური და მისტიკური ცხოვრების იდეალებს, იგი დაუნდობლად ებრძოდა ყოველივე ამქვეყნიურს, მიწიერსა და ხორციელს, ნამდვილად ბუნებრივსა და ადამიანურს. ამისდა

მიუხედავად სასულიერო ლიტერატურის ზოგიერთ დარგში (განსაკუთრებით ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში) ობიექტური სისწორით აისახა რეალური ცხოვრების მოვლენებიც. ქართველი ხალხის თავგამოდებული ბრძოლა ეროვნულ-სარწმუნოებრივი და პოლიტიკურ-კულტურული თვითმყოფობისათვის (იოვანე საბანის ძე, გიორგი მერჩულე, ექვთიმე და გიორგი ათონელები, გიორგი მცირე და სხვ.). გულწრფელი პატრიოტული გრძნობებით გამსჭვალულია ქართული აგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული მწერლობის საუკეთესო ძეგლები (ჰიმნოგრაფიული ტექსტები იოვანე-ზოსიმესი, მიქაელ მოდრეკილისა და სხვ.). თავის მხრით აპოკრიფულ მწერლობაში ძლიერ გაისმოდა საზოგადოების დაბალი ფენების სოციალური პროტესტის ხმა გაბატონებული საზოგადოებრივი წრეების, მათ შორის სასულიერო-საეკლესიო წრეების წინააღმდეგ. მძაფრი სოციალური მოტივები ნიშანდობლივია აგიოგრაფიული ეპარის რიგი თხზულებისთვისაც (ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა. ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა). სასულიერო-საეკლესიო ნაწარმოებებში (მაგალითად, ბალავარიანში, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, მიქაელ საბაწმინდელის ცხოვრებაში) დიდი დრამატიზმითა და სიმართლით არის აღწერილი სატრფიალო-სამიჯნურო სათავგადასავლო ამბები¹⁶. თუმცა ეს ამბები აქ განხილული და შეფასებულია სარწმუნოებრივ-საეკლესიო ზნეობის თვალსაზრისით, მოთხრობილი ამბების შინაარსი მაინც საკმაო სისწორით ამხილებს ქართველი საზოგადოების საერო ფრთის ანტიკლერიკალურ განწყობილებებს და ამქვეყნიური მატერიალური ცხოვრებისადმი მიზიდულობის მძლავრ ტენდენციებს. თვითონ სასულიერო-საეკლესიო თხზულებებში მოთხრობილი ამბები ცხადყოფს, რამდენად ძნელი იყო და ხშირად უშედეგო ადამიანთა ბუნებრივი წადილის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა, მით უმეტეს ბერულ-ასკეტიკური მორალის დამკვიდრება. ქართველი საერო საზოგადოება ცხადლივ ამქვადენებდა თავის ურჩობას, ეკლესიურ-სარწმუნოებრივი ზნეობრივი ნორმებისაგან გადახვევის მიდრეკილებას. ამას საეკლესიო ლიტერატურა არც მალავდა (ან ვერ მალავდა). მაგრამ ლიტერატურაში ჯერ არ ჩანდა საერო საზოგადოების ზნეობრივ მიდრეკილებათა დამკველი ძალა. საჭირო იყო ეკლესიის პოლიტი-

¹⁶ კ. ე. ე. ე. ლ. ძე. „სამიჯნურო ცთუნების“ პრობლემისათვის ქართულ ლიტერატურაში (ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. 11, 1945, გვ. 13—22); შ. ი. ს. ე. ე. რომანი „ტავრომენიანი“ ძველ-ქართულ ლიტერატურაში (იქვე, გვ. 23—33).

აური უფლებების შეზღუდვა და ეკლესიური იდეოლოგიის შეუვალობათა შერყევა, რომ შექმნილიყო საამისო უშუალო პირობები. ცალკეული მოტივებისა და ელემენტების სახით ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობისათვის უცხო არ ყოფილა საერო განწყობილებანი. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, გიორგი მერჩულეს „თხზულებაში საერო ყოფაცხოვრებისა და გრძნობის მონაბერი უკვე საკმაოდ არის შექრილი“¹⁷. ოღონდ ამ განწყობილებებს პრინციპულად განსხვავებული შეფასება ეძლეოდა. გიორგი მერჩულემ საუცხოოდ გამოხატა სიყვარულის გრძნობის სიძლიერე, სიღრმე და სიმწვავე. მწერალმა ეს მოვლენა ახსნა ადამიანური სისუსტით ეშმაკეული საცთურის წინაშე. მერჩულემ კარგად იცოდა, რომ „სრულმან სიყვარულმან შიში განდევნისო“, ოღონდ ასეთ სიყვარულად მხოლოდ საღვთო სიყვარულს აღიარებდა. საინტერესო რომანული თემა გიორგი მერჩულემ დაამუშავა ნოველური ჟანრის ლიტერატურული ფორმით. საკმარისია მერჩულეს მოთხრობის პრინციპულად საპირისპირო გაგების ნიადაგზე გადატანა, რომ მივიღოთ საერო ხალხათის ნაწარმოები.

ამრიგად, სასულიერო ლიტერატურის წილში ჩაისახა საერო მხატვრული მწერლობის ერთ-ერთი ძირითადი თემატიკური მოტივის კონტურები. საერო ლიტერატურის რიგ თემატიკურ მოტივს (საგმირო-სავეაქაცო საქმის იდეალიზაცია, ქვეყნისათვის თავგამოდება, დიდაქტიკურ-მორალური შეგონებანი და ა. შ.) ეკლესია ადვილად ეგუებოდა. შემთხვევითი როდია, რომ ძველ-ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლებს (მაგალითად, ჯუანშერისა და ლეონტი მროველის თხზულებებს) შერჩენილი აქვს საგმირო-საფალავნო ეპოსის თვისებები.

საერო მოტივები შეიჭრა საეკლესიო-სასულიერო ფილოსოფიის (თეოლოგიის) სფეროშიც. თუმცა სასულიერო-საეკლესიო ფილოსოფია თეოლოგიას ემსახურებოდა, ფილოსოფიური აზროვნების მოწინავე წარმომადგენლები (ეფრემ მცირე, იოვანე პეტრიწი) ახერხებდნენ დოგმატიზმის საზღვრების გადალახვას. ცნობილია, რომ იოვანე პეტრიწი შედარებით თავისუფალი ფილოსოფიური აზროვნებისათვის (იოვანე იტალის მიმდევრობისათვის) იდევნებოდა კიდევაც როგორც საბერძნეთში, ისე მის მშობლიურ ქვეყანაში. ქართველი

¹⁷ ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1938, გვ. 228. მაგრამ მაინც არ შეიძლება ითქვას, თითქოს იმავე დროს (ლაპარაკია VIII—X საუკუნეებზე, ა. ბ.) საქართველოში, ჩანს, არსებობდა საერო მხატვრული მწერლობაც“ (საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 135—136).

ფილოსოფოსები არ კმაყოფილდებოდნენ მარტოოდენ ცნობილ ფილოსოფოს საეკლესიო მამების (იოვანე დამასკელის, ბასილ დიდისა და სხვ.) ნააზრევით, უშუალოდ ეწაფებოდნენ ანტიკური ფილოსოფიის კლასიკოსებს (პლატონს, არისტოტელეს...), თარგმნიდნენ და საკუთარი კომენტარებით ამკობდნენ მათ ნაშრომებს. ასევე გატაცებით სწავლობდნენ ბერძნულ კლასიკურ პოეზიას (პირველ რიგში ჰომეროსის პოემებს). აკადემიკოს ნ. მარის სიტყვით: «Грузины в XI—XII веках интересовались в области философии теми же вопросами, какие занимали передовые умы тогдашнего христианского мира как на Востоке, так и на Западе, с тем отличием от других, например, от европейцев, что тогда грузины отзывались раньше других на наиболее новые течения философской мысли и работали во всеоружии образцовой для своего времени текстуальной критики непосредственно над греческими подлинниками»¹⁸.

ყოველივე ეს აფართოებდა ქართველი განათლებული, მწიგნობრულ-ლიტერატურული საზოგადოების გონებრივ პორიზონტს, აღვივებდა კრიტიციზმის სულს, ხელს უწყობდა ლიტერატურული წრეების დაინტერესებას ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებით, იწვევდა ლიტერატურის მობრუნებას ცხოვრებისაკენ. ერთი სიტყვით, აადვილებდა საერო აზროვნების შეთვისებას, საერო მიმართულებაზე გადასვლას.

სასულიერო-საეკლესიო მწერლობის გაბატონებული ზეობის დროს თანდათანობით და ბუნებრივს ვითარებაში შემზადდა ნიადაგი და მომწიფდა პირობები საერო მიმდინარეობის აღმოსაყენებლად¹⁹. მხოლოდ ჯერ საჭირო იყო ეკლესიის იდეოლოგიური ბატონობის უღლისაგან თავის დაღწევა. ეკლესიის იდეოლოგიური ბატონობისაგან თავის დაღწევა კი შეიძლებოდა ეკლესიის პოლიტიკური უფლებების შეკვეთით, ეკლესიის დაქვემდებარებით საერო სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისადმი. ძლიერმა, გაერთიანებულმა და ცენტრალიზებულმა სახელმწიფომ უზრუნველყო ეს პირობები. საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა ბრძოლა, ერთი მხრით, გარეშე მტრების, სხვადასხვა დამპყრობლების (სპარსელების, არაბე-

¹⁸ Иоанн Петрицкий. Грузинский неоплатоник XI—XII века, ЗВО т. XIX, вып. 2—3, 1910, გვ. 61.

¹⁹ კ. კ ე ვ ე ლ ი ძ ე, ქართული საერო მწერლობის წარმოშობის პრობლემათა თვის (ეტიუდები, II, 1945, გვ. 1—63.

ის. თურქ-სელჩუკების, ბერძნების) მოწოლის მოსაგერიებლად. ხოლო, მეორე მხრით. შინაგანი გამთიშავი, ფეოდალურ-გვაროვნული წრეების თავგასულობის ასალაგმავად. ფეოდალური იერარქიის საფუძვლებზე აგებული ქართული ეკლესია თვითონაც იყო ბრძოლების აქტიური მონაწილე. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურად დაქუცმაცების პერიოდში არსებითად ქართული ეკლესია წარმოადგენდა ერთადერთ ორგანიზებულსა და გაერთიანებულ ძალას, რომელიც დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის შინაურს ცხოვრებაში და მორალური ღირებულების გარკვეულ საყრდენსაც წარმოადგენდა ქვეყნის შესაკავშირებლად უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში (თუმცა ეკლესიის რეაქციული მესვეურები გვერდში უდგნენ და ეხმარებოდნენ დიდგვაროვან აზნაურებს ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში). მნიშვნელოვანი წარმატებებით დაგვირგვინდა ქვეყნის გაერთიანებისათვის წარმოებულ ბრძოლა დავით კურაპალატის (გარდ. 1001 წ.), ბაგრატ მესამისა (975—1014) და ბაგრატ მეოთხის (1027—1072) მეფობის დროს. XI საუკუნის გასულსა და XII-ის პირველ მეოთხედში. დავით აღმაშენებლის ზეობისას (1089—1125) გაერთიანებისათვის ბრძოლა სრული გამარჯვებით დამთავრდა: აღეკვეთა ფეხი დამპყრობლების თარეშს. შეიმუსრა შინ მოშულარი, ერთმეფობისა და ცენტრალიზმის მოწინააღმდეგე ძალები. ქართველთა წვრილი სამეფო-სამთავროები გაერთიანდა ძლევამოსილ ფეოდალურ სახელმწიფოში, ამ სახელმწიფოში აღმოჩნდა შემოკრებილი ქართველური მოდგმის ყველა ტომი. თბილისი კვლავ იქცა (1122 წლიდან) საქართველოს დედაქალაქად, მისი პოლიტიკური, ეკონომიური და სულიერი ცხოვრების ცენტრად.

ქვეყნის გაძლიერება და წინსვლა გრძელდებოდა მთელი საუკუნის განმავლობაში. დემეტრე პირველის (1125—1156), გიორგი ზესამისა (1156—1184) და თამარის (1184—1213) ხანაში საქართველოს სახელმწიფომ მოიპოვა ახალი წარმატებები: ფაქტობრივად მის ფარგლებში მოექცა თურქ-სელჩუკების ბატონობისაგან განთავისუფლებული მოძმე სომხეთის დიდი ნაწილი (ქალაქებით ღვინითა და ანისით)²⁰ და რიგი მუსლიმანური სამთავრო და საამირო. ღათ შორის რანი და შირვანნი (ქალაქებით განჯითა და შამახით). საქართველოს გავლენის სფერო ვრცელდებოდა უზარმაზარ ტერი-

²⁰ История армянского народа. I, Ереван, 1951, გვ. 161—163.

ტორიაზე შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, იმიერ კავკასიიდან არზრუმამდე და ტრაპიზონამდე. მაშინდელი საქართველო წარმოადგენდა დიდი პოლიტიკური წონის მქონე, მკვიდროდ დასახლებულ, მდიდარ, აყვავებულ სახელმწიფოს, რომელსაც მორიდებითა და პატივით ეპყრობოდნენ როგორც მახლობელი მეზობლები, ისე შორეული ქვეყნებიც, მათ შორის დასავლეთ ევროპის ქვეყნები, აღსანიშნავია, რომ ჭვაროსანთა იერუსალიმელი ღვთისმსახურისა და მწიგნობრის, XII საუკუნის მოღვაწის ფრანგ ანსელუსის სიტყვებით, „ქართველთა მეფე დავითი (აღმაშენებელი) „თავის წინაპართა მსგავსად, ფლობდა კასპიის კარებს, გოგისა და მაგოგის წინააღმდეგ აღმართულ ამ ზღუდეს. იმასვე აკეთებს დღემდე მისი შვილი. რომლის ქვეყანა და სახელმწიფო არის, ასევე კეთქვათ, ჩვენი წინა ბურჯი მიდიელთა და სპარსელთა წინააღმდეგ“²¹.

გარეშე მტრების მძლავრობისაგან თავდახსნას, გაერთიანებასა და გაძლიერებას ბუნებრივად მოჰყვა საშინაო ცხოვრების მოწესრიგება. ცხადი აღმავლობა და წინსვლა დაეტყო მეურნეობისა და კულტურის ყველა სფეროს. ამოქმედდა ქვეყნის სასიცოცხლო შემოქმედებითი ძალები. არსებითად მოიხსნა ძველი ფეოდალური ჭებირები, წინათ დაქსაქსული და გათიშული კუთხეები ახლა ერთმანეთს დაუკავშირდა არამარტო პოლიტიკური ინტერესების ნიადაგზე. ერთიანი ადმინისტრაციული მმართველობის შემოღებამ, სტრატეგიული თუ სამეურნეო მნიშვნელობის შარავზების გაყვანამ, მიმოსვლის გაადვილებამ და შედარებით მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე ერთმანეთს დაუახლოვა საქართველოს ყველა მხარე. მთა და ბარი. ეს დაახლოება კიდევ უფრო შეამკვიდროვა და განამტკიცა ვაჭრობისა და აღებ-მიცემის სწრაფმა განვითარებამ.

საქართველოს სახელმწიფო მდებარეობდა დიდ სავაჭრო-სააღებ-მიცემო საქარავნო გზაზე, რომელიც აკავშირებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს. საქართველოს ფარგლებში შემოდიოდა ისეთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სააღებ-მიცემო ცენტრები, როგორცაა ქალაქები ქუთაისი, თბილისი, არტანუჯი, განჯა, შამახია, დვინი, ანისი, კარი (აწინდელი ყარსი). საქართველოში სხვაც ბევრი იყო მომცრო ქალაქი, სადაც ცხოვრება დღელდა. «Городов, городищ здесь довольно-таки», ვკითხულობთ მარკო პოლოს წიგნის რუსულ თარგმან-

²¹ ზ. ავალიშვილი, ჭვაროსანთა დროიდან (ოთხი საისტოიო ნარკვევი), პარიზი, 1929, გვ. 29, 32; საქართველოს ისტორია, 1, 1948, გვ. 224.

ში²². საქარავნო გზებზე აგებული იყო ფუნდუკები (ქარვასლები, ვაქართა სასტუმრო სადგომები) და საქულბაქოები (საეაქრო ნაგებობანი). ყვაოდა შინამრეწველობა და ხელოსნობა. „მოსახლეობა მისდევს ვაჭრობასა და ხელოსნობას“, და კიდევ: „იქ ბევრია აბრეშუმი; ამზადებენ აბრეშუმისა და ოქროს ქსოვილებს, ისეთ ლამაზებს ვერსად ვერ ნახავთ... იქ ყველაფერი ბევრია“²³. მარკო პოლოს (1254—1323) ცნობები შეეხება XIII საუკუნეს, მონღოლების ხანას. უნდა ვიფიქროთ, რომ გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა XII საუკუნეში.

სოციალურად და პოლიტიკურად დაწინაურდა ვაქარ-ხელოსანთა საზოგადოებრივი ფენა. ფართო საეაქრო-სააღებმიცემო ოპერაციებს აწარმოებდნენ ვაქართა ამხანაგობანი, ე. წ. ორტალები²⁴. ვაჭრების მეშვეობით საქართველო უკავშირდებოდა გეოგრაფიულად ძლიერ დაშორებულ პუნქტებს. სამეფო ხელისუფლება ყოველმხრივ უწყობდა ხელს ვაჭრობა-აღებ-მიცემობის განვითარებას. ამას ემსახურებოდა ქვეყნის სამონეტო სისტემაც. ქართულ ფულს რომ საერთაშორისო გამაელობა ჰქონოდა, ქართულთან ერთად წარწერებს უკეთებდნენ არაბულ-სპარსულ ენებზე. დიდვაჭრები პოლიტიკური წონითა და გავლენით სარგებლობდნენ სამეფო კარზე. შემთხვევითი როდია, რომ დიდვაჭარმა ზანქან ზორაბაბელმა აქტიური მონაწილეობა მიიღო თამარისა და გიორგი რუსის შეუღლების დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ საქმეში. „დიდვაჭრებს დიდი პატივი ჰქონდათ დამსახურებული. ისინი, როგორც თამარ მეფის ისტორიიდან ჩანს, სამეფოს ზოგიერთ საქმეებში მონაწილეობას იღებდნენ და სხვა სახელმწიფოებში დესპანად იგზავნებოდნენ ხოლმე“²⁵.

XI—XII საუკუნეების საქართველოში დაწინაურდა სასოფლო მეურნეობაც. მოწესრიგდა საირიგაციო საქმე. აღდგენილ და გაყვანილ იქნა ტექნიკურად საუცხოო სარწყავი არხები (მაგალითად,

²² Книга Марко Поло. Перевод старо-французского текста И. П. Миняева. Редакция и вступительная статья И. П. Магидовича. Москва, 1956, გვ. 58.

²³ იქვე.

²⁴ ივ. ჭავჭავაძის შვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1, თბილისი, 1907, გვ. 33—35; შ. მესხია, საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, „მომოხილველი“, 11, 1951, გვ. 92; თბილისის ისტორია, 1958, გვ. 51, 54.

²⁵ ივ. ჭავჭავაძის შვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1907, გვ. 28.

ალაზნის ველზე, სამგორში, მუხრანში) და წყალსადენები (მაგალითად, სხალტბა — შიომღვიმის წყალსადენი)²⁶. „შოთა რუსთაველის ეპოქის საერთოდ ფრიად მაღალ კულტურულ დონესთან შეფარდებით ტექნიკაც სავსებით ჰარმონიულად ყოფილა განვითარებული“²⁷. გაიხარა პურეულმა კულტურამ. აღორძინდა მევენახეობა-მელვინეობა, მებაღეობა-მებოსტნეობა, სელის წარმოება, მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა. სახელოსნო ნაწარმი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები გახდა სააღმშენებლო გაცვლა-გამოცვლის საგანი შიგნით სახელმწიფოში და საზღვარგარეთ.

დიდი შემოსავალი ჰქონდა სახელმწიფოს მოხარკე ქვეყნებიდან. ერთი სიტყვით, მაშინდელი საქართველო პოლიტიკურად ძლიერი იყო და ეკონომიურად ღონიერი, დიდი მატერიალური დოვლათის პატრონი.

XI—XII საუკუნეების საქართველოს სოციალური წყობილება დამყარებული იყო ქართული ფეოდალიზმის იმ სახეობაზე, რომელსაც პ ა ტ რ ო ნ ყ მ ო ბ ა ეწოდება. მაშინ „თითქმის მთელი საქართველო მეფისაგან მოყოლებული უბრალო მდაბიომდე „პატრონყმობის“ უღელში იყო შებმული და ცხოვრების ტვირთს ეზიდებოდა“²⁸. პატრონყმური ურთიერთობას სხვადასხვა კონკრეტული ვითარების შესაბამისად სხვადასხვა ფორმა ეძლეოდა. ყოველ შემთხვევაში ეს ურთიერთობა იდილიური არ ყოფილა და მას კლასობრივი (თუ შინაკლასობრივი) წინააღმდეგობანი გარკვეულ დაღს ასვამდა. გაერთიანებული საქართველოს მეფე (უმაღლესი პატრონი) თავის საქმიანობაში უპირველესად ემყარებოდა შედარებით „უაზნოთა“ (უგვაროთა) სოციალურ ფენებს — წვრილ მიწათმფლობელ აზნაურებსა და ვაჭარ-ხელოსნებს. დიდგვარიანი აზნაურები და სასულიერო-კლერიკალური წრეების მესვეურები თავგამოდებით იბრძოდნენ მეფის უფლებების გაძლიერებისა და ცენტრალიზაციის წინააღმდეგ. დავით აღმაშენებელმა გადაჭრით აღკვეთა დიდგვარიანი აზნაურების თავგასულობა და შეზღუდა ეკლესიის შეუვალობა. მეტიც, სახელმწიფოებრივი ცხოვრების ამ შესანიშ-

²⁶ აღ. ლ ო ს ა ბ ე რ ი ძ ე, ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები, კრ. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, გვ. 191—228; შ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, სხალტბა-შიომღვიმის 1202 წლის წყალსადენი, იგივე კრებული, გვ. 229—264.

²⁷ კრებული შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, გვ. 193.

²⁸ ივ. ჯ ა ვ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი პირველი, თბილისი, 1928, გვ. 68, 95 (დაყოფა ავტორისაა — ა. ბ.).

ნავმა რეფორმატორმა 1103 წლიდან (რუის-ურბნისის) ცნობილი სა-
ეკლესიო კრების მოწვევის დროიდან) ეკლესია დაუქვემდებარა სა-
ხელმწიფოს, ეკლესია მან გახადა თავისი სახელმწიფოებრივი პოლი-
ტიკის გამტარებელ იარაღად.

ძირი გამოცალა ეკლესიის ოდინდელ ბატონობას ცხოვრების
ყველა სფეროში.

დიდგვაროვანი ფეოდალები და ეკლესიის რეაქციული წრეები
ნერ შეურიგდნენ თავიანთი უფლებების შეზღუდვას, ისინი განაგრ-
ძობდნენ შეუპოვარ ბრძოლას დაკარგული პრივილეგიების აღსად-
გენად. ამისათვის შესაფერისად იყენებდნენ ქვეყნის საშინაო თუ
საგარეო გართულების ყოველ ხელსაყრელ მომენტს. დიდგვარიანმა
აზნაურებმა გარკვეული წარმატებებიც მოიპოვეს თამარის დროს,
ხოლო ეკლესიამ დემნას აჯანყების (1177 წ.) შემდეგ რამდენადმე
აღიღვინა რუის-ურბნისის კრების დადგენილებით წართმეული უფ-
ლებები. მაინც საქართველოს ეკლესიას საკმაოდ ჰქონდა შერყეული
სათუძვლები²⁹, შესაფერისადვე ეკლესიამ დაჰკარგა ჰეგემონური
მდგომარეობა იდეოლოგიის დარგში, კერძოდ მწერლობაში. რასაკ-
ვირველია, საეკლესიო მწერლობა და თეოლოგიური აზროვნება
კვლავაც ვითარდებოდა, მაგრამ მათ დაუვიწროვდა მოქმედების
არე. საეკლესიო მწერლობამ და ღვთისმეტყველებამ უფრო და უფ-
რო სქოლასტიკური ხასიათი მიიღო, მათი დანიშნულება უფრო და
უფრო საკულტო ჩარჩოებით შემოიფარგლა. სამაგიეროდ ქვეყნის
სათავეში მდგომი საერო საზოგადოების ცხოვრებისა და იდეურ-ეს-
თეტიკური მიდრეკილებების ასახვა იკისრა ახალ პირობებში აღმო-
ცენებულმა ლიტერატურულმა მიმართულებამ. ეს იყო საერო
მხატვრული მწერლობა. რამდენადაც საერო მხატვრული მწერლო-
ბის აღმოცენება და განვითარება საკარო ცხოვრების პირობებთან
იყო დაკავშირებული, ამიტომაც ძველ-ქართულ საერო მხატვრულ
ლიტერატურას აღმოცენების პირველ საფეხურზე გარკვეულად სა-
კარო იერი ჰქონდა. საკარო-სახოტბო პოეზიაც XII საუკუნის მწერ-
ლობის ერთ-ერთი ნიშანდობლივი დარგია. ამ პოეზიას ამშვენებს
ისეთი ძეგლები, როგორიცაა „აბდულმესიანი“ და „თამარიანი“.

ძველ-ქართული საერო მწერლობის აღმოცენების თარიღად
ნ. მარის ადრინდელი შეხედულების თანახმად ჩვენ ვთვლით დავით
აღმაშენებლის მოღვაწეობის ხანას, ე. ი. XI საუკუნის გასულსა თუ

²⁹ კ. ქვეყლიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 11, თბილისი, 1941,
გვ. 32—33.

XII-ის დასაწყისს. ყველაფერთან ერთად ამ ხანას უკავშირდება ჩვენი კულტურის ისტორიაში ისეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, როგორც იყო ახალი ქართული სალიტერატურო ენის საფუძვლების ჩაყრა. პროფ. არნოლდ ჩიქობავას გამოკვლევის მიხედვით. „ახალ სალიტერატურო ქართულს საძირკველი ეყრება თბილისში: დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლება თურქთაგან 1122 წელს და პოლიტიკური და კულტურული ცენტრის ქუთაისიდან თბილისში გადმონაცვლება (აქედან გამომდინარე ყველა შედეგით), ის დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენაა, რომელმაც ახალი ქართული სალიტერატურო ენის წარმოქმნა შეაპირობა“³⁰. ახალი ქართული სალიტერატურო ენა ქართული საერო მხატვრული მწერლობის ენაა. რაც შეეხება ძველ ქართულს, ის „საეკლესიო მწერლობას შერჩა და კარგა ხანს იარსება, როგორც სამწერლობო ენის საეკლესიო სტილმა“³¹. ახალი ქართულისკენ მობრუნების ტენდენცია ეტყობა ადრინდელი საერო მწერლობის ყველა ძეგლს, პროზაულსაც და პოეტურსაც. ახალ ქართულ სალიტერატურო ენაზეა დაწერილი ქართული პოეტური კულტურის სწორუპოვარი გვირგვინი — შოთა რუსთველის პოემა ვეფხისტყაოსანი.

დავით აღმაშენებლის დროს საქართველოს ეკონომიურმა დოვლათიანობამ და პოლიტიკურმა მდგომარეობამ შეაპირობა ქვეყნის კულტურული წინსვლა. მაშინ დიდი სახსრები იხარჯებოდა კულტურის ძველი კერების გამოსაცოცხლებლად და ახლების შესაქმნელად. დავით აღმაშენებელმა დააფუძნა გელათის დიდებული აკადემია: „მოდურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა“³². პოეტი იოვანე შავთელი მას უწოდებს „ახალ რომს“ და „ელადას“ რომელიც „უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა“³³. გელათზე ცოტათი ადრე უნდა ყოფილიყო აგებული იყალთოს აკადემია, რომლის საუცხოო ხუროთმოძღვრულ, უზარმაზარ შენობას

³⁰ ქართული ენის ზოგადი დახასიათება. ქართული განმარტებითი ლექსიკონი 1, 1950 გვ. 018; მ ი ს ი ვ ე, დიალექტიზმების საკითხისათვის ვეფხისტყაოსანში, „ენიშკის მოამბე“, 11, 1938, გვ. 227.

³¹ ივ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, მოძღვრება საერთო-სახალხო ენისა და დიალექტების შესახებ და ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, იბერიკლკავკასიური ენათმეცნიერება, III, 1952. გვ. 502.

³² ქართლის ცხოვრება, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ე ლ ის რედაქციით, 1, თბილისი 1955, გვ. 331.

³³ ნ. მ ა რ ი. Древнегрузинские описцы, ТР, IV, 1902, აბდულმესია, 105.

ჩვენს დრომდის მხოლოდ ნანგრევების სახით მოუღწევია³⁴. აკადემიები წარმოადგენდნენ სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებს. გელათის აკადემიაში დავით აღმაშენებელს მიუწვევია იმდროინდელი ბევრი გამოჩენილი ქართველი მწიგნობარი, მეცნიერი, ფილოსოფოსი. მიწვეულთა შორის იყო დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. იყალთოს აკადემიას უკავშირდება ღვთისმეტყველ-ფილოსოფოსის არსენ იყალთოელის სახელი.

გელათისა და იყალთოს აკადემიათა შენობების კომპლექსები ხუროთმოძღვრების იშვიათი ძეგლებია. გელათის მოზაიკა ქართული მონუმენტური ფერწერის საუკეთესო ნიმუშია³⁵. ხელოვნება საზოგადოდ, საკუთრივ კი სახვითი ხელოვნების ყველა დარგი ძლიერ დაწინაურდა XI—XII საუკუნეებში. ხელოვნების დაწინაურება ხდებოდა მთელი ქართული კულტურის დაწინაურებასთან ერთად. პროფ. გ. ჩუბინაშვილი სრულიად სამართლიანად ამბობს, რომ კულტურის სხვადასხვა სახეობის, კერძოდ ქართული „ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების შეპირისპირება გვიჩვენებს მოვლენათა პარალელურ მსვლელობას, ე. ი. ქართული კულტურის ევოლუცია მთლიანი, ერთიანი პროცესია და მისი მაღალი მხატვრული მიღწევანი როდი წარმოადგენენ გაუგებარსა და შემთხვევით მოვლენას. პირიქით, ისინი კანონიერად გაბმულა არიან მთლიან ისტორიულ პროცესში...“³⁶ შესანიშნავა იქამინდელი ხუროთმოძღვრების ძეგლები, ოღონც „მონუმენტურა სტალა თანდათანობით ადგილს უთმობს დეკორატიულს“. ახლა მთავარი ყურადღება ექცევა შენობათა გარეგან გაფორმებას, მათს მუკაზმვა-მოჩუქურთმებას (კაბენი, ქვათახევი, სამთავრო, ბეთანია, წულტულაშენა, ფატარეთი და სხვ.)³⁷. კლასიკურად სრულყოფილად ხდება ოქრომკედლობა და ოქრომქანდაკებლობა. ხელოვნების ამ დარგს ამჟღავნებენ დიდოსტატ ბეშქენ და ბექა ოპიზართა ნამუშევარი.

³⁴ გ. ჩუბინაშვილი, საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში, „თბილისის უნივერსიტეტის მოამბე“, III, 1923, გვ. 117—120. XII საუკუნის ქართული საერო ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლია გვეჯის სასახლეც (ვ. წილოსანი, გვეჯთი: ციხე-დარბაზი, კრ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბილისი, 1937, გვ. 449—467).

³⁵ შ. ამირანაშვილი, История грузинского искусства, М., 1950, გვ. 189—190; მისივე, История грузинской монументальной живописи I, 1957, გვ. 115—133.

³⁶ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1936, გვ. 12.

³⁷ შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, თბილისი, 1956, გვ. 44.

რნი³⁸. ქართულ ხელოვნებაში საერთოდ მომხდარი გარდატეხის შესაბამისად ვითარდება კედლის მხატვრობა (ვარძიის, ბეთანიის, ყინწვისის, ბერთუბნისა და სხვათა მონატულობანი). XI საუკუნის გასულს და XII საუკუნის პირველ მესამედში მოღვაწეობდა შესანიშნავი მხატვარი თევდორე, რომელსაც მოუხატავს სვანეთის ეკლესიები. თევდორეს ღრმად ემოციური მხატვრობა გვერდზე ტოვებს ბიზანტიურ სქემებს, ის აგრძელებს მხატვრობაში ქართულ ეროვნულ ტრადიციებს, ბიბლიურსა და აპოკრიფულ-ჰაგიოგრაფიულ სიუჟეტებში (მაგ. წმ. გიორგის ცხოვრებაში) შეაქვს რეალისტური ტენდენციები³⁹. განსაკუთრებით გამოირჩევა ყინწვისისა და ბერთუბნის ჩინებული ფრესკები. პროფ. გ. ჩუბინაშვილის სპეციალური მონოგრაფიული გამოკვლევის თანახმად, ბერთუბნის მომხატველის შემოქმედებაში «проявляется такая свобода, которая затем в конце XIII века в Италии породила начало новой европейской живописи, несвязанной византийскими схемами»⁴⁰. იმავე ბერთუბნის მონატულობიდან იოაკიმეს ხარების სცენის გამო პროფ. გ. ჩუბინაშვილი ამბობს: «Такая композиция, как благовествование Иоакиму, не стесняясь может стать рядом с композициями Giotto по проникновенности чувства и выразительной лаконичности»⁴¹. ერთი სიტყვით, დიდი თამარისა და უკვდავი რუსთველის ეპოქის კულტურა ყველა სფეროში არის ნამდვილად „რაფინირებული, ნატიფი“⁴². რუსთველის პოეზიას ღირსეულად უმშვენებს გვერდს ქართული სახეითი ხელოვნება, კერძოდ მონუმენტური ფერწერა⁴³. მთავარი ისაა, რომ მხატვრობაში მძლავრად შეიჭრა ნამდვილი ცხოვრების სიო. ბერთუბნის მხატვრობის ბიბლიურ ფიგურებში ჩაქსოვილია „ნამდვილი ცხოვრება, ნამდვილი გრძნობა და (ნამდვილი) განცდები“⁴⁴. XI—XII საუკუნეების საქარ-

38 შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახლებული ნაშრომი; გ. ჩ უ ბ ი ნ ა - შ ვ ი ლ ი, ქართულ ოქრომქედლობა VIII — XVIII საუკუნეებისა, თბილისი, 1957.

39 შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, История грузинской монументальной живописи, გვ. 134—159.

[⁴⁰ Пещерные монастыри Давид Гареджи, Тбилиси, 1948, გვ. 57.

⁴¹ ი ქ ვ ე, გვ. 66.

⁴² ი ქ ვ ე, გვ. 46.

43 შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, История грузинской монументальной живописи, გვ. 159.

44 Г. Н. Ч у б и н а ш в и л и, Пещерные монастыри Давид Гареджи, გვ. 66.

თველოში ფაქიზი გემოვნებით აფორმებდნენ, მშვენიერი ძინიატურებით ამკობდნენ და ძვირფას ყლებში სვამდნენ ქართულ ხელნაწერ წიგნებს. საერთოდ და მთლიანად „XI—XII საუკუნეები ქეშმარიტად წარმოდგენდნენ კლასიკურ ხანას ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში“ (შ. ამირანაშვილი). მეორე მხრით, მაშინდელი ქართული სახვითი ხელოვნება საკაცობრიო კულტურის საგანძურის მნიშვნელოვანი წვლილია⁴⁵. აღსანიშნავია ის ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ მაშინდელი ქართული ხელოვნების კეთილი ზემოქმედება ვრცელდებოდა ძველი რუსეთის სამთავროებზე. მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის მიერ გამოცემული რუსული ლიტერატურის ისტორიაში ვკითხულობთ: «Позволительно думать, что именно через соседствующую Тмутаракань часть Грузии — Абхазию — шло то интенсивное влияние грузинского искусства, следы которого предположительно устанавливаются в архитектуре Киева и Чернигова, в живописи Новгорода, в орнаменте некоторых рукописей»⁴⁶.

ძველ საქართველოში, კერძოდ XI—XII საუკუნეებში ძლიერ დაწინაურებული იყო მუსიკალური კულტურაც, როგორც სასულიერო, ისე საერო⁴⁷.

XII საუკუნის საქართველო წარმოდგენდა მრავალეროვან სახელმწიფოს. საქართველოს სახელმწიფოში შემოდიოდა ქრისტიანული სომხეთი და მუსლიმანური სამთავროები. მუსლიმანები ბლომად ესახლნენ თბილისშიც. ქართველი მეფეები დიდ შემწყნარებლობითს დამოკიდებულებას იჩენდნენ თავიანთი არაქართველი ქვეშევრდომი მოსახლეობისადმი. განსაკუთრებული მფარველობა ეწეოდა სომხობას. აკადემიკოს მანანდიანის სიტყვით «Великие политики Грузии после сельджукской эпохи... отвоевав у мусульман армянские области, всемерно содействовали как восстановлению самостоятельной Армении, так и возрождению ее самобытной культуры»⁴⁸. დავით აღმაშენებელმა სომხებით დაასახლა ქალაქი გორი. თა-

⁴⁵ შ. ამირანაშვილი, История грузинского искусства, გვ. 224.

⁴⁶ История русской литературы, I, М.-Л., 1941, გვ. 16.

⁴⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, გვ. 223—230; Г. Ч х и к в а д з е, Древнегрузинская музыкальная культура, Сб. «Грузинская музыкальная культура», Тб., 1957, გვ. 7—20.

⁴⁸ Акад. Я. А. М а я н д я н, Месроп-Маштоц и борьба армянского народа за культурную самобытность, Ереван, 1941, გვ. 32.

მარის დროს სომხური ელემენტი საგრძნობ ძალას წარმოადგენდა სახელმწიფოს სამოქალაქო და სამხედრო აპარატში. დიდ მზრუნველობას უწევდა დავითი საქართველოში ჩამოსახლებულ ყივჩაყებს. გიორგი მესამემ „ნაყივჩაყარი“ ყუბასარი ამირსპასალარად დანიშნა. დიდი პატივით ეპყრობოდა დავით აღმაშენებელი მის ქვეშევრდომ მუსლიმანებს. დავითი კარგად ყოფილა განსწავლული მუსლიმანთა სჯულის საკითხებში და განჯის ყადისთან კამათიც ჰქონია ყურანის (მუსლიმანთა უმთავრესი სჯულის წიგნის) გამო⁴⁹. მუსლიმანი მწერლების მოწმობით, დავით აღმაშენებელს სპეციალური თავშესაფარი აუგია მუსლიმანი სუფიებისა და პოეტებისათვის, მათ თურმე ნივთიერ დახმარებას უწევდა და მეჭლისებს უმართავდა.⁵⁰ მუსლიმანთა საუფლო დღეს (პარასკევს) დავით აღმაშენებელი შვილითურთ დადიოდა მუსლიმანთა სამლოცველოში (მეჩეთში), ისმენდა ყურანის კითხვას და ქადაგებას, ასაჩუქრებდა მუსლიმანური კულტის მსახურებს⁵¹. ერთი სიტყვით, არაბი ისტორიკოსის განცხადების თანახმად, დავით აღმაშენებელი „მაჰმადიანებს უფრო პატივსა სცემდა, ვიდრე თვით მაჰმადიანთა მეფენი“⁵².

XI—XII საუკუნეების საქართველოს ცოცხალი სააღმშენებლო, პოლიტიკური და კულტურული კავშირი ჰქონდა ქრისტიან და მუსლიმან ხალხებთან (ბერძნებთან, სომხებთან, არაბებთან, სპარსელებთან, ტაჯიკებთან, აზერბაიჯანელებთან). იმდროინდელი საქართველო უკავშირდებოდა კავკასიის გადაღმა მხარესაც, კიევის რუსეთსა და რუსთა ჩრდილოეთის სამთავროებს. მეზობლებთან კავშირის წყალობით შესაძლებელი ხდებოდა კულტურულ მონაპოვართა ურთიერთგაზიარება, დაახლოება და დამეგობრება, ქართული ელემენტი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბიზანტიური აღორძინების შექმნაში⁵³. ქართული ფილოსოფიური მწერლობის ძეგლები ითარგმნებოდა მწერლობის ამ დარგით მდიდარ სომხურ ენაზე⁵⁴. ზოგჯერ

⁴⁹ ნ. მარი, Древнегрузинские описаны, გვ. 19.

⁵⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1948, გვ. 217.

⁵¹ იქვე, გვ. 218.

⁵² ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1907, გვ. 29.

⁵³ ნ. მარი, Иоани Петрицкий, грузинский неоплатонник XI—XII века, გვ. 104.

⁵⁴ ნ. მარი, Иоани Петрицкий, გვ. 61; ილ. აბულაძე, რუსთაველის ხანის ქართული ფილოსოფიური მწერლობის კიდევ ერთი ძეგლის თარგმანს

ქართულის მეშვეობით სომხურად ითარგმნებოდა ბერძნული ფილოსოფიური თხზულებანი (მაგალითად, პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთის მეტყველებითნი“).

მეზობელ ქვეყნებთან კავშირი ხელს უწყობდა ხალხთა თანამშრომლობისა და თანამეგობრობის დანერგვას საზოგადოების შეგნებაში, ხალხთა დაახლოებას. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „თ უ პოლიტიკურს ცხოვრებაში საქართველო სხვადასხვა მაჰმადიანთა სამთავროებს და სპარსეთს ებრძოდა, პოეზია და კულტურა ქართველ-სპარსთა სულიერს ერთობასა ჰქმნიდა და მტრობის მაგიერ სიყვარულს სთესავდა. ქართველებისათვის სპარსულ-მაჰმადიანური კულტურა უცხო რამე არა ყოფილა და თავისი პოლიტიკური მტრების მწერლობას, მეცნიერებასა და ხელოვნებას იხინი დიდ პატივს სცემდნენ“⁵⁵ ქართულ ენაზე ითარგმნებოდა ერთი მხრით ჰომეროსის პოემები, მეორე მხრით სპარსულ-ტაჯიკ-აზერბაიჯანულ პოეტთა თხზულებანი. ჩვენამდე მოაღწია გურგანის „ვის-ო-რამინის“ (ვისრამიანის) საუცხოოდ დამუშავებულმა ქართულმა რედაქციამ, რომელიც უნდა ჩამოყალიბებულყოფიყო არა უგვიანეს XII საუკუნის მეორე ნახევრისა. გვაქვს საბუთები ვიფიქროთ, რომ XII საუკუნეში უთარგმნიათ ქართულ ენაზე ფირდოუსის შაჰნამე, „ქილილა და დამანა“ (შესაძლებელია რუდაქის რედაქციისა), ონსორის „ვამეყ და აზრა“, ნიზამის „ლეილი და მაჯნუნი“, „ხოსროვი და შირინი“ და სხვ. თავის მხრით მდიდარი ქართული კულტურის ტრადიციები გამოხატულებას პოეზობდა და კეთილშემოქმედებას ახდენდა სპარსულ-ტაჯიკურ-აზერბაიჯანულ პოეზიაზე. ყველაფრიდან ჩანს, რომ ქართულ ენას ფლობდნენ და ქართული მასალებით სარგებლობდნენ შუა საუკუნეთა მუსლიმანური სამყაროს ისეთი დიდი პოეტები, როგორიც იყვნენ ნიზამი განჯელი და ხაყანი. ხაყანი ქართულ სიტყვებს მახვილ-გონივრულად იყენებდა სპარსულ ლექსებში მოხდენილი კალამბურების მისაღებად⁵⁶. სპე-

ძველ სომხურზე. „ენიმეის მოამბე“, III, 1938; გვ. 111—122; მისივე, რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები, იქვე, გვ. 123—124; მისივე, მხითარ გოშის ტრაქტატი „ქართველთათვის“ და მისი ლიტერატურული წყაროები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, VII, გვ. 105—106.

⁵⁵ ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 654 (დაყოფა ავტორისაა, ა. ბ.).

⁵⁶ იურიშარი, Грузинские слова в изданных К. Г. Залеманом четверостишиях Хакани (Бюллетень КИАИ, № 6, Л, 1939, გვ. 10—13; К вопросу

ციალისტების მოსაზრებით, ნიზამის პოემა „ისქანდერ ნამე“ ვერ შეიქმნებოდა ქართულ მასალების გათვალისწინების გარეშე⁵⁷. ხოლო შირინის შესანიშნავი მხატვრული სახე (ნიზამის პოემა „ხოსროვირინიანიდან“) თითქო ჩავიწყებულია თამარით⁵⁸. როგორც უნდა იყოს, დიდ ყურადღებას იპყრობდა ის გარემოება, რომ შირინი არ ჰგავს სპარსული პოეზიით ცნობილ უნებისყოფო, ინერტულ და სულწასულ ქალთა პერსონაჟების სახეს. შირინი ასახიერებს გონიერ მანდილოსანს, დიდი სახელმწიფოებრივი ჭკუით დაჯილდოვებულს, გულისხმიერსა და გულშემატკივარ, დაუზარელსა და ენერგიულს, თავისუფლებისმოყვარულს, მტკიცე ნებისყოფის პატრონს, ნაზს, გრძნობიერსა და ზნეფაქიზს. ნიზამის შემოქმედების დიდი მცოდნის პროფ. ე. ბერტელსის დასაბუთებული მოსაზრებით, შირინის სახის შექმნა ნიზამი განჯელს გაუადვილა საქართველოს სინამდვილის კეთილისმყოფელმა ზემოქმედებამ. ე. ბერტელსი ამბობს: «Создать образ Ширин Низами в значительной степени помогла близость к христианским кругам. При смешанном характере населения Ганджи и ее близости к Грузии поэт не мог не знать о том, что женщины там была свободна и не подвергалась тому унижению, которое было обычно в стране мусульман»⁵⁹. ამიტომ არც ისაა შემთხვევითი, რომ დაქვეითების ხანაშიცკი ქართულ ელემენტს უშუალოდ შეჰქონდა თავისი წვლილი სპარსული კულტურის საერთო საგანძურში (ცნობილია ირანში მოღვაწე ქართველი მხატვრები და სპარსულად მწერალი ქართველი პოეტები⁶⁰. იური მარის, იქნებ ცოტა არ იყოს გადაჭარბებული მოსაზრებით, XII საუკუნის მოწინავე განათლებული

о позднейших толкованиях Хакани, Сб. Хакани, Низами, Руставели», Л. 1935, гз. 7—14.

⁵⁷ Искандер-Намэ, перевод и редакция проф. Е. Э. Бертельса, Баку, 1940, гз. 18; Проф. А. Маковельский, О поэме Низами «Искандер-Намэ», Сб. Низами, IV, 1947, гз. 60.

⁵⁸ Ю. Н. Марр, К вопросу о позднейших толкованиях Хакани, гз. 9—10; А. Болдырев, Два шарванских поэта Низами и Хакани Сб. Пмятники эпохи Руставели, Л., 1938 гз. 119—120.

⁵⁹ Низами Ганджеви, Хосров и Ширин, под редакцией В. В. Гольцева, вступительная статья и комментарии Е. Э. Бертельса, М., 1948, гз. 16; Е. Э. Бертельс, Низами, М., 1948, гз. 130.

⁶⁰ ვ. დუთურიძე, ისქანდერ მუნის ცნობა მხატვრის სილოზზე ქართველის შესახებ, „ენიმკის მოამბე“, III, 1932, გვ. 383—386; მისივე, ქართველი მოღვაწენი ერანის კულტურულ ასპარეზზე. ანალები, I, 1947, გვ. 267—296.

ქარველი საზოგადოება „უკეთ იცნობდა სპარსელ კლასიკოსებს, ვიდრე, ჩვენი ცნობების მიხედვით, მათ იცნობდნენ თვით იმ დროის სპარსელები“⁶¹.

აღნიშნულის კვალობაზე იქმნებოდა და ვითარდებოდა სპარსულ-აზერბაიჯანულ-ქართული მჭიდრო ლიტერატურული ურთიერთობა XII საუკუნის სინამდვილეში. ცხადია, სპარსულ-აზერბაიჯანულ-ქართულ ლიტერატურულ თანამშრომლობას საერთო ხასიათი ჰქონდა. ქართული კულტურა ზემოქმედებას ახდენდა სპარსულ-აზერბაიჯანულ მწერლობაზე⁶². ხოლო თავის მხრით ქართული მწერლობაც განიცდიდა სპარსულ-აზერბაიჯანული კულტურის ასეთსავე ზემოქმედებას. უცხოელ კლასიკოსთა ნაწერების თარგმანები ამდიდრებდა თვითმყოფი ქართული ეროვნული სულიერი კულტურის საღაროს.

ახლად აღმოცენებული ქართული საერო ლიტერატურის ყურადღების საგანი იმთავითვე გახდა მატერიალური სამყარო, ადამიანი, ადამიანის საამქვეყნო ცხოვრება და საამქვეყნო იდეალები. მიწიერი გრძნობებისა და ვნებების თვითჩახშობის ასკეტიკური მორალი შერჩა სასულიერო-საეკლესიო მწერლობას, საერო მწერლობა კი, განსაკუთრებით პოეზია, მკაფიო ჰუმანისტურ ხასიათს ღებულობს. რენესანსური განწყობილებანი შეადგენს XII საუკუნის ქართული საერო მწერლობის ნიშანდობლივ თვისობრივ მხარეს.

ძველ-ქართული საერო მწერლობის განვითარებას, ისე როგორც საერთოდ ქართული კულტურისა და ქართული სახელმწიფოებრიობის წინსვლას ბოლო მოუღო ჩინგისხანის ურდოების შემოსევამ და მონღოლთა ხანგრძლივი კირთების დამყარებამ. ეს კატასტროფა კიდევ უფრო გააღრმავა თემურლენგის სისხლიანმა ეპოპეამ. ქართველი მოსახლეობა გაიჟლიტა, ქვეყანა გავერანდა, გაჩანაგდა და დაიღუპა მატერიალური და სულიერი კულტურის აურაცხელი ძეგლი. კლასიკური პერიოდის მდიდარი ქართული მწერლობიდან მხოლოდ მცირედი რამ გადაურჩა ჟამთა სიავეს, ასევე ხარვეზები თაა სავსე საისტორიო და სამეცნიერო მწერლობაც. დაღუპულია დიდძალი ნათარგმნი ლიტერატურა. კლასიკური პერიოდის ქართუ-

⁶¹ ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობიდან (მნათობი, 1934, № 9, გვ. 146); Ю. Н. Марр, Статьи и Сообщения, II, 1939, გვ. 134.

⁶² როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ აზერბაიჯანულ მწერლობაზე, მხედველობაში გვაქვს აწინდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შექმნილი სპარსულენოვანი მწერლობა.

ლი სულიერი კულტურა ამიტომაც ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. ჩვენ ვიცით სახელწოდებანი თხზულებათა (მაგალითად, დილარია-ნი), რომლებიც დაკარგულად ითვლება, ან მოგვეპოვება ყრუ გად-მოცემები ისეთ ავტორებზე (მაგალითად, ძაგნაკორელზე), რომელთა ნაწერები ცნობილი არ არის. თავისი პოემის შესავალში რუსთველი საგანგებოდ მსჯელობს პოეზიის სხვადასხვა ენარზე და მელექსეთა სხვადასხვა კატეგორიაზე. სინამდვილეში ამ მელექსეთა სახელები დავიწყებას მისცემიან. ნუთუ თვითონ რუსთველის ლიტერატურუ-ლი მემკვიდრეობა მარტოოდენ ვეფხისტყაოსნით ამოიწურება? სად გაქრა ნაწერები იმ მრავალრიცხოვან პოეტთა, რომლებიც იყვ-ნენ შეკრებილი დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამისა და ნამეტნა-ვად თამარის სამეფო კარზე? პირდაპირი თუ არაპირდაპირი ცნო-ბების წყალობით ჩვენ მხოლოდ დაახლოებით შეგვიძლია წარმო-ვიდგინოთ XII საუკუნის საქართველოს სულიერი კულტურის მა-ღალი დონე. კერძოდ ძველ-ქართული მხატვრული მწერლობიდან, რაც ჩვენი უშუალო განხილვის საგანია, ჩვენ მოგვეპოვება ხუთი-ღა ძეგლი: პროზიდან ამირანდარეჯანიანი და ვისრამიანი, პოეზიიდან—ორი სახატბო თხზულება (აბდულმესიანი, თამარიანი) და რუსთვე-ლის უკვდავი ვეფხისტყაოსანი. ეს კია, რომ რაოდენობრივად ასე მცირერიცხოვანი ძეგლები ხმამაღლა ლაღადებენ XII საუკუნის ქართული მწერლობის უკუნობ სიდიადეზე...

კომეტური მებაჟორის ენა და ვეფხისტყაოსნის თარიღის საკითხი

ჩვენი კეთილი მეგობარი ინგლისელი ქართველოლოგი დევიდ ლანგი რამდენჯერმე შეეხო ვეფხისტყაოსნის თარიღის საკითხს, ორიენტალისტა 25-ე საერთაშორისო კონგრესზე მოსკოვში 1963 წელს დ. ლანგი გამოვიდა მოხსენებით „შუა საუკუნეთა ქართული ლიტერატურის პრობლემები“¹. ამ მოხსენებაში იგი გარკვეული კუთხით იხილავს შუა საუკუნეთა ქართული ლიტერატურის ისეთ მნიშვნელოვან ძეგლებს, როგორცაა ს ი ბ რ ძ ნ ე ბ ა ლ ა ვ ა რ ი ს ა, ა მ ი რ ა ნ დ ა რ ე ჯ ა ნ ი ა ნ ი და ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი. დასახელებული პირველი ორი ნაწარმოების გარჩევის შემდეგ ლანგი შენიშნავს: „დასასრულ, მივადექით ქართული ლიტერატურის უდიდეს ძეგლს, რომანტიკულ ეპოს ვეფხისტყაოსანს. რომელიც მიეწერება შოთა რუსთაველს, თამარ დედოფლის (1184—1213) დროის ბარდს“ (დაყოფა ჩემია — ა. ბ.). ვეფხისტყაოსანზე ლანგი ცოტას ლაპარაკობს, ოღონდ თავიდანვე აცხადებს, — „რუსთველისა და მისი თხზულების ირგვლივ ძირითადი საკითხები მოსაწესრიგებელია“ და განმარტავს: „მაგალითად, იმასაც კი ამტკიცებდნენ, რომ ვეფხისტყაოსანი თამარ დედოფლის დროს არ დაწერილა, რომ მისი ავტორი არ არის რუსთაველი და რომ პროლოგ-ეპილოგი პოემაზე ბევრად უფრო გვიან დაიწერა“. ამ შენიშვნებს ლანგი ურთავს: „იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ზემოხსენებულთა მსგავს ძირითად პრობლემებს გულდასმით გამოიკვლევენ ყველა ქვეყნის სპეციალისტები“. მკვლევარს კონკრეტულად და არსებითად არაფერი უთქვამს ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის ისტორიულ-ლიტე-

¹ Труды XXV международного конгресса востоковедов, III, М., 1963, стр. 492—494..

რატურული საკითხების თაობაზე, მან მხოლოდ სკეპტიკური აზრი გამოთქვა, კერძოდ, ვეფხისტყაოსნის თარიღის გამო.

ი. ორბელს, არნ. ჩიქობავას, ე. მეტრეველს სამართლიანად მოუთხოვიათ წამოყენებულ დებულებათა დასაბუთების საჭიროება².

ვეფხისტყაოსნის თარიღის საკითხს შედარებით უფრო ვრცლად შეეხო დ. ლანგი თავის შესავალ ლექციაში „ქართული ლიტერატურის განვითარების საფეხურები“³. ამ ლექციის გამოქვეყნებულ ტექსტში დ. ლანგი ამბობს, რომ ბეჯითად ძალიან ცოტა რამ ვიცით ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე, რომ გარკვეულ ცნობებს გვაწვდის პოემის პროლოგ-ეპილოგი, რომლებიც შემდეგი დროის დანართად ითვლებო (გვ. 18—19). „არიან მკვლევარები, — განაგრძობს დ. ლანგი — რომლებიც უარყოფენ ყველა ტრადიციულ ცნობას, როგორც ყალბს, რაც კი რუსთაველის პიროვნებისა და მისი ცხოვრების თარიღებს შეეხებაო“. საბუთად დ. ლანგი იმოწმებს იარომირ იედლიჩკას ერთ კერძო წერილს, რომელიც ჩეხ მეცნიერს მისთვის გაუგზავნია 1959 წლის 31 მაისს (გვ. 19). თავის თვალსაზრისს ვეფხისტყაოსნის თარიღის შესახებ დ. ლანგი კიდევ უფრო ზოგადად და გაკერით გამოთქვამს ნარკვევში „ქართული ეპოსის ხალხური და კურტუაზიული ელემენტები“, რომელიც თითქმის ერთდროულად გამოქვეყნდა პარიზსა და რომში⁴. მოწმედ და საბუთად აქაც იარომირ იედლიჩკას კერძო წერილია მოხმობილი. დაბოლოს, იგივე თვალსაზრისი გატარებულია ენციკლოპედიური ხასიათის ერთ ცნობარშიც, რომელიც გამოვიდა ლონდონში 1969 წელს⁵. ამ ცნობარის აღმოსავლეთის ქვეყნებისა და აფრიკის ხალხთა ლიტერატურის განყოფილების რედაქტორია და ქართულის შესახები წერილების ავტორია დ. ლანგი.

ამრიგად, დ. ლანგი მთელ რიგ ნაშრომში თანმიმდევრულად და ბეჯითად ავითარებს ზოგად სკეპტიკურ მოსაზრებას ვეფხისტყაოსნის პროლოგ-ეპილოგის თაობაზე და ამ ტექსტებით შემონახულ

² აედმყოფობის გამო ჩვენ პირადად კონგრესის სხდომებს არ დავსწრებივართ, თუმცა კონგრესის მონაწილე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დელეგაციის წევრად ვითვლებოდი.

³ Landmarks in georgian literature, London, 1966.

⁴ Popular and courtly elements in the georgian epic (Revue de Kartvélogie, XXVII, Paris, 1970, p. 143—160; La poesia epica e la sua formazione, Roma, Accademia nazionale del lincei, 1970, Estratto, 697—712).

⁵ The penguin Companion to Literature, 4, p. 302.

ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ძვირფას ცნობებზე. სამწუხაროდ, დ. ლანგს არ უცდია თავისი მოსაზრების დასაბუთება, მეტიც, იგი როგორღაც ერიდება საკუთარი შეხედულების გამოხატვას და სხვების, დაუსახელებელი ავტორების (თუ ავტორის) აზრს ემყარება. ერთადერთ კონკრეტულ მოწმე მკვლევარად მას მოჰყავს ვეფხისტყაოსნის ჩეხურად მთარგმნელი იარომირ იედლიჩკა, რომელსაც ინგლისელი ავტორი არც თუ უსაფუძვლოდ „გამოჩენილ სწავლულს“ უწოდებს. იედლიჩკას მიერ კერძო წერილში გამოთქმულ მოსაზრებათა გულწრფელობაში, აბა, ვის შეეპარება ექვი! რაღა თქმა უნდა. ვერც ვერავინ დაძრახავს დ. ლანგს ამ კერძო წერილის გამოქვეყნების გამო. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ მსგავსი მოსაზრება იედლიჩკას არ გამოუთქვამს თავის საკუთარ ვრცელ შესავალ წერილში, რომელიც წამძღვარებული აქვს ვეფხისტყაოსნის მისეული თარგმანის გამოცემას (პრაღა, 1958). მართალია, ვეფხისტყაოსნის თამარის დროინდელობას ი. იედლიჩკა მიაწერს ლიტერატურულ ტრადიციას. იგი ამბობს: „ვეფხისტყაოსნის პროლოგისა და ეპილოგის პირდაპირმა და არაპირდაპირმა მიმართებამ მეფე თამართან, რაც ხელოვნურად იქნა გავრცელებული მთელ პოემაზე. გაამაგრა ლიტერატურული ტრადიცია, რომელმაც ნაწარმოები თამარის მეფობის დროს მიაკუთვნა, ე. ი. 1184—1213 წლებს შორის დროის მონაკვეთს“ (გვ. 9). ხოლო ლიტერატურული ტრადიციების მონაცემთა სისწორეს ი. იედლიჩკა თვითონ უყოყმანოდ აღიარებს და ბეჭითად ასკვნის: „საჭიროა გავიხსენოთ როგორი პოლიტიკური და კულტურული სიტუაცია იყო საქართველოში იმ დროს, რომელსაც ლიტერატურული ტრადიცია პოემის შექმნას აკუთვნებს. მართლაც, ქართული კულტურის ასეთი მნიშვნელოვანი ძეგლის შექმნისათვის შეუძლებელია წარმოვიდგინოთ უფრო შესაფერისი დრო, ვიდრე იყო თამარ მეფის დრო“ (გვ. 10).

ცნობილია, რომ ი. იედლიჩკა იულიუს ასფალგთან ერთად აპირებდა კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომის გადამუშავებას და გერმანულ ენაზე გამოცემას. ამისათვის მან 1963 წელს ნებართვა თხოვა თბილისის უნივერსიტეტის რექტორს (როგორც კ. კეკელიძის წიგნის გამომცემელს, თვითონ ავტორი მაშინ გარდაცვლილი იყო). ი. იედლიჩკამ თანხმობა, რა თქმა უნდა. მიიღო. ოღონდ უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა ევგენი ხარაძემ ჩვენთან დათათბირების შემდეგ შეახსენა ჩემ მეცნიერს, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიის გადამუშავების დროს, კერძოდ, რუსთველოლოგიური პრობლემების გაშუქებისათ-

თავის ბოლოდროინდელ ნაშრომებში კ. კეკელიძე იმ შეხედულებას იცავდა, თითქოს ვეფხისტყაოსანი დაიწერა თამარის შემდეგ, რუსუდანის მეფობის დროს, მე-13 საუკუნის ოციანი წლების გასულს, 1230 წლის მახლობლად, „არა უადრეს მონღოლთა და ხვარაზმელთა შემოსევისა ჩვენში“⁸.

კ. კეკელიძის დაკვირვების თანახმად, ვეფხისტყაოსანს თითქოს თავიდან ბოლომდის გასდევს ერთგვარი პესიმისტური ჰანგი, „პოემაში მძლავრად ისმის გმობა და მღურვა წუთისოფლისა და საჩივარი იმის შესახებ, რომ ის არის სისხლის მსმელი, უხანო, ცრემლთაძდენი, ცვალებადი, დაუნდობელი, მუხთალი, ცრუ, მტერი და გაუცანელი“⁹. „როგორ შეეუთანხმოთ — კითხულობს მკვლევარი — ასეთი განწყობილება, აზრები და შეხედულებანი წუთისოფლის შესახებ თამარის დროის ლაღს და ცხოველმყოფელ მსოფლმხედველობას, როდესაც, ისტორიკოსის ცნობით, ყველა თავს ბედნიერად სოვლიდა, ყველა შესტრფოდა ცხოვრებას, ყველა მადლობდა თავის ბედს, ყველგან ისმოდა ქება თამარისა?“ დასმულ კითხვას მოჰყვება გადაჭრითი ხასიათის პასუხი: „დასკვნა თავისთავად ცხადია. პოემა დაწერის თარიღით არ ემთხვევა თამარის დროსა და მეფობას“¹⁰.

კ. კეკელიძის დამოწმებულ შეხედულებას საფუძვლად უდევს ვეფხისტყაოსნის პროლოგის ერთი ცნობილი მეტაფორული ვამოთქმის თავისებური და, ჩემი აზრით, მცდარი ინტერპრეტაცია.

ესაა (4, 1):

თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლდათხედლს.

„რატომ ცრემლების ღვრით?“ — კითხულობდა მკვლევარი და განმარტავდა: „იმიტომ, რომ ის პოეტს ეგულვება უკვე გარდაცვილილად“¹¹.

თამარის საქებრად პოეტი უბრალო ცრემლებს კი არა, არამედ სისხლის ცრემლებს ღვრის. მაგრამ ეს პოეტური მეტაფორა სრულიადაც არ უკავშირდება ადრესატის გარდაცვალებას. სისხლის ცრემლების ფრქვევა რუსთაველის ენაზე ნიშნავს დროებით გაყრით გამძაფრებული უზომოდ დიდი, თავდავიწყებამდე მისული თაყვანისცემისა თუ სიყვარულის განცდის გამოხატვას. ასე, თინა-

⁸ ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1941, გვ. 132, 136, 141; იგივე, 1958 წლ. გამოცემა, გვ. 152, 156, 159.

⁹ იქვე, გვ. 131/151.

¹⁰ იქვე, გვ. 131—122/151.

¹¹ იქვე, გვ. 120/149, დაყოფა ჩემია ა. ბ.

თინი და ავთანდილი ტყბილი და საქმიანი საუბრის შემდეგ გაიყარნენ. მოჰყმე მიდიოდა „გულითა რეტითა“, ხოლო „მზე (ე. ი. თინათინი, — ა. ბ.) ტირს სისხლისა ცრემლითა, ზღვისაცა ზეტის-მეტითა“ (712, 3). ცხადია, არც თინათინს, არც ავთანდილს სასიკვდილო არაფერი სჭირდა, სისხლის ცრემლების ფრქვევას იწვევდა მოზღვავებული სიყვარულის გრძნობა. გაპარვის წინ ავთანდილი დაემშვიდობა შერმადინს, „მოეხვია და ატირდა ცრემლითა სისხლთა ფერთა“ (808,4). სახელოვანი ჰაბუკი თვითონ გვიდასტურებს (1003,3): „გამოვიპარე, დავეხსენ სისხლისა ცრემლთა წურვასა“. ტარიელის საქებნელად გაშურებულ ავთანდილზე პოეტი საგანგებოდ ამბობს (840, 2—3):

რა წალი ნახის, გარდაღეს, უკრეტდეს კაცსა წლისასა.

მას თანა-პრთვიდეს ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა.

ტარიელისგან გაყრილი ავთანდილი „ტირს, ხმა ასწვთების, ცამდის; იტყვის თუ: ღვარი სისხლისა კვლაცა მდენია, კვლაცა მდის“ (952, 1—2). ბევრი ცხარე სისხლის ცრემლი ღვარა ავთანდილმა ფრიდონისაგან განშორების ეპოსაც (1022, 3): „მუნ დაადენ დეს ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა“: ავთანდილს ძლიერ უმძიმდა გულ-მწუხარე ფატმანის „დაგდებაც“, რუსთველის სიტყვით, „მისთა გამყრელთა ნაკადი ჩასდის სისხლისა ღვარისა“ (1325, 3—4). ტარიელიც ხომ ჩვეულებრივ სისხლის, ან სისხლ-ნარევ ცრემლებს აფრქვევდა („ცრემლსა სისხლი ერეოდა“, 88, 4). მისი „სისხლისა ცრემლსა გაეწნა შუა გიშრისა სატები“ (267, 4). ტარიელის მოთქმა-ტირილს თან სდევდა სისხლის ღვარების დენა (1336, 1—2).

ვგონებ მაგალითები კმარა. ცხადზე უცხადესია, რომ დამოწმებული ტექსტების „სისხლის ცრემლების“ ფრქვევას არაფერი აქვს საერთო სიკვდილით გამოწვეული მწუხარების სამგლოვიარო განცდასთან.

ძლიერი სიყვარულის მოძალემა სისხლის ცრემლებს აღვრევიწყებს „ვისრამიანის“ პერსონაჟებსაც („ვისრამიანი“ გადმოქართულდა რუსთაველის ეპოქაში).

1. „...მიწყით პირი კედლისაკენ ქმნის და სისხლიანი საცრემლისაგან ტბა დააყენის“. ლაპარაკია ვისზე (64, 29)¹².

¹² აქაც და ქვემოთაც ყველგან „ვისრამიანის“ ტექსტი ციტირებულია 1962 წლის

2. ვისი „ზოგჯერ თავსა ნაცარსა ისხმიდის, ზოგჯერ სისხლისა ცრემლითა კალთანი და ისოვლნის“ (65, 23).

3. „რა მიჯნურმან მისი (ე. ი. ვისის, ა. ბ.) ამბავი ცნას, თუ ალთაგან სისხლისა ცრემლსა იდენს“ (71, 27).

4. რამინი „ეზომისა სისხლისა ცრემლითა ტირილის. რომელ მუხლთამდის ტალახსა შიგან ჩაეფლის“ (72, 11).

5. „მერმე ბოლოსა ეამსა რამინ მოეხუია, და დასვარა ძიძა სისხლიანი თა ცრემლითა“ (79, 1).

6. ვისი ძიძას „ესეგუარსა ეუბნებოდა და თუ ალთა სისხლისა ცრემლსა ადენდა“ (81, 34).

7. „ესე თქვა (რამინ) და სისხლისა ცრემლნი ღუარულად ადინა“ (87, 5).

8. „ღია მინახავს საწყალი მიჯნური გულ-ცეხლიანი და თუალთაგან სისხლ-ცრემლიანი“ (93, 16).

9. „თუალო, ცურიდი ცრემლთა სისხლიანთა“ (111, 19).

მოტანილ მაგალითებს ვიკმარებთ, თუმცა შესაძლებელია მათი რიცხვის ერთი ორად გაზრდა. სურათი ისედაც სავსებით ნათელია. ვისრამიანის დამოწმებული მაგალითების მიხედვითაც, სისხლის ცრემლების ფრქვევა ძლიერ სატრფიალო განცდას უკავშირდება. უნებლიეთ გვაგონდება აკაკის უკვდავი სიტყვები: „ვერ ავიტანე ობლობა, სისხლის ცრემლები ვღვარეო“. აკაკის სისხლის ცრემლების ღვარსაც ხომ სატრფო — სამშობლოს უსაზომო სიყვარულის გრძნობა იწვევდა¹³.

ამრიგად, შეიძლება საბოლოოდ დავასკვნათ, რომ „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული“ ვერასგზით ვერ გა-

გამოცემის მიხედვით, რომელიც მოამზადეს ა. გეიხარიამ და მ. თოდუამ. მასალების ამოსაყრფად ვისარგებლეთ ეფთხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის კარტოთეით.

¹³ სისხლის ცრემლების ფრქვევის მეტაფორა შენიშნულა ე. წ. ალორძინების პერიოდის პოეტების — თეიმურაზ პირველის, არჩილის, ბარძიმ ვაჩნაძის, იოსებ თბილელის, ბესიკისა და სხვათა ნაწერებში (შ. ლონტი, ეფთხისტყაოსნის ფრაგმენტოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 1969, გვ. 182). ამ მეტაფორას იცნობს „რუსულანინი“ (იქვე). შესაძლებელია მათი წარმოშობა ავხსნათ ვისრამიანისა და ეფთხისტყაოსნის ზემოქმედების შედეგად. შემთხვევითი როდია, რომ „სისხლის ცრემლები“ თავს იჩენს ეფთხისტყაოსნის ჩანარებში. „სისხლის ცრემლების“ მეტაფორის ერთი მაგალითი შ. ლონტს მოტანილი აქვს ანტიოქ სტრატეგის ცნობილი თხზულებიდან „წარტყენვაი იერუსალიმისაი“ (დას. ნაშრ. გვ. 132. ცხადია, აქ ის სამგლოვიარო დატირებას გამოხატავს).

მოდგება იმის საბუთად, თითქოს რუსთველი უკვე გარდაცვლილ თამარს იგონებდა და მას სტიროდა. პოემის მთელი პროლოგი, მათ შორის საცილობელი ტაეპიც (4, 1) უცილოდ გულისხმობს საქართველოს სახელმწიფოს სათავეში მყოფ ცოცხალ თამარ მეფეს, რომელსაც გვერდს უმშვენებდა მისი ღირსეული მეუღლე დავით სოსლანი, პოეტის მიერ მეტაფორულ ლომად წარმოსახული (3, 1). მაშასადამე, ვეფხისტყაოსანი შექმნილია თამარისა და დავითის მეფობის ხანაში, ანუ 1189—1207 წლებში. რუსთველის პოემის დათარიღების ტრადიცია სწორედ ამ ურყევი, კონკრეტული ისტორიული რეალიის მონაცემებს ემყარება.

ჩვენ აღარ შევჩერდებით კ. კეკელიძის იმ მოსაზრებაზე, თითქოს პოემაში აქა-იქ გამოხატული მღურვა სოფლისა აგრეთვე მის გვიანდელ წარმოშობაზე მიგვიითიებეს. საქმე ისაა, რომ რუსთველის სოფლგაგებით, „მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჟრელად“ (162,3). „ვარდნი უეკლოდ არავის მოუყრებნია“ (877, 4). რუსთველი თავისი უებრო პოეტური ენით ამტკიცებს. რომ ყოველგვარი წარმატების, მით უფრო გამარჯვების საწინდარია შეუპოვარი შრომა, გარჯა, ბრძოლა. აბა, „ლხინსა ვინ მოიძკის პირველ ქირთა უმუშაო?“ (879, 2). სამაგიეროდ, „მაშინლაა ლხინი ამო, რა გარდიხდის კაცი ქირსა“ (1533, 4), ანუ უფრო განზოგადებულად— „ყოლა ლხინთა ვერ იამებს კაცი ქირთა გარდუხდელი“ (1637,4).

რუსთაველმა გამოსახა ისეთი იდეალური გმირები, რომლებიც გამობრძმედა, გააკაჟა და დაავაჟკაცა ცხოვრებისეულმა სიძნელეებმა. ამ გმირებმა დაძლიეს დაუძლეველი, გადალახეს ყოველგვარი დაბრკოლება და წინააღმდეგობანი და ღირსეულად მოიპოვეს სასურველი გამარჯვება, საჩილოდოდა დაიმსახურეს საამქვეყნო ბედნიერება. დაუცხრომელი ბრძოლებისა და წინააღმდეგობათა ძლევის პროცესში ვეფხისტყაოსნის სახელოვანმა გმირებმა დიდი მსხვერპლი გაიღეს, საშინელი ტანჯვა-წამება აიტანეს. ამიტომაც, სრულიად ბუნებრივად, ზოგჯერ მათ სოფელს შეუუკურთხეს და გაკიცხეს იგი, მწარე სასაყვედურო სიტყვებიც უთხრეს, ბევრი ცრემლები ღვარეს, მაგრამ ისინი სასოწარკვეთილებას არ მისცემიან. უსამართლობის წინაშე ქელი არ მოუხრიათ, ზნეობრივი სიფაქიზისათვის ჩრდილი არ მიუყენებიათ. იბრძოლეს და გაიმარჯვეს. ვეფხისტყაოსნის ავტორის რწმენით, „ნუ გეშის, ღმერთი უხვია, თუშეცა სოფელი ძვირია“ (931, 3) და „კაცსა ღმერთი არ გასწირავს სოფლისაგან განაწირსა“ (589, 4). ესეც ამხნევებდა ვეფხისტყაოსნის გმირებს და ძალას მატებდა მათ თავგამოდებულ ბრძოლას სიკეთისა და სიმართ-

ლისათვის. როგორც ვთქვით, ბრძოლა სამაგალითო წარმატებით და-
გვირგვინდა: დაითრგუნა ბოროტების ბჰენი, შეიმუხრა და დაეცა
ბოროტების სიმბოლო ქაჩეთის ციხე, ნესტანი განთავისუფლდა ქაჭ-
თა ჯოჯოხეთური ტყვეობისაგან, სიყვარულმა იზეიმა ბრწყინვალე
გამარჯვება, „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“
(1361, 4). ასეთია ვეფხისტყაოსნის ავტორის ოპტიმისტური მსოფლ-
მხედველობის შინაარსი. ამის შემდეგ აღარაფერი რჩება პოემაში.
პესიმისტური ჰანგების სასარგებლოდ. რასაკვირველია, უმართებუ-
ლო იქნებოდა არარსებული, ყოველ შემთხვევაში არა-ნიშანდობლი-
ვი ჰანგის მომიზეზებით პოემის ერთი უძირითადესი პრობლემის —
თარიღის პრობლემის — ბედის გადაწყვეტა.

უნდა აღინიშნოს, რომ თავის ადრინდელ ნაშრომებში კ. კეკე-
ლიძე მკვეთრად სვამდა საკითხს ვეფხისტყაოსნის პესიმისტური ჰან-
გის თაობაზე. 1936 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში (პოემის დათა-
რილებებისათვის, თუშ, III; გადმობეჭდილია წიგნში „რუსთველო-
ლოგიური ნარკვევები“, 1971, გვ. 105—111) მკვლევარი შენიშნა-
და, რომ ადრეც „ხაზს ვუსვამდი პოემის (ე. ი. ვეფხისტყაოსნის. —

ბ.) პესიმისტურ ჰანგებსო“. ავითარებს ამ დებულებას ახალ ნაშ-
რომშიც და ასკვნის: „ესაა იდეა პოემისა, იდეა უეჭველად
პესიმისტური“ (კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიური ნარკვევებ-
ი, გვ: 105, დაყოფა ჩემია. — ა. ბ.). მაშინ ავტორი იმასაც ფიქ-
რობდა. თითქოს ვეფხისტყაოსანი შეუძლებელია შექმნილიყო 1245
წელზე ადრე (იქვე, გვ. 108, 111). შემდეგ კ. კეკელიძემ რამდენად-
მე შეარბილა თავისი დებულება ვეფხისტყაოსნის იდეის პესიმის-
ტურობის თაობაზე (შეარბილა, მაგრამ არ უარუყვია!). შესაფერი-
სად რამდენადმე უკან დასწია პოემის დათარიღება. თუმცა, როგორც
ვიცით. ძირითადად უცვლელი დატოვა ერთიც და მეორეც, ე. ი.
ვეფხისტყაოსანში პესიმისტური ჰანგის პრიმატი და ამის კვალობა-
ზე პოემის წარმოშობა თამარის მეფობის შემდეგ.

თავის ზოგად თეორიულ მოსაზრებას ვეფხისტყაოსნის ჰანგის
პესიმისტურობასა და ამის შესაბამისად პოემის გვიანდელ წარმო-
შობაზე კ. კეკელიძე უძებნის გამართლებას თვითონ პოემის კონკ-
რეტული ისტორიული რეალიებით. რუსთველის პოემაში აისახაო,
ამტკიცებს მკვლევარი, საქართველოს ისტორიის ის „ძლიერი კრი-
ზისის ხანა“, რომელიც საქართველოს თავს დაატყდა „გარეშე
მტრების მოძალებისა და შინაგანი ურთიერთობის წყალობით“ (ქარ-
თული ლიტერატურის ისტორია, II, 1941, გვ. 138). რომ სწორედ
ამ კრიზისის დროს ქვეყნის სათავეში აღმოჩნდა უღირსი პირი. ეს

იყო რუსუდან დედოფალი. კ. კეკელიძის სიტყვით, „რუსუდანი ნამ-
დვილი უბედურება იყო თავისი დროისა“ (გვ. 138). „ზნედაცემული
და ბილწი“, „უძღები“, „ვენებიანი ქინის“ მიმყოლი და ა. შ. რუსუ-
დანი ასახიერებსო ისეთს ქალს, რომლის შესახებ ვეფხისტყაოსანში
ნათქვამიაო „დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა“, რომელსაც არ შე-
უძლია „გული ერთსა დააჯეროს“, რომელიც აპყოლია უგულო სიყ-
ვარულს, ხვეენა-კოცნას, მტლაშა-მტლუშს... (გვ. 139). თუ ამ დახა-
სიათებას გავითვალისწინებთ, რუსუდან დედოფლის მხატვრულ
ორეულად უნდა მივიჩნიოთ მსუბუქი ყოფაქცევისა და საძრახისი
ზნეობის პატრონი ფატმან-ხათუნი.

უკუღმართი დროისა და ზნედაცემული ქალის მეფობის მომსწ-
რე პოეტი, კ. კეკელიძის მოსაზრებათა თანახმად, ხატავს ზნეობრი-
ობისა, ერთგულებისა, ძმობა-მეგობრობისა, სიყვარულისა და მისთა-
ნათა მაღალ იდეალებს, აქებს აწ უკვე გარდაცვლილ თამარს. რო-
გორც მისდროინდელ საქართველოს სიმბოლოს (გვ. 135). რუსთვე-
ლის განზრახვით „თამარის პიროვნებისა და მისი დროის მოგონებას
უნდა გამოედევინებინა და გამოეფხიზლებინა თანამედროვენი პოლი-
ტიკურ-საზოგადოებრივი და მორალური ძილისაგან“ (გვ. 135).
ასევე მსჯელობს მკვლევარი ქვევითაც: „პოეტს უნდა გამოიყენოს
თამარის სახელი, რომელიც ყველას აგონებდა მის ბრწყინვალე მე-
ფობას, სტიმულად აღნიშნული დეფექტების (ლაპარაკია რუსუდან-
ნის დროინდელი ცხოვრების დეფექტებზე. — ა. ბ.) გამოსწორება-
აღმოფხვრისა და თავისი პოემის მხატვრულ სახეებში იძლევა ამ
დეფექტების საწინააღმდეგო კონკრეტულ მაგალითებს“-ო (გვ. 136).
„ერთი სიტყვით — ასევე კ. კეკელიძე — ვეფხისტყაოსანი... თა-
მარის სახელისა და მისი მეფობის მოგონებით ამათრახებს რუსუდან-
ნის დროისა და მისი პირადი ცხოვრების ანომალიებს“ (140).

მაშასადამე, ამ გავებით, „ვეფხისტყაოსანი“ იგავურად, თუ
ალეგორიულად, ერთი მხრივ, ხატავს ავტორის თანამედროვე უკუღ-
მართი სინამდვილის სურათს, მეორე მხრივ, აჩვენებს მახლობელი
წარსულის ბრწყინვალე ცხოვრების ნიმუშს. კონტრასტული ფერე-
ბის საშუალებით ავტორი ახორციელებს პრაქტიკულ დიდაქტიკურ-
აღმზრდელიობითს ამოცანებს.

ზოგჯერ კ. კეკელიძეს მითითებული აქვს „ვეფხისტყაოსნის“
ჰერსონაჟებისა, თუ სიტუაციების კონკრეტულ ისტორიულ პარალელ-
ებზე. ასე, მაგალითებრ, ერთგან მკვლევარი ამბობს: „იქნება ხვა-
რაზმშას შვილის ინდოეთში სიძედ გახდომისა და აქ მისი გამეფე-
ბის განზრახვა, რომელიც, პოემით, ვერ განხორციელდა, სიტყვაგა-

დაკვირვებით გულისხმობდეს ქალაქდღინ ხვარაზმელის სურვილს რუსუდნის ცოლად შერთვისა და საქართველოში გამეფებისას. რომელიც აგრეთვე უშედეგოდ დარჩა“ (141—142).

კ. კეკელიძის თავისებურად აქვს გაშიფრული და განმარტებული „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგ-ეპილოგის ისტორიულ-ლიტერატურული და ისტორიულ-ქრონოლოგიური ხასიათის ცნობები.

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის თაობაზე — თუ, რამდენად მართებულია კ. კეკელიძის თვალსაზრისი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის განწყობილებათა შესახებ. ახლა საჭიროა კ. კეკელიძის „ისტორიული ინტერპრეტაციის“ საფუძვლების გარჩევა. კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ „ვეფხისტყაოსანი, რომელიც თამარის სახელისა და მისი მეფობის მოგონებით ამათრახებს რუსუდნის დროისა და მისი პირადი ცხოვრების ანომალიებს, ამავე დროს, პოეტის სიტყვით, განკუთვნილია ტახტის მემკვიდრის. მის მიერ უკვე მეფედ წარმოდგენილის, ულუდავითის „საკმათებლად“, ესე იგი გასართობ ამბად, მაგრამ ისეთ ამბად, რომელსაც აღმზრდელობითი ხასიათი და დანიშნულება აქვს“ (გვ. 140, დაყოფა ჩემია, ა. ბ.). მკვლევარის აზრით, ულუდავითი მოხსენებულია როგორც პროლოგში, ისე ეპილოგში. ესაა ტახტის ის მემკვიდრე, ის „ლომი“, რომელსაც „შენის ხმარება მეფისა მზის თამარის შუბისა და ფარ-შიმშერისა“ (სტრ. 3.), საერთოდ სამეფო რეჯალიებისა“-ო (გვ. 140). „ვეფხისტყაოსნის“ ამ მრავალხრივ მნიშვნელოვანი სტროფის ანალიზისათვის საჭიროა მთელი ტექსტის მოყვანა და მისი შინაარსის ზუსტად გათვალისწინება. აი ეს სტროფი:

ვის ჰშენის, — ლომსა, — ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
მეფისა მზის თამარისა, დაწე-ბადახშ, თმა-გიშერისა.
მას, არა ვიცი, შეეჰქადრო შესხმა ხობისა, შე, რისა,
მისთა მჰვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს, მართ, მი, შერისა.

რომ მხედველობაში არ მივიღოთ მე-3 და მე-4 ტაეპის სადაცოდ ქცეული სიტყვების (შერისა, მი, შერისა) მნიშვნელობა, სტროფის აზრი საერთოდ, როგორც ეს არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული¹⁴, თითქოს საკვებით ნათელია. პოეტი ამბობს, რომ მან არ იცის,

¹⁴ Н. Я. Марр, Вступительные и заключительные строфы «Витязя в барсовой коже»...; გვ. 5; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ე ა, რუსთველიანა 1, 1926, გვ. 8; ვ. ბ ე რ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის კომენტარი 1974, გვ. 17—18.

როგორ უნდა მოახსენოს (შეჰკადროს) შესაფერისი ქება-დიდება (შესხმა, ზოტბა) განმაცვიფრებელი სილამაზის პატრონის, მზიურნი მყფე თამარის ლომს, რომელსაც ჰშვენის ხმარება შუბისა და ფარ-ხმლისა (ფარ-შიმშერისა). აქედან ჩანს, რომ შუბისა და ფარ-ხმლის ხმარება შეშვენის თამარის ლომს. ვინც არ უნდა იყოს ეს ლომი, ის მოწიფული ვაჟკაცია, გმირია, დაწვ-ბადახშოვანი და თმა-ვიშეროვანი მყფე მზე — თამარის ლომია. სწორედ მას, და არა სხვა ვინმეს, ნამდვილ ლომ-ვაჟკაცს შეშვენის კიდევაც საუაჟკაცო საკურ-ველი — შუბი და ფარხმალი. კ. კეკელიძის აზრით, ლომს შეშვენის ხმარება მეფის მზის თამარის შუბისა და ფარ-შიმშე-რისა, საერთოდ სამეფო რეგალიებისა. ჭერ ერთი, შუბი და ფარ-შიმშერი არ უნდა იყოს სამეფო რეგალიების სპეციფიკური ნიშნები. ასეთი რეგალიების ტარების უფლება ჰქონდა ყოველ ფალავანს, რაინდს, მეომარს. მერმე, რად სჭირდებოდა თამარს შუბი და ფარ-ხმალი! არსაიდან ჩანს, რომ ის პირადად ატარებდა სამხედრო საკურველს. მაგრამ მთავარი ისაა, რომ რუსთველის კონტექსტით შუბისა და ფარ-შიმშერის ხმარება განეკუთვნება ლომს (მართალია, თამარის ლომს) და არა თვითონ საკუთრივ თამარს. რომ მივიღოთ კ. კეკელიძის ინტერპრეტაცია, მაშინაც თამარის შუბი და ფარ-ხმალი შევენის მოწიფულ ლომს, ვაჟკაცს (ისეთს, რომელსაც შეუძლია შუბისა და ფარხმალის მოხმარა) და არა ლომის ლეკვს, ჩვილ ყმაწვილს. აღნიშნულის მიხედვით, ვფიქრობ, ძალაში უნდა დარჩეს „ლომის“ ტრადიციული გაგება. „ლომის“ ულუ დავეითთან გაიგივება დასაბუთებულად არ მიმაჩნია. ასევე ისმის ეპილოგის საკითხიც. კ. კეკელიძის სიტყვით, პროლოგის ლომი, ტახტის მემკვიდრე, ეპილოგში სახელით არის აღნიშნული“ (გვ. 140), და მითითებულია 1666-ე სტროფის პირველ-ორ ტაეპზე. მოგვყავს სტროფის მთელი ტექსტი:

ქართველთა ღმრთისა დავეითს, ვის მზე მსახურებს სარებლად,
 ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად,
 ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად,
 ორგულთა მათთა დაწველად, ერთგულთა გამახარებლად.

კ. კეკელიძის სიტყვით „ეს ქართველთა ღმერთი დავეით“ არის ულუ დავეითი, ლაშა გიორგის-ძე, და არა დავეით სოსლანი, როგორც ზოგიერთს ჰგონია. საქმე ისაა, რომ ამ დავეითს ვიღაც „მზე“ მსახურებს „სარებლად“, ესე იგი — მომრებლად, მომვლელად ანუ მზრდელად; მაშასადამე, აქ უნდა ვიგულისხმოთ არა და-

ვით სოსლანი. რომელსაც თამარი („მზე“) მომვლელად და აღმზრ-
დელად არ ჰყოლია მიჩნეული, არამედ ულუ დავითი. ამ შემ-
თხვევაში „მზე“ არის რუსუდანი (პოემაში მეფეს ხშირად ეწოდებ-
და „მზე“ და „მზისა დარი“), რომელსაც ძმამ, ლაშა გიორგიმ, ასე-
თი ანდერძი დაუტოვა: „დასა ჩემსა რუსუდანს ვამცნობ წინაშე
ღმრთისა სასმენლად თქვენდა ყოველთა, რათა აღზარდოს შვილი
ჩემი დავით“. მეორე მხრით, ეს დავითი არის „აღმოსავლეთით
დასავლეთს ზართა მარებელი, ორგულთა მათთა დამწველი, ერთ-
გულთა გამხარებელი“, ესე იგი ნამდვილი თვითმპყრო-
ბელი მეფე; დავით სოსლანი კი, როგორც „ეფრემიანი“ და
არა „დავითიანი“ არიყო ნამდვილი მეფე. ის მეფე იყო იმდენად,
რამდენად ქმარი იყო ნამდვილი გვირგვინოსანი მეფისა“ (გვ. 140,
დაყოფა ჩემია ა. ბ.).

ეს ვრცელი ამონაწერი იმისათვის მოვიყვანეთ, რომ სურათი
ყოველმხრივ ნათელი ყოფილიყო. თავი რომ დავანებოთ სადავოდ
ქცეულ საკითხს იმის თაობაზე, იყო თუ არა დავით სოსლანი ნამ-
დვილად მეფე. ან და საზოგადოდ რამდენად იყო ის მეფე¹⁵, საყუ-
რადლებო ისაა, რომ საანალიზო სტროფის მეფე, კ. კეკელიძის სი-
ტყვიით, უკვე არის ნამდვილი თვითმპყრობელი მე-
ფე. აღმოსავლეთისა და დასავლეთისათვის ზარის დამცემელი,
ორგულთა დამწველი და ერთგულთა გამახარებელი. ხოლო ასეთი
არ შეიძლებოდა ყოფილიყო ულუ დავითი, ვინაიდან იმ დროს
(რომელსაც მკვლევარი გულისხმობს) ის ყოფილა აღსაზრდელი
ბაღდი. მეორე და, რაც მთავარია, რუსუდანს, თურმე, რუსთველი
უწოდებს „მზეს“, რომელსაც მინდობილი ჰქონია ქართველთა
იმედისა და სასოების, ქართველთა ღმერთის, პატარა ულუ დავი-
თის მოკლა-პატრონობა და აღზრდა, სამეფოდ მომზადება. ვფიქ-
რობ. აქ წინააღმდეგობაა: თავისი დროის ნამდვილ „უბედურებას“,
„უძღებს“, „ზნედაცემულსა“ და „ბილწს“ რუსთველი ვერ დასა-
ხავდა ქართველთა უფლისწულის ღირსეულ ამღზრდელად და მას
ვერ მიაკუთვნებდა ეპითეტს „მზეს“. ან რუსთველი არ სთვლის
რუსუდანს „ზნედაცემულად“ და „ბილწად“, ან ამ „ზნედაცემულ-
სა“ და „ბილწს“ იდეალურ აღმზრდელად ვერ მიუჩენდა პოეტი
ტახტის მემკვიდრეს. ფატმან-ხათუნის ყოფაქცევის გამომხატველ,
უზნეო რუსუდანს რუსთველი ვერ მიანდობდა თავისი ქვეყნის მო-

¹⁵ შტრ. აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან
1, 1945, გვ. 147—150.

მავლის ბედს. ყოველ შემთხვევაში ის გუნდრუქს ვერ უკმევდა ასეთი აღმზრდელის არჩევანს. პირიქით, რუსთველის განწყობილებისათვის სწორედ მსგავსი მოვლენა უნდა გამხდარიყო სასოწარკვეთილების გამომწვევ გარემოებად. თუ რუსთველი „ამათრახებდა“ რუსუდანის დროსა და რუსუდანის პიროვნებას, რუსუდანს თამარს უპირისპირებდა, მაშინ რუსუდანის ხელში მოქცეულ ბაღს რუსთველი კარგ მომავალს ვერ უწინასწარმეტყველებდა, ის ვერც აწმყოში და ვერც მომავალში ერთგულებს ვერ გაახარებდა, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შიშის ზარს ვერ დასცემდა. მკვლევარი გრძნობს აღნიშნულ წინააღმდეგობას და ამისათვის წინასწარ შენიშნავს: „ავტორი ჩვენი პოემისა, თუ გავითვალისწინებთ მის იდეალს მეფისა და მმართველისას, საზოგადოდ პატრონისას, ვერ იქნებოდა მომხრე და დამცველი ისეთი მეფისა, როგორც იყო რუსუდანი, მაგრამ მას არ შეეძლო პირდაპირ გალაშქრება მის წინააღმდეგ“ (140). რუსთველი თითქოს „ორი ბოროტებისაგან“ ირჩევს უმცირესს და მოუწოდებს მკითხველებს „კრძალულება და მორჩილება აღმოუჩინონ რუსუდანს, აღმოუჩინონ, იგულისხმება, დროებით. რადგან მალე სრულწლოვანი შეიქმნება მემკვიდრე ტახტისა“ ულუ დავითი (140). კი მაგრამ, რა იმედი უნდა ჰქონოდა იმდროინდელ საზოგადოებას, რომ ბილწი დედოფლის აღზრდილი პირი უკურნებდა ქვეყანას წყლულებს? უფრო ბუნებრივი არ იქნება ვიფიქროთ, რომ ქართველ საზოგადოებას დააშინებდა გიორგი ლაშას არჩევანი უფლისწულის აღმზრდელად რუსუდანის განკუთვნილ შესახებ? რუსუდანის მომსწრე პოეტს რა ზნეობრივი უფლება ექნებოდა საზოგადოებისაგან მოეთხოვა მოთმინება უფლისწულის დასრულწლოვანების მოლოდინში, თუ კი ეს უფლისწული ზნედაცემული დედაკაცის ხელში უკვე იყო განწირული მსხვერპლი. რუსთაველი ამ წინააღმდეგობას ვერ დაფარავდა. უკომპრომისო აზროვნების გამომხატველი, სპეტაკი ზნეობრივი იდეალების მქადაგებელი პოეტი ვერც თვითონ განიგულებდა იმედს და ვერც თავის საზოგადოებას მოუწოდებდა შემწყყნარებლობისა და უკეთესი მერმისის მშვიდად მოლოდინისათვის შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის პირობებში. ეს გაანელებდა ჩვენს წარმოდგენას რუსთველის მახვილ პოლიტიკურ კვლავ და მის უზადო ზნეობითს იდეალებზე. რუსთველს თუ რუსუდანის წინააღმდეგ პირდაპირი გალაშქრება არ შეეძლო, რად უნდა ვაკისრებინოთ მას ზნეობრივი პასუხისმგებლობა ამავე რუსუდანის დაცვაზე უფლისწულის ღირსეული აღმზრდელის როლით? არც ის მიმაჩნია მარ-

ებულად, ვითომც გამოთქმა „მსახურებს სარებლად“
ნიშნავდეს „ესე იგი — მომრებელად, მომვლელად, ანუ მწრდე-
ლად“ (140). სარებლად უნდა იყოს ნაწარმოები სიტყვიდან „რება“
(ХОЖАРЕИИЕ), მაშინ ტექსტის აზრიც სხვაგვარი გამოვა.

დასასრულ, ერთი შენიშვნა კონკრეტული ისტორიული ანა-
ლოგიის შესახებ. ხვარაზმშაპის ძის ინდოეთში ზედსიძედ მოყვა-
ნისა და ნესტანის ქმრად გახდომის განზრახვა „სიტყვაგადაკვრით“
კ. კეკელიძეს აგონებს ჭალაღვინ ხვარაზმელის სურვილს ცო-
ლად შეერთო რუსუდანი. რომ არაფერი ვთქვათ ამ პარალელის
შეუსაბამობაზე დეტალებში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მო-
ყვანილი შეპირისპირებით რუსუდანი გამოდის ნესტანის ორეული.
ეს კი ეწინააღმდეგება „ვეფხისტყაოსანის“ მთელ იდეურსა და სი-
უყეტურ სულს. როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, რუსუდანს თუ
მოეპოვება „ვეფხისტყაოსანში“ შესატყვისი მხატვრული პერსონა-
ჟი. ესაა ფატმან-ხათუნი. ფატმან-ხათუნი სრული ანტიპოდია ნეს-
ტანისა. ამიტომაც ფატმანხათუნ-რუსუდანის ნესტანის როლში და-
სახვა თუ გინდ „იგავგადაკვრით“ ის ნაძალადევი ისტორიული
ინტერპრეტაცია იქნებოდა, რომელიც დაგმობილი აქვს კ. კეკე-
ლიძეს.

ამრიგად, ჩვენ საბოლოოდ იმ დასკვნამდის მივიღივართ, რომ
ისტორიულ-ალეგორიული ინტერპრეტაციის ვერც ეს ცდა იძლე-
ვა დამაჭერებელ შედეგს, ისტორიული სინამდვილე და ალეგორია
ერთმანეთს არ ემთხვევა, ვლებულობთ ნაძალადევი ისტორიულ
ინტერპრეტაციას.

შოთა რუსთველი: და ქართველთა ჯვარის მონასტერი იერუსალიმში*

ზეპირი გადმოცემები და ნაწილობრივ ლიტერატურული ტრადიცია შოთა რუსთველის სახელს გარკვეულად უკავშირებს იერუსალიმის ჯვარის მონასტერს, რომელიც აღდგენილ თუ აგებულ იქნა მე-11 საუკუნეში¹. პირველი მწერალი, რომელიც ჩვენთვის საპირო ცნობებს გვაწვდის, არის ცნობილი საეკლესიო მწერალი და მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი (გარდაიცვალა 1764 წელს). ტიმოთემ ჯვარის მონასტერი მოიხილა და მისი სიძველეები აღწერა 1757 — 1758 წლებში². იგი გვიამბობს: „ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთას³ რუსთველს, მეჭურჭლეთ-უხუცესს). თითონაც შიგხატია მოხუცებულნი“⁴. ტიმოთე მეორეგანაც შენიშნავს: „მუნ ხატია შოთა რუსთველი, მეჭურჭლეთუხუცესი“⁵.

ტიმოთეს ცნობებს ავრცობს და ახალი დეტალებით ამდიდრებს თეიმურაზ ბაგრატიონი (ბატონიშვილი). 1843 წელს დასრულებულ თავის ნაშრომში „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა“ თეიმურაზი წერს: „შოთა რუსთაველი იყო მთავარი რუსთავისა და პალატა შინა მეფეთასა დიდად პატივცემული და სახელოვანი, მოლარეთა ანუ მეჭურჭლეთ-უხუცესი (მინისტრ-ფინანსი)... უკანასკნელ შოთა რუსთაველმან დაუტევა სოფელი ესე და ყოველივე დიდება ...და წარვიდა წმინდად იერუსალემად და შევიდა მონას-

* ეს ნარკვევი წაითხული იყო მოხსენების სახით რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში 1962 წლის 28 ნოემბერს. ამიტომაც აქ ვერ ვხეობთ პ. ინგოროყვას მოსაზრებებს, რომლებიც მკვლევარს წარმოდგენილი აქვს „რუსთველიანას ეპილოგში“. დაინტერესებული მკითხველი შეიძლება გაეცნოს ჩვენ ნაშრომს „პავლე ინგოროყვას თხზულებათა კრებულის პირველი ტომის გამოკვეყნების გამო“ (ნარკვევები, IV, 1964, გვ. 368—437).

ტერსა შინა ქართველთასა, რომელიცა აღშენებულ არს... საბელსა ზედა ცხოველს-მყოფელისა ჟუარისასა... და განაახლა მონასტერი იგი შოთა რუსთაველმან, რამეთუ ფრიალნი სიმდიდრენი შესწირა მონასტერსა მას... ხოლო იყოფოდა იგი მონასტერსა შინა ჟუარისასა ვიდრე აღსრულებადმდე მისსა, თუმცა სახითა ერისკაცისათა, მაგრამ ფრიალისა მოღვაწეობითა... და ყოველითა სათნოებითა კეთილითა აღსრულა ცხოვრება თვისი და დაეფლა მუნვე ჟუარის მონასტერსა შინა დიდსა ეკლესიასა, სადაცა შიგან ეკლესიისა კედელსა ზედა გამოხატულ არს სახეჲ მისი და ჰსჩანს ვიდრე მოდღეინდელად დღემდღე. ამავე ცნობებს იმეორებს თეიმურაზ ბაგრატიონი თავის მეორე თხზულებაშიც („ისტორია დაწყებითგან ივერისა“...): „არის ჟვარის მონასტერსა შინა დახატული შოთა რუსთაველი, რუსთავის ერისთავი, დიდისა თამარ მეფისა მეჭურჭლეთუხუცესი და მოლარეთ-უხუცესი, რომელსაცა განუახლებია ჟვარის მონასტერი, მრავალი შეუწირავს და მუნვე მრაველითა სათნოებითა აღვსილი აღსრულებულ-არს და ჟვარის მონასტერსა შინა დაფლულ-არს... ესე უკუე რუსთაველი შოთა მოხუცებულებისა თვისისა ჟამსა მისრულ არს წმინდასა ქალაქსა იერუსალიმს ჟვარის მონასტერსა შინა ქართველთასა [და მუნ] დაუსადგურებია, მრავალი სიმდიდრე მიუტანია და წმინდათა ადგილებთა და ქართველთ მონასტრისათვის შეუწირავს, და ჟვარის მონასტერი ქართველთა განუახლებია [გუმბათს ქვევით სვეტნი], შეუწირავს მრავალი და თვითცა ვიდრე გარდაცვალებამდე თვისსა ყოფილ არს მუნ ღოცვითა და ვედრებითა ღვთისა მიმართ. აღსრულებულ არს და მუნვე ჟვარის მონასტერსა შინა დაფლულ არს სადაცა სახეცა მისი არს მუნვე კედელსა ზედა დახატული, და ჰგეის ვიდრე მოდღეინდელად დღემდღე“⁷.

1845 წლის მაისში ჟვარის მონასტერი ინახულა ნიკოლოზ ჩუბინაშვილმა, მან აღწერა მონასტრის სიძველენი. შოთა რუსთაველის სურათის თაობაზე ჩუბინაშვილი მოგვითხრობს: „ამას ქვემოლამ [სვეტზე] დახატულნი არიან წმ. მაქსიმე და იოანე დამასკელი. ამათ შუა მუხლზედ მდგომი მოხუცი, თეთრი, სქელი და გრძელი წვერითა; თავზედ ხურავს მაღალი თეთრი არაღჩინი, შავი ძაღა შემოდებული მწვანე კაბა, წითელი სარტყელი და ზეიღამ ასხია ჟივრის ფერი ხირდა საერისკაცო თეთრის სამხრითა. — ამას აწერია: „ამისსა დამხატავს შეუნდოს ღმერთმან. ამღნ. შოთა

რუსთველი“⁸. ნ. ჩუბინაშვილს ადგილზე დაეშაადებია რუსთველის სურათის ჩანახატი, თუ ჩანახაზი, რას მიხედვითაც შემდეგ პეტერბურგში შეუქმნიათ მდარე პორტრეტი. რუსთველის ეს პორტრეტი ჩართულია ჩუბინაშვილისეულ ხელნაწერ კრებულში (ხელნაწერთა ინსტიტუტის A 1767)⁹.

1866 წელს რუსთველის სურათი იერუსალიმის ჯვარის მონასტრის კედელზე უნახავს ბერმონაზონ ბენედიქტე (ვახტანგ) ბარკალაიას¹⁰. ის პორტრეტი ნახსენებია არქიმანდრიტ ანტონინის ნაშრომში ჯვარის მონასტერზე, რაც 1881 წელს მოხსენდა საარქეოლოგო ყრილობას თბილისში¹¹.

1883 წელს იერუსალიმს ეწვია პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, რომელმაც შედარებით დაწვრილებით აღწერა იქაური ქართული სიძველეები და შეადგინა ქართულ ხელნაწერთა კატალოგი. როგორც მოსალოდნელი იყო, ალ. ცაგარელმა შესაფერისი ყურადღება მიაქცია შოთა რუსთველის შესაძლებელ კავშირს ჯვარის მონასტერთან. იგი საგანგებოდ ეხება ამ მონასტერში დაცულ რუსთველის პორტრეტს. ალ. ცაგარლის სიტყვით, რუსთველი გამოსახულია «в оденнии грузинского вельможи средних веков». პოეტი მუხლმოყრილია (стоит на коленях) მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის წინაშე, ხელები ზევით აქვს მიპყრობილი, სახით მიქცეულია იოანე დამასკელისაკენ. გამოსახულებას ზემოდან აქვს ნუსხური წარწერა: „ამის დამხატვასა შოთა(ს) შეუენდოს ღმერთმან. ამინ. რუსთველი (расписавшему сей (храм) Шоте да простит бог (грехи), аминь. Руставели)“¹².

ალ. ცაგარელი შენიშნავს, რომ მას კალკით გადმოუღია ჯვარის მონასტრის უმნიშვნელოვანეს ფრესკულ გამოსახულებათა პირები («Я скопировал важнейшие из изображений, при помощи прозрачной бумаги и коленкора, и старался сохранить правильность очертания рисунка», 104). ზოგი სურათის პირი ჩართულია კიდევაც ალ. ცაგარელის ნაშრომში «Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае». სამწუხაროდ, იქ არ მოიპოვება შოთა რუსთველის გამოსახულება, ამან კი თავის მხრივ წარმოშვა გაუგებრობა. 1960 წლის შემოდგომაზე იერუსალიმს მივლენილ სამეცნიერო ექსპედიციის წევრთა ანგარიშში ვკითხულობთ: „1883 წელს ეს პორტრეტი (იგულისხმება რუსთველის პორტრეტი, ა. ბ.) ნახა პროფ. ალ. ცაგარელმა, მაგრამ წინააღმდეგ გავრცელებულ აზრისა, მას პორტრეტი არ გადაუღია, მან დაბეჭდა მხოლოდ წარწერის ტექსტი, რომელიც

პორტრეტს თან ახლავს¹³. როგორც ცნობილია, ვეფხისტყაოსნის 1903 წლის გამოცემას (დ. კარიკაშვილის რედაქციით) ახლავს შოთა რუსთველის ქანდაკების ფოტოპირი წარწერით: „ქანდაკება ა. თარხნიშვილისა. გადმოღებული იერუსალიმის ჯვარის მონასტერში კედლის მხატვრობითგან“¹⁴. შალვა ამირანაშვილის სიტყვით, ა. თარხნიშვილის ქანდაკება თითქოს გაკეთებულია ჩუბინაშვილისეული პორტრეტის მიხედვით¹⁵. მაგრამ 1959 წლის 10 თებერვლის თარიღით „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციისადმი წარდგენილ განცხადებაში თვითონ ალექსანდრე თარხნიშვილი ამბობს, რომ მას არ უნახავს რუსთველის ჩუბინაშვილისეული პორტრეტი. რუსთველის ქანდაკებაზე მუშაობის დროს მას ხელთ ჰქონია „კალკაზე ნახატი რუსთველის სურათი, ა. ცაგარლის მიერ ჯვარის მონასტრის ბოძიდან გადმოხატული“. პროფესორ ცაგარელს პირადადაც უსაუბრია სკულპტორთან, აუწყებია მისთვის შოთას გარეგნობა, ტანსაცმელი¹⁶. ალ. თარხნიშვილის განცხადებამ აშკარად ცხადი გახადა, რომ ალ. ცაგარელს გადმოუღია ჯვარის მონასტრის სვეტადან შოთა რუსთველის ფრესკული გამოსახულების პირი, ამ პირის მიხედვით გაკეთებულა თარხნიშვილისეული ქანდაკება.

ყოველგვარ შესაძლებელ გაუგებრობას ბოლო მოუღო ალექსანდრე ცაგარლის ერთმა კერძო წერილმა, რომელიც სწორედ შოთა რუსთველის იერუსალიმურ პორტრეტს ეხება. „კვალის“ რედაქტორს ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელს ალ. ცაგარლისათვის პეტერბურგში გაუგზავნია წერილი და უთხოვია იერუსალიმიდან ჩამოტანილი პორტრეტი ჟურნალში გამოსაქვეყნებლად. ამის საპასუხოდ 1897 წლის 16 მარტის თარიღით ცაგარელს მოუწერია: „ამ სამი დღის წინ მივიღე თქვენი წერილი. მწერთ, რუსთველის სახე გამოგიგზავნოთ „კვალში“ დასაბეჭდად. ეს სახე გადმოვხატე მე თითონ იერუსალიმში ყოფნის დროს 1883 წელს ჯვარის მონასტრის სვეტიდან. რუსთველი მოხუცებულია, მაგრამ ბერათ არ არის დახატული, არამედ ერისკაცის ტანისამოსით. ჩემ მიერ გადმოღებული პირი სიგრძით თითქმის არშინია და სიგანით 3/4 არშინი. არის ფერადიანი [აკვარელით] ნახატი და შორს მგზავრობას, უეჭველია, ვერ აიტანს. მე მსურს აქ ზიჩის მივცე ლიტოგრაფიით გადასახატავად და, როგორც მივიღებ, პირველსავე ეგზემპლარს გამოგიგზავნით „კვალში“ დასაბეჭდად. ეს, რასაკვირველია, ჩქარა არ იქნება. აქ არის ერთი ახალგაზრდა თავადი თარხნიშვილი, რომელიც ჩუქურთმა-გამოქანდაკებას სწავლობს. იმას

მივეცი ამ ზამთარს დროებით ეს რუსთავლის სახე, რომ შეემზადებინა პოეტის სურათი. კარგათ გააკეთა მოდელი ჭერ წმინდა სანთლით. ამ გაზაფხულს აპირებს ჩამოასხას რუსთველის სურათები“¹⁷...

ამ წერილიდან ირკვევა, რომ ალ. ცაგარელს პირადად გადმოუხატავეს ჯვარის მონასტრის სვეტიდან რუსთველის ფერადი ფრესკული გამოსახულება ნატურალური ზომით. გადმონატული სურათი მას გადაუცია მაშინ პეტერბურგში მოსწავლე ალექსანდრე თარხნიშვილისათვის ქანდაკების გასაკეთებლად. 1896/1897 წლის ზამთარში თარხნიშვილს დაუმზადებია მოდელი, რომელიც ცაგარელს მოსწონებია. მოდელის მიხედვით შემდეგ მომზადებულა თვითონ ქანდაკება. ალ. ცაგარელს განზრახული ჰქონია მხატვარ ზიჩისათვის ეთხოვნა იერუსალიმური ფრესკის მიხედვით შოთა რუსთველის პორტრეტის შექმნა. ჩვენ არ ვიცით, რა შედეგი მოჰყვა ამ განზრახვას. არც რუსთველის პორტრეტის ცაგარლისეული პირი ჩანს (შესაძლებელია ის ზიჩის არქივში იყოს დაცული). ალ. ცაგარლის წერილის აღმოჩენამ სავსებით დაადასტურა მოქანდაკე ალექსანდრე თარხნიშვილის ზემოთ დამოწმებული განცხადების სისწორე.

ალ. ცაგარლის იერუსალიმში ყოფნის შემდეგ რუსთველის სურათი დაკარგულა. 1899 წელს იენისში სურათი თითქოს ველარ იპოვა მოგზაურმა პეტრე კონჭოშვილმა¹⁸. სინას მთისა და იერუსალიმის ქართული ხელნაწერების შესწავლის მიზნით 1902 წელს მოეწყო სპეციალური ექსპედიცია ნიკო მარის მეთაურობით¹⁹. შოთა რუსთველის პორტრეტი ჯვარის მონასტერში მაშინ აღარ ინახებოდა. 1903 წელს რუსთველოლოგი დავით კარიჭაშვილი წერდა: „უკანასკნელს წლამდე იერუსალიმის ჯვარის მონასტერში ყოფილა დახატული შოთა რუსთველის პორტრეტი, რომელიც ამ ბოლოს დროს უმეცარს ბერებს წაუშლიათ“²⁰.

ნ. მარის იერუსალიმში ყოფნამ ის ნაყოფიც გამოიღო, რომ იპოვეს „აღაპთა წიგნი“, ამ წიგნით ცნობილი გახდა, რომ სული-წმიდის ორშაბათს დანიშნული ყოფილა ვინმე შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ხსოვნის დღე, აღაპი²¹ („ამასვე ორშაბათსა აღაპი შოთაისა მეჭურჭლეთუხუცესისაჲ. ვინ შეცვალოს, შემცაცვალებულ არს სჯულისაგან ქრისტეანეთაჲსა“). ნ. მარმა ეს ცნობა გამოაქვეყნა სრულიად უკომენტარიოდ, ოღონდ შენიშნა, რომ შოთა მეჭურჭლეთუხუცესის მოსახსენებელი შესრულებულია «письмом древней части памяти»,

однако почерком менее архаичным». ამრიგად, სხვადასხვა ლიტერატურული წყარო, აგრეთვე ფრესკული გამოსახულება, შოთა რუსთველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის სახელებს უკავშირებს ჭვარის მონასტერს იერუსალიმში. ხალხური ზეპირი გადმოცემებითაც, პოეტი შოთა რუსთველი სამშობლოდან გადახვეწილა, შემდგარა ბერად, დამკვიდრებულა იერუსალიმის ქართველთა მონასტერში, იქვე გარდაცვლილა და იქვე დაუსაფლავებიათ²².

რევოლუციამდელ რუსთველოლოგიაში შოთა მეჭურჭლეთუხუცესის საკითხს დიდი ინტერესი არ გამოუწვევია. ნ. მარმა, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ მოსახსენებლის ჩანაწერი გამოაქვეყნა. იგი ამით დაკმაყოფილდა. დ. კარიქაშვილმა საექვოდ მიიჩნია რუსთველის ფრესკული გამოსახულებისა და პოეტ შოთა რუსთველის იგივეობა, იერუსალიმური „პორტრეტი“ შეიძლება იყვეს გამოხატულება რომლისაზე რუსთავის ეპისკოპოსისა, რომელიც მართლაც სიბერეში ყოფილიყვეს იერუსალიმში და იქ მიცვლილი იქვე დამარხულიყვესო²³.

შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და შოთა რუსთველის ფრესკულ გამოსახულებისადმი ინტერესი გაცხოველდა საბჭოთა პერიოდში. 1939 წელს ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა კ. კეკელიძემ²⁴. ამ გამოკვლევის თანახმად, მეჭურჭლეთუხუცესი შოთა და პოეტი შოთა რუსთველი არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე პირი იმ უბრალო მოსაზრების გამო, რომ სააღაპო ჩანაწერი არ შეიძლება ეკუთვნოდეს მე-14 საუკუნეზე უადრეს დროსო: შოთა რუსთველის ფრესკული გამოსახულება 1643 წელს გაუკეთებია მონასტრის მომხატვინებელსა და რესტავრატორს ნიკიფორე (ნიკოლოზ) ჩოლოყაშვილს, ნიკიფორე კი ემყარებოდა მონასტერშივე გამტკიცებულ ტრადიციას. თავისი მოსაზრებანი უფრო რადიკალური ფორმით გამოთქვა კ. კეკელიძემ ერთი პატარა საგაზეთო წერილით: «В Грузии широко распространено мнение, что «казнохранитель» Руставели (такого лица не знает история) и Шота, упомянутый в записи одной из рукописей монастыря, — одно и то же лицо. Это в корне ошибочное мнение, как и предположение о том, что поэт постригся в монахи в Крестном монастыре»²⁵.

განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს რუსთველის ჭვარის მონასტერთან კავშირის საკითხს შალვა ნუცუბიძე²⁶. პატივცემული მკვლევარი ფიქრობს, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია იერუსალიმური ფრესკის თემატიკისა და კომპოზიციის იდეური

სარჩულის გარკვევა. შ. ნუცუბიძის შეხედულების თანახმად, ვეფხისტყაოსანი იმთავითვე გამსჭვალული იყო პანთეისტური მატერიალიზმის იდეებით, რაც ქართულმა ეკლესიამ ვერ შეიწყნარა და ამის გამო ავტორს დაუწყო დევნა: «Причиной изгнания Руставели послужили идеологические моменты, что как ученик и последователь пантеистического материализма, он не мог быть терпим церковью»²⁷.

სამშობლოდან გარდახვეწილმა პოეტმა პალესტინას მიაშურა და ჭვარის მონასტერში ითხოვა თავშესაფარი, ეკლესიამ არ დაუხშო მას კარები, მეტიც, მიიღო თავის წიაღში, «церковь приняла великого изгнанника, она не пренебрегла случаем вернуть в свою паству заблудшую овцу»²⁸. ეკლესია შეეცადა შეერიგებინა დიდი პოეტი. იერუსალიმური ფრესკაც რუსთველის ეკლესიასთან შერიგებას გამოხატავს. „სურათზე გამოსახულია, — წერს შალვა ნუცუბიძე, — შოთა რუსთაველის შერიგება ეკლესიასთან... აქ ბრძოლა კი არაა, არამედ მშვიდობა, ეკლესიასთან მორიგება, მის წიაღში დაბრუნება“²⁹ რუსთველის ეკლესიასთან შერიგების მაუწყებელია პოეტის მუხლთმოყრა ისეთი დიდი საეკლესიო ავტორიტეტების წინაშე, როგორც იყვნენ მაქსიმე აღმსარებელი და იოანე დამასკელი. ასეთია, გველეჯის რწმენით, იერუსალიმის ფრესკული მხატვრობის „კომპოზიციის გაგება“. ასეთი გაგება არ შეიძლება ჰქონებოდა ჭვარის მონასტრის მე-17 საუკუნეში მომხატველსა და რესტავრატორს ნიკიფორე ჩოლოყაშვილს: „სურათის შემქმნელი, ანუ მისი იდეის ავტორი ფილოსოფიურად უაღრესად განათლებული პიროვნება უნდა ყოფილიყო, რომელსაც ფილოსოფიის ისტორიის ფრიად ვრცელი პრობლემემატიკის სპეციალური ცოდნა უნდა ჰქონოდა. ამ საქმის შემსრულებელი... რა თქმა უნდა, ვერ იქნება ვერც ნიკიფორე ჩოლოყაშვილი, რომელსაც საამისო მონაცემები მიახლოვებითაც არ გააჩნდა და ვერც სხვა პიროვნება მეჩვიდმეტე საუკუნიდან“³⁰.

შ. ნუცუბიძეს უდავოდ მიაჩნია შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და ფრესკული გამოსახულების შოთა რუსთველის ერთიდაიგივეობა. სვინაქსარულ მოსახსენებელს (სააღაპო ჩანაწერს) წინ უსწრებს რუსთველის ეკლესიასთან შერიგებაო. ეკლესიას ჭერ შეურიგებია პოეტი და შემდეგ მისი ხსენების დღე დაუნიშნავს. რუსთველის ფრესკული გამოსახულება „გაკეთებულია მე-13 — მე-14 საუკუნეთა მიჯნაზე“. ფრესკას ამკობს წარწერა: შოთა რუსთველი, ე. ი. სურათის ავტორსა და ჭვარის მონასტრის „ხელმძღვანელო-

ბას“ გაუბედავთ და აღუნიშნავთ გამოსახული პირის არა მარტო ნამდვილი სახელი, არამედ მისი პოეტური ზედწოდებაც რუსთველი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეკლესიას შეურიგებია და თავის წიაღში მიუღია „შოთა არა როგორც პიროვნება, არამედ როგორც პოეტი“³¹. შემდეგ რეაქცია გაძლიერებულა და მოსახსენებელში შეუტანიათ მხოლოდ სახელი შოთა („პოეტური სახელი ამოდებულ იქნა“), ეს კი მომხდარა „არა უადრეს მეთოხმეტე საუკუნის მეორე ნახევრისა“³² „იდეოლოგიური“ ხასიათის მონაცემების კვალობაზე შ. ნუცუბიძე ლებულობს და ამაგრებს სააღაპო ჩანაწერის კეკელიძისეულ დათარიღებას. იგი კატეგორიული ფორმით ასკვნის: „ჯვარის მონასტრის სეინაქსარული ჩანაწერი უდავოდ მე-14 საუკუნეს ეკუთვნის“³³, ან და კიდევ „ყოველმხრივ ირკვევა, რომ შოთას სახელის შეტანა მოხსენიებათა ლიტურგიკულ ძეგლში მეთოხმეტე საუკუნეზე ადრე არ შეიძლებოდა მომხდარიყო“³⁴. შ. ნუცუბიძე ბეჭითად იცავს იმ აზრს, ვითომც შოთა რუსთველი გარდაცვლილა ჯვრის მონასტერში და იქვე დაუსაფლავებიათ იმ სვეტის ძირას, სადაც მოაპოება მისი გამოსახულება.³⁵ თუმცა ბოლო დროს მკვლევარი უფრო სიფრთხილეს იჩენს და ამჯობინებს შენიშვნას: „რა თქმა უნდა, ძნელია იმის მტკიცება, რომ ყოველი გამოსახვის ქვევით გამოსახული პირი იყოს დასაფლავებული“³⁶. ეს საზოგადო მოსაზრება ვრცელდება რუსთველის დასაფლავების საკითხზეც: „რა თქმა უნდა, — განაგრძობს შ. ნუცუბიძე. — რუსთველის სურათის მონასტრის სვეტზე მოთავსება თავისთავად არ ნიშნავს მის ძირში პოეტის აუცილებლად დასაფლავებას“³⁷.

კ. კეკელიძე და შ. ნუცუბიძე შოთა მეჭურჭლეთუხუცესის სააღაპო მოსახსენებელს სხვადასხვა თვალსაზრისით ერთნაირად ათარიღებდნენ მე-14 საუკუნეთი. თუ ეს დათარიღება სწორია, მაშინ ყოველგვარი ნიადაგი ეცლება შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და პოეტ შოთა რუსთველის ერთდღიგივეობას, რასაც ბეჭითად უსვამს ხაზს ტიმოთე გაბაშვილი.

საცილობელი საკითხის გარშემო 1956 წელს წინასწარი ვარაუდის სახით ახალი საყურადღებო მოსაზრება წამოაყენა ელენე მეტრეველმა. ამ წელს ე. მეტრეველმა გამოაქვეყნა ტიმოთე გაბაშვილის მიმოსვლის ტექსტი, რომელსაც წარუშმდგარა ვრცელი გამოკვლევა. ე. მეტრეველი შედარებით მოკლედ ეხება შოთა რუსთველის როგორც ფრესკული გამოსახულების, ისე შოთა მეჭურჭლეთუხუცესის მოსახსენებლის საკითხს. ამ მოსახსენებლის

ძველი ტიშენდორფისეული ნუსხის ანალიზის საფუძველზე (მკვლევარის განკარგულებაში იყო ნუსხის ფოტოპირი) ე. მეტრეველი ასკენიდა: „შოთა მექურქლეთუხუცესის ალაპის დაწერის თარიღი შეიძლება შემოიფარგლოს მე-13 საუკუნის პირველი ნახევრით იმ ისტორიული პირების მიხედვით, რომლებიც შოთასთან ერთად ალაპებში ერთ ჯგუფს ქმნიან. ამგვარად, ალაპებში მოხსენიებული შოთა მექურქლეთუხუცესი შოთა რუსთაველის თანამედროვეა. ეს კი გვაძლევს უფლებას ვირწმუნოთ ტრადიცია, — შოთა მექურქლეთუხუცესი შოთა რუსთაველთან გავიაგივეოთ და მივიჩნიოთ, რომ გაწეული ზრუნვისა და დახმარებისათვის შოთა მექურქლეთუხუცესი-რუსთაველი ჯვარის მონასტრის კედელზეც გამოსახეს და ალაპიც დაუდევს“³⁸. ასეთი ფრთხილი ფორმით გამოთქმული პიპოთეზური მოსაზრება ჩვენ „საგულისხმო და დამარწმუნებელ“ მოსაზრებად ჩავთვალეთ და დავძინეთ: „სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ მკვლევარი საგანგებოდ არ ჩერდება აღძრულ საკითხზე და დაწერილებით განხილვას მომავლისათვის გვპირდება-თქო“³⁹.

ასეთი იყო საქმის ვითარება, როდესაც გამოქვეყნდა უკრაინელი მწერლის გრიგოლ პლოტკინის პატარა წიგნი «Поездка в Израиль» (მოსკოვი, 1959). წიგნში არის სპეციალური თავი „რუსთაველის საფლავი“ (გვ. 112—121). გრ. პლოტკინი მოგვითხრობს, ისრაელში ჩასული უკრაინელი ტურისტების ჯგუფს აცნობეს, რომ იერუსალიმში, ქართველთა ჯვარის მონასტერში დასაფლავებულია დიდი ქართველი პოეტი რუსთველი. „უნდა ვაღიარო, წერს პლოტკინი, რომ მე ეს პირველად მესმოდა. ბავშვობიდანვე აღფრთოვანებულმა უკვდავი პოემის ვეფხისტყაოსნის ავტორის გენიით, მე, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა რამ ვიცოდი მისი პირადი ბედის შესახებ: არსებული ლიტერატურა მასზე მხოლოდ ძუნწ ბიოგრაფიულ მონაცემებს შეიცავს“. უკრაინელ ტურისტებს დიდი დაბრკოლების შემდეგ მისცემიათ საშუალება მოხვედრილიყვნენ ჯვარის მონასტერში. მონასტრის წინამძღვარ ბერძენ ბერ სოფოკლიუსს უამბენია სტუმრებისათვის, რომ „არსებული ლეგენდების მიხედვით“ პოეტ შოთა რუსთველს „თავისი ნებით უთქვამს უარი საქართველოში კარისკაცის თანამდებობაზე, აღკვეცილა ბერად და ფეხშიშველი წამოსულა იერუსალიმს, „წმიდა ადგილებისაკენ“. დიდებული ქართველი პოეტი დასახლებულა წმ. ჯვარის მონასტერში და თავისი მეგობარი ბერების დახმარებით მოურთავს ამ ტაძრის კედლები საუცხოო ფრესკებით, რომლებიც ასახავენ მშობლიურ კავკასიურ პეიზაჟებს და საქართველოს ისტორიის ზოგიერთ სიუჟეტს. სიკვდილის შემდეგ პოეტისადმი განსაკუთრებული პატივის-

ცემა გამოუჩენიათ ბერებს: მისი ნეშტი დაუკრძალავთ ერთ-ერთ მარჯვენა სვეტის ძირში, რომელზეც დაყრდნობილია ტაძრის თალი“.

ტურისტებს დიდი მოკრძალებითა და პატივისცემით ცოცხალი ყვავილებით შეუძმეიათ სოფოკლიუსის მითითების თანახმად შოთა რუსთველის საგულეებელი საფლავი⁴⁰.

უკრაინელი ტურისტების მიერ იერუსალიმის ჯვარის მონასტერში მოსმენილი ლეგენდა შოთა რუსთველის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდისა და აღსასრულის შესახებ ახალს თითქმის არაფერს შეიცავს. ეს ლეგენდა ჩვენში კარგად იყო ცნობილი, არა ერთხელ ყოფილა ჩაწერილი და ბეჭდურად გამოქვეყნებული. ზოგიერთი დეტალი მთხრობელის მინამატე უნდა იყოს (ასე, შოთა რუსთველი „ფეხშიშველი“ ჩავიდაო იერუსალიმში, რუსთველის ღაოსნობით შექმნილი ფრესკები თითქო „კავკასიურ პეიზაჟებს“ გამოხატავდა და სხვ.) ამისდა მიუხედავად, გრ. პლოტკინის წერილმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში, წერილი გადმობეჭდა ჩვენმა პრესამ და იმის გარშემო გაიშალა დიდი დისკუსია⁴¹.

გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „რედაქციაში უამრავი მასალა შემოღეს საბჭოთა მეცნიერებისა და ჟურნალისტების იმ წერილების პუბლიკაციასთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება შოთა რუსთველის ცხოვრების უკანასკნელ ფურცელს, იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტრის კედლებზე შემონახულ დიდი პოეტის პორტრეტს, მართლაც იერუსალიმში უნდა ვეძებოთ კვალი ვეფხისტყაოსნის გენიალური შემოქმედისა? საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ საკითხების ირგვლივ გვწერენ არა მარტო საქართველოდან, არამედ უკრაინიდან, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან. თვითველ წერილში გამოსქვივის ის აზრი, რომ თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ შოთა რუსთველის დიდებულ მემკვიდრეობას. მის ძვირფას „აჩრდილს“ (31, 7. 60). ასეთი წერილები მიდიოდა სხვა გაზეთებსაც, დისკუსია მიმდინარეობდა ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით. იგი გრძელდებოდა უმაღლესი სასწავლებლების აუდიტორიებში, კულტურის სახლებსა და კლუბებში, ქუჩებშიც კი. დისკუსიამ წინ წამოსწია შოთა რუსთველისა და შოთა მეჭურქლეთუხუცესის იგივეობის პრობლემა. როგორც ვიცით, ტიმოთე გაბაშვილი გადაჭრით აიგივებს ამ ორ პირს. სააღაპო ჩანაწერის აღმოჩენამ და ამ ჩანაწერის მე-13 საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღების შესაძლებლობამ უფრო გააძლიერა და განამტკიცა ტიმოთეს მოწმობის ძალა. ტიმოთეს დროს ჯვარის მონასტერში

მტკიცე ყოფილა ტრადიცია შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და შოთა რუსთველის იგივეობის თაობაზე. ეს ტრადიცია ემყარებოდა მონასტერშივე შემონახულ საბუთებს. ერთ მათგანს, საალაპო ჩანაწერს, ჩვენ დრომდიც მოუღწევია. საფიქრებელია, რომ ტიმოთე სხვა საბუთებსაც გაეცნო. უნდა მოვიგონოთ, რომ ტიმოთე გაბაშვილი იყო მაღალი რანგის საეკლესიო მოღვაწე და რუსთველის მოძულე პირი⁴². „მიმოსვლის“ წიგნში შოთა მეჭურჭლეთუხუცეს-რუსთველის ღვაწლის აღნიშვნასთან ერთად ტიმოთეს ხელნაწერის კიდებზე რუსთველის სალანძღავი შენიშვნა მიუწერია: „მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმინდისა წილ ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩვენსა უმეცართა საღმთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი. აღწერა ქალისა ვისთვისმე: თვალი მელნისა, პირი ბროლისა. ღაწვი ძოწისა. და ამისა გამო დედანი საქართველოსანი ხატად ღმთისა შექმნილსა სახისა წილ ფერადთა წამალთა იცხებენ და მიცვალებულთა თმათა მოიბ[მ]ენ საბრხედ სულთა“⁴³. როგორც ამ მინაწერიდან ჩანს [ტიმოთეს მითითების თანახმად ეს მინაწერი შემდეგ „მიმოსვლის“ ძირითად ტექსტში შეიტანეს], ტიმოთე გაბაშვილი ღვარძლიანად ლანძღავს არა მარტო რუსთველს. არამედ ვეფხისტყაოსნის პირველ გამომცემელ ვახტანგ მეექვსეს, რომელსაც „უმეცარს“ უწოდებს [სწორედ ვახტანგმა „თარგმნა“ ვეფხისტყაოსანი საღვთო ნაწარმოებად]. ერთი რამ ყოველ შემთხვევაში უდავოა, რუსთველის ეგოდენ მოძულე ტიმოთე გაბაშვილი პოეტს დაუმსახურებლად ვერაფერ სასიკეთოს ვერ მიაწერდა, მით უფრო ვერ მიაწერდა მონასტრის განმარტებლისა და მომხატვინებელის პატივს, საამისო უტყუარი საბუთები რომ არ ჰქონოდა და თითონაც ამაში დაჯერებული არ ყოფილიყო. ამიტომაც სავსებით სანდოა და სარწმუნო ტიმოთეს ცნობები. შოთა რუსთველის გაიგივებას შოთა მეჭურჭლეთუხუცესთან ახლა, როგორც ვთქვით, სხვა მყარი საფუძველიც გამოეძებნა.

თითქო ერთი დამაბრკოლებელი გარემოება მაინც რჩებოდა. ჯვარის მონასტერი უკანასკნელად საფუძვლიანად შეუყეებია და მოუხატვინებია 1643—1644 წელს მონასტრის იმდროინდელ წინამძღვარს ნიკიფორე (ნიკოლოზ) ჩოლოყაშვილს, საამისო წარწერა საკმაოდ იყო ალ. ცაგარლის დროს⁴⁴ (ზოგი რამ ახლაცაა). არსებობს მოსაზრება, თითქოს ამ ნიკიფორე ჩოლოყაშვილს უნდა ეკუთვნოდეს შოთა რუსთველის პორტრეტი და წარწერა. მაგრამ შეუძლებელია იმის დაშვება, რომ ჯვარისმამა ჩოლოყაშვილი საკუთარი თაოსნობით დაახატვინებ-

და მონასტრის კედელზე ეკლესიურ-კლერიკალური თვალსაზრისით ოდიოზური პოეტის სურათს. ალ. ცაგარელს მოჰყავს სხვადასხვა მოგზაურთა ცნობანი, რომ ჯვარის მონასტერი ძველთაგანვე ყოფილა მოხატული, რომ დროდადრო ხდებოდა დაზიანებული ძველი მოხატულობის აღდგენა და გაცხოველება. შოთა რუსთველის პორტრეტის გამო ალ. ცაგარელი საგანგებოდ შენიშნავს: «Изображение это, правда, 1643 года, но весьма вероятно, что оно было и до 1643 года, так-как монастырь был и до этого времени расписан»⁴⁵. შესაძლებელია შოთა რუსთველის სურათი წარწერებითურთ გაცხოველეს ნიკიფორე ჩოლოყაშვილის დროსაც, მაგრამ პორტრეტის (ისე როგორც წარწერის) ძველი წარმომობილობა ეჭვებს არ უნდა იწვევდეს. ასეთი იყო დისკუსიის მონაწილე რიგი მკვლევრის აზრი⁴⁶.

დისკუსიამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ 1960 წლის ოქტომბერში იერუსალიმს გაიგზავნა სპეციალური სამეცნიერო ექსპედიცია აკაკი შანიძის, გიორგი წერეთლისა და ირაკლი აბაშიძის შემადგენლობით. ექსპედიციის წევრთა ოფიციალურ ანგარიშში ნათქვამია: „მომდინარე (1960) წლის ოქტომბერში საქართველოდან იერუსალიმში გაემგზავრა სპეციალური ექსპედიცია ადგილობრივი სიძველეების, უმთავრესად რუსთველთან დაკავშირებული მასალების შესასწავლად. ექსპედიციამ შეძლო მიეკვლია რუსთველის პორტრეტისა და წარწერისათვის. სურათი და ტექსტი იმდენად წაშლილი იყო, რომ პირველ ხანებში ჩვენ სრულებით დაგვარგეთ იმედი, რომ მათი აღდგენა მოხერხდება. დიდი ცდისა და გულმოდგინების შემდეგ შევძელით მთლიანად აღგვედგინა ტექსტი და სურათი, რომელიც აღმოჩნდა ხელოვნების ბრწყინვალე ნაწარმოები“⁴⁷. ექსპედიციას მეტად მცირე დრო ჰქონდა სამუშაოდ, ძლიერი დაბრკოლებანიც გადაეღობა, მაგრამ დასახული ამოცანა დიდი წარმატებით შესრულდა. ექსპედიციამ გამოავლინა „მუქი მწვანე ფერის ზეთის საღებავის სქელი ფენით“ დაფარული პორტრეტის შოთა რუსთველისა, გადმოიღო პორტრეტისა და წარწერის ზუსტი, დოკუმენტირებული ფოტოაპირი. ექსპედიციის მუშაობის შედეგად ახლა ჩვენს განკარგულებაშია შოთას იერუსალიმური პორტრეტის ნამდვილი პირი, კერძოდ ფერადი პირიც. ექსპედიციამ აღადგინა და გაშიფრა პორტრეტის წარწერა.

ბევრი ითქვა და დაიწერა ექსპედიციის მუშაობის თაობაზე. გამოქვეყნდა წინასწარი გამოხმაურებანი და სპეციალური ნაშრომები⁴⁸. ექსპედიციის მასალების შესწავლა გრძელდება. მაინც შესაძლებლად

გვეჩვენება ჩატარებული მუშაობის შედეგების ერთგვარი შეჯამება და გარკვეული დასკვნების გამოტანა. ნებას ვაძლევთ ჩვენ თავს აქ მოვიყვანო მთლიანად ის პირველი შთაბეჭდილება, რომელიც ექსპედიციის ანგარიშის გაცნობამ დაგვიტოვა, ეს შთაბეჭდილება წერილობით აღიბეჭდა ექსპედიციის ანგარიშის გამოქვეყნების დღესვე თბილისის საღამოს გაზეთში («Вечерний Тбилиси», 12. XI. 60).

«Экспедиция грузинских ученых в составе поэта Ир. Абашидзе и академиком А. Шанидзе и Г. Церетели, несмотря на кратковременность их пребывания в Иерусалиме и препятствия, которые им встречались, проделала очень большую, нужную и полезную работу по изучению жизни и деятельности великого Руставели. Теперь в нашем распоряжении имеется документально точная копия портрета Шота Руставели с такой же документированно точной копией надписи. До сих пор эта надпись известная по копии профессора А. Цагарели, вызывала некоторое недоумение относительно расположения ее частей (слов), что в значительной степени затрудняло уяснение ее смысла. Портрет же был скопирован примитивно и в сильно искаженном виде. Мне кажется, что добытый экспедицией материал подтверждает мнение об идентичности поэта Руставели и мечурчлет-ухуцеса Шота. Портрет и надпись указывают на ктиторско-реставрационную деятельность Шота, причем недвусмысленно подчеркивается, что ктитор-реставратор Шота и есть поэт Руставели. Хотя надпись, по-видимому, относится к XVII веку (вернее к середине этого столетия), но портрет в своей основе более раннего происхождения и, возможно, восстановлен в XVII веке, при настоятеле монастыря Никифора Чолокашвили. Вот эти основные выводы, которые невольно напрашиваются на мысль в связи с публикацией материала экспедиции».

თეზისური სახით წარმოდგენილი ყველა ეს დებულება ჩვენთვის დღესაც უცილობელია. ოღონდ ამ დებულებებს სჭირდება გაშლა და დამატებითი საბუთებით გაძლიერება.

სამეცნიერო ექსპედიციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამსახურებად ვთვლით რუსთველის პორტრეტის წარწერის სწორად გაშიფრვასა და გააზრებას. ცაგარლისეული პუბლიკაცია წარწერისა მართლაც გაუგებრობას იწვევდა. ექსპედიციის წევრებმა დაადგინეს, რომ წარწერა ორი ნაწილისაგან შედგება. ისე როგორც ექვთი-

მე და გიორგი მთაწმიდელების სურათებს, შოთას სურათსაც გარკვეული წესით გაუორკებელი მინაწერი ჰქონია: რუსთველი (რუსთველი). ეს მინაწერი ეკუთვნის საკუთრივ სვეტზე გამოხატულ სურათს, იგი აღნიშნავს გამოსახული პირის ვინაობას, ეს პირია რუსთველი. ზემოდან კ სურათს მიწერილი აქვს: „ამისა დამხატავსა შოთა[ს] შეუნდვნეს ღმერთმან. ამინ“. წარწერის ორივე ნაწილი ერთი და იმავე ხელით არის შესრულებული. აშკარაა, რომ ორივე წარწერა (უკეთ, წარწერის ორივე ნაწილი) ერთმანეთთან უშუალო კავშირშია და ერთსა და იმავე პირს შეეხება. წარწერა მთლიანად გვაცნობს სვეტზე გამოსახული პირის ვინაობას და მის დამხატურებას ჯვარის მონასტრის წინაშე. საგულისხმოა, რომ საანალიზო წარწერის პირველი ნაწილის ანალოგიური სხვა წარწერებიცაა შემონახული მონასტრის კედლებზე. მაგალითად: „ამისა დამხატავსა არსენის... შეუნდვნეს ღმერთმან. ამინ“ „ამისა დამხატავსა პატრაძესა, დრანდელ მთავარეპისკოპოსსა გაბრიელს... შეუნდვნეს ღმერთმან. ამინ“⁴⁹. წარწერა ყოველგვარი ცილობის გარეშე გვიმოწმებს, რომ ჯვარის მონასტრის სვეტზე გამოსახული პირი არის შოთა რუსთველი, რომელსაც მონასტერი (ან მისი ნაწილი, სვეტი) მოუხატავს. რა თქმა უნდა, დაბრკოლებას ვერ შექმნის ის გარემოება, რომ სიტყვა „შოთას“ წარწერაში აკლია ბრუნვის ნიშანი ხ. ეს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ წარწერა აღდგენილია, განახლებულია შედარებით გვიან დროს და არც თუ დიდად წიგნიერი პირის მიერ (ამაზე ჭკებოთ). განახლებისას დაშვებულია მექანიკური შეცდომა, სიტყვას დაკლებია ასო სანი.

ამრიგად, იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის წყალობით ჩვენ ახლა მოგვეპოვება რუსთველის უტყუარი პორტრეტი შესანიშნავი წარწერით, რომელიც მოგვითხრობს პოეტის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამბავს. საკითხავია, რას უნდა ნიშნავდეს წარწერის „დამხატავსა“. შესაძლებელია ვინმემ იფიქროს, თითქოს რუსთველი იყო პროფესიონალი მხატვარი და მას მონასტრის სვეტზე გამოუხატავს თავისი პორტრეტი (ავტოპორტრეტი) ასეთ შესაძლებლობას უშვებს მკვლევარი სარგის კაკაბაძე. იგი წერს: „ხომ არ არის... შოთას სურათი თვით მის მიერ დახატული, ე. ი ხომ არ წარმოადგენს ის ავტოპორტრეტს. ამისი შესაძლებლობა სრულებით არ არის გამორიცხული“⁵⁰. ამავე მოსაზრებას ს. კაკაბაძე სხვა წერილშიც ავითარებს⁵¹. მსგავს შესაძლებლობას არც შალვა ნუცუბიძე გამორიცხავს, თუმცა მას მაინც მიაჩნია, რომ წარწერით დაფიქსირებული სახელწოდების „რუს-

თველის“ რეაბილიტაციის ცდა უდავოდ მოხდა სახელ „შოთას“ მოსახსენებელ წიგნში შეტანის შემდეგ, როცა შოთა უკვე ცოცხალი აღარ იყო⁵². თუ ზევით დამოწმებულ სხვა ანალოგიურ შემთხვევებსაც გავითვალისწინებთ, საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ წარწერის დამხატავი ნამდვილად ნიშნავს მომხატვინებელს, როგორც ეს ჯერ კიდევ ტიმოთე გაბაშვილს ჰქონდა აღნიშნული („გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთას რუსთველს“). ასეთივე „მომხატველი“ ყოფილან არსენი, დრანდის მთავარეპისკოპოსი გაბრიელი, ლევან დადიანი, ნიკიფორე ჩოლოყაშვილი და სხვანი. ჯვარის მონასტრის სვეტზე გამოსახულ შოთა რუსთაველს განუახლებია და შესაფერისადვე მოუხატვინებია მონასტრის დაზიანებული ნაწილი. ამას გვიდასტურებს როგორც პორტრეტის წარწერა, ისე ტიმოთე გაბაშვილის ცნობა. სრულიად ბუნებრივად მონასტრის კედელზე გამოუსახავთ ის პირი: რომელსაც ამ მონასტრისათვის დიდი ღვაწლი გაუწევია (მონასტრის კედელზე გამოსახული არიან სხვა რესტავრატორებიც). ყოველივე აღნიშნულის შემდეგ ადვილი ზდება კავშირის გაბმა სვეტის წარწერასა და მონასტრის საალაპო მოსახსენებელთან („ამასვე ორშაბათსა ალაპი შოთაჲსა მექურჭლეთუხუცესისაჲ“).

ჩვენ ზემოთ დავიმოწმეთ ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრება შოთა მექურჭლეთუხუცესის მოსახსენებლის თარიღის შესახებ. თითქოს ეს მოსახსენებელი „უდავოდ“ მე-14 საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის. საალაპო მოსახსენებლის დათარიღებისათვის დიდი და საბჭოთა შრომა გასწია ელენე მეტრეველმა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი სპეციალური ნაშრომი „შენიშვნები შოთა მექურჭლეთუხუცესის ალაპისა და შოთა რუსთველის ფრესკის ირგვლივ“⁵³. მკვლევარი მართებულად ამბობს, რომ: „შოთა მექურჭლეთუხუცესის ალაპის მე-14 საუკუნით დათარიღება გამოიწვია ნ. მარის ბუნდოვანმა პალეოგრაფიულმა შენიშვნებმა («письмом древней части памятѣи, однако по черком менее арханччччч») და ალაპთა დედნის უქონლობამ“⁵⁴.

ამჟამად დაინტერესებულ მკვლევართა განკარგულებაშია იერუსალიმის ალაპთა წიგნის დედნის მიკროფილმი. ამ დედნის პალეოგრაფიულად შესწავლამ ცხადი გახადა, რომ სვინაქსარის შოთასეული ალაპი „დაწერილია მე-12—13 საუკუნეთა მიჯნის წვრილი კალიგრაფიული ნუსხურით“⁵⁵. შოთასეული მოსახსენებლის იმდროინდელი ადასტურებს ქართული პალეოგრაფიის ისეთი

მცოდნე სპეციალისტი, როგორც არის აკაკი შანიძე⁵⁶, აგრეთვე სემონ ყაუხჩიშვილი⁵⁷. ამრიგად, ახლა უკვე დაბეჭილებით შეიძლება ითქვას, რომ: „შოთა მექურჭლეთუხუცესის ალაპი დაწერილია მე-12—13 საუკუნეთა მიჯნაზე, არა უგვიანეს მე-13 საუკუნის პირველი ნახევრისა“⁵⁸.

შოთა მექურჭლეთუხუცესის საალაპო მოსახსენებლის მე-12—13 საუკუნეთა მიჯნით დათარიღება უფრო სარწმუნოს ხდის ამ შოთასა და პოეტ შოთა რუსთველის იგივეობას. ფრიად საგულისხმოა, რომ შალვა ნუცუბიძის ბოლოდროინდელი ნაშრომების მიხედვით⁵⁹ ჯვარის მონასტრის სვეტზე გამოსახული „კადრი“ (იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის სურათები) შესრულებული ყოფილა უშუალოდ შოთა რუსთველის მითითების თანახმად, რადგანაც — მკვლევრის სიტყვით — რუსთველი იყო „ერთადერთი“, რომელმაც მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში იცოდა ყველაფერი, რაც აღნიშნულ მხატვრობას ესაჭიროებოდა“, სამაგიეროდ „იგი უკვე აღარ ესმოდათ მე-13-14 საუკუნეების მიჯნიდან“⁶⁰. რუსთველმა საკუთარი თაოსნობით „ფრესკული კულტურის ოსტატებს იერუსალიმის ქართულ ტაძარში იდეურობით გამსჭვალული შესანიშნავი სურათები მოახატვინაო“, ამბობს მკვლევარი⁶¹. რაც შეეხება თვითონ რუსთველის სურათს, ის პოეტის „თანამედროვეებს“ შეუტანიათ რუსთველისავე „ანსამბლში“, რადგანაც პოეტის „სურათის ამ ანსამბლში შეტანით მისმა თანამედროვეებმა დაადასტურეს, რომ ესმოდათ მისი ჩანაფიქრი“⁶². პატივცემული მეცნიერი გვარწმუნებს, რომ იერუსალიმის საბეცნიერო ექსპედიციის მასალებმა და მეცნიერმა სპეციალისტებმა დაუდასტურეს მას საძიებელი საკითხის ირგვლივ ადრე მიღებული დასკვნები. „დღეს მე შემიძლია სიამოვნებით აღვნიშნო, — ამბობს შ. ნუცუბიძე, — რომ აზროვნების ისტორიის ნიადაგზე გამოტანილი დასკვნები იშვიათი ერთსულოვნებით იქნა დადასტურებული ჩვენი მეცნიერი სპეციალისტების მიერ“⁶³. უნდა ვიფიქროთ, რომ შ. ნუცუბიძე ძალაში ტოვებს თავის კონცეფციას შოთა რუსთველის ეკლესიასთან შერიგებაზე, მაგრამ ამ კონცეფციით შოთას მოსახსენებლის წარმოშობა მიეწერებოდა მე-14 საუკუნის მეორე ნახევარს, ხოლო რამდენადმე ადრინდელი უნდა ყოფილიყო პოეტის ფრესკული გამოსახულება („ფრესკა გაკეთებულია მე-13—14 საუკუნეთა მიჯნაზე“).

ამჯერად ჩვენთვის მთავარია შოთას მოსახსენებლის დათარიღების საკითხი (ფრესკის თარიღის საკითხს შემდეგ დავუბრუნდებით).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შოთას მოსახსენიებელი ეკუთვნის არა მე-14 საუკუნის მეორე ნახევარს, არამედ მე-12—13 საუკუნეთა მიჯნას, მე-13 საუკუნის პირველ ნახევარზე არა უგვიანეს დროს. სწორედ ამას, ამ თარიღს, აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა შოთა მექუტუკლეთუხუცესის გასაიგოვებლად პოეტ შოთარუსთველთან. ამ თარიღის გარკვევა რუსთველოლოგიური მეცნიერების დიდი მონაპოვარია. გაიხსნა ჩვენი დიდებული პოეტის ერთი უმნიშვნელოვანესი ბიოგრაფიული საკითხი. შოთა მექუტუკლეთუხუცესისა და პოეტ შოთა რუსთველის გაიგივებას ახლა აღარავითარი დაბრკოლება აღარ ელობება წინ. თუმცა სიფრთხილეს თავი არ სტკივა, საგულისხმოა იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის წევრის ა. შანიძის დასკვნის ფორმა: «Весьма вероятно, что поэт Шота Руставели, автор поэмы «Витязь в тигровой шкуре», и есть тот самый министр финансов («мечурчлет-ухуцес») Шота, поминать которого полагалась в один из понедельников, согласно записи, сделанной почерком XII—XIII вв. в рукописи Крестного монастыря, хранящейся ныне в библиотеке православной патриархии Иерусалима»⁶¹.

როდინდელია ჯვარის მონასტრის სვეტზე გამოსახული შოთას პორტრეტი? ჯერ კიდევ ალ. ცაგარელი აღნიშნავდა, რომ: «Изображение это, правда, 1643 года, но весьма вероятно, что оно было и до 1643 года, так как монастырь был и до этого времени расписан»⁶². ალ. ცაგარელი იმოწმებს მე-12 და მე-16 საუკუნეების მოგზაურებს, რომლებიც იძლევიან პირდაპირ ცნობებს ჯვარის მონასტრის მონატულობის თაობაზე⁶³. მონასტერი არა ერთგზის იქნა დარბეული და გაჩანაგებული სხვადასხვა ჯურის მიმტაცებელთა მიერ (ჯვაროსნების, მამლუქებისა და სხვ. მიერ). შესაფერისადვე არაერთგზის აღუდგენათ და შეუკეთებიათ შენობის დაზიანებული ნაწილები, განუახლებიათ და გაუცხოველებიათ ძველი მხატვრობა, შეუქმნიათ ახალი ფრესკები. კერძოდ „რუსთველის სვეტის“ მონატულობა რომ ნიკიფორე ჩოლოყაშვილის დროზე (1643 წელზე) უწინდელია, ეს დოკუმენტურად დამტკიცა იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის წევრმა გიორგი წერეთელმა. იოვანე დამასკელის ფრესკაზე გ. წერეთელმა აღმოაჩინა 1614 წლის არაბული მიწაწერი. ამით აშკარა გახდა, რომ თვითონ დამასკელის ფრესკა, რასაკვირველია, 1614 წელზე ადრინდელია⁶⁴. მაშასადამე, იოვანე დამასკელის ფრესკასთან და საერთოდ სვეტის მხატვრობის ანსამბლთან, კერძოდ შოთა რუსთველის სურათთან ნიკიფორე ჩოლოყაშვილს კავშირი არ აქვს.

რუსთაველის პორტრეტის თაობაზე ხელოვნებათმცოდნე ვახტანგ ბერიძემ საზოგადოდ ის ვარაუდი გამოთქვა, რომ: «По всей вероятности, мы имеем дело с изображением, восходящим к довольно древнему оригиналу, что, конечно, сильно повышает его ценность»⁶⁸ რუსთაველის პორტრეტის საკითხს გამოკვლევები მიუძღვნა ქართული ხელოვნების ცნობილმა ისტორიკოსმა შალვა ამირანაშვილმა⁶⁹. შესაფერისი რეალიების შესწავლამ მკვლევარი დაარწმუნა, რომ შოთას პორტრეტი თავდაპირველად უნდა შექმნილიყო მე-12—13 საუკუნეთა მიჯნაზე, მაგრამ არსებული სახით (განახლებული სახით) იგი უნდა მიეკუთვნოს მე-16 საუკუნის მიწურულსო. შ. ამირანაშვილის საბოლოო დასკვნაა: „რუსთაველის პორტრეტული მსატერობა რეალიების შესწავლის შედეგად შესრულებული უნდა იყოს მე-12 და მე-13 საუკუნეების მიჯნაზე, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს მე-13 საუკუნის პირველი ნახევარისა. იგი, როგორც ფოტოების შესწავლა ადასტურებს, ნაწილობრივ, ადგილ-ადგილ განახლებულია მე-16 საუკუნის მიწურულში, განახლებულია ამავე დროს თვით წარწერა, შესრულებული თეთრი საღებავით“⁷⁰.

აღაბთა წიგნების დაწვრილებითი შესწავლის საფუძველზე ელენე მეტრეველი არკვევს, რომ მოსახსენებლების განწესება ხდებოდა შემომწირველთა (ან კტიტორთა, რესტავრატორთა და ა. შ.) გარდაცვალების უმაღლეს, ზოგჯერ კი მათ სიცოცხლეში⁷¹ ეკლესია მონასტრებისათვის დიდად მოამაგე პირებს ჩვეულებრივ ხსენების დღესაც უნიშნავდნენ და ფრესკულ გამოსახულებასაც უკეთებდნენ იმავდროულად. ამისი მაგალითები მოიპოვება ჯვრის მონასტერშიც⁷². „თუ ჯვარის მონასტრის კედელზე — სამართლიანად ამბობს ე. მეტრეველი — შოთა რუსთაველის გამოსახვის საპირობა როდისმე იყო, მხოლოდ მისსავე დროს, მისივე დამსახურებისათვის“⁷³. რამდენადაც შოთას სააღაპო მოსახსენებელი ეკუთვნის მე-12—13 საუკუნეთა მიჯნას, დაახლოებით იმავე დროსი უნდა იყოს პორტრეტული გამოსახულებაც. ყოველ შემთხვევაში ვერც სააღაპო მოსახსენებელი და ვერც პორტრეტული გამოსახულება ვერ გადმოსცილდება მე-13 საუკუნის პირველ ნახევარს. საფიქრებელია, რომ შოთას სურათი შესრულებული იყოს პოეტის სიცოცხლეში, თუმცა, რა თქმა უნდა, იგი არაა ავტობიოგრაფიული.

ე. მეტრეველმა საბუთიანად გაარკვია, რომ ჯვარის მონასტრის ისტორიულ პირთა ფრესკებში გამოიყოფა ორი ქრონოლოგიური ფენა, ერთი იფარგლება მე-13 საუკუნის დამლევით, მეორე კი მო-

იცავს ნიკიფორე ჩოლოყაშვილის დროს მე-17 საუკუნის პირველ ნახევარს⁷⁴. ჭვარის მონასტერი საფუძვლიანად შეუქცეობიან, მხატვრობა განუახლებიან და ახალი მასალებით შეუქცეიან მე-14 საუკუნის დამდეგს, 1305—1314 წლებში, როდესაც მონასტერი „ტყვეობისაგან“ განთავისუფლებულა და ქართველობას დაბრუნებია⁷⁵. ამის შემდეგ ასევე საფუძვლიანად განახლებულა მონასტრის კედლის მხატვრობა ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მოღვაწეობის შედეგად 1643 წელს. საგულისხმო ისაა, რომ ნიკიფორეს საქმიანობა საერთოდ არ შეხებია სვეტების მხატვრობას, მათ შორის რუსთველის ფრესკულ გამოსახულებას⁷⁶. რუსთველის სურათი განეკუთვნება მონასტრის მხატვრობის სწორედ ძველ ფენას, წარმოშობით მე-12—13 საუკუნეთა მიჯნას, მე-14 საუკუნის დამდეგში შესაძლებელია იგი განაახლეს (გააცხოველეს) ისე, როგორც განუახლებიან მონასტრის მთელი მხატვრობა. განახლებისა და გააცხოველების ძლიერი დალი აღუბეჭავს პორტრეტის წარწერას.

ამრიგად, შეიძლება დასაბუთებულად ჩაითვალოს, რომ პოეტი შოთა რუსთველი უნდა ყოფილიყო თამარის დროის მეჭურჭლეთუხუცესი, რომელსაც შეუქცეობია ჭვარის მონასტერი და მოუხატინებია მისი სვეტები. ამ ღვაწლისათვის ჭვარის მონასტერში განუწესებიათ მოსახსენებელი და სვეტზე გამოუსახავთ სურათი სათანადო წარწერით. მოსახსენებელი და სურათის თავდაპირველი სახე უნდა ეკუთვნოდეს მე-12—13 საუკუნეების მიჯნას, ე. ი. შოთა რუსთველის მოსახსენებელი განუწესებიათ და მისი სურათი გამოუსახავთ ჭვარის მონასტრის სვეტზე პოეტის სიციცხლეში, უკიდურეს შემთხვევაში მისი გარდაცვალების უმაღლეს.

ძნელია მოპოვებული ფაქტების მნიშვნელობის შეფასება. მთავარი ისაა, რომ გაირკვა გენიოსი ქართველი პოეტის ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი საკითხები. რუსთველის სახელის თაობაზედაც კი ბოლო დრომდის დიდი ცილობა სუფევდა. რუსთველს რომ შოთა უნდა რქმეოდა, ამას პირდაპირ გვიმოწმებს თეიმურაზ პირველი (მე-17 საუკუნე). ეს ნაგვიანევი ცნობა ზოგჯერ საეჭვოდ მიაჩნდათ. ამიერიდან ბოლო ეღება ყოველგვარ სკეპსისს: პოეტის სახელს შოთას გვიდასტურებს უკვე პოეტის დროინდელი, შესაძლებელია პოეტის სიციცხლეშივე შექმნილი. ავთენტური დოკუმენტი. შოთა რუსთველი ყოფილა მეჭურჭლეთუხუცესი, თამარის სამეფო კარის დიდი მოხელე, თამართან და დავით სოსლანთან დაახლოებული პირი. ეს გარემოება შუქს ჰფენს ვეფხისტყაოსნის პროლოგ-ეპილოგის ისტორიულ რეალიებს. ახლა ადვი-

ლად გასაგები ხდება პოემის იდეური შინაარსის სპეციფიკური ხასიათი, ვეფხისტყაოსანში ასახული სინამდვილის ისტორიულ სინამდვილესთან უშუალოდ დაკავშირება აღარ იქნება საძნელო საქმე.

ჩვენს განკარგულებაშია შოთა რუსთველის ძველი, სანდოსურათი. დღემდის ცნობილი იყო პოეტის ორი სხვა პორტრეტი. ორივე მე-17 საუკუნისა. რუსთველის ერთი სურათი შემოუნახავს ვეფხისტყაოსნის ეგრეთწოდებულ ზაზასეულ ხელნაწერს (ხელნაწერთა ინსტიტუტის Q 1082), რომელიც მე-17 საუკუნის სამოციან წლებში გადაუწერია იოსებ თბილელს⁷⁷. ზაზასეული ხელნაწერის მინიატურის მიხედვითაა გაკეთებული გაგარინისეული გამოცემა რუსთველის სურათისა, რომელიც საყოველთაოდაა გავრცელებული. ამ მინიატურის ფერადი ფოტოპირი (ნატურალური ზომისა) დართული აქვს ვეფხისტყაოსნის 1927 წლის გამოცემას (ს. კაკაბაძის რედაქციით) და „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ პირველ წიგნს (1935). მინიატურის დედანი დაცულია ხელოვნების მუზეუმში. რუსთველის თითქმის ყველა აწინდელი პორტრეტი ზაზასეული ხელნაწერის მინიატურას ემყარება (გაგარინის გამოცემის საშუალებით). რუსთველის მეორე სურათი ახლავს ვეფხისტყაოსნის უძველეს თარიღიან ხელნაწერს (ხელნაწერთა ინსტიტუტის H 599), რომელიც 1646 წელს გადაუწერია მამუკა მდივან თავაქალაშვილს. ამისი პირი გამოქვეყნებული აქვთ შ. ამირანაშვილს⁷⁸ და ს. კაკაბაძეს⁷⁹. ხელოვნებათმცოდნე ნ. შერვაშიძის გამოკვლევის თანახმად, თავაქალაშვილისეული ხელნაწერის პორტრეტის შემსრულებელი უნდა იყოს არა თვითონ თავაქალაშვილი (პოემის ტექსტის გადამწერი), არამედ ვიღაც სხვა პირი, თავაქალაშვილის თანამოღვაწე. ამ უცნობ მხატვარს ხელნაწერში ჩაუხატავს მამუკა მდივანიც, რუსთველი მას მამუკასათვის დაუმსგავსებია. რუსთველის ამ სურათმა დიდი გაუგებრობა შექმნა. სურათს ახლავს დაზიანებული წარწერა. სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვაგვარად კითხულობს წარწერის ტექსტს. შალვა ამირანაშვილი: [„მამუკა მდივანთან რუსთველი“⁸⁰. კაკაბაძე [აქა] „აშოთან რუსთველი“⁸¹. ჩვენს ხელთაა ინფრაწითელი სხივებით გამოვლენილი ფოტოსურათი წარწერისა. ტექსტის აღდგენა მაინც ძნელდება. თითქოს გვაქვს: ...ა [...] ზ[...]ნ რუსთველი. ყოველ შემთხვევაში დაზიანებული ნაწილიდან, რომელიც ორი სიტყვისაგან უნდა შედგებოდეს, გარკვევით იკითხება ა, ზ. და ნ. შინის ნატამალი იქ არ არის. საკვირველია, საიდან მიიღო ს. კაკაბაძემ აშოთან. ამისი

მსგავსი რამ წარწერაში არა არის რა. ამავე დროს მკვლევარს სიტყვა აშოთანის მნიშვნელობა დიდ პრინციპულ სიმაღლემდე აქყავს. ს. კაკაბაძე ამტკიცებს ვითომც მის მიერ სწორად ამოკითხული ტექსტის საფუძველზე, რომ „შოთას სრული სახელი იყო აშოთანიო“, მამუკას ხელთ ჰქონია ვეფხისტყაოსნის ძველი ხელნაწერი, საიდანაც ეს ცნობა მომდინარეობს⁸². მამუკას მართლაც ექნებოდა ვეფხისტყაოსნის ძველი ხელნაწერი, მაგრამ რა შუაშია ყურით მოთრეული აშოთანი? ეს სახელი არ არის მამუკასეულ ხელნაწერში. რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იგი იქნებოდა ამ ხელნაწერის დედანში? აშოთანი რუსთველის სახელად არსად არ გვხვდება. როგორც ვთქვით, ის არც მამუკა მდივანს დაუმოწმებია. მეტის თქმაც შეიძლება. რუსთველის სახელად მამუკა იცნობს მხოლოდ და მხოლოდ შოთას. მამუკას გაულექსავს შაჰნამეს ქართული ვერსიის ერთი ეპიზოდი (სახელდობრ ზააქიანი), რომლის შესავალში ვკითხულობთ:

შოთამ გალექსა ტარიას და ავთანდილის ჭებანი.

მამუკასადავს, მამუკა რუსთველს უწოდებს შოთას და არა აშოთანს. მთელი ისტორია აშოთანის შესახებ შეთხზული და მოგონილია ს. კაკაბაძის მიერ. საყურადღებოა საქმის მეორე მხარე. როგორც ვიცით, ს. კაკაბაძის მოსაზრებით, ჯვარის მონასტრის რუსთველისეული სურათი „შეიძლება იყოს ა ვ ტ ო პ ო რ ტ რ ე ტ ი“, ან შესრულებულია თვითონ რუსთველის დაკვეთით. ამის შემდეგ რა უფლებით აძლევს მკვლევარი რაიმე მნიშვნელობას მამუკასეული ხელნაწერის აშოთანს, იქ რომ ასეთი სახელი მართლაც მოიპოვებოდეს (თუმცა იგი აშკარად მოგონილია). უნდა ვიცოდეთ, რომ შოთა გავრცელებული სახელი ყოფილა მე-12—13 საუკუნეების საქართველოში. გარდა შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა, ცნობილია შოთა ართავაჩოს ძე, ჭიანჭყაძის სიგელის მოწამე შოთა, მარიამწმიდის ფრესკის შოთა და შოთა კუპრი. ერთი სიტყვით, რუსთველს ჰქმევია მაშინ ასე გავრცელებული ქართული სახელი შოთა. აშოთანი კი ს. კაკაბაძის ფანტაზიის ნაყოფია. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიგონოთ დ. დანდუროვის მეტად უცნაური განცხადება: «Имя Шота производят от армянского Ашот: это правильно, но отсюда делают вывод, что Шота не грузин, а армянин»⁸³. ჩვენ არ ვიცით, ვის გამოჰყავს შოთა „სომხურ“ ანოტიდან, ანდა ვინ ფიქრობს (ამის საფუძველზე), რომ შოთა ქართველი არ იყო. მთელი ეს ისტორია თვითონ დ. დანდუროვის საკუთარ შემოქმედებად უნდა

მივიჩნით. ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ შოთა სხვაა და აშოტი სხვა. ამასთან აშოტიც ცნობილი ქართული სახელია, ის ერქვა, მაგალითად, მე-9—10 საუკუნეების გამოჩენილ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს აშოტ კურაპალატსა და აშოტ კუხს. დროა ხელი ავიღოთ გულუბრყვილო ეტიმოლოგიებისა და საეჭვო ანალოგიების გამოყენებისაგან შორს გამიზნული დასკვნების გასაკეთებლად. მით უფრო არ ეპატიება მკვლევარს არარსებული და აშკარად მოგონილი ფაქტების საშუალებით ფართო მკითხველი საზოგადოების დეზორიენტირება და შეცდომაში შეყვანა. ეს სრულიად შეუწყნარებელი საქციელია, რასაც მეცნიერებასთან არაფერი აქვს საერთო.

როგორც ვიცით, ხალხური გადმოცემების მიხედვით რუსთველი თითქოს ბერად აღიკვეცა ჯვარის მონასტერში, იქვე გარდაიცვალა და იქვე დასაფლავებული. ხალხურ ვერსიას უჭერს მხარს და მის მეცნიერულად დასაბუთებას ცდილობს ზოგიერთი მკვლევარი, მათ შორის შ. ნუცუბიძე, ს. კაკაბაძე და შ. ამირანაშვილი. ალ. ცაგარლის სიტყვით, ხალხური გადმოცემა «находит оправдание и подтверждение в фресковом изображении поэта»⁸¹. მკვლევარი იმასაც ურთავს, რომ სურათით რუსთველი ერისკაცის ტანსაცმელშია გამოწყობილი და, მაშასადამე, «рассказ о том, что поэт постригся в монахи, не находит подтверждения»⁸⁵. ს. კაკაბაძის მოსაზრების თანახმად, რუსთველის დასაფლავების ადგილის მიმანიშნებელია პოეტის პორტრეტი. ამ გარემოებას მკვლევარი უძებნის პარალელებს (ვახტანგ გორგასალის საფლავი და სურათი მცხეთის სვეტიცხოველის ტაძარში, თამარის თავდაპირველი საფლავი გელათში), რითაც დასტურდებაო „გადმოცემის სისწორე შოთას საფლავის არსებობის შესახებ იერუსალიმის ჯვარის მონასტერში“⁸⁶. ს. კაკაბაძეს ავიწყდება, რომ ჯვარის მონასტერში მოიპოვება იმავე ვახტანგ გორგასალისა და ბევრი სხვა ისტორიული პირის (მეფე მირიანის, ბაგრატ კურაპალატის, ექვთიმე და გიორგი ათონელების, ლევან დადიანისა და მისი მეუღლის, მარიამ დედოფლისა და სხვ.) სურათი, მაგრამ საფლავი კი არა. ამიტომაც საესებით მართებულია შ. ნუცუბიძის შენიშვნა: „რუსთველის სურათის მონასტრის სვეტზე მოთავსება თავისთავად არ ნიშნავს მის ძირში პოეტის აუცილებლად დასაფლავებას. ჯვარის მონასტერში ცნობილია მრავალი ისტორიული პირის გამოსახულება, რომლებიც, ესეც ცნობილია, არ არიან აქ დასაფლავებული“⁸⁷. თვითონ შ. ნუცუბიძის შეხედულებით, რუსთველი იერუსალიმის ჯვარის მონასტერში დამკვიდრებულია და იქვე აღსრულებულა, მაგრამ ბერად არ ყოფილა შემდგა-

რი, უკეთ, ის ბერად არ მიუღიათ, „გარკვეული წესის კვლობაზე“ ე რისკაცად უცხოვრია მონასტერში⁸⁸. რუსთველს პილიგრიმული წესით შეეძლო მოეხილა იერუსალიმი და დროებითი თავშესაფარი ეპოვა ჯვარის მონასტერში, მონასტრის სასტუმრო სადგომში, მაგრამ რაღაც დაუჯერებელია, რომ პოეტს თავისი ცხოვრების მეორე ნახევარი (თუ ბოლო წლები) მონასტერში გაეტარებინა და ბერად არ აღკვეცილიყო. მონასტერი ხომ მოხუცებულთა თავშესაფარი არ ყოფილა! შ. ამირანაშვილის ვარაუდითაც, შოთა რუსთველი „მოვიდა ჯვარის მონასტერში... არა ბერად აღკვეცილი, არამედ როგორც ერის კაცი“⁸⁹. მკვლევარი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ შემდეგ რა გზას დაადგა პოეტი, დაემკვიდრა თუ არა მონასტერში, ბერად აღკვეცა თუ ერისკაცად დარჩა.

ყოვლად უმართებულო იქნებოდა აპრიორულად იმის უარყოფა, რომ რუსთველი იერუსალიმში დაემკვიდრა და იქვე აღესრულა (სულერთია ბერად თუ ერისკაცად, თუმცა უფრო ლოგიკურია შეხედულება პოეტის ბერად შედგომაზე), ოღონდ ასეთ ვარაუდს არავითარი ისტორიული დოკუმენტი არ ამაგრებს. წარმოდგენილი ყველა თვალსაზრისი ზოგადია და მხოლოდ შესაძლებლობათა სფეროს განეკუთვნება. ჩვენ შესაწყნარებლად გვეჩვენება ის მოსახრება (რაც დ. კარიკაშვილმა გამოთქვა)⁹⁰, რომ რუსთველის იერუსალიმში ყოფნაზე თქმულებების წარმოშობას ხელი შეუწყო მისმა გამოსახულებამ ჯვარის მონასტრის კედელზე. ჯვარის მონასტრის ფრესკა რუსთველის იერუსალიმში დამკვიდრების ფაქტს ვერ დაგვიმტკიცებს, მაგრამ გასაგებს ხდის საამისო თქმულებებისა და ლეგენდების წარმოშობის მიზეზებსა და ხასიათს.

არაფერს პოზიტიურს არ ამბობს რუსთველის იერუსალიმში დამკვიდრებაზე არც საალაპო მოსახსენებელი. ეს მოსახსენებელი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ შოთას გარკვეული ღვაწლი გაუწევია ჯვარის მონასტრისათვის, რის სანუფქვოდ მისი ხსენების ღრეც დაუნიშნავთ და სურათიც გამოუხატავთ. ზოგიერთი მკვლევარი იმასაც კი საგანგებოდ იძიებს, შოთა რუსთველმა თავისი თაოსნობით შეაკეთა და მოახატვინა ჯვარის მონასტერი, თუ თამარის დავალებით მოქმედებდა. შ. ამირანაშვილის ფიქრით, შოთა რუსთველი ჯვარის მონასტერში მისულა მოხუცებულობის დროს (ფრესკული გამოსახულებით პოეტი 60-70 წლის მოჩანსო), „თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ“, ჯვარის მონასტრის შეკეთება-მოხატვინებაც „იყო უთუოდ პოეტის პირადი საქმიანობა და ინიციატივა და არა თამარ მეფის დავალებათ“. ამას მკვლევარი

დასძენს: „საყურადღებოა, რომ მონასტრის მოღვაწეთა შორის თამარ მეფე არსად იხსენიება და არც მისი პორტრეტული გამოსახულება ყოფილა ტაძარში“⁹¹ ე. მეტრეველმა უკვე გაარკვია, რომ ჭვარის მონასტრის კრებულს თამარისათვის დაუწესებია საკუთარი მოსახსენებელი წიგნი (სვინაქსარი). ამ სვინაქსარში ჩაწერილი ყოფილა მხოლოდ თამარის მოსახსენებლები ყველა საუფლო და დიდ დღესასწაულზე და მის გარდაცვალების დღეზე. „ასეთი კერძო სვინაქსარი იერუსალიმის ხელნაწერებში ჩვენ მხოლოდ თამარის ეს ერთადერთი სვინაქსარი გვეგულებოა“, ურთავს მკვლევარი⁹². რაკი გარკვეულია, რომ შოთა რუსთველი ყოფილა თამარ მეფის მექურჭლეთუხუცესი, ბუნებრივად მას უნდა დაკისრებოდა საზღვარგარეთული ქართული კულტურის კერებისათვის, კერძოდ ჭვარის მონასტრისათვის ზრუნვა და მატერიალური დახმარების გაწევა. ამისათვის სრულიად არ იყო აუცილებელი მექურჭლეთუხუცესის იერუსალიმში გამგზავრება და სარესტავრაციო სამუშაოების ადგილზე ხელმძღვანელობა, მას შეეძლო საქართველოდან გაეგზავნა საჭირო სახსრები (როგორც მოიქცა, მაგალითად, ლევან დადიანი). რა თქმა უნდა, ისიც შესაძლებელია, რომ რუსთველს საკუთარი ხარჯით შეეკეთებინა და მოეხატვინებინა მონასტერი. მისი იერუსალიმში ყოფნა არც მაშინ იქნებოდა აუცილებელი. ვერც პირველ და ვერც მეორე შემთხვევაში მონასტერი ვერ დაივიწყებდა კეთილისმყოფლის ამგვარ და მის საქმიანობას უთუოდ შესაფერისად აღბეჭდავდა. ამიტომაც ჩვენ ვფიქრობთ, არ არსებობს რაიმე ხელშესახები და ანგარიშგასაწევი მოსაზრება, რომელიც უცილობელს ყოფდეს შოთა რუსთველის ყოფნას იერუსალიმში, მის დამკვიდრებას ჭვარის მონასტერში, აქ აღსრულებას და იქვე სამარადისო განსასვენებლის პოვნას.

შალვა ნუცუბიძე თავის მოსაზრებას რუსთველის იერუსალიმში დამკვიდრებაზე უძებნის ღრმა იდეურ საფუძველს. პატივცემული მკვლევარი შორიდან იწყებს. მისი აწინდელი თვალსაზრისით, რუსთველს განუცდია „ნამდვილი სიყვარულის ტრაგედია“, ეს ყოფილა თამარისადმი საყვარელი. თავის აღრანდულ სამქებრო ლექსებში („ვთქვენს ქებანი ვისნიმე“) რუსთველს თავი ვერ შეუკავებიაო და ამკარად გამოუხატავს თამარისადმი სატრჟიალი განწყობილება («Руставели... не выдержал чар своей царицы... воспыал к ней любовною и написал ей гимны», რასაც მეტად უხერხული მდგომარეობა შეუქმნია, მეტიც «получился скандал, «именно придворный скандал». ამის შედეგად პოეტს სასახლიდან დაუთხოვიათ, მაგრამ გარკვეული დროის შემ-

დგ ის კვლავ დაუბრუნებიან სამეფო კარზე. პოეტს შეუგნია თავისი «зablуждения и ошнбкн», ფრთხილად, წინდახედულად მოქცეულა, ძლიერი სატრფიალო გრძნობები აქლა „შეფარვით“ გამოუხატავს ვეფხისტყაოსანში. მკვლევარი შენიშნავს: «)Кестоко наказанный царицей за прежнюю вольность, (Руставели) продолжает ее воспевать, но уже не разглашая свою любовь, а «сокровенно»»²³.

ასე შეიქმნა პოემა ვეფხისტყაოსანი. მიუხედავად წინდახედულობისა და სიფრთხილისა რუსთველს მაინც ვერ მოუგია საკარო წრეების გული... პოეტის ცხოვრების მეორე ნახევარი იერუსალიმში მიმდინარეობს. შ. ნუცუბიძე იკვლევს ამის მიზეზებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ რუსთველი გააძევეს საკართველოდან. მკვლევარი რუსთველს უწოდებს «поэт-изгнаннык»-ს და «великий изгнаннык»-ს. თუმცა გარკვევით არ ამბობს, რუსთველი პირდაპირ გააძევეს სამშობლოდან, თუ პოეტი იძულებული გახადეს დაეტოვებინა სამშობლო მხარე და გარდახვეწილიყო. შ. ნუცუბიძის მონოგრაფიაში ერთგან ვკითხულობთ: «Руставели вынужден покинуть Грузию» (გვ. 276). მეორეგან მკვლევარი კითხულობს: «Что вынудило его покинуть родину и постучаться в ворота дальнего грузинского монастыря?» (გვ. 283). დასასრულ იგი შენიშნავს: «Ведь Руставели не выселяли из Грузии в срочном порядке», რუსთველი მიხვდა, რომ უნდა დამორჩილებოდა გარემოებას და მიეტოვებინა სამშობლო (გვ. 285). ერთი სიტყვით, ისე გამოდის, რომ რუსთველი კი არ გაუძევებიათ, არამედ მძიმე ვითარების შედეგად პოეტი იძულებული გამხდარა გარდახვეწილიყო. რუსთველის იძულებითი ნაბიჯი გამოუწვეველი არა მის პირადულ ურთიერთობას თამარ მეფესთან, არამედ იმ საზოგადოებრივ გარემოს, რომელშიდაც პოეტი ცხოვრობდა და მოქმედებდა (280). «Поэма «Витязь в тигровой шкуре», и высказанные в ней взгляды и послужили поводом для изгнания поэта», აცხადებს შ. ნუცუბიძე და განაგრძობს: «никаких других мотивов удаления Руставели искать не приходится (გვ. 281). «Итак, для нас теперь ясно, что причиной изгнания Руставели было слишком новсе, прогрессивное по тем временам понимание мира и людей, общества и индивида, представленное в его поэме» (გვ. 283—384).

შ. ნუცუბიძე განმარტავს, რა იყო ის ახალი და პროგრესული ვეფხისტყაოსნის იდეათა სფეროში, რამაც საბოლოო ანგარიშით შეაპირობა რუსთველის გაძევება თუ იძულებითი გარდახვეწა უცხოეთში. მკვლევარი დიდი მონდომებით ამტკიცებს, რომ რუსთველის პოემას

მსკვალავს პანთეისტური მატერიალიზმის იდეოლოგია (გვ. 287 და შმდ.), პანთეისტური მატერიალიზმის მიმდევარი რუსთველი ვერ შეიწყნარა ქართულმა ეკლესიამ და ეს გარემოება გახდა მისი დევნის მიზეზი (231—282). მეორე მხრივ, თუ რუსთველი სამშობლოდან გაძევებულ იქნა პანთეისტური მატერიალიზმის მიმდევრობისა და ეკლესიის შეუწყნარებლობის გამო, რად უნდა მიემართა პოეტს თავშესაფარის საძებნელად მონასტრისათვის? შ. ნუცუბიძის ვარაუდით, რუსთველს მეორედ უგრძვნია სინდისის ქენჯნა და თავის შეცდომათა სიმწვავე, მონანიების გზაზე შემდგარა, ცოდვათა შემსუბუქებაზე უფიქრია. ახალ განწყობილებათა შედეგად, ახალი „მორალურ-ინტელექტუალურა სიტუაციის“ შესაბამისად (გვ. 367) მას პირი უქნია მონასტრისაკენ. საეკლესიო საზოგადოებას ზურგი არ შეუქცევია „უძლები შვილასათვის“. «Церковь приняла великого изгнанника — амбоса Ш. Нучубидзе, — она не пренебрегла случаем вернуть в свою паству заблудшую овцу» (გვ. 283). ჭვარის მონასტერში დამკვიდრებული რუსთველი თავის პოემაში ურთავს ცოდვათა შემამსუბუქებელი შინაარსის გამომხატველსა და ელეგიური ყაიდის ლექსებს, პოეტის ცხოვრება ამიერიდან მიმდინარეობს «на глазах (монастырской) общины и под ее контролем» (გვ. 275). მკვლევარი თვლის, რომ ვეფხისტყაოსნის „უაღრესად ელეგიური სტროფები“ (сугубо элегические строфы) იქნებ გზაშიც იწერებოდა, იერუსალიმისაკენ მიმავალ გზაში (გვ. 285). ამრიგად, გზად თუ ჭვარის მონასტერში ვეფხისტყაოსანი შეესებულა გარკვეული ხასიათის მქონე ახალი ტექსტებით, ჩანართებით, „ავტორისეული ჩანართებით“⁹¹. შ. ნუცუბიძე ცდილობს დაასაბუთოს, რომ ვეფხისტყაოსანი ორი ტექსტობრივი პლასტააგან შედგება, ერთაა ძარათადი პლასტი, მეორე ჩანართი (გვ. 274, 337, 358). ორივე ავტორისეულია. ვეფხისტყაოსნის პირველად, ანუ ძირითად პლასტში თითქოს გატარებულია პანთეისტური მატერიალიზმის იდეა. მკვლევარის სატყვეთ, პოემის პირველი სტროფივე „პანთეისტური მატერიალიზმის სულისკვეთებით“ არის გამსკვალული, რადგანაც აქ, «дог и мир стоят друг в друге» (გვ. 273). შ. ნუცუბიძე იზიარებს პ. ინგოროყვას მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პოემაში გაიგივებული იყო მზე და ღმერთი (გვ. 261—265, 279) და რომ ერთგან, ერთი ხელნაწერის წყალობით, 957-ე სტროფში გადარჩენილა მზისადმი, როგორც ღვთაებისადმი მიმართვა:

მიმავალა ცაჲა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მ ზ ე ს ა:
აჲა, ღმერთო, გვაჭები შენ. უმძლესთა მძლეთა მძლესა.

მაგრამ მეორე მხრივ, შ. ნუცუბიძის დაკვირვების თანახმად წინააღმდეგ „პანთეისტური მატერიალიზმის თეზისისა“ ვეფხისტყაოსანში ზოგჯერ წუთისოფელი გაკიცხულია („ვაჰ, სოფლო...“). იგი მიჩნეულია მიუნდობლად და მუხთლად (სტროფები 951, 1665), სატანის დარად („ვა, საწუთრო, სიცრუეით თავი სატანას ადარე, 1213). ვეფხისტყაოსნის ავტორი საიქიო ცხოვრებაზე ფიქრობს, ღმერთს თხოვს „ცოდვათა შემსუბუქებას“ და დახმარებას „დათრგუნვად სატანისა“ (2). ესენი და სხვა ამგვარი აზრები არ ეთანხმება პანთეისტურ მატერიალიზმსო, იგრძნობაო «разрыв в миропонимании Руставели, მეტიც, ცხადი ხდება «внутренняя неувязка в идеологии поэмы» (გვ. 367—368). მკვლევრის ვარაუდით ეს შეუთანხმებლობა იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ვეფხისტყაოსნის ტექსტი ორი ფენისაგან ორი პლასტისაგან შედგებაო. პირველადი პლასტი გამოხატავს პანთეისტურ განწყობილებას, მეორადი — ანტიპანთეისტურს, თუმცა ორივე ერთი და იმავე ავტორის აზრებია, ოღონდ სხვადასხვა დროს გამოთქმული, სხვადასხვა ვითარებაში («в разное время и в разной морально-интеллектуальной ситуации» (გვ. 367).

ვერვინ უარყოფს იმას, რომ ვეფხისტყაოსნის აქა-იქ დაპკრავს პანთეისტური განწყობილების იერი. ერთ თავის საგაზეთო წერილში ივ. ჭავჭავაძისილი გაკვრით აღნიშნავდა: «Шота Руставели представляется больше колеблющимся между признанием единобожия и пантеизмом, чем адептом какой-либо тогда господствующей религии»⁵⁵. მაგრამ თვითონ შ. ნუცუბიძე გვიმოწმებს, რომ ვეფხისტყაოსანში არაიშვიათია პანთეიზმის თვალსაზრისისათვის შეუფერებელი ადგილები. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ვეფხისტყაოსნის პირველივე სტროფი ღმერთს აღიარებს ყოვლის შემოქმედ ძალად „რომელმან შექმნა სამყარო“, „ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა“, „მისგან არს ყოვლი ხელმწიფე“, „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“. მართალია, აქ პირდაპირ არ არის დასახელებული ღმერთი, მაგრამ ნაცვალსახელი „რომელმან“ სწორედ ყოვლისშემოქმედ ღმერთს გულისხმობს, როგორც ეს ჩვეულებრივ მიღებულია ჰიმნოგრაფიულ მწერლობაშიც⁵⁶. აღსანიშნავია, რომ პოემის ნუცუბიძისეული თარგმანის ადრეულ გამოცემებში ხაზი ესმებოდა ღვთაების შემოქმედ სახეს («Тот, кто создал мирозданье...»), უკანასკნელ გამოცემაში სურათი ოღნავ შეცვლილია («Кто создателем вселенной был свесильно-всемогущим»), თუმცა ღმერთი აქაც სამყაროს შემოქმედ არსებად გამოიყურება და,

მაშასადამე, იგი არაა „ერთმანეთში მყოფი“ თუ ერთმანეთში ჩაქსოვილი ღმერთი და სამყარო. ღმერთი სამყაროს შემქმნელი მიზეზია, სამყაროზე აღრე მყოფი არსი. ასეთი გაგება კი არ ეგუება პანთეისტურ წარმოდგენას, უკეთ, გამორიცხავს პანთეისტურ გაგებას.

ახლა რაც შეეხება ღვთაებისა და მზის გაიგივების საკითხს. მზე ვეფხისტყაოსანში მოხმობილია ან ჩვეულებრივი, პირდაპირი, ან გადატანითი, მეტაფორული მნიშვნელობით. პოემისეული მზე-ღმერთი ხშირად არასახარბიელოდ არის დახასიათებული, გმირების მიერ იგი დაწუნებულია და გაფლიდებული. „მართლაც, კარგი ღმერთი უნდა ყოფილიყო მზე, თუ მისი გაფლიდება შეეძლოთ მომაკვდავ ადამიანებს“⁹⁸. პლასტების მომიზეზება ჩვენ ხელოვნურად გვეჩვენება. გვაპათიოს პატივცემულმა მეცნიერმა, თუ ჩვენ ვცდებით და გვგონია რომ იგი თვითონ არღვევს თავისსავე შესანიშნავ დებულებას: «Нельзя создавать сначала концепции, а затем подгонять к ним факты, ибо последние, не обогатив концепцию, теряют всякую разумность»⁹⁹. ყველაფრიდან ჩანს, რომ შ. ნუტუბიძემ ჭერ ვეფხისტყაოსნის პანთეისტური მატერიალიზმის თეორია შეიმუშავა და შემდეგ ამის საფუძველზე წარმოისახა პოემის პლასტობრივი აგებულების თეორია. მაგრამ ასეთ თუ ისე, შ. ნუტუბიძის ახალი, თამამი თეორია უთუოდ ხელს უწყობს რუსთველის მსოფლმხედველობისა და პოემის ტექსტოლოგიური საკითხების შემდგომი გაღრმავებული შესწავლის საჭირო საქმეს. შ. ნუტუბიძის მონოგრაფია «Творчество Руставели» თუმცა უხვად შეიცავს სადავო დებულებებს, ის ბიძგს აძლევს რუსთველოლოგიურ კვლევა-ძიებას⁹⁹.

თქმული რომ შევაჯამოთ, შემდეგ უმთავრეს დასკვნებს მივიღებთ: 1. შოთა რუსთველის სახე საბუთიანად უკავშირდება იერუსალიმის ჭვარის მონასტერს. 2. ჭვარის მონასტრის სვეტზე გამოსახულია პოეტის პორტრეტი სავსებით ავთენტური წარწერითურთ. 3. ამ წარწერის ტექსტი სწორად გაშიფრა და თითქმის დაკარგული პორტრეტი ხელახლად აღმოაჩინა ქართველ მეცნიერთა ექსპედიციამ ირაკლი აბაშიძის, აკაკი შანიძისა და გიორგი წერეთლის შემადგენლობით. 4. რუსთველის იერუსალიმური პორტრეტი თავისი პირვანდელი სახით უნდა განეკუთვნოს მე-13 საუკუნის პირველ ნახევარს (პორტრეტი შემდეგ, ისე როგორც მისი წარწერაც განუახლებიათ) 5. მე-13 საუკუნეს, უკეთ ამ საუკუნის პირველ ნახევარს, ვერ გადმოსცილდება შოთა მეჭურჭლეთუხუცესის სააღაპო მოსახსენებელი სვინაქსარის წიგნიდან. 6. ამიერიდან მეტად მყა-

რი საფუძველი ეყრება შოთა მექურჭლეთუხუცესისა და პოეტ შოთა რუსთველის იგივეობის ჰიპოთეზას (ტიმოთე გაბაშვილისა და თეიმურაზ ბაგრატიონის მოსაზრებათ). 7. შოთა რუსთველ-მექურჭლეთუხუცესს მე-12—13 საუკუნეთა მიჯნაზე განუახლებია და მოუხატვინებია ჭვარის მონასტრის დაზიანებული ნაწილები, რის სანუფქვოდაც მონასტრის ძნობას განუწყესებია მისი ხსოვნის დღე და სვეტზე შესაფერისი პორტრეტი გამოუსახავს. 8. გადმოცემები შოთა რუსთველის ბერად აღკვეცისა, იერუსალიმში დამკვიდრებისა და იქვე აღსრულებას შესახებ უნდა აღმოცენებულიყო იმ ცოცხალი სინამდვილის ნიადაგზე, რომლითაც შოთა რუსთველის (მექურჭლეთუხუცესის) სახელი უკავშირდება ჭვარის მონასტერს. 9. მეცნიერულად დაუსაბუთებელია შოთა რუსთველის ბერად აღკვეცისა, იერუსალიმში დამკვიდრებისა, იქვე გარდაცვალებისა და დასაფლავების თაობაზე არსებული ვარაუდები. 10. ამასთან ერთად, ხელაღებით არც ამ ვარაუდების კატეგორიული უარყოფა იქნებოდა მართებული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

А. Ц а г а р е л и. Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае (Православный Палестинский Сборник, том IV, выпуск первый, С. Петербург, 1888), გვ. 42.

² ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1956.

³ დედანშია: შოთამს.

⁴ მიმოსლვა, გვ. 80.

⁵ იქვე, გვ. 82.

⁶ თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გამოცემა იმედაშვილი რედაქციით, გამოკლევიტა და საძიებლით. თბილისი, 1966, გვ. 292—295.

⁷ ისტორია დაწვებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა, ქმნილი საქართველოს მეთაქამეტის მეფის გიორგის ძის თეიმურაზისაგან, სანკტპეტერბურლს, 1848, გვ. 292, 285 (ეს შორობაც თეიმურაზს დაუმთავრებია 1843 წლის 29 მაისს, იხ. გვ. 298.).

⁸ А. Ц а г а р е л и, Сведения о памятниках грузинской письменности, I, 1884, გვ. 45.

⁹ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტომი V, შეადგინა ლ. ქუთათელიძემ, აღ. ბარამიძის რედაქციით, 1955, გვ. 248. ნ. ჩუბინაშვილის ხელნაწერში დაცული სურათის ფოტოპირი სენსაციური ფორმით გამოაქვეყნა ბ. კანდელაკმა (აღმორჩენილია შოთა რუსთველის

პეტრე იბერის და სხვა იკონოგულ პირთა პორტრეტები. 1. შოთა რუსთველის პორტრეტი იერუსალიმის ჭვარის მონასტრის კედლის მხატვრობიდან, „საბჭოთა ხელოვნება“, 1958, № 8, ჩართული ფურცელი). ამ პუბლიკაციის გამო იხ. გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი, ალ. ბარამიძე, ვახტანგ ბერიძე, ილ. აბულაძე — სინაძეების დამახინჩების წინააღმდეგ (გაზ. „კომუნისტი“, 12, 11.58).

¹⁰ წერილი რედაქტორთან (ღობეზა, 1880, № 126); ეშვარ პირველი, ჭვარის მონასტრის ქართული წიგნთსაცავი („ლიტერატურული გაზეთი“, 1, II. 63).

¹¹ Д. Бабадзе, Грузинский Монастырь св. Креста в Иерусалиме (Труды V-го археологического съезда в Тифлисе), Москва, 1887, გვ. 328—331.

¹² Памятники грузинской старины, გვ. 244, (აგრ. გვ. 94—95).

¹³ ი. აბაშიძე, ა. შანიძე, გ. წერეთელი, შოთა რუსთველი იერუსალიმის ჭვარის მონასტერში („კომუნისტი“, 22, 11. 60).

¹⁴ პორტრეტის წარწერაში მოქანდაკის სახელის ინიციალი შეცდომით ნ-არით არის გადმოცემული. მოქანდაკის სახელია ალექსანდრე; ალექსანდრე მიხეილის ძე თარხნაშვილი (გიორგი ტყეშელაშვილი, ბორის კანდელაკი — ჩანრული ქანდაკების ოსტატი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 3, გვ. 29—31).

¹⁵ ქართული ხელოვნების ისტორია, 1961, გვ. 367, შნშ. 4.

¹⁶ გ. ტყეშელაშვილისა და ბ. კანდელაკის ზეჰოთ დასახელებული წერილი, გვ. 31, შნშ. რედაქციისაგან.

¹⁷ ლილი ქუთათელია, შოთა რუსთველის პორტრეტის ისტორიისათვის „ლიტერატურული გაზეთი“, 16, 12, 60).

¹⁸ თითქოსთა ვაშბობთ იმიტომ, რომ კონკომეილი შენიშნავს: „გულით ვეძებე შოთა რუსთაველის სურათი, და ძლივს შევიწინე მარჯვენა მხარეს სვეტზედა. რადგანაჲ წაბღალულია ზედ-წარწერა მას ზედა“ (მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ დეკანოზის პეტრე დავითის ძის კონკომეილისა, თბილისი, 1901, გვ. 82).

პ. კონკომეილის ამ ანონაწერიდან ჩანს, რომ მე-17 საუკუნის მიწურულში შოთას პორტრეტი ჭერ კიდევ არსებობდა. თუ კონკომეილს პორტრეტი ძლივს შეუნიშნავს, მხოლოდ იმიტომ, რომ წარწერა ყოფილა „წაბღალული“ (წარუწერელად სურათს ვერ გამოიკნობდა, იგი ადრე გამოქვეყნებული არ ყოფილა). მთლად ზუსტი არ არის ექსპედიციის წევრთა ცნობა: „უკვე წარსული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ეს პორტრეტი დაკარგული იყო“ („კომუნისტი“, 22, 11. 50). ექსპედიცია რომ კონკომეილის მოწმობას ეყარება, ეს ჩანს ა. შანიძის სიტყვებიდან: «К концу XIX в. портрета Ш. Руставели в Крестном монастыре уже не могли найти. Так, например, протоиерей П. Д. Кончовили в 1899 г. старательно искал портрет, но не нашел его» (Поездка в Иерусалим. К вопросу о портрете Ш. Руставели. «Вестник Академии наук СССР, 1961, № 8, გვ. 92. (დაყოფა ჩემია, ა. ბ.). პ. კონკომეილს ჭვარის მონასტერში ფაქტობრივ უნახავს შოთას პორტრეტი („ძლივს შევიწინე“ ამბობს), თუმცა შესაძლებელია ისიც ისე წაბღალული ყოფილიყო, როგორც „ზედ-წარწერა“.

¹⁹ აბ. Предварительный отчет о работах на Синае, веденных в сотрудничестве с И. А. Джаваховым, и в Иерусалиме, в поездку 1902 г. (апрель-ноябрь), Сообщ. Прав. Палест. Общ., т. XIV, ч. II, (1903 г.).

²⁰ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, დ. კარიკაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელის ლექსიკონით. თბილისი, 1903, გვ. XXVII.

²¹ ალაპნი ჭუარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, გამოსცა ნ. მარშან, ს. პეტერბურგი, 1914, გვ. 72, X XVIII.

²² ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, *რუსთაველი ი ქოლქლორ, თბილისი, 1960, გვ. 40; მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, მოგვითხრობს ხალხი (გაზ. „კომუნისტი“, 3. 6. 60); ქს. ს ი ბ ა. რ უ ლ ი ძ ე, ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, 1, თბილისი, 1961, გვ. 117, 120 (მივეთითებთ რუსთველის შესახებ ხალხური გადმოცემების ახალ პუბლიკაციებზე).*

²³ ვეფხისტყაოსანი, 1903, გვ. X XVII.

²⁴ რუსთველოლოგიური საკითხები (თსუ შრომები, X), 1939, გვ. 101—104; ეტიოლოგი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, 1957, გვ. 24—26; ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 111—114.

²⁵ *Понск новых сведений должен быть продолжен (Вечерний Тбилиси, 30 VI. 60).*

²⁶ ვასახელებთ შ. ნუტუბიძის ორ უმათერეს ნაშრომს 1. პალესტინის მე-13—14 სს. ერთი მხატვრობა და ქართული კულტურის საკითხები („საბჭოთა ხელოვნება“ 957, № 9, გვ. 18—22), 2. *Творчество Руставели, 1958, გვ. 251—286.*

²⁷ *Творчество Руставели, გვ. 281.*

²⁸ ი ქ ვ ე, გვ. 283.

²⁹ „საბჭოთა ხელოვნება“, 1957, № 9, გვ. 20.

³⁰ ი ქ ვ ე, გვ. 19.

³¹ „საბჭოთა ხელოვნება“, 1957, № 9, გვ. 20.

³² ი ქ ვ ე.

³³ ი ქ ვ ე, გვ. 22.

³⁴ ი ქ ვ ე, გვ. 21.

³⁵ *Творчество Руставели, გვ. 283, 286; მისი ცხოვრების უკანასკნელი ფურცელი (გაზ. „კომუნისტი“, 15, 5, 60).*

³⁶ რუსთველის ცხოვრების მეორე ნახევარი და იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიცია, თბილისი, 1961, გვ. 16.

³⁷ ი ქ ვ ე, გვ. 36.

³⁸ ტიმოთე გაბაშვილი. მიმოსლეა ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ შ ა, თბილისი, 1956, გვ. 056

³⁹ ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, კრიტიკული შენიშვნები („ლიტერატურული ძიებანი“, XIII, გვ. 409).

⁴⁰ „წნათობი“, 1959, № 5, გვ. 125—126; «Вечерний Тбилиси», 20, 4. 60; გაზ. „კომუნისტი“, 12. 5. 60.

⁴¹ შ. ნ უ ტ უ ბ ი ძ ე, მისი ცხოვრების უკანასკნელი ფურცელი („კომუნისტი“, 15. 5. 60). მისივე, *Новые данные о Руставели (Вечерний Тбилиси, 7, V. 60)* ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დიდი პოეტის საფლავის გარშემო („კომუნისტი“, 19. 5. 60); მ. მ ა ხ ა თ ა ძ ე, რუსთველის საფლავის შესახებ (ქუთაისის გაზეთი, 29. 5. 60.); მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, მოგვითხრობს ხალხი („კომუნისტი“, 3. 6. 60); С. Л о с е в, *О могиле Шота Руставели. Письмо из Израиля (Вечерний Тбилиси, 17. VI. 60).* იგივე წერილი ქართულად დაიბეჭდა „კომუნისტში“, 19. 6. 60; ს. ლოსევის წერილს ორივეგან ახლავს ალ. ბარამიძის მოკლე წინასწარი გამოძახილი. „კომუნისტში“ გამოქვეყნებულია კ. კ ე ლ ი ძ ი ს ასევე წინასწარი გამოხატულება); К. К е к е-

ლ დ ღ ე, Поиск новых сведений должен быть продолжен („Вечерний Тбилиси», 30. VI. 60); ე. შ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, Еще раз о могиле Шота Руставели („Вечерний Тбилиси», 30. VI. 60); გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, იერუსალიმში რუსთაველის პორტრეტის გამო („კომუნისტი“, 31. 7. 60); ჰ. კ ო რ ი ნ თ ე ლ ი, ვ. ხ ა რ ა ზ ო ვ ი — Наши комментарии к двум документам о последнем периоде жизни Шота Руставели („Вечерний Тбилиси», 27. IX. 60); შ. ნ ე ტ უ ბ ი ძ ე, Мои рассуждения о «Руставелевской колошме», (იქვე), აღ. ბარამიძე. Предположение не подтвердилось.» (იქვე).

⁴² ამის თაობაზე იხ. აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, კრიტიკული შენიშვნები („ლიტერატურული ძიებანი“, XIII, გვ. 410—412).

⁴³ ტომოთე გაბაშვილის მიმოსლეა, (ელ. შ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს გამოცემა, გვ. 80, შენიშვნა.).

⁴⁴ Памятники грузинской старины, გვ. 242—244. უნდა აღინიშნოს, რომ ნიკიფორე /ნიკოლოზ/ ჩოლოყაშვილმა თავისი მოღვაწეობით დიდი სამსახური გაუწია ჩვენს კულტურას. უნდა ვეშაფხვოთ ჩვენს მამას, რომ დოკუმენტური ცნობები დაგვიტოვა თავისი საქმიანობის თაობაზე. დიდი ისტორიული უმართებულობა იქნებოდა ნიკიფორე ჩოლოყაშვილისათვის გვეწოდებიდა „მოავანტურისტი“ მოღვაწე („საბჭოთა ხელოვნება“, 1957, № 9, გვ. 21). მით უფრო „კარიერისტი და ავანტიურისტი“ (რუსთაველის ცხოვრების მეორე ნახევარი და იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიცია, 1961, გვ. 31).

⁴⁵ Памятники грузинской старины, გვ. 95 (დაყოფა ჩემია, ა. ბ.).

⁴⁶ იხ. აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დიდი პოეტის საფლავის გარშემო („კომუნისტი“ 19. 5. 60); მისივე, Предположение не подтвердилось („Вечерний Тбилиси», 27. IX. 60; Е. Метрели. Еще раз о могиле Шота Руставели („Вечерний Тбилиси», 30. IV. 60.

⁴⁷ ირაკლი ა ბ ა შ ი ძ ე, აკაკი შ ა ნ ი ძ ე, გიორგი წ ე რ ე თ ე ლ ი — „შოთა რუსთაველი იერუსალიმის ჯვარის მონასტერში“. ეს წერილი დაიბეჭდა ჩვენს ჯვრულ გაზეთში („კომუნისტი“, 22. 11. 60, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 22. 11. 60, „თბილისი“, 22. 11. 60; „სახალხო განათლება“, 23. 11. 60; „ლიტერატურული გაზეთი“, 25. 11. 60; აგრეთვე ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“ (1960, № 12, გვ. 3—7). რუსულად: Шота Руставели в Иерусалимском Крестном монастыре (СЗНАР Восток, 22. XI. 60).

⁴⁸ გამოხმაურებანი: შ. ნ ე ტ უ ბ ი ძ ისა, ი. გრიშაშვილისა, აღ. ბარამიძისა, ვ. ქ ე ლ ი ძ ისა, ვ. ჯაფარიძისა („Вечерний Тбилиси», 22. XI. 60); კ. კეკელიძისა, შ. ნ ე ტ უ ბ ი ძ ისა, გ. ლ ე ო ნ ი ძ ისა, ს. ყაუხჩიშვილისა, ვ. ბერიძისა („კომუნისტი“, 27. 11. 60); ე. შ ე ტ რ ე ვ ე ლ ისა, ვ. ბერიძისა („Вечерний Тбилиси», 9. XII. 60), წერილები: А. Шанидзе, В поисках исчезнувшего портрета („Вечерний Тбилиси», 22. XI. 60); მისივე, Поездка в Иерусалим. К вопросу о портрете Ш. Руставели (Вестник Академии наук СССР, 1961, № 8, გვ. 91—94); ს. კაკაბაძე რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტის დათარიღების შესახებ („ლიტერატურული გაზეთი“, 1. 161); მ ი ს ი ვ ე, შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან („საბჭოთა ხელოვნება“, 1961, № 1, გვ. 41—48); ელ. კ ო ნ დ რ ა ც კ ი, დიდ ძიებათა ნაკვალევზე („ლიტ. გაზეთი“, 16. 12. 60); ლილი ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, შოთა რუსთაველის პორტრეტის ისტორიისათვის („ლიტ. გაზეთი“, 16. 12. 60); შ. მ ა ხ ა თ ა ძ ე, ფრესკისა და წარწერის შესახებ (ქუთაისის გაზეთი, 18. 12. 60); შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ე ლ ი, რას შეტყვე-

ლებს რუსთაველის პორტრეტი („კომუნისტი“, 7. 1. 61); მისივე, შოთა რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის ჟვარის მონასტერში („საბჭოთა ხელოვნება“, 1961, № 3, გვ. 55—72); მისივე, შოთა რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის ჟვარის მონასტერში (ქართული ხელოვნების ისტორია, 1961, გვ. 365—379); აკაკი შანიძე, აღ. ბარამიძე — რუსთაველი თუ რუსთველი „კომუნისტი“, 10. 1. 61); ს. ყაუხჩიშვილი. შოთა რუსთაველი და ჟვარის მონასტერი („მნათობი“, 1961, № 2, გვ. 114—119). ირაკლი აბაშიძე, პალესტინის დღიური, თბილისი, 1961, გვ. 2; შ. ნუცუბიძე, რუსთაველის ცხოვრების მეორე ნახევარი და იერუსალიმის სამეცნიერო ვჭსპედიცია, თბილისი, 1961, გვ. 42; ივ. სურგულაძე, შოთა რუსთაველის პორტრეტის გამო („თბილისი“, 20. 4. 61); დოქტორი ხაიმ ვარდი, საფლავის ძებნაში Christian News from Israel, XI, № 4, იერუსალიმი, 1960; იგივე წერილი ქართულად გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტი“, 19, III, 61); შ. ნუცუბიძე, პასუხაჲ დოქტორ ხაიმ ვარდის („კომუნისტი“, 18. 5. 61); კ. სალია, Les moines et les monastères Géorgiens a l'étranger (Revue de Karthvélologie, VIII—IX, № 34—35, პარიზი, 1960, გვ. 52—54); ე. მეტრეველი, შენიშვნები შოთა მეჭურჭლეთხუცესის ალაძისა და შოთა რუსთაველის ფრესკის ირგვლივ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სმგ მოამბე, 1961, № 3, გვ. 228—254); ეს წერილი ოდნავი ცვლილებით შევიდა ე. მეტრეველის დიდ ნაშრომში — მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, საქ. მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, 1962. ჟვარის მონასტრის ფრესკების საკითხს მიუძღვნა თინათინ ვირსაძემ საინტერესო მოხსენება 1961 წლის აპრილში. მოხსენების ტექსტი, სამწუხაროდ, ჯერ არ გამოქვეყნებულა*. ამაზე აღრე, 1961, წლის იანვარში, იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობის შესახებ სპეციალური მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე გიორგი წერეთელი. ბეჭდურად არც ეს მოხსენება გამოქვეყნებულა.

⁴⁸ აღ. ცაგარელი, Памятники грузинской старины, გვ. 244—245.

⁴⁹ რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტის დათარიღების შესახებ („ლიტერატურული გაზეთი“, 1. 1. 61).

⁵⁰ შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან („საბჭოთა ხელოვნება“, 1961, № 1, 41—48).

რუსთაველის ფრესკის ავტოპორტრეტულობის შესაძლებლობის თვალსაზრისს შესაწყნარებლად თვლის მოსკოვის უნივერსიტეტის ანტროპოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი რეშეტოვი (Ю. Рещетов, Автопортрет Шота Руставели? «Неделя», 1962, № 23, стр. 19). რუსთაველის ფრესკას ავტოპორტრეტად თვლიდა ჟერ კიდევ აკაკი წერეთელი (თბზულებიდან სრულე კრებები, XIV, 1961, გვ. 555).

⁵¹ რუსთაველის ცხოვრების მეორე ნახევარი..., გვ. 25.

⁵² საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სმგ მოამბე, 1961, № 3, გვ. 228—254; როგორც აღვნიშნეთ, ეს ნარკვევი შევიდა მის ნაშრომში „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის“ (ქვემოთ ციტატები მოყვანილია და გვერდები ნაწვევები ნაშრომის პირველი პუბლიკაციის მიხედვით).

⁵³ დასახელებული ნაშრომი, გვ. 230.

⁵⁴ დასახ. ნაშრომი, გვ. 231.

⁵⁵ Поездка в Иерусалим, გვ. 94.

⁵⁶ შოთა რუსთაველი და ჟვარის მონასტერი („მნათობი“, 1961, № 2).

⁵⁷ ე. მეტრეველი, გვ. 232. ამ თარიღს საეწინააღმდეგოდ ადასტურებს და ამაგრებს ალაძა ე. წ. ტიშენდორფისეული ნუსხა, რომელიც თვით ემყარება სვინაქ-

* ახლა ეს ნაშრომი გამოქვეყნებულია (თბილისი, 1973).

სარულ სრულ აღაპებს. ტიშენდორფისეული ნუსხის ძველი ნაწილის ისტორიული რეალიების ანალიზის საფუძველზე ე. მეტრეველი ეპემბიტანლად ასაბუთებს, რომ იქ მოხსენიებულ პირთა ცხოვრების ხანა მე-11—13 საუკუნეებით იფარგლება. ნუსხის ამ ძველ ნაწილში შოთა მექურკლეთუხუცესის ალაპიცი (ე. მეტრეველი, მასალებში იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 18—22).

А жена и дети там—в темнице и оковах.

Александр внял мольбам Давала, поспешил обратно, приступил к длительной и тяжелой битве с воинственными кочевниками. В этой битве особенно отличились грузинские и армянские витязи, в частности, Давал и армянский богатырь Шарве, смелый, отважный и бесстрашный воин. Когда под ударами грозного Джерера смертью храбрых пал Шарве, отомстить за кровь славного армянского собрата выступил Давал, свирепый как «лев-самец», хотя и «на врага выехал с таким радостным лицом, с каким-ребенок из школы выходит на улицу». Ужаснулся и струслил убийца Шарве, но было поздно, «не было ему врат для возврата», со всем удалством бросился он на Давала, но тотчас же с грохотом обрушилась на землю «эта булатная гора», расколота пополам мечом грузинского витязя (стр. 333).

После победы над кочевниками и освобождения из плена Нушабэ, Александр Македонский в знак особого внимания за воинские заслуги вручает руку правительницы Бердаа Мелику Давалу и «установил он между ними брачный союз» (стр. 359).

Неважно, что вся история о походах Александра Македонского в Закавказье, а также, думается, рассказ о Нушабэ и Давале, легендарного происхождения и не соответствует исторической действительности. Собственно говоря, тут явный, но сознательный анахронизм. Низами переносит ко времени Александра Македонского засвидетельствованный исторический факт о нападении кочевников на Бердаа в X веке. Или, наоборот, говоря словами проф. Бертельса, Низами «совершенно сознательно переносит Искандера в свое время, более того, тесно связывает его с Азербайджаном, заставляя его главные подвиги воинской доблести совершить в Бердаа»³. Важно то, что этот исторический анахронизм и все легендарные факты Низами допускает намеренно, с целью показать единство и сплоченность закавказских народов (азербайджанцев, армян и грузин) в отражении завоевательных нашествий внешних врагов. Александр Македонский, этот идеал государственной мудрости и человеческой справедливости, в представлении Низами, естественно, выведен в роли покровителя и защитника Азербайджана, Армении и Грузии в их борьбе за свою народность, государственность и национальную культуру. Пламенный патриот своей страны, родного ему Азербайджана, Низами одновременно был и поборником братства и дружбы соседних с Азербайджаном народов. В частности, по-видимому, не случайно ввел Низами эпизод о бракосочетании Нушабэ и Давала, азербайджанской царицы и грузинского царя. Ведь известно, что в XII веке, во времена Низами, дружественные политические отношения Азербайджана и Грузии отчасти зиждились и на родственных, именно брачных связях между царствующими домами обеих стран.

У Руставели идея дружбы и братства народов раскрывается, так сказать, в универсальном, в межнациональном ас-

³ Вступительная статья к переводу «Искандер-Наме», стр. 23.

пекте. Некоторые весьма авторитетные ученые, такие, как Н. Я. Марр, И. А. Джавахишвили и др., считают, что в поэме Руставели «Витязь в тигровой шкуре» над мотивом возвышенной любви превалирует мотив братства и дружбы. Не разделяя этого мнения, мы, однако, признаем, что в поэме Руставели идея дружбы и братства играет исключительно важную роль, и порой действительно может казаться, что она выступает на первый план. Ведь перу Руставели принадлежит знаменитый афоризм: «Кто друзей себе не ищет, самому себе он враг». Может быть не случайно, что у Руставели крепкими узами дружбы и братства связаны не два (как обычно в средневековых поэмах), а три героя (как и в грузинских песенных сказаниях). «Надо другу ради друга не страшиться испытаний, откликаться сердцем сердцу и мостить любовью путь», — вдохновенно говорит дальше Руставели. Такая дружба героев отнюдь не противопоставлена чувству любви, наоборот, братство и любовь едины и неразрывны, братство — органическая часть или даже порождение сильной, чувственной любви. Герои Руставели побратились на основе всеобъемлющей силы любви, во имя спасения носительницы этого чувства, прекрасной и целомудренной девы Нестан-Дареджан. Остается добавить, что дружба героев «Витязя в барсовой шкуре» носит специфическую форму грузинского народного побратимства.

Величие Руставели состоит и в том, что воспетое в поэме «Витязь в тигровой шкуре» побратимство не ограничивается рамками индивидуальных взаимоотношений славных витязей-побратимов. Братство героев Руставели естественно перерастает в дружбу народов. Араб Автандил, индеец Гариэл и мультгазанзарец Придон были не только личными задушевными друзьями-побратимами, но и связали узами клятвенной дружбы возглавляемые ими народы. Руставелевских героев зоодушевляло единое устремление, единая воля, единая благородная цель. В результате объединенных усилий, они добились желанной победы над страшным злом и произволом. Так Руставели выступает в качестве пламенного певца мужественной, самоотверженной дружбы побратимов и целых народов. Любопытно, что побратимы-герои «Витязя в тигро-

вой шкуре» единодушно действовали не только в годину войн и лихолетья. Даже после окончательной блестящей победы они продолжали крепить старые связи и дружбу. Герои поэмы и в мирное время укрепляли закаленную в битвах и несчастьях нерушимую основу побратимства, добрососедские отношения. И это помогло им добиваться все новых и новых успехов — усилить свое могущество, ликвидировать внешнюю опасность и установить образцовый и справедливый внутренний порядок.

Гений Руставели высоко поднялся над уровнем развития современного поэту общества. Его мысленный взор проник в глубь грядущих веков, и это делало поэта близким передовой общественности каждой новой эпохи, каждого народа. Руставели близок и людям нашего времени, его передовые идеи, в частности, идеи братства и дружбы народов созвучны советской эпохе. Эти идеи зажигают сердца и вдохновляют на великие боевые подвиги наших далеких друзей из героического Вьетнама. Да, да. Я не оговорился. Я имею в виду именно борющийся против американских империалистов и их приспешников героический Вьетнам. В этом отношении весьма и весьма любопытна замечательная статья, появившаяся в газете «Известия» под не менее замечательным заголовком «Руставели в джунглях» (репортаж из Вьетнама, «Известия», 29.2.68).

В этой статье рассказывается о том, как советский журналист на улице Ханоя случайно встретил своего старого друга, научного сотрудника Института литературы Академии наук Вьетнамской Демократической республики, литературоведа Ле Виня, который из-за военного времени проживал и работал в эвакуации в джунглях. А приехал он в столицу, оказывается, на один день за оттиском статьи о Руставели. Разрабатывая тему о героической эпохе и героических образах, Ле Винь, естественно, заинтересовался поэмой «Витязь в тигровой шкуре». В своей статье Ле Винь, по его словам, пишет «о старинном гуманизме, о том, что нам, современным людям, коммунистам, следует больше черпать из древнего кладезя мудрости». «Как эта строка по-русски?» — спросил Ле Винь советского журналиста и, не дожидаясь ответа, сам

же процитировал наизусть известный афоризм Руставели «Кто себе друзей не ищет, тот с собой враждует сам». «Вот этой строкой и заканчиваю (статью)», — заметил вьетнамский литературовед и многозначительно заключил: «Это относится и к отдельным людям, и к целым народам». Сказано кратко и метко. Да, поэма Руставели «Витязь в тигровой шкуре» идейно вооружает и вдохновляет вьетнамских друзей, вынужденно проживающих в труднейших условиях, работающих в джунглях.

Руставели в джунглях — не экзотика, а сущая быль!

Из-за превратностей исторической судьбы нашим предкам не суждено было полностью раскрыть свой богатый духовный мир. Вскоре начались опустошительные нашествия монголо-татарских орд. Под жестокими ударами свирепых завоевателей первой пала Армения. Затем настала очередь Грузии. Именно это обстоятельство имел в виду признанный вождь национально-освободительного движения Грузии XIX века Илья Григорьевич Чавчавадзе, когда писал: «Мы отлично знаем, что несчастья Грузии начались с того злополучного дня, когда пала Армения — этот наш ископный оплот, стена со стороны юга... Не стало Армении — и ворота со стороны юга остались открытыми для вторжения врагов в Грузию».

В продолжении многих веков грузины и армяне (а заодно с ними азербайджанцы), мужественно отражая все новые и новые волны вражеских нашествий со стороны кызылбашского Ирана и турок-османов, все же выдержали эту неравную борьбу, сквозь огненный шквал исторической жизни честно и незапятнанно пронесли они священное знамя своей народности и оригинальной культуры. Отстоять свою национальную честь и достоинство помог нам благородный русский народ, которого, кстати, в блистательных стихах воспел еще Давид Гурамишвили (1705—1791). Говоря словами великого армянского поэта Ованеса Туманяна, армяне и грузины в продолжении многих веков «вместе страдали... вместе мучились, вместе боролись за свое будущее и вместе призвали (на помощь) русских». Примерно так оценивали

нашу историческую судьбу и бессмертные Илья Чавчавадзе, Акакий Церетели, Габриэл Суцдукян, Мирза Фатали Ахундов. А прославленный народный поэт и ашуг Саят-Нова и жизнью и творчеством непосредственно символизировал дружбу наших трех народов.

Великие предки завещали нам, грузинам, армянам и азербайджанцам, лучше знать друг друга, глубоко уважать и любить друг друга, как зеницу ока охранять освященную веками традиционную дружбу и вместе бороться за светлое будущее человечества.

ვაჟა-ფშაველას რუსთველოლოგიური ნააზრევნი

თავისივე მოწმობით, ვაჟა-ფშაველა ადრითგანვე იწვრთნებოდა ძველ-ქართულ კლასიკურ მწერლობაზე, უწინარეს ყოვლისა. რუსთველის ვეფხისტყაოსანზე. ავტობიოგრაფიულ წერილში „ჩემი წუთისოფელი“ ვაჟა ამბობს: „რვა წლამდე ვიზრდებოდი ძველ წიგნებზე: ვეფხისტყაოსანი, მზე-ჭაბუკისა და ჭიმშედის ამბავი (ესე იგი, ამირანდარეჯანიანი და რუსუდანიანი — ა. ბ.) შეიქმნა ჩემ საყვარელ საკითხავ წიგნებად; ერთხელ წაკითხვას როდი ვჯერდებოდი, რამდენჯერმე უნდა ერთი და იგივე გადამეკითხა“¹. პოეტი აღიარებს, რომ მას იტაცებდა ძველი ქართული მწერლობის საგმირო ამბები, „სწორედ ის ხანა დაედვა საძირკვლად, ლიბოდ, ჩემს შემოქმედებასო“ (იქვე, 513). ამგვარი აზრი გატარებულია ვაჟა-ფშაველას სხვა ნაწერებშიც, „სიყმაწვილის შთაბეჭდილებათა ბრალია, რომ შექსპირებმა და რუსთაველებმა გაგვაგონეს ხმები „გულისა გასაგმირონიო“, შენიშნავს ნარკვევში „ნიჭიერი მწერალი“ (VII, 312). ქართული პოეზიის სწორუპოვარ ოსტატებად ვაჟა-ფშაველა თვლიდა შოთა რუსთაველს და დავით გურამიშვილს, „დაგვისახელონ ვინმე... მსგავსი შოთა რუსთველისა და დავით გურამიშვილისაო“ (VII, 253).

ვაჟა-ფშაველამ განიცადა შოთა რუსთველისა და დავით გურამიშვილის ზემოქმედება. ამგზობის ჩვენ გვიანტერესებს ვაჟა-ფშაველას საკუთრივ რუსთველოლოგიური შეხედულებანი და ვეფხისტყაოსნის გამონატულება მის სამეცნიერო-კრიტიკულსა და პუბლიცისტურ ნაწერებში. ვაჟა ხშირად იმოწმებს ვეფხისტყაოსნის ციტატებს, იყენებს ვეფხისტყაოსნის ტექსტებს საანალოგიოდ

¹ ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზულებანი, აღ. აბაშელის რედაქციით, ტომი მე-ხუთე, 1936 წ. გვ. 512. ქვემოთაც ყველგან მითითებულია ვაჟა-ფშაველას თხზულებათა აბაშელისეულ გამოცემაზე (I—VII ტომები, თბილისი, 1946—1956).

და საილუსტრაციოდ თავისი ამა თუ იმ მოსაზრების გასამაგრებლად თუ გასათვალისწინებლად. მაგალითად, ფშაველი ქალების საქმიანობის დახასიათებისას ვაჟა შენიშნავს: (VII, 9): „ყველა ეს ხელობა ძველს დროში ჩვენს ქალებს ზეცოდნიათ, რადგან რუსთაველს მოჰყავს ამის დამამტკიცებელი, ცხოვრებიდან ამოგლეჯილი სურათი, როდესაც ის ადარებს მხდალს, ლაჩარს კაცს ქსლის მბეჭველს დედაკაცს:

კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცა ქსლისა მბეჭველსა!

„ცუდისა და უკეთურებისაგან უკეთურების მეტს რას უნდა მოველოდეთო, კითხულობს ვაჟა და იმოწმებს რუსთველის ცნობილ აფორიზმს „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“ (VII, 230). ვაჟა აღწერს ხევსურს, რომელიც ადრე ლომი-ვაჟაკი ყოფილიყო, მაგრამ ცხოვრებას გაეტეხა, და ამბობს: „სწორედ ამაზედ ითქმობდა შოთას სიტყვები: „ანუ ეგრე რამ დაგლია ანუ პირველ რამ აგავსო“ (VII, 398). სხვაგან ირონიულად შენიშნავს, თუ დიაკნებს დაუეჭვრებთ, იმათი წყალობით „თხა და მგელი ერთად მოსძიოს და დამყარდება კაცთა შორის სათნოება და სიყვარული“ (VII, 286). თავის წერილს „უმაღლური გამომცემელი“ ვაჟა ასე იწყებს: „ნათქვამია: „ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“ (VII, 303). ეტყობა, აქ და ზოგან სხვაგანაც ზეპირად არის ციტირებული რუსთველის სიტყვები. დამოწმებული ტაეპის „უთქმელობას“ ნაცულად ვეფხისტყაოსანში იკითხება „არა-თქმასა“ („ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“, 751, 3.).

ვეფხისტყაოსნის საკითხებს ვაჟა-ფშაველა გაკვრიტ ხშირად ეხება თავის სხვადასხვა ხასიათის წერილებში, საგანგებოდ კი რუსთველოლოგიურ პრობლემატიკას მან მიუძღვნა ორი სპეციალური ნარკვევი: 1. ვეფხისტყაოსნის შესახებ (ორიოდე სიტყვა პასუხად ბ—ნ ა. ხახანაშვილს)², 2. ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ³. მეორე ნარკვევის ნაწილია ვაჟა-ფშაველას წერილი „ჩემი პომეების შესახებ“⁴, რომელსაც ახლავს გამომცემლის შენიშვნა: „გამოუქვეყნებელი თავი წერილიდან „ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ“.

² თხზულებანი, VII, გვ. 180—186.

³ ი ქ ვ ე, გვ. 315—330.

⁴ ი ქ ვ ე, გვ. 331—336.

ვაჟას პირველი რუსთველოლოგიური წერილი გამოქვეყნდა 1890 წელს, მეორე — 1911 წელს. პირველი წარმოადგენს ალ. ხანაშვილის იმ წერილის პასუხს, რომელიც 1890 წელს დაიბეჭდა — „ხალხში დარჩენილი ტარიელის ამბავი და შოთას ვეფხისტყაოსანი“ („ივერია“, 1890. № 25). ა. ხანაშვილს ვაჟა უწუნებდა კვლევის მეთოდს. მკაცრად აკრიტიკებდა მის მოსაზრებას, ვითომც თავისი პოემის წყაროდ რუსთველმა აიღო ხალხში გავრცელებული თქმულება ტარიელზე (ტარიელიანი). იგი ამტკიცებს, რომ რუსთველის ვეფხისტყაოსანი ზეპირის გზითაც გავრცელდა ხალხში. ხალხს ზოგი რამე დაურთავს ლიტერატურული ძეგლისათვის. გადაუყეთებია, გადაუსხვაფერებია და ზოგ შემთხვევაში დაუმახინჯებია კიდევაც დიდებული პოემის ცალკეული ადგილებიო. ვაჟა-ფშაველას მოჰყავს ლიტერატურული და ხალხური („საერო“) ვეფხისტყაოსნის პარალელური ნაწყვეტები და მათი შედარების შედეგად გამოაქვს უკვე მოყვანილი დასკვნა. სანიმუშოდ დავომოწმებთ ვაჟას მიერ საილუსტრაციოდ მოხმობილ ერთ მაგალითს (VII, 185):

ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო :

უბრძანა: ზელთა აიღეთ
 აბჯარი თქვენ საომარე,
 მოღით და აქა მამკვარეთ,
 ვინ არის იქა მკდომარე.

ს ა ე რ ო :

ადექით, აოყარეთ,
 მმანო ედემ და ომარე,
 ის კაცი აქ მომეყვანეთ,
 ვინ არის ველთა მდგომარე.

მოხმობოლი მაგალითის გამო ვაჟა წერს: „საეროში (ე. ი. ხალხურში, — ა. ბ.) მართო უცხო სახელებს ვხედავთ, „ედემ და ომარე“, რომელიც უფრო იმას ამტკიცებს, რომ ხალხს დაეიწყებია დედნის: „აბჯარი თქვენ საომარე“ და ნაცვლად ამისა ჩაუჩხირავს „ედემ და ომარე“ სტრიქონის შესავესებლად, და კიდევ იმას. რომ ლიტერატურული ვეფხისტყაოსანი წინათ ყოფილა გავრცელებული ხალხში, ხალხს შეჰყვარებია პოემა და, რაც დაჰვიწყებია პოემიდან, ის თითონ უკეთებია და უმატებია“.

ვაჟა-ფშაველა არღვევს ალ. ხახანაშვილის ძირითად დებულებას ვეფხისტყაოსნის ხალხური ტარიელიანიდან წარმოშობის თაობაზე. ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისი შემდეგდროინდელმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა და გაამართლა⁶. ვეფხისტყაოსნის ტარიელიანიდან წარმოშობის თეორიას დღეს თითქმის აღარავინ არ იზიარებს.

აღნიშნულის მიუხედავად, ვაჟა-ფშაველა, რასაკვირველია, პრინციპულად არ უარყოფდა ვეფხისტყაოსნის ხალხურ საწყისებს. ამ მხრივ საყურადღებოა მისი პოლემიკური წერილი „კრიტიკა ბ. იბ. ვართაგავასი“, რომელიც 1914 წელს გამოქვეყნდა (II, 449—458). საკუთარი შემოქმედებითი პრაქტიკის გათვალისწინების საფუძველზე ვაჟა იმ აზრს ავითარებს, რომ შესაძლებელია პოეტმა გამოიყენოს ხალხური თქმულება თუ სხვა რამ მისი მსგავსი წყარო, მაგრამ „თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულეერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადულა, მასალებიდან ახალი რამ არ შექმნა... არაფერი გამოვა, ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვნის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება“ (III, 450). სანიმუშოდ ვაჟა ასახელებს მსოფლიო ლიტერატურის კორიფეებს შექსპირსა და გოეთეს, და შენიშნავს: „ესევე ითქმის დიდებულს შოთაზე და მის ვეფხისტყაოსანზე“ (III, 450). რა თქმა უნდა, ამით ვაჟა-ფშაველა ოდნავაც არ თმობს თავის პოზიციებს და ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ნასესხობის თეორიას არ უჭერს მხარს. ვაჟა აქ მხოლოდ ზოგადი თეორიული ასპექტით წყვეტს ამ კითხვას. ვეფხისტყაოსნის სიუჟეტს, ამბავს ანუ არაკს იგი წმინდა ქართულ მოვლენად თვლის და ამის დასაბუთებას გვაძლევს ზემოთ დასახელებულ ნაშრომში „ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ“.

„ფიქრების“ მთავარი საგანია ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ორიგინალობის პრობლემა. ვაჟა აღნიშნავს, რომ რიგმა მკვლევარებმა „ჩაიგდეს ვეფხისტყაოსანი ხელში და სწეწენ აღმა-დაღმა, გარდიგარდმო და სცილილობენ, როგორც იქნება, დაგვიმტყიცონ მისი სპარსულობა, „ობიექტიურობაც“ განამტყიცონ. „სიუჟეტი მაინც შოთას სპარსულიდან აქვს ნასესხებიო“ (VII, 318)⁶. ვაჟას სიტყვით, „ჩვენი მკვლევარნი აღარ გასცდნენ დედნის ასოებს, — დაუწყეს ლექა იმასაც, რაც ამოიკითხეს [„ესე ამბავი სპარსული ქარ-

⁶ ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთაველი, თბილისი, 1958, გვ. 301—309.

⁷ ვაჟა-ფშაველას მხედველობაში ჰყავს ნ. შარი, მოყვანილი ციტატიც მარისაა.

თულად ნათარგმანები...“]... აქ გაიყინა იმათი კვლევა-ძიება“ (იქვე). ამის შემდეგ ვაჟა-ფშაველა სვამს შესანიშნავ კითხვას და თვითონვე იძლევა ამომწურავ პასუხს. სათანადო ტექსტი მოგვეყავს მთლიანად (VII, 318—319): „ვეფხისტყაოსნის კრიტიკოსებმა თავდაპირველად რატომ ეს არ იფიქრეს, რომ თუ ვეფხისტყაოსნის არაკი მართლა სპარსულია, ამისთანა შინაარსიანს არაკს გამლექსავი, დამწერი, თვით სპარსეთშიაც ბევრი აღმოუჩნდებაო, რადგან მგოსნები, პოეტები, როგორც მე-11 საუკუნეში, ისე მე-12-ში, სპარსეთს აუარებელი ჰყავდა. როგორ მოხდა, რომ ქართველმა საქართველოდან იბოვნა ეს ამბავი სპარსეთში, ხოლო სპარსელებმა კი ველარ თავის მშობელ ქვეყანა — სპარსეთში? ნუთუ დიდებული ფირდოუსი (მე-11 ს.), შაჰნამეს ავტორი, ამგვარ არაკს გაუშვებდა ხელიდან? ან თუ სპარსელ ხალხში იყო ეს თქმულება, როგორ შეიძლება ასეთი შესანიშნავი ზღაპარი ისე ჩაკედა, ისე დაიკარგა, რომ მისი ნატამალი აღარსად დარჩა? შეუძლებელია ყოვლად და. მაშასადამე, იმის პოვნა, რაც არ არსებობს, წარმოუდგენელია. არ ვიცი ბ. მარრი და კომპ. საიდან იბოვნიან ამ არა-არსებულს?...“

საკითხის ამგვარად დასმითა და მისი მახვილგონივრული გადაწყვეტით ვაჟა-ფშაველამ ძირი გამოუთხარა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის სპარსულიდან მომდინარეობის თეორიას და მეცნიერულად დაასაბუთა მისი ორიგინალობა. ვაჟამ ნამდვილად აღმოაჩინა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ნასესხობის გამაბათილებელი ურყევი საბუთი. თანამედროვე რუსთველოლოგიური მეცნიერება მთლიანად იზიარებს ვაჟა-ფშაველას პრინციპულ მოსაზრებასაც და მის საბუთიანობასაც.

ამრიგად, ვაჟამ დამარწმუნებლად გადაქრა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ორიგინალობის პრობლემა. მაგრამ მან მაინც მეცნიერული სიფრთხილე არჩია და თავისი მსჯელობა ასე განაგრძო: „აღმოჩენა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტისა სპარსულ ლიტერატურაში თუ სპარსულ ხალხურ ზეპირგადმოცემაში, სრულებითაც არ დაამტკიცებს იმას, რომ ვეფხისტყაოსანი არ არის ორიგინალური. ღრმა ეროვნული ნაწარმოები“ (VII, 319). საილუსტრაციოდ ვაჟა იმოწმებს „ლეგენდას ფაუსტზე“, განა ამ ლეგენდას „ცოტა ავტორები ჰყავდნენო, კითხულობს. ვაჟას მოსაზრებათა თანახმად, „ლეგენდა, ზღაპარი თესლია მხოლოდ“, „თუ გიოტე არ ყოფილიყო, არც დღევანდელი „ფაუსტი“ ექნებოდა კაცობრიობას“ (VII, 319—320). „მაშასადამეო, — ასკვნის ვაჟა-ფშაველა, — თავი და თავი ავტორი ყოფილა და არა ლეგენდაო“.

ეს ფრთხილი მეცნიერული მსჯელობა ვაჟას იმისათვის კი არ გაუმართავს, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის შესაძლებელი ნასესხობის გარემოება აეხსნა. არა! ვაჟა სრულიად გადაჭრით იმ აზრს ადგას, რომ რუსთაველის პოემის „არაკი“ ქართულია და ნასესხობის არავითარი ნიშანწყალი არ ემჩნევა. ვაჟა იზიარებს იმ შეხედულებას, რომ ვეფხისტყაოსანი ალეგორიული ხასიათის ნაწარმოებია, სადაც მკაფიოდ და გამკვირვალედ ასახულია მე-12 საუკუნის საქართველოს ისტორიული სინამდვილე. ვაჟა გადაჭრით ამბობს: „არავითარი ეჭვი არ უნდა გვქონდეს იმაში, რომ ვეფხისტყაოსნის არაკი ნამდვილი ამბავია, მომხდარი საქართველოში. ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტანდარეჯანი, თინათინი და სხვა და სხვა ისტორიული პირები არიან გადასხვაფერებულის სახელებით“ (VII, 321). მართალია, აღნიშნავდა ვაჟა, „რუსთაველი ვეფხისტყაოსნის არაკს სპარსულიდან ნათარგმნს ეძახის“ (321), ან და „ავტორმა ვეფხისტყაოსანი სპარსულად მონათლა“ (იქვე, 322), თუ „სპარსულად გადააქცია“ (326). მაგრამ ეს მან ჩაიღინა შეგნებულად, „განგებ“ (იქვე, 326), „რათა ის ნამდვილად მომხდარი ამბავი დაგვიხატოს, რომლის მოწამეც თავად არის, რაც მეფე თამარს და მის მეუღლეს შეეხება“ (320). ვაჟას მოსაზრებით „თავის ნაწარმოებს [რუსთველი] უძღვნის თამარს მეუღლითურთ“, ხოლო „სჩანს ამ ამბის გამომქდავენება არ ესია მოვენებოდათ თამარს და მის მეუღლეს, რომელთაც უძღვნის ვეფხისტყაოსანს“ (იქვე, 321).

მოყვანილი ახსნა-განმარტებით ვაჟა-ფშაველა უახლოვდება იმ თვალსაზრისს, რაც თანამედროვე რუსთველოლოგიაში სიუჟეტური შენიღბვის თეორიის სახელით არის ცნობილი⁷. თავისი პოემის არაკის შენიღბვა რუსთველს ალბათ იმისათვის დასჭირდა, რომ ვაჟას ვარაუდით, ავტორს პოემის მთავარ გმირად, „ტარიელად თავისი თავი ჰყავს წარმოდგენილი და ან კიდევ თავის მდგომარეობას ამსგავსებს, უერთებს ტარიელისას“ (იქვე, 323)⁸. საკმარისად გამკვირვალე სხვადასხვა მიზეზის გამო რუსთველი იძულებული გამხდარა შენიღბულიყო და ვეფხისტყაოსნის არაკი ანუ ამბავი

⁷ ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 48—50.

⁸ პ. ინგოროყვას შეხედულებითაც, ვეფხისტყაოსანში პოეტური ასპექტით ასახულია თვითონ რუსთველის (ტარიელის) და თამარის (ნესტანის) ცხოვრებისა და ურთიერთობის ამბები (პ. ინგოროყვა, შოთა რუსთველი, თბილისი, 1938).

(ესე იგი, სიუჟეტი, ფაბულა) სპარსულად გაესაღებინა (იქვე, 321).

ვაჟა-ფშაველა არსებითად ასევე წყვეტდა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის საკითხს უკვე პირველ წერილში, 1890 წელს. იგი მაშინაც ამბობდა, რომ რუსთველი გვიხატავს მის „თანამედროვე ეპოქას, ოქროს საუკუნეს, რომელიც იალბუზივით ქედ-მოდერებული სდგას მთელს საქართველოს ისტორიაში“ (VII, 181). „საკმაოდ გამორკვეულია და ვიცი თუ ვინ იყო იმისი ზელმქმნელი; ისიც კარგად ვიცი, თუ რად დაუძახა სპარსული ტარიელის ამბავს“, შენიშნავდა ვაჟა და ურთავდა: „ამ ამოცანას უნდა გამოცნობო (იქვე). ეს ამოცანა კი გამოცნობილად განმარტა დიდებულმა პოეტმა-რუსთველოლოგმა თავისი უკვე განხილული მეორე წერილით. საგულისხმოა, რომ პირველ წერილში ვაჟა ასეთი სიტყვებით მიმართავდა რუსთველს: „რად ეძახი, შოთავ, ტარიელის ამბავს სპარსულს, როცა ეს ამბავი ქართულია და ყველამ იცის ჩვენგანმა“ (იქვე, 181).

ყოველივე ზემოთქმული აშკარად ცხადყოფს, რომ ვაჟა-ფშაველა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტს სრულიადაც არ თვლის ფაუსტის სიუჟეტის ანალოგიურ მოვლენად. ვაჟა იზიარებს და ავითარებს ვახტანგ მე-6-ის მიერ წამოყენებულ დებულებას, რუსთველმა „ამბავიც თვითონ გააკეთა და ლექსადაც თვითონ გააწყო“.

სხვათა შორის, ვაჟა-ფშაველამ ერთმა პირველთაგანმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ვეფხისტყაოსანში განვითარებული „პარამ-ხანის უარმყოფელი“ იდეა ქალისადმი პატივისცემისა და ამაღლებული, ზნეფაქიზი, თავისუფალი სიყვარულისა „შეუძლებელი იყო აღმოცენებულიყო მაჰმადიანთა გულ-გონების ნიადაგზე“ (VII, 326). ვაჟა ამასთან ამბობდა: „განა ვისმე თავში გაუელეებს, რომ ნესტანდარეჯანი ქართველი ქალი არ იყოს?“ (იქვე). საზოგადოდაც, ვაჟას დაკვირვების თანახმად, ვეფხისტყაოსანში „ისეთი სუნი ტრიალებს, ერთ მოქმედ პირზედაც ვერ იტყვი, ქართველი არ არისო“ (იქვე).

ვაჟა-ფშაველამაც სასტიკად დაგმო ნ. მარის აღრინდელი ნაჩქარევად შედგენილი წერილი, რომლითაც ახალგაზრდა მკვლევარი იუწყებოდა, თითქოს ბრიტანეთის მუზეუმში დაცული იყო ვეფხისტყაოსნის სპარსული დედანი („თეატრი“, 1890, № 12). როგორც ცნობილია, ნ. მარის ვარაუდი არ გამართლდა, მან ვეფხისტყაოსნის ვერავითარი უცხოური ნაკვალევი ვერ მოიპოვა. მაგრამ მაინც არ გატყდა, უკან არ დაიხია და დაჟინებით განაგრძობდა აჩემებულ

ქიშკის ძეგნას. ვაჟა ამის გამო ირონიულად შენიშნა: „ბ. მარმა ამ ოცი წლის წინათ ამცნო ქვეყანას, რომ მას ვითომ ბრიტანიის მუზეუმში ენახოს სწორედ ვეფხისტყაოსნის მსგავსი ნაწარმოები. ველით დღეს-ხვალობით ბ. მარრისაგან დაპირებულს ძღვენს, მაგრამ არ იქნა ვერ ველირსენით, ან რას უნდა ველირსით, როცა არსად არაფერი მოიპოვება?!“ (VII, 331). „მე ორგულობას, ჩვენდამი მტრობას, განზრახ სიმართლის დამახინჯებას ვერავის შევწამებო“, წერდა ვაჟა-ფშაველა, ოღონდ ვერც უკადრისს საქციელს მივიწონებთო, დასძენდა (იქვე.) 315).

ვაჟა-ფშაველას მოხდენილი და სამართლიანი სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსთველის პოემაში სიყვარულის გრძნობა ისე „უმწვერვალეს წერტილამდეა ასული, ისე მალა, რომ არც ერთს მსოფლიო პოეტს ასე ძლიერად, ასე მშვენიერად არ დაუხატავს უუდიდესის სიყვარულის თვისება და ხასიათი“ (VII, 329). უკვე ეს დასკვნაც იქნებოდა საკმარისი ვეფხისტყაოსნის განუმეორებელი ორიგინალობის დასამტკიცებლად.

საინტერესო შენიშვნები აქვს ვაჟას გამოთქმული ვეფხისტყაოსნის ტიპაჟის თაობაზე. მისი სიტყვით, რუსთველს „შეუქმნია „დიდებული ტიპები“, რომლებიც ვითარცა „მზენი და მთვარენი წარსულ დროთა და საუკუნეთა წყვდიადიდან გვინათებენ“ ჩვენ (VII, 373). უწინარეს ყოვლისა ესენია ტარიელი და ნესტანი, ავთანდილი და ფრიდონი. ვაჟას სავსებით სწორედ აქვს გაგებული და დახასიათებული ვეფხისტყაოსნის რთული, ცენტრალური პერსონაჟის, ტარიელის „დიდბუნებოვანობა და მისი ბუნების მსგავსება“ (იქვე, 375).

საგანგებოდ ჩერდება ვაჟა-ფშაველა ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიურ საკითხებზე. ვეფხისტყაოსნის „გამქიქებელთა“ შორის იგი ეხება იმ მკვლევართ, რომელნიც ვითომ არიან პოემაში „ყალბი ადგილების აღმომჩენნი“ და „რომელთაც მართლაც და ყალბ ადგილებს წიხლითა და ქისტის ცემით ნამდვილი პოეტის გონების და გრძნობის ნაჟურიც ზედ მიაყოლეს“... (VII, 331). ციტირებული ნაწყვეტიდანაც ჩანს, რომ ვაჟა საერთოდ არ უარყოფს ვეფხისტყაოსანში ყალბი ადგილების ანუ ინტერპოლაციების არსებობას, ოღონდ უსაფუძვლოდ თვლის ვეფხისტყაოსნის საუკეთესო სტროფების ხელაღებით ყალბად აღიარებას და მათ გაძევებას პოემის ტექსტიდან. ვაჟა ამბობს, რომ ერთმა მკვლევარმა (ვგონებ, მხედველობაში უნდა ჰყავდეს ალექსანდრე სარაჯიშვილი) პოემაში „ყალბი ადგილები აღმოაჩინა, რაც მართალია, მაგ-

რამ თავი ვერ შეიკავა და ყალბს ადგილებს ნამდვილი რუსთაველის დაწერილი ტაეპებიც ზედ მიაყოლა“ (იქვე, 316). მეორე განმაქიქებელმა კი „სრულიად უარპყო ვეფხისტყაოსნის წინა და უკანა-სიტყვაობა“ (იქვე). ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, იგულისხმება მკვლევარი და ვეფხისტყაოსნის გამომცემელი დავით კარიჭაშვილი, რომელმაც მართლაც ყალბად გამოაცხადა პოემის მთელი პროლოგ-ეპილოგი.

ვაჟას მშვენიერად აქვს გაანალიზებული ვეფხისტყაოსნის პროლოგი. ვაჟა აღნიშნავს, რომ რუსთველი თავისი პოემის შესავალ ნაწილში ბუნებრივად მსჯელობს „ხელოვნების თეორიის“ საკითხებზე და „ამ თეორიის ლექციას თანამედროვე პოეტებსაც უკითხავს“ (VII, 322). ასევე ბუნებრივად რუსთველი პროლოგშივე „თავის აზრს ამბობს მოლექსეობის შესახებ“, განმარტავს მიჯნურობის ბუნებასა და ხასიათს (იქვე). „ნუთუ შეუსაბამოდ უნდა ჩავთვალოთ ის გარემოება, — კითხულობს ვაჟა, — რომ რუსთაველი აცხადებს საჯაროდ და თანამედროვე მგოსნებს უთითებს იმ მიჯნურობაზე, რომელიც თავად სწამს და ნამდვილ მიჯნურობად მიაჩნია?“ (იქვე, გვ. 323—324). დასასრულ, ვაჟა-ფშაველა მეცნიერული დამარწმუნებლობით ამტკიცებს, რომ შოთა რუსთველს პოემის შესავალში „უსათუოდ უნდა ეთქვა თავისი *pro domo sua*, თავისი შეხედულება მოლექსეობაზე, მიჯნურობაზე, მეგობრობაზე, დაესახელებინა სულისდგმა თავის გენიისა“ (იქვე, 324). ვაჟას მოსაზრებათა თანახმად, პროლოგში ტრადიციისამებრ უნდა ყოფილიყო „მიმართვა ღეთისადმი, აგრეთვე დამწერის. თუ მთარგმნელის ვინაობის გამომჟღავნება“ (იქვე, 323). ერთი სიტყვით, ვაჟა-ფშაველას საუცხოოდ აქვს განჭვრეტილი ვეფხისტყაოსნის პროლოგის იდეურ-სტრუქტურული ხასიათი და სრულიად მართებული დასკვნები აქვს გამოტანილი პროლოგის შინაარსზე და კომპოზიციასზე. თანამედროვე რუსთველოლოგია სავსებით იზიარებს ვაჟა-ფშაველას ამ მოსაზრებასაც. როგორც აღვნიშნეთ, ვაჟა არ გამორიცხავს პროლოგში ინტერპოლაციების არსებობას, მაგრამ მას მეცნიერული სიზუსტით აქვს მოხაზული პროლოგის საერთო სტრუქტურული სქემა და გარკვეული მისი იდეურ-მხატვრული რაობა. ვაჟა სკეპტიკოსებსაც არწმუნებს, რომ „ასე მკვეთრად, ლამაზად და მოხდენით მართო რუსთაველი იტყოდა და სხვა ვერაინ. შეუსაბამობას წინასიტყვაობაში ჩვენ ვერაფერს ვხედავთ, როგორც ზოგიერთები ხედავენ. მთლიანად კლასიკური ფორმაა დაცული წინასიტყვაობაში“ (იქვე, 323).

ვაჟა-ფშაველა აღტაცებაში მოუყვანია ვეფხისტყაოსნის ერთ უბრწყინვალეს ეპიზოდს „მბობა ტარიელისაგან ლომ-ვეფხის დახოცისა“. ვაჟა აღნიშნავს, რომ რუსთველმა ამ ეპიზოდით „უმწვერვალესი სიმალლიდან გამოსახა სიყვარულის უძლეველი გრძნობა, „არც ერთს მსოფლიო პოეტს ასე ძლიერად, ასე მშვენიერად არ დაუხატავს უუდიდესის სიყვარულის თვისება და ხასიათი. ამისთანა დიდებულს სურათს ვერც ერთი გენიოსის ნაწარმოებში ვერ იპოვით“ (იქვე, გვ. 329) „ლომ-ვეფხის დახოცის“ ამბავს ვაჟა განიხილავს როგორც დიდი ფილოსოფიური სიბრძნით აღბეჭდილ უბადლო პოეტურ ქმნილებას. თვითონ უბადლო შემოქმედი გულისტყვილით დასძენს: ჩვენ კი ამისთანა მარგალიტებს არაფრად ვაგდებთ, ნაგავს ვაყოლებთ და სანაგვეზე გავვაქვს, როგორც „ინტერპოლიატორული“ რამ უვარგისობა“ (იქვე, გვ. 330).

ვაჟა-ფშაველა არ ივიწყებს ვეფხისტყაოსნის არც ენობრივ-მხატვრულ მხარეებს. იგი საზოგადოდ იმ აზრისა იყო, რომ: „ხალხი, ერი დედაა ენისა“ (VII, 176), რომ „ენას ფესვები წარსულს დროში აქვს გადგმული“ (იქვე, 176) და რომ ერის ღვიძლი შვილი დიდი მწერლები გამოხატავენ ენის სიდიადესა და სიმშვენიერეს. ძველი საქართველოსათვის ამ მხრივ სანიმუშონი არიან რუსთველი და გურამიშვილი (VII, 226). რუსთველის ენა „წმინდა ხალხურია“ (იქვე, 324), მე-12 საუკუნის დიდებული ქართველი პოეტი იყო „ხალხის შვილი, ხალხიდან გამოსული, ხალხურად მთქმელი“ (იქვე, 323), ქართული პოეტური კულტურის უმაღლესი მწვერვალი, ქართული ლექსის დიდი „რეფორმატორი“ (იქვე, 324). რუსთველი „ჩვენი პოეზიის და ეროვნების დედაბოძია“ (VII, 18), მისი მაღლიანი სიტყვით ჩვენი დამატკბობელი (VII, 193, 281). „ვეფხისტყაოსანში, — ასკვნის ვაჟა, — ყველაფერი ბუნებრივია, მთელი სხეული და მისი სული და გული“ (VII, 375).

ვაჟა-ფშაველასთვის, ისე როგორც ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, იაკობ გოგებაშვილისა და საზოგადოდ მე-19 საუკუნის ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთათვის, რუსთველის „ვეფხისტყაოსანი წარმოადგენდა იმ უბადლო მხატვრულ ძეგლს, რომელსაც უნდა დაესაბუთებინა ქართველი ერის კულტურული მოწიფულობა, სოციალური თავისუფლებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის

კანონიერი უფლებები⁹. ვაჟა-ფშაველას არაჩვეულებრივი სიძლიერითა და მოხდენილობით აქვს დახასიათებული ქართველი ერისათვის ვეფხისტყაოსნის ეს მარად შთამაგონებელი და მასულდგმულებელი მნიშვნელობა. შოთა რუსთველი — ამბობს ვაჟა-ფშაველა — „ღვიძლი შვილია თავის ერისა, მისი სულის, სისხლის და ხასიათის წარმომადგენელი, რომელშიაც მთელ ერს, მის კულტურულ ავლადიდებას, როგორც ფოკუსში, მოუყრია თავი; იგი იმავე დროს სარკეა თავის ერისა, არა ჩვეულებრივი, არამედ ცოცხალი. მისი ნაწარმოებიც მუდამ ცოცხალია, სადაც იგი თავის-თავსა ჰხედავს, თავის „მეს“, თავის ვინაობას“ (VII, 316). კიდევ მეტი, ვაჟა-ფშაველას სიტყვით, შოთა რუსთველი ერის ცოცხალი სიმბოლოა, მისი უკვდავების გამომხატველი, „შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე ვეფხისტყაოსანი“ (VII, 316).

ამიტომაც უკვდავია შოთა რუსთველი და უკვდავია მისი ქმნილება. „ვიდრე ბუნებაა თავის ძალით მმართველი კაცთა სიცოცხლისა, ვეფხისტყაოსანიც იქნება ჩვენთვის გონების მმართველი“ (VII, 375).

⁹ ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 385.

შენიშვნები მე-12 საუკუნის ქართველ მხრობებითა შესახებ

დღემდის გრძელდება კამათი ე. წ. აბდულმესიანის ქების საგნის თაობაზე. როგორც ცნობილია, ტრადიციული შეხედულებით, აბდულმესიანში შექებული უნდა იყვნენ თამარი და მისი მეუღლე დავით სოსლანი. ნ. მარის თვალსაზრისით, აბდულმესიანი წარმოადგენს დავით აღმაშენებლის ხოტბას, კ. კეკელიძის კონცეფციით, აბდულმესიანის ავტორი ამკობს ორ გვირგვინოსანს — დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს. შ. ნუცუბიძის ვარაუდით კი — აბდულმესიანი აწინდელი სახით არის ორი დამოუკიდებელი სახობო ძეგლის შექანიკური შერწყმა: ერთია საკუთრივ აბდულმესიანი, სადაც შექებულია დავით აღმაშენებელი, ხოლო მეორე ქება თამარისა და დავით სოსლანისა.

თავის დროზე ჩვენ შევეცადეთ დაგვესაბუთებინა ტრადიციული შეხედულების სისწორე¹. ჩვენ ვრცლად განვიხილეთ და გავაკრიტიკეთ ნ. მარის თვალსაზრისი. ჩვენ ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად გვეჩვენებოდა აბდულმესიანის 98-ე სტროფის მარისეული ანალიზი იქიდან გამომდინარე შორს მიმავალი დასკვნებით. ჩვენ ვწერდით: „ტექსტის (ლაპარაკია 98-ე სტროფის ტექსტზე) სწორი გააზრება დამოკიდებულია პოეტის მიერ დასახელებული პერსონაჟების ამოშიფრვის ხასიათზე. ყველა პერსონაჟის ამოშიფრვა კი არ ხერხდება. ამიტომაც უმჯობესია სიფრთხილე და კატეგორიული დასკვნებისაგან თავის შეკავება. ყოველ შემთხვევაში შეუძლებლად მიმაჩნია 98-ე სტროფის ანალიზის ნიადაგზე ჭერ-ჭერობით მიღებული შედეგებით გადაიჭრას აბდულმესიანის ყველაზე უფრო სადავო პრობლემა“ (იგულისხმებოდა ძეგლის ქების საგნის პრობლემა².)

¹ ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1945, გვ. 105—154.

² იქვე, გვ. 145—147.

აი აბდულმესიანის 98-ე სტროფის ტექსტიც:

1. მე, მონა შენი, მე მონაშენი
ვგონებ ყოველნი შენთვის შექმნულად.
2. ნეტარ ხარ ყოვლად, წმიდად და ეჩოვლად,
ძალად და გულად თვით არ დაგულად.
3. ნესტორად მძლეობ, არა თუ ლეობ,
დიმიტრის მიერ ძალ-შეზღუდვილად.
4. აწუ რისხვითა, აწ ერი სხვითა
გზით წარუვლინოს უკუნ-საქცევლად.

დამოწმებული ტექსტიდან ყველაზე უფრო მეტ ყურადღებას იქცევს მესამე ტაეპი. ამ ტაეპში დასახელებული პირების ვინაობის ამოცნობაზეა დამოკიდებული მთელი ძეგლით ნაგულისხმევი ქების საგნის ვინაობის ამოცნობაც. მარისეული გაგების თანახმად: «Только признавая в герое оды Давида Строителя, мы можем понять тот стих поэта (98, 3), где сказано, что героя поддерживает Димитрий; поэт, очевидно, намекает на помощь, которую находил Давид Строитель в своем сыне Димитрии»³. მაშასადამე, ნ. მარის მოსაზრებით, საანალიზო ტექსტის დიმიტრი უნდა ყოფილიყო დავით აღმაშენებლის ძე დიმიტრი ან დემეტრე (1125—1156), რომელიც დახმარებას უწევდა თავის მამასო. ნ. მარი არაფერს ამბობდა ნესტორის შესახებ, ოღონდ ეს სახელი მას ყოველგვარი განმარტების გარეშე შეტანილი აქვს საკუთარ სახელთა საძიებელში. მარს ლეო გაგებული ჰქონდა როგორც ლ ე მ ი (lev, лев), ლეობა — ლომობა (львѣ лъвом). დამოუკიდებლად ნესტორისა და ლეოს მნიშვნელობის ამოშიფრვისა ნ. მარი შინც უყოყმანოდ წყვეტდა აბდულმესიანის ქების საგნის საკითხს, რამდენადაც იგი ტექსტში პოულობდა კონკრეტული ისტორიული პირის (დემეტრე ბატონიშვილის) დასახელებას.

რიგ მკვლევართ (მ. ჯანაშვილს, ე. კეკელიძეს, ს. კაკაბაძეს, პ. ინგოროყვას, ამ სტრიქონების ავტორს და სხვებს) აბდულმესიანის ნესტორი აგონებდა პომეროსის ილიადის ბრძენ ნესტორს, პილოსის ძეს (ნ. მარი საერთოდ გამოიციხავდა შავთელის მხრივ ილიადის გამოყენებას).

ტაეპის შინაარსიც ასე გვესმოდა: „აბდულმესიანის ქების საგანი გაძლიერებული, გამაგრებული („ძალ-შეზღუდვილი“⁴) დიმი-

³ Древнегрузинские описаны (Тр. IV, 1902), стр. 23.

⁴ „ძალ-შეზღუდვილის“ მნიშვნელობა, სწორად ჰქონდა გაგებული ნ. მარს. ამ სიტყვის თაობაზე იხ. პროფ. ბერიძის შენიშვნა (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, გვ. 347—354.)

ტრის მიერ (დიმიტრის მნიშვნელობა ჩვენთვის იყო ამოუცნობი) ნესტორისებური სიბრძნითა და გამჭირაზობით მოქმედებდა და არა ლეობით, ანუ უხეში ფიზიკური ძალით“.

საანალიზო ტაეპის ახალი და მეტად საინტერესო ინტერპრეტაცია ეკუთვნის კ. კეკელიძეს. ეს ინტერპრეტაცია მოცემულია მის სპეციალურ ნაშრომში „კომენტარები „აბდულმესიანის“ ზოგიერთი ტაეპისა“⁵. კ. კეკელიძე საბუთიანად და დამაჯერებლად უარყოფს ტაეპის შინაარსის ძველებურ გაგებას, მისი აწინდელი თვალსაზრისით აბდულმესიანის ტექსტში გამოხატულება უპოვია „დიმიტრი სოლუნელისა ანუ თესალონიკელის წამებას“, რომლის სამი ძველი რედაქცია ყოფილა ცნობილი ქართულ ენაზე. მკვლევარს მოჰყავს ამ აგიოგრაფიული თხზულების შინაარსი (რომელსაც ჩვენ აქ მთლიანად ვიმეორებთ):

დიმიტრი იყო მაქსიმიანე იპერატორის სახელგანთქმული მხედარი; სანამ მას ქრისტიანობას გაუგებდნენ, დიდს პატივში იყო, მერე კი საპყრობილეში შეაყენეს. მაქსიმიანეს, რომელიც უღანაშაულო ადამიანთა, უფრო კი ქრისტიანთა, სისხლის ღვრით ერთობოდა ხოლმე, ჰყავდა ერთი გოლიათი ბარბაროზი, რომელიც აკმაყოფილებდა მის მხეცურ მოთხოვნილებას; მას წარმოშობით ეანდალს, სახელად ერქვა ... ლეონ. ერთხელ, დამთვრალი ადამიანთა სისხლით, ის ავიდა მაღალს, ფიცართაგან შეშზადებულ, ქანდარაზე და, მაქსიმიანესა და უამრავ მაყურებელთა თანდასწრებით, ტრაბახით, ქადებით, და ზეიადობით მიჰართა ხალხს: აბა, თუ ვისმე შეგიძლია, გამოდი ჩემს წინააღმდეგო. ვერავეინ ბედავდა შებმოდა მას. მაქსიმიანეს აარში აყო ერთი ახალგაზრდა მხედარი, სახელით ნესტორ, რომელიც საიდუმლო ქრისტიანი იყო და ამასთანავე მეგობარი და „სულიერი შვილი“ დიმიტრისა. ის მივიდა დიმიტრისთან და უთხრა: მე შევებმები ლეონს, „უ.უეთუ ოდენ შენ შემჭურო მე ლოცვითა“. დიმიტრიმ მოუწონა განზრახვა. „აღბეჭდა ბეჭდითა მით ქრისტესითა პირი და გული მისი და უშიშოება შეჰმოსა სულსა მისსა“. ნესტორი ავიდა ქანდარაზე, გამოიწვია ბრძოლაში ლეონი და, რადგანაც მისი „სიმხნე დიმიტრის სიტყუანი იყენეს“, „სცა სასიკუდინედ ლაჰურითა გულსა ბარბაროზისასა და მუის მოაკუდინა იგი სიკუდილითა განცხადებულითა“. მაქსიმიანეს შეკითხვაზე — რომელი გრძნებით მოჰკალი შენ ასეთი ახოვანი კაციო, ნესტორმა უპასუხა: „არავინ არს თანაშემწე ჩემი, გარნა ხოლო ღმერთი დიმიტრისი“. ამის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს როგორც დიმიტრი, ისე ნესტორი.

კ. კეკელიძემ ყოველი ეპევის გარეშე ამოხსნა აბდულმესიანის 98,3 ტაეპით დამოწმებულ პირთა ვინაობა. ახლა აშკარაა, რომ დიმიტრი, ნესტორი და ლეონი — „დიმიტრი სოლუნელის წამების“ პერსონაჟებია, რომ სწორედ დიმიტრის მიერ გამხნევებული ნესტორის ლეონზე ძლევის ანალოგიით ხელმძღვანელობდა პოეტი

⁵ ლიტერატურული ძიებანი, III, 1946, გვ. 361—374.

შავთელი. ვიმეორებთ, ეს უდავოა. ოლონდ ჩვენ მაინც სადავოდ მიგვაჩნია ის დასკვნა, რომელიც უდავო წანამძღვრიდან გამოაქვს კ. კეკელიძეს. ის ამბობს: „ჩვენ ამდენხან ვვარაუდობდით, რომ შავთელს მხედველობაში ჰყავდა დავით აღმაშენებელი, რომელსაც მის სამხედრო საქმიანობაში შევლოდა და ზურგს უმაგრებდა მისი შვილი დიმიტრი. ეს ვარაუდი ახლა საბოლოოდ გამართლდა. თავისი გმირების თვისებათა აღსანიშნავად შავთელი ხშირად ანალოგიებს მიმართავს ხოლმე. ანალოგია თავის მნიშვნელობას კარგავს, თუ შესატყვისობა არაა ორ მოვლენასა და საგანს შორის. როგორ გვაქვს საქმე ამ შემთხვევაში? ბარბაროზები (ლეო) ებრძვიან ქრისტიან ქართველებს (ნესტორ-დავითი); ბარბაროზებს იმედი აქვთ მხოლოდ თავისი იარაღისა და ძალისა, ქრისტიან ქართველებს, იარაღის გარდა, ღვთის შეწევნისაც. როგორც დიმიტრი უმაგრებდა გვერდს ბარბაროზთან ბრძოლაში მის „სულიერ შვილს“ ნესტორს, ისე დავითს გვერდს უმაგრებს და შველის ბარბაროზებთან ბრძოლაში მისი „შვილი“ დიმიტრი. ანალოგია ჩვენს პოეტს თავისი გმირების „სეხნას“ მოძებნამდეც კი უნდა დაიყვანოს. ეს მან ვირტუოზულად საანალიზო ტაეში მოახერხა, როდესაც დავითის დამხმარეს დიმიტრის ანალოგია მოუპოვა მისი სეხნას დიმიტრი სოლუნელის პიროვნებაში“.

რა თქმა უნდა, კ. კეკელიძის მსჯელობა სავსებით კანონზომიერი, თანამიმდევრული და მახვილგონივრული, მაგრამ დასკვნა საცილობელია. ჩვენთვის მთავარია ის, რომ აბდულმესიანის დიმიტრი არ არის ისტორიული დემეტრე ბატონიშვილი, დავით აღმაშენებლის ძე (როგორც ფიქრობდა ნ. მარი), არამედ ისაა „დიმიტრი სოლუნელის წამების“ დიმიტრი, ქრისტიანობისათვის თავდადებული და წამებული ლიტერატურული პერსონაჟი. შავთელს თამამად შეეძლო ეთქვა თავისი ქების საგნისათვის (ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი — დავით აღმაშენებელი, თუ დავით სოსლანი), შენ ნესტორივით იმარჯვებ ქრისტიანობისათვის წამებული დიმიტრის (და მისი ღმერთის) შემწეობით და არა უხეში ფიზიკური ძალღონით, რომლის გამომხატველი იყო ბარბაროზი ლეონიო.

ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ აბდულმესიანში შექცეული იყოს თამარი (როგორც სამართლიანად ფიქრობს კ. კეკელიძე), ხოლო მის გვერდით არ ჩანდეს და ჩრდილში იყოს მოქცეული მისი თანამოსაყდრე საყვარელი მეუღლე, შესანიშნავი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე დავით სოსლანი. თამარის კარის პოეტი, გარკვეული პოლიტიკური მიმდინარეობის გამომხატველი მესობტე,

რომელიც საშინელ წყევლა-კრულვას უთვლის ტანტის ურჩსა და ორგულ მოლაპატეებს (104), ვერასგზით ვერ დაუშვებდა დავით სოსლანის იგნორაციას. ეს იქნებოდა თვითონ თამარის პიროვნების დამცირებაც და მისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სახიფათო შეუფასებლობაც. „იქნებ ვისმეს ეუცხოოს და პარადოქსად მოეჩვენოს, — ამბობს კ. კეკელიძე, — რომ პოეტი (შავთელი), ცოცხლებთან ერთად, აქებს დიდი ხნის გარდაცვალებულ გვირგვინოსანს; მაგრამ აქ გასაკვირი არაფერია: პოეტი... საეკლესიო ტრადიციების მატარებელია, ეკლესიაში კი მიღებული იყო, რომ ამა თუ იმ წმინდანს, სულიერ გმირს, ქებასა და ენკომიებს შეუთხზავდნენ ხოლმე სიკვდილის შემდეგ. ხშირად მთელი საუკუნეების შემდეგაც“⁶.

ჩვენ მართლაც გვეუცხოება და პარადოქსად გვეჩვენება საკითხის ამგვარად დასმა. ჩვენ ეჭვებს ვერ ფანტავს პატივცემული მეცნიერის განმარტება. ენკომიები კი იწერებოდა დიდი ხნით ადრე გარდაცვლილი წმინდანების შესახებ, მაგრამ აბდულმესიანში ხომ შექმებულია ცოცხალი პირი, და ისიც ისეთი პირი, როგორიც იყო თამარ მეფე. ნუთუ ამ პირის თანამოსაგრე მხოლოდ წარსულში იყო საძიებელი? მაშინ ხომ ჩრდილში ექცევა თამარის ღირსეული თანამოღვაწე და თანამეცხედრე? ეს არამც და არამც არ არის მოსალოდნელი თამარის მეხოტბე პოეტისაგან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი რამ საზოგადოდ შეუძლებელიც იქნებოდა. ამიტომაც უნდა გავიმეოროთ ჩვენი აღრინდელი დასკვნა: „თუ აბდულმესიანში მართლაც თამარია შექმებული (ამაში კი არავითარი ეჭვი არაა), თამართან ერთად და თამარის გვერდით შექმებულია მისი ლომი, მისი ღირსეული ქმარი დავით სოსლანი“⁷.

ჩვენს დასკვნას ამაგრებს აბდულმესიანის ზოგიერთი სტროფის კონკრეტულ-ისტორიული ხასიათის მიმანიშნებელი რეალია. აქედან ამგზობის ჩვენ უნდა შევეხოთ 62-ე სტროფს:

გვრიტთა მართვისა, თვარ, აქვს მართ ვისა
თქვენებრ სურვილი მუღლლობისა?
წართუწირულ-ვართ, არ განწირულ-ვართ,
რადგან თქვენ გპოეთ მზედ უფლობისა.

⁶ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 241—241.

⁷ ნარკვევები, 1, 1945, გვ. 143 (დაყოფა ძველია, ა. ბ.).

მოყვანილი ტექსტის შინაარსი ასე უნდა გავიგოთ: თუ არ გვრიტთა ოჯახს (ბარტყებს), აბა, სხვას ვის აქებს თქვენსავით მოსიყვარულე მეუღლეობა? ჩვენ დიადაც არ ვყოფილვართ განწირული, რადგანაც თქვენ „გპოვეთ მზედ უფლობისა“⁸. უნდა ვიცოდეთ, რომ გვრიტი (და მტრედი) სათნოების, სიფაქიზის სიწმინდის სიმბოლოა ბიბლიის მიხედვით. მოვიგონოთ, თანახმად ებრაელთა წესისა, მამრობითი სქესის ბალების განწმენდის რიტუალის შესასრულებლად უნდა შეეწიროთ ორი გვრიტი, ან მტრედის ორი ბარტყი (ლუკა, 2,24). იოვანე ოქროპირს მშვენიერი პოეტური ტრაქტატი აქვს დაწერილი „გურიტისათვის“⁹, სადაც ხაზი ესმება გვრიტების განსაკუთრებულ უბიწოებასა და სიწმინდეს, გვრიტთა ოჯახის წევრთა ურთიერთ ერთგულებასა და სიყვარულს. იოვანე ოქროპირი საგანგებოდ აღნიშნავს კერძოდ დედალი გვრიტის არაჩვეულებრივ ერთგულებასა და სიყვარულს თავის მამლისადმი: „მამლის მოყუარე არს და სიწმიდესა იმარხავნ: ეამ თუ სადამე არნ და მოიკლის მამალი იგი ანუ მფრინველისაგან ანუ თუ მახითა მიერითგან დედალი იგი სხუასა მამალსა არღარა შეეყვის, არამედ მისსა მას სიყვარულსა დაადგრის“¹⁰. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში იოვანე შავთელს, როდესაც ხაზს უსვამდა პოემით შესამკობ პირთა მეუღლეობრივ სიყვარულს. თუ შავთელის ქების საგანი თამარია, ცხადია, მის გვერდით პოეტი შესხმას უძღვნის დავით სოსლანს (დავით აღმაშენებელი კი გამოირიცხება). მაშასადამე, აბდულმესიანის 62-ე სტროფი ექვს არ ტოვებს, რომ ამ პოემის ქების საგანია თამარი და დავით სოსლანი¹¹.

საკითხის ამგვარად გადაწყვეტის უცილობლობა რომ აეშორებინა, ნ. მარმა ერთგვარად თავი აარიდა 62-ე სტროფის სპეციალურად განხილვას და პოემის შინაარსის გადმოცემისას მხოლოდ

⁸ აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, 1, 1945, გვ. 128.

⁹ სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1959, გვ. 225—231.

¹⁰ გიორგი დაყულებული დახასიათებულია „ვითარცა გვრიტი უბიწო და ტრედი უმანკო“ (ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა, ათონის კრებული, გვ. 293).

¹¹ ჩვენთვის საინტერესო ტექსტის შინაარსი გადმოცემული აქვს აკაკი წერეთელს: „თუ არა თქვენ, მაშ სხვა ვისა აქვს თქვენებრი სურვილი გერიტივით შეუღლებისაო“ თავის მხრივ აკაკი შენიშნავს: „ნუ თუ ეს დავით სოსლანზე და თამარზე არ არის ნათქვამი?“ (მცირე რამ პროფესორ მარის უკანასკნელი თხზულების გამო, აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებული, XIV, 1961, გვ. 131). ეს შემახსენა ლევან მენაბდეშ.

შენიშნა: „В супружеских чувствах он прост и целомудрен, а подданные в нем зрят защиту“¹².

ჩვენთვის ამგზობის საინტერესო სტროფის ინტერპრეტაციის საკითხს საგანგებოდ ეხება კ. კეკელიძე. 1946 წელს გამოქვეყნებულ მის ერთ ნაშრომში ვკითხულობთ: „ისტორიული რეალიებისათვის სათანადო ანგარიშის გაწევა შეუძლებელს გახდიდა იმის მტკიცებას, რომ რადგანაც ხოტბაში ნათქვამია — „გვრიტა მართვისა თვარ, აქვს მართ ვისა თქვენებრ სურვილი მეუღლობისა“ (62,1), იმაში შექებულნი არიან თამარ მეფე და დავით სოსლანი. ავიწყდებათ, ერთი მხრით, თამარის სიტყვები დავითთან შეუღლების წინ „არაოდეს ყოფილა გულსა ჩემსა წადილი ქმროსნობისა და ქორწინებისა, არც პირველ და არცა აწ, თუმცა იყო ვინმე მკვიდრი საყდრისა ამის ჩემისაჲ“, მეორე მხრით, ის გარემოება, რომ „მეუღლობის სურვილსა“ და ოჯახური ცხოვრებისათვის ზრუნვას არ იყო მოკლებული არც დავით აღმაშენებელი როგორც ამას ვტყობილობთ, თუ ვინდ, მისი ცნობილი „ანდერძიდან“¹³.

როგორც ჩანს, მთელი ეს მსჯელობა იმაზეა დამოკიდებული, რომ მეხოტბის სიტყვა „სურვილი“ (სურვილი მეუღლობისა) გაგებულია დღევანდელი მნიშვნელობით — სურვილი, წადილი; რომ ისტორიკოსის მოწმობით, თამარს არ ჰქონდა დაქორწინების სურვილი. კლასიკური პერიოდის ქართული (როგორც ეს რუსთაველის პოემის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დამდგენმა კომისიამ გაარკვია ვეფხისტყაოსნის მაგალითზე) „სურვილი“ ნიშნავს სიყვარულს. მეხოტბე აღნიშნავს, რომ ქების საგანთ აკავშირებთ მეუღლეობრივი სიყვარულის გრძნობა (ისე როგორც გვრიტებს). ცნობილია, რომ თამარმა და დავით სოსლანმა მართლაც ბედნიერი მეუღლეობრივი ცხოვრება გაატარეს.

თითქოს საცილობელი რჩება ისიც, რომ 62-ე სტროფით ჩვენ ვგულისხმობთ ორ პირს. „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომის უკანასკნელ (1958 წლის) გამოცემაში კ. კეკელიძე ამბობს: „თქვენებრ სურვილი მეუღლეობისა“ (62 სტროფი) არ გულისხმობს უეჭველად ორ პირს — ცოლქმარს; „თქვენებრ“ არის ჩვეულებრივი ოდაში თამარისადმი მიმართული pluralis majestatis“¹⁴.

¹² Древнегрузинские описны, გვ. 11.

¹³ კომენტარები აბდულმესიანის ზოგიერთი ტაეპისა (ლიტერატურული ძიებანი, III, გვ. 361, შენ. 4).

¹⁴ კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 240.

ჩვენი დაკვირვებით, როდესაც მეხოტბე უშუალოდ მიმართავს ქების ცალკეულ რომელიმე პირს, იგი ჩვეულებრივ ხმარობს მხოლოდობით ფორმას, მაგალითად:

შენ, გონიერო, გულისხმიერო (97);

მე მონა შენი (98)

მეფევე მაღალო, ქცევა მაბალო (100);

სამაგიეროდ, როდესაც შესხმა ეხება ორივე პირს ერთად, მაშინ ასევე ჩვეულებრივ გამოყენებულია მიმართვის მრავლობითი ფორმა, მაგალითად:

ცეცხლი ბნელისა ვარესკნელისა

ორგულთ ეწიოს, ვერ განეწიოს,

ურჩი ვინც იყოს ტაბტის თქვენისა (104).

ასევე ფინალური სტროფითაც (107):

შესხმა-მკობანი, მუსიკობანი,

ვუწვი, ვერ გიძღვენ თქვენ საფერობით.

საქმის ასეთი ვითარება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ 62-ე სტროფშიც მეხოტბე სწორედ ორივე საქებურ პირს მიმართავს და შესაფერისადვე მიმართვის მრავლობითს ფორმას იყენებს. ერთი სიტყვით, ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ 62-ე სტროფში დახასიათებულია შესაქებ პირთა მეუღლეობრივი სიყვარული და კონკრეტულად ნაგულისხმევი არიან თამარი და დავითი, ან დავითი და თამარი.

ამ შენიშვნის გაკეთება (ან დავითი და თამარი) იმიტომ დავევირდა, რომ თუმცა აბდულმესიანის „ზოგ სტროფში დავითია შესხმული, ზოგში თამარი, ზოგში კიდეც ორივე ერთად“¹⁵, სახოტბო პოემაში უპირატესად ხაზი ესმება ქების საგნის მამაკაცურ თვისებებს, ე. ი., ქების მთავარი გმირია მამაკაცი. ალბათ, ამ გარემოებამ აფიქრებინა ნ. მარს, რომ აბდულმესიანში შექებულიაო მხოლოდ ერთი პირი, სახელით დავითი, გვირგვინოსანი მამაკაცი. ასეთად კი მას ეხატებოდა დავით აღმაშენებელი.

მართლაცდა, ერთი შეხედვით, შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, რომ თამარისა და დავით სოსლანის საზიარო ქებაში უპირატესად დავითის ღირსებანი იყოს წარმოჩენილი და არა თამა-

¹⁵ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 240.

რისა. ამ გარემოების ახსნის საინტერესო ცდა მოგვცა ელ. მეტრეველმა¹⁶. იგი ფიქრობს, რომ აბდულმესიანი შეთხზული უნდა იყოს ბასიანში ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვების უშუალო შთაბეჭდილებით. შესაფერისად აქ შექმბულიაო სწორედ ბასიანის სახელოვანი გმირი დავით სოსლანი. მკვლევარი უპირისპირებს ბასიანის ომის აღწერილობას (ცნობილ საისტორიო წყაროებით) აბდულმესიანის სათანადო ტექსტს და საგულისხმო მსგავსებას პოულობს. აღნიშნულის კვალობაზე ელ. მეტრეველი ამბობს: „მიუხედავად იმისა, რომ ხოტბაში არც ბასიანია ნახსენები და არც რუქნადინი, ოდის შინაარსობრივი ანალიზი, მისი უპირისპირება თამარის მემატიანის ცნობასთან, და აგრეთვე ის, რომ იოვანე შავთელი სწორედ ამ ბრძოლის დროს თამარის მუდმივი მხლებელია ვარძიასა და ორძხეში, გვაფიქრებინებს, რომ შავთელმა ბასიანის ომში ქართველთა გამარჯვებას მიუძღვნა როგორც „გალობანი ვარძიის ღმრთისმშობელისა“, ასევე „აბდულმესიანი“. საკითხის ამგვარი ახსნით გასაგები ხდება, თუ რატომ არის აბდულმესიანის ქების ცენტრალური ფიგურა დავით სოსლანი და არა თამარი“.

ელ. მეტრეველის მოსაზრება ჩვენ გვეჩვენება ფრიად მნიშვნელოვან და დიდად ანგარიშგასაწევე ჰიპოთეზად. ჯერჯერობით ამაზე მეტს ვერაფერს ვიტყვით. ჩვენთვის ის არის განსაკუთრებით საყურადღებო, რომ ელ. მეტრეველიც აბდულმესიანის ქების საგნად უცილობლად თვლის ორ პირს, რაც მთავარია, სახელდებით თამარსა და დავით სოსლანს (უფრო სწორად, დავით სოსლანსა და თამარს). „ქების ამ ორი გმირის სახე სხვადასხვა ასპექტითაა გახსნილი მეხოტბის მიერ — ამბობს ე. მეტრეველი — პირველი — მოქმედებასა და მოძრაობაში, ომსა და მტერთა დაძლევაში. თამარის სახე კი უფრო სტატიკურია, აღწერითი. იგი სიბრძნეს, სიმშვიდეს და სილამაზეს ასხივებს“.

II

1957 წელს გამოქვეყნდა ივანე ლოლაშვილის ნაშრომი: „ძველი ქართველი მეხოტბენი. 1. ჩახრუხაძე. ქება მეფისა თამარისა“ (270 გვ.) ნაშრომში წარმოდგენილია თამარის კრიტიკული ტექსტი ვრცელი გამოკვლევითა და ლექსიკონით.

¹⁶ იხ. მისი ნარკვევი „დავითისა და თამარის ქება“ (ე. წ. აბდულმესიანი) „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ექვსტომეულის მეორე ტომში, თბილისი, 1966, გვ. 91—115.

ი. ლოლაშვილის ნაშრომი უთუოდ საყურადღებოა და საინტერესო. გულმოდგინედ არის აქ დამუშავებული, უწინარესად ყოვლისა, ტექსტოლოგიური ნაწილი. როგორც ცნობილია, მე-12 საუკუნის ქართველი მეხოტბეების ტექსტები (აბდულმესიანი და თამარიანი) შესანიშნავი გამოკვლევის დართვით კრიტიკულად გამოსცა 1902 წელს აკადემიკოსმა ნ. მარმა. თუმცა შავთელისა და ჩახრუხაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერულად შესწავლის მხრივ ბევრი რამ გაკეთდა ნ. მარის ნაშრომის გამოკვეყნების შემდეგ, ტექსტოლოგიური საკითხები ძირითადად უმოძრაოდ რჩებოდა. უნდა ითქვას, რომ მეხოტბეთა კრიტიკული ტექსტების დადგენისათვის ნ. მარი ხელმძღვანელობდა უმთავრესად ძველი უხეირო გამოცემებით, მის განკარგულებაში იყო აგრეთვე რამდენიმე ნაგვიანევი და წარყვნილი ტექსტების შემცველი ხელნაწერი. აღნიშნულის მიუხედავად, ნ. მარმა განმაცვიფრებელი მეცნიერული ალლო გამოიჩინა, სწორად განსჭვრიტა სახოტბო ძეგლების ხასიათი, სანიმუშო კრიტიკული გამოცემები მოგვცა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თამარიანის მარისეული გაგებაც და გამოცემაც. ნ. მარმა შეიცნო თამარიანის კომპოზიციურ-სტრუქტურული თავისებურება, გაშიფრა მისი რთული შინაარსი, ნათელყო მისი იდეურ-მხატვრული რაობა. ერთი სიტყვით, ნ. მარმა ნამდვილად აღმოაჩინა ჩახრუხაძე როგორც დიდი ქართველი პოეტი-მოაზროვნე, როგორც რუსთველის გვერდის დამამშვენებელი, რენესანსული ქართული პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენელი. როგორც ფილოლოგიურ-ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომი, ნ. მარის „ძველ-ქართველი მეხოტბენი“ (Древнегрузинские одописцы) კლასიკურია, თუმცა ისტორიულ-ლიტერატურული თუ სხვა ხასიათის არა ერთს (მათ შორის არსებითსა და პრინციპულ) შეცდომას შეიცავს.

ნ. მარმა უდავოდ დაასაბუთა, რომ თამარიანი არ არის ერთი გაბმული სახოტბო პოემა, არამედ ის ცალკეული ნაწილებისაგან, სახოტბო და ე. წ. ელეგიური ლექსებისაგან შედგება. თითოეულ ცალკეულ ლექსს აქვს დამოუკიდებელი შინაარსი და სხვადასხვა დროს იწერებოდაო, მაგრამ რამდენადაც თამარიანის ყველა სახოტბო ლექსი მიზნად ისახავს თამარის შესხმას, ამდენად იგი შინაარსობლივად, იდეურად და კომპოზიციურად ერთიანი, მთლიანი და განუკვეთელი მხატვრული ნაწარმოებიაო. ნ. მარის განსაკუთრებული დამსახურება თამარიანის გაგების მხრივ ისაა, რომ ამ სახოტბო ძეგლში მან აღმოაჩინა შინაარსობრივად განსხვავებული ორი ფრაგმენტული ლექსი, რომელთაც ელეგიები უწოდა. მარმა

არსებითად სწორად ამოიცნო ამ „ელეგიური ლექსების“ ხასიათიც. მანამდე ერთ ვრცელ სახოტბო პოემად მიჩნეული ნაწარმოები, მარის გამოკვლევის შედეგად წარმოგვიდგა 11 სახოტბო ლექსისა და ორი სათავგადასავლო ამბის მომთხრობი (ნ. მარით ელეგიური) ფრაგმენტის ერთგვარ კრებულად.

თამარიანის კომპოზიციურ-სტრუქტურულ თავისებურებათა მარისეულ გაგებაში დაქვეების ყველა ცდა უნაყოფო გამოდგა. ამ მხრივ საგულისხმოა შ. ნუცუბიძის მაგალითი: შ. ნუცუბიძემ მკაცრად ვაკრიტიკა ნ. მარი, მაგრამ თამარიანის აგებულება ბოლოსა და ბოლოს მანაც კრებულის სახით წარმოიდგინა. შ. ნუცუბიძეც თამარიანში არჩევს განცალკევებულ თემატიკურ ერთეულებს, რომელთაც ხან სიმღერას (песни), უწოდებს, ხანაც შინაარსობრივ ჯგუფებად დალაგებულ ნაკადს (поток), რაც მთავარია, ეს განცალკევებული ერთეულები შესაძლებელია სხვადასხვა შემთხვევის გამო მართლაც სხვადასხვა დროს იქმნებოდა და თამარიანის სახით შემდეგ გაერთიანდნენო¹⁷.

აღსანიშნავი ისაა, რომ თამარიანის ძველ გამოცემებსა და ხელნაწერებში არეული და გადაადგილებული ყოფილა მისი სხვადასხვა ნაწილები. ნ. მარმა მოიპოვა კრებულის შემადგენელი ნაწილების მწყობრი, თანამიმდევრული დალაგებისათვის საჭირო ვასალები: გარეგანი რითმების სისტემა. მარმა დაასაბუთა, რომ თამარიანის თითოეული ცალკეული ლექსი გაწყობილია ერთიან, უწყვეტელ რითმზე. ამ ვასალების წყალობით მან ძირითადად სწორად დაანაწევრა და დააღაგა თამარიანის შემადგენელი ნაწილები. ოღონდ მარმა გადააქარბა, გააზეიდა ინტერპოლაციური ელემენტი, ყალბად ჩათვალა ზოგიერთი ცალკეული ტექსტი, რის შედეგად ველარ მიიღო ოთხტაეპოვან სტროფებზე გაწყობილი ტექსტი. მარი ამან არ შეაკრთო, მან გამოაცხადა, თითქო თამარიანი თავიდანვე აგებული იყო არა სტროფულ, არამედ ტაეპობრივ პრინციპზე, თითქოს გვიან, ვიღაც უცნობ პირს გადაუღაგებია თამარიანი ოთხტაეპოვან სტროფებად, რასაც დიდად შეუწყვიტა ხელი ტექსტის წარყენისა და დამახინჯებისათვის. ნ. მარი ამბობდა: «Появление обезображивающих наростов или вставок в значительной степени относится к тому времени, когда кому-то пришла несча-

¹⁷ Ч а х р у х а д з е. Тамариანი. Перевод с грузинского Ш. Нуцубидзе, Тб., 1942, стр. 32; Его же, Руставели и досточный Ренессанс, 1947, стр. 211.

стная мысль списать оды Тамары по шаблону поэмы Шавтели, разбив их на строфы, каждую в четыре четверостишия на одну основную или внешнюю рифму. Однако, основная рифма у Чахрухадзе — одна на каждую в отдельности оду, сколько бы в ней не было четверостиший, и потому в его одах деление на строфы ничем не оправдывается. Более того, в ряде случаев оды, очевидно, и не содержали такого числа основных четверостиший, которые делились бы четыре без остатка¹⁸.

თავის დროზე ჩვენ უარგყავით თამარიანის სტროფული აგებულების ასეთი შესაძლებლობა (თუმცა სავსებით მხარს ვუჭერდით თამარიანის კომპოზიციის მარისეულ გაგებას). ჩვენ ვწერდით: „თამარიანის აღნაგობის მარისეული გაგება ძირითადად დაეჭვებას არ იწვევს. მაგრამ ნ. მარმა ზომიერებას გადააჭარბა, ის ხშირად მეტად საჩოთირო ფილოლოგიურ და ფორმალისტურ პოეტოლოგიურ ხერხს ემყარება ტრადიციული ტექსტის საკრიტიკოდ. კერძოდ, ნ. მარი ძალზე აზვიადებს ინტერპოლაციური ელემენტის ხვედრით წონას. ჩვენ დაუსაბუთებლად მიგვაჩნია ნ. მარის მოსაზრება, ვითომც თამარიანი თავიდანვე არ იყო სტროფულად აგებული. ნაყალბევი ტექსტების ძიებით გატაცებულ მკვლევარს რიგი ოთხტაპოვანი სტროფი ნაკლები გამოუვიდა. რამდენიმე სტროფის სამ-სამი ტაეპი ნ. მარს ავტორისეულად მიაჩნია, ხოლო მეოთხე ტაეპებს ის ყალბად თვლის. ასეთმა ვითარებამ ნ. მარი აიძულა პრინციპულად უარეყო სახოტბო კრებულის სტროფული აღნაგობის საფუძვლიანობა“¹⁹.

ი. ლოლაშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა თამარიანის ყველა ხელნაწერი და ყველა გამოცემა. ამ მასალების გულმოდგინე შეჯერების შედეგად მან განახორციელა ტექსტის ახალი, მეცნიერული გამოცემა, რასაც საყურადღებო გამოკვლევაც დაურთო. მკვლევარმა არსებითად დაადასტურა თამარიანის კომპოზიციურ-სტრუქტურული აგებულების მარისეული გაგება. მისი სიტყვით, ნ. მარმა „ურყევი საძირკველი ჩაუყარა ძველი ქართველი მეხოტბე პოეტების თხზულებათა მეცნიერულად შესწავლის საქმეს“, თუმცა მაინც „ვერ შეძლო თამარიანის ტექსტის აღდგენა“ იმ სახით, როგორც ითაც ის ავტორის ხელიდან გამოვიდა²⁰. ი. ლოლა-

¹⁸ Древнегрузиянские описаны, стр. 60, прим. 1.

¹⁹ აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნაკვეთები, III, გვ. 238.

²⁰ ძველი ქართველი მეხოტბენი, 1, 18.

შეილი აღიარებს, რომ მარმა „დიდი გონებამახვილობით განჭვრიტა თამარიანის სტრუქტურულ-კომპოზიციური ხასიათი“ (გვ. 18) (ზღრ. გვ. 147), მოგვცა ამ სახობო ძეგლის საუცხოო გამოცემა და პირველხარისხოვანი გამოკვლევა. ამიტომაც მოულოდნელია და შეუწყნარებელი მისი განცხადება, თითქოს ნ. მარმა „ყოვლად გაუმართლებელი ჰიპოთეზებით მნიშვნელოვნად დაამუხრუჭა თამარიანის პრობლემის შესწავლა“ (იქვე). ივ. ლოლაშვილის დასკვნით, ნ. მარმა „ვერ მოახერხა თხზულების სახობო ლექსების რაოდენობის დადგენა, თითოეული ლექსის სტროფული შედგენილობის განსაზღვრა. მან ზოგიერთი სტროფისა და ტაეპის მცდარად გააზრების გამო ვერ დაადგინა სახობო ლექსების დაწერის თარიღებიც, ჩახრუხადის სადაურობა და ვინაობა და თამარიანის ზოგიერთი ლიტერატურული წყარო“ (იქვე).

ჩვენ მეტად მკაცრად და, რაც მთავარია, უმართებულოდ გვეჩვენება ნ. მარის ღვაწლის ასეთი შეფასება. მართალია, თამარიანის ტექსტის დადგენის თაობაზე ი. ლოლაშვილმა ზოგი რამ ახალი თქვა ნ. მარის გამოცემასთან შედარებით, მან ახლებურად დასვა ზოგი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხიც, მაგრამ ი. ლოლაშვილიც ნ. მარის მიერ გაწაღდული გზით ცდილობს ახალი სიტყვის თქმას თამარიანის საკითხების გარშემო.

ამ გარემოებას მკვლევარი შემდეგ თვითონაც აღნიშნავს. მას უწერია: „ნ. მარის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ, მან დააყენა რა საკითხი თამარიანის სტრუქტურისა და კომპოზიციის შესახებ, გონებამახვილურად განჭვრიტა თხზულების ოდების თავდაპირველი აღნაგობა. ნ. მარის აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ, თამარიანის სახობო ლექსები დაწერილია ერთი, წინასწარშემუშავებული გეგმით, რომ თითოეულ ოდას აქვს თავისი შესავალი, შინაარსი, დასასრული და ერთი უცვლელი გარეგანი რითმა. ეს აღმოჩენა ნ. მარის ნაშრომის „რაციონალური მარცვალია“, რომელიც თანამედროვე ფილოლოგიამ უცილობლად უნდა მიიღოს; სამაგიეროდ, მისი სხვა დასკვნები თამარიანის სტრუქტურისა და კომპოზიციის შესახებ, ჩვენი თვალსაზრისით, უფრო მეტ დეტალიზაციას და გარკვეულობას მოითხოვს“ (გვ. 147—148). ამრიგად კი, ივ. ლოლაშვილის შეხედულებითაც, ნ. მარს არსებითად სწორად გადაუწყვეტია თამარიანის ძირითადი პრობლემატიკა — თხზულების კომპოზიციურ-სტრუქტურული რაობა. მთავარი საკითხის გადაჭრის შემდეგ რჩება „უფრო მეტი დეტალიზაციის“ საჭიროებაო. ეს ერთგვარად შეასრულა ივ. ლოლაშვილმა. მი-

სი ზოგი მოსაზრება უთუოდ საყურადღებოა და ანგარიშგასაწევი, ზოგიც მკდარი და მიუღებელი (როგორც ქვემოთ ვაჩვენებთ. მიუღებელია ი. ლოლაშვილის მოსაზრებანი თამარიანის ე. წ. ელეგიების შესახებ). მაინცდამაინც ი. ლოლაშვილი სარგებლობს ნ. მარის მიერ „ალმოჩენილი“ გასაღებით და ცდილობს ამ გასაღების უკეთ მომარჯვებას. მაშასადამე, ნ. მარს კი არ დაუმუხრუჭებია თამარიანის შესწავლის საქმე, არამედ გზა გაუხსნია ამ ძეგლის შესწავლის გასაღრმავებლად და გასათართოებლად.

სწორია ი. ლოლაშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თამარიანი იმთავითვე სტროფულ სისტემაზე იყო აგებული. ამ მხრივ ნ. მარის თვალსაზრისი მართლაც „ყოვლად შეუწყნარებელია“ (გვ. 41). ი. ლოლაშვილმა დაასაბუთა, რომ რიგ შემთხვევაში გადამწერლების მიერ შეცდომით მექანიკურად არის შერწყმული ისეთი სტროფები (ან ტაქებიც), რომელთაც ერთმანეთთან არაფერი აქვთ საერთო არც შინაარსით და არც ფორმით (გვ. 49—52). ისიც დამაჯერებლად არის გარკვეული, რომ: „თამარიანის ტრადიციული ტექსტი ნაკლებია. მას აკლია ო ვ ნ ე ბ ა დ, ე ბ ა რ ე და ე ნ ა ლ ი — რითმებიანი სტროფები“ (გვ. 71). ი. ლოლაშვილმა აჩვენა, რომ აქა-იქ თამარიანში სტროფები გადაადგილებულია, ზოგჯერ ეს მომხდარა ხელნაწერის აკინძვისას ფურცლების გადაბრუნებით ჩაყვრების გამო (გვ. 73), რასაც ბუნებრივად გამოუწვევია ტექსტის „შინაარსობლივი ნახტომები“ (გვ. 71). გადამწერლების რიგი უხეში შეცდომა თუ დაუღვევრობა ადრე შენიშნული ჰქონდა ნ. მარს. „ნ. მარის ფხიზელმა თვალმა უმაღვე შენიშნა სტროფის ტაქთა შინაარსობლივი შეუსაბამობა“, ამბობს ი. ლოლაშვილი და განაგრძობს „ხელნაწერებზე დაკვირვებამ გაამართლა ნ. მარის შეხედულებათ“ (გვ. 50).

ჩვენც შემთხვევა გვქონდა გავვესწოვრებინა თამარიანის ტექსტის რიგი დამახინჯება, რის გამოც ი. ლოლაშვილი ჩვეულებრივ შენიშნავს, ამა და ამ გასწორებას „პირველად ყურადღება მიაქცია (!) ა. ბარამიძემო“ (გვ. 102, 121, 143 და სხვ.). რა თქმა უნდა. აჯობებდა ავტორს ეთქვა, ესა და ეს დამახინჯებული წაკითხვა ამა და ამ პირმა გაასწორაო (და არა ყურადღება მიაქციაო.) მაგრამ ეს წვრილმანია. მთავარი ისაა, რომ ივ. ლოლაშვილმა კარგად მოიმარჯვა თამარიანის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დადგენის ის მეთოდი, რომელიც პირველად მარმა გამოიყენა, და შედეგიც თვალსაჩინო მიიღო. მაგრამ იგი აჭარბებს თავისი შედეგების შე-

ფასებაში და შესაფერისადვე შეუფასებლობას იჩენს ნ. მარის მიღწევების მიმართ.

კროკორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნ. მარი თამარიანში პოულობდა 11 ოდას და ორ ე. წ. ელეგიურ ლექსს. ივ. ლოლაშვილი მიჰყვა თამარიანის აგებულების მარისეულ გაგებას, ტექსტი დანაწევრდა უფრო წვრილ ერთეულებად, რის შედეგადაც გამოუვიდა სამსტროფიანი შესავალი და 18 დამოუკიდებელი ლექსი, ანუ „ციკლური სახობო ლექსი, რომელნიც ერთმანეთისაგან გამოირჩევიან საკუთარი შინაარსითა და თითოეული ლექსისათვის დამახასიათებელი ფორმალური ნიშნებით“ (გვ. 156—157). ამ 18 ლექსიდან 12 ოდაა, ორი მაგალითების, ე. ი. საარაკო ამბების შემცველი ფრაგმენტი და ოთხიც თითოსტროფიანი სახობო ლექსი (გვ. 157). აქედან ჩანს, რომ ი. ლოლაშვილი იზიარებს თამარიანის მარისეული დანაწევრების პრინციპს, მასაც ხობებისაგან გამოუყვია საარაკო ამბების შემცველი ორი ფრაგმენტი, ე. ი. ის, რასაც მარი ელეგიებს უწოდებდა. თვითონ ხობების რიცხვი ვაუზრდია რიგი თითოსტროფიანი ლექსის ცალკე გამოყოფის ხარჯზე. კრებულის ლექსებად დანაწევრებისას ი. ლოლაშვილიც მარისეული ფორმალური მეთოდით ხელმძღვანელობს (ლექსების დანაწევრებას საფუძვლად უდებს ერთიან საკუთარ რითმას). ოღონდ ზოგჯერ უსაბუთოდ არღვევს თავისსავე სახელმძღვანელო პრინციპს. ასე მაგალითად, იერსა რითმაზე აგებული ვრცელი ლექსი, რომელიც ნ. მარს თამარიანის პირველ კარად ჰქონდა დაბეჭდილი, ი. ლოლაშვილს დაუნაწილებია და ნაწილები ერთმანეთისაგან დაუშორიშორებია; მაშასადამე, დაურღვევია ტექსტის კარებად დაყოფის ამოსავალი პრინციპი. თამარიანის მარისეული გამოცემის პირველი კარის პირველი სამი სტროფ-გამოცხადებულია სახობო კრებულის შესავლად, ხოლო დანარჩენი სტროფები მე-18 (უკანასკნელ) კარად არის ჩათვლილი. ცალკე, II და-III კარებადაა დანაწევრებული არა რითმიანი ლექსებიც.

კროკორც ვთქვით, ი. ლოლაშვილი იზიარებს თამარიანის აგებულების მარისეულ პრინციპს, თუმცა უარყოფს ძეგლის დათარიღების მიღებულ თვალსაზრისს. თამარიანი ნ. მარს ეხატებოდა თამარისადმი მიძღვნილ ერთ მთლიან სახობო ძეგლად, რომლის შემადგენელი ნაწილები სხვადასხვა დროს უნდა ყოფილიყო შეთხზული სხვადასხვა ისტორიულ შემთხვეულობასთან დაკავშირებით. ი. ლოლაშვილის დაკვირვებითაც, თამარიანის თითოეულ სახობო ლექსს აქვს „თავისი საკუთარი შინაარსი... თავისი

დასაწყისი და დასასრული, მაგრამ ყოველი მათგანი ცალკე აღებული შეუძლებელია დამოუკიდებელ თხზულებად ვცნოთო“, ამბობს მკვლევარი და განაგრძობს: „ჩვენი ღრმა რწმენით, თამარიანი თავიდან ბოლომდე ერთდროულად გააზრებული მხატვრული ძეგლია, რომელიც შეთხზულია ერთი გარკვეული დროის მონაკვეთში თამარ მეფის პიროვნებისა და მისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის განსაზღვრებლად (გვ. 168—169). ამის შემდეგ ი. ლოლაშვილი კვლავ უბრუნდება თამარიანის სტრუქტურის საკითხს და შენიშნავს: „ეს არ არის უწყვეტი სიუჟეტური თხრობის თხზულება, არამედ ის შეიცავს პატარ-პატარა სახოტბო ლექსებს“ (გვ. 169).

ერთი უწყვეტი სიუჟეტური თხრობა არ აქვს არც შავთელის აბდულმესიანს, მაგრამ აბდულმესიანის სტრუქტურა არსებითად განსხვავდება თამარიანის სტრუქტურისაგან. თუ აბდულმესიანი ერთი გაბმული, გრძელი ქებაა, თამარიანი შედგება განსხვავებული შინაარსისა და განსხვავებული აგებულების მქონე „პატარ-პატარა სახოტბო ლექსებისაგან“. ნ. მარსაც ნამდვილად საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ სწორედ აბდულმესიანისაგან განსხვავებით თამარიანის ლექსები სხვადასხვა დროს იწერებოდა სხვადასხვა გარემოებათა შესაბამისად.

ჩვენის ფიქრით, საკმაოდ დასაბუთებულია ი. ლოლაშვილის მოსაზრებაც. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი ისტორიული პირი და ისტორიული გარემოება დამოწმებულია თამარიანის სხვადასხვა სახოტბო ლექსში. ასე, მაგალითად, ბობქარი ანუ ათაბაგი აბუბაქრი სხვადასხვა ლექსში მოხსენებულია ხუთჯერ (ი. ლოლაშვილის გამოცემის მიხედვით VI, 2; VII, 31; X, 17; XI, 11; XVI, 21)²¹. უფრო ბუნებრივი იქნებოდა იმის დაშვება, რომ ეს სხვადასხვა სახოტბო ლექსი შეიქმნა ერთდროულად, ვიდრე სხვადასხვა დროს, რადგანაც ყველა ამ სხვადასხვა ლექსის თავისებური გმირია (რა თქმა უნდა, სამარცხვინო გმირი) აბუბაქრი. აბუბაქრის დამარცხება, ამ სახიფათო მტრის თავზარდაცემული გარდახვეწა დიდი მოვლენა იყო მე-12 საუკუნის საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში. პოეტს შეეძლო იმაზე საგანგებოდ გაემახვილებინა ყურადღება როგორც სხვადასხვა დროს, ისე ერთდროულად შეთხზულ სახოტბო ძეგლში. ამიტომაც თამარიანის დათარიღების მარისეული

²¹ ნ. მარის გამოცემით, აბუბაქრი ოთხჯერ იხსენიება (VII, 18, I; VIII, 7, 1; IX, 21, 3; X, 33, 2).

პრინციპი უკუსაგდები არ არის, თუმცა უთუოდ ანგარიშგასაწე-
ვია ი. ლოლაშვილის დებულებაც.

ი. ლოლაშვილს წარმოდგენილი აქვს თამარიანის ტექსტის რი-
გი დამაჯერებელი გასწორება და საინტერესო კომენტარი. მოგე-
ყავს ორიოდე მაგალითი. ნ. მარის გამოცემის თანახმად ერთგან
იკითხება (V, 30—32):

ხაფად დაგესხენ, ქმრად რაწე გესხენ:
აწ ძვალთა მათთა დაჰხდეს რა რყევად.
ერანს მფლობელი შეუფლობელი
გახადე ნატრად ესრე ნასხმევად:
ლომთა თაეადად თქმული აეადად
სხვაცა ვინმე სჩანს: ხართ ნამარხევად.

ხელნაწერებზე დამყარებითა და ტექსტის მახვილი ფილოლო-
გიური ანალიზის შედეგად ეს ნაწყვეტი ივ. ლოლაშვილმა შემ-
დეგნაირად გამართა (VII, 45, 30—32):

ხაფად დაგესხნეს, ქმრად რომე გესხნეს,
აწ ძვალთა მათთა გაუხდეს რყევად;
ერანს მფლობელი, შეუფლობელი
ბობქარ გახადე ნაცარ-ნასხმევად;
ლომთა თაეადად, თქმული აეადად
სხვამცა ვინა ჩანს ხლათს ნამარხევად.

ტექსტულურ გასწორებათაგან პირველ ტაეპში აღსანიშ-
ნავია რამეს სანაცვლოდ რომეს დადგენა. მეორე ტაეპიდან.
თითქმის მთლიანად შეცვლილია ტაეპის მეორე ნახევარი. იყო:
„გახადე ნატრად ესრე ნასხმევად“, არის: „ბობქარ გახადე ნაცარ-
ნასხმევად“. ამ გასწორების ურყევ საფუძველს იძლევა ხელნა-
წერთა მონაცემები:

ბობქარ. გახადე. ნატარ. ნატარ. ნასხმევად.
ბობესრ: გახადე: ნატარ: ნასხმევად.
მობესრ: გახადე: ნატარ: ნასხმევად.

აშკარად ცხადია, რომ ნახევარტაეპის პირველ სიტყვად უნ-
და მოდიოდეს ბობქარ, ხოლო ნატარ არის ნაცარ სიტ-
ყვის დამახინჯება გრაფიკულს ნიადაგზე.

მესამე ტაეპის მეორე ნახევარში აგრეთვე ხელნაწერებზე
დამყარებით ზმნა ხართ გასწორებულია გეოგრაფიული სახელ-
წოდების სიტყვით ხლათს.

საანალიზო ტექსტის მნიშვნელობა განსაკუთრებულია: ტექსტა შედარებით მდიდარია ისტორიული რეალიებით, აქ მინიშნებულია რიგი ისტორიული მოვლენა. ამ რეალიების ამოშიფრვაზე ისტორიული მოვლენების ამოცნობაზე დამოკიდებულია სხვა გარემოებებთან ერთად თარიღის საკითხებიც. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ეს ტექსტი მკვლევართა დიდ ყურადღებას იქცევდა. ივ. ლოლაშვილს მიუდგომლად აქვს განხილული საკითხის ისტორია და დასაბუთებული საკუთარი შეხედულებანი (გვ. 130—138).

ბ. მარს სიტყვა-სიტყვით აქვს გადათარგმნილი თავისი ტექსტი: «Они (იგულისხმებიან წინა ტაეპის „სპარსეთის ძალნი“, ა. ბ.) внезапно напали на тебя. У тебя мужем с и д е л некий (букв.: нечто). Теперь когда его костям пришлось сотрясаться (он бежал с трепетом),

То во властелине Ирана, не имеющем над собою господина, ты зародила желание быть (у тебя) посаженным таким же образом, т. е. мужем»²².

კომენტარებში ბ. მარი ამბობს, რომ მეხოტბე აგდებულად იხსენიებს თამარის ყოფალ ქმარს (გიორგი რუსს), უწოდებს მას რ ა მ ე ს (некий, нечто). ამაზე დამყარებით კი შეიძლება ოდის დათარიღება, ის უნდა შეთხზულიყო თამარის პირველი ქმრის გაქევების პერიოდში («Оду можно приурочить ко времени изгнания первого мужа»²³). ბ. მარის მოსაზრება განავითარა პ. ინგოროყვამ. მისი ვარაუდით, „ლომთა თავადად“ ხმობილი პირი არის შირვანის მფლობელი აღსართანი, რომლისთვისაც თითქოს „ნამარხევი“ ყოფილა პირველ ქმარს გაშორებული თამარი; ოდა შეთხზულია 1188 წელს, დავით სოსლანთან შეუღლებამდე, შირვან-შაჰის დარბაზობის დროს თამარის კარზე²⁴. „ლომთა თავადად“ საგულეებელ პირად მ. ჯანაშვილი, შ. ნუცუბიძე და სხვ. თელიდნენ დავით სოსლანს²⁵. თამარის ყოფილი ქმრის ათვალწუნებით მოხსენიებასთან დაკავშირებით აღნიშნული სტროფის შემცველი ლექსის თარიღად ჩვენც ვთვლიდით 1187—1189 წლებს²⁶.

²² Одоиисцы, 47. ხაზი ბ. მარისაა, — ა. ბ.

²³ ი ქ ვ ე, გვ. 46.

²⁴ ჩაზრუხაისძე — პოეტი, მოგზაური (კავკასიონი, 1924, № 1—2, გვ. 288—289): მ ი ს ი ე ე. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა (რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 22—25).

²⁵ ი. ლოლაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 132—133.

²⁶ ნარკვევები, III, 267.

ი. ლოლაშვილის გასწორების შედეგად ირკვევა, რომ საანალიზო სტროფითაც დამოწმებული ყოფილა ათაბაგ აბუბაქრის დამარცხება. ეს მოხდა შამქორში 1195 წელს. ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის მესამე ტაეპის მეორე ნახევრის შინაარსი („სხვამცა ვინა ჩანს ხლათს ნამარხევად“). თუ აქ მართლაც მინიშნებულია ხლათის სულტნის წინააღმდეგ გალაშქრება, როგორც ფიქრობს ი. ლოლაშვილი, მაშინ მეხუთე ოდა (ი. ლოლაშვილით მეშვიდე) 1204—1205 წლებზე აღრე ვერ დაიწერებოდა. ყოველ შემთხვევაში აბუბაქრის დასახელება ვერაფრითარ ექვს ვერ გამოიწვევს. ხოლო ეს კი ცვლის დათარიღების ყველა ადრინდელ ვარაუდს. გიორგი რუსისა და მისი მოკავშირეების ძელების „რყევაზე“ სიტყვის ჩამოგდებაც უფრო გვიან დროს შეეფერება, ვიდრე 1187—1189 წლებია, 1190—1193 წლების მანძილზე გიორგი რუსმა ხომ თავისი მომხრეებით ორგზის სცადა საქართველოს ტახტის ხელში ჩაგდება.

ამრიგად, თამარიანის მარისეული გამოცემის დამახინჯებული ტექსტი ი. ლოლაშვილმა საერთოდ სწორად აღადგინა, კარგად გაააზრინა და ძირითადად დამარწმუნებელი ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარია დაურთო მას.

საინტერესოა სარამას განმარტება²⁷. თამარიანში გვაქვს ასეთი ტაეპი (1, 3, 2):

სოკრატ სიბრძნითა. სარამარ გრძნითა
ვიყვნეთ, ვერა ვიქმთ საწაღერსა.

ი. ლოლაშვილი ასწორებს ძველ გამოცემათა სარამარს (შეს., 13):

სოკრატ სიბრძნითა. სარამა გრძნითა
ვიყვნეთ, ვერა ვიქმთ საწაღერსა.

ამ სახელს (სარამარ / სარამა) იცნობს აბდულმესიანიცი (103,1—2):

წიგნი მეფეთა, ქება ქებათა,
ეკლესიასტე სარამარ გრძნისა,
დავით-იგავანი — ვინ სთქვა იგ ავნი? —
სიბრძნე დიდისა სოლომონისა...

ორივე შემთხვევაში, თამარიანსა და აბდულმესიანში, ის აზრია გატარებული, რომ ქების საგნის ღირსეულ შემკობას ვერაფერ შეძლებ-

²⁷ ი. ლოლაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 84—88.

სო, მათ შორის ვერც ს ა რ ა მ ა რ - სარამას გრძნებითო (თამარ-
რიანში: ს ა რ ა მ ა რ (ს ა რ ა მ ა გრძნებით რომ ვიყოთო); ვგონებ
არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმას, ამ სახელწოდებას ვინმართ
ფორმით ს ა რ ა მ ა რ თუ ს ა რ ა მ ა. ხელნაწერები (რამდენა-
დაც ეს ი. ლოლაშვილის მასალებიდან ჩანს) იძლევა ს ა რ ა მ ა —
ფორმის მიღების შესაძლებლობას. ერთი რამ ცხადია, თამარიანშიც და
აბდულმესიანში საუბარია ერთსა და იმავე პირზე—გრძნეულ ს ა რ ა -
მ ა რ ზ ე (ანუ ს ა რ ა მ ა ზ ე). ეს გარემოება გათვალისწინებულ
ჰქონდა ნ. მარს. საკუთარ სახელთა საძიებელში მას ჩანიშნული აქვს:
ს ა რ ა მ ა რ ი Сарамар, имя волшебника 103, 1, 4 (здесь, по-ви-
димому, вм. Соломона) 1, 3, 2. ე. ი. მარი ვარაუდობდა, რომ აბდულ-
მესიანის შემთხვევაში ს ა რ ა მ ა რ ი თითქოს (по-видимому) შე-
ესატყვისებოდა სოლომონს (სხვათა შორის, სიტყვა ე კ ლ ე ს ი ა ს-
ტ ე ს შემდეგ მარს არა აქვს განკვეთილობის ნიშანი; ამრიგად კი გა-
მოდის, რომ იგი ყოფილა ს ა რ ა მ ა რ ი ს ნაწარმოები). ქართული
ფილოსოფიური და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიკოსი პროფ.
შ. ნუცუბიძე არსებითად ავითარებს ნ. მარის მოსაზრებას: «Сарамар
— имя лица, не поддающегося установлению. Возможно, это
деформированное на Востоке имя Соломона, связанное с именем
Сократа по линии мудрости, с акцентом проникновенной муд-
рости, в отличие от мудреца Запада — Сократа»²⁸. ი. ლოლაშვი-
ლი მართალი უნდა იყოს, როცა უარყოფს ს ა რ ა მ ა რ ი ს ა და სო-
ლო მონ ბრძნის იგივეობას. აბდულმესიანში ს ა რ ა მ ა რ ი ს
გრძნეულობას მართლაც უპირისპირდება სოლომონის სიბრძნე (ასე-
ვე დაპირისპირებული ჩანს თამარიანში სოკრატის სიბრძნე და სარა-
მარის გრძნება). თავის მხრივ ი. ლოლაშვილი ამტკიცებს (ამტკიცებს
საკმარისად საბუთიანად), რომ მეხოტბის ს ა რ ა მ ა ინდური მითო-
ლოგიის გ რ ძ ნ ე უ ლ ი ს ა რ ა მ ა არისო. მეხოტბეთათვის რომ
ინდური სამყარო არ იყო უცხო, ამის საბუთად მკვლევარი ასახელებს
შავთელის მიერ იმავე 103-ე სტროფის ბოლო ტაეპში დამოწმებულ
ვ რ ა ხ მ ა ნ ს („მათთან ვრახმანი გძნობდეს რვა ხმანი, ვერა დამა-
ტონ ქება ძალისა“), რაც ნ. მარის განმარტებით ნიშნავს ब्राह्मण-ს.
ი. ლოლაშვილი სხვა შემთხვევაშიც ხედავს ინდური მითოლოგიის,
კერძოდ რ ი გ ვ ე დ ი ს, ნაკვალევს თამარიანში (რავი, სურია)²⁹.
ეს გარემოება უფლებას აძლევს მას წამოაყენოს საინტერესო დებუ-

²⁸ Тамариани. Перевод Ш. Нуцубидзе, стр. 164.

²⁹ ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 89—91.

ლება მე-12 საუკუნის ქართული სულიერი კულტურის კავშირისა ინდურ სინამდვილესთან³⁰.

ი. ლოლაშვილის ზოგი ტექსტოლოგიური კონიექტურა და კომენტარი იწვევს დიდ ცილობას. ასეთია მაგალითად, ცნობილი სტრიქონი (VII, 27):

მაშა მე, ხელი, მაშა მეხელი.
ვით ვანგელობდე და ცა-ვსცნა-ელი.

ამ ტაეპის პირველ ნახევარს ი. ლოლაშვილი შემდეგნაირად კითხულობს:

მაშა, მეხელი, მაშა, მეველი.

ხოლო მთელი ტაეპის შინაარსი ასე გაუაზრებია: „არისტოტელეანელო, მომეახლე, მაშ, მფარველობა გამიწიე, მიპატრონე (შენს ხელქვეშ მამყოფე), რომ მით სიტყვისმგებლობა (დიალოგში მოპასუხეობა) ვიკისრო და ლერწმის კალამიც (საწერად) მოვიმარჯვო³¹. ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ძალზე ხელოვნური, დაუსაბუთებელი და არაღამარწმუნებელი განმარტებაა მეტად რთული ტექსტისა.

ჩვენ გვინდა უფრო ვრცლად შევეხოთ თამარიანის ე. წ. ელეგიების საკითხს.

როგორც ცნობილია, თამარიანში ნ. მარმა აღმოაჩინა ორი ფრაგმენტული ნაწყვეტი, სადაც მოთხრობილია ვიღაც პოეტი-მოგზაურის მეტისმეტად საინტერესო თავგადასავალი. ამ უცნობ პოეტ-მოგზაურს დაუტოვებია სამშობლო მხარე, გარდახვეწილა უცხოეთში (თითქო მიჯნურული გახელების ნიადაგზე), მოუვლია ბევრი შორეული ქვეყანა (სპარსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, მდ. ვოლგის ნაპირის რუსეთი, არაბეთი, მცირე აზია), შეუძენია დიდი ქონება, შეურთავს ცოლი, დიდი განძით თურმე ბრუნდებოდა საქართველოში, მოსულა ქალაქ ბარდავამდის, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო აქედან უკან გაბრუნებულა და უგზო-უკვლოდ გადაკარგულა. ამ ამბის მომთხრობელ პოეტს თავზარი დასცემია და გული შეღონებია („დამეცის ზარი... დამტყდიან ცანი... დავრჩი უსულოდ მართ ვითა მკვდარი“). ამბავი წყდება ავტორის ნალვლიანი სიტყვებით:

³⁰ ი ქ ვ ე, გვ. 88.

³¹ ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59—69.

რა მას ვიგონებ, ვერას ვიწონებ,
ველთა გაქრასა ოდენ მზა ვარი.

პოეტი მომთხრობელი პოეტ-მოგზაურს უწოდებს „ჩემსა მოყმესა“, რომელსაც „მოკყევანდის ქალი, საჩემო სძალიო“.

ორივე ნაწყვეტში მოთხრობილია ერთი და იგივე ამბავი, ოღონდ მეორე ნაწყვეტის ტექსტი ხშირად წარმოადგენს პირველის თავისებურ კომენტარს, აქ გადმოცემულია ზოგიერთი ახალი დეტალი მოგზაურის თავგადასავლის შესახებ. ამ ტექსტის ავტორი თითქოს თანაგრძნობას უტყბადებს პირველი ნაწყვეტის ავტორს მოგზაურის სავალალო ხედრის გამო. მეორე ნაწყვეტის ლექსი ძალიან სუსტია მხატვრულად, თანაც აქ დარღვეულია თამარიანის სალექსო მეტრის (ჩახრუხაულის) ელემენტური წესები. ნ. მარი სხვადასხვა პირს მიაწერდა პირველი და მეორე ფრაგმენტების ავტორობას. რამდენადაც ორივე ფრაგმენტი მოგვითხრობდა უცნობი პოეტი-მოგზაურის თავგადასავალს, თამარიანის ამ ტექსტით ივარაუდებოდა სამი სხვადასხვა პოეტი: პოეტი-მოგზაური, მოგზაურის თავგადასავლის მომთხრობელი და პოეტი-კომენტატორი. პ. ინგოროყვას მიზნდევით პოეტი-მოგზაური თამარიანის ავტორი ჩახრუხაძეა, თავგადასავლის მომთხრობელი — მეხოტბე ჩახრუხაძის ძმა (ჩახრუხაის ძე მეორე), ხოლო პოეტი-კომენტატორი — მანიჭეველი პოეტი ბარამან მანი.

ავტორთა მელანქოლიური განწყობილების გამო აღნიშნულ ფრაგმენტებს ნ. მარი უწოდებდა ელეგიებს, თუმცა ქანრობრივად მათ ელეგიებთან არაფერი საერთო არა აქვთ რა. ამ ფრაგმენტების თაობაზე შედარებით დიდი სპეციალური ლიტერატურა მოიპოვება³². თავისი სიტყვის თქმა სცადა ივ. ლოლაშვილმაც.

პირველი სათავგადასავლო ფრაგმენტი ნ. მარს გამოყოფილი ჰქონდა თამარიანის ძირითად ტექსტში VI კარად, ამის პარალელურად მოათავასა მან, როგორც ჩანართი. მეორე ფრაგმენტული ნაწყვეტი. ივ. ლოლაშვილმა მარისეული ჩანართი ნაწყვეტი დაბეჭდა VIII კარად, ხოლო პირველი ფრაგმენტი — IX კარად. ზემოთ უკვე შევნიშნეთ, რომ მეორე ფრაგმენტი მარმა ჩანართად იმიტომაც ჩათვალა, რომ იგი ყოველად უმწეოა ფორმით, გამართულია ძალიან სუსტი ოცმარცვლიანი, არაჩახრუხაული საზომით. ი. ლოლაშვილი ყურადღებას არ აქცევს საზომის დარღვევის მო-

³² ამ ლიტერატურის კრიტიკული განხილვა იხ. ჩვენს ნაშრომში — „ნარკვევები“, III, 1952, გვ. 237—266.

მენტს, თითქოს ყველაფერი რიგზე იყოს, ის ნაოლოდ ერთგან შენიშნავს: „სტროფები დაწერილია ისე, რომ ტაქტა პირველ ამარცვლებში შინაგანი რითმა არ არის დაცული“ (114). ამ ტაქტიდან მას საჭირო დასკვნა არ გამოუტანია. შინაარსობრივად და აზრობრივად ი. ლოლაშვილი ერთმანეთს აცილებს ამ ფრაგმენტებს. პირველს უწოდებს „საარაკო ამბების ფრაგმენტს“, მეორეს — „სამიჯნურო-სათავგადასავლო ფრაგმენტს“ (161—163). პირველ ფრაგმენტში თითქოს მოთხრობილია იმ „უცხო პირთა შესახებ, რომელნიც თამარის სიდიადით მოხიბლულნი სხვადასხვა ქვეყნებიდან მის სანახავად საქართველოში მოდიოდნენ სადარბაზოდ. პოეტი თამარს მიმართავს ამგვარად“ და მოჰყავს მთელი ფრაგმენტის შინაარსი (გვ. 162; დაყოფა ჩემია — ა. ბ.). ჩვენ აქ მთლიანად და უცვლელად ვიმეორებთ ლოლაშვილისეულ ტექსტს (ტექსტი აბზაცებად ჩვენ დაყავით):

ცრმელთა ნაკადი თვალთაგან ღვრივით მოდის, რადგანაც სიკედლის შემდეგ შენი დიდების მუწყებელ მაგალითებს (საარაკო, საოცარ ამბებს) ველარ ვიტყვი. შენ სწუხხარ იმის გამო, რომ შენს მოყმებს (კაბუეებს) ეშოპლები აღარა ჰყავთ, რომ ისინი დიხოცნენ სამშობლოსათვის ბრძოლებში იქ, სადაც „სახელი ქვეყანისაა არა ისმოდის“, მაგრამ გულს იმედად უთხარ: ვითომ ისინი შორს წასულნი არიან და მალე ისევ საქართველოში დაბრუნდებიან.

დღეს შენთან სხვადასხვა ქვეყნიდან დეღეგაციები მოდიან. შენმა მნახველებმა დასავლეთში დიდხანს დაჰყვეს, მაგრამ ისინი აქვანსა და მოსულში რომ მოვიდნენ, დიდძალი ძვირფასი ქვა და ოქრო ჰქონდათ აქ წამოსაღებად. ხაზარებმა, ჩინელებმა და ხანთა ქვეყნის წარმომადგენლებმა გზა შეიმოკლეს და შენთან მოისწრაფოდნენ. კონსტანტინეპოლში ნაევი ააგეს და საქართველოსაკენ გამოემგზავრნენ; ზღვა წყნარად იყო და სამგზავროდ კარგი ამინდი ჰქონდათ; ბაღდადელი დიდებულები ბარდაეში მოვიდნენ, საიდანაც მათ მახარობელი გამოგზავნეს სადარბაზოდ მომავალი დეღეგაციის სურვილის მუწყებლად. მათ თან ცოლები მოჰყავდათ და ზავის ჩამოგდება სურდათ. საჩუქრად აქლემებით დატვირთული განძეული მოჰქონდათ, ხოლო ქარავანს მონა-მხველები მოუძღოდნენ.

თამარ, შენ წინ მიეგებე მათ „სურნელთა კმევად“ სამეფო ამალით. საეკლესიო მოღვაწეების თანხლებით და სტუმრები სადარბაზოდ მოიწეე. მობაღდადე ქალბატონებმა მეგობრულად „მარმარის მკლავნი“ მოგზავიეს და სიხარულისაგან მათი სული იწოლა. შენ თან ხელის სათხოვენ ღელად მოსულნი დიდოემირნი ამ ამბის ნახვის შემდეგ გულში ლახვარს აღარ ჩაისობს. ის ქაბაში თავისთვის აკლამას იმზადებდა. შორიდან გეტრფილებოდა, ქრისტეს სჯულის უარყოფას, მაქმადი ანობის მიღებას გთხოვდა, მაგრამ შენ მის ვედრებას ყური არ ათხოვე“.

წერილმანები რომ ჰერჯერობით განზე დავტოვოთ და ყურადღება მთავარზე გავამახვილოთ, ისე გამოდის, თითქოს საქართველოში სადარბაზოდ და ზავის ჩამოსაგდებად მოდიოდა დიდი

„დელეგაცია“, რომლის შემადგენლობაში მარტო ათი-ათასი ქალბატონი ყოფილა. მრავალრიცხოვან სტუმართა შორის იმყოფებოდა ქააბის მფლობელი დიდი ემირი, რომელიც თურმე თამარის ცოლად შერთვას აპირებდა და სამაგიეროდ დედოფლისაგან მოითხოვდა ქრისტიანული სჯულის დაგდებას და მაჰმადიანობაზე გადასვლას. თამარს ამ „ვედრებისათვის“ ყური არ უთხოვებია. სტუმრებს თამარი შორს გაგებებია, ქალაქ ბარდავის მიდამოებში; ი. ლოლაშვილი პირდაპირ ამბობს: „VIII სახოტბო ლექსის მე-9—16 ტაეებში აღწერილია საინტერესო ისტორიული ფაქტი — თამარის შეხვედრა მობალდადე დიდებულებთან ბარდავის მახლობლად“ (118). თამარს ხლებია დიდი ამაღა, მათ შორის „საეკლესიო მოღვაწეები“.

ივ. ლოლაშვილის მონათხრობის მიხედვით ქააბის მფლობელს აღმაშფოთებელი თავხედობა და მკრეხელობა გამოუჩენია, საქართველოს მეფისა და დედოფლის ხელი უსურვებია და ამისათვის მოუთხოვია მისგან სჯულის დაგდება და გამაჰმადიანება, თამარს არ შეუწყნარებია ეს „ვედრება“. საქართველოსა და მისი მეფის ღირსებას ასე შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი წინადადება მიუცია თითქოს ზავის ჩამოსაგდებად მოსულ ემირს.

ყველაფერი ეს შეთხზულია. არავითარი ამისი მსგავსი რამ თამარიანში არ არის.

ისტორიიდან ვიცით, რომ გიორგი რუსის გაშვების შემდეგ ბევრი იყო თამარის ხელის მაძიებელი. მათ შორის ცნობილი არიან მუტაფრადინი და შარვანშა ახსართანი. მუტაფრადინი თამარს ეწვია მართლაც „დიდითა ლაშქრითა, მრავლითა დიდებულითა, ხოჯაებითა და საჭურისითა, მონებითა და მხეველითა, ბარგითა და სიმდიდრითა, სახელმწიფოთა ძღუნითა კმასაყოფინელითა, თუალთა და მარგალიტთა, საჭურჭლეითა და ლართა თანა ავაზებისა და ტაიქებისა სიმრავლითა“³³. მაგრამ იგი იყო „დამაგდებელი მუჰამედისა სჯულისა“. ასევე შარვანშა ახსართანი იყო „სჯულისა დაგდებად განმზადებული“³⁴. მაშასადამე, თამარის ხელის მაძიებელი მაჰმადიანნი თამარისაგან კი არ მოითხოვდნენ ქრისტიანობის უარყოფას, არამედ თვითონ სტოვებდნენ მაჰმადიანობას და ქრისტიანობაზე გადადიოდნენ.

³³ ისტორიანი და აზმანი შარვანდედთანი, კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 86.

³⁴ იქვე, გვ. 87.

მართალია თამარს, მაშინ უკვე დავით სოსლანის მეუღლეს, უკმეხი ულტიმატუმი შეჰკადრა სულტანმა რუქნადინმა („უკუეთუ მეფემან თქუენმან დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმან ცოლად, და უკუეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარკად სულტანისა“, უთქვამს რუქნადინის მოციქულს)³⁵, მაგრამ თავხედი სულტანის თავხედი მოციქული შეუფერებელი სიტყვისათვის კარგად „სწვართა“ საქართველოს მხედართმთავარმა („წარმოდგა ზაქარია ამირსპასალარი და უხეტქა ხელითა პირსა და, ვითარცა მკუდარი დაეცა“)³⁶. ი. ლოლაშვილი კი ე. წ. ელეგიური ფრაგმენტის ავტორს რაღაც სრულიად დაუჯერებელ ამბავს მიაწერს. საქართველოს მეფესა და დედოფალს სადარბაზოდ მოსულმა მაჰმადიანმა ამირმა თურმე ყოვლად უმსგავსო სიტყვა აკადრა, ხოლო თამარმა — არც მეტი არც ნაკლები — მხოლოდ ყური არ ათხოვა ამ „ვედრებას“. კარგი სტუმრობა გამოუჩენია ამირს და კარგადაც დახედრია მას მასპინძელი! არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამირის „სავედრებელი“ მიწაზე ანარცხებდა საქართველოს სახელმწიფოებრივ ღირსებას და საშინელ შეურაცხყოფას აყენებდა პირადად თამარს. რა საერთო შეიძლება ჰქონოდა ასეთ განზრახვას სამშვიდობო და საზავო დარბაზობასთან? იმასაც მივაქცევთ ყურადღებას, რომ ივ. ლოლაშვილის მიხედვით, თამარი ქ. ბარდაყვანთან გაგებებია „სტუმრებს“. ესეც საკითხის შეუფერებელი გაშუქებაა. სადარბაზოდ მოსულ საპატიო სტუმრებს, მოციქულებსა თუ ელჩებს, თამარი თავის რეზიდენციაში ხვდებოდა, სამეფო კარზე. იმავე მუტაფრადინს „წესისაებრ სახლისა სახელმწიფოსა მიეცებენ დიდებულნი და პატავითა და სიყვარულითა მოიყვანეს სრად სამეუფოდ“³⁷.

ი. ლოლაშვილის მონათხრობით, ფრაგმენტის ავტორი თითქოს პირდაპირი დასახელებით მიმართავს თამარს („თამარ, შენ წინ მიეგებე მათ“ და სხვ.). ეს ასე არ არის. მეორე ფრაგმენტიდან საერთოდ გამოსარიცხავია თამარისადმი რაიმე მიმართვა. პირველი ფრაგმენტით კი მხოლოდ დიდი სიფრთხილით შეიძლებოდა ასეთ მიმართვაზე ლაპარაკი. ნ. მარი მართებულად შენაშნავდა: «Не знаем также и того, к кому Чахрухадзе обращается в элеггии, когда он говорит:

³⁵ ი ქ ვ ე, გვ. 125.

³⁶ ი ქ ვ ე. სხეთა შორის, ამ სიუჟეტზეა იგებული ლაღო გულიაშვილის ცნობილი სურათი „საქადრისი პასუხი“.

³⁷ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 84.

«Я знаю, что меня жаль тебе» («ვიცი, გეწყალი»). Быть может, это — сама Тамара»²⁸.

ამრიგად, ი. ლოლაშვილმა პრინციპულად მნიშვნელოვანი ბეგ-რი ისეთი რამე მიაწერა ფრაგმენტის ავტორს, რასაც იქ ადგილი არა აქვს.

საყურადღებოა საკითხის ზოგიერთი კერძო მხარე, ასე ვთქვათ, წვრილმანები. უხერხული იქნებოდა (და შეუძლებელიც) პოეტს თუ გინდ გადაკრულად თამარისათვის მიენიშნებინა (ისიც საზეიმო ვითარებაში) მომავალ სიკვდილზე („სიკვდილის შემდეგ შენი ღიღების მაუწყებელ მაგალითებს ველარ ვიტყვი“).

შენი მოყმენი „დაინოცნენ სამშობლოსათვის ბრძო-ლებშიო“, ვითომც თამარს ეუბნება მეხოტბე პოეტი. ასეთი რამ ტექსტში არ არის. საკვირველია, რომ თუმცა მოყმენი უცხოეთში უკვე დახტვილან, თამარს თავი უნუგეშებია, ისინი „მალე ისევ საქართველოში დაბრუნდებიანო“. თამარს სხვადასხვა ქვეყ-ნიდან „დელეგაციები“ მოსდიოდა. „შენმა მნახველებმა დასავე-ლეთში დიდხანს დაჰყვესო“, „ხაზარებმა, ჩინელებმა და ხანთა ქვეყნის წარმომადგენლებმა გზა შეიმოკლეს და შენთან მო-ისწრაფოდნენო. ამ მოკლე გზის მარშრუტი ყოფილა კონსტან-ტინეპოლზე, მალრიბი (ჩრდილოეთ აფრიკის დასავლეთი), მცირე აზია (მოსული), სპარსეთი (აჰვაზი), აზერბაიჯანი (ბარდავი). სამ-შვიდობო დელეგაციის წევრებს ქეშმარიტად გზა აბნევიათ. ხაზა-რები საქართველოს მოსაზღვრე მეზობლები იყვნენ. როცა საჭი-რო გახდა, ნერსე ერისმთავარმა „განვლო კარნი დარიალანისანი“ და მცირე დროის მანძილზე ხაზარეთში გაჩნდა. ამ გზით გადმოჰ-ყვდათ საქართველოში დავით აღმაშენებლის დროიდან ყოველ-ყები. ამ გზით (აგრეთვე დარუბანდით) ქართველები სააღმშენებ-ლო და კულტურულ ურთიერთობას ამყარებდნენ ჩრდილოეთთან. თუ ხაზარებს საქართველოში მოეჩქაროდათ და გზის შემოკლე-ბას აპირებდნენ, არამც და არამც ზემოთ დასახელებულ შორეულ მარშრუტს, არ აირჩევდნენ. არც ჩინელებსა და ხანთა ქვეყნის მკვიდრთ სცოდნიათ საქართველოში მოსასვლელი გზები, საკვირ-ველია, როგორ შეძლეს ჩვენი ქვეყნისკენ გზის გამოგნება. ჩინგიზ-ხანის მოლაშქრეებმა? ისინიც ხომ „ხანთა ქვეყნიდან“ მოდიოდნენ?

ჩემი აზრით ი. ლოლაშვილმა აუბნია გზა შორეული ქვეყნე-ბიდან საქართველოში მომავალ „სამშვიდობო დელეგაციებს“.

²⁸ Древнегрузинские описцы; 1902, გვ. 44.

განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ყოფილა ბაღდადელ დიდებულთა დელეგაცია. ბაღდადელ დიდებულებს „თან ცოლები მოჰყავდათო“, ამ „მობაღდადე ქალბატონებმა მეგობრულად „მარმარნი მკლავნი“ მოგზიეს (თამარს) და სიხარულისაგან მათი სული იწორდა“. სხვა ადგილას მკვლევარი აზუსტებს მობაღდადელი ქალბატონების, ბაღდადელი დიდებულების ცოლების, რიცხობრივ რაოდენობას — თითქოს ათი ათასი სული ყოფილა. ი. ლოლაშვილი ამბობს: „მობაღდადელ დიდებულებს ათი ათასი მარ-გაყვეთილი“ ქალბატონი (ე. ი., ცოლი) მოჰყავდათ თამართან და მშვიდობის ჩამოგდება სურდათო“ (116). იქვე მკვლევარი საჭიროდ თელის საგანგებოდ აღნიშნოს, რომ „ამგვარი გაგება ზედმიწევნით შეესატყვისება იმ შინაარსს, რომელიც მოთხრობილია 57-ე სტროფში“.

საგულისხმოა, რომ ი. ლოლაშვილი ეკამათება იმ მკვლევართ, ვინც ფიქრობს, ვითომც ბაღდადელი მოღარბაზენი ათი ათასი მოლაშქრისაგან შედგებოდა. „სამშვიდობოდ მოსული დელეგაცია არავითარ შემთხვევაში ასეთი დიდი ჯარით არ მოადგებოდა საქართველოს საზღვრებს. სხვაც არა იყოს რა, ეს გარემოება ერთგვარ დაეჭვებას და საომარ სამზადისს გამოიწვევდა ქართველების მხრივო“.

კეთილდა და პატიოსანი. მაგრამ; თუ მობაღდადენი მოდიოდნენ თავიანთი ცოლებით, ხოლო ცოლების რიცხვი იყო ათი ათასი, რამდენი უნდა ყოფილიყვნენ მათი ქმრები, ე. ი. მობაღდადე დიდებულთა დელეგაციების წევრები? ისინი მსუბუქად მაინც ხომ უნდა ყოფილიყვნენ აღჭურვილნი? იქნებ მაჰმადიანთა დიდებულებმა მართო ცოლები გამოგზავნეს საქართველოში? უნდა წარმოვიდგინოთ, რა დღეში ჩავარდებოდა თამარი, თუ მას მკლავნი მოხვია ათი ათასმა დიაცმა. ან სად მიიღო თამარმა ასეთი მრავალრიცხოვანი დელეგაცია, სულ მცირე ოცი ათასი სული, ბარდავში, თუ დედაქალაქში, თბილისში? როდესაც ბაღდადელთა დელეგაციაზე ვლაპარაკობთ, ანგარიშში უნდა ჩავაგდოთ ქაბის მფლობელი დიდი ემირის პირადი ამაღაც. მართალია, ი. ლოლაშვილი გადაჭრით ვერაფერს ამბობს ემირის კავშირზე მობაღდადეთა წრესთან. ფრაგმენტის შინაარსის გადმოცემისას ამ საკითხს გვერდს უვლის, ხოლო სხვაგან შენიშნული აქვს: „დიდი ემირი მობაღდადეთა დიდებულების შეთაურად მოჩანსო“ (გვ. 118). ემირის ამაღაც კიდევ უფრო გაზრდილა მობაღდადეთა დელეგაციის შემადგენლობას. სად გაჯგონილა ასეთი დელეგაცია, თუ გინდ სამშვიდობო და საზავო?

ჰიპერბოლასაც ხომ თავისი ლოგიკა აქვს? და კიდევ რამდენი სხვა კითხვა აღეძრება მკვლევარსა თუ ჩვეულებრივ მკითხველს ი. ლოლაშვილის კომენტარების გაცნობის დროს.

ი. ლოლაშვილმა შედარებით დიდი ადგილი დაუთმო თავის ნაშრომში პირველ (ნ. მართ მეროე) ფრაგმენტულ ამბავს, სამაგიეროდ იგი ძალიან მოკლედ ჩერდება მეორე (ნ. მართ პირველ) ფრაგმენტულ ამბავზე. მთლიანად მოგვყავს ი. ლოლაშვილის შენიშვნები ამ ფრაგმენტზედაც:

„ს ა მ ი ჯ ნ უ რ ო -ს ა თ ა ე ვ გ ა დ ა ს ა ვ ლ ო ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი შე-
დგება ტრადიციული ტექსტის 59—60, 62—63, 61-ე და 64-ე
სტროფებისაგან. უკანასკნელი სტროფი დაზიანებულია; გადარჩენი-
ლია მხოლოდ მისი პირველი ტაეპი; ელეგიის რითმაა არი.

იწყება:

ვიცი გეწყალი, დამნთქამს მე წყალი,
ნოეს ჩაკადი, მოქცევი ღვარი...

წყდება:

რა მას ვიგონებ, ვერას ვიწონებ,
ველთა გაქრასა ოდენ მზა ვარი.

შინაარსი ეხება თამარის სიყვარულით გახელებულ მოყ-
მე-პოეტს, რომელსაც შემოუვლია აზიისა და ხმელთაშუა ზღვის
ქვეყნები და რომელიც სამუდამოდ უცხოეთში ყარობად დარჩე-
ნილა.

ეს ფრაგმენტი შინაარსობრივად წარმოადგენს VII—VIII სა-
ხობო ლექსების გაგრძელებას. ამით პოეტი მაგალითების ჩა-
მოთვლას ამთავრებს (გვ. 163).

უნდა მოვიგონოთ, რომ საანალიზო ფრაგმენტი პირველზე
უფრო დიდია მოცულობით, ფორმით უნაკლოა, შინაარსით ფრიად
საინტერესო. აქ მოთხრობილია ვიღაც უცნობი პოეტის შორეული
სამოგზაურო თავგადასავალი. ფრაგმენტი მრავალმხრივ არის სა-
ყურადღებო. დავას იწვევდა და იწვევს პოეტი-მოგზაურის ვინა-
ობა, მისი კავშირი თამარიანის ავტორთან. ფრაგმენტი ფრიად სა-
ინტერესოა თავისი ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისითაც.
მხედველობაში მისაღებია, რომ ამ პოეტ-მოგზაურს შემოუვლია
აზიისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები, ე. ი. ამის მარშრუტიც არ-
სებითად იგივე ყოფილა, რაც თამარის სანახავად გამოშურებული
დღლეგაციებისა. რა კავშირშია ერთმანეთთან ეს ამბები და ეს მარ-

შრუტები? როგორ წყვეტს ი. ლოლაშვილი პოეტი-მოგზაურის ვინაობის საკითხს? სამწუხაროდ, ეს საკითხები უყურადღებოდ რჩება, მაშინ როდესაც ფანტასტიკური ასპექტით არის განხილული პირველი ფრაგმენტის ფანტასტიკური ამბავი.

ჩვენი საბოლოო დასკვნით, ი. ლოლაშვილმა ერთგვარად უფრო გააბუნდოვანა განხილული საკითხი. ამისდა მიუხედავად, ი. ლოლაშვილის ნაშრომი მთლიანად, კერძოდ მისი ტექსტოლოგიური ნაწილი, როგორც დასაწყისშიც ვთქვით, დადებითი მოვლენაა და მოწონების ღირსია.

ვის ო რამინის ანუ ვისრაპიანის ახალი თქმრანული გამოცემა

(ქართულ მეცნიერთა წვლილი სპარსული მწერლობის შესწავლის
საქმეში)

„ვისრაპიანი“ („ვის ო რამინ“) შუა საუკუნეთა მშვენიერი რომანია. მსოფლიო მნიშვნელობის ამ დიდებულმა ძეგლმა დიდი გავლენა მოახდინა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ეპიკურ-რომანტიკული პოეზიის განვითარებაზე. ცნობილია „ვის ო რამინის“ ზემოქმედება ნიზამი განჯელის შემოქმედებაზე. იგი ითვლება „ტრისტან და იზოლდას“ შთამაგონებელ წყაროდ. რუსთველი ხომ სამკერ იმოწმებს „ვისრაპიანის“ გმირებს:

იგი ქირი არ უნახავს არ რამინს და არა ვისსა.

ფატმანს ჰკვლიდა უმისობა, რამინისა ვითა ვისსა.

ნუ ეპე მიჯნურად მათებრსა ნუცა თუ რამინს და ვისსა.

ვისრაპიანი“ მოგვითხრობს ვისისა და რამინის დაუცხრომელი სიყვარულის მიზიდველ ამბავს. ეს ამბავი ძველთაძველია, ლიტერატურულად ადრე, არა უგვიანეს VII საუკუნისა, დაუმუშავებიათ შუასპარსულ (ფალაურ) ენაზე. XI საუკუნის შუა წლებში ფალაური წყაროს მიხედვით ვისისა და რამინის ამბავი ახალ სპარსულზე ლექსად გააწყო ფაზრ-ადინ გორგანელმა. გორგანელის პოემას ეწოდება „ვის ო რამინ“ (ვისი და რამინი), ქართული „ვისრაპიანი“ გორგანელის „ვის ო რამინიდან“ მომდინარეობს, ჩამოყალიბებულია XII საუკუნეში (უსწრებს „ვეფხისტყაოსანს“, „აბდულმესიანს“, „თამარიანს“, თამარის ისტორიას („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“).

ფაზრ-ადინ გორგანელი პირველი სპარსულენოვანი მწერლობის სამყაროში, რომელმაც წარმტაცი ენითა და საკვირველი ფსი-

ქოლოგიური სიმართლით გამოხატა სიყვარულის მძლავრი ადამიანური განცდები. გორგანელმა შექმნა ცოცხალი, რეალისტური, უკვდავი ლიტერატურული სახეები. „მოვა ესეთი ჟამი, რომელ ჩვენსა სახელსა ახსენებდნენ და ყოველსა კაცსა უკვირდეს ჩვენი სიყვარული“, ამბობს ამ თხულების ერთი უმთავრესი გმირი. ეს ჟამი დადგა. თითქოს პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: თავის სამშობლოში „ვის ო რამინი“ დიდხანს იყო მივიწყებული, იმას უფრო ოცნობდნენ და აფასებდნენ საქართველოში. „ვის ო რამინისადმი“ გულგრილობას სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში მეტად მცირეა ჩვენ დრომდის მოღწეული ხელნაწერები ამ პოემისა. ბეჭდურად კი პირველად კალკუტაში (ინდოეთში) გამოქვეყნდა 1865 წელს, მეორედ — თეირანში 1935 წელს (მინოვის რედაქციით), მესამედ — ისევ თეირანში 1959 წელს (მაჭუბის რედაქციით). არცერთი გამოცემა კრიტიკული არ არის (კრიტიკულობის ერთგვარი ნიშანწყალი დაკრავს მინოვის გამოცემას, მაჭუბის გამოცემა უპირატესად ამას იმეორებს). „ვის ო რამინის“ კალკუტური გამოცემა ემყარებოდა ერთადერთ ნაგვიანვე და ნაკლებ ნუსხას. შემდეგ აღმოჩნდა რამდენიმე სხვა ნუსხაც, მაგრამ ყველა გვიანდელი დროისა, XVI—XVII საუკუნეებისა. ქართული „ვის-რამიანი“ სპარსული „ვის ო რამინის“ ჩინებული თარგმანია და თავისი წარმოშობით სამი საუკუნით მაინც უსწრებს სპარსულ აწინდელ ხელნაწერებს. ყველაფრიდან ჩანს, რომ ქართულს საფუძვლად ჰქონია უსრულესი და უძველესი სპარსული ნუსხა, თარგმანი კი შესრულებულია უბრწყინვალესი ლიტერატორის მიერ (სამწუხაროდ, მისი ვინაობა უცნობია). ამიტომაც განუზომლად დიდია „ვისრამიანის“ მნიშვნელობა „ვის ო რამინის“ ტექსტის დასადგენად (ისე როგორც ქართული თარგმანის ტექსტის დასადგენად უებარი წყაროა მისი სპარსული დედანი).

ქართული „ვისრამიანის“ არსებობა ირანში ძველად არავინ იცოდა, ხოლო საქართველოში ყრუდ ჰქონიათ გაგონილი „ვის ო რამინის“ შესახები ამბავი. „ვისრამიანი“ პირველად დაიბეჭდა 1884 წელს (ილ. ჭავჭავაძის, ალ. სარაჯიშვილის და პ. უმიკაშვილის რედაქციით), მეორედ 1938 წელს (ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით), მესამედ — 1960 წელს („საუნჯის“ სერიაში, გამოსაცემად მოამზადა ივ. ლოლაშვილმა, რედაქტორი ალ. ბარამიძე), მეოთხედ — 1952 წელს (გამოსაცემად მოამზადეს ალ. გვახარიაშვილი და მ. თოდუაშვილი, რედაქტორი გიორგი

წერეთელი). 1964 წელს მცირეოდენი ცვლილებებით განმეორდა 1962 წლის გამოცემა.

„ვისრამიანის“ პირველ გამოცემას ბევრი ნაკლი აქვს. მაინც თავის დროისათვის იგი კარგი გამოცემა იყო. როგორც ვთქვით, მაშინ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონიათ „ვისრამიანის“ ლიტერატურულ ისტორიაზე, „დღესაც სპარსულად დარჩენილა ამბავი ვისისა და რამინისა ქილილა და დამანასავით ლექსად და პროზად შერევით დაწერილი მეთერთმეტე საუკუნეში. ამბობენ, სპარსულითგან ეს თხზულება ნემენცურადაც გადაუთარგმნიათ“. საჭირო წყაროები რედაქციისათვის ხელმიუწვდომელი ყოფილა. „იმედი უნდა ვიქონიოთ, — ვკითხულობთ ვისრამიანის წინასიტყვაში — რომ შემდეგში ამ შესანიშნავის თხზულების სრული ვითარება გამოუძიებლად არ დარჩებაო“, რა თქმა უნდა, „ვისრამიანის“ გამოცემის რედაქტორთა იმედი გამართლდა. პირველი ნიკო მარი იყო, რომელმაც „ვის ო რამინის“ კალკუტური გამოცემა შეისწავლა, შეუღარა „ვისრამიანს“ და მისი ვითარება გამოიძია. მარმა ექვემოუტანლად დაამტკიცა, რომ „ვისრამიანი“ გორგანელის პოემის თარგმანია. მარის მოსაზრებათა თანახმად, დახელოვნებული ქართველი მთარგმნელი სიტყვასიტყვით, სტრიქონ-სტრიქონ, ზედმიწევნითი სიზუსტით თარგმნის ორიგინალის ტექსტს. ეს ასეა. ოღონდ „ვისრამიანი“ დედნის მხატვრული თარგმანია და არა ბჭკარედი. მთარგმნელი ტექსტს უსადაგებს ქართველი მკითხველი საზოგადოების გემოვნებას, მის სოციალურ, სარწმუნოებრივ, ზნეობრივ და კულტურულ წარმოდგენებს. შემდეგი დროის კვლევა-ძიებამ კიდევ უფრო ნათელი გახადა „ვისრამიანის“ ქართული თარგმანის ხასიათი. გაირკვა და დაზუსტდა ბევრი ახალი გარემოება, ბევრი დეტალი. ნ. მარს არც ის გამორჩენია მხედველობიდან, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს „ვისრამიანის“ სპარსულ-ქართული ვერსიების ერთმანეთთან დაწვრილებითს შეჯერებას ორივე ვერსიის კრიტიკული ტექსტის დასადგენად.

უკვე ითქვა, ირანელმა მეცნიერებმა დიდხანს არაფერი იცოდნენ სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის თაობაზე. ნავსი გატყდა 1934 წელს. მაშინ მთელ მსოფლიოში აღინიშნა დიდი ირანელი პოეტის ფირდოუსის დაბადების მე-1000 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ცნობილი ირანელი სწავლული და მწერალი საიდ ნაფისი. ნაფისი ეწვია თბილისს. გულმოდგინედ დაათვალიერა ფირდოუსისადმი მიძღვნილი გამოფენა საქართველოს მუზეუმში, დაუახლოვდა ქართველ

მეცნიერებს. ბევრი ესაუბრა მათ სპარსულ-ქართული მწერლობის საკითხებზე. ნათისის გაცემას საზღვარი არ ჰქონდა. ირანელ სტუმარს ვერ წარმოედგინა სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის მსგავსი სიმდიდრე. ეს გაცემა გამოხატა კიდევაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სპეციალური წერილით „სპარსული ლიტერატურა საქართველოში (ყურნ. „მიპრი“, 1934, VII, გვ. 746—749, თეირანი) საკუთრივ „ვისრამიანზე“, მისი შესწავლის ისტორიაზე და იმ შედეგებზე, რაც მიღებული იყო სპარსული „ვის ო რამინის“ ტექსტის საკრიტიკოდ, მოთხრობილია ვლ. ფუტურაძის წერილში, რომელიც იმავე „მიპრის“ — ფურცლებზე დაიბეჭდა 1936 წელს (№ 12). შეუმჩნეველი არ დარჩენილა არც ჩვენი „ვისრამიანის“ ინგლისური თარგმანი, რომელიც შეასრულა ოლივერ უორდროპმა (ლონდონი, 1914). ეს თარგმანი ნაწილობრივ გამოიყენა მინოვიმ „ვის ო რამინის“ მეორე გამოცემის მომზადების დროს. სპარსული დედნის მონაცემები შედარებით საფუძვლიანად იყო გამოყენებული ქართული „ვისრამიანის“ მეორე გამოცემის რედაქციის მიერ.

ამრიგად, ბოლოს და ბოლოს ყველასათვის აშკარა გახდა „ვისრამიანის“ ქართული თარგმანის გადამწყვეტი მნიშვნელობა სპარსული „ვის ო რამინის“ სანდო ტექსტის დასადგენად. არც ის იწვევდა ეჭვს, რომ შესაფერისი ტვირთის აწევა შეეძლო მხოლოდ ტექსტოლოგიის საკითხებში გაწაფულ, ქართულისა და სპარსულის კარგ მცოდნე სპეციალისტებს. ასეთი პირებიც გამოჩნდნენ. ესენი არიან ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები მაგალი თოდუა და ალექსანდრე გვახარია. ჯერ იყო და მათ 1962 წელს გამოაქვეყნეს „ვისრამიანის“ კრიტიკული ტექსტი. ამისათვის მათ დასჭირდათ დედნისა და თარგმანის („ვის ო რამინისა“ და „ვისრამიანის“) მთელი ტექსტის თავიდან ბოლომდის დაწვრილებითი შეჯერება. ამის შედეგად მათ დიდძალი მასალა დაუგროვდათ „ვის ო რამინის“ გასამართავად. შეჯერების სურათი ავტორებს გაანალიზებული აქვთ ვრცელ ნარკვევში „ვისრამიანის ქართული თარგმანის მნიშვნელობა სპარსული ტექსტისათვის“, რომელიც დართული აქვს „ვისრამიანის“ გამოცემას (გვ. 495—612). ნარკვევში გათვალისწინებულია ქართულ-სპარსულ-ლიტერატურულ ურთიერთობათა პრობლემატიკაზე მომუშავე ყველა მკვლევარის წვლილი. ქართული ტექსტის გამოცემის შემდეგ მ. თოდუა და ა. გვახარია შეუდგნენ სპარსული გამოცემის მომზადებას. კვლავ ტექსტების სკრუპულოზური შეჯერება, ხანგრძლივი, დაძაბული, მომქანცე-

ლი, მაგრამ იმედის მომცემი შრომა. კოლოსალურმა შრომამ, სამაგალითო გულმოდგინებამ, ენერგიამ, ნიჭმა და ცოდნამ თავისი გაიტანა. ქართველმა ირანისტებმა გადაწყვიტეს ძნელი ამოცანა: მათ მოამზადეს „ვის ო რამინის“ ნამდვილად აკადემიური, მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი, ეს ტექსტი შორს იტოვებს ყველა წინანდელ გამოცემას. მ. თოდუას და ა. გვახარიას მიერ დადგენილი ტექსტი დაიბეჭდა თეირანში 1970 წელს. გამოცემის მომზადებას ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი გიორგი წერეთელი, გამოცემის საქმეს თვალყურს ადევნებდა ირანის მეცნიერული ცენტრის მეთაური სპარსული პროფესორი ფარეზ ხანლარი, რედაქტორია ტაჯიკი მეცნიერი ქამოლ აინი. „ვის ო რამინის“ სპარსული ტექსტი მომზადდა საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. ირანის მეცნიერული ცენტრის თხოვნით იგი თეირანში დაიბეჭდა. ესეც არის ამ გამოცემის დიდ მეცნიერულ ღირსებათა აღიარების ცხადი დადასტურება. ეს არის ქართველ მეცნიერთა დიდი გამარჯვება.

„ვის ო რამინის“ კრიტიკული ტექსტის დასადგენად მ. თოდუას და ალ. გვახარიას ამომწურავი სისრულით გამოუყენებიათ პოემის ყველა სპარსული გამოცემა, სამი სრული ხელნაწერი (პარიზისა, ოქსფორდისა და სტამბოლისა), რამდენიმე ფრაგმენტი, რომლებიც დაიძებნა ლონდონის, თეირანისა და ღუშანბეს ხელნაწერ კრებულებში. ამას გარდა გამომცემელთა განკარგულებაში იყო „ვის ო რამინის“ ქართული თარგმანი. ხელნაწერი მემკვიდრეობიდან ყველაზე ეფექტური გამომდგარა სტამბულის ნუსხა (ცხადია, ტექსტის დამდგენთ ხელთ ჰქონდათ ხელნაწერი ნუსხების ფოტოპირები), რომელიც საზოგადოდ პირველად იქნა მოხმობილი გორგანელის პოემის ბეჭდურად გამრცემის საქმეში.

„ვის ო რამინის“ ხელნაწერების სიმცირის მიუხედავად, ისინი შეიცავეს მნიშვნელოვან ნაირწყობებებს (ვარიანტებს): ქართული „ვისრამიანი“ ხან ერთ ვარიანტს უჭერს მხარს, ხან მეორეს, ხანაც განზე დგას და თავის საკუთარ ვარიანტულ რკალს ქმნის. ყველა ცალკე შემთხვევაში ქართული საუცხოო წყარო ტექსტის საკონტროლოდ. დავიმოწმებთ რამდენიმე დამაჯანსიანებელ მაგალითს:

1. ვისი წერდა რამინს (ქართული ტექსტის მიხედვით):

„გარდასულსა დღესა ჰგავს მოყვარე წარსრული. და ნუ შეიპირვებ თუ გული ვაქვს და გონება მაგრა მე გულნი არა მას მემოწმების, რასაცა — მეტყვიან. დვინო

ჩემი დაიღვაწა, მაგრასული არაწავიდა მისი. ღამე არის და აწ მზე წარსრულა ჩემი, ქვეყანა ერთობ დამბნელებია. იმედისა მომლოდნე მე ამით ვარ, რომელ დილისა ჟამსა ამომავალია“ (ვისრამიანი, 1962, გვ. 184).

შეჯერებამ ცხადყო, რომ დამოწმებული ნაწყვეტის დაყოფილი ტექსტი არ მოეპოვება „ვის ო რამინის“ არცერთ გამოცემას. ამავე დროს ეს ტექსტი ორგანულად არის ჩაქსოვილი ვისის სევდიან წერილში და მისი ჩანართობა აბსოლუტურად გამორიცხული ჩანდა. ქართული ტექსტის სისრულე და სიმართლე დაადასტურა „ვის ო რამინის“ სტამბულურმა ნუსხამ. აქ იკითხება:

ნე ჩუნინ ესთ ქენდიშიდ ბედგუი,

მეიემ ბარ რიხთ, ლიქან ნამედეშ ბუი.

არც ასეა, როგორც ჰგონია აესიტყვას.

ღვინო ჩემი დაიღვარა, მაგრამ სუნი მისი (ჭერ) არ გამქრალა.

ქართული თარგმანის ტექსტისა და სტამბოლის ნუსხის მეშვეობით აღდგა დედნის დაკარგული ბაითი და ნაწყვეტი მშვენივრად გაიმართა (ვის ო რამინ, 1970, გვ. 502).

ქართულს ბევრი აქვს ამგვარი „ზედმეტი“ ტექსტი. სამწუხაროდ, ყოველთვის არ დაიძებნება მათი შესატყვისი ბაითები. ქართულის ავთენტურობა კი ექვს არ იწვევს. მსგავს შემთხვევებში ქართული ტექსტის ზუსტი პროზაული თარგმანი რედაქციას შეუტანია სქოლიოებში. ამრიგად, „ვის ო რამინის“ მკითხველისათვის ხელმისაწვდომი ხდება ქართულის მთელი ტექსტობრივი სინდიდრე.

2. კალკუტური ვარიანტით ერთგან იკითხება: „დიჯლის მდინარით პირი დაიბანა“. თეირანულით ამისი შესატყვისია: „თვალის სისხლით პირი დაიბანა“. განსხვავება დიდია. დედნისეული რედაქციის დასაადგენად გადამწყვეტ სიტყვას ამბობს ქართული: „თვალთაგან დიჯლა იდინა, პირი ცრემლითა დაიბანა“ (გვ. 151). ქართული ტექსტი გარკვევით უქერს მხარს კალკუტურ ვარიანტს (თუმცა საკმარისად გათავისუფლებული გააზრება აქვს). ასევე გაიმართა კრიტიკული ტექსტიც (გვ. 258).

3. „ვისაც კარგ ღვინოზე ხელი არ მიუწვდება, თხლეც რომ დალიოს, ეპატიება“, იკითხება კალკუტურ გამოცემაში. თეირანული გამოცემებით (და შესაფერისი ხელნაწერებით) თხლის (სპარსულად დორდ-ის) მონაცვლეა ფილა (საღერ). აქაც განსხვავება აშკარაა. სად თხლე და სად ფილა? აზრობრივად რომ

კალკუტურის წაკითხვა უკეთესია, ეს ნათელია. მის სისწორეს ადასტურებს კიდევაც ქართული ვისრამიანი (გვ. 197): „ვისცა მურავაყიანი (ე. ი. სუფთა, წმინდა) ღვინო არ მიხვდებოდეს, თხლის სმა არ ებრალეზის“ (ე. ი. დანაშაულად არ ჩაეთვლება, ანუ ეპატიება). „ვის ო რამინის სპარსულ კრიტიკულ გამოცემაში ბუნებრივად შევიდა დორდი, საღერიკი ვარიანტად დარჩა (გვ. 345).

არაბულ-სპარსული აღფაბეტის სპეციფიკურობის გამო სპარსულ ხელნაწერებში და ბეჭდურ გამოცემებში ჩვეულებრივ ხშირია სხვადასხვა ხასიათის გაუგებრობანი, ნებსით თუ უნებლიეთი გრაფიკული შეცდომები და აქედან გამომდინარე ხელოვნური ნაირწაკითხვები. ქართული სრულყოფილი შრიფტის (როცა ყველა ბგერას თავისი ინდივიდუალური გამოსახულების ასო — ნიშანი შეესატყვისება) გამორიცხავს ამგვარი გრაფიკული აღრევის შესაძლებლობას. ამიტომაც ქართული საუცხოო წყაროს წარმოადგენს დედნისეული ტექსტის საკონტროლოდ.

დავიმოწმებთ ამგვარი შეცდომის ერთ საყურადღებო მაგალითს. სპარსული გამოცემებითა და ხელნაწერებით იკითხება: „კვლავ აღარ დაყარა მიწაზე მარგალიტი“. „ვისრამიანიში“ ამისი შესატყვისია „მარგალიტი ღორსა წინა აღარა დაყარა“ (გვ. 106). განსხვავება დიდია. „ვის ო რამინის“ ტექსტის დამდგენთა მახვილგონიერული ვარაუდით, ეს განსხვავებაც გრაფიკული ნიადაგიდან უნდა მომდინარეობდეს. მიწა სპარსულად არის ხაჭ, ღორი კი ხუჭ. დაწერილობის ნიადაგზე აღრევა საესებო შესაძლებელია. აზრობრივად ქართულის წაკითხვა გაცილებით უკეთესია. გასწორების საფუძველიც დამარწმუნებელია (გვ. 173).

ზოგჯერ ქართული ტექსტის მონაცემი იწვევს გარკვეულ დაეჭვებას. ასე, „ვისრამიანით“ ვისი ეუბნება ძიძას რამინის მოციქულობის გამო: „ვერცა იგი დრაჰკნითა მომადორებს და ვერცა შენ შენითა საუბრითა“ (გვ. 83). სპარსულში ნათქვამია: „ვერც იგი მომატყუებს ვერას დროს შესახედობით (გარეგნობით, გარეგნული მოხდენილობით), ვერც შენ მომატყუებს ვერასოდეს საუბრით“. მაშასადამე, ქართულში ლაპარაკია დრაჰკნით (დინარით, ოქროს ფულით) ცთუნებაზე, სპარსულში — მოხდენილი გარეგნობით, შესახედობით. რამინს აროდეს უცდია ვისის გულის ფულით (დრაჰკნით) მონადირება, მან ვისი მოხიბლა თავისი მშვენიერი, ვაჟკაცური გარეგნობით. ეტყობა, ქართველ მთარგნელს ბელთ ჰქონდა ისეთი დედანი ხელნაწერი, სადაც ყოფილა ბედინარ (დინარით), რომელიც გრაფიკულად მსგავსია სიტყვისა

ბედიდარ (შესახედობით). ამით უნდა აიხსნას ეს მნიშვნელოვანი ვარიანტული სხვაობა. ცხადია, ამ შემთხვევაში (ისე როგორც ანალოგიურ სხვა შემთხვევებშიც) ძირითად ტექსტში დარჩა სპარსული ხელნაწერებით შემონახული რედაქცია, ხოლო ქართულის ტექსტი მოექცა ვარიანტში.

მოტანილ მაგალითებს ვიკმარებთ. ასე მომზადდა და გამოქვეყნდა „ვის ო რამინის“ ახალი აკადემიური, კრიტიკული ტექსტი მდიდარი მეცნიერული აპარატით¹. „ვის ო რამინის“ ეს გამოცემა დიდი ლიტერატურული მოვლენაა. ამ გამოცემით ქართველმა ირანისტებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სპარსული მწერლობის მეცნიერულად შესწავლის საქმეში. „ვის ო რამინის“ ახალი გამოცემა იმისი უტყუარი საბუთია, თუ რა დიდი წონა აქვს ქართულ საბჭოთა მეცნიერებას საერთაშორისო სარბიელზე. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში (როდესაც „ვისრამინის“ პირველი გამოცემა მზადდებოდა) ქართველი განათლებული საზოგადოების მოწინავე წრეებშიც კი ყრუდ ჰქონდათ გაგონილი სპარსული „ვისრამინის“ არსებობის ამბავი. ახლა ქართველი მეცნიერები თვითონ ადგენენ ამ ძეგლის კრიტიკულ ტექსტს და მას ბეჭდურად აქვეყნებენ ირანის დედაქალაქში. რა კოლოსალური ნაბიჯია წადგმული წინ!

ქართულ-ირანული თანამშრომლობა ფილოლოგიური მეცნიერების დარგში, რამაც უკვე ასეთი საგულისხმეირო ნაყოფი მოგვცა, მომავალში კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს და გაფართოვდეს.

¹ გამოცემას უძღვის გ. წერეთლის მოკლე წინასიტყვა და თოდუა-გეიხარას შესავალი წერილი, აგრეთვე შესავალი წერილი გამოცემის რედაქტორის ქამოლ ბინისა. ამ წერილებში მოთხრობილია კრიტიკული ტექსტების დადგენის თანამედროვე მეთოდებზე (გ. წერეთლის წინასიტყვა), სარეცენზიო გამოცემის ზასიათზე და იმ მუშაობაზე რაც ქართველმა მეცნიერებმა გასწიეს „ვის ო რამინის“ გამოსაცემად. ქ. ბინ გვიმბობს საბჭოთა კავშირ-ირანის თანამშრომლობაზე კულტურის დარგში და იმის შესახებ თუ რა კეთდება საბჭოთა საქართველოში სპარსული ლიტერატურის შესასწავლად. გამოცემას დართული აქვს კიდევ მ. თოდუას სპეციალური ნარკვევი „ორიოდე სიტყვა გორგანელის პოემის სიუჟეტის თაობაზე“.

ქილილა და დამანას საკითხები

1. ქილილა და დამანას საბასეული რედაქციის ლექსები

ქილილა და დამანა მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული იგავ-არაკთა კრებულია. ეს კრებული მოიპოვება მწიგნობრობის მქონე თითქმის ყველა ხალხის ენაზე.

ქილილა და დამანას თავდაპირველი სამშობლო იყო ინდოეთი. ინდურ (სანსკრიტულ) ენაზე ახლაც მოიპოვება ისეთი ძეგლები, რომლებიც ნაწილობრივ მაინც მოიცავს ამ განთქმული იგავ-არაკთა კრებულის შინაარსს („პანჩატანტრა“, „ჰიტოპადეში“). ინდური წარმოშობის ქილილა და დამანა კულტურულ კაცობრიობას გააცნო, უწინარეს ყოვლისა, ძველმა სპარსეთმა.

ქართულ ენაზე ქილილა და დამანა თავდაპირველად უნდა ეთარგმნათ არა უგვიანეს XII საუკუნისა.

ვახტანგ VI თავისი საკუთარი თარგმანის წინასიტყვაში აღნიშნავს, რომ ქილილა და დამანა ეთარგმნათ „ჟამსა... მეფეთ-მეფისა თამარისაო“, და წყაროზეც მიუთითებს, „ცხოვრებასა ქართლისასაც წერილ არსო“. მართლაც, თამარის ისტორიკოსი ერთგან პირდაპირ იმოწმებს ქილილა და დამანას ტექსტს: „ვითარ ითქმის ინდოთა აღწერილსა ქილილა-დამანასა შინა იგავი ბუთა და ყვავისაო“¹.

ქილილა და დამანას ძველ ქართულ თარგმანს ჩვენს დრომდის არ მოუღწევია. ვახტანგის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს თარგმანი „ჟამთა ვითარებით დაკარგულიყო“. ხელახლა ითარგმნა ქილილა და დამანა XVI—XVIII საუკუნეში. ახალი თარგმანები იმ რედაქციისაა, რომელიც XV საუკუნის მიწურულში ჩამოყალიბ-

¹ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, ექვ. თაყაიძის შვილის გამოცემა, გვ. 378¹¹, 13.

და სპარსულ ენაზე და ცნობილია „ანვარე სოჰაილის“ სახელწოდებით. ანვარე სოჰაილი ნიშნავს მნათობ კანოპუსს ანუ მნათობ თაგთირს (სოჰაილი-კანოპუსი სამხრეთის ცის კაშკაშა ვარსკვლავია). ქილილა და დამანას ანვარე სოჰაილის რედაქციის ავტორია ჯამისა და ნავოის თანამედროვე და თანამოკალმე მწერალი ვაიზ ქაშიფი (გარდ. 1505 წელს).

ვაიზ ქაშიფის ქილილა და დამანა უაღრესობამდე ენაწულიანი, ნამდვილად ღვლარქნილი სტილით გამართული ლატერატურული ნაწარმოებია. რუსი საბჭოთა ირანისტი, პროფ. ვ. ბერტელსი ასე ახასიათებს ანვარე სოჰაილის ტექსტს: «Анвары Сухайли... цветиста и вычурна до последней степени; запутанные периоды, пересыпанные стихами разных авторов, арабскими поговорками, цитатами из Корана и т. д., могут довести до отчаяния самого терпеливого читателя»². ქართველი მკითხველი საზოგადოების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა ქილილა და დამანასადმი. რა თქმა უნდა, ამ ინტერესს აძლიერებდა ქილილა და დამანას ჩინებული ქართულით შესრულებული თარგმანის ტექსტი.

ქილილა და დამანას ანვარე სოჰაილის რედაქციის თარგმნა ქართულ ენაზე წამოუწყია კახეთის მეფე დავითს, თეიმურაზ პირველის მამას, რომელიც გარდაიცვალა 1602 წელს. დავითის წამოწყებული საქმე ვახტანგ VI-ის დავალებით განუგრძია და დაუსრულებია 1710—1714 წლების მანძილზე ორ უცნობ მწიგნობარს. ქილილა და დამანას ამ თარგმანის ტექსტი ვახტანგს დედნისათვის შეუდარებია, ნაწილობრივ შეუსწორებია, რამდენადმე რედაქციულად გაუმართავს. ამ მუშაობას სწავლული მეფე ეწეოდა 1712—1714 წლების განმავლობაში, ისპაჰანში (ირანის მაშინდელ დედაქალაქში) ყოფნის დროს. ვახტანგს არ აკმაყოფილებდა ქილილა და დამანას თარგმანი. დავითის ტექსტის გამო შენიშნავს: „არც ლექსი გამოედო, და ზოგი სიტყვაც დაეკლო“, „ლექსი, სიტყვა და გაწყობა“ ჰკლებია უცნობი მწიგნობრების ნაწილსაც. ვახტანგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქილილა და დამანას თარგმანი გამოირჩეოდა ლექსების დანაკლისითა და გაუწყობლობით...

ქილილა და დამანა ძირითადად პროზაული ნაწარმოებია, მაგრამ პროზაულ ტექსტებში ბლომადაა ჩართული ლექსები. ლექსებში ჩვეულებრივ პოეტური სხარტულობით არის განზოგადებული ის აზრები, რაც უფრო ვრცლად გადმოცემულია თხზულებ-

² Очерк истории персидской литературы, Ленинград, 1928, გვ. 72.

ბის პროზითს ნაწილში. ლექსები ქილილა და დამანას სამკაულე-
 ბია, ისინი ჟანრობრივადაც სპეციფიკურ იერს აძლევს ამ ძეგლს
 (ა მხატვრულად ამშვენებს მას. ქილილა და დამანას პირველი ქარ-
 თული თარგმანი კარგი მხატვრული გემოვნების პატრონმა ვახ-
 ტანგმა ამიტომაც დაიწუნა, რომ მთარგმნელებმა ლექსებს თავი ვერ
 გაართვეს. სპარსეთის მთავრობის მიერ ქირმანში დასასჯელად გა-
 დასახლებულმა ვახტანგმა დრო იშოვა და თვითონ საკუთრად თა-
 ვიდან ბოლომდის გადმოთარგმნა აღმოსავლური სიბრძნის შემცვე-
 ლი იგავ-არაკთა ეს შესანიშნავი კრებული. ვახტანგის თარგმანი
 შესრულებულია 1714—1716 წლებში. ვახტანგის თარ-
 გმანის ტექსტი წარმოადგენს ზედმიწევნილად ზუსტი თარგმანის
 ნიმუშს. მთარგმნელი ერთნაირის პასუხისმგებლობით მოპყრობია
 დედნის პროზასაც და ლექსებსაც. სიზუსტის უზრუნველყოფის
 მიზნით მას სიტყვა-სიტყვითა და სტრიქონ-სტრიქონ პროზაულად
 გადმოუღია სპარსული ლექსები. ვახტანგს მოუცია ქილილა და და-
 მანას სპარსული ლექსების, ასე ვთქვათ, პწკარე დი თარგმანი.
 თარგმანის დამთავრების შემდეგ ვახტანგი შედგომია პწკარედი
 ტექსტების ლექსად გაწყობას, მაგრამ გასრულება არ დასცლია.
 1716 წლიდან ქართლის მეფე პოლიტიკურ საქმიანობას დაუბრუნ-
 და ამის გამო ქილილა და დამანა გაუჩაღხავი და გაუწყობელი
 დაურჩა. ტექსტის გაწყობა ვახტანგს დაუვალებია ონანა მდი-
 ენისათვის. ონანა მდივანს, როგორც მოხელე პოეტს, კეთილ-
 სინდისიერად გაუწყვია ვახტანგის პწკარედი ტექსტები, ამასთან
 მას უცვლელად დაუტოვებია თვითონ ვახტანგის მიერ გალექსი-
 ლი ნაწილი (პროზისათვის კი ხელი არ უხლია). აღსანიშნავია, რომ
 ვახტანგს გადაწყვეტილი ჰქონია თავისი პწკარედის გაწყობა „სპარ-
 სული ლექსის კვალად“. იგი აცხადებს: „მას ჟამსა ოდეს ბრძენ-
 თაგან სამეცნიეროდ ამაღლებული სწავლანი სპარსულის ენისაგან
 ქართულს ენაზედ გარდმოვსთარგმნეთ. ისრევე სპარსულის ლექ-
 სის კვალად გალექსეა ამ წიგნისა ერთის რიგით მოეინდომეთ, რო-
 მე ლექსის გაწყობის რიგები ისრევე სპარსული მოგვეცაო“. ტექს-
 ტის გაწყობილი ნაწილის თაობაზე ვახტანგი თავმდაბლურად შე-
 ნიშნავს: „სპარსის ლექსის იგავნი ამის უკეთ ქართულად ვერ მო-
 ვიყვანე, თვარემ სპარსულში დიად გაწყობილიაო“. ქილილა და
 დამანას ლექსები ონანა მდივანს ერთფეროვანად გაუწყვია, „სპარ-
 სულის ლექსის რიგი არ ვიცოდითო“. ვახტანგს თუმცა გარეგნუ-
 ლად თითქო შეუქია კიდევაც ონანა მდიენის ნამუშევარი (ალბად,
 ზრდილობისათვის), მაგრამ ნამდვილად იგი უკმაყოფილო დარჩე-

ნილა. როგორც კი სულხან-საბა ორბელიანი ევროპიდან დაბრუნებულა, ვახტანგს ახლა იმისთვის მიუმართავს თხოვნით: „ეს ჩემი ჭირნახული გაჩაღზე გემოანად, და სადაც ლექსები ჩართული იყოს, აგრეთვე ქართულად ლექსები ჩაურთეო“.

სულხან-საბა ორბელიანს ქილილა და დამანას ვახტანგისეული თარგმანის ტექსტი მართლაც „გემოანად გაუჩაღხავს“. მას ძირიან-ფესვიანად გადაუმუშავებია მთელი თხზულება და მისი სრულიად ახალი რედაქცია მოუცია. სულხან-საბას კარგად ჰქონია გავალისწინებული, რომ: „სხვას ენის წიგნი სხვას ენაზედ, თუ არ კაის მცოდინარისაგან, გამოთარგმნა ძნელია: ზოგან წინა უკან უნდა მოიყვანოს, და ზოგან ართრონი^ა ან მოუმატოს ან დააკლოს, თვარამ სწორადრე უგემური მოვა“. სულხან-საბა პრინციპულად უარყოფს ტექსტის პედანტურ სიტყვა-სიტყვითს თარგმნას, იგი მოითხოვს ტექსტობრივი მასალის დამუშავებას შესაფერისი ენის ბუნების კვალობაზე. ვახტანგის ვერსიას ძლიერ ეტყობა სიტყვა-სიტყვითი თარგმანის ხასიათი, აქ ფრაზებს ხშირად აქვს სპარსული კონსტრუქციის სახე. ვახტანგის თარგმანი საბას გაუმართავს თავისი მართებული პრინციპების თანახმად. ტექსტზე მუშაობის დროს რედაქტორს ხელთ ჰქონდა ქილილა და დამანას მხოლოდ ქართული ვერსია, სპარსულ დედანს ის არ იცნობდა.

ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს სულხან-საბა ორბელიანის მუშაობა ქილილა და დამანას ლექსების ვახტანგისეული თარგმანის პწკარედზე. სახელოვანი მეიჯავის მუშაობის ნაკვალევი აქ კიდევ უფრო თვალსაჩინოა. საბას მთლიანად დაუმუშავებია ქილილა და დამანას ლექსები იმ ნაწილშიც, რომელიც თვითონ ვახტანგისაც ჰქონდა გაკეთებული. თავისი თარგმანის ანდერძში ვახტანგი საგანგებოდ ამბობს რედაქტორის საყურადღებოდ: „ეგება ლექსი არ მოგეწონოსთ, გასინჯეთო“. მთარგმნელი ტექსტის არსებითი გადამუშავების დასტურსაც იძლეოდა: „თუმცა ვინმე უკეთ იტყვიოთ, არ გიშლი, და კარგსა იქთო“. რასაკვირველია, ასეთი დასტური საჩოთირო საცთურს შეიცავდა. ონანა მდივანი მას მოერიდა. სულხან-საბა ორბელიანმა კი მაქსიმალურად გამოიყენა ვახტანგის დასტური. მას დაუტოვებია ვახტანგის მხოლოდ რამდენიმე ლექსი

^აართრონი საბა უწოდებს სიტყვის ნაწილას, თავსართს, ბოლოსართსა და მისთანათ.

(ისინიც საკმაოდ შეცვლილი) და თავისი ხელნაწერი დედნის აში-
ებზე საგანგებოდ მიუწერია „მეფის თქმული“.

სულხან-საბა ორბელიანმა საუცხოოდ გააქართულა ქილილა
და დამანას ვახტანგისეული თარგმანის პროზა. მაგრამ პოეტური
ნიჭი და უშრეტო შემოქმედებითი ენერგია მან ჩააქსოვა ქილილა
და დამანას ლექსებს. წინააღმდეგ ვახტანგის მითითებისა, სულხან-
საბა ორბელიანმა ქილილა და დამანა გააწყო არა „სპარსული რი-
გის“, არამედ მშობლიური, „ქართული რიგის“ კვალობაზე...

საბას ზოგჯერ უცვლელად დაუტოვებია დედნის ტექსტების
ტაეპობრივი მოცულობა, ზოგჯერ დაურღვევია ეს მოცულობა, ტა-
ეპების რიცხვი დედანთან შედარებით ხან გაუზრდია, ხან შეუმ-
ცირებია. ეს მაინც ფორმალური მომენტია. მთავარი ისაა, რომ
უმეტეს წილად საბას საფუძვლიანად გადაუმუშავებია პწკარედის
შინაარსობლივ-აზრობლივი მხარე (რომ არაფერი ვთქვათ ფორმის
გამშვენებაზე). ჯერ აქ მოვიყვანთ რამდენიმე ისეთ მაგალითს, როცა
საბას უცვლელად დაუტოვებია დედნის ტექსტის შინაარსიც, რამ-
დენადმე მისი მხატვრულ სახეობრივი სისტემაც და ტაეპობრივი
შესატყვისობაც, ე. ი. ქართული ტექსტი დედნის სრული ადექვა-
ტური ვარიანტია.

დავიწყოთ მარტივი შემთხვევებიდან: პწკარედიც და გაწყობი-
ლი ტექსტიც ერთტაეპოვანი ლექსია:

1. ერთი რომ წავა, სხვა მოვა მის ადგილს.

(პწკარედი)

ერთი თუ წავა, სხვა მოვა, სხვა სხვისა საადგილოსა.

(საბა)

2. სიმწუხარის დამე ვათაედა და სიხარულის დილა თენდება.

(პწკარედი)

კმუნვისა დამე წასულა, თენდება დილა შვებისა.

(საბა)

3. მოყვარეს უაუგოს ნუ ეძებ, რომ უმოყვროდ არ დარჩე.

(პწკარედი)

მოყვარეს უაუგოსა თუ ეძებ, მარტო დარჩები.

(საბა)

ტექსტის სიმცირეს შეუზღუდავს გამლექსავი, შინაარსობრი-
ვად მას ზუსტად გაუწყვია პწკარედის პროზაული ტექსტი, შეუც-
ვლია მხოლოდ ზოგიერთი სიტყვა (სიმწუხარის დამე — კმუნვისა
დამე), ან სიტყვაც და სიტყვათა წყობაც. სიტყვათა წყობის შეცვლას
ტექსტი უფრო დაუმშვენებია (სიხარულის დილა—დილა შვებისა).
მესამე შემთხვევაში შეცვლილია ზმნის კილო (ნუ ეძებ—თუ ეძებ),

ამას ერთგვარად მოუხდენია გავლენა ტაეპის აზრობლივ მხარეზე, ტექსტს მისცემია უფრო განმანოვადებელი აფორიზმის სახე.

პწკარედის ორტაეპოვანი ტექსტი ორტაეპოვან ლექსადაა გაწყობილი:

1. მოყვსად ათასი კაცი ცოტა არის,
მტრათ ერთივ ბევრია.
(პწკარედი)
2. მოყვრად ათასი ერთგული მეცინა, არ მომეწონა,
სამტეროდ ერთი მეზარა, მისი გავსინჯე მე წონა.
(საბა)
3. მოცდის ზომალდი ნაღელის ზღვაში ჩამიგდია,
ან იმაში დავირჩობი, და ან ხელში მარგალიტს ჩავიგდებ.
(პწკარედი)
მოცდის ნავი ნაღელის ზღვასა შევატურვე სარგებელად,
ან დავინთქმი, ან მარგალიტს ამოვიღებ, ვიღებ ხელად.
(საბა)
4. მზეს ამ სიმალით
ერთი პატარა ღრუბელი დაფარავს.
(პწკარედი)
დიდსა, მაღალსა, ნათელსა მზესა
მცირე ღრუბელი შეუცვლის ზნესა.
(საბა)

დამოწმებულ ორტაეპოვან ლექსებში სულხან-საბა ორბელიანი ავითარებს, აძლიერებს და აღრმავებს პწკარედების შინაარსს. ორიოდ სიტყვა მეოთხე მაგალითზე. ამ ნაწყვეტითაც საბა იცავს დედნის ტაეპობრივ მოცულობას, მაგრამ სამაგალითო მხატვრულ ფაქტს აღწევს. თუ პწკარედის მიხედვით, „ერთი პატარა ღრუბელი: და ფარავს მაღლად მყოფ მზეს, საბათი „მცირე ღრუბელი, სრულიად შეუცვლის ზნეს „დიდსა, მაღალსა, ნათელსა მზესა“. სიტყვების ოსტატური შერჩევითა და დალაგებით, დედანისათვის უცნობი ახალი და ზუსტი ეპითეტების მოხმობით ლექსში პოეტურად ხაზგასმულია მზის სიდიადე („დიდსა, მაღალსა ნათელსა მზესა“). ამასთან, მხატვრული ენით დასაბუთებულია, რომ ამ დიდ, მაღალსა და ნათელ მზეს „მცირე ღრუბელიც“ კი შეუცვლის ზნეს, გარდაქმნის მის ძალას. საბას ტექსტით მკაფიოდ აღბეჭდილია კონტრასტის მომენტი. ჩვეულებისამებრ საბას განუზოგადებია კონკრეტული ფაქტი და შეუქმნია საუცხოო აფორიზმი. საბასეული ქილილა და დამანას ამ მშვენიერ აფორიზმს იმოწმებს ილია ჭავჭავაძე.

ოთხტაეპიანი ლექსების რამდენიმე მაგალითი:

1. ერთი დაკოდილობა რომ ენის ხლმით კაცის გულს ეცე არას სამკურნალოს მალამოთ კარგად არ შეიქნება; შენსა და მას შუა რომ ენით დაჭრილობა მოხდა, კოკისა და ქვის ალერსის მეტი აღარა გამოვა რა.
(პწკარელი)

ენისა დანაკოდარი ხრმლისაგან უარესია, ვერა მკურნალი ვერ არგებს, რაგინდ მკობისა ზესია. თუ შენი ენა სხვას ეცა, საყვდავად განალესია, ვით კოკას ქვისა ალერსი, სალწად დასაკენესია.
(საბა)

2. მცოდნე მტერი რომ სულის ქირია, უკეთესია იმ მოყვარეს, რომ უცოდინარი იყოს, რასაც უცოდინარი იქს, ყველა დასაკლისია, რომ კიდევ სარგებელი ქონდეს, ცოტა იქნება.
(პწკარელი)

დიდს ქირსა თუცა შეგაბამს შენ მტერი გონიერია, უჭკოს მოყვარეს ისიე სჯობს ჰკუის-მყოფელი მტერია! უცები რასაც გიმოყვრებს, ვით ბზე-ნარევი მტვერია, უნდა თუ გარგოს, რას გარგებს? თუ გარგო, არაფერია!
(საბა)

3. ხაზინა სახელმწიფო მისცა უგუნურს, და მეცნიერთ ნახეარს პურს ანატრებს; უგვანთ მცოდნეს კაცს ზეით დასვამს, მიუნდობლობით მეცნიერთ კარში გზას არ მისცემს.
(პწკარელი)

უმეტართ მისცა დიადი, ბრძენთა ანატრა პური, უგვანნი ზეით თავს დასხნა, ქველთ არ მიუპყრა ყური; ლომს ქაბუქს ავი მეუღლე, ცუდს მისცა მოსასურია, სოფლისგან ნურა გიკვირს რა, ეს ასრე საცნაურია!
(საბა)

საანალიზო ლექსები აგებულა სამ სხვადასხვა თემზე: ენით დაკოდილობა, გონიერი მტერი და უგუნური მოყვარე, წუთისოფელი. ეს თემები საბას დაუმუშავებია პწკარელის ტექსტებთან ძლიერ მიახლოვებულად (მაგალითები ამ მხრითაა შერჩეული), მაგრამ ის არ არის მოქცეული ამ ტექსტების ტყვეობაში. საბა ისე არჩევს და ალაგებს სიტყვიერ მასალას, რომ პოეტურ ფრაზებს აძლევს მეტ განმზავგადებელსა და გამომსახველობითს ძალას. საბას პოეტური სტრიქონები დახვეწილია, მოქნილი, ხშიერი, ჟღერადი. საბას ზოგჯერ ტექსტში შეუტანია ახალი მხატვრული სახეები, დედნისათვის უცნობი (მაგალითად, „ვით ბზე-ნარევი მტვერია“), ზოგჯერ კი ახალი სტრუქტურა

ნებით გაუმდიდრებია ტექსტი. განსაკუთრებული მონდომებით გაუკიცხავს საბას წუთისოფელი. სოფლის მიმართ დედნით გამოთქმული სამღურავი და აუგი მას კიდევ უფრო გაუმძაფრებია, შემოუტანია სამღურავის ახალი მოტივები. მაგალითად, საბა სოფელს ბრალდებად იმასაც უყენებს, რომ: „ლომს ქაბუკს ავი მეუღლე, ცუდს მისცა მოსასურია“ო. დედანში ამის თაობაზე არაფერი არ არის ნათქვამი. სოფლის სამღურავი საბას შეუქრავს განმაზოგადებელი შეგონებით (არც ესაა დედანში):

სოფლისგან ნურა გიკვირს რა. ეს ასრე საცნაურია!

ეტყობა, სოფლის სამღურავის თემა სულხან-საბა ორბელიანის გუნებაგანწყობილებას ესალბუნებოდა. ქილილა და დამანაში ხშირია სოფლის კიცხვა და გინება. საბა ყოველთვის აძლიერებს გაკიცხვის მომენტს. ერთგან დედანში სოფელი შედარებულია უსირცხვილო დედაკაცთან. საბას მოსწონებია ეს შედარება, მას უსარგებლნია შემთხვევით და ძლიერი პოეტური სიტყვით თავის მხრითაც დაუზოგავად უმხელია როსკიპი დედაკაცით უზნეობა, გარყვნილება და მიუნდობლობა წუთისოფლისა:

ურცხვია ესე სოფელი. ვითა როსკიპი დედანი:
ყოველსა ქმარსა მის გამო ეწოდებოდა მეკედანი;
ბაგე მიუპყრის შაქრისა, სასხვისოდ შესკვნის მეედანი,
მისი ტრფიალი არ დარჩა, არ გაუმრუღდა ბედანი!

ამ შაირთან შედარებით უსახურია პწკარედის ტექსტი:

უსირცხვილო დედაკაცია ეს სოფელი,
რომ მიდღეში არამ ქმარმა მისგან მოსავალი ვერა სქამა;
ვინც მისის ტახტის საფეხურზე ფეხი დასდგა,
როდის იქნა, რომ მისი ხელისაგან ხმალი თავზე არ დაესო?

სულხან-საბა ორბელიანი ხშირად ფორმალურად იცავს დედნის მიმართ ტაეპობრივ შესატყვისობას, სამაგიეროდ ტექსტში შემოაქვს ახალი სიტყვიერი მასალა, ახალი სახეები, ახალი შინაარსი. ერთი სიტყვით, ორიგინალის ტექსტს ქართველი მწერალი აძლევს ახალ სიცოცხლეს. მოგვყავს რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითი.

1.ერთგან ქილილა და დამანაში აწერილია ზღვასავით დიდი მორევი:

მორევია ერთი ზღვასავითა,
ერთი ზღვა არის რომ უთავბოლო...
(პწკარელი)

მორევი იგი ზღვათა ქგავს მართ ოდენ სივრცე-სივრცისა,
თევზთა სიმრავლე, მსუქან(ნი) ნაწოვნთა გვანან თხის რძისა.
(საბა)

საბას აქ დაუცავს დედნის ტექსტის ტაეპობრივი შედგენილობა, მაგრამ დედნის შინაარსი ამოუწურავს პირველსავე ტაეპში, მეორე ტაეპი კი შეუთხზავს სრულიად დამოუკიდებლად. პოეტ-გამლექსავს აუმოქმედებია თავისი ლალი ფანტაზია, მოუძებნია უაღრესად ორიგინალური და მეტისმეტად მოულოდნელი და თამამი მხატვრული შედარება („თევზთა სიმრავლე... მსუქან(ნი) ნაწოვნთა გვანან თხის რძისა“). დედნის უბრალო ტავტოლოგიური ნაწყვეტი სულხან-საბა ორბელიანს გარდაუქმნია შესანიშნავ პოეტურ სტრიქონებად.

2. სიტყვის მცოდნე გაფიქრვით იტყვის სიტყვას,
რა უფიქროდ ითქმის სიტყვა, უთაო არი.
(პწკარელი)

სიტყვისა მთქმელი სიტყვას სჩხრეკს, სიტყვას ძალი აქვს, თუ რისა,
გაუსინჯავსა სიტყვასა ჩხავილი სჯობან ტურისა.
(საბა)

უკომენტარიოდაც აშკარაა, რომ საბას ლექსი დამოუკიდებელი შემოქმედებითი შთანაფიქრის ნაყოფია. საბა ჩვეულებისამებრ ტექსტს აძლევს აფორისტულ ხასიათს.

3. ზოგ შემთხვევაში ქართული რედაქციის ტექსტი არსებითად განსხვავდება დედნისაგან შინაარსობრივად აზრობლივად. მაგალითად, დედნის ძლიერი მწუხარება შვილის დაკარგვის გამო ვახტანგის პწკარელით ასეა გადმოცემული.

მაქვს აველამ ვრაი სიცხე თავში, ვერ დაჯდები დაბლა,
სანაჟი ჩემს თავსა და ფეხს სანთულაჲვით არ დავსწვავ.

სულხან-საბა ორბელიანის მიერ გალექსილ ტექსტში სხვა შინაარსი და სხვა პოეტური სახეებია:

მომშორდა სული, გამექცა, გულსა მედების ალები,
თუ საყვარულა ვერ ვხედავ. რადღა მისხენან თვალები?

ხალხურ ყაიდაზე გაწყობილი ამ მშვენიერი ორტაეპოვანი ლექსით საბას ახალი, დედნისაგან დამოუკიდებელი ტექსტი შეუქმნია, მას საკუთარი თვალთახედვით გაუაზრებია პწკარელის შინაარსობრივი მოტივი. საბას ლექსების კავშირი ხალხურთან შემ-

თხვევითი არაა. დავიმოწმებ ერთ საგულისხმო მაგალითს. ქილილა და დამანას ავტორი ერთგან მკითხველს ურჩევს:

შენის სიკეთისაგან გული გაიმხიარულე,
სათაუნოდ ნუ იპერ მამა-პაპათ სიკეთეს!
ძველის მარგალიტისაგან წყალს ნუ ეძებ,
მარგალიტი რა დაძველდება, გაყვითლდება.
(ვახტანგის პწკარელი)

იგივე ტექსტი საბას რედაქციით ასე იკითხება:

კ ა ც ი თ უ ვ ა რ გ ა, რად უნდა მისის მოდგმისა ც ი ლ ო ბ ა?
თ უ თ ვ ი თ ა რ ვ ა რ გ ა, რას არ გეხს მამა-პაპათა
შ ე ი ლ ო ბ ა?
რა მარგალიტი დაბერდეს, შეუმერდეს ფასთა წილობა.
რაცა არა ჩანს, რას ვაქებ? რაცა ჩანს, მიყვარს ზ რ დ ი ლ ო ბ ა!

პწკარელის ტექსტის იდეა ისაა, რომ კაცს თავი არ უნდა მოჰქონდეს შთამომავლობით, კაცი არ უნდა იკვებიდეს მამა-პაპათა კეთილი სახელით. როგორც ცნობილია, შთამომავლობისა და გვარი-შვილობის პრობლემა მკვეთრად არის დასმული განთქმულ ხალხურ ლექსში:

ფილოსოფოსნი შემოკრებს, ამაზედ ჰქონდათ ც ი ლ ო ბ ა:
პატრონი ყმასა რითა სკობს და ჰქუას გამოცდილობა.
ათასად გვარი დაფასდა, ათათასად ზ რ დ ი ლ ო ბ ა,
თ უ კ ა ც ი კ ა ც ა დ ა რ ვ ა რ გ ა, რას არ გეხს გვარო
შ ე ი ლ ო ბ ა!

არ შეიძლება საეჭვო იყოს, რომ ქილილა და დამანას ტექსტი სულხან-საბას დაუმუშავებია და გაუაზრებია მოყვანილი ხალხური ლექსის კვალობაზე⁴. საბას ლექსში გადმოსულია ხალხურის სპეციფიკური სიტყვიერი მასალა (ცილობა, ზრდილობა). ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურად და შინაარსობრივ-იდეურად სავსებით ემთხვევა ერთიმეორეს ხალხურის მეოთხე და საბას მეორე ტაეპები:

— „თუ კაცი კაცად არ ვარგა, რას არგებს გვარიშვილობა?“
(ხალხური)

თუ თვით არ ვარგა, რას არგებს მამა-პაპათა შვილობა.
(საბა)

⁴ ჩვენ დამარწმუნებლად არ მიგვაჩინა შ. ონიანის ცდა, ეს ხალხური ლექსი მი-
აყუთუნოს შოთა რუსთველის კალამს (ხალხში გავრცელებული ერთი ლექსის შესა-
ხებ, „ლიტერატურული გაზეთი“, 1. III. 57).

ხალხურსა და საბას ლექსში ოთხიდან სამ შემთხვევაში საერთოა სარიტმო სიტყვები (ცილობა, ზრდილობა, შვილობა). ამ-
კარაა საანალიზო ლექსების იდეური სიახლოვე. ერთი სიტყვით,
ხალხურ ლექსს უდაოდ შთაუგონებია მეიგავე მწიგნობარი. აღსა-
ნიშნავია, რომ განხილული ხალხური ლექსის გავლენა აღუბეჭდავს
საბას მიერ გაწყობილი ტექსტის შემდეგ ტაეპსაც:

დიდთა შვილობას რად მოჰკვებ? ც უ ღ ი ა გ ვ ა რ თ ა ზ ო მ ა ნ ი

ყურადღებას მივამჩნევ ასეთ გარემოებას. ზემოთ მოყვანილი
ხალხური ლექსის მეოთხე ტაეპი ცნობილია ორი, ერთმანეთისაგან
საკმაოდ განსხვავებული. ვარიანტით:

თუ კაცი კაცად არ ვარგა, რ ა ს ა რ გ ე ბ ს გ ვ ა რ ი შ ვ ი ლ ო ბ ა ?
თუ კაცი კაცად არ ვარგა, ც უ ღ ი ა გ ვ ა რ თ ა ზ ო მ ა ნ ი

საბას ერთ შემთხვევაში გამოუყენებია ერთი ვარიანტი („თუ
თვით არ ვარგა, რ ა ს ა რ გ ე ბ ს მ ა მ ა - პ ა პ ა თ ა შ ვ ი ლ ო ბ ა ?“),
მეორე შემთხვევაში — მეორე ვარიანტი („დიდთა შვილობას რად
მოჰკვებ? ც უ ღ ი ა გ ვ ა რ თ ა ზ ო მ ა ნ ი“).

სისრულისათვის სანიმუშოდ მოვიყვანთ ექვსტაეპოვანი ნა-
წყვეტების ორ პარალელურ ტექსტს:

1. თუ გამგონე სწავლას არ გაიგონებს,
უბრალოდ საპალნეს სათუთს გულს რატომ კიდებ?
უთხარ: ბედნიერობის ცხენს შეჩქე,
რომ გზის ჳირს მორჩე და მანძილზე მიხვიდე.
თუ არ გაგიგონოს, თავისავე გზაზე წავიდეს,
გაუშვი, ქვეითათ დარჩეს თავის უკულობისაგან.
(პწკარელი)

შ ე წ ყ ო ბ ი ლ ი

თუმცა მსმენელი სწავლასა ყურს არა უპყრობს, სმენასა,
მძიმესა რათლა იტვირთავ, თავსა რად უზამ შენასა?
წესია, უთხრა შეჭდომა ბედის ტაიქთა რბენასა,
გზის შრომისაგან განერას, ვანად მივიდეს მენასა,
თუ არ გისმინოს, მიუშვი კლდეზედა გარდაფრენასა,
მაშინლა იცნობს შეტყობით მისსა გულსა და ენასა!
(საბა)

[ვირის ჩივილი]

2. ჩემს სიცოცხლეში ერთი დაურევება ვერა ვნახე,
ბზისა და ქერისა ერთი სახელი გამიგონია,
ყოელ-დღე ესჳამ ამ საპალნეს ქვეშ სისხლს,

ყოველს ღამეს მიწას ელოჯ ამ კედლისაგან.
ნუ დამიწუნებ, რომ მკლე და დაჩაგრული ვარ.
მიწისა და სისხლის მეტი საკმელი არა მაქვს.
(პწკარედი)

შ ე რ ე უ ლ ი

მის ხელში არსად მიწაზე საჩემოდ საურავია,
ქერი და თოვა არა მაქვს, არც ჩული საძვარავია,
ყოველ-დღე საბალნე მკილია სისხლის მკამელი გულისა,
ღამე მიწისა მლომნელი კბილითა მოსახრავია,
რად გიკვირს ჩემი ალბობა ნიადაგ აბარგულისა?
გოხის მლოკველი სისხლსა ვწოვ, მომაკლდა სულთ სიმრავია.
(საბა)

სულხან-საბა ორბელიანს სისწორით დაუტაცეს ორივე მოზრ-
დილი ნაწყვეტის ტაეპობრივი მოცულობა და შინაარსობრივი
მხარე. ოღონდ დედნის შინაარსობრივ ფარგლის გადაულახავად ქა-
რთველ მწიგნობარს ჩამოუყალიბებია ბრწყინვალე პოეტური ტექს-
ტები. ეს ტექსტები განსაკუთრებით საყურადღებოა ლექსთაწყობის
თვალსაზრისით, რასაც ჩვენ ქვემოთ საგანგებოდ დავუბრუნდებით.

მრავალზე-მრავალ შემთხვევაში სულხან-საბა ორბელიანი
არღვევს (ავრცელებს ან ამცირებს) დედნის ლექსების ტაეპობრივ
შესატყვისობას და შესაფერისადვე ათავისებურებს ტექსტის ში-
ნაარსსა და მხატვრულ აქსესუარს.

ვახტანგის თარგმანით გვაქვს ორტაეპოვანი პწკარედი:

ვინც ღრუბელსავით რომ სტირის,
ყოველთვის უსწოროს ამხანავისაგან არის.

ორტაეპოვანი პწკარედის ტექსტი საბას განუერცია ოთხტაე-
პოვანი შაირის ლექსად, შინაარსობრივად გადაუსხვაფერებია, შე-
მოუტანია ახალი მოტივი (ენით დაკოდვა), მასალა თავისებურად
გაუაზრებია და ბოლოს ერთი მოხდენილი აფორიზმიც გამოუ-
კვეთია. დედნისაგან განსხვავებით საბას ლექსის პათოსია ენით და-
კოდულობის სიმწარისა და უკურნელობის ხაზგასმა (ეს მოტივი
ქილილა და დამანაში სხვაგანაც გვხვდებოდა). ენით დაკოდულობის
სიმწარის აღნიშვნა შემთხვევითი არ არის. პირად ცხოვრებაში სა-
ბამ ბევრჯერ იწვნია მისი ძალა. ამიტომაც უსვამს მწერალი ამ გა-
რემოებას ხაზს ასე დაბეჯითებით:

კაცსა ღრუბლურად მტირალსა, ზედი-ზედ ცრემლ-მდინარესა,
მუხთლის მოყვითა სტკივიან, უტია გულის არესა;

თუ ენით დაკოდას, ვით ჰკურნებას, ქვიშას ალებდეს გარესა!
ენაა ლუგი მახვილი, სჯობს ბასრსა გამკვე-
თარესა.

ერთ-ერთი იგავ-არაკის სიუჟეტის განვითარებასთან დაკავ-
შირებით ქილილა და დამანაში შეგონების წესით აღნიშნულია:

ნაღველი, კვნესა და ჭირი ნუმცა გაქვს,
რომ გულის მომსვენებელი და სულის მოსაწყინარის ნაღველის მომშო-
რებელი ხარ.
(პწკარელი)

ეს ტექსტი საბას გაუწყვია მშვენიერი შაირის სახით:

მოწყენა, სულტქმა, ნაღველი ოდენ ნუმცა გაქვს ურვანი,
რად დაღრეჟილ ხარ, რა გიმძიშს, სენი შვილი გპირს, თუ რვანი?
შენით ხარობენ იგიცა, ვის აქვან ცრემლში ცურვანი,
შენ შეგნატრთან ყოველნი, არსად მასმია მღურვანი!

ქილილა და დამანა ამხილებს მოყვარე-მტრის მუხანათობის
საშიშროებას:

ჩემის მტრისაგან ისრე არ მეშინიან, რომ
მტრის მოყვარისაგან და მოყვრის მტრისაგან.
(პწკარელი)

ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყინარობს,
მოყვარესა მტერსა ვუფროთხი, მემოყვრება, მოცინარობს...
მოყვრის მტერი არ მაშინებს, არცა თვითან მოძინარობს,
გული ჩემი რასა ლამის, რად არ ჩქარობს, რადმცა წყნარობს?
(საბა)

სულხან-საბა ორბელიანმა საკუთარი გამოცდილებით იცო-
და როგორც ენით დაკოდლობის სიმწარე, ისე შენიღბული მო-
ყვარე-მტრების გაიძვერული საქმიანობის მთელი სისაძაგლე.
გვიანფეოდალური საქართველოს შინაგანი აშლილობისა და შინა-
განი განხეთქილების პირობები დიდ გასაქანს აძლევდა ყოველი
ჯურის ნაძირალებსა და ზნეწამხდარ მედროვეებს. საბამ საუცხოოდ
გამოიყენა შემთხვევა, რომ ძლიერი პოეტური სიტყვით გამო-
ეხატა თავისი ღრმა გულისწყრომა საზიზღარი მოყვარე-მტრების
მიმართ.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ქილილა და დამანას შემდეგი ნა-
წყვეტი:

რაც ძირიანი შტო შენგან ამაღლებულა,
ნუ და(ა)მსხვრევ შენის ხელით, რომ შენი ვატეხა არის.
(პწკარელი)

ამ ორტაეპოვანი პწკარედიდან საბას შეუქმნია ტექნიკურად საუცხოოდ გამართული, უნაკლო მაჭამური შაირის ლექსი:

რა ნერგი დარგო მოქმედმა, შენით ამაღლდეს, იხაროს,
ნაყოფი მოგცეს კეთილი, მლილით აროდეს იხაროს,
რტოთ მოსატეხაუ შენგანვე მოზიდეთ ნუმცა იხაროს,
მაშენებელი მათხრე ხნარცესა შთავარდეს, იხაროს!^ა

ტაეპობრივი შესატყვისობის დარღვევისა და ტექსტის გავრცობის კიდევ ერთი საგულისხმო მაგალითი. ქილილა და დამანას ერთ-ერთი პერსონაჟი თავის ქალაქს ტოვებს და სამგზავროდ მიდის, გამგზავრების წინ ის მელანქოლიკურად ამბობს:

ჩემის ქალაქისაგან მომწყენია და მგზავრობის ნღოზა მაქვს,
შენი ნაღვლის მეტი, არ ვიცი. რა სარგებელი წავიღო.
..(პწკარეღ)

მოგშორდი, სამკვიღრებეღო, ვირჩიე მგზავროთა რიგია,
ვეღარ დავღვები, წაცავალ... საღ მივალ. ვერ გამიგია;
ჭმუნენანი ნუზღად შემიკრავს, ურევა საგებღად მიგია,
სულთქმის მახვიღსა ლესულსა, გღახ. გული ზედ ამიგია.
(საბა)

მგზავრობის მიზეზად დედანი ასახელებს უბრალო მოწყენილობას. საბას გუნზე დაუტოვებია ეს შაბლონური მოტივი, საკითხი კონკრეტულ ნიადაგზე გადაუტანია, ამასთან ზოგადი ქალაქი შეუცვლია სამკვიღრებელით (სამკვიღრებელი ნიშნავს სამშობლოს). უკვე სიტყვათა ამგვარი შენაცვლებით შექმნილია ეფექტიური სიტუაცია. სამკვიღროს დატოვება და უცხოეთში გამგზავრება გამოუწვევია არა უბრალო მოწყენილობას, არამედ რაღაც მძიმე იძულებით გარემოებას, რაც თავისი მხრით მძაფრი კაეშნის წყარო გამხდარა. უცხოეთისაკენ მიმავალ მგზავრს სამშობლოდან ნუზღად წაუღია ჭმუნენანი, საგებღად — ურენანი. მას აფორიაქებული ჭქონია სული და გრძნობა, ისიც კი არ სცოდნია, თუ საღ მიდიღოდა, რა გზას უნდა დადგომღოდა, საღ უნდა მოეძებნა ნავთსაყუღარი. უბედურ მგზავრს ისღა დარჩენღოდა, რომ სულთქმის წამახულ მახვიღზე წამოეგო საკუთარი გული...

ამკარაა, რომ სულხან-საბა ორბელიანს ძირიან-ფესვიანად გარდაუქმნია დედნის შინაარსიცა და გააზრებაც. თავის ლექსში ქართველ მწერალს ორიგინალურად ჩაუქსოვია სამშობლოს ღრმა

^ა პირველი იხაროს ნიშნავს ვახაროს. მეორე — არ ღახარას, არ ღახამოს, მე-სამე — არ ღახაროს (ძირს), მეოთხე — ხაროში (ორმოში, ხნარცეში) ჩავარდეს.

იყვარულის სპეტაკი იღეა. ყურადღებას იქცევს ამ იშვიათი პოე-
ტური ნაწყვეტის უშუალო ლირიზმი. ყველაფრიდან ჩანს, რომ
აულხან-საბამ საკუთარი ჰუმანიტარობა, საკუთარი გულისტკივილი
კავანდო. სამშობლოდან გარდახვეწილი მგზავრი თვითონ სულ-
ან-საბა ორბელიანია. სამშობლოს უანგაროდ სამსახურისათვის
მან მართლაც ბევრჯერ ატარა ჰუმანის საგზალი და ურვის საგებე-
ლი. საბას ბევრი ნაღველიც უსვამს და ოხვრის მახვილითაც ხში-
რად უგმირავს თავისი კეთილშობილური გული.

სულხან-საბა ორბელიანს კარგად ეხერხებოდა სხვაგვარი
გრძნობებისა და სხვაგვარი, თითქოს მისი ჰასაკისა და მდგომარე-
ობისათვის შეუფერებელი, განწყობილებების გამოხატვა. ამ მხრით
საყურადღებოა შემდეგი მაგალითი:

შენ, ეგზომ ტურფა და კეკლუცი, სადიდამ მოსულხარ?
დაქეჲ. რომ ჩვენთვის მოსულხარ!
(აქყარელი)

ვინ ხარ, სით მოხვალ, რა გინდა, ეგზომ ტურფა და მწყაზარი?
შენ გაანათლე ქალაქი, ჩვენი შუკა და ბაზარი;
ვინცა შენ გიჰვრეტს, ელხინოს, რაც სჭირან სულთ შესაზარი.
დაქეგ და გვეკურნე მკურნალად, ვით სამსალასა ფაზარი.
(საბა)

საილუსტრაციო ტექსტების შედარება ცხადპყოფს, რომ სა-
ბას გრძნობიერად გადმოუცია სატრფიალო განწყობილებანი. შინა-
არსობრივად და აზრობრივად საბას ლექსი შორს იტოვებს თავის
დედანს. ქართველ პოეტს გაუფართოებია, გაუვრცია და გაულრმა-
ვებია აქყარელის მოტივი. სანიმუშოა საბას ლექსი თავისი ფორ-
მით. ეფექტურია პირველი ტაეპის მხატვრული პარალელიზმი
(„ვინ ხარ? სით მოხველ? რა გინდა?“), პირველი და მეორე ტაე-
პების მხატვრული ჩამოთვლა-განმეორებანი (ტურფა, მწყაზარი:
ქალაქი, შუკა, ბაზარი), მეოთხე ტაეპის სიტყვათა იშვიათი შეწყ-
ყობა („გვეკურნე მკურნალად“). კარგია აქვე გამოყენებული შედარე-
ბის ხერხი. უნდა აღინიშნოს, რომ შაირის მთელი მხატვრული
კონსტრუქცია შთაგონებულია რუსთველის მიერ. განსაკუთრებით
გამოსაყოფია მეორე და მეოთხე ტაეპები. მეორე ტაეპის („შ ე ნ გ ა -
 ა ნ ა თ ლ ე ქ ა ლ ა ქ ი, ჩვენი შ უ კ ა და ბ ა ზ ა რ ი“) შთამაგონებელი
წყაროა რუსთველის სტრიქონები (478,1; 480,3):

ჩემთა მკვრეტელთა მოეცა ქ ა ლ ა ქ ი, შ უ კ ა და ბ ა ნ ი,
სრულად ნ ა თ ლ ი თ ა ა ე ვ ს ო ს ა ხ ლ ი, შ უ კ ა და უ ბ ა -
ნ ი.

სპეციფიკურად რუსთველური ყაიდისაა „გვეკურნე მკურნალად“. რუსთველის კეთილისმყოფელი ზემოქმედება საერთოდ მძლავრად აქვს აღბეჭდილი ქილილა და დამანას საბასეული ლექსების დიდ ნაწილს.

შინაარსითა და განწყობილებებით განხილული ნაწყვეტის ანალოგიურია:

წვიდა საყვარელია და მისის მოგონების ნდომა გულში დამრჩა,
იღვის ხესავით იმის ტანადობის სიყვარულით ფეხი ტალახში დამრჩა.
(პწკარელი)

მომშორდა საყვარელია, || ვაჟ, მოგონება ძნელია!
მისთვის მაქვს თვალი სველია, || ჩემთვის ნათელი ბნელია;
საროს სურვილსა ველია, || ვინ სცავს, არ ვიცი, მცველია;
ვით იგ არა ვარ მსვლელია, || უყეთა ქვე გამჩრელია.
(საბა)

მოყვანილი ლექსი მრავალმხრით არის საყურადღებო. საბას საუცხოოდ გადმოუტია სატრფოს გაყრით გამოწვეული მწვავე სულიერი განცდები (პწკარელის ტექსტი უნიათია). ლექსის ფორმაა რ ვ უ ლ ი, ე. ი. ლექსი რვა-ტაეპოვანია. დედანში (საბას ავტოგრაფში) ტექსტი განწყობილია ოთხ-ოთხ ტაეპოვან წყვილ ლექსებად. ჩვენც ასე დავბეჭდეთ. შეიძლება ლექსს ასეთი სახეც მიეცეს ბეჭდურად:

მომშორდა საყვარელია,
ვაჟ, მოგონება ძნელია!
მისთვის მაქვს თვალი სველია,
ჩემთვის ნათელი ბნელია;
საროს სურვილსა ველია,
ვინ სცავს, არ ვიცი, მცველია;
ვით იგ არა ვარ მსვლელია,
უყეთა ქვე გამჩრელია.

ამ სახით კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება ლექსის ფორმის სპეციფიკურობა. მაინცადამაინც რ ვ უ ლ ი რვატაეპოვანი (ან ოთხწყვილტაეპოვანი) ლექსია. რულის ლექსი ეწყობა ერთიან რითმაზე (აააააააააა), თუ ტექსტს ოთხ სტრიქონად დავალაგებთ, მაშინ მივიღებთ ოთხ გარეგნულ (კატრენულ) რითმას და რვა შინაგან რითმას. ქილილა და დამანაში გვხვდება ათ და თექვსმეტმარცვლოვანი რულები. თექვსმეტმარცვლოვანი, რასაკვირველია უთუოდ

* დედანში: ვაი.

რვა სტრიქონად უნდა გაეწყოს, 10 მარცვლოვანი რვეული კი შესაძლებელია დალაგდეს ოთხწყვილად, 20 მარცვლოვან ტაეპებად. მაგალითად:

მეფე მაღალი, კეთილ სვიანი, || მსჯერის მოყვარე, სამართლიანი,
ცნობა კეთილი, მეტად ჰკვიანი, || სიბრძნე უფსკრული ყოვლად გზი-
ანი,

დალიკთ მჭდომელი, განგებიანი, || გვირგვინოსანი, შუქნათლიანი,
ხმელთა მპყრობელი, საქმე გვიანი, || კიდის კიდემდე სახელიანი.

რითმის ხმარების წესი აქაც იგივე რჩება⁷. რვეული თავისებური ლექსია კომპოზიციურად, მას თავისებური აქვს რიტმი და რითმა. მეტრის ფორმალური ნიშნის, ე. ი. მარცვალთა რაოდენობის მიხედვით, რვეული შეიძლება იყოს სხვადასხვა ხასიათისა, ქილილა და დამანაში გამოყენებულია რვამარცვლოვანი, ათმარცვლოვანი და თექვსმეტმარცვლოვანი საზომები. მაშასადამე, არსებითად საბას რვეულის მეტრული საფუძველია შაირი და ჩახრუხაული⁸. კლასიკური ლექსწყობის ნიადაგზე საბას შეუქმნია ორიგინალური კონსტრუქციის საკუთარი სალექსო ფორმა; რვეული არის სულხან-საბა ორბელიანის მიერ შემოღებული ქართული ლექსის საინტერესო სახეობა, რომელიც შემდგომ საკმაოდ გავრცელდა.

აქვე უნდა მოვიყვანოთ რვამარცვლოვანი ზომის, ერთიან რითმაზე გაწყობილი რვეულის ერთი მეტად საინტერესო ნიმუში:

რა ოსტატი ასოს სხმიდა,
მისი გული სხვას იწერთიდა,
ონით ხრმალებრ მტერთა სრვიდა,
განსა ფარებრ იფარვიდა,
ინსა ზუჩად დაირქმიდა.
ტარსა ქაქვად ჩაიციმიდა,
ენსა მშვილად აიბმიდა,
სინით ისრად მტერთა სრვიდა.

⁶ ლედანში: ვაი

⁷ მოგვეყვას ამ რვეულის პწყარელი წყარო:

ხელმწიფე თაჯის მძლეველი და ტახტის ნიშანი,
თაჯისა და ტახტის თავზედან ხაზინის დამყარელი,
თემის დაქერაზე საქმის გამრიგებელი,
ჯიმშიტის უამიანი და მგორე ისქანდარი.

⁸ მოყვანილი ლექსი, საერთოდ, ატარებს შავთელისა და ჩახრუხადის ძლიერ გავლენის დარს (ეგრძოდ, შდრ. „აბდულუმესიანის“ 97-ე და მე-100 სტროფები, ნ. მარის გამოცემის მიხედვით, TP, IV, 190?).

რეულის პრინციპებზე გამართული, კომპოზიციურად მკვირ-
ვად შეკრული, აზრობლივად მკაფიო და შინაარსით მდიდარი ეს
ლექსი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქართული ასოების
მხატვრულ სახეებად გამოყენების თვალსაზრისით. სურათი რომ
უფრო ნათელი გახდეს, აქვე მოვიყვანთ საბას განკარგულებაში
მყოფი პწკარედის ტექსტს. უნდა შევნიშნო, რომ პწკარედის ტექს-
ტი ხელნაწერ დედანში ორი რედაქციითაა წარმოდგენილი. პირ-
ველი რედაქციის ტექსტი ნასწორებია ვახტანგის მიერ და თავის
ძირითად ნაწილში გადახაზულია. მაინც საბასთვის ორივე ტექსტი
ყოფილა ცნობილი და ორივეს ვაქვეყნებთ:

რა რომ იგაეის წერას ასწავლიდა ოსტატი,
მისი წერა მუზარათის დასახვა იყო საწერის ფურცელზედ:
ანსა და ზანს ასე გასწევდა;
სანი მშვილდსა გვანდის და მანი ისარსა.
(პირველი პწკარედი რედაქცია)

რა რომ ოსნა და მანს დასწერდა მისი ოსტატი,
მის გულში ან ფარი იყვის ან მუზარადი.
ალიფსა და ბეს ასრე იტყოდა,
რომ ბე მშვილდის სახა და ალიფი ისრის.
(მეორე პწკარედი რედაქცია)

მეორე პწკარედი რედაქცია სპარსული დედნის შესატყვისია.
როგორც შინაარსიდან ჩანს, გარკვეული ხასიათის სურათოვნობის
შესაქმნელად სპარსელ ავტორს მხატვრულ სახეებად (სიმბოლოე-
ბად) გამოუყენებია ალფაბეტის ასოები. მართლაც, არაბულ-სპარ-
სული ალფაბეტის ჰაეს (ან მ-ს) მოხაზულობა გ გარეგნულად ემ-
სგავსება ფარს, მ ა ნ ი მ შეიძლება შეუდარდეს მუზარადს, ბანი
პ მშვილდივით მოხრილია, ალიფიკი ისარივით სწორია. არაბულ-
სპარსულ ალფაბეტის ასოთა მოხაზულობის ნიშნეული მომენტე-
ბი კარგად არის დაჭერილი სპარსული დედნით. სულხან-საბა ორ-
ბელიანს უსარგებლია დედნის იდეით, მისთვის გამოუსადეგარი
უცხოური დაწერილობის სანაცვლოდ შეურჩევია შესაფერისი
ქართული ასოები და მათი მოხაზულობა შეუხამებია ტექსტით სა-
გულვებელი საგნების კონფიგურაციისათვის. დედნის ტექსტის
მხატვრული კონსტრუქციის პრინციპის დაურღვევლად მიღებუ-
ლია საუცხოო მხატვრული ეფექტი. ქართველ ავტორს გადაუჭარ-
ბებია კიდევაც დედნისათვის, ოთხის ნაცვლად მოუხმია ექვსი ასო
და ისინი იშვიათი გამომსახველობით გაუხიმბოლოებია.

საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ანალოგიურ შემთხვევაში თავს იკავებდა და დედნის ტექსტს უთარგმნელად უვლიდა გვერდს ისეთი დახელოვნებული მთარგმნელი, როგორც იყო ვის-ო-რამინის (ვისრამინის) ქართული რედაქციის ავტორი.

თავდასასხმელად მომზადებული გველის შესახებ ერთგან ნათქვამია ქართულ ქილილა და დამანაში: „ხან ონსავით გაგრძელებდის და ხან ლასსავით დაიკლავებოდის“⁹ (381). ვისაც ძველ ქართულ ხელნაწერებში ერთხელ მაინც უნახავს ოსტატი კალიგრაფების მიერ მრავალრიგად დაგრეხილი და დაკლავილი ლასის მოხაზულობა, იმისათვის გასაგები გახდება ამ მხატვრული შედარების მოხდენილობა. შედარების ავტორია ჩვენი დიდებული მეიგავე სულხან-საბა-ორბელიანი.

ქილილა და დამანაში გვაქვს ლექსით წარმოდგენილი რამდენიმე ძალიან მოხდენილი და მახვილგონივრული მინიატურული იგავ-არაკი. იგავ-არაკები ვახტანგს პწკარედად ზუსტად უთარგმნია, ხოლო სულხან-საბა ორბელიანს ბრწყინვალედ გაუწყვია. ერთი ასეთი იგავ-არაკია დ ე დ ა-ა ქ ლ ე მ ი დ ა კ ო ზ ა კ ი. ამ იგავ-არაკის ტექსტი ვახტანგს ორი რედაქციით აქვს ნათარგმნი. პირველი რედაქცია ლექსადაა, მეორე პროზაული პწკარედია (და დედანთან უფრო ახლოსაა). ვაქვეყნებთ ორივე რედაქციის ტექსტს:

დაღალულობით საწყალმა კოზაკმა უთხრა: დედაო,
აწ მოვიყენოთ ცოტა რამ, შევსწუხდი ამაზედაო.
გასცა პასუხი დედამან: უგბილო საქმით, ბედ აო,
სკვერეტ ხომ, აეშარას სხვა მისწყევს, საპალნე მამეს ზედაო.
(პირველი რედაქცია)

აქლემის კოზაკმა დედას უთხრა:
ამთონს რომ მიხვალ, პატარა დაიცაო.
უთხრა: თუცა ჩემს ხელთ იყოს აეშარა,
ვერავინ ვერა მნახევდა მე ყათარში საპალნეს ქვეშ.
(მეორე რედაქცია)

ეს იგავ-არაკი საბას გაუწყვია დიდ-ოსტატურად, ოღონდ ისე, რომ დედანის შინაარსობრივი ფარგალი ამ შემთხვევაში არ გადაულახავს. საბას ლექსი რ ვ უ ლ ი ა:

კოზაკმა უთხრა დედასა:
სიტყვასა გეტყვი ყბედასა,

⁹ ვახტანგის პწკარედით: „ხან ონსავით (1) და ხან დაკლავენის დროს ნარსავით

(2) შეიქმნებოდა“.

ღია დაშრომა მედასა,
მოცლა ჰყავ მაგა ჭელასა!
ჩან უთხრა: ვაჰ შენს ბელასა,
მიმზევენ ავშრის მყელასა,
ვინ ზრუნავს ჩემს წარწყმელასა.
ტვირთი მამძიმობს გვერდასა.

თავის შეხედულებისა და მიხედვით სულხან-საბა ორბელიანი ვახტანგისეული თარგმანის ტექსტს ამოკლებს. ამის საუკეთესო მაგალითია მეორე მინიატურული, 12-ტაეპოვანი იგავ-არაკი „უკულო ვირი“. ეს იგავ-არაკი საბას გადმოცემული აქვს ოთხსტროფიანი შაირის ლექსით, ე. ი. ფორმალური მოცულობის მხრით ტექსტი ორი მესამედით შეუმცირებია. მაგრამ შემცირების ოპერაცია მწერალს ჩაუტარებია რაღაც არაჩვეულებრივი მხატვრული ტექტითა და ზომიერებით. ტექსტიდან ამოღებულა მხოლოდ ზედმეტი სიტყვები, განმეორებანი, ტაეტოლოგიური გამოთქმები. იგავ-არაკის მთელი შინაარსი, მხატვრული სახეები, იდეა და მორალური შეგონება უზადოდ არის შენარჩუნებული, შენარჩუნებული კი არა, უფრო მკაფიოდ გამოკვეთილი და ხაზგასმული. „უკულო ვირი“ სამაგალითო ნიმუშია სიტყვიერი ეკონომიისა და ლაკონიური სტილის მაქსიმალურად გამოყენებისა მხატვრული ტექსტის თარგმანის პრაქტიკაში.

აი, ამ იგავ-არაკის ტექსტიც:

ყოფილა ვირი ერთი, კული არა ჰქონა;
მას უკულოზის ჭავრი და ნაღველი ერთს დღეს მოემატა.
კულის საშოვრად ჭეყანაზედ იარებოდა და ფეხით ცდილობდა;
კულის შოვნას ცდილობდა და სიტყვას არას უბნობდა.
ანაზღად უნდობლად, უწადილოდ მისი გზა
შეხვდა ერთს ჭეჭილში და უნდომლად შევიდა;
მეველემ ანაზღად შორიღამ დაინახა,
ფიცხლად მოუხდა და ორიე ყურები და(ა)ჭრა.
საბრალო სახედარში თავის კულის ნდომას
ვერც კული იშოვნა, და ორიე ყურები ზედ დაადვა.
რამაჲე კაცმა სამზღვარს გარეთ ფეხი დადგას,
შეიტყვევ' ბოლოს ეს არი მისი სანაცვლო.
(ვახტანგის პწკარელი)

უკულო ვირი კულისა საძებრად იარებოდა,
ყანასა რასმე შევიდა, სადაცა მცველი დგებოდა;
მეველემ ყური დაჰკვეთნა, არა თუ კული რგებოდა.
საზღვრისა გარდამავალსა მის მეტი რა ერგებოდა.
(საბას რელაქცია)

დასასრულ, უნდა მოვიყვანოთ კიდევ ერთი, შედარებით მოზ-
რდილი პარალელური ტექსტი. ამ ტექსტს დამოუკიდებელი ნაწ-
ყვეტის ხასიათი აქვს და შინაარსის მიხედვით შეიძლება პირობი-
თად შევარქვათ მას ქალი. ტექსტი ნათარგმნია ვახტანგის მიერ
ჩვეულებისამებრ სიტყვისიტყვითი სიზუსტით. სულხან-საბა ორ-
ბელიანმა კი ამ ნაწყვეტის პოეტურად დამუშავებით ცხადპყო,
როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, დიდი ნოვატორობა და სამაგა-
ლითო შემოქმედებითი ნიჭი.

კარგი დედაკაცი, სიტყვის გამგონი და კარგგუნება
ლარიბ კაცს გაამდიდრებს.

თუცა დღედაღამე ნაღველს სკამ, ნაღველს ნუ სკამ.
რადგან ნაღველის მაქარებელი ღამით უბეს გაკრავს.
თუცა კარგგულია და კარგენა.

მის სილამაზესა და აეთვალადობას ნუ ეძებ.

ქალი ავგული თუ გინდა კეკლუცი იყოს,

როდის ექნება გულში ადგილი?

ყაზის საპყრობილეში გაბმა სჯობს იმას,

რომ სახლში მისი წარბის ნასკევი ნახო.

ფეხშიშველობა სჯობს ვიწრო მაშისას,
და მგზავრობაში ბრძოლა სჯობს სახლში შუღლს.

სიმზიარულის კარი იმ სახლისა დაკლიტე.

რომ ქალის მაღალი ხმა გარეთ გამოვიდეს.

უცხოთაგან ქალის თვალი ბრმა ხამს,

თუ სახლიდამ გამოვიდეს, საფლაგში ჩავიდეს.

(ვახტანგის პწყარედი)

კარგ ქალს ვინ ღირსა, მოარჩენს კირსა,

ზრუნვას მოილხენს, ვინ უპვრეტს პირსა.

ნუმცა შეხედები ანჩხლსა და ძვირსა;

პ ქ ე ი ა ნ მ ა ს უ გ ლ ი მ ი, გ ლ ი ს პ ი, ს ა რ ც ხ ვ ი ნ ე ლ ი ა ი

ივგულნი ქალნი — სახმილის აღნი,

რაგინდ პშენოდენ როგორცა ლალნი.

მაშინც არ ვარგან, ვითა კლდე სალნი:

პ ქ ე ი ა ნ მ ა ს უ გ ლ ი მ ი, გ ლ ი ს პ ი, ს ა რ ც ხ ვ ი ნ ე ლ ი ა ი

ურცხვია დიდად, ქმარს გახდის ფლიდად,

ზედ სელას დაიწყებს, გაიდებს ხიდად.

არად შეირცხვენს შეილის გასყიდად:

პ ქ ე ი ა ნ მ ა ს უ გ ლ ი მ ი, გ ლ ი ს პ ი, ს ა რ ც ხ ვ ი ნ ე ლ ი ა ი

თვისსა ნაქმარსა აბრალებს ქმარსა,

დღე-ყოველ თვალში აწურებს ძმარსა;

მალ-მალ აგინებს: „ვა, შენს ამარსა“!

პ ქ ე ი ა ნ მ ა ს უ გ ლ ი მ ი, გ ლ ი ს პ ი, ს ა რ ც ხ ვ ი ნ ე ლ ი ა ი

ქმარს ზედა სხენან, დეზითა სჩხელენან,
ხელტართა ასთვენ და ჩქარად ვლენან,
ზედ დაჰყვედრიან: „რად ესრე ჰქენან?“

პქეიან მას უგლიმი, გლისპი. სარცხვინელიაი
(საბა)

მოყვანილ პარალელურ ტექსტებს ძალიან ცოტა. აქვს საერთო. ვახტანგისა და საბას ტექსტები ერთმანეთთან დაკავშირებულია მხოლოდ შინაარსობრივ-აზრობრივი სქემით: ზნეფაქიზი ქალი ქმრისა და ოჯახის ნუგეშია, მაგრამ ვაი ავ ქალთან კავშირსო! ლექსის შინაარსობრივი სქემა საბას ძლიერ თავისებურად დაუმუშავებია და თავისებურადვე გაუაზრებია. მას მთლიანად განუდევნია ტექსტიდან მუსლიმანური ტენდენციით აღბეჭდილი ადგილები; მორიდებია შიშველ დიდაქტიკას, გაუშვია შესაფერისი სენტენცია-აფორიზმები, შეუტანია ახალი თემატიკური ელემენტები (ცოლისა და ქმრის ურთიერთობიდან), საკითხი განუზოგადებია და ყურადღება გაუმახვილებია უგლიმი და გლისპი ქალის ჰირვეულ ბუნებაზე. ერთი სიტყვით, შინაარსის მხრივ, სულხან-საბა ორბელიანის ქალი ორიგინალურად მოფიქრებული და ორიგინალურად გააზრებული პოეტური ნაწარმოებია. საგანგებო ინტერესს იწვევს ქალის სალექსო ფორმა.

ქალის სტროფების პირველი სამი ტაეპი ათმარცვლოვანია, მეოთხე — ცამეტმარცვლოვანი. ტაეპების განსხვავებული მეტრული წყობა ბუნებრივად იწვევს განსხვავებულ რიტმსა და რითმას. მეტრული ნაირობითა და რიტმული ვარიაციებით იქმნება არაჩვეულებრივი უღერადობა. სულხან-საბა ორბელიანს შეგნებულად დაუშვია რიტმული დისპარმონია, რაც თავისი რიგით ხდება წყარო იშვიათი მუსიკალური ჰარმონიისა.

ფართოდ არის გამოყენებული აქ პარალელიზმის ხერხი. მთელი ლექსი აგებულია სტროფული პარალელიზმის პრინციპზე. პირველი სტროფის ბოლო ტაეპი, რომელიც მეტრულად განსხვავდება წინა ტაეპებისაგან, რეფრენად მოუღის ყველა დანარჩენ სტროფს (ამ მხრივ ქალი უახლოვდება მუხამბაზური ტიპის ლექსს). ტაეპები პარალელიზმის კვალობაზეა გაწყობილი შინაარსობლივადაც და ფრაზეოლოგიურადაც. სტროფის პირველი ორი ტაეპი იძლევა ერთ შინაარსობრივ კომპლექსს, მეორე შინაარსობრივ კომპლექსს ქმნის სტროფის მეორე ნახევარი (მესამე და მეოთხე ტაეპები) ლექსის შინაარსი თანმიმდევრულად ვითარდება ერთიანი გეგმიდ. ლექსის ყოველი სტროფის პირველ ტაეპს ამკობს შინაგანი რით-

მა, მეორე და მესამე ტაეებს კი აქვთ მხოლოდ გარეგნული რიზ-
მები. მეოთხე ტაეპი, როგორც ვთქვით, რეფრენს წარმოადგენს.

ასეთი რთული და ამასთანავე ზუსტად მოწესრიგებულია სა-
ანალიზო ლექსის ფორმა. ამ ლექსით სულხან-საბა ორბელიანმა
ახალი ფურცელი ჩასწერა ქართული ლექსთწყობის ისტორიაში. ამ
ლექსით სულხან-საბა ორბელიანი გვევლინება დიდ ხელოვან პო-
ეტ-ოსტატად. სულხან-საბას პოეტური მემკვიდრეობიდან ქილილა
და დამანას გარდა სულ რაღაც სამიოდე ლექსია ცნობილი. მხო-
ლოდ ქილილა და დამანას საშუალებით ხერხდება სულხან-საბას
ღვაწლის გათვალისწინება ქართული პოეზიის ისტორიაში. ამავე
დროს უეჭველია, რომ მის თანამედროვეობაში სულხან-საბას
კარგი პოეტი-ოსტატის სახელი უნდა ჰქონოდა მოხვეჭილი, წინა-
აღმდეგ შემთხვევაში ვახტანგი მას არ მიანდობდა ისეთ პასუხსაგებ
საქმეს, როგორც იყო ქილილა და დამანას გაწყობა ქართუ-
ლი ლექსებით. სულხან-საბას პოეტური მემკვიდრეობა ძლიერ
ნაკლულადაა ჩვენ დრომდის მოღწეული. ამ ნაკლს ერთგვარად
ავსებს ქილილა და დამანა.

სულხან-საბა ორბელიანის ქალის მეტრი და კომპოზიცია
პრინციპულად განსხვავდება ძველ-ქართული სავერსიფიკაციო ნორ-
მებისაგან. ესაა პირველი მაგალითი ძველი ქართუ-
ლი პოეზიის ისტორიაში არქაული პოეტური სა-
ლექსო ნორმების სრული დეფორმაციისა. ამ ავე-
დროს ესევეა პირველი შემთხვევა ვერსიფი-
კაციული ნოვატორობისა ძველ ქართულ პოე-
ზიაში კლასიკური პირიოდის შემდეგ.

სულხან-საბა ორბელიანს ქილილა და დამანაში გამოყენებუ-
ლი აქვს კიდევ ზოგიერთი სხვა ახალი სალექსო ფორმა, როგორი-
ცაა მ რ ი ბ ლ ე დ ი, წ ყ ბ ი ლ ი, შ ე წ ყ ბ ი ლ ი, რ ე უ ლ ი.
აქ ხშირია ძველქართული ტრადიციული საზომებიც (შ ა ი რ ი, ჩ ა ხ-
რ უ ხ ა უ ლ ი, ფ ი ს ტ ი კ ა უ რ ი, ძ ა გ ნ ა კ ო რ უ ლ ი, ი ა მ ბ ი-
ც ო). ძველ საზომებში შეტანილია გარკვეული სიახლე.

ლექსის ძირითად ერთეულად სულხან-საბა ორბელიანი
თვლის ტაეპს. ტაეპი ერთსტრიქონიანი ლექსია, იგი ქილილა და
დამანაში ძალიან ხშირად წარმოდგენილია დამოუკიდებელი სა-
ლექსო ფორმის სახით. ტაეპის საზომი სხვადასხვაა. უფრო ხში-
რია თექვსმეტმარცვლოვანი ტაეპი, გვაქვს ათმარცვლოვანი და
ოცმარცვლოვანი ტაეპები (ჩახრუხაული ან ფისტიკაური). საგუ-
ლისხმოა, რომ სიტყვა ტაეპს ზოგჯერ დართული აქვს მითითება

ზომაზე — „ტაეპი ჩახრუხაული“ ან „ჩახრუხაული ტაეპი“. ორგან (გვ. 121, 122) 16-მარცვლედ ტაეპს ეწოდება „ტაეპი ლექსი“. ათმარცვლადი და 16-მარცვლადი ტაეპები არა იშვიათად შეიცავს შინაგან რითმებს, მაგალითად:

პეჟანთ პირ ე ს ა რ ი, ათაო დანაწეს ა რ ი (შაირის ტაეპი).
გმსახურე დ ი დ ი, არ მქონდა რ ი დ ი (10-მარცვლადი).

შაირის გაწყობა შინაგანი რითმებით პირველად სცადა არჩილმა¹⁰. ამ მხრით სულხან-საბა ორბელიანი აგრძელებს არჩილის მიერ გადადგმულ ნაბიჯს. ზოგჯერ ქილილა და დამანაში მოიპოვება სამრითმიანი ჩახრუხაული ტაეპები, მაგალითად (გვ. 57, 96, 177):

ამას ა რ ი თ ა, ამ მ ა ს ა რ ი თ ა არსად წავედგ ტუქსუათ ა რ ი თ ა.
ქე, ჩემო ს უ ლ ო, კვეთ გარდას რ უ ლ ო, შენივ ნაღვაწი თვით და-
ის უ ლ ო!
ვინც ა ვ ი ა, მოსკერ თ ა ვ ი ა, მისი აღმოფხვრა თემთა ზ ა ვ ი ა.

ჩვეულებრივი მნიშვნელობის გარდა ლექსი ქილილა და დამანას მიხედვით არის გარკვეული სავერსიფიკაციო ფორმა. როგორც წესი, იგი ორტაეპოვანი 16-მარცვლადია, ე. ი. ორტაეპოვანი შაირია. ამიტომაც სულხან-საბა ორბელიანის ანდერძში ყველა ორტაეპოვან 16-მარცვლედს აწერია შაირი. ამისი გადმონაშთი გვაქვს ქილილა და დამანას იგავ-არაკების ტექსტშიც. ერთგან ორტაეპოვან 16 მარცვლედს („დაბალმა ვითარ შეჰკადრა...“) დედნით, სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფული ხელნაწერით, ეწოდება შაირი (გვ. 138). ბევრ შემთხვევაში ორტაეპოვან 16-მარცვლედებს თავდაპირველად ჰქონია წარწერილი შ ა ი რ ი, შემდეგ საბას ისინი შეუცვლია სიტყვით „ლექსი“. არის პირიქითი მდგომარეობაც. რიგი შ ა ი რ ის ტექსტი პირველად იწოდებოდა ლ ე ქ ს ა დ (გვ. 525, 543, 563), შემდეგ კი წარწერა საბას შესაფერისად შეუსწორებია. ერთ შემთხვევაში (გვ. 74) დედნით შაირს („მღლევის თავსმდები...“) ახლაც აქვს შერჩენილი „ლექსი“.

ერთ-ერთ შემთხვევაში ლექსი ეწოდება ორტაეპოვან რვა მარცვლედს (გვ. 212):

მთვარემან მზე მოაწვია,
კრონოსთან ღია აწვია.

¹⁰ ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940, გვ. 22ა.

რამდენადაც ლექსი გულისხმობს ორტაეპოვან წყობილ ტექსტს, ზოგჯერ დედანში (საბას ავტოგრაფულ ხელნაწერში) თავდაპირველად ლექსით ყოფილა აღნიშნული ორტაეპოვანი ჩახრუხაული (483, 568) ან ორტაეპოვანი ფისტიკაური (5, 518, 567, 573, 579). ამის გამოხატულებაა ქილილა და დამანას აწინდელი ტექსტის „ლექსი ფისტიკაური“ (232). დედანში თავდაპირველად ლექსი ეწერა ერთ ოთხტაეპოვან ათმარცვლედ წყობილსაც (455).

როგორც ვთქვით, საბას ანდერძში ორტაეპოვან 16-მარცვლედს ეწოდება ლექსი. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ საბა საბოლოოდ ლექსის ამ გაგებაზე შეჩერებულა, ე. ი. მისი შეხედულებით ლექსი ეწოდება ორტაეპოვან 16-მარცვლედს.

ვახტანგის ანდერძში სიტყვა ლექსს შერჩენილი აქვს თავისი პირველი მნიშვნელობა, ამიტომაც ანდერძის ყველა ლექსს აწერია „ლექსი“.

ჩახრუხაული ორმარცვლელი შინაგანი რითმის მქონე ლექსია, იგი ჩვეულებრივად ოთხტაეპოვანი სტროფის სახით არის წარმოდგენილი. ხშირია ორტაეპოვანი ჩახრუხაული, გვხვდება ერთიან რითმაზე გაწყობილი ექვსტაეპოვანი ჩახრუხაული სტროფები (გვ. 2, 77). დამოწმებულია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამშინაგანრიტმიანი ჩახრუხაული ტაეპი.

ქილილა და დამანასში გვაქვს ერთი არაკი ლექსად („ბრკის გულისდება“), რომლის წყობას სულხან-საბა ორბელიანი ეწოდებს ჩახრუხაულ-ძაგნაკორულს („კაკაბმა უთხრა, ჩახრუხაული ძაგნაკორულად“, გვ. 199). ეს ლექსი დიდ ინტერესს იწვევს თავისი ფორმით, ამიტომაც მიუხედავად მისი დიდი მოცულობისა მოგვეყავს მთლიანად:

კაცს ვისმე ბრკობას, მსჯავრისა ბკობას აძლევდენ, იყო ცრემლისა
მღერეულად,

სხვამ უთხრა: სტირ რად, რაღამე ხარ მჩიერად? მოლხენა გმართებს, — ეს
თქმულა ძველად.

მან თქვა: ვაჟე, მაქესლა რაჟე? საზარალას ქინანო მიჩნს საზღვეეულად,
ზარი დამეცა, ზარი დამეცა, ჰე, გონებისა გასაქროთელად!

მოჩივართ ორთა, მკვევირალთა ღორთა შორის ვით გავბრკო კჳუის
მზომელად?

იგ ორნი მტერანი, ვით მზე და მტერანი, ვით გავარჩიო ზედ მომხლომელად?
რა ქნას მსაჯულმა, ღოჯე კლარჯულმა, ორთ ახირება სიტკბო მწყრომელად?
ზარი დამეცა, ზარი დამეცა, ჰე, გონებისა გასაქროთომელად!

მათ ხრიკთა უცნო, შიგან რა უცნო, ცოდვას ჩაეარდე სისხლისა მსმე-
ლად,

იტყვიან: იცან, ვინც მტერი გიციან, მათი ხერხები მისაწვდომელად,
სიბრძნე არ რეტობს, სინათლე მეტობს, ვითა სანთელი დაუშრეტულად.
ზარი დამეცა, ზარი დამეცა, ჰე, გონებისა გასაქრომელად!

მათ ოდენ ვარგო, მე გავიბარგო, საფლავად ცოდვა ჩამყვეს მდომელად,
მათ ორთ ვერ აგთა, საქმით ვერაგთა სიქიშვე მამბრობს, გამზღის მქლომე-
ლად.

სად შური შვეა, მუნ არის ზღვევა, იქ კეთილობა იყოს მბტომელად
ზარი დამეცა, ზარი დამეცა, ჰე, გონებისა გასაქრომელად!

გული თვალს აცლის, ქრთამი ორსავე სცელის, ამაზე არის დაუშრომელად.
მოვიანგარე, შინ თუ ან გარე, ტყვე შეიქმნები მოჩად რომელად,
ბრჭის გულისდება, საქმის მიდება, როდეს გაარჩევს ავ-კარგთ მდგო-
მელად?

ზარი დამეცა, ზარი დამეცა, ჰე, გონებისა გასაქრომელად!

ძაგნაკორულის შესახებ ჩვენ მხოლოდ გვიანდელი გადმოცე-
მები მოგვეპოვება. ძაგნაკორული ლექსის ნიმუშს ჩვენამდის არ
მოუღწევია. ჩვენ არ ვიცით, რით ხელმძღვანელობდა სულხან-საბა
ორბელიანი, როდესაც საანალიზო ლექსს შეარქვა „ჩახრუხაული
ძაგნაკორულად“. ძირითადად ეს ლექსი მართლაც ჩახრუხაულია,
ოღონდ ჩვეულებრივი ტიპის ჩახრუხაულისაგან განსხვავდება
რეფრენით. ისე როგორც ლექსს „ქალი“, ამასაც ყოველი სტრო-
ფის მეოთხე ტაეპად რეფრენი მოუღის („ზარი დამეცა, ზარი და-
მეცა, ჰე, გონებისა გასაქრომელად“). ოღონდ „ბრჭის გულისდებას“
რეფრენი („ქალის“ რეფრენისაგან განსხვავებით) მეტრულად შე-
ხამებულია საერთო ტექსტთან. განსხვავებულია აქ რითმაც. პირ-
ველის („ქალის“) ტაეპები რეფრენს არ ერთმება, ამასთან იქ ყო-
ველ სტროფს აქვს თავისი საკუთარი რითმა. „ბრჭის გულისდება“
კი თავიდან ბოლომდის ერთიან რითმზეა შეწყობილი, გამონა-
კლისს არც რეფრენის რითმა წარმოადგენს. „ბრჭის გულისდე-
ბაც“ ერთიან, მთლიან, მწყობრ კომპოზიციურ პრინციპზეა აგე-
ბული. „ბრჭის გულისდება“ თავისი საერთო ფორმით, კონსტრუქ-
ციით, რითმითა და მუსიკალური ჰანგით ახალი სიტყვაა ქართული
ლექსთწყობის ისტორიაში.

ფ ის ტ ი კ ა უ რ ი (ზოგჯერ საბა ხმარობს გამოთქმას: ფისთი-
კაური) ოცმარცვლელი ლექსია, რომელსაც არ აქვს შინაგანი რითმა
(ამით განსხვავდება ის ჩახრუხაულისაგან). ქილილა და დამანაში
ფისტიკაური ჩვეულებრივ წარმოდგენილია ორ და ოთხტაეპოვან
სტროფებად. იშვიათია ფისტიკაურის ტაეპი. ტაეპების ოცმარ-

ცვლედობას ზოგჯერ გამოუწვევია ფისტიკაურისა და ჩახრუხაულის ერთმანეთში არევა. ასე, ზოგიერთ ორტაეპოვან ფისტიკაურ ლექსს ქილილა და დამანას დედანში თავდაპირველად მიწერილი ჰქონია „ჩახრუხაული“ (55, 442, 481, 542), ანდა შესაფერისად ჩახრუხაულ ტაეპს — ფისტიკაური (გვ. 474). ფისტიკაური ტაეპის ნიმუშია:

ფარშამანგისა ფრენა ვერ შეესძლო—ბუზებრ მაშინცა გავზზრიალდები.

მ რ ჩ ო ბ ლ ე დ ი სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით ეწოდება წყვილ-წყვილად შეკავშირებულ მრავალტაეპოვან სალექსო ერთეულებს. ქილილა და დამანასში გვაქვს ოთხ, ექვს, რვა და ათ-ტაეპოვანი ერთეულები. მრჩობლედის მუსიკალურ თავისებურებას ქმნის რითმა. აქ ერთმანეთს ერთმეება მხოლოდ წყვილედი ტაეპები. ზომა ნებისმიერია. ხშირია 16-მარცვლედი (შაირი), გვხვდება „ჩახრუხაული მრჩობლედი“ (468, 541) ან მრჩობლედ-ფისტიკაური (547, 572). ერთ ექვსტაეპოვან (სამ-წყვილედ) მრჩობლედს დედანში უწერია „მრჩობლედი შაირი“ (295). ეს უნებლიეთი შეცდომა გამოწვეულია ამ მრჩობლედის ტაეპების თექვსმეტმარცვლიანობის გამო. მეორე შემთხვევაში 16-მარცვლოვან ექვსტაეპოვან (სამ-წყვილედ) მრჩობლედს თავდაპირველად დედანში შენიშნული ჰქონია „შაირი“ (გვ. 585). ეს შეცდომა ავტორს შემდეგ თვითონვე გაუსწორებია.

მრჩობლედის ნიმუში (გვ. 452):

შურისა მეძიებელსა ნუ უსმენ სიტყვას ნურასა,

უცილოდ თემსა დაგიტყვეს და სჯულსა მოსასურასა.

რა შურის მეძიებელმან თავი აიღო ნებითა.

შენს დიდებასა დაამზობს, ქვე მით დაეარდე ვებითა.

თუცა მეშურნეთ ნავშია ჩაუჭდა ქარ-კეთილითა.

ბრაქათა შეეხეთქები აფრითა მოკვეთილითა.

წყობილი შეიძლება იყოს სხვადასხვა მოცულობისა და სხვადასხვა ზომისა. ოღონდ წყობილის ტაეპებს აუცილებლად აქვს ერთიანი რითმა. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ სულხან-საბა ორბელიანის სავერსიფიკაციო სისტემაში ძალიან დიდ როლს ასრულებს სტროფიკა და რითმა. ქილილა და დამანასში არის შემდეგი სქემის წყობილის ნიმუშები.

ორტაეპოვანი 8-მარცვლედი (331, 432),

ორტაეპოვანი 10-მარცვლედი (331, 352),

ოთხტაეპოვანი 8-მარცვლედი (95, 240, 346, 400, 415, 439),

ოთხტაეპოვანი 10-მარცვლელი (455).

ექვსტაეპოვანი 16-მარცვლელი (164).

ერთგან ხუთ-წყვილედ მრჩობლედს ქილილა და დამანას დედან ხელნაწერში წარწერილი ჰქონია „წყობილი“ (566), რაც შეედომება (ესეც შეუქმნევეია და გაუსწორებია ავტორს). საქმე ისაა, რომ წყობილის სპეციფიკაა ერთიანი რითმა, მრჩობლედებში კი წყვილელი რითმებია მხოლოდ. წყობილის ნიმუში:

უწყალოთ აქეს-ყე ზიანი,
მართალთა — საქმე გზიანი;
ბელი გვინათლებს შზიანი,
გლუხნიც მდიდრობენ ბზიანი.

შეწყობილი ექვსტაეპოვანი ლექსია. 16-მარცვლელი, ერთიანი რითმით. გამონაკლისის სახით დამოწმებულია ექვსტაეპოვანი ოცმარცვლელი ფისტიკაური (გვ. 131). ალბათ, შეწყობილის თექვსმეტმარცვლიანობის გამო ერთ შეწყობილს (გვ. 127) დედანში თავდაპირველად ეწერა შაირი. ეტყობა, შეწყობილის თავისებურება წყობილთან მიმართებით უნდა ყოფილიყო მისი მეტრისა და ტაეპობრივი მოცულობის ზუსტი განსაზღვრულობა. სხვა მხრით წყობილი და შეწყობილი ერთგვარია.

შეწყობილის ნიმუში:

თუცა მსმენელი სწავლასა ყურს არა უპყრობს, სმენასა,
მძიმესა რათლა იტვირთავ, თაესა რად უზამ შენასა?
წესია. უთხრა შეჯდომა ბედის ტაიჯთა რბენასა,
გზის შრომისაგან განერას, ვანად მივიდეს მენასა;
თუ არ ვისმინოს, მიუშვი კლდეზედა გარდაფრენასა,
მაშინლა იცნობს შეტყობით მისსა გულსა და ენასა.

შერეული ჩვეულებრივ ექვსტაეპოვანი 16-მარცვლელი ლექსია ტეხილი რიტმითა და ტეხილი რითმით. შერეულის პირველი, მეორე, მეოთხე და მეექვსე ტაეპები ერთმანეთს ერითმება, ასევე ერთმანეთს ერითმება (ოლონდ პირველისაგან განსხვავებული ბგერული კომპლექსით) მესამე და მეხუთე ტაეპები. მოულოდნელი რიტმი და რითმა ლექსის ფორმას ართულებს და სტრიქონებს ორიგინალურ ელერადობას აძლევს. ერთ შემთხვევაში (გვ. 373) დამოწმებულია „ჩახრუხაული შერეული“. რიტმი და რითმა, რა თქმა უნდა, აქაც იგივეა, რაც 16-მარცვლედ შერეულში. შერეულის ნიმუში:

თუცა შენ გინდეს გაშვება, მე ხელით მოგვიკიდები,
შენგან თუ პირი გამიტყდეს, მე ყოლე არ გეფლიდები.

რა კიდევან მყო, გამაძო, არ მიმიკარო არესა
ვინა გაწირვა გენებოს, — არად არ წაგეკიდები!
შენი გაყრილი, საწყალი, ვის ვნახავ სამულდარესა?
მე შენვე გაგისაქუარდე, შენთავე ფერხთ ქვეშ ვიდები!

რ ვ უ ლ ი ს შესახებ ჩვენ ზემოთ საკმაოდ ვილაპარაკეთ და თქმულს აქ აღარ გავიმეორებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ რ ვ უ ლ ი ს ორიგინალური სალექსო ფორმა სულხან-საბა ორბელიანის მიერ არის შემოღებული.

ქილილა და დამანაში გვაქვს კიდევ ორიგინალური წყობის ორი იამბიკო. მოგვყავს პირველი (გვ. 62):

თუა ღრუბელსა ცვარი ენაჲ,
აღად გახალის სიტემ ზენამა,
მალლად მფრინველი მოჰკლის ფრენამა,
ვითა ფარვანა სანთელთ ჩენამა,
„ქაერი შეწვა“ ვერ თქვას ენამა.

ამ იამბიკოს ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიასთან საერთო აქვს მხოლოდ სტროფის ხუთტაეპიანობა. სხვა მხრით ეს სრულიად ახალი კონსტრუქციის ლექსია, ათმარცვლოვანი საზომისა, ერთიანი მშვენიერი რითმით. მოუხეშავი და მოუქნელი, მძიმე ძველ-ქართული იამბიკოს სანაცვლოდ სულხან-საბა ორბელიანს შეუქმნია მსუბუქი, მოქნილი და მუსიკალური ლექსი, რომელსაც ძველი მხოლოდ სახელწოდება-ღა შერჩენია.

სულხან-საბა ორბელიანის მეორე იამბიკო (გვ. 157) 13-მარცვლედია, ოლონდ უკანასკნელი, მეხუთე ტაეპი 16-მარცვლოვანია. ჩვენ ამის გაჩენა ვერაფრით აგვიხსნია. ბოლო ტაეპი ნაწყვეტის მუსიკალურ ჰარმონიას არღვევს.

ჩვენი მიმოხილვიდან, ვფიქრობთ, აშკარა ხდება, რომ სულხან-საბა ორბელიანი ყოფილა დიდად დახელოვნებული და ფაქიზი გემოვნების პატრონი პოეტი, პოეტი-მოაზროვნე. მას მალალ პოეტურ დონეზე გაუმართავს ქილილა და დამანას როგორც პროზა, ისე წყობილი ნაწილი. სულხან-საბა ორბელიანი-პოეტი ოდნავაც არ მიჰყოლია დედნის ტექსტს ფორმალური სიახლოვის ნიშნით, დახვეწილი პოეტური აღლოს წყალობით მას ბევრჯერ დაურღვევია დედნის ტექსტის ტაეპობრივი შესატყვისობაც და შინაარსობრივ-აზრობრივი მხარეც. ქილილა და დამანას მთელი ტექსტი სულხან-საბა ორბელიანს გაუწყვია არა სპარსულის რიგით (რაზედაც მას სპეციალური მითითება ჰქონდა), არამედ ქართული

ლექსის ბუნების მიხედვით. სულხან-საბა ორბელიანი უაღრესად ორიგინალური და დიდი ნოვატორი პოეტია. ფრიად საგულისხმოა სულხან-საბა ორბელიანის მიერ ქილილა და დამანას გაწყობაზე გაწეული შრომის შეფასება პირველი ქართული ნორმატიკული პოეტიკის ავტორის მამუკა ბარათაშვილის მხრით. მამუკა ამბობს „ქაშნიკის“ შესავალი ნაწილის დასასრულში: „სულხან-საბა ორბელიანმა ქილილა და [და]მანა გალექსა. თუმცა რუსთელის ნათქვამი არ არი, მაგრამ ნაკლებად სათქმელიც არ არი. იმაში ბევრი ხმა მოუყვანია, ამისთვის რომ სპარსულში მრავალ ხმათ იყო და რამთონ ხმათა ც. რამდონ სტრიქონად იმაში იყო, ისეთქა“¹¹.

მამუკა ბარათაშვილი ალტაცებით აფასებს სულხან-საბა ორბელიანის ღვაწლს, სულხან-საბას იგი თითქმის რუსთველს უტოლებს („თუმცა რუსთელის ნათქვამი არ არი, მაგრამ ნაკლებად სათქმელიც არ არიო“), მაგრამ სისწორით მაინც ვერ აღნიშნავს დიდი ქართველი მეიგავის მუშაობის ხასიათს ქილილა და დამანას ტექსტზე და შესაფერისადაც ვერ ითვალისწინებს მის ღვაწლს ქართული პოეზიის ისტორიაში. მამუკა ბარათაშვილს ჰგონია, თითქოს სულხან-საბა ორბელიანმა ქილილა და დამანას ლექსების ხმა შეუწყო სპარსული. დედნის ხმას (ე. ი. ტექსტი გააწყო „სპარსული რიგის“ მიხედვით) და თითქოს სტრიქონ-სტრიქონ მიჰყვა სპარსულის ლექსებს. ნამდვილად კი, როგორც ახლა უკვე ვიცით, სულხან-საბა ორბელიანს ქილილა და დამანას პწკარედი სრულიადაც არ დაუღეჟსავს სიტყვა-სიტყვით და სტრიქონ-სტრიქონ, მით უმეტეს მისთვის ამოსავალი არ ყოფილა სპარსული ლექსის ხმა, სპარსული ლექსის რიგი. მამუკა ბარათაშვილის მოწმობა მაინც მრავალმხრით არის საინტერესო. მამუკა თვითონ იყო ქართული ლექსთწყობის ისტორიაში დამსახურებული ნოვატორი, ბოლო დრომდის იგი ითვლებოდა პირველ მოამაგედ ქართული ლექსთწყობის რეფორმის საქმეში. არსებითად კი მამუკა ბარათაშვილი აგრძელებს სულხან-საბა ორბელიანის გზას. ქართული ლექსის „ხმების“ გადახალისების მხრით მამუკა ბარათაშვილი არის სულხან-საბა ორბელიანის ბეჯითი მიმდევარი. თავის „ქაშნიკში“ მამუკას შეტანილი აქვს საარეკრემენდაციოდ ქილილა და

¹¹ გ. შ ი ქ ა ძ ე. მამუკა ბარათაშვილის „ლექსის სწავლას წიგნი“, თბილისი, 1950, გვ. 137.

დამანას საბასეული ლექსების ყველა ნიმუში¹². მას პირადადაც ამ ნიმუშების მიხედვით შეუთხზავს საკუთარი ლექსები, კერძოდ ლექსი „უცხო“, სულხან-საბა ორბელიანის ზემოთ განხილული „ქალის“ კვლობაზე¹³. საბას ლექსსაც მამუკა უწოდებს უცხო ს, როგორც ახალს, ორიგინალურს, სამაგალითოს.

სულხან-საბა ორბელიანის სავერსიფიკაციო ნოვატორობის ისტორიული მნიშვნელობის დასაფასებლად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ აკაკი წერეთლის დიდად საყურადღებო შენიშვნები ქართული პოეზიის განვითარებაზე რუსთველის ზეგავლენის ორგვარი ხასიათის შესახებ. თავის ცნობილ ლექციებში ვეფხისტყაოსანზე აკაკი ამბობდა: „აქ უნდა მოვიხსენიოთ, სხვათა შორის, რომ ვეფხისტყაოსანს ორ-გვარი გავლენა ჰქონდა მწერლობა-მწიგნობრობაზე; ერთი მხრით, მისი წყალობით წერა-კითხვა და მწიგნობრობის ხალისი თანდათან მტკიცდებოდა ხალხში და მეორე მხრით — საკუთრად პოეზიაზე რაღაც ბატონური, მავნებელი გავლენა ჰქონდა. მრავალ საუუუნეების განმავლობაში ქართველი პოეტები ისე ბრმათ გატაცებული იყვნენ რუსთველისაგან, ისე ძლიერათ დამონებული, რომ ველარც-კი წარმოედგინათ, თუ კიდეც შეიძლებოდა სხვა გვარი ლექსის წერა, თუ არა თექვსმეტ-მარცვლოვანი და ოთხ-ტაეპიან შაირისა. მიდიოდნენ რუსთველისაგან ერთხელვე გათელილ გზაზე, უდგენ კვალში, მაგრამ იმოდენი ფეხმარჯვობა არა ჰქონდათ და მათი მსვლელობა, შედარებით რუსთველის მსვლელობასთან, კოკლობა იყო“¹⁴. აკაკი წერეთლის მოსაზრებით, „პირველი მწერალი, რომელმაც გადაარჩინა თავი ამ მონობას და საკუთარი გზით მოინდომა მსვლელობა, იყო დავით გურამიშვილი“¹⁵.

ჩვენი დიდი ეროვნული მგოსანი აკაკი წერეთელი ძლიერ აჭარბებდა, როდესაც ასე მკაცრი ფორმით მსჯელობდა რუსთველის უარყოფითს, თითქო ერთდაგვარად მანებლურ გავლენაზეც კი ქართული პოეზიის განვითარების ისტორიაში.

¹² სულხან-საბა ორბელიანის ნიმუშები ბლომად აქვს მოყვანილი იოვანე ბატონიშვილსაც კალმასობის იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „პოეზიისა ანუ მოლექსუობისათვის“, (კალმასობა, I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1936, გვ. 272—282)

¹³ ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940, გვ. 479, შენ. 1.

¹⁴ სამი ლექცია ვეფხისტყაოსანზე, „კრებული“, VI, თებერვალი, 1898, გვ. 24

¹⁵ იქვე.

საუკუნეების განმავლობაში ქართველი პოეტები სწავლობდნენ და იწაფებოდნენ რუსთველის მაღალსა და მაღლიან პოეზიაზე, რუსთველი იყო საზომი და მეტრი ქართული პოეზიისა. ეს ზრდიდა ქართველი პოეტების პასუხისმგებლობის გრძნობას, რუსთველი წერთინდა ქართველი პოეტების ესთეტიკურ გემოვნებას, თავისი მაღალიდებული და ფორმით ნატიფი ლექსებით რუსთველი აღმზრდელიობითსა და შთამაგონებელ ზემოქმედებას ახდენდა და ახდენს ქართული პოეზიის განვითარებაზე¹⁸. ასე უნდა გვესმოდეს, კერძოდ, რუსთველის დიდი თავყვანისმცემლის, მაგრამ არა ბრმად და მონურად მიმდევარი პოეტის, არჩილის განცხადება:

ვინ ვერ მიჰყევს რუსთველის ოქმულსა, გარდმობრძანდეს ასე აქეთ,
მელექსობა აო შეშენის, დააყენეთ მოსაბაქეთ.

მეორე მხრით, აკაკი წერეთლის დაკვირვება უთუოდ სწორია. რუსთველი იმდენად დიდი იყო და დაუძლეველი, რომ ქართველი პოეტები ვეღარ ბედავდნენ საკუთარი გზის არჩევას. რუსთველური პოეტური ნორმები, რუსთველური პოეტიკა, რუსთველური ლექსის მეტრი განუსაზღვრელად ბატონობდა საქართველოში საუკუნეების მანძილზე. რუსთველის ზემოქმედება ხშირად მართლაც ღებულობდა მახინჯ ფორმას. ბევრი მელექსე ამჟობინებდა მზამზარეული რუსთველური სახეებით, რუსთველური ხმით, რუსთველის საზომითა და რუსთველის სიტყვებით ხელმძღვანელობას: ბევრნი გაურბოდნენ ძიებას პოეტური სიტყვის სფეროში, ახლისა-კენ არ ისწრაფოდნენ. აშკარად, უღვთოდ და უგემურად ეპიგონობდნენ. ამის გამო ამბობდა იესე ტლაშაძე:

რიტორ რუსთველო, კარგ გამომთქმელო, ენა-ტყილო და შაქარიანო,
აჟმა მოქმელებმა, ქერღმა მელეებმა, ლექსი მრავალი მოგპარიანო.

საგულისხმოა, რომ რუსთველის, როგორც პოეტის, უზადობას უყოყმანოდ სცნობდნენ და ერთხმად აღიარებდნენ მისი მტრებიც საეკლესიო-კლერიკალური წრებიდან. შემთხვევითი როდია, რომ ანტონ კათოლიკოსის სიტყვით „შოთა ბრძენ იყო... უცხო საკვირველ პიიტიკოს-მესტიხე“, ოლონდ „ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესეო“.

მონური მიბაძვა რუსთველისა, მისი ყოვლისმომცველი და

¹⁸ შდრ. ქართველი მწერლები შოთა რუსთაველს (კრებული), თბილისი, 1937, წინასიტყვაობა.

წამლეკავი ზეგავლენა მართლაც სახიფათო ხდებოდა ქართული პოეზიის წინსვლისა და განვითარების თვალსაზრისით. საჭირო იყო დიდი პოეტური შემართება, დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობა და ამის შესაფერისი შემოქმედებითი ნიჭი რუსთველური პოეტური ნორმებისაგან გადასახვევად და საკუთარ ნიადაგზე დასადგომად. იდეებისა და შინაარსის სფეროში ეს გააკეთა არჩილმა. ოღონდ არჩილს არ ეყო პოეტური ძალა, რომ ახალი იდეები და შინაარსი მისთვის შესაფერისი ახალი ფორმით გამოეხატა. ამ ისტორიული როლის შესრულება წილად ერგოთ ვახტანგ მეექვსის წრის მოღვაწეებს, პირველ რიგში სულხან-საბა ორბელიანს. სულხან-საბა ორბელიანმა „პირველმა შეანგარია ქართული ლექსის ძველი ნორმების ციხე-სიმაგრე“ სულხან-საბა ორბელიანია ქართული ლექსის თამამი და დამსახურებული რეფორმატორი. სულხან-საბა ორბელიანის გზას მიჰყვნენ თვითონ ვახტანგი, მამუკა ბარათაშვილი და დავით გურამიშვილი. ვახტანგი საპატიო ადგილს უთმობს სულხან-საბა ორბელიანს ქართულ პოეზიაში რუსთველის, ჩახრუხაძისა და არჩილის გვერდით:

რუსთველისა ლექსი მეფეა ტახტზედ გვირგვინით მჭდომელი,
 კვლავ ჩახრუხაძე აგრევე სხვისა რიგისა მდომელი,
 მეფის არჩილის სარჩელი სწავლაა დაუცხრომელი,
 საბა თავადი მჭდომელი, მამუკა ბოლოს მდგომელი¹⁷.

მართლაც, დიდია და ფასდაუდებელი სულხან-საბა ორბელიანის ისტორიული როლი ქართული პოეზიის განვითარებაში. როგორც შესავალშივე აღვნიშნე, სულხან-საბა ორბელიანი ისეთივე დიდოსტატია პოეზიის სფეროში, როგორც აღიარებული დიდოსტატია იგი ქართული მხატვრული პროზისა. საგულისხმოა, რომ სარწმუნოებრივ-კონფესიურ ნიადაგზე საბას მოძულე ანტონ კათალიკოსი, რომელიც საგანგებოდ აცხადებს „საბას არ ვაქებო“, მაინც დიდი ქებით ამკობს მის „პიიტეკას“. ანტონი ამბობს: „შაირნი მისნი საქებელობენ, შაირთა ვაქებ... უცხო არს იგი საქებელ პიიტეკა, რაცა სოფლით გამოთქვა სულხან-საბა“¹⁸. იოვანე ბატონიშვილის დახასიათებითაც, სულხან-საბა ორბელიანი იყო „უცხო პიიტეკოსი და ქებული, ძველთა მოშაირეთა შესადარი“¹⁹.

¹⁷ სიბრძნე მალაღობელი (ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, აღ. ბარათაშვილის რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1947, სტროფი 812).

¹⁸ წყობილსიტყვაობა, პ. იოსელიანის გამოცემა, თბილისი, 1853, გვ. 287—288

¹⁹ კალმასობა, II, კ. კეკელიძისა და აღ. ბარათაშვილის რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 188.

სულხან-საბა ორბელიანს არ უნდა ვუწოდოთ ქილილა და დამანას მხოლოდ გამჩალხავი და გამლექსავი. იგი ნამდვილი შემოქმედი ავტორია (ან თანაავტორი ვახტანგთან ერთად) ამ დიდებული წიგნის ქართული რედაქციისა. ქილილა და დამანას გადამუშავების პროცესში ნათლად გამოჩნდა სულხან-საბას დიდოსტატობა და დახელოვნება ქართულ ლექსთწყობაში, მისი ფართო პოეტური ერუდიცია და დიპაზონი, დახვეწილი გემოვნება, მაღალი შემოქმედებითი ნიჭი და, ბოლოს, მისი ასაკისათვის უჩვეულო პოეტური მგზნებარება და ტემპერამენტი. სულხან-საბა ორბელიანმა მშობლიურ ენაზე ჩამოაყალიბა მსოფლიო ლიტერატურული შედეგის სრულფასოვანი ორეული. ამასთან დაკავშირებით კვლავ უნდა მოვიგონოთ ქილილა და დამანას ქართული რედაქციის ანდერძი, რომელიც თვითონ სულხან-საბა ორბელიანს ეკუთვნის.

ანდერძში მოკლედ მოთხრობილია ქილილა და დამანას თარგმნის ისტორია. აღნიშნულია, რომ ვახტანგმა წერილობით თხოვა სულხან-საბას თავისი თარგმანის „გემოანად“ გაჩალხვა და ლექსებით გაწყობა. სულხან-საბა აცხადებს, რომ იგი იყო „ვახტანგ მეფის ბიძად და გამზრდელად წოდებული, და დიდად საყვარელი“. მაგრამ „ჩხუბიანი კაცების“ წყალობით მაშინ მათ შორის დიდ განხეთქილებას ჰქონია ადგილი, მეფე უბრალოდ მწყრომელი შემექნაო. ბრძანება რომ მოვიდა (ქილილა და დამანას გაჩალხვის თაობაზე), მეფეს უარი არ ეკადრებოდა, თორემ ასეთი საქმე მონაზუნისათვის „უწესოა და ურიგოა“. ბერ-მონაზონი როგორ შეძლებს „ეს წიგნი გვარიან და ტკბილად გააკეთოს“-ო. ამას მოჰყვება სამი პატარა იგავ-არაკი — მ ზ ე და ვ ა რ დ ი, ზ ღ ვ ა და დ ე ლ ფ ი ნ ი, მ ე ფ ე და მ ე ძ ე ბ ა რ ი. ეს სამივე იგავ-არაკი ქილილა და დამანას იგავ-არაკების ყაიდაზეა აგებული და არსებითად ერთ საკითხს შეეხება. თუ რაა ეს საკითხი, ამას გაარკვევს ერთ-ერთი მათგანის შინაარსის გადმოცემა. ავიღოთ იგავ-არაკი მ ე ფ ე და მ ე ძ ე ბ ა რ ი.

ერთ მეფეს ჰყოლია ერთგული და მისანდო მეძებარი. მეფეს ძლიერ უყვარდა თავისი მეძებარი, ანებივრებდა, „ზრდილა ტაბლისაგან მისისა“. მეძებარიც ერთგულად ემსახურებოდა პატარონს, ფრთხილად გუშაგობდა და იცავდა მის კარ-მიდამოს, მეფეს „გემოანთა ნადირთა ანადირებდა“. განცხრომაში მყოფი მეძებარი არ ივიწყებდა თავის ტოლ-მეგობრებს, საკუთარ კერძსაც კი მათ უნაწილებდა. ტოლ-მეგობრებისადმი მზრუნველობის გამო ზოგჯერ „მეფეცა განარისხის“. მაგრამ გულკეთილი მეძებრის ამხანა-

გებმა შავი უმადურობა გამოიჩინეს, შურით აღბორგდნენ და „ცოფიან იქმნეს“. მათ იმდენი მოახერხეს, რომ „მეფისა იგი საყვარელი ძალი განიოტეს“, არც მეფე დაინდევს და „მერმე მეფეცა იგი დაღელეს“. გავიდა დრო. იმ ქვეყანაში გაჩნდა ერთი უცხო ნადირა „საწადელი მეფისა“. არავინ იყო იმ ნადირის შემპყრობელი. მეფე დალონდა. მაშინ მოაგონდა მას გაძევებული მეძებარი. ბევრი უყივლა, უსტივნა. სიბერით დღე-მოკლებულს, კბილებ-შემუსრვილს, მშიერსა და მწყურვალს ესმა პატრონის სტვენა. მიაშურა სამსახურისათვის გამზადებულმა, მაგრამ „რითლა უნდა შესძლებოდა ძალსა მას შეპყრობა მის ნადირისა?“

აშკარაა, რომ დასახელებული სამივე იგავ-არაკი, კერძოდ მეფე და მეძებარი, ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. ამ იგავ-არაკებში გამკვირვალე ალეგორიული ენით გადმოცემულია სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგის ურთიერთობის გარემოებანი. კერძო მოვლენის ფაქტები სულხან-საბას განუზოგადებია და შესაფერისი მორალური შეგონებაც ჩამოუყალიბებია. იგავ-არაკი ასეთი შეგონებით იხურება: „მანამდე უნდა მოსამსახურე მეპატრონემ არ მოიძულოს, თვარა რა მოკვდება, ტირილი აღარ გააცოცხლებს, არცა წყენა წასულს საქმესა-ლა მოაბრუნებს“.

მეფისა და მეძებრის იგავ-არაკში ალეგორიულად ასახულია ქილილა და დამანას ქართულად დამუშავების ამბავიც. იგავ-არაკის მეფე ვახტანგია, ერთგული მეძებარი — სულხან-საბა ორბელიანი, ხოლო უცხო ნადირი — ქილილა და დამანა. სულხან-საბა მისთვის ჩვეული თავმდაბლობით ამბობს, თითქოს აღარ შესწევდა ძალა მონადირეობა უცხო ნადირი, „გვარიან და ტკბილად“ გაეწყო ქილილა და დამანას ჩინებული წიგნი. ჩვენ ბეჭითად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სულხან-საბამ ეს შეძლო, მან ღირსეულად მოინადირა უცხო ნადირი და ქართული ლიტერატურის საგანძური გაამდიდრა უძვირფასესი მარგალიტით. სულხან-საბა ორბელიანს სრული უფლება ჰქონდა გაემეორებინა ქილილა და დამანას პწყარედი ტექსტის შემსრულებელი ვახტანგის სიტყვები:

ეს ობოლი მარგალიტი დაუაყო და დავაშადე..

სულხან-საბა ორბელიანის ანდერძში ჩართული ორიგინალური იგავ-არაკები ქილილა და დამანას დედნის საუკეთესო იგავ-არაკების იდეურ-მხატვრული დონის სიმალღებზე დგას, ისინი ღირსეულად უმშვენებს მხარს „სიბრძნე-სიცრუის“ ანალოგიურ ტექსტებს.

მოყვანილი მაჯამის ტექსტი შთაგონებულია რუსთველის ანა-
ლოგიური შაირით (495):

თუცა მივდის ღვარი ცრემლთა, მაგრა ცუდად არ იღენო,
ამას იქით ნულარა სტირ, ჰირსა თავი არიღენო;
შენნი მკვრეტნი ჩემთა მკვრეტთა ავინებენ, არ იღენო:
რომე წელან მოგეხვიენეს, იგი ჩემთვის არიღენო.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსებში იგრძნობა ვეფხისტყა-
ოსნის რითმების გამოსხივება, მაგალითად:

უქმროდ ნუშა მაქვს სიცოცხლე, ცხოვრება ერთის წ ა მ ი ს ა,
სულიც ნუ მიდგა გვამშიდა ნათალსავე ე ა მ ი ს ა (გვ. 317).
სიკვდილის რიდი არა მაქვს, მაგრამ მეშინის ა მ ი ს ა
მე მოვკვდე, შენ სხვას მიჰყვანდე, წუთს არ მიგლოუო წ ა მ ი ს ა (394)

დაყოფილი სარითმო სიტყვების წყაროა ვეფხისტყაოსნის
ეპილოგის ტექსტი (1665)²⁰:

გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა.
გარდახდეს, გავლეს სოფელი, — ნახეთ სიმუხთლე ე ა მ ი ს ა
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წ ა მ ი ს ა
ეწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსეელისად ა მ ი ს ა

სულხან-საბა ორბელიანს გამოყენებული აქვს კონტრასტული
პარალელიზმის რუსთველური ხერხი, როგორც მაგალითად (585):

ავის დაფარვას ვენუჯი ხ ვ ე წ ნ ი თ, ა რ ა მ ა ყ ო ბ ი თ ა.

მაგალითებს ვიკმარებთ. სურათი ნათელია. დამოწმებული ნი-
მუშების მიხედვითაც აშკარა ხდება, რომ სულხან-საბა ორბელი-
ანს განუცდია ვეფხისტყაოსნის ზემოქმედება. მაგრამ ისიც აშკა-
რაა, რომ ეს ზემოქმედება არ სცილდება ზომიერების ფარგალს.
სულხან-საბა ორბელიანი შთაგონებულია რუსთველით, მაგრამ იგი
არაა რუსთველის მიმბაძველი, მით უფრო ეპიგონი. სულხან-საბა
ორბელიანის ლექსები გამოსცემს საკუთარ პოეტურსა და მუსიკა-
ლურ ხმას. მიუხედავად თემატიკური განსაზღვრულობისა და შეზ-
ღუდულობისა (სულხან-საბას უხდებოდა პუკარედი ტექსტების
გაწყობა), მან შექმნა ფორმებითაც და აზრებითაც შესანიშნავი,

²⁰ ამ გზობის ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, რომ ეს ტექსტი
ფსევდორუსთველურია. მთავარია ისაა, რომ მოხმობილი სტრიქონები ვეფხისტყაოს-
ნით არის ცნობილი.

ნამდვილად ორიგინალური პოეზია, რომელიც გამსჭვალულია ნოვატორული სულით.

საყურადღებო ისაა, რომ სულხან-საბა ორბელიანი არ ცდოლა თავისი ტექსტი დაემსგავსებია რუსთველის ტექსტისათვის როდესაც ამის შემთხვევა და შესაძლებლობა ჰქონდა. მაგალითად, ერთგან ვახტანგის პწკარედში იკითხება:

ვინც მოკვდება და სახელი დარჩება,
ისი სჯობს იმ სიციხეს, რომ საძრახავი იყოს.

ყველასათვის აშკარაა ამ ტექსტის აზრობლივი სიახლოვე რუსთველის განთქმულ აფორიზმთან:

სჯობს სიციხესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!

ვახტანგსაც თავდაპირველად სწორედ რუსთველის აფორიზმი მოუხშია სრულიად უცვლელად და ხელნაწერ ტექსტში შეუტანია, მაგრამ იქვე მოუტია დედნის ზუსტი პწკარედი თარგმანიც. სულხან-საბა ორბელიანს თავი დაუდწევი საცთურისაგან და ტექსტი მისებურად გაუწყვია (გვ. 218):

ვინც სახელონად მოკვდება, სახელი დარჩეს ქებული,
ნაზრახს სიციხეს ისი სჯობს, საფლავსა იყოს დებული.

ანალოგიურია მეორე მაგალითიც: ქილილა და დამანას პწკარედი თარგმანით გვაქვს ასეთი ტექსტი:

სჯობს სიკვდილი და ქვას ქვეშ ყოფნა,
რომ ცოცხალი იყოს და დაჩაგვრას ქვეშ იყოს.

ეს ტექსტი ვახტანგს აქვს წყობილი რედაქციითაც:

სჯობს სიკვდილი და არ ყოფა სიციხესს აუგოანსა.

ვახტანგის წყობილ რედაქციას აზის რუსთველის ტექსტის შემოქმედების ბეჭედი:

თავს უთხრა: მოკვდე, გიჯობსო სიციხესს აუგოანსა (191, 1).

პწკარედი ტექსტის სიტყვიერი უნიათობის გამო სულხან-საბა ორბელიანი იძულებული გამხდარა მეტი ანგარიში გაეწია ვახტანგისეული წყობილი რედაქციისათვის, მაგრამ მას მაინც თავისებური აფორიზმი გამოუქვეთია (გვ. 279):

გვიჯობს სიკვდილი ქებული, თავის დაწირვა ნებითა,
სიციხესს მოყვინებულსა, აუგოანსა ვნებითა.

ქილილა და დამანას ტექსტი ცხადპყოფს სულხან-საბა ორბელიანის დიდ განსწავლულობას ძველ ქართულ პოეზიაში, სულხან-საბა ორბელიანის ლექსები დაეალებულია ამ პოეზიის საკეთესო ტრადიციებს. თავის მხრით, სულხან-საბა ორბელიანსაც დიდი ზემოქმედება მოუხდენია ქართული პოეზიის შემდგომ წინსვლასა და განვითარებაზე. ჩვენ უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ საბას ნიმუშებით უხვად სარგებლობდა მამუკა ბარათაშვილი. მამუკამაც დიდად შეუწყო ხელი საბას ნიმუშების გავრცელებას. ამ ნიმუშებს იყენებდა, კერძოდ, XVIII საუკუნის დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი. მე აქ დავიმოწმებ გურამიშვილის განთქმული ლექსის „სავარგონიას“ პირველ სტროფს:

სავარგონია, მგონია, ეს სიტყვა გასაგონია;
ბალ-წალკოტითა მოქმედთა ვარდი დათესონ, რგონ იო.
თუ სნეულებას უფროთხოდე, ჰამე, სეი, შესარგონია;
თავს გაუფროთხილდი. არ უყო საქმენი ურიგონია;
დალივე საბრძნო წამალი, დაღვარე საშმაგონია.

არა მგონია მოყვანილ ტექსტს კავშირი არ ჰქონდეს ქილილა და დამანას შემდეგ ლექსებთან:

მფთისა კაამყოლობა ძნელთ უძნელესი მ გ ო ნ ი ა,
ვით ზღვის ღელეთა არა ყვეს მენავე ს ა ვ ა რ გ ო ნ ი ა,
ნიადაგ გული შიშითა სავსე რა ს ა კ ა რ გ ო ნ ი ა,
რა უფრო დაახლოვდება, უფრო დასადაგონია (გვ. 129).
ბრძენთაგან მრული სათქმელი თქვი, თუ რა ს ა ვ ა რ გ ო ნ ი ა,
კაცურსა კაცსა ტყუილი არ შვენის გ ა მ ი გ ო ნ ი ა (გვ. 244).
სოფლით განდგომა პირველად თავის გაწირვა მ გ ო ნ ი ა,
ამხანაგთ დასაფარავი, იღუმალ მ ო ს ა გ ო ნ ი ა;
თავი გაწირე, მოიგე ფარულად სულთ ს ა რ გ ო ნ ი ა
თავ-გაუსვლელად საქმენი არა რა ს ა ვ ა რ გ ო ნ ი ა.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსის გავლენა განუცდია XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნის მოღვაწე ბევრ პოეტს, მათ შორის უფრო ძლიერად „ნარგიზოვანის“ ავტორს და პეტრე ლარაძეს (გარდ. 1837 წელს). სულხან-საბა ორბელიანის „უცხოის“ (ქალის) მეტრსა და ორიგინალური კომპოზიციის ქარგაზეა გაწყობილი „ნარგიზოვანის“ ავტორის მშვენიერი პატრიოტული ლექსი „ქართლი შვენიერია“:

გტრფიალობ, მზეო, თუ შენკენ მზეო,
ერთხელ მისმინე, ორქელ, სამზეო.

ვერა ვეან შენი გონება, ზნეო,
 ჰქვიან მას სახელად ქართლი შეენიერია!
 ქართლია მოთხე, ვითა სამოთხე,
 აენი არ სჭირან, ვით საამოთ ხე.
 დღინარის პირსა, დგანან სამ-ოთხე,
 ჰქვიან მას სახელად ქართლი შეენიერია!
 დგანან ხილ-ხენი, ქვე სხედან ერნი,
 კორდნი მწუანენი. ზურმუხტის ფერნი;
 მათნი მნახეელნი გაყმდების ბერნი.
 ჰქვიან მას სახელად ქართლი შეენიერია!
 ქართველნი ლომნი, უყვარან ომნი,
 ბრძენნი, საღმრთონი, საეროს მღომნი,
 ნადირთა მსრველნი, მოედანს მზომნი,
 ჰქვიან მას სახელად ქართლი შეენიერია!
 ქართველთა ქალნი, ვით ბროლ-ფიქალნი,
 თეთრი, ყირმიზი, პირზედ აქეთ ხალნი,
 მათთა მნახეელთა მოედვის აღნი,
 ჰქვიან მას სახელად ქართლი შეენიერია!²¹

საბასეული ქილილა და დამანას ლექსების კეთილი ზეგავლენა განუცდია XIX საუკუნის დიდ ქართველ პოეტსა და მოაზროვნეს ილია ჭავჭავაძეს. რუსთველის „ვეფხისტყაოსანსა“ და დავით გურამიშვილის დავითიანთან“ ერთად ილია ჭავჭავაძის უსაყვარლესი წიგნი ყოფილა სწორედ ქილილა და დამანა. შენახულია, ნაბეჭდი ქილილა და დამანას ის ცალი, რომელსაც „ეტყობა პატრონის, „ივერიის“ რედაქტორის ხელი და დაკვირვება“²². აქედან იწერდა ილია საანდაზო ლექსების ნიმუშებს. ეს ნიმუშები ხშირად ამკობს ეპიგრაფების სახით ილია ჭავჭავაძის მხატვრულსა თუ პუბლიცისტურ და მეცნიერულ-პოლემიკურ წერილებს ქილილა და დამანადან ამოკრეფილი სენტენცია-აფორიზმები და ბრძნული ფრთიანი გამოთქმები მიმობნეულია ილია ჭავჭავაძის სხვადასხვა უანრის თხზულებებში²³.

²¹ ამ ლექსის ავტორობას და, საერთოდ, ქართული ლექსის რეფორმატორობის პატივს პრაფ. კ. კეკელიძე მიაწერს XVII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე მწიგნობარ გარსევან ჩოლოყაშვილს (ვინ არის ნარგიზოვანის ავტორი? „ლიტერატურული საქართველო“ 20. XI. 39). უკანასკნელი დროის სპეციალურ ლიტერატურაში გაზიარებულია ჩვენი შეხედულება სულხან-საბა ორბელიანის როლზე ქართულ ლექსთწყობის ისტორიაში და „ნარგიზოვანის“ თარიღის შესახებ (აკაკი გოჭერიანი, ქართული კლასიკური ლექსი, თბილისი, 1953, გვ. 217; პ. ი. ნ. გ. თ. რ. უ. ვ. ა., გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ. 586).

²² თ. შ. კ. ა. ვ. ა. რ. ი. ა. ნ. ი. კავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა, „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, № 4—5, 1948, გვ. 235.

²³ აღ. ბ. ა. რ. ა. მ. ი. ე. ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკო-

ჩვენს ყურადღებას იქცევს ერთი ეპიგრაფი, რომელიც უძღვის ილია ჭავჭავაძის ლირიკულ ლექსს „ალაზნანს“. ეს ლექსი სატრფიალო შინაარსისაა. საექსპოზიციო ნაწილში ავტორი გრძნობიარედ მიმართავს მისი „მშობლიური მთის ცრემლით შემდგარ“ საყვარელ მდინარეს:

მდინარეე, ჩემის მშობლიურ მთის ცრემლით შემდგარო!
აწ შენს კიდზედ ვდგევიარ, დაგცქერ მე, მეგობარო.
დაგცქერ კმუნეთითა და შენს წყალში ვეძებ ჩემს წარსულს,
ღროთა ბრუნვისგან შენ ზეირთთ შორის დამარბულს, დანთქმულს.

საანალიზო ლექსი დათარიღებულია 1859 წლით. „ალაზნის“ ლირიკულ გმირს მაშინ „უდროო-დროდ“ ჰქონია თმებში შეპარული ჰაღარა. მშვენიერი ალაზნის ნაპირებს მისთვის აუშლია სიყრმის ღროინდელი მწველი და თანაც ტკბილი მოგონებები. პოეტს კვლავ უხილავს ძველი მუხა, რომლის „ჩრდილქვეშ“ ბევრი ნეტარების წუთი განუცდია სათაყვანებელი სატრფოს გვერდით. „დილის ღიმილივით“ უმანკო ყოფილა მათი ბედნიერი გატაცება. „ვით შენ ჰღელავდი, ისეც ჩვენში ჰღელავდა გულიო“, შესჩივის პოეტი მდინარის ტალღებს. წარსულის ტკბილ მოგონებებს შენაცვლებია მკმუნვარე აწმყო. ძლიერ ნალელიანი კილოთი დასძენს პოეტი:

მაგრამ წარივლტო წუთის შეება ჩვენის გულისა,
გაქრა სიბრმავე ალტაცებულ სიყვარულისა...
წამერთო ყველა, და წარვიდა ბელიც მღიმაირი,
წარვიდა, ვითა მაშინდელი ზეირთი მდინარი...

ლექსი იხურება ავტორის სევდიანი შეძახილით:

სად არს ის ღმერთი, იგი გრძნობა, ის სიყვარული?
ყველა წარსულა, რად არ მიდის ხსოვნა ბედჯრული!

„ალაზნანს“ თავიდან ბოლომდის მსჭვალავს ავტორის მელანქოლიკურ-რომანტიკული გადაწყვეტილებანი. ალაზნის ტალღებით დაუდგრომელი და წარმავალი ჰაბუკუერი სიყვარულის მოგონებებს მტანჯველი ფიქრები აღუძრავს პოეტში. ეს მტანჯველი ფიქრები და მწვავე გრძნობები დასდებია საფუძვლად „ალაზნანს“. შინაარსობრივად, აზრობრივად და განწყობილებებით ამ ლექსს

თხები. ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1957, გვ. გვ. 35—37, 40—41, 56; მისივე, ილია ჭავჭავაძის ერთი ეპიგრაფის გამო, „ლიტერატურული გაზეთი“ 11. X. 57.

სავსებით შეეფერება ეპიგრაფის სახით მისთვის წამძღვარებული შემდეგი პოეტური სტრიქონები:

სიკაბუკისა ყვაილი
ღამიკნო უამთა ღენამა,
ნდომა მომაკლო, ღამიგლო,
სასაპყროდ გული რბენამა.

ჩვენ არ ვიცით, მოყვანილი ეპიგრაფის ტექსტმა აღძრა ილია ჭავჭავაძის ხსოვნაში ჭაბუკობის დროინდელი განცდები, თუ პირიქით, მისმა ლექსმა მოაგონა ავტორს ეპიგრაფის მგრძნობიარე სიტყვები. უდავო ისაა, რომ ორივე შემთხვევაში მკაფიოდ არის გამოხატული ერთი და იგივე განწყობილება. ეპიგრაფის მოტივები მკაფიოდ არის აღბეჭდილი ილია ჭავჭავაძის განხილულ ლექსში. აღნიშნული კერძო მაგალითი ნიშანდობლივია საზოგადოდ ეპიგრაფების ადგილისა და მნიშვნელობის გასარკვევად ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში.

„ალაზნის“ ეპიგრაფის ავტორად ილია ჭავჭავაძე ასახელებს ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს. სულხან-საბა ორბელიანი პოეტი ბოლო დრომდე ხომ თითქმის უცნობი იყო. მას უდავოდ მიეწერებოდა მხოლოდ ორიოდ, შედარებით უმნიშვნელო ლექსი, მით უფრო ინტერესს იწვევს ეპიგრაფის ტექსტი, რომელიც საბას „უცნობ ლექსად“ ითვლებოდა სპეციალურ ლიტერატურაში. ნამდვილად ეს ლექსი ამოღებულია ქილილა და დამანადან. აქ ერთგან იკითხება (გვ. 298):

ს ი კ ა ბ უ კ ი ს ა ყ ვ ა ვ ი ლ ი ღ ა მ ი კ ნ ო უ ა მ თ ა ღ ე ნ ა მ ა .
ღღე მირბის, თუა ვირწმუნებთ, ან ნახა თვალთა ჩენამა.
ნ დ ო მ ა ' მ ო მ ა კ ლ ო , წ ა დ ი ლ ი . მ ა ნ ვ ა ნ გ ე ბ ა მ ა ზ ე ნ ა მ ა ,
ტ ე ი ნ ი დ ა თ ხ ე ლ დ ა , დ ა ა გ ღ ო ს ა ს ა პ ყ რ ო დ მ უ ხ ლ ი რ ბ ე -
ნ ა მ ა .

ეპიგრაფის პირველი სტრიქონი შესულია ილია ჭავჭავაძის მიერ სხვადასხვა თხზულებათაგან ამოკრეფილ საანდაზო ლექსების წიგნში²⁴. ქილილა და დამანას ტექსტი ილია ჭავჭავაძის შეუმოკლებია და რამდენადმე შეუცვლია კიდევაც, უცვლელად არის დატოვებული მხოლოდ პირველი სტრიქონი, შაირის მეორე სტრიქონი გამოშვებულია. მესამე და მეოთხე სტრიქონებიდან შერჩე-

²⁴ საანდაზო ლექსები, ილია ჭავჭავაძის ამოკრეფილი, წინათქმა და შენიშვნები ი. გრიშაშვილისა, თბილისი, 1935, გვ. 129.

ულია აქ დაყოფილად დაბეჭდილი პოეტური ფრაზები. როგორც ვთქვით, მის მიერ გამოყენებული ტექსტისათვის ილია ჭავჭავაძეს ოდნავ ჩაღბი გაუკრავს: პირველი სტრიქონის არქაული „დამიქნო“ შეცვლილია ახალი ფორმით „დამიქნო“. დედნის „დ ა ა გ დ ო სასაპყროდ მ უ ხ ლ ი რ ბ ე ნ ა მ ა“ ილია ჭავჭავაძის რედაქციით ასე იკითხება: „დამიგდო სასაპყროდ გ უ ლ ი რ ბ ე ნ ა მ ა“. ზმნის ფორმის შეცვლის გარდა ილია ჭავჭავაძეს მთლიანად შეუცვლია ერთი სიტყვა: მუხლი: გული. ილია ჭავჭავაძის შედარებით უმნიშვნელო რედაქციული ჩაღბი არ ცვლის ტექსტის აზრობრივ მხარეს, თითქოს მას აძლიერებს კიდევაც. მაინც ილია თავისუფლად მოკიდებია უცხო ტექსტობრივ მასალას, ეს მასალა შეუხამებია მისთვის საპირო მიზნებისათვის. აქვე შევნიშნავთ, რომ ილია ჭავჭავაძე ასე იქცევა სხვა ანალოგიურ შემთხვევებშიც (ზოგჯერ ვეფხისტყაოსნის ტაეპიც კი აქვს ერთგვარად გათავისებურებული).

„ალაზნის“ ეპიგრაფი დიდ ინტერესს იწვევს ისტორიულიტერატურული თვალსაზრისითაც. როგორც აღვნიშნეთ, ეპიგრაფის ტექსტს ილია ჭავჭავაძე აკუთვნებს საბა ორბელიანს. ქილილა და დამანას ქართული რედაქციის ავტორობის საკითხი უკანასკნელ დრომდის სერიოზულ ცილობას იწვევდა. ილია ჭავჭავაძეს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის შუა წლებში გადაჭრილი პასუხი ჰქონია გაცემული ამ საცილობელ საკითხზე. უახლესი დროის სპეციალურმა კვლევა-ძიებამ საგსებით დაადასტურა ილია ჭავჭავაძის აზრი.

როგორც აღვნიშნეთ, ქილილა და დამანას საანდაზო ლექსებს ეპოულობთ ილია ჭავჭავაძის სხვადასხვა ხასიათის თხზულებებში. მაგალითად, დიმიტრი ყიფიანის მკვლევლობისადმი მიძღვნილ წერილში ილია ერთგან ამბობს: „იგი იყო კაცი, რომელსაც სიყვარულის დღიდანვე ბოლოს ჟამამდე სამართალი მიუძღოდა ეთქვა—

ჩემი ნავი ნალელის ზღვასა
შევატურე სარგებელად:
ან დავინთქმი, ან მარგალიტს
ამოვიღებ, ვიგდებ ზელად“²⁵.

დამოწმებული მშვენიერი ლექსი ამოღებულია საბასეული რედაქციის ქილილა და დამანადან²⁶.

²⁵ ილია ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, II, თბილისი, 1941, გვ. 515.

²⁶ ქილილა და დამანა, თბილისი, 1886, გვ. 497, თბილისი, 1949, გვ. 527.

ქილილა და დამანას ციტატებით უხვად არის შემკობილი ილია ჭავჭავაძის განთქმული მეცნიერულ-პოლემიკური ნარკვევი „სომეხთა მეცნიერნი და ჭეათა ლალადი“. ამ ნარკვევის ეპიგრაფია:

ეგრე მტრისა არ მეშინის,
რადგან ცხადად მაწყინარობს;
მოყვარესა-მტერსა ვუფრთხი,
მემოყვრება, მოცინარობს...

რალაც გაუგებრობის გამო ეპიგრაფის ტექსტს მიწერილი აქვს: რუსთაველი²⁷. ნამდვილად კი მისი ავტორია სულხან-საბა ორბელიანი.

საბასეულ ქილილა და დამანაში იკითხება:

ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყინარობს,
მოყვარესა მტერსა ვუფრთხი: მემოყვრება, მოცინარობს...
მოყვრის მტერი არ მაძინებს, არცა თვითან მოძინარობს,
გული ჩემი რასა ლამის, რად არ ჩქარობს, რადმცა წყნარობს*⁸

ამჟაბრად, რომ ილიას ეპიგრაფში სრულიად უცვლელად არის შესრულებული საბას შაირის პირველი ორი ტაეპი. ქილილა და დამანას მკვეთრი საანდაზო ლექსები გამოყენებული აქვს ილია ჭავჭავაძეს, კერძოდ. „ჭეათა ლალადის“ იმ კარში, რომელიც მიმართულია ნიკო მარის წინააღმდეგ²⁸.

ქილილა და დამანას რემინისცენციები აღბეჭდილი აქვს ილია ჭავჭავაძის პოეზიას. ასე, პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“ გვხვდება სტრიქონები:

არ არის მკედარი, ვინც მოაკედეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკედრად იგი თქმულა ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.

²⁷ შეიძლება ეს გაუგებრობა იმით აიხსნას, რომ ანალოგიური ტექსტი მოიპოვება ვეფხისტყაოსანში (1211, 2).

მოყვარე მტერი ყოველისა მტრისაგან უფრო მტერია.

სხვათა შორის, რუსთაველის ეს აფორიზმი ეპიგრაფად უძღვის ილიას წერილს „კატკოვის პასუხად“ (თხზულებანი, II, 1941, გვ. 145). „ჭეათა ლალადის“ ეპიგრაფის ქილილა და დამანასადმი კუთვნილება შენიშნული აქვს ი. გრიშაშვილს (საანდაზო ლექსები, გვ. 176—178).

²⁸ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, II, გვ. 434—435 (მდრ., ქილილა და დამანა, 1886, გვ. 146, 223; 1949, 131, 223).

დაყოფილი სტრიქონები გვაგონებს სულხან-საბა ორბელიანის ქილილა და დამანას შემდეგ ტექსტს:

კაცი სახელის მკებნელი უკვდავად შემირაცხია,
მკვდრად იგი თქმულა, ვის კაი სახელი ზედ არ აცხია²⁹.

ილია ქავეკავაძე დიდი პატივისმცემელი და ერთი პირველი დამფასებელი ყოფილა სულხან-საბა ორბელიანის პოეტური ნიჭისა. სულხან-საბა ორბელიანის ლექსებს ერთგვარი ზემოქმედებაც მოუხდენია ილიას პოეზიაზე³⁰.

საბასეული რედაქციის ქილილა და დამანას სახეები ზოგჯერ თინათინობენ გამოჩენილი საბჭოთა პოეტების იოსებ გრიშაშვილისა და გიორგი ლეონიძის ლექსებში.

2. ქილილა და დამანას ახალი გამოცემის გამო

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ აქვეყნებს დიდი ქართული მწერლის სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა კრებულს ოთხ ტომად (პირველი ტომი უკვე გამოვიდა). ოთხტომეულში შედის ქილილა და დამანაც. შესაძლებელია დაისვას კითხვა, რამდენად სწორად მოიქცა ოთხტომეულის მთავარი სარედაქციო კოლეგია (ირ. აბაშიძე, ილ. აბულაძე, ალ. ბარამიძე, ვ. დონდუა, კ. კეკელიძე, გ. ლეონიძე, ა. შანიძე), როდესაც სულხან-საბა ორბელიანის თხზულებებში შეიტანა მსოფლიო ლიტერატურის ამ შესანიშნავი ძეგლის ქართული ვარიანტი.

ქართულ ენაზე მოიპოვება ქილილა და დამანას სამი ძირითადი რედაქცია. თხზულების თარგმნა დაუწყია კახეთის მეფე დავითს, თეიმურაზ პირველის მამას. დავითი გარდაიცვალა 1602 წელს. მას მოუსწრია ქილილა და დამანას მხოლოდ ერთი, შედარებით მცირე ნაწილის გადმოღება (კუ და მორიელის არაკამდის). დავითის თარგმანი ვახტანგ VI-ის თაოსნობით დაასრულა ორმა უცნობმა მწიგნობარმა. ამ თარგმანის ტექსტი 1712—1714 წ-ში ისპაჰანში (სპარსეთში) ყოფნის დროს, სპარსულ დედანს შეუდარა, ნაწილობრივ

²⁹ ქილილა და დამანა, 1836, გვ. 81, 1949, გვ. 49; ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, საანდაზო ლექსები, გვ. 24.

³⁰ სხვათა შორის ილია ქავეკავაძემ საესეებით სწორი მეცნიერული განმარტება მისცა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუეს“ (ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ილია ქავეკავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები, გვ. 35—36).

შეასწორა და ლექსებით გააწყო თვითონ ვახტანგმა. ვახტანგის საკუთარი ხელით ჩასწორებული ხელნაწერი თარგმანისა დატულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (S—3177). ეს არის ქილილა და დამანას ქართული თარგმანის პირველი რედაქცია.

ვახტანგი მაინც არ იყო კმაყოფილი ქილილა და დამანას პირველი თარგმანით („ლექსი, სიტყვა და განწყობა ბევრი აკლდა“).

1714 წელს ვახტანგი ისპაჰანიდან ქირმანში გადაასახლეს ურჩობისათვის. „რა მიველ მუნ, — მოგვითხრობს, — წიგნი სარგონი არ მახლდა, და ცუდად ყოფნა სულისაც მაზიანებლად ვნახე და ხორცის საწუხარადაც. სხვა საქმე არა მქონდა რა, ამის (ქილილა და დამანას) შექცევას გამოვეყიდეო“. ვახტანგს პირწმინდად თავიდან ბოლომდის გადმოუთარგმნია ვეებერთელა თხზულება, კერძოდ სპარსული ლექსები ქართულად გადმოუღია ზუსტი პქკარედით. თარგმანის დასრულების შემდეგ ვახტანგი შედგომია ლექსების გაწყობას. მაგრამ სანამ ტექსტს გამართავდა, შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია. იგი დაინიშნა ქართლის მეფედ და ერახის სპასალარად, კვლავ პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში ჩაება. ქილილა და დამანა გაუჩაღხავი დარჩა. ქილილა და დამანას ამ თარგმანის დედანი. ვახტანგის უამრავი ავტოგრაფიული ჩანაწერებითა და შენიშვნებით, მოღწეულია ჩვენს დრომდის და დაცულია აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდში (ბროსეს კოლექციის № 16/47). ესაა ქილილა და დამანას ქართული თარგმანის მეორე რედაქცია. ეს რედაქცია ჩამოყალიბდა 1714—1716 წლებში.

ქილილა და დამანას ვახტანგისეული თარგმანი შესრულებულია საქმის კარგი ცოდნითა, გულისხმიერებითა და სიყვარულით. ოღონდ, როგორც ვთქვით, მას სჭირდებოდა დახვეწა და ლექსებით გაწყობა, ეს საქმე ვახტანგმა დაავალა ევროპიდან დაბრუნებულ სულხან-საბა ორბელიანს. „ეს ჩემი ჭირნახული ვაჩაღხე გემოიანად და სადაც ლექსები ჩართული იყოს, აგრეთვე ქართულად ლექსები ჩაურთეო“, მიუწერია ვახტანგს საბასათვის. საბას უარი ვერ უთქვამს, თუმცა მონაზვნისაგან ამისთანა ამბავი უწესოა და ურიგო“, აცხადებს.

სულხან-საბა ორბელიანის სამართლიანის მოსაზრებით, სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ტექსტს აუგემურებს, მთარგმნელმა „ზოგან წინა უკან უნდა მოიყვანოს, და ზოგან ართრონი არ მოუმატოს, ან დააკლოს, თვარამ სწორადრე უგემური მოვა“. თავისი პრინციპის

კვალობაზე სულხან-საბა ორბელიანს ძირიან-ფესვიანად გადაუშეშა ვანტანგისეული თარგმანის პროზაული ნაწილი, დაუხვეწავს, გაუნთავისუფლებია პწკარედის კონსტრუქციული და ლექსიკურ ბარბარიზმებისაგან, ტექსტისათვის მიუტია ნამდვილი ქართული, ეროვნული იყრი, „გემოანად გაუჩაღხავს“. კიდევ უფრო მეტი შრომა გაუწევია სულხან-საბას თხზულების გალექსვაზე. ქილილა და დამანას მთელი პწკარედი მას გაუწყვია მაღალი მხატვრული გემოვნებით. რაც მთავარია, დაურღვევია ქართული ლექსთა-წყობის ძველი ნორმები და რიგი ახალი საზომი შემოუღია. ქილილა და დამანას გალექსვისათვის სულხან-საბას გამოუყენებია ნოვატორული ხერხები. ის გვევლინება ქართული ლექსის დიდ რეფორმატორად. სულხან-საბას სავერსიფიკაციო ნოვატორობის გზას მიჰყვნენ ვახტანგ VI, მამუკა ბარათაშვილი, დავით გურამიშვილი და სხვები. საგულისხმოა, რომ მამუკა ბარათაშვილის სიტყვით, „სულხან-საბა ორბელიანმა ქილილა და დამანა გალექსა. თუმცა რუსთველის ნათქვამი არ არი, მაგრამ ნაკლებად სათქმელიც არ არი“. ერთი სიტყვით, სულხან-საბა ორბელიანმა მაღალ მხატვრულ დონეზე გამართა ქილილა და დამანას როგორც პროზა, ისე ლექსი. მან ქართულ ენაზე ჩამოაყალიბა ქილილა და დამანას ისეთი რედაქცია, რომელიც არ ჩამოუვარდება დედანს, ცალკეული ადგილებით მას სჯობნის კიდევაც. ასეთი ღვაწლი მიუძღვის სულხან-საბა ორბელიანს ქილილა და დამანაზე. ვახტანგმაც დაუფასა მას ღვაწლი. ქილილა და დამანას ეს მესამე, ანუ საბასეული რედაქცია, ჩათვალა სწავლულმა მეფემ კანონიკურად, მოამზადებინა ტექსტის მდიდარი ხელნაწერი გამოცემა (გამოცემა საუცხოოდაა დასურათებული). ქილილა და დამანას ეს ხელნაწერი გამოცემა მომზადდა 1719—1923 წლების განმავლობაში. ამჟამად იგიც დაცულია აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში (ლენინგრადს). გადარჩენილია სულხან-საბა ორბელიანისეული ქილილა და დამანას მთლიანად ავტოგრაფიული ხელნაწერი (ხელნაწერთა ინსტიტუტის S 31).

ამრიგად, ქილილა და დამანას სამი ქართული რედაქციიდან ყველაზე მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი ლიტერატურული ღირებულების მქონეა საბასეული რედაქცია (ქილილა და დამანას პირველ-ორ რედაქციას აქვს მხოლოდ ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა¹).

¹ ცნობილია აგრეთვე ქილილა და დამანას ორი სხვა რედაქციაც. ონანა მდივნი-სა და ვინმე მელიგზად ბებულოვისა. ონანას დაულექსავს ვახტანგისეული თარგმანი

ცხადია, ეს რედაქცია უნდა შევიდეს სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა კრებულში. ამასთან, რასაკვირველია, არ უნდა დავივიწყოთ არც ვახტანგის ღვაწლი.

ქილილა და დამანას ტექსტი ქართულად პირველად გამოქვეყნდა 1886 წელს ილია ჭყონიას რედაქციით. მიუხედავად ნაკლისა ამ გამოცემამ პირნათლად მოიხადა თავისი ვალი მკითხველი საზოგადოების წინაშე, 1949 წელს გამოვიდა ქილილა დამანას იგავ-არაკები ჩემი და პ. ინგოროყვას რედაქციით. ამჟამად იბეჭდება ქილილა და დამანას სრული მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი. საფუძვლად აღებულია სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფული ნუსხა, დამხმარედ კი გამოყენებულია ტექსტის პირველი ზეღნაწერი გამოცემა.

3. კვლავ ქილილა და დამანას ახალი გამოცემის გამო

(წერილი რედაქციას)

„ქილილა და დამანას“ გარშემო სადისკუსიოდ ქცეულ საკითხებიდან საპიროდ ვთვლით აქ ძალიან მოკლედ შევეხოთ ამ ძეგლის ანდერძების საკითხს.

„ქილილა და დამანას“ შემოუნახავს ორი ანდერძი. ერთი ეკუთვნის ვახტანგს, მეორე — სულხან-საბა ორბელიანს. ვახტანგს გადმოცემული აქვს თხზულების ქართულ ენაზე თარგმნის ისტორია. საკუთარი თარგმანის თაობაზე სწავლული მეფე მოკრძალებით შენიშნავს: „თუცა დამეკლოს რამე, ნუ დამგმობთ. ჩემი ჭირი ქვას ჰქონებოდა, დადნებოდა. ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდა. და თუცა ვინმე უკეთ იტყვიოთ, არ გიშლი და კარგსა იქოთ“. ვახტანგი აცხადებს, რომ სპარსული ტექსტი მან გადმოიღო სიტყვასიტყვით „ლექსი ლექსად“ და „ამბავი-ამბად“ (ამბავი აქ ნიშნავს პროზას). მთარგმნელი დასძენს: „ლექსი სპარსული ქართულს ენაში ლექსად არ ითარგმნება, ამბად (პროზად) შოვა, და მე იმავე ამბის (პროზის) გალექსვა მოვიწოდო; და ეგება ლექსი არ მოგეწონოსოთ, გასინჯეთ, რომ სხვის კაცისაგან ნათქვამს ამბავს მეორე ისე ველარ იტყვის. სპარსის ლექსის იგავნი ამის

(მეორე რედაქცია) უცვლელად დაუტოვებია ვახტანგის ლექსები, პროზისათვის ხელი არ უხლია. მელიჯზად ბებუღოვს თითქოს გაუპარტივებია და შეუმოკლებია საბას ტექსტი. ნამდვილად კი იგი დაუმახინჯებია.

უკეთ ქართულად ვერ მოვიყვანე, თვარამ სპარსულში დიად გაწყობილია“.

„ქილილა და დამანა“ ვახტანგმა გადმოთარგმნა გადასახლებაში ყოფნის დროს, ქალაქ ქირმანში (1714—1716 წლები). სანამ მწიგნობარი სრულყოფდა თარგმანის ტექსტს, იგი დანიშნეს ქართლის მეფედ და ერანის სპასალარად, რის გამო ისპაჰანში გადავიდა და განაახლა პოლიტიკური საქმიანობა. „ქილილა და დამანა“ გაუმართავი და გაუწყობელი დაურჩა, გაუმართავი ტექსტი ვახტანგმა გამოუგზავნა ქართლში იმ ხანად ევროპიდან დაბრუნებულ სულხან-საბა ორბელიანს.

საქმის შემდეგი ვითარება მოთხრობილია საბას ანდერძში (თავის ჩვეულებისამებრ საბა მოგვითხრობს მესამე პირით): „ეს წიგნი... მეფესა ვახტანგს დიდის ჰირით ქართულად გამოელო... რა გაეთაებინა, ქართლში სულხან-საბა ორბელიანისათვის გამოგზავნა და მოუწერა მალალსა მდაბალი ბოდიშები, და ებრძანა: ეს ჩემი ჰირნახული გაჩალხე გემოანად, და სადაც ლექსები ჩართული იყოს, აგრეთვე ქართულად ლექსები ჩაურთეო.“

საბა საგანგებოდ აღნიშნავს რომ „ჩხუბიანი კაცების“ წყალობით მასა და ვახტანგს შორის მაშინ დიდი უთანხმოება („დიდი დახეთქილება“) ყოფილა ჩამოგდებული. ამისდა მიუხედავად საბას უკისრია მძიმე დავალების შესრულება („უარი აღარ იქნებოდა, თვარამ მონაზვნისაგან ამისთანა ამბავი უწესოა და ურიგო“).

სულხან-საბა ორბელიანს პრინციპულად უარუყვია ვახტანგ მეფის მიერ გამოყენებული სიტყვა-სიტყვით თარგმანის მეთოდი. იგი ამბობს: სხვას ენის წიგნი სხვას ენაზედ, თუ არ კაის მცოდინარისაგან, გამოთარგმნა ძნელია: ზოგან წინა უკან უნდა მოიყვანოს, და ზოგან ართრონი ან მოუმატოს, ან დააკლოს, თვარამ სწორად რე უგემური მოვა“.

საბას შეხედულების თანახმად, უცხოური ტექსტი უნდა თარგმნოს ისეთმა გამოცდილმა პირმა, რომელიც ზედმიწევნით ფლობს იმ ენას, საიდანაც თარგმნის და იმ ენასაც, რომელზედაც თარგმნის. საბას მოწმობით, ვახტანგმა „თვითან ზედმიწევნით სპარსული არ იცოდა, და მთარგმნელებიც თავის გუნებისა ვერ ეშოვნა“. ამიტომაც ტექსტი „მირევ-მორევეთ გარდმოეთარგმნათ“. „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეულ თარგმანს საბა უწოდებს „სწორადრე“ ანუ სიტყვასიტყვითს, „უგემურს“ და „მირევმორევეთ“ თარგმანს.

ანდერძში გამოთქმული მოსაზრების შესაბამისად, სულხან-საბა ორბელიანს ძირფესვიანად გადაუმუშავებია „გასაჩალხავად“

მიღებული ტექსტი, თავიდან ბოლომდე გაუტარებია სარედაქციო ქარცეცხლში“ (ყ. კეკელიძე).

ვახტანგისეული და საბასეული ტექსტების შეპირისპირება ცხადყოფს, რომ ვახტანგის თარგმანი წარმოადგენს სიტყვასიტყვითს პწკარედს.

ამ პწკარედის საფუძველზე საბას შეუქმნია ნამდვილი ლიტერატურული შედევრი. სპარსული კონსტრუქციის მქონე და უხეში ლექსიკური ბარბაროზებით სავსე პწკარედის ტექსტები საბას გაუმართავს საუცხოო ქართული მწიგნობრული ენით, ამოუკვეთია დედნის ტავტოლოგიური განმეორებანი, აუცილებია მრავალსიტყვაობა, მკაფიოდ, სხარტად გადმოუცია დედნისეული ფრაზების აზრობრივ-შინაარსობრივი ყოველი დეტალი. საბასეული ტექსტის ფრაზეოლოგიას, ლექსიკას და მთელ ენობრივ-სტილურ ინვენტარს ამშვენებს ეროვნული, ქართული იერი. ასეა დამუშავებული „ქილილა და დამანას“ მთელი ტექსტი. ამას ისიც უნდა დავძინოთ, რომ საბა ორბელიანს თხზულება გაუჩაღბავს ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის თვალსაზრისით, აქა-იქ საკუთარი ზნეობრივი შეგონებანიც დაურთავს იგავ-არაკებისათვის. შეინიშნება არსებითი ხასიათის ზოგიერთი სხვა თავისებურებაც.

კიდევ უფრო მეტი თავისუფლება გამოუჩენია საბა ორბელიანს „ქილილა და დამანას“ პოეტური ნაწილის დამუშავებისას. იგავ-არაკთა ეს უზარმაზარი კრებული საბას გაუწყვია (გაულექსავს) „ქართული რიგის“ მიხედვით.

ერთი სიტყვით, სულხან-საბა ორბელიანმა შექმნა — „ქილილა და დამანას“ ლიტერატურულად სრულყოფილი ტექსტი. რა თქმა უნდა, საბას ღვაწლი სცილდება ჩვეულებრივი რედაქტორული საქმიანობის ფარგლებს. საბას შემოქმედებითად გადაუმუშავებია ვახტანგის პწკარედი, არსებითად გარდაუქმნია იგი და დამოუკიდებელი ლიტერატურული ნაწარმოების ხასიათი მიუცია ნათარგმნი ძეგლისათვის. სულხან-საბა ორბელიანს ვერ ჩავთვლით „ქილილა და დამანას“ მარტოოდენ რედაქტორად, იგი ამ ძეგლის ქართული რედაქციის ერთგვარი დამოუკიდებელი ავტორია.

„ქილილა და დამანას“ გადამუშავებული ტექსტი სულხან-საბა ორბელიანმა ვახტანგს წარუდგინა. ვახტანგმა მოიწონა საბას ნამუშევარი. მეფის ბრძანების თანახმად მომზადდა „ქილილა და დამანას“ კაიხელად გადაწერილი და საუცხოოდ დასურათებული ცალი, რომელიც ამ თხზულების ხელნაწერ გამოცემას წარმოადგენს (იგი მოღწეულია ჩვენ დრომდის). ამის შემდეგ ვახტანგის

დასტურის საფუძველზე საყოველთაოდ გავრცელდა „ქილილა და დამანას“ სწორედ საბასეული რედაქცია, თარგმანის პწკარედი კი შემონახულია უნიკალური ხელნაწერის სახით. მეცნიერული თვალსაზრისით დიდია პწკარედის მნიშვნელობა და სასურველია მისი გამოქვეყნება. „ქილილა და დამანას“ საბასეული რედაქცია ორჯერ გამოიცა ბექდურად (1886 და 1949 წლებში). ამჟამად „საბჭოთა საქართველო სცემს ამ რედაქციის მეცნიერულ-კულტურულად დადგენილ სრულ ტექსტს. გამოცემის სატიტულო ფურცელზე აღინიშნება, რომ ტექსტის თარგმანი ეკუთვნის ვახტანგ მეექვსეს, ხოლო ლიტერატურული რედაქციის ავტორია სულხან-საბა ორბელიანი.

ეს წერილი გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“ (1961, № 11, გვ. 180—181). წერილს ახლავს შემდეგი სარედაქციო შენიშვნა: „ჟურნალ „მნათობის“ 1961 წლის № 3 გამოქვეყნდა ვ. გაბესკირიას წერილი „ქილილა და დამანას“ გარშემო. წერილმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა და „ლიტერატურული გაზეთის ფურცლებზე გაიშალა საინტერესო კამათი.

ამ კამათს ჰქონდა გარკვეული დადებითი მნიშვნელობა.

რედაქციას საკითხის მართებულ გადაწყვეტად მიანიშნა საბა-სულხან ორბელიანის თხზულებათა სრული კრებულის რედაქტორის აკად. ა. ბარამიძის განცხადება იმის შესახებ, რომ ამჟამად „საბჭოთა საქართველო“ სცემს ამ რედაქციის მეცნიერულ-კრიტიკულად დადგენილ სრულ ტექსტს. გამოცემის სატიტულო ფურცელზე აღინიშნება, რომ ტექსტის თარგმანი ეკუთვნის ვახტანგ მეექვსეს, ხოლო ლიტერატურული რედაქციის ავტორია სულხან-საბა ორბელიანი.

რედაქცია ამით კამათს ამოწურულად თვლის*.

4. ისევ ქილილა და დამანას გარშემო*

„ლიტერატურულ გაზეთში“ (28. IV. 61) დაიბეჭდა სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ოთხტომეულის სარედაქციო კოლეგიის განმარტება „მნათობისა“ და „დროშის“ მიერ გამოქვეყნებული წერილების გამო. ამას მოჰყვა ვ. გაბესკირიას პასუხი იმავე გაზეთის ფურცლებზე (5. V. 61). სარედაქციო კოლეგიის წევრები აცხადებენო, წერს ვ. გაბესკირია, თითქოს ჩვენ არასწორად ვაშუქებთ „ქილილა და დამანას“ ქართულად თარგმანის საკითხს და სხვა საკითხებშიც არასწორს გზას ვადგივართ. სამწუხაროდ,

* ეს ნარკვევი დაიწერა და გამოქვეყნდა ელ. მეტრეველის და ალ. გვახარიათან ერთად (იხ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სმგ მოამბე), 1962 № 1, გვ. 306—328.

ამას აცხადებენ, დამტკიცებით კი არ ამტკიცებენ. დაუსაბუთებელი განცხადებაა კი, როგორც ყველას კარგად მოგვესხენება, ვერასოდეს სასურველ შედეგს ვერ აღწევს“. თავის მხრივ ვ. გაბესკირია გვაუწყებს. რომ სარედაქციო კოლეგიის განცხადების შემდეგ ჩვენ უფრო მტკიცედ ვდგავართ ჩვენს თვალსაზრისზეო.

ის საბუთები, რომლებსაც ვ. გაბესკირია თხოულობს, ცნობილი არის სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურით. აჯობებდა, პატივცემული კრიტიკოსი ამ ლიტერატურას მანამ გაცნობოდა, სანამ თავის წერილს გამოაქვეყნებდა „მნათობში“. ეტყობა, მას ახლა უძლია ხარზევის შევსება, მკითხველებს ეფიციება, კარგად ვერკევი „ქილილა და დამანას“ საკითხებშიო, საილუსტრაციოდ გადმოსცემს ვახტანგის ანდერძის შინაარსს და კითხულობს: „რა არის აქ გასაშუქებელი? ყველაფერი ისე გარკვეულად ჩანს, როგორც ხელის გულზე დაწყობილი კენჭები“. მკითხველებს მოვაგონებთ, რომ ძველი ქართული მწერლობის მსცოვანი ისტორიკოსი კ. კეკელიძე ასე იწყებს „ქილილა და დამანას“ განხილვას: „ქართულ ენაზე ნათარგმნ არც ერთ თხზულებას ისეთი რთული ისტორია არ აქვს, როგორც იგავ-არაკთა იმ კრებულს, რომელსაც „ქილილა და დამანას ეწოდება“. ვ. გაბესკირია რას დაგიდევთ კ. კეკელიძის მოსაზრებას. „ქილილა და დამანას“ საკითხებში იგი ავტორიტეტებად თვლის მხოლოდ ილია ოქრომჭედლიშვილს, დიმიტრი ბაქრაძეს და ილია ჭყონიას. სარედაქციო კოლეგიის მორიდებულ შენიშვნაზე „არ არის სწორი ვ. გაბესკირიას ვარაუდი, თითქოს „ქილილა და დამანას“ გამოცემული ტექსტის პროზა ეკუთვნის ვახტანგს, საბაძს კი — მხოლოდ ლექსებშიო“, ვ. გაბესკირია გაცხარებით იძლევა შემოკითხვითს პასუხს: „ეს ჩემი ვარაუდი რად არის?... ან სავარაუდო რა გეჭონდა, როდესაც ეს რომ ასე არის, მტკიცედ სწამდათ „ივერიის“ რეცენზენტებს — პროფესორ ილია ოქრომჭედლიშვილს, ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს, „ქილილა და დამანას“ პირველი გამოცემის რედაქტორს ილია ჭყონიას და თვით ვახტანგსა და საბაძს“.

ვახტანგისა და საბაძს საკითხს ქვემოთ განვიხილავთ. რაც შეეხება დასახელებულ სამ პირს, ჩვენ მათ დიდ პატივს ვცემთ და ვაფასებთ, მაგრამ ისინი უცოდველი პაპანი ხომ არ ყოფილან? გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში მათთვის მიუწვდომელი იყო რიგი ისეთი მასალა, რითაც ახლა ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ. დ. ბაქრაძე, მაგალითად, საოცნებოდ თვლიდა „ქილილა და დამა-

ნას“ შედარებას სპარსულ დედანთან, „საიღამაც, ვითომც როგორც ვახტანგი გვარწმუნებს იგი იყოს ნათარგმნი. საინტერესოა ვცნათ, რა ეკუთვნის აქ სპარსულს ორიგინალს და რა თვით ვახტანგს და იმის თანამშრომელს საბა ორბელიანს“.

როგორც მკითხველი ხედავს, დ. ბაქრაძე თითქმის საეგებიოდ თვლიდა „ქილილა და დამანას“ სპარსულიდან წარმოშობილობასაც კი. რა თქმა უნდა, მაშინ ძნელი იქნებოდა „ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიიდან ვახტანგისა და საბას წვლილის გამოყოფა.

დ. ბაქრაძის მოწოდების საპასუხოდ, ილია ოქრომჭედლიშვილს „ქილილა და დამანას“ „ქართული ტექსტი შეუდარებია „პანჩატანტრას“ ფრანგულ თარგმანთან. აბა, რა შედეგი უნდა გამოეღო ამ შედარებას? „პანჩატანტრა“ საერთოდ „ქილილა და დამანას“ შორეული წინაპარია, მაგრამ ქართული „ქილილა და დამანას“ დედანთან, ქაშიფის მიერ XV საუკუნეში შექმნილ „ანვარე სოჰაილისთან“ მას თითქმის აღარავითარი კავშირი არ აქვს. დიდო გულუბრყველობა იქნებოდა „პანჩატანტრას“ საშუალებით „ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიის¹ რაობის გარკვევაზე ფიქრი.

ილია ჭყონიამ მეტად სასარგებლო საქმე გააკეთა და მისი დეაწლი უდავოა. მაგრამ იგი არა თუ „ქილილა და დამანას“ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებში, მის ხელთ არსებული ხელნაწერების ავტორგანობაშიც ვერ ერკვეოდა და ტექსტი უხეშო შეცდომებით დაბეჭდა (სანიმუშო მაგალითებს დაინტერესებული მკითხველი იპოვის „ქილილა და დამანას“ მეორე გამოცემის შენიშვნებში, თბილისი, 1949, აღ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით).

ამრიგად, დ. ბაქრაძე, ი. ოქრომჭედლიშვილი და ი. ჭყონია ვერ გამოდგებიან „ქილილა და დამანას“ საკითხების მსაჯულად.

„ქილილა და დამანას“ შესწავლის საქმე საერთოდ მნიშვნელოვნად წასწია წინ პროფ. ე. თაყაიშვილმა. მაგრამ ვახტანგისა და საბას ურთიერთობის პრობლემა მან კიდევ უფრო გაართულა. ე. თაყაიშვილის მოსაზრებით, „ქილილა და დამანას“ გამოცემული ტექსტი უნდა წარმოადგენდეს სულხან-საბა ორბელიანის დამო-

¹ ე. გაბესკირია ვეთაუზობს ტერმინს ვარიანტი. ვარიანტები შეიძლება ჰქონდეს ვერსიების ნუსხებს. ცნობილია „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსიის ხელნაწერი ვარიანტები. უნიკალური ხელნაწერით შემონახულ ვახტანგისეულ ვერსიას, რასაკვირველია, ვარიანტი არ აქვს.

უკიდებელ თარგმანს სპარსული ენიდან, მასში წილი სრულიად არ უნდა ედოს ვახტანგს.

ვახტანგის ანდერძის გამო (რომლითაც, ვ. გაბესკირიძის სიტყვით, თითქო ყველაფერი ისე გარკვეულად ჩანს, როგორც ხელის გულზე დაწყობილი კენჭები) ე. თაყაიშვილი სულ საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს: «На ней нельзя составить понятия ни о характере труда Вахтанга ни Орбелиани». მართლაც-და ვახტანგის ანდერძის არსებობის მიუხედავად „ქილილა და დამანას“ ისტორიული-ლიტერატურული საკითხების სწორი გადაწყვეტა არ ხერხდებოდა. მკვლევართა ერთმა ჯგუფმა თუ გაიზიარა ე. თაყაიშვილის პიპოთეზა, იგი კატეგორიულად უარყვეს სხვებმა.

„ქილილა და დამანას“ ასე რთული და ბუნდოვანი ისტორიული-ლიტერატურული საკითხების გადაწყვეტა მოხერხდა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში. ამჟამად მკვლევართა განკარგულებაშია „ქილილა და დამანას“ რამდენიმე ქართული ვერსია ავტოგრაფული ხელნაწერებითაც კი. რაც მთავარია, აღმოჩნდა „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული თარგმანის ავტორიზებული ხელნაწერი დედანი, აღმოჩნდა საბასეული რედაქციის ავტოგრაფული ნუსხაც. განხორციელდა დ. ბაქრაძის ნატვრა: „ქილილა და დამანას“ ქართული ტექსტები რამდენჯერ შეუდარდა მათ სპარსულ ორიგინალს. ზუსტად გაირკვა ქართული ტექსტების სპარსულთან მიმართება, აგრეთვე ვახტანგისა და საბას წილი „ქილილა და დამანას“ ქართული რედაქციების შემუშავებაში², ახლა საკითხი იმდენად შესწავლილია, რომ თურმე გასაშუქებელი აღარაფერი დარჩენილა და „საყოველთაოდ ცნობილი“ გამხდარა დღემდის თავსამტკრევე ფაქტები. ამისდა მიუხედავად, ვ. გაბესკირია მაინც უკან გვეზიდება, გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებისკენ, უპრინციპოდ უპირისპირებს ერთმანეთს ძველი და ახალი თაობის მკვლევართ, იჩენს ქართული საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა სრულ შეუფასებლობას.

ჩვენი მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, რა რთული და დახლართული ისტორია ჰქონია ქართულ ნიადაგზე „ქილილა და დამანას“, გასა-

² პროფ. დ. კობიძე წერს: „ახლა, ჩვენი მეცნიერების ზრდისა და აყვავების პირობებში, გახდა შესაძლებელი „ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიების მეცნიერული შესწავლა... დღეს, შეიძლება ითქვას, საბოლოოდ გარკვეულია საბას როლი ამ „თხზულების ქართულად შემუშავების საქმეში“ („ქილილა და დამანას“, „მნათობი“, 1950, № 2, 168—169).

რკვევი და გასაშუქებელი ბევრი ყოფილა. საყურადღებო ისაა, რომ ვ. გაბესკირიას მოტანილი აქვს ვახტანგის ანდერძის ერთი ნაწილის შინაარსი იმის-საილუსტრაციოდ, რომ ყველაფერი ცხადზე უცხადესია და გასაშუქებელი თითქოს აღარაფერი დარჩენილა. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნათ, რომ ვ. გაბესკირიას ზერელედ და შეცდომებით აქვს გადმოცემული ვახტანგის ანდერძის შინაარსიც კი. მაგალითად, იგი გვიამბობს: „თურმე სპარსეთში ტყვეობაში მყოფს მეფეს რ ა მ დ ე ნ ი მ ე პირისათვის უთხოვნია (ამ მიზნით ერთ სპარსელს თ უ რ მ ე მ ე ფ ე ქ ა რ თ უ ლ ს ა ც ა ს წ ა ვ ლ ი დ ა) მისი ქართულად თარგმნა“. მოყვანულ ნაწყვეტში რამდენამე გაუგებრობაა. ჯერ ერთი, ვახტანგმა ზუსტად ორ პირს დააავალა „ქილილა და დამანას დავითისეული თარგმანის გასრულება და არა რ ა მ დ ე ნ ი მ ე ს. მეორეც, ვახტანგს უწერა: „ერთს სპარსსა, რომ მცარედ ქართული ენა და წიგნი ესწავლა, ამის შესრულება უთხარი“. ეს ნიშნავს, რომ ვახტანგს თარგმნა მიუხდეთა ქართული ენა და მწიგნობრობის მცარედ მცოდნე სპარსელისათვის. ე. თაყაიშვილის მონათხრობით, ვახტანგმა დავალება მისცა «одному персиянину, немного знающему по грузински». ვ. გაბესკირიას ვერ გაუგია ვახტანგის მარტავი ტექსტი, მას უფაქრია, თითქოს ვახტანგი იმ სპარსელს ქართულს ასწავლიდა („ამ მიზნით ერთ სპარსელს თურმე მეფე ქართულსაც ასწავლიდა“). მესამეც, ვახტანგი გარკვევით ამბობს, რომ უცნობი სპარსელი საქართველოში მუშაობდა, ვახტანგის გამგებლობის დროს. იმ უცნობმა სპარსელმა „თარგმნა იწყა.. და გასრულებამდის მეც ისპაანს წასვლა მომიხდა“ და იქ სხვა მთარგმნელის ძებნაო. მაშასადამე, „ქილილა და დამანას“ თარგმნა ვახტანგს წამოუწყია არა სპარსეთში, ტყვეობაში მყოფს, არამედ საქართველოში. აქვე მოლუწაობდა უცნობი სპარსელი.

მკითხველი ხედავს, რომ ვ. გაბესკირია ნებისით თუ უნებლიეთ ამბინიჭებს ვახტანგის ანდერძის შინაარსს, რადგანაც მას არ ესმის ტექსტით გამოხატული აზრი. ვ. გაბესკირია რომ „ქილილა და დამანას“ ენაში ვერ ერკვევა, ამის ერთ საგულისხმო მაგალითს აქვე მოვიტანთ. პატივცემულმა კრიტიკოსმა საბას მიერ გაწყობილი ერთ-ერთი ლექსი იმიტომაც დაიწუნა, რომ თურმე ჩვენს უკვდავ ლექსიკოგრაფს ქართული სიტყვა დაძვირებია, ნამდვილი შეცდომა მოსვლია. უაზრო გამოთქმა უხმარია. საკითხი შეეხება შემდეგ ტექსტს:

მორვე იგი ზღვათა ჰგავს მართოდენ ს ი ვ რ ე ს ი გ რ ძ ი ს ა,
თევზთა სიმრავლე მსუქანნი ნაწოენთა გვანან თხის რძისა.

საბასეული ტექსტი წარმოადგენს ვახტანგისეული პწკარედის თავისებურად გაწყობის ნაყოფს. აი პწკარედიც:

მორევია ერთი ზღვასავეითა,
ერთი ზღვა არის, რომ უთავბოლო.

ვ. გაბესკირია ვერაფერს პოეტურს ვერ ხედავს საბას ლექსის მეორე ტაეპში, ხოლო პირველი ტაეპი მიაჩნია დედნის „უმარტივესი ამბის“ („მახლობლად ერთი ვრცელი ტბა არისო“) გაღარბებად. გაღარბება კი გამოუწვევია შეცდომებს. ვ. გაბესკირია წერს: „შეცდომების შედეგად ლექსის გაღარბებას ვერ ასცდა (საბა) მხოლოდ იმის გამო, რომ არ იყო პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი“ („მნათობი“, 1961, № 3, გვ. 135). დასკვნა, მეტი რომ არ ვთქვათ, ნებისმიერია. ცნობილია, რომ შეცდომა უნიქოსაც მოსდის და ნიქიერსაც. მაინც რა შეცდომა მოსვლია საბას? ვ. გაბესკირია შემოკითხვის წესით განმარტავს: „როგორ შეიძლება პოეტურ ქმნილებად მივიჩნიოთ ის ლექსი, რომელშიაც ზღვას, ან, ვთქვათ, მინდორს სივრცე-სიგრძე აქვს? სივრცე ხომ სიგრძესაც შეიცავს და სიგანესაც? (ხაზი ჩვენია, ავტ.)“.

ვ. გაბესკირიას გულუბრყველო შემოკითხვა (და საბას ღიწმინდის დამამკირებელი დასკვნა) იმით არის გამოწვეული, რომ მას არ ესმის სიტყვა სივრცის მნიშვნელობა. ვ. გაბესკირია მსჯელობს ამ სიტყვის თანამედროვე გაგების ნიადაგზე. ძველი ქართულით კი სივრცის ძირითადი მნიშვნელობაა განი, სიგანე რუსულად широта, ширина³. საბას სივრცე-სიგრძე ნიშნავს სიგრძე-სიგანეს. თავისი სიგრძე-სიგანით მორევი ზღვას ჰგავდაო, ნათქვამია ტექსტში. რა არის აქ გაუგებარი? რით არის გაღარბებული საბას ლექსი? სად არის საბას შეცდომა? საყურადღებოა, რომ ანალოგიური შესატყეება აქვს ვახტანგსაც:

„ვიარე ყოველი ქვეყანა — სიგრძე და სივრცე, განი და“... იქნებ ვახტანგიც ცდებოდა და მას არ ესმოდა მოხმობილ სიტყვათა შინაარსი!

³ ეს განმარტება ვაუთენის ძველი ქართული ენის სპეციალისტს პრაფ. ივ. იმნაიშვილს. იმ მრავალ მაგალითთაგან, რომლებიც მან მოგვაწოდა, სანიმუშოდ მოვიყვანთ მხოლოდ ერთს „დაბადებაში“ (13, 17) იკითხება: „აღდეგ და მოვლე ქუეყანაო სიგრძეი და სივრცეი მისი“. რუსულს თარგმანით: „встѣни, пройди по земле сей в долготу и в широту ея“.

მკითხველი ხედავს, რომ ვ. გაბესკირია, რა თქმა უნდა, უნებ-ლიეთ, თავის საკუთარ შეცდომას საბას მიაწერს, გაუგებრობისა და შეცდომების საფუძველზე კი მას შორის მიმავალი დასკვნები გამოაქვს. საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ძველი ქართული ენის ცოდნის გარეშე გაჭირდებოდა „ქილილა და დამანას“ რთულ ენობრივსა და ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებში გარკვევა.

ვ. გაბესკირია ბეჭითად აცხადებს, რომ „ქილილა და დამანას“ ქართულ ენაზე ჩამოყალიბების „პროცესი მაშინ დამთავრდა, როდესაც ვახტანგ მეფემ „ქილილა და დამანას“ თარგმანი დაამთავრა და ზედ ბეჭედივით დაუსვა მეტად ლამაზი და ძლიერი ლექსი:

ეს წიგნი ბრქენთა ნათელი, სხივით და შუქით მზიანი,
ყურითა ტპილად სასმენი, სულით ვარდი და იანი,
მკითხველთა სარგო მრავალი. არათი არა ზიანი.
ჟწერ მეფე ვახტანგ ქართველთა, თესლ-ტომად დავითიანი.

ამ შემთხვევაშიაც ვ. გაბესკირია ამახინჯებს საქმის ფაქტობრივ მხარეს. ვახტანგის ანდერძი ახლავს პწკარედის იმ ტექსტს, რომელიც მომზადდა ქირმანში, საბას ევროპაში ყოფნის დროს. ევროპიდან დაბრუნებულ საბას ვახტანგმა ქართლში გამოუგზავნა „ქილილა და დამანას“ გასაჩაღბავად და გასაწყობად. მაშასადამე, ვახტანგით კი არ დამთავრდა, „ქილილა და დამანას“ ჩამოყალიბების პროცესი. არამედ ვახტანგის ანდერძის დაწერის შემდეგ დაიწყო იგავ-არაკთა ამ განთქმული კრებულის ჩამოყალიბების ახალი ეტაპი. სხვადასხვა მიზეზის გამო ვახტანგს გაუმართავი და გაუწყობელი დაურჩა თავისი „ნაჭირნახულევი“. სწავლულ მეფეს არ აკმაყოფილებდა თავისი ნაშრომი. მან სულხან-საბას თხოვა „გემოანად გაეჩაღბა“ და ლექსებით გაეწყო იგი. სულხან-საბამაც დავალება შეასრულა და ვახტანგს აახლა გაჩაღბული ტექსტი. ვახტანგმა მოიწონა ნამუშევარი. მისი განკარგულებით დამზადდა „ქილილა და დამანას“ კახელად გადაწერილი და საუცხოოდ დასურათებული პირი, რომელიც ხელნაწერ გამოცემას წარმოადგენს (ამ ხელნაწერმაც მოაღწია ჩვენ დრომდის). ვახტანგის დასტურით ამ დროიდან მოკიდებული საყოველთაოდ გავრცელდა და, ასე ვთქვათ, კანონიკური გახდა „ქილილა და დამანას“ სწორედ საბასეული ვერსია. ვახტანგის პწკარედი კი რჩება როგორც ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის თავისდათავად საყურადღებო ძეგლი. მეცნიერული თვალსაზრისით დიდია ამ ძეგლის მნიშვნელობა და სასურველია მისი გამოქვეყნება.

თავის საგაზეთო წერილის დასასრულში ვ. გაბესკირია ამბობს: „ვახტანგ — მრავალი საშვილიშვილო საქმის გამკეთებელს, ანდერძი კი არა, სიზმარიც უნდა დაეუჯეროთ“. ჩვენ არ ვიცით, რა სიზმარი ეზმანა ვ. გაბესკირიას. ვახტანგის საშვილიშვილო ღვაწლისა და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის საუკეთესო დაფასება კი ის იქნება, რომ სწორად გავიგოთ მისი ნაფიქრ-ნააზრევი, არ დაუშვამხინჯოთ ანდერძის შინაარსი და ის არ მივაწეროთ, რაც მას არ უფიქრია. საესებით სწორად მსჯელობს სარედაქციო კოლეგია: „არავის აზრად არ მოსვლია „ქილილა და დამანას“ გადმოქართულებაზე ვახტანგის ღვაწლის მიჩქმალვა. მაგრამ ასევე უმართებულო იქნებოდა სულხან-საბა ორბელიანის ამაგის შეუფასებლობაც“.

ვ. გაბესკირია ველარ გამორიცხავს სულხან-საბა ორბელიანის შესაძლებელ მონაწილეობას „ქილილა და დამანას“ პროზის გამართვაზე. ის წერს: „საბა როგორც დიდად ნიჭიერი და დახვეწილი გემოვნების მქონე მწერალი, დიდ ამაგს დასდებდა ვახტანგ მეფის თარგმანს, მაგრამ ამის გამო განა შეიძლება თვით მთარგმნელის იგნორირება?“ რა თქმა უნდა, მთარგმნელის იგნორირება არ შეიძლება. მაგრამ ვახტანგისა და საბას ურთიერთობის მხრივ ვ. გაბესკირია დაახლოებით ისეთივე სარედაქციო მუშაობას გულისხმობს, დღეს რომ აქვს ადგილი. ამიტომაც, რომ ის გამომწვევი კილოთი კითხულობს: „განა დასაჯერებელია, რომ საბა ვახტანგ მეფის ნაშრომში... ვახტანგთან შეუთანხმებლად შეიტანდა შესწორებებს? მისი რჩევა-დარიგებით არ იხელმძღვანელებდა?“ ამ შემოკითხვას უძღვის ავტორის შემდეგი მსჯელობა: „რედაქტორი შესწორებებს, პირველ რიგში, ავტორის ესთეტიკურ გემოვნებას უფარდებს, ავტორის შემოქმედებითი პრინციპებით ხელმძღვანელობს, მას მორჩილებს“.

ვ. გაბესკირიას მთელი ეს მსჯელობა საკითხის უცოდინარობით აიხსნება (ის არ იცნობს, ან ცუდად, ზედპირულად იცნობს საგნის ლიტერატურას). საქმეც ისაა, რომ ვახტანგის ნაშრომში (ვახტანგის პწკარედში) შესწორებები და საფუძვლიანი შესწორებები საბამ შეიტანა სწორედ ვახტანგთან შეუთანხმებლად (ან კი სად ჰქონდა ამ შეთანხმების საშუალება, მას ხომ სპარსეთიდან მოუვიდა ეს დაკვეთა!). მეტიც, საბას მთარგმნელობითი მეთოდი პრინციპულად განსხვავდება ვახტანგის მეთოდისაგან. ვ. გაბესკირია რატომღაც გვერდს უვლის საბას მხრივ ვახტანგის ნაშრომის მიმართ თუმცა საკმაოდ მკაცრ, მაგრამ საერ-

თოდ სამართლიან შეფასებას: „ამისთვის მრავალს გარჯილიყო და დიდის კირით ქართულად გამოელო. და თვითან ზედმიწევნით სპარსული არ იცოდა, და მთარგმნელებიც თავის გუნებისა ვერ იშოვნა, და მიჩვე-მორევით გარდმოეთარგმნათ. სხვას ენის წიგნი სხვას ენაზედ, თუ არ კაის მცოდინარი-საგან, გამოთარგმნა ძნელია: ზოგან წინა უკან უნდა მოიყვანოს, და ზოგან ართრონი ან მოუმატოს, ან დააკლოს, თვარა მსწორად ისე უგემური მოვა“. ამგზობის ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ საბა პრინციპულად უარყოფს სწორად, ესე იგი პირდაპირ, სიტყვა-სიტყვითს თარგმანს. მისი აზრით, ტექსტი უნდა ითარგმნოს თავისუფლად, ქართული ენის ნორმებისა და ბუნებრივი თხრობის გათვალისწინებით. სიტყვასიტყვითი, „სწორი“ თარგმანი, საბას რწმენით, „უგემური“ გამოვა. საბას დახასიათებით, ასეთი „უგემური“ ყოფილა მისთვის „გასაჩალხავად“ გამოგზავნილი ტექსტი. ამ ტექსტის „გემონად“ გაჩალხვას თხოვდა ვახტანგი საბას. მთარგმნელი ანდერძიც საგანგებოდ აცხადებდა: „თუმცა ვინმე უკეთ იტყვიო, არ გიშლი, და კარგსა იქთო“.

თავისი შეხედულებების თანახმად საბამ თავიდან ბოლომდე საფუძვლიანად გადაამუშავა მთელი თხზულება. მას გაუჩალხავი არ დარჩენია თითქმის არც ერთი აბზაცი, ფრაზა, გამოთქმა (საბას მხოლოდ ძალიან იშვიათად აქვს უცვლელად დატოვებული ვახტანგისეული პწკარედის ტექსტი). ვ. გაბესკირია ითხოვს საბუთებს. ჩვენც მკითხველს გაეაცნობთ ზოგიერთ სანიმუშო საბუთს⁴.

ჯერ მოვიყვანთ მარტივი ფრაზების პარალელურ ნიმუშებს:

- | | |
|--|--|
| 1. ხელმწიფეთა მისი ბრძანების ზინფუში მხარზე აელოთ. | ხელმწიფეთა აღვირი: პირსა აედვა ბრძოლათა შინა ჩემად დარად მას გუმა უთქვასო. |
| 2. ჩემთან ომის დღეს ვატოლებამ მის გუნებაში ილაგი ქნას. | თვისისა საქმისა რამე შეიგნო. |
| 3. თავის. საქმის სახე იცნა. | გალიათა დილეგთა შეაიწყველია. |
| 4. ყაფასის ჭინჯილხანაში დაატყვევა. | მეფეთა მკმუნე ვარედისუთქმა. |
| 5. ხელმწიფეთ ერთი ახისავსეს კმუნვისაგან გამოსწია. | |

⁴ ამის თაობაზე იხ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, 1945; ელ. მეტრეველი. ალ. გვახარია, სულხან-საბა ორბელიანის მთარგმნელობითი მეთოდის შესწავლისათვის („ქილილა და დამანას“ პროზის მაგალითზე), მეცნიერებათა აკადემიის საი-

6. ამაში მწყურვალობის ცეცხლმა რსაქმა და მწყურვალება მას გამოაჩინდა,

7. ძმობის წესი ალაგს მოიყვანო.

8. თავის ნათესავი იმ სიკეთითა და სიმსუქნით დაინახა.

9. კარგი და მხიარული.

10. დაცემითა და დავარდნით, ხან აღგომით.

მეფეს წყურვილისა ცეცხლი მოემატა.

ძმობის მცნება აღასრულო.

თავისი ნათესავი ეგრე გაპოხებული ნახა.

ფრიად შეენიერი.

ლონდლიით.

(ვახტანგის პწკარედი)

(საბას რედაქცია)

ნებისმიერად აღებული ეს ტიპიური მაგალითები ნათლად ცხადყოფს ვახტანგისა და საბას ტექსტების ურთიერთ მიმართებას: ვახტანგის ტექსტი უბრალო სიტყვასიტყვითი პწკარედია. საბას რედაქცია კი ნამდვილი მხატვრული თარგმანის ნიმუში. უხეში ბარბაროზმებით სავსე და სპარსული კონსტრუქციის მქონე პწკარედები საბას საუცხოო ქართული ლიტერატურული ენით გაუმართავს და ფრაზებისათვის ეროვნული კოლორი მიუცია. საბას ამოუყვეთია დედნის ტავტოლოგიური განმეორებანი, თავი დაუღწევია მრავალსიტყვაობისათვის; მოკლედ, მკაფიოდ და სხარტად გადმოუცია დედნის ტექსტების აზრობრივ-შინაარსობრივი მხარეები.

ზოგიერთი აქ წარმოდგენილი ნიმუშის გამო სამართლიანად ამბობს პროფ. ა. გაწერელია, რომ მხოლოდ საბასთან არის მიღწეული „ქართული ფრაზის კოლორიტულობა, ლექსიკური სისუფთავე — ყველაფერი ის, რაც აკლია ვახტანგის თარგმანს“⁵.

ახლა ვაჩვენებთ უფრო მოზრდილი ნაწყვეტების ნიმუშებსაც (მაგალითები აქაც ნებისმიერად არის აღებული).

აქალის ყასიდი ანაზღად მოვა, უკუბრუნება მობარებულის სულის და მორჩენა დრო და უამის განწესებისაგან არ იქნება.

ს ი კ ე დ ი ლ ი ს მ ა ნ დ ა ტ უ რ ი ს ი მოსვლა უცნაური და ანაზღად მომიგაღია, და მისი გარეშექცევა და სულისა წამსაცა შინა დაყოვნების დროება და ეამერთ დაცაღება აღარ მოხდებო.

(ვახტანგი)

(საბა)

საბა, როგორც წესი, მთელი უზარმაზარი ტექსტის მანძილზე, რამდენადაც შეუძლია, ზუსტად უფარდებს სპარსულ ლექსიკას

ლეო კრებული, 1959; მ. თ. ო. უ. ა. „ქილილა და დამანას“ დავითისეული თარგმანი, უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული, 1959.

⁵ ნარკვევები, 1932, გვ. 71.

ქართულ შესატყვისებს: აჯალის ყასიდი სიკვდილის მანდატური. სხვა შემთხვევაში შესაფერისადვე ფეშიმანი — გარდასახადი, შარბათხანა — საწამლოთა სახელი, ზეიდი — მარტომყოფი, პილაპილი — ასპიტის გესლი, მათაბი — საწოლი, მაყსუდი — სასურველი და ა. შ.

ვინც ბედნიერების შეიდანში ცდის დროშა ამართოს, უნდა გაისარჯოს. მოსვენების შევებისაგან ხელი აიღოს. მალე თავის საწადელი აღუსრულდების. მაყსუდის პირს საწადლის თვალთ დაინახავს.

(ვახტანგი)

ვისცა გამარჯვების ასპარეზთა შინა საწადლის დროშისა გაშლა უნდა, მართებს დიდად გაისარჯოს და განსვენებისა და შევებისაგან ხელი აიღოს, და თავისი საწადელი მალე აღუსრულდების, სასურველის პირს სიხარულის თვალთ დაინახავს.

(საბა)

განა შინაარსის გარდა რაიმე აქვთ საერთო ამ ორ ტექსტს? ან განა საკამათოა, რომ „ქილილა და დამანას“ გაცილებით უფრო შესატყვისება საბას მკვერმეტყველება, ვიდრე სილარიბემდე დასული ვახტანგის პუკარედული სიმარტივე (შდრ. თუნდაც დასაწყისი ფრაზისა: „ვინც ბედნიერების შეიდანში ცდის დროშა ამართოს, უნდა გაისარჯოს...“ და — „ვისაც გამარჯვების ასპარეზთა შინა საწადლის დროშისა გაშლა უნდა, მართებს დიდად გაისარჯოს..“). მერე და შეიძლება აქ მხოლოდ რედაქტირება დაეინახოთ? განა გვაქვს მორალური ან იურიდიული უფლება საბას რედაქციის შესახებ ვთქვათ, პროზა ვახტანგს ეკუთვნისო?

შეწუხებისაგან სული საყელო დაიჭირა. ამთონი თავი მიწას ახალა, რომ ტვინი დაანთხია; ხორბლის ჩავრისა და გატულებისათვის სიკვდილის ორვეის მიწაში ჩავეარდა.

(ვახტანგი)

მეტის დაღონებისა და შეჭირვებისაგან სული ყიათა მოადგა. ესოდენ მიწათა თავი აწყვიტა. ტვინი ზედ დაანთხია, და ზრუნვისა აღბორჯებითა სიკვდილის ფონში დაიღუპა, და მიწათა გაერიო.

(საბა)

ჯერ ერთი, აქ სპარსული იდიომი (სულის საყელო დაიჭირა). შეცვლილია მსგავსი შინაარსის ქართული თქმით (სული ყიათა მოადგა). მეორეც, სტილისტურად და აზრობრივად გაიმართა ფრაზის დასასრული: საბამ, ჩანს, ვერ მიიჩნია შესაძლებელად მორევის მიწაში ჩავეარდა და ეს სახე ორად გაპყო.

ვ. გაბესკირიას ვერ წარმოუდგენია, რომ შეიძლება შეცდეს, მოეწონოს მხატვრული სახე, რომელიც ვახტანგის პუკარედს არ უკავშირდება და, მაშასადამე, არც დედნიდან მოდის. საბა თუმცა

ზუსტად იცავს შინაარსობრივ მომენტს. მაგრამ ბრმად არ მისდევს მასალას:

ქვეყანა ერთი დედაკაცია მატყუარა და ლამაზი, და მრავალი კაცი თავის საგდებლის ნადირად გაუხლია. ერთი ძლიერი პერია, რომ მრავალი გმირი ბეჯი ანსავით ჭირის ორმოს ძირს ჩაუგლია.
(ვახტანგი)

ქვეყანა ერთი როსკიპი დიაცია, სანახავად ყველა, რომელსა თვისის საგდებლით მრავალი კაცი მოუნადირებია, სიმფსონ ძლიერი თვალდამბრმალი საჭიროს მფქველად დაუყენებით.
(საბა)

ბიბლიური სამსონი ხომ ცბიერ დალილას წყალობით დააბრმავეს და „ფქვიდა იგი სახლსა შინა საპყრობილისასა“ (მსაჯულთა. 21). ეს სახე არაფრით არ ჩამოუფარდება „შაჰნამეს“ ბეჟანს. ვფიქრობთ, უფრო შესაფერისიც არის, რადგან ზემოთ საწუთრო სწორედ მაცდურ ქალთანაა შედარებული.

მ. თოდუას ზემოდასახელებულ წერილში მოჰყავს ისეთი შემთხვევები, როდესაც ვახტანგს კარგად ვერ გაუგია ორიგინალი და პწკარედი ბუნდოვანი გამოსვლია. საბა იშვიათის ინტუიციით ახერხებს გამოსავლის პოვნას და ამასთან მისი თარგმანი არ სცილდება დედანს აზრობრივად:

თვალის სიშავე იმიტომ გათეთრებულა, რომ კარიდამ ფეხს არ გამოსდგამს და ცრემლი მისთვის ფეხის სალახავად შეიქნება. რომ თავის ადგილს არ დადგება.
(ვახტანგი)

თვალის ბაია ამისთვის მხედველი არის, კარიდამ გარეთ ფერხს არ გამოსდგამს და ცრემლი ამისთვის ფერხთ სალახავი შეიქნია, რადგან თავის ადგილს არ დადგება.
(საბა)

რას ნიშნავს ვახტანგისეული თვალის სიშავე და მისი გათეთრება? ორიგინალშია: „თვალი იმიტომაა აღზევებული, რომ თავისი სახლის სენაკიდან გარეთ ფეხს არ ჰყოფს და ცრემლის წვეთები იმიტომ ისრისება, რომ თავისი სახლის კუთხეში არ ჩერდება“. საბამ ამ შეუსაბამობას გვერდი აუარა.

ჩემი საწადელი ეს არის, ხელმწიფემ ჩემს ხორცს მხიარულობით და განცხრომით თავის კბილს ქვეშ ალაგი მისცეს. მათ სხვათ ამხანაგთ უთხრეს: ეგ სიტყვა ერთგულობის გზით მოახსენე. მაგრამ შენი ხორცი ზუნავის აშშლელია და მაწყინარი და მოუნელგებელია. ჰილაპილის შხამისაგანც უარესია, მგელმა ფეხი უკუდგა. ყელბტყელმა აქლემმა ამყობის აღვი-

ჩემი საწადელი ესე არს, ზხელმწიფემ ჩემს ხორცთა ზედა მხიარულად და განცხრომით თვისი კბილი გაძრასო. მათ სხვა ამხანაგთ თქვეს: — ეგ მოხსენება ერთგულობის გზაა, მაგრამ შენი ხორცი ზუნავისა აშშლელია და მაწყინარი და მოუნელგებელი და ასპიტისა გველისაგანცა უძნელესიო. და მგელმან ფერხი უკურეღა. ყელგრძელმან აქლემმა თავხედო-

რი გაწყვიტა და სიტყვა დაიწყო და ლოცვის რიგის უკან თქვა...

(ვახტანგი)

ორივე იმ ხის ძირს მოვიდნენ, რამთონიცი ეძებეს, ველარა იპოვეს რა. მან ჰკვიანმან ხელი ზურმადილს საყელოში ჩაუგდო. უთხრა: ეს თეთრი შენ ამოგიღიაო, შენს მეტმა ეს არავინ არ იცოდაო.

საბრალო ბრიყვმა ამხანაგმა რამთონიცი შეფიცა, არ დაუჭერა.

ამაში მათი საქმე შუღლსა და ლაპარაკსა და ყაზთან მისვლაზე მიხდა. ამ საქმით ჩხუბი შერიგებაზე მოიმართა. ჰკვიანმა ამხანაგმა ის თავის ამხანაგი ყაზთან მოიყვანა. იმ ამხანაგს დაეა უყო. სიტყვის იგავინი და ამ საქმის ამბავი ყაზის ყურს მოასმინა. ხორამილი (!) აშმაზე დადგა.

(ვახტანგი)

ამ ნაწყვეტში ვახტანგის მიერ სიტყვასიტყვით ნათარგმნი სპარსული იდიომები საბას შეუტყვლია შესაფერისი ქართული გამოთქმებით. „ხელი საყელოში ჩაუგდო“, იკითხება პწკარედში, საბა ასწორებს: „ხელით საყელოს სტაცა“. უცხოურად გამოიყურება გამოთქმები: „საქმე ყაზთან... მისვლაზე მიხდა“, „ჩხუბი შერიგებზე მოიმართა?“, „დაეა უყო“... ამის მომცველი მთელი ტექსტი საბას გადაუხალისებია, ამოუკვეთია სპარსიზმები, დაურღვევია დედნის ფრაზეოლოგიური წყობა. ტექსტში ჩაურთავს დიალოგი (დამახასიათებელი ქართული გამოთქმით: ვაჟო...), დაუზოგავს სიტყვები, თხრობა ბუნებრივად წარუმართავს. პწკარედის ბუნდოვანი და გაუგებარი „აშმაზე დადგა“ საბას გადმოცემული აქვს შესაფერისად სპეციფიკური ქართული გამოთქმით „ივარძმა“. შინაარსის კვლობაზე საბას შეუტყვლია პერსონაჟის შერქმეული სახელწოდებაც კი: ჰკვიანი — მზაკვარი (მართლაც-და, ეს პერსონაჟი თავის ჰკუას მზაკვრული მიზნებისათვის იყენებდა და მას შეჰფეროდა საბას მიერ დანათლული სახელი). უცხოური ყაზის სახელად საბას მოუხმია მისი შესატყვისი ქართული ტერმინი — ბრჰე. ასე და ამგვარად საბას მიერ გადამუშავებულ მთელ ნაწყვეტს ამკობს მშობლიური ენის ლექსიკა. სხარტი გამოთქმები და ბუნებრივი სიტყვიერი წყობა.

კიდევ ბევრი სხვა მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ სურათი ისედაც ნათელია. ანალოგიურია ვითარება იმ მაგალითების მიმართაც, რომლებსაც მოუხიბლავს ვ. გაბესკირია. საილუსტრაციოდ აქედან ვაჩვენებთ ყველაზე უფრო ვრცელ ნაწყვეტს:

ერთი სხვა ხასა ჰყავდა ხელმწიფეს, ბაზმაფრუმ ერქვა სახელად. ერთი სახე ჰქონდა, რომ ქვეყნის მნათობი მზე მისის სირცხვილით პირს ფარდაში იფარებდა. სველი ვარდის ფურცელი მიხვან უკუწბილებული მწვანეს ზურმუხტის ფარდაში იმალებოდა.

სხვა ერთი ხარჭა ჰყვა მეფესა, სახელად ბაზმაფრუმ ეწოდა. შეენიერი. მწყაზარი, ქვეყნისა მანათობელი. მზეს მისის სირცხვილითა პირსა საბურველი ჩამოეფარებინა და ცუარიანი ვარდის ფურცელი, მისვან გამკრთალი, ზურმუხტის ტევრთა შინა იმალებოდა.

(ვახტანგი)

(საბა)

საბას მოხდენილად დაუხვეწია და გაუმართავს ვახტანგის პწკარედი თარგმანი. ვულგარული ხასა შეუცვლია მწიგნობრული სიტყვით ხარჭა. პწკარედში ხარჭის აღწერილობა გადმოცემულია სპარსული კონსტრუქციის ფრაზით: „ერთი სახე ჰქონდა, რომ ქვეყნის მნათობი მზე მისის სირცხვილით პირს ფარდაში იფარებდა“. ეს ფრაზა საბას ორ ნაწილად გაუყვია: ზოგადი „ერთი სახე ჰქონდას“ სანაცვლოდ მას მოუტანია დედნისათვის. უცნობი ეპითეტები — შეენიერი, მწყაზარი. ცალკე ეპითეტად გამოუყვია ქვეყნის მანათობელი. ფრაზის მეორე ნაწილი საუცხოო ქართულით გაუმართავს: „მზეს მისის სირცხვილითა პირსა საბურველი ჩამოეფარებინა“. „სველი ვარდის ფურცელი“ საბას უფრო ბუნებრივი მხატვრული სახით აქვს გადმოცემული „ცუარიანი ვარდის ფურცელი“. პწკარედში ტავტოლოგიურად გამეორებულია ერთი და იგივე სახე-გამოთქმა: „პირს ფარდაში იფარავდა“ (მზე) და „მწვანეს ზურმუხტის ფარდაში იმალებოდა“. საბას აქაც საუკეთესო გამოსავალი უპოვია, პწკარედის სახე რადიკალურად გარდაუქმნია: ზურმუხტის ფარდა — ზურმუხტის ტევრი. ამით მხატვრული სახე უფრო გამდიდრებულა და მთელი ფრაზა ენაწყლიანი და მაღალფარდოვანი გამხდარა, თუმცა ზურმუხტის განმსაზღვრელი ზედმეტი ეპითეტი მწვანე აქ სრულიად ამოკვეთილია (ზურმუხტი თავისთავად გულისხმობს მწვანე ფერს). დამალვაც ტევრში (ხშირ ტყეში) უფრო ბუნებრივია, ვიდრე ფარდაში.

ასე და ამგვარად მთელი ეს ნაწყვეტი საბას ისე „გემონად“ გაუჩაღხავს, რომ პოეტი ვ. გაბესკირიაც მოუხიბლავს, ოღონდ

2. გაბესკირიას ნაწყვეტის მხატვრული ღირსებანი შეცდომით ვახტანგისათვის მიუწერია.

ზოგჯერ საბა არა მარტო ენობრივ-სტილისტიკურად ჩალხავს პუკარედის ტექსტს, არამედ იგი არსებითად უცვლის დედანს იდეურ სარჩულს და შინაარსობრივ მოტივს. საბას გაუნეიტრალეობა „ქილილა და დამანას“ აშკარა მუსლიმანურ-აღმსარებლობითი ტენდენციები და ზომიერი ფორმებით თხზულებაში შეუტანია ქრისტიანული სარწმუნოებრივი სულისკვეთების ელემენტები. ამას საბა არც მალავს და ერთგან საგანგებოდ შენიშნავს: „სადაც რკულის წინააღმდეგ ჩნდა, ცოტა რამ ჩალხი ვკარო“.

მოყვანილ მაგალითებს ვიკმარებთ. სრულიად აშკარაა, რომ სულხან-საბა ორბელიანს გარდაუქმნია ვახტანგის პუკარედი და ტექსტის სრულიად ახალი რედაქცია მოუცია. ამას ვუწოდებთ ჩვენ „ქილილა და დამანას“ ქართული თარგმანის საბასეულ რედაქციას. „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული თარგმანი საბას რედაქციასთან შეპირისპირებით ფასდება პუკარედულ თარგმანად. თვითონ ვახტანგს, რასაკვირველია, მიზნად ჰქონდა დასახული მხატვრული თარგმანის გამზადება. მაგრამ სწავლულმა მეფემ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს ვერ შეძლო. ამიტომაც, რომ თავისი „ნაქირნახულევის“ გადამუშავება საბას მიანდო. ხოლო გადამუშავებული რედაქცია (ე. ი. საბასეული რედაქცია) უყოყმანოდ ჩათვალა ერთადერთ თარგმანად, რომლის მიტანა მკითხველთან შესაძლებელი იყო. თავის მხრივ საბა საერთოდ სწორად ჩასწვდა ვახტანგის თარგმანის ნაკლს და ამ ნაკლის მიზეზს. საბას აზრით, ქართული ენის ბუნების გაუთვალისწინებლად და სიტყვისიტყვივით ვახტანგი იმიტომ თარგმნიდა სპარსულ ტექსტს, რომ ზედმიწევნით არ იცოდნო სპარსული ენა. ერთი შეხედვით ეს პარადოქსული დებულება მეტყველებს საბას დიდ დაკვირვებაზე და მხატვრული ენის ბუნებისა და თავისებურების ღრმა ცოდნაზე.

ქაშიფისეული „ქილილა და დამანას“ ანუ „ანვარე სოჰაილი“ უაღრესად რთული, ხელოვნური და დელარჰნილი ენით არის დაწერილი. ცნობილი რუსი ირანისტის პროფ. ბერტელსის სიტყვივით «Анвары Сухайли... цветиста и вычурна до последней степени, запутанные периоды, пересипанные стихами разных авторов, арабскими поговорками, цитатами из Корана и т. д., могут довести до отчаяния самого терпеливого читателя, ибо бездна заключенных в ней премудростей и ученых намеков не может быть поня-

та без обширного комментария». ამ მეტად რთული და ხელოვნური სახეებით დატვირთული სპარსული ტექსტის მთარგმნელი უწინარეს ყოვლისა ტექსტის შინაარსსა და მხატვრული სახეების ზუსტ აზრს უნდა ჩაწვდომოდა. ვახტანგს უჭირდა სპარსული იდიომებისა და რთული, ხელოვნური სახეების აღქმა. დედნისეულ სახეს ის თარგმნიდა არა როგორც მტკიცედ შეკრულ ერთეულს, არამედ გვაწვდიდა სიტყვებად დაშლილ ზუსტ პწკარედს. ეს სიზუსტე ხშირად იქამდის, მიდიოდა, რომ ვახტანგს, ქართულში გადმოჰქონდა სპარსული წინადადების სიტყვათა თანამიმდევრობა, რაც სრულიად არაბუნებრივი გამოდიოდა ქართულისათვის. მხატვრულ მთლიანობას მოკლებული ეს დაშლილი სახეები მეტად ძნელი გასაგებია. საბაძე განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. იგი „ქილილა და დამანას“ სამყაროსთან მიდიოდა არა უშუალოდ, არამედ ვახტანგის პწკარედის მეშვეობით. პწკარედში კი სპარსული იდიომები და ხელოვნური სახეები ხშირ შემთხვევაში დაშლილად და მხატვრულ სახედაკარგულად იყო წარმოდგენილი. საბა დიდი წარმატებით ახერხებდა სიტყვისაიტყვითი თარგმანისათვის მიეცა ბუნებრივი ქართული სახე. ზოგჯერ ის დიდი ხელოვანის შესანიშნავი ინტუიციით ახერხებდა დაშლილი სახეების მხატვრული მნიშვნელობის აღდგენას, მხატვრული სურათის გამთლიანებას და ბუნებრივი ქართულით „გარდათქმას“.

იმის ნაცვლად, რომ საქმის არსში გარკვეულიყო, ვ. გაბესკირია ტერმინებისა და ცნებების გარშემო ვარჯიშობს და ამით ცდილობს სამშვიდობოს გასვლას. „განა შეიძლება, რომ ერთსა იმავე დროს მხატვრული ლიტერატურის ბეგლს საუკეთესო თარგმანიც ვუწოდოთ და პწკარედიც“, კითხულობს ვ. გაბესკირია და განაგრძობს, — „ეს ცნებები ხომ ერთმანეთს ვერ შეენაცვლებიან. „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული თარგმანი უეჭველად არის „ერთ-ერთი საუკეთესო თარგმანი“ და იგი წარმოდგენს ერთგვარ სიტყვა-სიტყვითს პწკარედ თარგმანს. აქ არავითარ წინააღმდეგობას აღვილი არ აქვს. თარგმანი ეწოდება მხატვრულ თარგმანსაც და პწკარედსაც. ხომ ცნობილია რუსული გამოთქმა «подстрочный перевод»? ვ. გაბესკირიამ სარედაქციო კოლეგიას ვითომც მცირე ლაფსუსი აღმოუჩენია — გამართვა თარგმანის ცნების გამომხატველ სიტყვად მიუჩნევათო. სხვათა შორის, სარედაქციო კოლეგიის განმარტებაში ტერმინები გამართვა და თარგმანი არსად არ არის ერთი და იმავე ცნების გამომხატველ სიტყვებად ნახმარი. მაგრამ ასეც რომ

იყოს, აქ დასაძრახი არაფერია, „ქილილა და დამანას“ საბას არ უთარგმნია სპარსული ენიდან, მან გამართა, გაჩაღხა ვახტანგის პწკარედი თარგმანი. ხოლო ამ გაჩაღხვის შედეგად მან უეჭველად მოგვცა ამ ღიდებული ძეგლის ნამდვილი მხატვრული თარგმანი. მეტსაც ვიტყოდით, დღეს ჩვეულებრივ აღარც კი ახსენებენ დედნისეული ტექსტების პწკარედი თარგმანების ღვაწლმოსილ ავტორებს და მთარგმნელის პატივით ამკობენ სწორედ „გამჩაღხელებს“. ჩვენ ასე არ ვიქცევით, ჩვენ ვცდილობთ გამოწვლილვით გამოვიძიოთ და შესაფერისად დავაფასოთ „ქილილა და დამანას“ როგორც პწკარედი თარგმანის, ისე მხატვრული თარგმანის ავტორი. პწკარედი თარგმანის ავტორია ვახტანგი, მხატვრული თარგმანისა კი — საბა. ესაა მთავარი და არსებითი. ამიტომბა, რომ „ქილილა და დამანას“ „ერთ-ერთ ვერსიას შეიძლება საბასეულიც ვუწოდოთ და ქართულიც“. სხვათა შორის, ვ. გაბესკირია ერთგან საესეებით სწორად ამბობს: „პწკარედს არასოდეს არ ჰქონია დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოების პრეტენზია, პწკარედი მხოლოდ მასალაა მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად“ („მნათობი“). სწორია ისიც, რომ: „თარგმანს, მით უფრო საუკეთესოს, შეუძლია მრავალი პწკარედი თარგმანით ისარგებლოს“. სწორედ ანალოგიური შემთხვევა გვაქვს საბასთან. რიგი პწკარედი ტექსტი ვახტანგს ორგვარი რედაქციით აქვს გადმოღებული. მეორე რედაქცია ჩვეულებრივ დედნის უფრო მიახლოებულ სიტყვასიტყვითს თარგმანს იძლევა. საბა ორივე რედაქციით სარგებლობდა, როგორც მასალით. ვახტანგის პწკარედს დამოუკიდებელი მხატვრული მნიშვნელობა არ აქვს. შემთხვევითი როდია, რომ მთარგმნელი ითხოვდა თავისი ნაშრომის „გემოან გაჩაღხვას“. საბამ ვახტანგის ტექსტი ისე „გააკეთა“ (მისი ტერმინია), ისე დაამუშავა: ისე გამართა, რომ დამოუკიდებელი ლიტერატურული მნიშვნელობის მქონე გემოან ნაწარმოებად აქცია. საბას ნაღვაწი ვახტანგმა, როგორც ვიცით, მოიწონა და დაადასტურა. ამიტომაც „ქილილა და დამანას“ ეგრეთწოდებული კანონიკური რედაქციის ავტორობა როგორც მორალური, ისე იურიდიული თვალსაზრისით საბას მიეკუთვნება.

ახლა ორიოდ სიტყვა „ქილილა და დამანას“ ლექსების თაობაზე.

ჩვენ გვაოცებს პოეტ გაბესკირიას უცნაური განცხადება: „საბას, მე ვგონებ, ის ამშვენებს, რომ ლექსებს არ წერდა“. ჟერ ერ-

თი ვ. გაბესკირია უარყოფს ნამდვილ ფაქტს: საბა ლექსებს წერდა. მეტიც, საბას საჭიროდ დაუნახავს თავისი ლექსიკონისათვის ერთ-გვარი შესავლის სახით ლექსიც წაემძღვარებინა. აი ამ ლექსის ბოლო სტროფი:

აქ ლექსიკონი არ იყო, დაცქარგოდათ ქართველთა,
უკმაღლელობით ფურცელი გაეპნიაყე ქართ ველთა.
ახლად შეეკრიბე, შეეაწუვე, ჩემი ვიშრომე სულ ხანი
საბამან ორბელიანმან, ვის ვრად მერქვა სულხანი.

საგულისხმო ისიცაა, რომ საბამ შეთხზა ავტობიოგრაფიული ხასიათის რამდენიმე იგავ-არაკი. ეს იგავ-არაკები დაწერილია პროზით, მაგრამ „ქილილა და დამანას“ მსგავსად შიგ ჩართულია ლექსები.

მეორეც: არ გვესმის, რად დაამშვენებდა საბას სახელს ის, რომ მას ლექსები არ ეწერა! ლექსების წერა ოდიოზური საქმე ხომ არ არის? გიორგი ლეონიძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საბას, როგორც შესანიშნავ პოეტს, მისი იდეური მტრებიც კი უწევდნენ ანგარიშს. „საბას ანტაგონისტი კათალიკოზი ანტონ პირველი დიდი აზრისაა საბას საერთო პოეტურ შემოქმედებაზე... ანტონი იძულებულია ქედი მოიხაროს საბას პოეტური გენიის წინაშე: „შაირნი მისნი საქებელობენ, შაირთა ვაქებ... უცხო არს იგი საქებელ პიტიკა, რაცა სოფლით გამოთქვა სულხან-საბა“⁶.

„ქილილა და დამანას“ საბასეული ლექსებით გულწრფელად იყო აღტაცებული მამუკა ბარათაშვილი. ვ. გაბესკირია ერთი ხელის მოსმით იშორებს მამუკას, „მამუკა ბარათაშვილის მიერ ამა თუ იმ ლექსის შეფასებას ყოველთვის ვერ მივიჩნევთ შეუმცდარად“. მამუკა, რასაკვირველია, გაზვიადებულად აქებს „ქილილა და დამანას“ ლექსებს, მაგრამ იგი შეეცადა როგორღაც ღირსეულად აღენიშნა სულხან-საბა ორბელიანის ღვაწლი. თუ ძველ მოღვაწეთა შეფასებანი დოგმად მივიღეთ, კურიოზულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, სწორად შენიშნავს ვ. გაბესკირია და განაგრძობს: „თუ მამუკა ბარათაშვილი საბაზე ამბობს, რუსთველზე ნაკლები არ არისო, იოანე ბატონიშვილი, საბაზე კი არა, მღვდელ პეტრე ლარაძეზე ამბობს, რუსთველის ტოლი არისო“, და მოჰყავს „კალმასობაში“ მოთხრობილი ეპიზოდი. ერთხელ პეტრე ლარაძეს თავისთან მიუწვევია იონა ხელაშვილი. „რა

⁶ სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, 1959, გვ. 427.

მცირე იმუხაიბეს, პეტრე ლარაძემ უთხრა დიაკვანს: აქ ჩემთან ისადილეთ, და ვინემ სადილის დრო მოიწვოდეს, გაჩხრიკე ჩემ მიერ ქმნილნი შაირნი და ლექსები, ვითარ მოგეწონებათ. — მართო იოანეს და იწყო კითხვა, და დიდად მოეწონა და უთხრა: ეს ასე გვარზედ შეგიწყვიათ, რომ უღრის რუსთაველისაგან ქმნილსა წიგნსა ვეფხვისტყაოსნად წოდებულსა“.

ვ. გაბესკირია ვერ გრძნობს იოანე ბატონიშვილის მონათხრობის იუმორისტულ კილოს. როგორც ცნობილია, იოანე ბევრჯერ სასაცილო მდგომარეობაში აყენებს თავის გმირს. ასეა აქაც. კარგი სადილის მომლოდინე ბერს ქათინაურები უთქვამს მასპინძლისათვის და მისი ლექსები პირფერულად შეუქვია ზომაზე მეტად. ეს არის და ეს. თავისი თხზულების სპეციალურ კარში კი, რომელსაც ტრადიციით უწოდებდნენ „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“, იოანე ბატონიშვილი მხოლოდ უბრალოდ ასახელებს პეტრე ლარაძეს ბესარიონ გაბაშვილის შემდეგდროინდელ მელექსეთა შორის: „ამის (ბესარიონ გაბაშვილის) შემდეგნი მოსტიხენი არიან დავით ჭიშმერის ძე ჩოლოყაშვილი, პეტრე ლარაძე, რომელმან აღწერა ხელახლად დილარაინი და შეაწყო თვისით, ხორგვაშვილი თეოდორე, იოსებ პაპა-მუშორიბის-შვილი, ბარამ ბარათაშვილი და სხვანი ახალნი ყმაწვილნი კაცნი ქართველნი და სომეხნიცა“⁷. აქედან კარგად ჩანს, რომ იოანე ბატონიშვილი პეტრე ლარაძეს რუსთველს კი არ უტოლებს, არამედ მას ასახელებს დავით ჩოლოყაშვილის, თეოდორე ხორგვაშვილისა და მისთანათა გვერდით. საბაზე კი იოანე აბობს: „ესე იყო უცხო პიტიკოსი და ქებული, ძველთა მოშაირეთა შესადარი“⁸. საიდან მოიტანა ვ. გაბესკირიამ, რომ პეტრე ლარაძე იყო მღვდელი?!

ვ. გაბესკირიასგან მოსალოდნელია იოანე ბატონიშვილის აცილება. მაგრამ იგი ვახტანგს ხომ ენდობა? აი, როგორ ადგილს უთმობს ვახტანგი საბას ქართული პოეზიის ისტორიაში:

რ უ ს თ ვ ლ ი ს ა ლექსი მეფეა ტახტზედ გვირგვინით მჯდომელი,
კვლავ ჩა ხ რ უ ხ ა ძ ე აგრევე სხვისა რიგისა მდომელი,
მეფის ა რ ჩ ი ლ ის სარჯელი სწავლაა დაუცხრომელი,
ს ა ბ ა თ ა ვ ა დ ი მ ჯ დ ო მ ე ლ ი, მ ა მ უ ქ ა ბოლოს მდგომელი.

ვახტანგის ციტირებული ლექსის მიხედვით, ქართული პოეზი-

⁷ კალმასობა, 11, 1948, გვ. 204.

⁸ ი ქ ვ ე, გვ. 188.

ის ტახტზე, სადაც მეფედ დაბრძანებულია რუსთკელი, ჩახრუხა-
ძისა და არჩილის გვერდით საპატიო ადგილი უჭირავს საბას,
(„საბა თავადი ჰქდომელი“). მამუკა ბარათაშვილი კი „ბოლოს
მდგომელია“. თვითონ ის გარემოება, რომ „ქილილა და დამანას“
გალექსეის საპასუხისმგებლო საქმე ვახტანგმა საბას მიანდო, უკვე
ლაპარაკობს საბას პოეტურ პრესტიჟზე. თავისი თარგმანის ერთი
ნაწილი ვახტანგმა თითონ გალექსა, საბამ ეს ნაწილიც თავის გე-
მოზე გააწყო. საინტერესო ის არის, რომ ვახტანგმა უპირატესობა
მისცა საბასეულ ლექსებს და კანონიკურ ტექსტში ისინი შეიტა-
ნა.

რაც შეეხება ახალი დროის მოღვაწეთ, თუ ვ. გაბესკირიას
დავუჯერებთ, სულხან-საბა ორბელიანის პოეტობას აღიარებს მხო-
ლოდ ალ. ბარამიძე. ვ. გაბესკირია იუწყება: „ჩვენ ვიცნობთ სა-
რედაქციო კოლეგიის ზოგიერთ წევრთა საინტერესო შრომებს სა-
ბას დიდადმნიშვნელოვანი შემოქმედების შესახებ, ისინი შედევ-
რებად თვლიან საბას სიბრძნე-სიცრუისას და სიტყვის კონას,
რაც ჩვენში, მკითხველებში, სიხარულს ბადებს და მშობლიური
ლიტერატურით სიამაყის გრძნობას იწვევს, ხოლო საბას ლექ-
სების შესახებ სრულიად სდუმან, ან მეტად თავ-
შეკავებულად მოგვითხრობენ“ (ხაზი ჩვენი, ავტ.).
ქართული კულტურის ყველა პატივისმცემელი თვლის შედევრე-
ბად საბას „სიბრძნე სიცრუისას“ და „სიტყვის კონას“. ჩვენ არ
ვიცით, ვის გულისხმობს ვ. გაბესკირია იმათ რიცხვში, ვინც სრუ-
ლიად სდუმს, ან მეტად თავშეკავებულად მოგვითხრობს საბას
ლექსების შესახებ. ვ. გაბესკირიას წერილით ნაგულისხმევ ზოგი-
ერთ პირს არ ჰქონია შემთხვევა სიტყვა ჩამოეგდო საბას ლექსებ-
ზე, ამიტომაც მათ დუმის საბას ლექსების დაწუნებად ვერ ჩავ-
თვლით. გარდა კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძისა, საბას ლექსე-
ბის შესახებ შემთხვევა მიეცა თავისი სიტყვა ეთქვა საბას ოთხ-
ტომეულის სარედაქციო კოლეგიის წევრს, ჩვენს შესანიშნავ პო-
ეტ გიორგი ლეონიძეს. გ. ლეონიძე ასე აჯამებს თავის მოსაზრებას
„ქილილა და დამანაში“ ჩართული საბას ლექსების თაობაზე: „საბა
გვევლინება დიდი პორიზონტის პოეტად, შესანიშნავ ოსტატად,
ქართული ლექსის რეფორმატორად“⁹. „საბას პოეტური ძალა, მისი

⁹ გ. ლეონიძე, სულხან-საბა ორბელიანი (ს. ს. ორბელიანის თხზულება-
თა კრებულის პირველი ტომი, 1959), გვ. 427—428; მისივე, გამოკვლევები და წე-
რილები, 1958, გვ. 178—179.

სილიადე, განსაკუთრებით გამოჩნდა „ქილილა და დამანას“ პოეტური ნაწილის თარგმანშიო, ამბობს გ. ლეონიძე სხვაგან¹⁰. დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი მკითხველი ენდობა გიორგი ლეონიძის პოეტურ გემოვნებას¹¹.

ობიექტურობისათვის ჩვენ გვინდა დავეკითხოთ კიდევ ერთ მოწმეს. ეს მოწმეა ილია ჭავჭავაძე. შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანთან“ და დავით გურამიშვილის „დავითთან“ ერთად ილია ჭავჭავაძის უსაყვარლესი წიგნი ყოფილა „ქილილა და დამანას“. გადარჩენილია ნაბეჭდი „ქილილა და დამანას“ ის ცალი, რომელსაც „ეტყობა პატრონის, ივერიის რედაქტორის ხელი და დაკვირვება“¹². ილიას ბიბლიოთეკას ამშვენებდა „ქილილა და დამანას“ ხელნაწერიც, რომელიც დიდმა მამულიშვილმა შემდეგ წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმს შესწირა¹³. ამგზობის ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ ილიას ხიბლავდა უმთავრესად „ქილილა და დამანას“ ლექსები, სულხან-საბა ორბელიანის ლექსები. „ქილილა და დამანადან“ ილია ბლომად იწერდა საანდაზო ლექსების ნიმუშებს, რომლებსაც „ივერიის“ ფურცლებზე აქვეყნებდა¹⁴. ეს ნიმუშები ხშირად ამკობს ილია ჭავჭავაძის მხატვრულსა თუ პუბლიცისტურ და მეცნიერულ-პოლემიკურ წერილებს. მაგალითად ილიას განთქმულ მეცნიერულ-პუბლიცისტურ ნარკვევს „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი“ ეპიგრაფად უძღვის „ქილილა და დამანას“ პოეტური სტრიქონები:

ეგრე მტრისა არ მეშინის,
რადგან ცხადად მაწყინარობს;
მოყვარესა მტერსა ვუფრთხი,
მემოყვრება. შოცინარობს...

იმავე ნაშრომის ტექსტში ილიას რამდენიმეჯერ აქვს ციტირებული „ქილილა და დამანას“ აფორიზმები „სოფლის ნადიმთა

¹⁰ საქართველოს მამა (გაზ. „კომუნისტი“, 25, X, 57).

¹¹ დიდ შეფასებას აძლევს „ქილილა და დამანას“ საბასეულ ლექსებს პროფ. დ. კობიძე („მნათობი“, 1950, № 2, 169).

¹² თ. შ ა ჭ ა ვ ა ძ ი ა ნ ი, ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა („ბიბლიოგრაფიის მოამბე“, № 4—5, 1948, გვ. 235).

¹³ ი ქ ე ე, გვ. 227.

¹⁴ ეს ნიმუშები შესულია ილია ჭავჭავაძის მიერ ამოკრეფილი ს ა ა ნ დ ა ზ ო ლ ე ქ ს ე ბ ის წიგნში; რომელიც იოსებ გრიშაშვილმა გამოაქვეყნა (თბილისი, 1935).

მჯდომელი სოფელსავითვე კრელია“, „ბუისგან ნუ გაპოელი ბო-
ლოკარკაზის ბუდესა“ და სხვ.). დიმიტრი ყიფიანის მკვლელობისად-
მი მიძღვნილ წერილში ილია ანბობს „იგი იყო კაცი, რომელსაც
სიყმაწვილის დღიდანვე ბოლოს ყამამდე სამართალი მიუძღოდა
ეთქვა —

ჩემი ნაჟი ნაღელის ზღვასა
შევაუტრე სარგებელად;
ან დაინთქმი, ან მარგალიტს
ამოვიღებ. ვიგდებ ხელად.

დამოწმებული მშვენიერი ლექსი ამოღებულია „ქილილა და
დამანადან“. გიორგი ლეონიძე აღნიშნავს, რომ „საბას ლირიკული
საანდაზო ლექსები დიდი ხანია რაც გადასულია ქართველ ხალხ-
ში... ეს ლექსები ზოგჯერ ჩვენში ხალხური აფორიზმები ჰგონია-
თო“¹⁵

საბას ლექსებს, „ქილილა და დამანადან“ კეთილი ზემოქმე-
დება მოუხდენია ილია ჭავჭავაძის პოეზიაზე. იოსებ გრიშაშვილმა
შენიშნა, რომ ილიას პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“
თითქმის უცვლელად შესულა საბას ლექსის ერთი სტრიქონი:

კაცის სახელის მძებნელი უკვდავად შემირაცხია,
მკვდრად იგი თქმულა, ვის კაი სახელი ზედ არ
ა ც ხ ი ა.

(ქილილა და დამანა)

არ არის მკედარი, ვინც მოკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია.
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.

(დიმიტრი თავდადებული).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ილია ჭავჭავაძის ლირი-
კული ლექსი „ალაზანს“, რომელსაც ეპიგრაფად უძღვის შემდეგი
ტექსტი:

სიკაბუკისა ყვავილი
დამიქცნო ჟამთა დენამა,
ნდომა მომაკლო, დამიგდო
სასაპყროდ გული რბენამა.

ეპიგრაფს მიწერილი აქვს: საბა ორბელიანი. მართლაც, ცი-
ტირებული ტექსტი ამოღებულია „ქილილა და დამანადან“. ჩვენ

¹⁵ ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, I, გვ. 426.

არ შევეუდგებით „ალაზნის“ გარჩევას¹⁶. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეპიგრაფის ტექსტი საუცხოოდ ენმაურება ილია ჭავჭავაძის ლექსის შინაარსს და ლექსით აღბეჭდილ ლირიკულ განწყობილებას. ძნელია იმის თქმა, საბას ტექსტმა აღძრა ილია ჭავჭავაძის ხსოვნაში მისი ჭაბუკობის დროინდელი გაცდები. თუ, პირიქით, მისმა ლექსებმა მოაგონა ილიას ეპიგრაფის სიტყვები. უდავო ისაა, რომ ორივე შემთხვევაში მკაფიოდ არის გამოხატული ერთი და იგივე განწყობილება, ეპიგრაფად მოხმობილი სტრიქონების მოტივები მხატვრულად არის გახსნილი ილია ჭავჭავაძის „ალაზანში“. ერთი სიტყვით, „ქილილა და დამანას“ საბასეული ლექსების ზემოქმედების ნაკვალევი აღბეჭდილი აქვს ილია ჭავჭავაძის პოეტურ შემოქმედებას, ხოლო „ქილილა და დამანადან“ ამოკრეფილი სენტენცია-ათორიზმები და ბრძნული გამოთქმები ამკობს მის მეცნიერულსა და პუბლიცისტურ შრომებს¹⁷.

ილია ჭავჭავაძეს ხომ არ დალატობდა მხატვრული ალლო „ქილილა და დამანას“ ლექსების შეფასებაში?

სულხან-საბა ორბელიანს კოლოსალური შრომა გაუწევია „ქილილა და დამანას“ გალექსვაზე. რა თქმა უნდა, საბას ყველა ლექსი მხატვრულობის მხრივ ერთ დონეზე არ დგას, მას აქვს ბუნდოვანი და ზოგჯერ ძნელად გასაგები სტრიქონები. მაგრამ საბას ძნელად გაოსაცნობი ლექსიც ბავშვურ გამოცანას წარმოადგენს ქაშიფის თავსამტკრევ შარადებთან შედარებით. დედნისეული ბუნდოვანება ბუნებრივად ახასიათებს ვახტანგის პწკარედულ თარგმანს და საბა ბევრჯერ ინტუიციით გარკვეულა საქმის ვითარებაში. ჩვეულებრივად საბა საუკეთესო გამოსავალს პოულობდა.

სპარსულ ორიგინალში ერთგან აღწერილია დიდი შიმშილობა, როდესაც პურს დანატრებული ხალხი ცაზე მზის სიმრგვლით და მის პურთან მიმსგავსებით უნდა დაკმაყოფილებულიყო:

ვისაც პურის ზიღის სურვილი ჰქონდა.

ზეცაზე მზის სიპრგელს ხედავდა, სხვას არაფერს.

¹⁶ ამის თაობაზე იხ. ალ. ბარამიძე, ილია ჭავჭავაძის ერთი ეპიგრაფის გამო („ლიტერატურული გაზეთი“, 11. X. 57).

¹⁷ ალ. ბარამიძე, ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები (ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, 1957, გვ. 35—37, 40—41, 51, 55—56); ლ. შენაბდე, ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობა, თსუ შრომები, ტ. 69, 1958, გვ. 99—107.

ვახტანგს ისე სიტყვასიტყვით უთარგმნია ეს ლექსი, რომ ძნელია მისგან ორიგინალის დაუნმაარებლად აზრის გამოტანა. აი აწკარედის ტექსტი:

პერის ჰირის ნახვა ვისაც ენდოდა.
მზის ყურს რომ ნახვედენ, ის იყო, სხვა არაფერი.

საგულისხმო ისაა, რომ დედნის ყო რს-ი („ყორსე ხურ“) სომრგვლე, დისკო (მზისა) ვახტანგს უთარგმნელად გადმოუცია ქართული ტრანსკრიფციით ყურსი („მზის ყურსი“) და აზრი გაუბუნდოვანებია. საბას კი სირთულისათვის თავი მოხერხებულად დაულწევია და ტექსტი შემდეგნაირად გაუწყვია:

სოკალისაგან მოყვარე მოყვარეთ ვერ იცნობდანი,
მავედრებელთა ვედრება მსენელთა არ ესმოდანი.

ჩვენ ზემოთ გავარჩიეთ ვ. გაბესკირიას მიერ ტექსტის მცდარად გაგების ნიადაგზე დაწუნებული ერთი ლექსი. ასევე წუნს დებს კრიტიკოსი იმავე რიგის მეორე ლექსსაც:

სიტყვის მყოფზე გაფიქრით იტყვის სიტყვას.
რა უფიქროდ ითქმის სიტყვა, უთაო არის.
(ვახტანგის აწკარედი)

ეს სიტყვასიტყვითი და ამდენად ძნელ-ქართულით წარმოდგენილი ნაწყვეტი ვ. გაბესკირიას საესებით ნათელ და გასაგებ სიბრძნედ ეჩვენება, ხოლო მის საბასეულ რედაქციას კი ბუნდოვანსა და ძნელად გამოსაცნობს უწოდებს:

სიტყვისა მთქმელი სიტყვის ჩხრეკს, სიტყვის ძალი აქვს თქრისა,
აუსინჩაესა სიტყვასა ჩხავილი სჯობან ტურსა.

ჩვენ აქ ბუნდოვანს ვერაფერს ვხედავთ, აზრიც საესებით ნათელია და ფორმაც უზადო. რაც შეეხება მეორე ტაების აფორისტიკულობის კითხვის ქვეშ დაყენებას იმ საბუთით, რომ იგი „ჭერ არავის არ შეუნიშნავს“, რბილად რომ ვთქვათ, გულუბრყვილობაა. აი დაგვიჩრდა და ძალიანაც გვენიშნა. მართლაც რომ „გაუსინჩაესა სიტყვასა ჩხავილი სჯობან ტურისა“! ან რა სათქმელია, ტურის ჩხავილთან შედარება საჩოთიროა, რადგანაც ჩვენს იგავთ-კრებულში „მრავალი ბრძნული და ამოდ სასმენი ამბების მთქმელები სწორედ ტურები არიანო“. განა მხოლოდ ტურები არიან ბრძნული ამბების მთქმელები? რა ვუყოთ მაშინ მგლებს,

ლომებს, მელიებს და ფაუნის სხვა წარმომადგენელთ, მათი აუგად ხსენების კვალიც მოვსპოთ? მერე და „ქილილა და დამანაში“ ერთი ტურა თუ სიკეთეს ასახიერებს, მეორე მზაკვერი და ბოროტი არ არის?

ტენდენციურად შერჩეული მაგალითებითაც ვერ გადის ვ. გაბესკირია ფონს. ჩვენ დავკმაყოფილდებით ოთხიოდ ისეთი ნიმუშის მოყვანით, რომელთაც, ეტყობა, ვ. გაბესკირიამ შეგნებულად აუარა გვერდი.

1. მზეს ამ სიძალდით

ერთი პატარა ღროზელო დაფარაჲს.

(ვახტანგის პწკარედნი)

ღოდსა, მადალსა, ნათელსა მზესა

მცირე ღრუბელი შეუცვლის ზნესა.

(საბა!)

ამ ნაწყვეტით საბა იცავს თავისი დედნის ტაეპობრივ მოცულობას და პწკარედის შინაარსს ავითარებს, მაგრამ უდავოდ აღწევს დიდ მხატვრულ ეფექტს. თუ პწკარედის მიხედვით, „ერთი პატარა ღრუბელი“ და ფარავს მალლად მყოფ მზეს, საბათი „მცირე ღრუბელი“ სრულიად შეუცვლის ზნეს „ღოდსა, მადალსა, ნათელსა მზესა“. სიტყვების ოსტატური შერჩევითა და დალაგებით, დედნისათვის უცნობი ახალი და ზუსტი ეპითეტების მოხმობით ლექსში პოეტურად ხაზგასმულია მზის სიდიადე („ღოდსა, მადალსა, ნათელსა მზესა“). ამასთან, მხატვრული ენით დასაბუთებულია, რომ ამ დიდ, მადალსა და ნათელ მზეს „მცირე ღრუბელიც“ კი შეუცვლის ზნეს, გარდაქმნის მის ძალას. საბას ლექსით მკაფიოდ აღბეჭდილია კონტრასტის მომენტი. ჩვეულებისამებრ საბას განუზოგადებია კონკრეტული ფაქტი და საუცხოო აფორიზმი შეუქმნია. „ქილილა და დამანას“ საბასეული რედაქციის ამ მშვენიერ აფორიზმს იმოწმებს ილია ჭავჭავაძე.

2. ერთგან სპარსულ დედანში შედარებისათვის გამოყენებულა არაბულ-სპარსული აღფაბეტის ასო-ნიშნები. ვახტანგს გადმოუღია ტექსტის პირწმინდა პწკარედნი:

რა რომ მნსა და მანს დასწერდა მისი ოსტატე,

მის გულში ან ფარე იყვის ან მუზარადე.

ალიფსა და ბეს ასრე იტყოდა,

რომ ზე მშვილდის სახა და ალიფი ისრის.

არაბულ-სპარსული აღფაბეტის ჰაეს მოხაზულობა მართლაც ჰგავს ფარს, ხოლო მანი შეიძლება შეუდარდეს მუზარადს, ბანი მშვილდივით მოხრილია, ალიფი კი ისარივით სწორი. სულხან-საბა ორბელიანს უცხოური დაწერილობის სანაცვლოდ შეურჩევია შესაფერისი ქართული ასოები და მათი მოხაზულობა შეუხამებია შესადარებელი საგნებისათვის. ამრიგად, დედნის კონსტრუქციული პრინციპის დაურღვევლად მიღებულია საუცხოო მხატვრული თარგმანი (ქართულში ოთხი ასოს ნაცვლად ექვსი ასოა მოხმობილი). ამასთანავე დავძენთ, რომ ანალოგიურ შემთხვევაში თავს იკავებდა და დედნის ტექსტს უთარგმნელად სტოვებდა ისეთი დახელოვნებული ოსტატი, როგორიც იყო „ვის-ო-რამინის“ ქართული თარგმანის ავტორი.

თარგმანი საბას რეულად გაუწყვია:

რა ოსტატი ასოს სხმიდა,
 მისი გული სხვას იწერთიდა:
 ორთ ხ რ მ ა ლ რ ბ რ მტერთა სრვიდა,
 ჯანსა ფ ა რ ე ბ რ იფარვიდა,
 ონსა ზ უ ზ ა დ დაიჭმვიდა,
 ტანსა ჟ ა ჭ ვ ა დ ჩაიღმვიდა,
 ენსა მ შ ე ი ლ დ ა დ აიზმიდა,
 სანთ ის რ ა დ მტერთ ასრვიდა.

3. „ქილილა და დამანაში“ „არის ლექსით გადმოცემული ერთი მინიატურული იგავ-არაკი „უკულო ვირი“. ეს იგავ-არაკი სულხან-საბას გადმოუღია ერთსტროფიანი შაირით, ე. ი. ტაეპობრივი მოცულობის მხრივ მას ორი მესამედით შეუმცირებია დედნის ტექსტი. მაგრამ ეს „შემცირება“ ჩატარებულია დიდი მხატვრული ტაქტით. პუკარედიდან საბას ამოუღია მხოლოდ ზედმეტი სიტყვები, განმეორებანი და ტავტოლოგიური გამოთქმები. იგავ-არაკის შინაარსი, დედააზრი და მორალური შეგონება არა თუ შენარჩუნებულია საბას ტექსტში, არამედ უფრო მკაფიოდაც კი არის გამოკვეთილი. „უკულო ვირი“ ჩინებული ნიმუშია შინაარსისა და აზრის დაუზიანებლად სიტყვიერი ეკონომიის მიღწევისა მხატვრული თარგმანის პრაქტიკაში.

აი ამ იგავ-არაკის პარალელური ტექსტები.

ყოფილა ვირი ერთი, კუდი არა ჰქონია:
 შას უკულობის ჭავრი და ნაღველ: ერთს დღეს მოემატა.
 კუდს საშოვრად ქვეყანაზედ იარებოდა და ფეხით ცდილობდა;
 კუდის შოვნას ცდილობდა და სიტყვას არას უბნობდა.

ანაზღად უნდომლად უწიდილოდ მისი გზა
შეხვდა ერთს ჭევილში და უნდომლად შევიდა;
მეველემ ანაზღად შორიდაჲ დაინახა,
ფიცხლად მოუხდა და ორივე ყურები დააჭრა.
საბრალო სახედარმა თავის კუდის ნდომას
ვერც კუდი იშოვნა და ორივე ყურები ზედ დაადვა.
რამანც კაცმა საშლევარს გარეთ ფეხი დადგას,
შეიტყუე: ბოლოს ეს არის მისი სანაცვლო.

(ვახტანგის პწკარედი)

უკულო ვირი კუდისა საძებრად იარებოდა,
ყანასა რასზე შევიდა, სადაცა მკეველ ადგებოდა;
მეველემ ყურნი დაქვეთნა არა თუ კუდი რგებოდა,
საზღვრისა გარდამაჲლსა მის მერე რა ერგებოდა.

(საბა)

4. „ქილილა და დამანას“ ერთ-ერთი პერსონაჲი თავის ქალაქს სტოვებს და სამგზავროდ მიდის. გამგზავრების წინ ის მელანქოლიურად ამბობს:

ჩემის ქალაქისაგან მომწყენა და მგზავრობის ნდომა მაქვს,
შენი ნაღველის მერე, არ ვიცი, რა სარგებელი წავიღო.

(ვახტანგის პწკარედი)

მოგზორდა სამკვიდრებელი, ვორჩიე მგზავრობა რიგია,
ველარ დაედგები, წაყავალ... სად მივალ; ვერ გამოვივა;
კმუნვანი ნუზლად შემოკრავს, ურჯა საგებლად მივია,
სულთქმის მახვილსა ლესულსა, გლახ. გული ზედ ამიგია.

(საბა)

პწკარედით, მგზავრობის მიზეზად დასახელებულია სამყოფი ადგილით უბრალო მოწყენა. საბას ტექსტით კი გმირი (ჩვენ ვიტყვით ლირიკული გმირი) ერთგვარად იძულებულია დატოვოს სამშობლო მხარე („სამკვიდრებელი“), მოშორდეს მას და მგზავრობა ირჩიოს, თუმცა არ იცის, სად უნდა წავიდეს. როგორც ჩანს რაღაც მძიმე იძულებითი გარემოების გამო სამშობლოდან გარდახვეწილ მგზავრს მწარე კავშანი სტანჯავს, მას ნუზლად კმუნვანი წაუღია, ხოლო საგებლად განდომია ურვა. მიუსათარსა და უნაეთსაყუდრო უბედურ მგზავრს ოხვრა-ვაების მახვილზე აუგია თავისი გული.

სულხან-საბა ორბელიანს ძირფესვიანად გარდაუქმნია პწკარედის შინაარსიც და გააზრებაც, ნაწყვეტში ბუნებრივად და მოხდენილად ჩაუქსოვია სამშობლოს სიყვარულის ამამაღლებელი იდეა. ყურადღებას იქცევს შაირის უშუალო ლირიზმი. ყველაფრიდან

ჩანს, რომ სულხან-საბა ორბელიანმა საკუთარი კმუნეარება და გულისტყვილი გაგვანდო. სამშობლოდან გარდახეწილი მგზავრი თვითონ სულხან-საბაა. სამშობლოს უანგაროდ სამსახურისათვის მან მართლაც ბევრჯერ ატარა კმუნეის საგზალი და ურვის საგებელი. საბას ბევრი სამსალაც უსვამს და ოხერის მახვილითაც ხშირად უგმირავს თავისი კეთილშობილური გული.

ნაწყვეტი მდიდარია მხატვრული სახეებით („კმუნვათა ნუზლი“, „ურვის საგებელი“, „სულთქმის მახვილი ლესული“...). ერთი სიტყვით, სულხან-საბა ორბელიანს ძლიერი პოეტური სიტყვით გადმოუცია თავისი საკუთარი შესანიშნავი შთანაფიქრი. განხილული ლექსი ფაქტობრივ არის სულხან-საბა ორბელიანის დამოუკიდებელი და ორიგინალური პოეტური ფრაგმენტი.

ვ. გაბესკირიას პასუხი მომარჯვებული აქვს. საბა რომ პწკარედისეულ ტექსტს ათავისებურებს, „ეს სწორია“? პათეტიკური კილოთი კითხულობს და განაგრძობს: „ვინმე რომ, ვთქვათ, ჩვენს ვეფხისტყაოსანს ამგვარად მოეპყრას, რუსთაველის სტრიქონების ნაცვლად თარგმანში თავისი ლექსები შეიტანოს, მოსაწონი იქნება? ამ შემოკითხვით ვ. გაბესკირია ღალატობს ისტორიზმის პრინციპს, თანამედროვე კრიტიკიუმში მას მექანიკურად მიუყენებია წარსული საუკუნეების ლიტერატურული ცხოვრებისათვის. ჯერ კიდევ დიდი ილია ამბობდა, რომ „ქეშმარიტი მეისტორიე“ წარსული „დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა“. მხატვრული ძეგლების ქართულ თარგმანებს „ვისრამიანიდან“ მოკიდებული დედნისადმი საერთოდ თავისუფალი დამოკიდებულება ახასიათებს. ეს თავისუფლება ზოგჯერ ისე საგრძნობია, რომ „თარგმანს“ დამოუკიდებელ იერს აძლევს (მაგალითად თეიმურაზ პირველის თარგმანები). დიდი თავისუფლება ახასიათებს „როსტომიანის“ ქართულ ვერსიას და ზოგიერთ სხვა მნიშვნელოვან ნაწარმოებს. საბა გამონაკლისი ხომ არ არის? დედნებისადმი თავისუფალი დამოკიდებულების გამო ქართველ ავტორებს თარგმანებში შექჷნდნათ მშობლიური სინამდვილის რეალიები, რითაც გადმოქართულებული თარგმანები განსაკუთრებით ფასეული ხდება. ამის ცოდნაც თანამედროვე კრიტიკოსს უსათუოდ მოეთხოვება¹⁸.

¹⁸ ჩვენ ვურჩევთ ვ. გაბესკირიას გაცენოს კ. კიკელიძის სპეციალურ გამოკვლევას: „მთარგმნელობითი ნეოლოგიკური ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი“ (ეტიუდები, 1, 1955).

დასასრულ ყურადღება გვინდა მივაქციოთ ორ გარემოებას.

ჩვენ ზემოთ უკვე დავიმოწმეთ ვ. გაბესკირიას სიტყვები: „საბას, მე ვგონებ, ის ამშვენებს, რომ ლექსებს არ წერდა“. ამისდა მიუხედავად ის იძულებულია აღიაროს, რომ მამუკა ბარათაშვილთან ერთად სულხან-საბა ორბელიანი არის ვერსიფიკატორი („მნათობი“, № 3, გვ. 140). უნდა აღვნიშნოთ, რომ საბას დიდი დამსახურება ქართული პოეტური კულტურის ისტორიაში, როგორც ეს ხაზგასმულია სპეციალურ ლიტერატურაში¹⁹, სწორედ მისი ვერსიფიკაციული ნოვატორობაა. საბამ გადაახალისა და გაამდიდრა ქართული ლექსთწყობა, შეარყია ძველი ნორმების ბატონობა და შემოიღო რიგი ახალი სალექსო ფორმა. ამ მხრით საბას მიბაძეს მამუკა ბარათაშვილმა, დავით გურამიშვილმა და სხვ. საბას დამოუკიდებელი, ორიგინალური ლექსები ცოტაა ცნობილი, „ქილილა და დამანა“ კი მას გარკვეულად ზღუდავდა შინაარსობრივი მასალით (თუმცა მოცემული მასალების ფარგლებში მაინც ახერხებდა მნიშვნელოვანი თავისებურების შეტანას). სალექსო ფორმების დამუშავების მხრივ საბა თავს დამოუკიდებლად გრძნობდა, მისმა შემოქმედებთმა ენერგიამ ლექსთწყობის სფეროში ჰპოვა თავისუფალი სარბიელი. ვახტანგი გვაუწყებს, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა „ქილილა და დამანასათვის“ „ლექსის გაწყობის რიგები ისრევ სპარსული მიეცა“. საბამ კი სპარსულის სანაცვლოდ ლექსები ქართულ რიგზე გააწყო. გამოიჩინა საშავალითო ნოვატორობა და ქართული ლექსთწყობის განვითარება ახალ საფეხურზე აიყვანა. ამისი დავიწყება და შეუფასებლობა იქნებოდა ისტორიული უსამართლობა.

საგაზეთო წერილში ვ. გაბესკირია პოლემიკური მიზნით იმომგებს ვახტანგის ლექსებს და მათ აღტაცებულ შეფასებას აძლევს. აი მისი გამონათქვამები: „მეტად ლამაზი და ძლიერი ლექსი“ „ტკბილი ლექსი“, „მეტად ემოციური ლექსი“, „ღრმა შთაბეჭდილების მომხდენი ლექსი“. ვ. გაბესკირია თავმომწონედ აცხადებს, რომ მან ბევრი რამ იცის „ქილილა და დამანას“ შესახებ, ისიც იცის, რომ „ვახტანგ მეექვსესე, გარდა პროზისა, „ქილილა და დამანას“ ლექსებიც აქვს თარგმნილი“ და მოჰყავს „ერთი ნიმუში, რომელიც ქალის სილამაზეს აღწერს და რომლის პირველი სტრიქონი განსაკუთრებით მომხიბვლელია“.

¹⁹ მაგალითად, ი. ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსების თაობაზე („მნათობი“, 1959, № 10, გვ. 117).

წარმ-ბრტყელი, ტუჩ პატარაი, ვარჯის ფურცლებრი ღაწვია,
კბილ-მარჯალტა, ცრძილ-ჩოწი, ენა შაქარი აწვია.
ტანად სარო და პირად მზე, მკვრეტელთა ჭირნი აწვია,
მოითა ტრფალთა უწყალოდ ცუტლთა მომდები აწვია

უნდა შევნიშნოთ, რომ წარმოდგენილი რედაქციით ეს ლექსი რამდენადმე საბას მიერ არის „გაჩაღებული“, თუმცა ჩვენს ალტაცებას მაინც ვერ იწვევს. ჩვენ გვიკვირს, რით მოხიბლა პოეტი გაბესკირია ამ საკმაოდ ულაზათო მაჯამურმა შაირმა. ნუ თუ კრიტიკოსი ვერ გრძნობს, რა ხელოვნურად არის შეწყობილი ომონიმური სარიტმო სიტყვები („აწვია“). სტროფი მაინც ნაკლულა დარჩენილა („კოჭლი მაჯამა“). ვ. გაბესკირია ვახტანგის ლექსების ღირსებას ტენდენციურად იმიტომ აზვიადებს, რომ შესაფერისად დაამციროს საბას ლექსები. ვ. გაბესკირიას ქომაგობა ვახტანგს არ სჭირდება. ჩვენ სხვაზე ნაკლებ არ ვიცით ვახტანგის პოეზიის ფასი, მაგრამ რა საკადრისია ვახტანგის პოეზიის განდიდების მიზნით საბასათვის ჩრდილის მიყენება?

იქნებ ამ წერილის შემდეგაც ვ. გაბესკირია ისევ მტკიცედ დადგეს თავის თვალსაზრისზე. ეს მისი საქმეა. ჩვენ მეტს ველარ დავებმარებით, მხოლოდ გავიხსენებთ კიდევ ერთ ადგილს „ქილილა და დამანადან“, რომელიც ვახტანგის პუქარედით თუმცა საკმაოდ ბუნდოვანია, საესებით ნათელია საბას წყობილი სიტყვით:

მეტი თავზე თუ ქელი დაიხურე,
წმინდანთ ვფიცავ. რომ თავის სასარკი იქნება.
(ვახტანგის პუქარედი)
რა ქელ-თავსა დაიქვე ნამეტურ და მძიუნე,
უცალოდ თავსა გატყვიანებს. შეგეჩნას დასამძიუნე.
(საბა)

5. О ГРУЗИНСКИХ ВЕРСИЯХ «КАЛИЛЫ И ДИМНЫ»

(Итоги изучения)

«Калила и Димна» — одно из самых распространенных и популярнейших произведений мировой художественной литературы. Оно переведено на многие языки мира, в том числе и на грузинский язык. По словам К. С. Кекелидзе, «ни одно из переведенных на грузинский язык произведений не имеет столь сложной истории, как сборник басен «Калилы

и Димны»¹. «Думаю, что древними грузинами, — продолжает К. С. Кекелидзе, — даже над текстом Евангелия не было проделано столько редакционной работы, сколько было проделано в XVIII веке над текстом «Калилы и Димны»².

О грузинских версиях «Калилы и Димны» имеется довольно большая научная литература как дореволюционного, так и советского периода. Достаточно сказать, что этой теме были посвящены две специальные диссертации литературоведческого характера³.

По словам просвещенного царя Вахтанга VI (1675—1737), кстати и переводчика «Калилы и Димны», эта знаменитая книга басен была переведена на грузинский язык еще во времена, царицы-цариц Тамар (1184—1213). «Тогдашний перевод, — сообщает Вахтанг, — из-за превратностей времен был утерян». Заново взялись за перевод в так называемый период Возрождения грузинской литературы (XVI—XVIII вв.).

Как известно, на рубеже XV—XVI веков в Иране появляется новая, ставшая наиболее популярной редакция «Калилы и Димны» «Анварн Сухейли», принадлежащая перу Ал-Ваиза Кашефи (умер в 1505 году).

На грузинском языке имеется пять версий «Калилы и Димны» (редакции Анварн Сухейли). К ее переводу приступил, по-видимому, в конце XVI века Давид Кахетинский (умер в 1602 г.). Сложные политические события и серьезная болезнь помешали ему довести начатую работу до конца. Давид успел перевести только часть сборника до басни «Черепашка и скорпион». По поручению Вахтанга VI давидовский перевод продолжили и докончили в Тбилиси и Исфагане в 1710—1714 гг. неизвестные сотрудники царя. Это и есть первая грузинская версия «Калилы и Димны».

¹ История грузинской литературы, II, Тб., 1958, стр. 462 (на груз. яз.).

² Этюды из истории древнегрузинской литературы, I, Тб., 1956, стр. 193 (на груз. яз.).

³ А. Барамидзе. Грузинские версии «Калилы и Димны» (Исследования, I, 1945, стр. 237—372); М. А. Толуа Орбелиановская. Версия «Калилы и Димны», 1967, стр. 346.

Вахтанг VI, сам одаренный поэт, литератор и ученый, сличил этот перевод с персидским оригиналом, сделал кое-какие редакционные исправления, перевел отдельные пропущенные места текста, переложил в стихи переведенные прозой некоторые стихотворные отрывки. В целом, однако, первый перевод «Калилы и Димны» не удовлетворял взыскательного литератора и редактора.

В 1714 г. за непокорность иранскому шаху Вахтанга сослали в Керман, где он провел два года. Время ссылки Вахтанг использовал для интенсивной литературной работы. В первую очередь он лично перевел от начала до конца это громадное, в языково-стилистическом отношении чрезвычайно сложное произведение Кашефи (возможно, что Вахтанг пользовался и услугами других лиц). Собственный перевод Вахтанга (вторая грузинская версия «Калилы и Димны») представляет собой тщательно выполненный дословный, очень точный подстрочник. При этом, в противовес первой версии, Вахтанг полностью перевел на грузинский язык как прозаическую, так и поэтическую части сборника басен. Закончив перевод, проверив текст, внося некоторые поправки, Вахтанг приступил к переложению в стихи переведенных прозой поэтических отрывков. Однако это дело не было доведено до конца. Вахтанг еще не успел отшлифовать и версифицировать текст, когда ему пришлось вступить в исполнение обязанностей царя Картли и верховного главнокомандующего иранской армией в борьбе против восставших афганцев и их союзников. Словом, обстоятельства заставили Вахтанга заняться политическими делами, окончательно не отделив своего перевода «Калилы и Димны».

Отделать перевод литературно, в сущности — версифицировать его, Вахтанг поручил своему секретарю и придворному поэту Онане Кобулашвили. Тот добросовестно выполнил поручение по части версификации текста, но совершенно не тронул главную, прозаическую часть перевода. Как раз в это время из поездки по Европе вернулся на родину известный грузинский писатель Сулхан-Саба Орбелиани (автор «Мудрости вымысла» и толкового грузинского словаря). Вахтанг обратился к нему со специальным посланием, в ко-

тором, между прочим, писал: «Вспомни мою первую любовь, и это дело выполни быстро и добротнo. Отшлифуй со вкусом выстраданный мною труд, и там, где имеются стихи, отдели их также грузинскими стихами».

Отношения между царем и его верным сподвижником Сулханом-Саба Орбелиани тогда были натянутыми, в результате злостных наветов царедворцев. «Царь напрасно, незаслуженно, гневался над ним и над его братьями», — пишет Сулхан-Саба Орбелиани в завещании, предпосланном своей редакции «Калилы и Димны». Сулхан-Саба глубоко огорчала неблагодарность царя, которого клеветникам удалось склонить на свою сторону, превратив истолковав неудачу только что закончившейся дипломатической поездки по Европе (во Францию и к римскому папе). «Потом получил этот приказ (т. е. поручение отделать «Калилу и Димну»), отказаться было невозможно, хотя духовнику (монаху) это не к лицу и не подобает ему (заниматься подобной светской работой)».

В конце концов С.—С. Орбелиани все-таки выполнил поручение своего государя. Любопытно, что в упомянутое завещание С.—С. Орбелиани включил три басни, в которых иносказательно, в стиле «Калилы и Димны» изложил некоторые действительные биографические факты. Вот, например, вкратце содержание одной из этих басен — «Царь и гончая собака».

У некоего царя была гончая собака. Она верно и преданно служила своему хозяину, искусно выслеживала и ловила дичь. Царь очень любил ее, холил, баловал, кормил из своих рук. Она этим не возгордилась, не кичилась, делилась со своими ближними пожалованным ей добром. Но сородичи, движимые завистью, вознамерились ее погубить. Они злостно оклеветали верную собаку. Поверив клеветникам, царь безжалостно прогнал со двора любимую гончую. Вскоре и царю досталось от своры злых псов. С тех пор прошло немало времени. В стране появилась диковинная дичь. Царь воспылил желанием овладеть ею, но царским гончим оказалось не под силу выполнить его желание. Царь опечалился и вспомнил тогда свою опальную гончую, стал искать, звать

ее. Старая, обездоленная, голодная собака доживала где-то на задворках свой век. Однако, услышав голос любимого хозяина, она обрадовалась, забыла все огорчения, обиды, страдания, свою старость. Бросилась к хозяину, стала ласкаться к нему, готовая служить по-прежнему, пожертвовать собою ради него. Но не было уже у нее сил, чтобы поймать ту редчайшую дичь.

Сулхан-Саба Орбелиани рассказал в этой басне аллегорическим языком о самом себе. Нетрудно догадаться, что царь басни — это Вахтанг, преданная ему гончая — Сулхан-Саба Орбелиани, диковинная дичь — «Калила и Димна». Итак, на почве взаимных литературных интересов Сулхан-Саба Орбелиани и Вахтанг VI помирились.

Вывод басни (не было у гончей собаки сил, чтобы поймать ту редчайшую дичь) — результат исключительной скромности грузинского писателя. На самом деле С.-С. Орбелиани прекрасно обработал текст вахтанговского перевода «Калилы и Димны». Он с одинаковым знанием дела, со вкусом и мастерством отделил и стихотворную, и прозаическую части сборника басен. По мнению Орбелиани, изложенному им в завещании к своей редакции, буквальный, дословно точный перевод произведения с одного языка на другой бывает «безвкусным», т. е. грубым, литературно-неполноценным. Орбелиани поясняет, что переводчик должен допускать перестановку слов, добавление или изъятие отдельных языковых частиц, выражений и т. д., приурочив материал к природе языка, на который переводится данный текст. Исходя из этих, так сказать, теоретических предпосылок, С.-С. Орбелиани очень основательно, тщательно и в общем свободно переработал текст «Калилы и Димны», придав ему подлинно грузинский, национальный колорит. При этом, однако, сравнительно простому, незамысловато-разговорному языку перевода Вахтанга в редакции Орбелиани придан книжновитневатый, местами даже высокопарно-вычурный вид, что, впрочем, вполне соответствует стилевому характеру персидского оригинала. Не ограничившись этим, С.-С. Орбелиани иногда производит исправления идейного порядка. Так, в одном месте редактор говорит, что он подверг некоторой шли-

фовке текст, выражающий «противную (христовой) веру» мысль. С.-С. Орбелиани значительно ослабил мусульманско-религиозную тенденцию оригинала, придав ему отчасти христианскую окраску. В «Калиле и Димне» орбелиановской редакции имеются и другие изменения идейного содержания, особенно в морально-нравственном аспекте. В целом тексте орбелиановской редакции «Калилы и Димны» придан настолько самобытный характер, что некоторые серьезные исследователи (Д. Бакрадзе и др.) считали его произведением, сильно проникнутым национально-христианским духом.

Особый интерес вызывает стихотворная часть «Калилы и Димны» орбелиановской редакции. В «Анваре Сухейли» стихи играют весьма существенную роль. При версификации грузинского текста сборника басен Кашефи С.-С. Орбелиани проявил незаурядные творческие способности и большую свободу в смысловой трактовке литературного материала, а также оригинальность и новаторские устремления в оформлении стихов. Используя частично классические размеры грузинской просодии (шаири, чахрухаули, дзакнагорули и др.), он смело пошел по новаторскому пути, применив ряд совершенно новых стихотворных размеров и особенно форм, прочно утвердившихся затем в грузинской поэзии. Без преувеличения можно сказать, что после Руставели именно С.-С. Орбелиани выступил смелым реформатором грузинского стихосложения. Не случайно Мамука Бараташвили, автор своеобразного нормативного учебника грузинского стихосложения «Чашники» («Проба»), пишет буквально следующее: «Сулхан-Саба Орбелиани переложил в стихи «Калилу и Димну». Хотя это сделано не (самим) Руставели, но (пожалуй) сделано не хуже». По пути, проложенному Орбелиани, пошло в дальнейшем развитие грузинской просодии.

Вахтанг VI одобрил работу С.-С. Орбелиани, текст его редакции был признан каноническим. Под непосредственным наблюдением царя подготовили роскошное, богато и великолепно иллюстрированное рукописное издание грузинской редакции «Калилы и Димны». Издание снабжено портретами Вахтанга и Сулхана-Саба Орбелиани: Сулхан-Саба преподносит царю подготовленную им книгу «Калилы и Димны».

Орбелиановская редакция текста относится к 1717—1720 гг. Она широко распространена в Грузии как рукописно, так и печатно (печатные издания появились в 1886, 1949 и 1962 годах). Остальные же версии сохранились только в уникальных, преимущественно автографических, рукописных экземплярах.

Высокопарность стиля орбелиановской редакции дала повод Меликзадзу Бибудашвили переделать ее, сократить и упростить, сделав более удобочитаемой. По существу же Бибудашвили искажил и испортил текст, его «обработка» лишена какого бы то ни было литературного значения. Бибудовский вариант выполнен в 1838—1839 гг.

Недавно в одном рукописном письмовнике XVIII века обнаружено новое завещание к «Калиле и Димне» неизвестного автора. М. Тодуа полагает, что этим завещанием была снабжена недошедшая до нас версия «Калилы и Димны», базировавшаяся на вахтанговском переводе, что весьма и весьма спорно.

Наиболее полным и в значительной степени критическим изданием является издание орбелиановской редакции «Калилы и Димны», подготовленное к печати А. Барамидзе и Е. Метревели (Тбилиси, 1962, в двух книгах), Издание снабжено вступительной статьей, примечаниями и словарем.

По всем признакам Вахтанг располагал хорошим рукописным оригиналом «Калилы и Димны». Во всяком случае некоторые пробелы персидского оригинала, обнаруженные А. Барамидзе, М. Тодуа и Д. Кобидзе (особенно много примеров у Тодуа), при тщательном сличении персидского и грузинского текстов, удачно восполняются вахтанговским подстрочником. Вахтанговский перевод «Калилы и Димны» является важнейшим подспорьем для критики персидского текста и необходимым источником для научно-критического издания произведения Кашефи в оригинале. Конечно, не меньшее, если не большее значение имеет для критики наличного грузинского текста его персидский оригинал. В результате скрупулезного сличения грузинского и персидского текстов, проведенного, главным образом, М. Тодуа (а также А. Барамидзе и Д. Кобидзе), накопилось много материалов в подтверждение этого тезиса.

«Калила и Димна» в редакции Кашефи, как уже было сказано, снабжена многочисленными стихотворными образцами, принадлежащими первоклассным персидским и персоязычным авторам. Авторы эти не всегда названы у Кашефи. М. Тодуа проделана большая работа по выяснению авторства стихотворных образцов «Анвары Сухейли». Любопытно, что как установил Д. Кобидзе, в персидском тексте Кашефи отсутствует «ответ» Хатефи на известный отрывок из т. н. сатиры Фирдоуси на Махмуда Газневи. «Ответ» Хатефи зафиксирован в грузинских версиях «Калилы и Димны». Значит, его нужно восстановить в оригинале.

Грузинские версии «Калилы и Димны», помимо своего литературно-художественного значения, являются ценнейшим источником для выяснения многих важных вопросов персидско-грузинских культурных взаимосвязей в XVI—XVIII вв.

თრითინო

1899 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა წიგნი, რომელსაც სათაურად აქვს «Сборник грузинских легенд» (გვ. 468). ავტორად დასახელებულია Гульбат. გულბათის წიგნში დაბეჭდილია 23 ლეგენდა და მოთხრობა. მათი დიდი უმეტესობა მოიცავს ძველი საქართველოს ამბებს. პირველი მოთხრობაა „წვიმა“. მისი თემაა მეფე გიორგი პირველის სპასპეტის ასულ თამარისა და ბერძენი ქაბუჯის უიღბლო სიყვარული. მეორე მოთხრობაა „თრითინო“, რომელსაც ეძღვნება ჩვენი ნარკვევი. მესამე — „ფარნაოზი“ (ფურცელი საქართველოს ისტორიიდან). აქ დამუშავებულია „ქართლის ცხოვრებით“ შემონახული ცნობები მეფე ფარნაოზზე. ისტორიულ თემებზეა აგებული მოთხრობები თუ ლეგენდები „წმინდა ნინო“, „მეფე მირიანი“, „წმინდა მურვანოსი“ (პეტრე იბერის ცხოვრება) და სხვ.

როგორც ვთქვით, ამგზობის ჩვენ ყურადღებას იპყრობს ლეგენდა „თრითინო“ (გვ. 15—27), რომელიც უფრო ადრე გაზეთშიც დაიბეჭდა („მოსკოვსკიე ვედომოსტი“ 1891, № 82). სწორედ საგაზეთო პუბლიკაციაზე დამყარებით ალ. ხახანაშვილმა გაკვირით შენიშნა, იგი ამირანზე თქმულების გამოძახილი უნდა იყოსო (ნარკვევები, II, მოსკოვი, 1897, გვ. 164—165).

გულბათის წიგნის გამოსვლისთანავე მას პატარა, მაგრამ ფრიად საინტერესო რეცენზია მიუძღვნა აკაკი წერეთელმა (აკაკის კრებული, 1899, № 2; აკაკის თხზულებანი, VI, ლ. ასათიანის რედაქტორობით, 1957, გვ. 139). წერილის დასაწყისში რეცენზენტი აცხადებდა: „გულბათი ფსევდონიმი და რადგანაც ავტორს არა სურს თავისის სახელისა და გვარის გამომჟღავნება — არც ჩვენ გვაქვს უფლება მისი ვინაობა აღვიაროთ. ამას კი ვიტყვით მხოლოდ, რომ ის არის ქართველი, დიდი ჩამომავლობისა და ოჯახის ასული, რომელიც რუსეთში დაბადებულა, იქვე გაზრდილა

და, რასაკვირველია, დედაენა ვერ შეუსწავლია. მაგრამ უცხო ენებიდან კი რაც გაუგონია და გაუგია მისი სამშობლოს შესახებ, უყურადღებოდ არ დაუგდია. — გულსმოდგინებით და სიყვარულით უღვევებია თვალ-ყური. შეუსწავლია უფრო, რასაკვირველია, წარსული ჩვენი ცხოვრება და იმ ძველთაგან გამოუქრებია ეს ქართული ლეგენდები“ (დაყოფა ჩვენია — ა. ბ.). აკაკი წერეთელი მკითხველს აცნობებდა, რომ გულბათის მოთხრობები დროდადრო დაიბეჭდებოდა მის კრებულში. მათი გადმოქართულება იკისრაო აღექსანდრა მაკარის ასულმა მელიქოვისამ. წერილის ბოლოს რეცენზენტი ისევ შენიშნავდა, რომ ქართული ლეგენდების ავტორი სამშობლოს გარეთ ცხოვრობდა თუმცა „იმ სიშორედან“ სამშობლოსთან კავშირი არ გაუწყვეტია და „ქართულად უძგერია მის გულს“. აკაკის ეკუთვნის ამ გულბათზე დაწერილი პატარა საალბომო ლექსიც. მოგვყავს მისი ტექსტი:

უცხოენით მოსაუბრემ
 აღარიც შენ ქართულ,
 მაგრამ მაინც შეგ ჩენია
 ჩვენებური სული... გული!
 შენს ნაწერში ორივე სჩანს
 ჩაქსოვილა, ჩაქარგული...
 მადლობა ღმერთს, რომ შენ მაინც
 არ ხარ ჩვენთვის დაკარგული!

(აკაკის თხზულებანი, VI. გვ. 611)

აკაკი მოერიდა მისი თანამედროვე მწერლის ფსევდონიმის გაშიფრვას. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, გულბათი ყოფილა ფსევდონიმი გიორგი XII შვილის, ილია ბატონიშვილის ასულ ოლა გრუზინსკაიასი (ბაგრატიონისა). იგი დაბადებულა 1846 წელს, გარდაცვლილა 1913 წელს¹.

აკაკიმ დაპირებისამებრ იმავე 1899 წელს დაბეჭდა გულბათის წიგნის ერთი მოთხრობა — „თრითინო“ (აკაკის კრებული, V).

¹ სხვათა შორის. გულბათის წიგნის აი იშვიათ ცალს, რომელიც საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის კუონილეზაა, დაუცავს საყურადღებო მინაწერი რუსულ ენაზე. ეს მინაწერი გვაცნობს, რომ გულბათის ფსევდონიმის ამოხსნა მოხერხებულა ექიმ ივანე ელიაშვილის დახმარებით. მინაწერი შეიტყვის სხვა ცნობებსაც, რომელთაც ზოგიერთი მკვლევარი იყენებს წყაროს დაუსახებლად.

გულბათის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება სოლოზონ ცაიშვილის საინტერესო ნარკვევი — გულბათი (გაზ. „კომუნისტი“, 11. VIII. 55; ლიტერატურული ნარკვევები, 1965, გვ. 98—103).

სანამ სადავო ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს შევხებოდე, საჭიროდ მიმაჩნია მკითხველს გავაცნო მისი შინაარსი².

სპარსეთს განაგებდა მოხუცი შაჰი ჯემშიდი, რომელსაც შვილი არ ჰყავდა. „ემშაკის (იბლისის) მოწაფემ — აქდეჰაკმა მოახერხა ჯემშიდის მოხიბლვა“³. შაჰმა იგი იშვილა და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. შემდეგ ემშაკმა აქდეჰაკს მამობილი მოაკვლევინა. „მოხდა თუ არა ეს ბოროტმოქმედება, მყისვე მოჰყვა მას სასჯელიც... მკვლელის თვითთვის მხრითგან ამოძვრა თითო ვეებერთელა გველი... ეს გველები იკვებებოდნენ მხოლოდ ადამიანის ტვინით“. ჯემშიდისა და აქდეჰაკის დროს ცხოვრობდა ყველასაგან პატივცემული, კეთილშობილი და მდიდარი მოხუცი მოსე, რომელსაც ჰყავდა ერთადერთი მშვენიერი ასული ნანა. ნანას ნიშნობის გამო მამამ დიდი მეჭლისი გამართა. სასიძო იყო სპარსეთის სამეფო ოჯახის შვილი „პრინცი პიშ-დადიანი“. სახელად თრითინო. მეჭლისს დაესწრო და სასიძოს ნიშნობა მიულოცა თვითონ აქდეჰაკმა. იმ ღამესვე თრითინომ შეიტყო, რომ აქდეჰაკის გველვეშაპების გამოსაკვებად წილი ერგო ნანას. ნანა სასახლეში მიაცილეს თრითინომ და გამდელმა, ებრაელმა ქალმა. გამდელი ლოცულობდა და დახმარებას თხოვდა ისრაელთა ღმერთს. თრითინო მიეჭრა აქდეჰაკს „როგორც გრიგალი“, მიწაზე დაანარცხა და შეკრა, შემდეგ წაათრია მალალ და მიუვალ დემავენდის მთისაყენ, „მიამსკვალა იგი კლდეზედ“. „აქდეჰაკის სიკვდილის შესახებ არის ორგვარი თქმულება: ერთი ამბობს, რომ ისიც და გველებიც შიმშილით დაიხოცნენო, მეორე — ვითომ გველებმა ჯერ მოჰკლეს თვითონ იგი, მისი ტვინი შექამეს და შემდეგ კი თვითონაც დაიღუპნენ სიმშილითო. თრითინო კი სპარსეთის მეფედ გაეხადათ. მან ცოლად შეირთო ნანა, სასახლეში წაიყვანა გამდელი, რომელიც უხვად დაასაჩუქრა და აგრეთვე მოსეც, რომლის გონიერული რჩევით ხელმძღვანელობდა სამეფოს მართვა-გამგეობაში“.

„მოსეს რჩევით გაგზავნა მან სპასალარი არდამი ქართლში, რათა დაეპყრა ეს კურთხეული ქვეყანა. არდამმა დახოცა იქ მოპარპაშე ხაზარნი. დაიპყრა ყველა ქალაქები და ციხეები და აღაშენა

² გულზათის წიგნიდან „თრითინო“ გადმოიქცა მ. ჩიქოვანმა (Сказание и легенды, 1953, გვ. 91—95; შენიშვნები, გვ. 211—212).

³ ბრძველებში ჩასული ტექსტები მოყვანილია „აქაკის კრებული“ მიხედვით.

კასპის ზღვის ნაპირზედ ქალაქი დარუბანდი, რომელიც ნიშნავს „დახურულ კარს“. მან შემოაგლო ზღუდე მცხეთას. ეს პირველი შენობა იყო ქვიტიკისა. ამაზე წინად ქართველები სახლებს ან ხისას აკეთებდნენ, ან კლდეში გამოკვეთილს და ან ქვისა და ალიზისას... ქვითა და კირით ალაშენეს ციხის კედელი არმაზში და ასევე დამთავრებულ იქმნა ციხის კედელი არმაზის მთის მიყოლებაზე მდინარე მტკვრამდე“.

„ქართველნი მადლობით იხსენიებენ თრითინოს მეფობას: რომელსაც ქართულად აფრიდუნს უწოდებენ“. ქართველების დახმარებით არდამმა განდევნა ხაზარები. განთავისუფლებულმა ხალხმა „მადლობის ნიშნად აფრიდუნი გაამეფა“. დასასრულ გულბათი ურთავს: „პლინი ამბობს, რომ აფრიდუნის დროს დარიალის კარის სამხრეთით, მთაზედ ამართულ იქნა ციხე, „პუმანიად“ სახელწოდებული. ეხლა ქართველობა ამ ადგილს უწოდებს სოფელს „ქუმნისციხეს“. იქაური მცხოვრებნი ეხლაც აკეთებენ იარაღს, რომელიც განთქმულია მთელ აღმოსავლეთში. მეტადრე ცნობილია და დიდათაც ფასობს იქაური მოწამლული დანები, რომელსაც ბებუთს უწოდებენ“.

აკაკი წერეთლის მიერ გამოქვეყნებული „თრითინოს“ გაცნობამ კ. კეკელიძეს საფუძველი მისცა დაესკვნა: „შაჰნამეს ეპიზოდები, ზოგიერთები მაინც, უძველესი დროიდან დადიოდა ჩვენში. ამას, სხვა არა იყოს, ადასტურებს ზღაპარი „თრითინო“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1941, გვ. 87).

კ. კეკელიძის მოსაზრება განავითარა და მისი დასაბუთება სცადა სოლ. ყუბანეიშვილმა (ლიტერატურული და ხალხური ზააქიანი, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, XIV, № 6, 1953, გვ. 377—382). დაბეჭდვაზე ადრე თავისი ნაშრომი ს. ყუბანეიშვილმა სამეცნიერო საზოგადოებას გააცნო მოხსენების სახით (27. I. 42). კ. კეკელიძის შენიშვნისა და ს. ყუბანეიშვილის მოხსენების გათვალისწინებამ გ. ახვლედიანს აფიქრებინა, რომ ავესტასთან „გარკვეულ კავშირშია ქართული ზღაპარი თრითინო“ (ავესტა, მასნა, 9, თარგმანი და კომენტარი, „ლიტერატურული ძიებანი“ II, 1944, გვ. 1—4). გ. ახვლედიანის ვარაუდით. „ავესტის ღიმა მეფე იგივე ჩვენი ზღაპრის ქვეშედიდა, ავესტის თრაეტონა — იგივე ქართული თრითინო“.

1 კეკელიძე-ყუბანეიშვილის თვალსაზრისი გაიზიარეს ქართველმა ირანისტებმა, დ. კობიძემ და ალ. გვახარიაშვილმა. დ. კობი-

ძე პირდაპირ ამბობს: „შაჰნამეს სპარსულ რედაქციაში წარმოდგენილი ზოგი თქმულება რომ ჩვენში გაცილებით ადრე ყოფილა შემონასული, ვინემ შაჰმანე გაფორმდებოდა ახალ სპარსულ ენაზე, ამას ნათლად ადასტურებს თრითინოს ამბავი, რომელიც ჩვენში ძველად ყოფილა გავრცელებული და ჩაწერილია როგორც ქართული თქმულება“ (ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, II, 1969, გვ. 102; კურსივი აქაც და ქვემოთაც ჩვენია — ა. ბ.). უნდა შევნიშნოთ, რომ დ. კობიძეს არ აქვს დასახელებული რაიმე წყარო. ალ. გვახარია თავის გამოუქვეყნებელ სადისერტაციო ნაშრომში წერს: „ირანული ლეგენდები თავისებურად აირეკლა ქართულ ფოლკლორში. ამ მხრივ აღსანიშნავია ზღაპარი თრითინოს შესახებ. ზღაპარი ჩაუწერია და რუსულად გამოუქვეყნებია გულბათს (ოლლა გრუზინსკაიას)... აქ მოთხრობილია აჯეჰაჰისა და იბლისის დამეგობრების შესახებ“ (სპარსული ხალხური დასთანების ქართული ვერსიები, თბ., 1970, გვ. 179. წყაროდ ალ. გვახარია იმეორებს ს. ყუბანეიშვილის ნარკვევს.

ეტყობა, ფოლკლორისტი მ. ჩიქოვანიც იზიარებს კეკელიძე-ყუბანეიშვილის თვალსაზრისს. იგიც ზოგადად აცხადებს (უშუალო წყაროზე მიუთითებლად): „ჩვენში თრითინოს ზღაპარი არსებობს, რომელსაც კავშირი აქვს არა შაჰნამესთან, არამედ ძველს ირანულ ეპოსთან“ (მიჯაჭვეული ამირანი, თბ., 1947, გვ. 270; მისივე, ქართული ეპოსი, II, თბ., 1965, გვ. 202); მისივე, Амрашани, თბ., 1960, გვ. 196).

ამრიგად, წყაროზე მითითებით თუ მიუთითებლად და რაიმე ახალი საბუთის მოუხმობლად მკვლევარნი ჩვეულებრივ იმეორებენ კეკელიძე-ყუბანეიშვილის დებულებას „თრითინოს“ უძველესი დროიდან წარმოშობის თაობაზე.

უწინარეს ყოვლისა, გასარკვევია გულბათის „თრითინოს“ წყაროს საკითხი. ს. ყუბანეიშვილი ორგზის შენიშნავს, რომ „თრითინოს“ ამბავი ჩაწერილია გულბათის მიერ (გვ. 378, 381). დ. კობიძეც ამბობს, რომ იგი „ჩაწერილია როგორც ქართული თქმულება“ (გვ. 102). ალ. გვახარია მკითხველს არწმუნებს რომ ზღაპარი თრითინოს შესახებ „ჩაუწერია და რუსულად გამოუქვეყნებია გულბათს“ (გვ. 179). „ჩაწერია“ (ჩაწერილია, ჩაუწერია) ფოლკლორისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ენაზე სრულიად გააკვეთილი შინაარსის მქონე სიტყვა-ცნებაა. ეს სიტყვა-ცნება უსწოროდ არის მოხმობილი მკვლევრების მიერ. გულბათი არცაღ არაფერს ამბობს, თითქოს მან ჩაიწერა ლეგენდა თრითინოს ან სხვა ამბის

შესახებ. წიგნის შესავალში ავტორი აღნიშნავს, რომ ძველი ლეგენდები და გადმოცემები მან შეკრიბა. ავტორის სიტყვებიდან ისიც კარგად ჩანს, თუ როგორ და საიდან შეკრიბა (თუ გამოკრიბა) ეს მასალები. გულბათი სინანულს გამოთქვამს, რომ მისი ნ ა ა მ ბ ო ბ ი არ არის სრულყოფილი («впол.не сознаю несовершенство моего изложения»). იგი იმედოვნებს, რომ გამოჩნდებიან ნიჭიერი ახალგაზრდა თანამემამულენი, რომლებიც არ დაიზარებენ ალადგინონ ამ ლეგენდების თავდაპირველი მომხიბლაობა. თავის ნაამბობს (მოყოლას) გულბათი უწოდებს მოხუცის ლულულს («старческий лепет»). სხვაგანაც იგი ისევ და ისევ გულისტკივილით იმეორებს, რომ ხანდახმულს, სნეულს, ხელმოკლეობითა და დარდით შეკირვებულს საღ შეუძლია გადმოსცეს, უკეთ, აღწეროს («описать») ძველი ლეგენდების ამოუწურავი საგანძურის შნო და ლაზათი („გრაცია“). აქ ერთი რუსული ციტატიც უნდა დავიმოწმო: : «У меня нет больше тех юных, пылких слов, тех нежных красок, которыми следует писать народные светлые картинки». «Я их пишу — განაგრძობს ავტორი — только потому, что их здесь никто не знает и жаль будет, если, с моею смертию, они пропадут все». და კვლავ იმედი, იქნებ გამოჩნდეს ახალგაზრდა, დახელოვნებული მწერალი, რომელიც უფრო მიმზიდველს გახდის მის მიერ მოყოლილ ამბავს. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ აკაკი წერეთელი გულბათის ნაშრომების თაობაზე ხმარობს გამოთქმას „ნაწერს“ („შენს ნაწერში...“).

გულბათის დამოწმებული სიტყვები აშკარად ცხადყოფს, რომ „ქართული ლეგენდები“ მას არვისგან არ ჩაუწერია: გულბათი მოგვითხრობს, გვიყვება (მისი სიტყვით, უბრალო, მიაბიძურა ენით) ქართველთა ძველი საამაყო ადათჩვევებისა და სასახელო ზნეობის ამსახველ ამბებს. შესაძლებელია ზოგი რამე მას ზეპირადაც ჰქონოდა გაგონილი, მაგრამ უმთავრესი ცოდნა მაინც ნაკითხობით, წიგნებით შეუძენია. აკაკი წერეთელი ზომ გარკვევით მიგვანიშნებს გულბათის „ლეგენდების“ „წყაროებზე (აკაკი პირადად კარგად იცნობდა ოღლა გრუზინსკიას). აკაკის მოწმობით, „ლეგენდების“ ავტორი იყო დიდად განათლებული პირი, უცხო ენების მცოდნე, რომელიც მოწყდა მშობლიურ ნიდაგს, არ იცოდა დედაენა, თუმცა ქართველურად უცემდა გული, ბევრს კითხულობდა, სწავლობდა. ასე გაუცნია მწერალს საქართველოს წარ-

სული, ასე „გამოუყრებია“ და დაუმეშავებია მას ის მასალები, რაც შეადგენს „ქართული ლეგენდების“ შინაარსს.

საყურადღებო ის არის, რომ ს. ყუბანეიშვილიც აღიარებს. გულბათს გარკვეულად უსარგებლია რიგი ლიტერატურული წყაროთი, სახელდობრ, ლეონტი მროველისა და პლინიუსის მასალებით. მკვლევარმა ერთმანეთს შეუდარა ლეონტის ცნობები გულბათის მონათხობის „ბოლო ნაწილს“ (აფრიდუნის მიერ არდამის გაგზავნა ქართლში და მისი საქმიანობა) და ასეთი დასკვნა გამოიტანა: „როგორც ვხედავთ, ხალხური (!) და ლიტერატურული ცნობები ზუსტად ერთხვევია ერთმანეთს. ამ შემთხვევაში ჩამწერს (!) ლეონტის ცნობა უნდა ჰქონდეს გამოყენებული, რომელსაც ის გაეცნობოდა ბროსეს ფრანგული თარგმანით“ (გვ. 381). სავსებით სწორი დასკვნაა. ასევე სწორია ს. ყუბანეიშვილის მოსაზრება, რომ გულბათი პლინიუსის ცნობებსაც იყენებდა (იქვე). ამისდა მიუხედავად, ს. ყუბანეიშვილი დაბეჯითებით ცდილობს დაგვარწმუნოს თითქოს „თრითინოს“ უმთავრესი ამბავი ზეპირი გზით არის ჩვენში შემოსული და ჩაწერილია გულბათის მიერ. ფრიად მნიშვნელოვანია ს. ყუბანეიშვილის დაკვირვება, რომ გულბათის „ჩაწერილ“ ლეგენდას „ვარიანტები არ მოეპოვება“ (გვ. 381). იბადება კითხვა, როგორ მოხდა, რომ „თრითინოს“ ნაკვალევი არსად ჩანს ფოლკლორით ეგოდენ მდიდარ საქართველოში, ხოლო იგი ჩაუწერია უცხოეთში მცხოვრებსა და მშობლიური ენის უცოდინარ პირს? ნუთუ მარტო ეს გარემოება არ ხდის საეჭვოდ „თრითინოს“ ფოლკლორული წარმოშობის ვერსიას?! მერე და, თუ ზააქის შესახებ თქმულება ძველთაძველი დროიდან გავრცელდა ჩვენში, როგორ შეინარჩუნა ხალხურმა მეხსიერებამ საუკუნეების მანძილზე სრულიად უცვლელად თქმულების მთავარი პერსონაჟის ძნელად გამოსატყმელი სახელწოდება აჟდეჰაკი? (თარგმანით ის ერთგვარად გამარტივებულია — აჯეჰაკი). აჯდეჰაკის ვითომც მამობილს სპარსეთის შაჰს გულბათის მიერ „ჩაწერილი“ ლეგენდით ეწოდება ჯემშიდი. ყველა ქართული წყარო კი მის სახელს იცნობს ფორმით ჯიმშიდი. ჯემშიდი სწორი სპარსული მწიგნობრული ფორმაა, მაგრამ ქართულ მწერლობაში მან ფეხი ვერ მოიკიდა, რაღა ხალხურმა თქმულებამ შეუნახა უცვლელად ეს მწიგნობრული იერი? როგორც ვთქვით, წმინდა მწიგნობრულია ფორმა აჯდეჰაკი. ს. ყუბანეიშვილს მხედველობიდან არ გამორჩენია ის გარემოება, რომ აჯდეჰაკის ამბავი

„ჩაწერილი“ აქვს ძველ სომეხ ისტორიკოს მოსე ხორენელს (გვ. 380). ოღონდო, შენიშნავს, აუღეპაკი ზააქის ეპითეტია, სომხურში ეს პერსონაჟი სრული სახელწოდებით არის მოხსენებული — „ბიურასპ აუდაპაკად“. ქართულში სახელწოდება შეცვლილია, აქ იგი აუდაპაკად ანუ აჯეპაკად იწოდება მხოლოდო. ს. ყუბანეიშვილის სიტყვით, „როგორც ირკვევა, ზააქი ამ ორი სახელით ყოფილა ჩვენშიც ძველად ცნობილი“.

ჯერ ერთი, ს. ყუბანეიშვილი გარკვევით არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ საიდან ირკვევა („როგორც ირკვევა“!), რომ ზააქი ჩვენში ორი სახელით იყო ცნობილი. თითქოს საამისო საბუთს მკვლევარს აძლევს ლეონტი მროველი: XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი „ზააქის ნაცვლად ბევრასპის (!) აღნიშნავსო“ (380). თანაც ირწმუნება, ლეონტი ზეპირი ცნობებით კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ პირდაპირ ფირდოუსის შაჰნამეთით; შაჰნამეში კი ზააქია ნახსენებია. ამბობს და სვამს კითხვას: „მაშ, რაშია საქმე“? პასუხი მზადაა: „საფიქრებელია, რომ ლეონტი მროველმა განგებ შეცვალა ზააქი ბევრასპად. ალბათ მის დროს ზააქი ამ ეპითეტით ყოფილა ფართოდ ცნობილი, რათქმუნდა, თქმულების გზით, და ფირდოუსის გმირი რომ ფართო მასისათვის (!) ყოფილიყო გასაგები, ამიტომ უცნობი ზააქი შეცვალა ცნობილ ბევრასპად“ (გვ. 380).

ამრიგად, ს. ყუბანეიშვილის თანახმად, სომხური წყარო (მოსე ხორენელი) ზააქს უწოდებს ბიურასპად აუდაპაკს, ქართულ ხალხური თქმულება — აუდაპაკს ანუ აჯეპაკს, ლეონტი მროველი კი — ბევრასპის თუ ბევრასპს.

ს. ყუბანეიშვილის ფიქრით, ლეონტი მროველს ზააქის სახელი ბევრასპად იმიტომ შეუცვლია, რომ მაშინ ზეპირი თქმულებების კვალობაზე ზააქი სწორედ ამ სახელწოდებით ყოფილა ფართოდ ცნობილი („ფირდოუსის გმირი რომ ფართო მასისათვის ყოფილიყო გასაგები, ამიტომ უცნობი ზააქი შეცვალა ცნობილ ბევრასპად“). კეთილი და პატიოსანი: აღნიშნულის გამო ჩვენ გვებადება რამდენიმე კითხვა:

1. ნუთუ ლეონტი მროველი მართლაც „ფართო მასისათვის“ წერდა თავის საისტორიო თხზულებას, რომ იმის გემოვნებისა და ინტერესებისათვის შეეფარდებინა თავისი მონათხრობი?!

2. უნდა ვიცოდეთ, რომ ბევრასპს უწოდებს ზააქს თვითონ ფირდოუსიც. პოეტი საგანგებოდ განმარტავს ამ ზედწოდების ში-

ნაარსს, ბევრასპი ფალაურად ათი ათას ცხენს ნიშნავსო (შაჰნამე სპარსულ ენაზე, I, 84—85, მოსკოვი, 1960). საქმე ისაა, რომ ზააქი ცხენის დიდი ჯოგის პატრონი იყო, ამიტომაც შეუჩქმევიანთ ბევრასპი: ამ სიტყვა-კომპოზიტის პირველი ნაწილი ბევრ ნიშნავს ათი ათასს (აქედანაა ქართული ბევრი) ასპი ცხენია (შდრ. ასპარეზ). რა თქმა უნდა, ფირდოუსი ხშირად ხმარობს ზააქის მეორე ეპითეტს — აედეჰაკს, ოღონდ ახალი სპარსული ფორმით — აედჰა. თუ იმასაც მოვიგონებთ, რომ ს. ყუბანეიშვილის სწორი მოსაზრებით, ლეონტი მროველი იცნობდა ფირდოუსის შაჰნამეს და იმით სარგებლობდა, ცხადია, ქართველი ისტორიკოსი იქიდანვე (შაჰნამედანვე) აიღებდა ზააქის სახელწოდება ბევრასპსაც. ს. ყუბანეიშვილი მაინც დაჟინებით ამბობს, შაჰნამეში ზააქია ნახსენები, თქმულებაში აჰაჰაკად ყოფილა ცნობილი ის გმირი, რომელსაც ფირდოუსმა ზააქი დაარქვა“ (გვ. 380). უცნობი ზააქი ქართულში შეცვლილია ცნობილი ბევრასპით ზეპირი თქმულების ზემოქმედების შედეგად.

ს. ყუბანეიშვილის მსჯელობა ლოგიკის კანონს არ ეგუება. თუ ლეონტი მროველი ფირდოუსის შაჰნამეთი სარგებლობდა, როგორც ვთქვით, იქიდანვე აიღებდა ეპითეტ ბევრასპს. რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ეპითეტს ისტორიკოსი იმ თქმულებას დაესესხებოდა, რომლის არსებობა ჯერ კიდევ დასამტკიცებელია. ს. ყუბანეიშვილს უნდა მოეხსენებოდეს, რომ შაჰნამე იცნობს როგორც ზააქს, ისე ამ გმირის ორივე ეპითეტს — აედჰასა და ბევრასპს. ს. ყუბანეიშვილი შაჰნამეს ქართული ვერსიით სარგებლობდა და ეს მნიშვნელოვანი გარემოება ვეღარ გაითვალისწინა.

3. და ბოლოს: თუ ძველი თქმულებით ზააქი მართლაც იმდენად ფართოდ იყო ცნობილი ეპითეტით ბევრასპი, რომ ლეონტი მროველიც კი აიძულა გმირისათვის სახელი შეეცვალა, რატომ არ შერჩა თვითონ თქმულებას ეს პოპულარული სახელწოდება (ბევრასპი) და გულბათმა აედჰაკად „ჩაიწერა“ იგი? რად დაიკარგა თითქო ცნობილი და ფართოდ გავრცელებული ბევრასპი და რა გზით გაჩნდა იმის სანაცვლოდ აედჰაკი? საიდან აიღო გულბათმა სახელი აედჰაკი? ხალხურ გადმოცემაში ხომ მისი არსებობა მოსალოდნელი არ იყო, იქ გვექონია ბევრასპი?! როგორ მიიღო და საუკუნეების მანძილზე უცვლელად როგორ შეინახა ხალხმა წმინდა მწიგნობრული ფორმები აედჰაკი და ჯემშიდი?

თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, მაშინ ცხადი გახდება,

რომ გულბათს არავითარი ხალხური ლეგენდა არ ჩაუწერია, ის სარგებლობდა რუსულ და უცხო ენებზე არსებული მწიგნობრული წყაროებით. რასაკვირველია, მისი უმთავრესი წყარო იყო ლეონტი მროველი (ფრანგული თარგმანის მეშვეობით), მას უნდა ესარგებლნა მოსე ხორენელის ისტორიითაც (1858 წელს დაიბეჭდა მოსკოვში ხორენელის ემინისეული თარგმანი). საფიქრებელია, რომ სწორედ აქედან აიღო გულბათმა თავისი პერსონაჟის სახელწოდება აუდეჰაკი. გულბათისათვის თარგმანების საშუალებით ხელმიუწვდომელი არ დაჩებოდა არც თვითონ სპარსული წყაროები, მას ადვილად შეეძლო გაცნობოდა ავესტასა და შაჰნამეს. მწიგნობრული წყაროებიდან აქვს აღებული გულბათს თავისი მოთხრობის პერსონაჟთა სახელები: იბლისი, აუდეჰაკი, ჯემშიდი, აფრიღუნი. ამავე ლიტერატურული წყაროებიდან მომდინარეობს აუდეჰაკის მხრივ ჯემშიდის მოკვლის, მხრებზე გველებს ამოსვლის, შურის გების, დემავენდის მთის კლდეზე მიჯაჭვის ამბები (შესაძლებელია, რომ თრითინოც თრატეონას გააზრება იყოს). მწიგნობრული წყაროებით ცნობილ ამ სიუჟეტში გულბათს ჩაურთავს მის მიერ მოგონილი ამბავი თრითინოსა და ნანას რომანტიკული სიყვარულის თაობაზე. ავტორის ფანტაზიის ნაყოფია მოთხრობის პერსონაჟები — მოსე, ებრაელი გამღელი. რომ მისი მოთხრობა საკითხავად უფრო საინტერესო და მიმზიდველი ყოფილიყო, მწიგნობრული წყაროებით კარგად ცნობილი ამბავი ოლლა ბაგრატიონმა შეაგესო მის მიერ მოგონილი ახალი ეპიზოდებით, კერძოდ, თრითინოსა და ნანას სიყვარულის ისტორიით. ამდენად, „თრითინოსაც“ და „ქართული ლეგენდების“ დიდ ნაწილს გარკვეული ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს, იგი ავტორის შემოქმედებითა შრომის ნაყოფია, თუმცა ზოგჯერ მწერალი უთუოდ სარგებლობდა საკუთრივ ფოლკლორული მასალებითაც (ასეთია, მაგალითად, ეთერიანი). „ქართული ლეგენდების“ მწიგნობრული თუ ფოლკლორული წყაროების ძიება უნდა გადრმავდეს. ურიგო არ იქნებოდა ოლლა ბაგრატიონისა და მისი ლიტერატურული მოღვაწეობის დაწვრილებითი მონოგრაფიული შესწავლა.

ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОГО КНИГОПЕЧАТАНИЯ

Уважаемый товарищ редактор!*

В ответ на Ваше любезное предложение я попытаюсь очень кратко (как Вы и просите), без полемики и специальных разъяснений изложить в позитивном плане результаты, полученные в последнее время главным образом исследованиями научной сотрудницы Института рукописей АН СССР Христины Шарашидзе в области истории грузинского книгопечатания¹.

Истоки грузинского книгопечатания в России и Грузии² непосредственно связаны с деятельностью двух выдающихся венгерских книгопечатников — Миклоша Киша (1650—1702) и Михая Иштвановича (XVII—XVIII вв.).

Миклош Киш по поручению эмигрировавшего в Россию имеретинского («милитинского») царя Арчила (1647—1713), изготовил и отлил в 1686/87 гг. в Амстердаме грузинский церковный шрифт. Киш действовал через ученого шведа Иоганна Шпарвенфельда, находившегося тогда в Москве, и Амстердамского бургомистра Николая Витцена (1640—1719)³.

Вследствие изменившихся в Грузии политических обстоятельств, Арчил был вынужден покинуть Москву и возвратиться на родину в 1688 году, а годом раньше из Москвы выехал в Швецию и Шпарвенфельд. Грузинский шрифт не

* Имеется в виду редактор венгерского журнала «Központ».

¹ Грузинский шрифт в Амстердаме, Тб., 1937 (на груз. яз.); Первая типография в Грузии, Тб., 1955 (на груз. яз.).

² Раньше, с 1629 года грузинские книги печатались в Риме.

³ Автора книги «Noord en Oost Tartarye» (Амстердам, 1785, изд. 3)

был доставлен по назначению, он залежался в Амстердаме, а потом попал в Стокгольм. Дело в том, что Арчил в 1699 году окончательно переселился в Россию, для жительства получил село Всехсвятское (около Москвы) и приступил к кипучей культурной деятельности; в первую очередь, он позаботился об открытии грузинской типографии. Старший сын Арчила, царевич Александр, ближайший сподвижник Петра Первого, генерал фельдцейхмейстер русской службы, в 1700 г. под Нарвой попал в плен к шведам и долгое время находился в Швеции, преимущественно в Стокгольме. Воспользовавшись пребыванием сына в Швеции, Арчил возобновил домогательства для получения печатного шрифта, отлитого Кишом. Царевич Александр вскоре действительно раздобыл этот шрифт (по-видимому, с помощью Шпарвенфельда) и с него был отпечатан пробный оттиск в 1703 г. Однако сразу же переслать их (оттиск и шрифт) в Москву не удалось из-за военного времени и бездорожия. Задержка с получением шрифта из Стокгольма вынудила Арчила позаботиться с подготовкой новых «литеров». В 1705 г. в Московской типографии был напечатан Псалтырь. Сравнение шрифта этого издания со стокгольмским пробным оттиском указывает на их значительное расхождение. Тем не менее не подлежит сомнению, что грузинский церковный шрифт впервые был изготовлен и отлит в Амстердаме, в восьмидесятих годах XVII века Миклошем Кишом, и с этого шрифта был отпечатан также первый экспериментальный оттиск в Стокгольме в 1703 г.

Два очень важных письма Миклоша на латинском языке, посвященных вопросам изготовления грузинского шрифта, в настоящее время хранятся в библиотеке шведского города Линкепинга (кстати, в этом городе некоторое время проживал царевич Александр Арчилович). Копии этих писем в переводе на грузинский язык опубликованы Хр. Шарашидзе в указанной выше работе (Грузинский шрифт в Амстердаме)⁴.

⁴ Деятельности Арчила на поприще книгопечатания посвящена, между прочим, недавно опубликованная моя маленькая заметка «Из истории грузин-

Значительно большее значение для грузинской культуры имела, конечно, грузинская типография, основанная Вахтангом Шестым (1675—1737) в Тбилиси в 1707—1708 гг. В этой типографии печатались не только церковные книги (как в Московской типографии), но и светские, а также учебные пособия. Именно из Тбилисской типографии вышло первое печатное издание поэмы Руставели «Витязь в барсовой шкуре», т. е. Вахтанговская редакция поэмы, с пространными научными комментариями ученого издателя. Оборудовал тбилисскую типографию, изготовил для нее шрифты (церковный и гражданский) известный книгопечатник Михаил (Михай) Иштванович. Он был направлен в Грузию для организации печатного дела по рекомендации его знаменитого учителя, великого просветителя, ученого и писателя Румынии (Валахии) Антима Иверяну (1650—1717), родом грузина. До нас дошло десять книг, напечатанных Михаилом Иштвановичем в продолжении трехлетнего периода его деятельности (1709—1711). В 1712 г. Иштванович был послан в Голландию для усовершенствования своей квалификации в области печатного дела и приобретения нового оборудования для тбилисской типографии. Он благополучно доехал до Амстердама (через Москву), но дальнейшая его судьба нам неизвестна. Во всяком случае в Грузию он не возвращался. Нам хочется особо подчеркнуть, что все свои грузинские публикации Михай Иштванович подписывал как «Михаил Стефанес-швилли унгро-влахели», что значит «Михаил — сын Стефана, венгр из Валахии». В данном случае он просто повторяет прием своего славного учителя Антима Иверяну, последний, хотя и был большим национальным деятелем Румынии, однако не забывал своего происхождения и всегда именовал себя как Иверяну, т. е. иверец, грузин. Михай Иштванович тоже был румынским деятелем, посланцем в Грузию Валахского господаря Константина Брынковиану (по рекомендации Антима), но и он не забывал своего венгерского происхождения («венгр из Валахии»).

ского книгопечатания». (маленькая заметка по поводу статьи В. Молча). См. А. Б а р а м и д з е, Исследования, V, 1971, стр. 351—355 (на груз. яз.).

Таким образом, оба первых замечательных деятеля грузинского книгопечатания были по национальности венграмми, еще в далеком прошлом заложившими основы дружбы венгерского (также румынского) и грузинского народов, так пышно расцветшей в годы социалистической жизни этих народов⁵.

⁵ Кроме упомянутой выше книги Хр. Шарашидзе, очень важными для истории грузинского книгопечатания, особенно Тбилисской типографии Вахтанга, являются работы А. Шанидзе (К истории грузинской типографии, «Литერатури Мемкვიდრეობა» — «Литературное наследство», I, Тб., 1935) и Г. Леонидзе (Антим Ивернану, журнал «Дроша», 1951, № 2).

ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები

ილია ჭავჭავაძეს ხშირად უყვარდა ლეიბნიცის აფორიზმის დამოწმება — „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“. ეს აფორიზმი უძღვის ეპიგრაფად ილიას „ქართლის დედას“. თავისი ქვეყნის უკეთესი აწმყოსა და უკეთესი მერმისისათვის თავგამოდებით მებრძოლი ილია ჭავჭავაძე არასოდეს ივიწყებდა მშობლიური ქვეყნის დიდებულ წარსულს, რადგანაც მას ღრმად სწამდა: „უწარსულოდ აწმყო უფესვო ნერგია, თავ-გაუტანელი, ფეხმოუკიდებელი... აწმყოს, რომელსაც წარსული არა აქვს, არც მომავალი აქვს, იმიტომ რომ, ერთის მეცნიერისა არ იყოს, — „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“¹ ილიას სიტყვით, „ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა“². ილია ჭავჭავაძე, როგორც მოაზროვნე, როგორც მეცნიერი, როგორც პოეტი-მოქალაქე, გატაცებით სწავლობდა, იკვლევდა, იძიებდა მშობლიური ქვეყნის წარსულს, მის სახელოვან ისტორიას, მის დიდ კულტურას, მისი ხალხის ტრაგიკული ცხოვრების ამბავს. ილიას ის უკლავდა გულს, რომ თუმცა „ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისის ცხოვრებითა და თვითმოქმედებითა“, მაგრამ „ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუღმუშავებელი“³, რომ ოფიციალურ საისტორიო ქრონიკებში არ ჩანდა ხალხის თავგადასავალი, ხალხის ცხოვრება. „საქმე ხალხია, ამბობდა ილია, და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანსო“⁴. ხალხის მოჭირნახულე პოეტი ამაზე ჩიოდა შემდეგაც: „ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა

¹ ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრ. კრებული, ტ. II, თბილისი, 1941, გვ. 81.

² იქვე, გვ. 95.

³ იქვე, გვ. 483.

⁴ ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, I, 1925, გვ. 373.

ისტორია, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებულნი“⁵.

ქართველი ხალხის დიდი ისტორიული წარსულის შესწავლასა და მართებულ გაშუქებას, ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, უნდა დაესაბუთებინა ამ ხალხის კულტურული მოწიფულობა და მისი უცილობელი უფლება აწინდელი ეროვნული სიცოცხლისა და თვით-მყოფობისათვის. ამიტომაც, უღმობელად ებრძოდა ილია საქართველოს ისტორიის ყველა გამყალბებელს, ყველა ჭურის ნიპილისტსა და უარისმყოფელს. ილიას ინტერესთა წრე მოიცავდა საქართველოს ისტორიული წარსულის ყოველ მხარეს. ჩვენ აქ ვეხებით მხოლოდ ილიას დამოკიდებულებას ძველი ქართული მწერლობის საკითხებისადმი. ილია იყო ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი მცოდნე და პირუთენელი დამფასებელი. ილიამ კარგად იცოდა, რომ ახალი ქართული მწერლობა ძველი ქართული მწერლობის ბუნებრივ განვითარებას წარმოადგენდა. ახალი ქართული მწერლობის სასიცოცხლო ინტერესებიც აიძულებდა მას გულისხმიერად მოპყრობოდა ძველი ქართული მწერლობის საკითხების საფუძვლიანად გამოძიების საქმეს. წარსულის შესწავლისათვის ილიას საეაღდეულოდ მიაჩნდა ისტორიზმის პრინციპებით ხელმძღვანელობა. მისი სამართლიანი მოსაზრებით, „ქემშარიტი მეთისტორიე“ შესაფერი-სი წარსული „დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა“ (II, 346). საგულისხმოა, რომ თუმცა ილია ჭავჭავაძე სასტიკად ებრძოდა ანტონ კათალიკოსის გრამატიკული ნორმების დამცველებს XIX საუკუნის სამოციან წლებში (რადგანაც ამ ნორმებმა მოჰამეს თავისი დრო), იგი დიდად აფასებდა ანტონ კათალიკოსის თავისთავად მნიშვნელოვან ისტორიულ ღვაწლს თავის დროისათვის. ილია შენიშნავდა: „ნურავინ ნუ გაიფიქრებს, რომ არ მესმოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათალიკოსისა. ანტონი დიდს ალაგს დაიჭერს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმომადგენელი იმ დროის საქართველოს განათლებისა. მაგრამ ეხლა რომ პოეზიის განხილვა იმ დროის კანონებით მოვიხდომოთ, ძალიან შეეცდებით“ (II, გვ. 32, შენ.). ილიას შეხედულებით, ლიტერატურის განვითარება გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება. ამ მხრივ გამონაკლისებს არც გენიოსები წარმოადგენენო. „ნურავინ ნუ იფიქრებს, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — რომ ჩვენ ვამბობდეთ, ვითომც გენიოსი ცილამ იყოს ჩამოსული. ისიც

⁵ ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრ. კრებული, ტ. II, 1941, გვ. 483.

ისეთივე ნაყოფია თავის დროებისა, როგორც სხვანი. მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწიფებული. ის თავის ძლიერი მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თვითონ ცხოვრებაში, ე. ი. ცხოვრების შიგ-მდებარეობასა; მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავალისა“ (გვ. 40; შდრ. გვ. 627). სწორედ ამიტომ იყო ილიას ყურადღების ცენტრში დიდი გენიოსი შემოქმედი შოთა რუსთველი, ეს „დიდი სახსოვარი“ და ნამდვილი „წმინდათაწმინდა“, რომლის პოემას „მთელმა ერმა შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თვისნი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი...“ (II, 434).

რამდენად მცდარია ილია ჭავჭავაძის ნააზრევთან შედარებით აკად. ნ. მარის მიერ ერთ დროს წამოყენებული დებულება, ვითომც შოთა რუსთველი მეტეორივით გამოჩნდა ქართული კულტურის ცაზე და თითქოს მას არაფერი საერთო არა ჰქონია არც ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებასთან⁶.

ილია ჭავჭავაძეს მხედველობიდან არ გამოპარვია ის გარემოება, რომ „ახალ მოლექსეებს, ზოგიერთს გარდა, დიდი კავშირი აქვსთ ძველებზედა“, ხოლო ეს კავშირი როდია „ისტორიული განვითარების“ შედეგი, ის უბრალო წამბაძველობააო. „ეხლანდელი მოლექსენი⁷, — ამბობს ილია, — თითქოს იმას იმეორებენ, რაც უწინდელებს უთქვამთ, ისეთ-ნაირად ჰგეანან ამათი აზრები იმათ აზრებს, ამათი მიმართულება — იმათ მიმართულებათა“ (II, 624).

რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძე, პირველ ყოვლისა, მადლიერების გრძნობით აფასებდა ქართული სულიერი კულტურის დიდების გამომხატველი მწერლების ღვაწლს, მაგრამ მეცნიერული პირუთვნელობა აიძულებდა მას გულდასმით შეესწავლა და შესაფერისი მიეზლო მწერლობის უჩინარი მოღვაწეთათვისაც. როგორც ლიტერატურის დაკვირვებელი ისტორიკოსი, ილია გულმოდგინედ იკვლევდა ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს, მიღებული შედეგების განზოგადება-გაშუქებაში კი შეჰქონდა მახვილი პუბლიცისტის მგზნებარება.

აღ. ცაგარლის სიტყვით, გასული საუკუნის ოთხმოციან-ოთხმოდდათინ წლებში „ქართული ლიტერატურის ისტორიის დამუშა-

⁶ В типике ли история материальной культуры? (Известия ГАИМК, вып. 67, Л., 1933, гв. 34).

⁷ ილიას მხედველობაში ჰყავს „ციციკის“ მოლექსენი.

ვება იმყოფებოდა, ასე ვთქვათ, ბიბლიოგრაფიულ ანუ სტიტიტიკურ პერიოდში⁸. ილიაც აღნიშნავდა, რომ ძველი მწერლობის წყაროები „არ არის ცნობაში მოყვანილი და დაბეჭდილი“ (II, 624). ამიტომაც. იგი ალტაცებით შეხვდა ქართული ხელნაწერების მუზეუმის დაარსებას⁹. ილია ბეჭითად მოუწოდებდა ქართული მწიგნობრობის ყველა მოყვარულს, თუ ვისმე სადმე ეგულებოდა ქართული წიგნები, სიგელ-გუჯრები და სხვა წერილობითი მასალები, შეედგინათ მათი სიები და კატალოგები, რათა „თვითეულად აღნუსხულ იქნას, რა წიგნია, ვისგან არის შედგენილი, რა დროს ეკუთვნის, რა ზედ-წარწერანი აქვს და მებრვე სხვა“ (II, 505). ილიას ღრმა რწმენით, ხელნაწერი მასალების წესრიგში მოყვანა და აღნუსხვა „დიდი და სასახელო საქმეა“, ხელნაწერთა „სიების შემადგენელთა სახელი ყოველთვის მადლობით მოიხსენიება შთამომავლობის მიერ“ (II, 505). ილია აღუთქვამდა მკითხველებს, რომ მისი „გაზეთი ყოველთვის მზად იქნება დაბეჭდოს ყოველივე, რასაც ამ საგანზედ ვინმე მოაწვდის რასმე“ (II, 506). მართლაც-და, „ივერიის“ ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა სხვადასხვა ხელნაწერ კოლექციითა აღწერილობანი, კატალოგები თუ სიები; „ივერია“ ხშირად ბეჭდავდა ძველი პოეტების ტექსტებს (ლექსებს, აფორიზმებსა და სენტენციებს, ნაკვესებს, საანდაზო გამოთქმებს და ა. შ.). იოსებ გრიშაშვილმა ცალკე წიგნად გამოსცა ილია ჭავჭავაძის მიერ ამოკრეფილი და „ივერიაში“ დაბეჭდილი საანდაზო ლექსები¹⁰. ილია აქტიურ მონაწილეობას იღებდა ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა გამოცემის საქმეში. მისი თანარედაქტორობით დაიბეჭდა 1884 წელს „ვისრამიანი“. როგორც ბოლო დროს გამოირკვა, ილიას შეუდგენია ამ გამოცემის შესავალი წერილის პროექტი. წერილში მკაცრი მეცნიერული წესით არის განხილული და გარკვეული „ვისრამიანის“ ძირითადი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები. გამოცემის თანარედაქტორებს, ალ. სარაჯიშვილს და პ. უშიკაშვილს, შეუსწორებიათ ილიას ტექსტი, რითაც ბუნდოვანება შეუტანიათ ილიას მიერ სწორად გაშუქებულ საკითხებში¹¹. ილია

⁸ Сведения о памятниках грузинской письменности, II, СПб., 1889. გვ. 3.

⁹ საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო (თბილისში სრული კრებულ, II, 1941, გვ. 507—508).

¹⁰ საანდაზო ლექსები, ილია ჭავჭავაძის ამოკრეფილი წინათქმა და შენიშვნები ი. გრიშაშვილისა, თბილისი, 1935.

¹¹ ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ილია ჭავჭავაძე და ვისრამიანი (ილია ჭავჭავაძე, საიუ-

ჰავჰავადის თაოსნობით მომზადდა და გამოქვეყნდა ვეფხისტყაოსნის ქართველიშვილისეული მდიდარი გამოცემა (თბილისი, 1888), მ. ზიჩის ილუსტრაციებით.

თავის დროზე ილია ჰავჰავადის ხელმძღვანელი მონაწილეობით უნდა დაბეჭდილიყო არჩილის თხზულებათა კრებულის „ვეებერთელა წიგნი“ (არჩილიანი), რომლის ხელნაწერი დედანი თვითონ ილიას ჰქონია. ეს წამოწყება მაშინ ვერ განხორციელებულა¹².

თავისი მსჯავრის გამოტანა ქართული მწერლობის ისტორიის საკითხებზე ილია ჰავჰავადეს უფრო ხშირად მაინც ხელნაწერი მასალების გაცნობის საფუძველზე უხდებოდა. ამიტომაც იგი თავმდაბლური მობოდიშებით მიმართავს მკითხველს: „ეთხოვთ, მკითხველმა სახეში იქონიოს, რომ ჩვენ თვითონ ჩვენი აზრი იმოდენად მართალი გვგონია, რამოდენადაც შეგვხვედრია ხელნაწერების შოვნა და წაკითხვა. ვინც იცის, ხელნაწერი, ნამეტნავად ძველ დროები-სა, რა ძნელი საშოვარია, ის რასაკვირველია გაგვამართლებს, თუ ვინიცობაა ჩვენი მოკლე ისტორია იქნება შედგენილი არა სრულ ქართულ ლექსების მიხედვითა“ (II, 624).

ილია ჰავჰავადემ ჩინებული კრიტიკული წერილები უძღვნა ნ. ბარათაშვილის, ალ. ჰავჰავადის, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების პოეზიის განხილვას. ძველი მწერლობიდან იგი სპეციალურად ეხება, ისიც პოლემიკური ასპექტით, მხოლოდ ვეფხისტყაოსნის საკითხებს. ძველი ქართული მწერლობის ზოგადი პრობლემების თაობაზე, ისე როგორც ამ მწერლობის ზოგიერთი წარმომადგენლის შესახებ, ჩვენ მოგვეპოვება ილია ჰავჰავადის მხოლოდ ცალკეული შენიშვნები და მოკლე კონსპექტური მიმოხილვანი. მაგრამ ილიას შენიშვნებსა და კონსპექტურ ჩანაწერებს ყოველთვის აზის ღრმად მოაზროვნე კრიტიკოსისა და დაკვირვებული ლიტერატურის ისტორიკოსის ნაფიქრ-ნააზრების ბეჭედი. თავისი საბოლოო მსჯავრი ამა თუ იმ საკითხის შესახებ ილიას გამოაქვს ამ საკითხის მხოლოდ ყოველმხრივ გასინჯვისა და აწონ-დაწონის შემდეგ. დასკვნების გამოტანისას ილია იჩენს განმაცვიფრებელ პრინციპულობას, პირუთვნელობასა და სიტყვიზღეს. საკითხების განხილვისას ილია ხელმძღვანელობდა იმ მეთოდით, რომელსაც იგი უწოდებს „მეცნიერულ

ბილეთ კრებული, თბილისი, 1939, გვ. 223—228): ს. ყუბანეიშვილი, ცნობები ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების გამოცემის ისტორიიდან (ლიტერატურული ძიებანი, VIII, 1953, გვ. 415—416).

¹² ს. ყუბანეიშვილი, დასახლებული წერილი, გვ. 417—418.

კრიტიკას“. ილიას სიტყვით, მეცნიერული კრიტიკა „ჰოს“ სათქმელსაც და „არას“ სათქმელსაც ერთნაირის სიფრთხილით, ერთნაირის აწონ-დაწონვით ეპყრობა. იგი იმითია ღირსეული, რომ „ჰოს“ საბუთსაც ისეთსავე გულმოდგინებით იძიებს, როგორც „არას“ საბუთსა, რადგანაც სახეში მარტო მართალი აქვს და სხვა არა-რა. ამისთანა კრიტიკა მართლმოყვარე გამომძიებელია და მართლგამკითხავი სასწორი: თუნდა რომ „ჰოს“ გზით შეუღდგეს თავის საქმეს. თუნდა „არას“ გზით, ორმსვე გზამ მართალთან უნდა მიიყვანოს“ (II, 355).

ილია ჭავჭავაძემ პრინციპული და დაუნდობელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ნიჰილისტ ივ. ჯაბადარის უმეცრული და ქართველი ხალხის ღირსების დამამკირებელი წერილები «Гиньема о Грузии». კერძოდ, ილია აცამტვერებს ჯაბადარის უბადრულ მოსაზრებებს ქართული ანბანის გვიანდელი წარმოშობის შესახებ, მაგრამ, თავის მხრივ, მოკრძალებითა და სიფრთხილით შენიშნავს: „ჩვენ, რასაკვირველია, სახეში არა გვქონია და არცა გვაქვს ან ჰო ვსთქვათ და ან არა მასზე, თუ — როდის და ვისგან იყო შემოღებული ქართული ხმოვანი (ფონეტური) ანბანი და ან რომელი ადრეა შემოღებული — ხუცური თუ მხედრული. ეს ჩვენზედ უკეთესად მცოდნეს დავანებოთ“ (აი ისტორია, II, 354).

ერთგან ილია ჭავჭავაძეს მოცემული აქვს ერთგვარი კონსპექტური გეგმა ძველი ქართული პოეზიის განვითარებისა კლასიკური ხანიდან XIX საუკუნის შუა წლებამდის. ეს კონსპექტური ჩანაწერი შეიცავს ძველი ქართული პოეზიის (უმთავრესად ე. წ. აღორძინებისა და გარდამავალი ხანების პოეზიის) მკაფიო დახასიათებას. მოგვაქვს მთლიანად ეს შესანიშნავი კონსპექტი:

„1. ლირიკული მიმართულება ჩვენის პოეზიისა;

2. მიზეზი ამისთანა მოვლენისა — სისუსტე ტალანტებისა;

3. მოლექსეთა შორის მარტო რუსთაველის გენიამ შეიძლო შექმნა ეპოპეისა, თუმცა იმის პოემაშიაც ურევია ბევრი ლირიკა; უნიკობა ჩვენის მწერლობისა, რომელთაც უნდოდათ მისი მსგავსი დაეწერათ რამე, მაგრამ მაინც ლირიკაზედ გადადიოდნენ;

4. იდეა ძველის პოეზიისა და ფორმა გამოთქმისა: ა) ჩივილი, წუთის-სოფლის მღურვა; კაცის ამოება, აქაური ცხოვრების ამოება და ნუგეშით თვალშეჩერება ცისა, სადაც მოელიან საუკუნო განსვენებას და მართლ-მსაჯულობას; ბ) სიყვარული უფრო პლატონიური, მუხთლობა სიყვარულისა და დაუდგრომელობა; თუ აქ

არ შეეხვდით ერთმანეთს — ცაში და-ძმანი ვიქნებითო; გ) ქალი ან ანგელოზია და უფრო ხშირად — დემონი, წამწყმედი კაცისა; დ) ბუნება წმინდა სანთელია იმათ ხელში, რასაც უნდა იმას გამოსახვენ; ბუნება თუ არის მშვენიერი, — იმათ გრძნობის მიხედვით: ის როგორც ობიექტი, არ არსებობს იმათთვის;

5. ფორმა გამოთქმისა: ფიგურობა და ალეგორია სპარსულის ლიტერატურის გავლენისა გამო.

დავით გურამიშვილი, რომელმაც სცადა თითქმის პირველად, ზოგიერთგან რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ქართულ ლექსის გამოთქმაში; ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც უფრო ხშირად ცდილობდა მაგ ევროპეიზმის განვრცელებასა, მაგრამ მაგასაც აქვს ფიგურალი ლექსი; გრ. ორბელიანი, გამაგრძელებელი ევროპეიზმისა; ნ. ბარათაშვილი, ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა; ეხლანდელი მწერლები, რომელნიც ბაძვენ მაგ ევროპულ გამოთქმასა, მაგრამ თავისი აზრების მიმართულებით, იღებენ ძეგლებსა ჰგვანან“ (II, 623—624).

ჩვენი მოსაზრებით, ილა ჭავჭავაძეს ძირითადად სავსებით სწორად აქვს დახასიათებული ძველი ქართული პოეზიის როგორც შინაარსობრივ-აზრობრივი და თემატიკური. ისე ფორმალური მხარეები. ილია ჭავჭავაძეს ასევე სავსებით სწორად აქვს გათვალისწინებული ძველი ქართული პოეზიის განვითარების სქემატური სახე. უდავოა, რომ დავით გურამიშვილმა არსებითად დაძლია სპარსული მწერლობის გავლენა და ახალი ლიტერატურული სტილის, ადრეული რეალიზმის სტილისა და „ევროპეიზმის“ დამწერგავად გვევლინება. ისიც მართალია, რომ აღმოსავლური პოეზიის ტრადიციების საბოლოო დაძლევა შეადგენს ნ. ბარათაშვილის ლეაწლს. ი. ჭავჭავაძე მართებულად შენიშნავს, რომ ძველი ქართული პოეზიისათვის წამყვანი იყო ლირიკული ჟანრები, რომ მხოლოდ რუსთველის გენიას უნდა ვუმადლოდეთ დიდი ეპიური ნაწარმოების შექმნას და რომ რუსთველის ეს ეპიური ნაწარმოებები ძლიერი ლირიზმით არის გამსჭვალული. თავის დებულებას ლირიკული ჟანრების შესახებ ილია ჭავჭავაძე ავითარებს თავის შემდგომ კონსპექტურ ნაწყვეტში (II, 624—625). ავტორი აქ აცხადებს: „ძველ დროთაგან დაწყებული აქამომდე ჩვენ ლექსთთხზულებითს პოეზიაში შევნიშნეთ განვითარება მხოლოდ ლირიკულ პოეზიისა“. ილია იმერებს წინა კონსპექტში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ: „ჩვენ მოლექსეთა შორის მარტო რუსთაველის გენიამ შეიძლო შექმნა ეპოპისა, ასე რომ აქამომდე მის მეტი თითქმის არავინა ჩანს“.

მკვლევრის დაკვირვებით, „თუმცა არიან ზოგიერთნიც ჩვენ ლიტერატურაში, რომელთაც მოინდომეს მიბაძვა რუსთაველისა, მაგრამ არც ერთს მათგანს არც ნიჭი ჰქონდა იმდენი, რომ წარმატებით ევლოთ რუსთაველისაგან ნაჩვენებ გზაზედ და არც განათლება“:

სრული სიმართლეა, რუსთველს ბევრი უნიჭო მიმბაძველი ჰყავდაო. სხვათა შორის, რუსთველის ეპიგონების შესახებ კარგად აქვს ნათქვამი იესე ტლაშაძეს (XVIII ს.):

რიტორ რუსთველო. არგ გამოძქმელო. ენა ტკბილო და შაქარიანო.
აჲმა მძინელებმა, ქურღმა მელბმა, ლეკი მრავალი მოგპარიანო.

რუსთველის გზას ეპიური ძეგლების შესაქმნელად აგრძელებდნენ არჩილი, იოსებ სააკაძე და სხვები, ამ მხრით განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია დავით გურამიშვილმა. ალბათ, ამითაა გამოწვეული ილია ჭავჭავაძის ფრთხილი გამოთქმა, რუსთველის მეტი „თითქმის არაინ ჩანს“ ეპიური პოეზიის სფეროშიო.

ძველი ქართული პოეზია ილია ჭავჭავაძეს დახარისხებული აქვს მიმართულებათა მიხედვითაც. მისი მოსაზრებით, შესამჩნევია სამი მიმართულება: ს ე ნ ტ ი მ ე ნ ტ ა ლ უ რ ი, რ ო მ ა ნ ტ ი კ უ ლ ი და ც რ უ - კ ლ ა ს ი კ უ რ ი. ილია წერს: „სენტიმენტალური მიმართულების მაგალითები გვაქვს ჩვენს ლიტერატურაში, მაგალითებრ, „ვარდ-პულბულიანი“ „შამი-ფარვანიანი“; რომანტიკულის მიმართულებისაც გვექონია ჩვენ მაგალითი ჩვენს ლიტერატურაში, მაგალითებრ, „ვეფხვის-ტყაოსანი“; ცრუკლასიკურისაც, მაგალითებრ, სულ იმ მწერლების მიმართულება, რომელთაც მიბაძეს მარტო გარეგან ფორმასა ჩვენ უკვდავის რუსთაველის „ვეფხვის-ტყაოსნისას“ და ვერ გაიგეს კი, რომ „ვეფხვის-ტყაოსანი“ თუ არის უკვდავი, არა მარტო თავის ფორმით, არამედ თავის შინაგან ღირსებაებით“ (II, 36).

როგორც ეტყობა, ტერმინ მიმართულებას ილია ჭავჭავაძე აქ ხმარობს ვიწრო მნიშვნელობით. თავისდათავედ მისი დაკვირვება ძლიერ საინტერესოა. აღსანიშნავია, რომ ჩვენს დიდებულ მოაზროვნეს პირველად უხდებოდა ძველი ქართული პოეზიის წარმომადგენელთა დაჯგუფება გარკვეული სტილის მიხედვით. რუსთველი სწორედ რომანტიკული სტილისა და ეპიკურ-რომანტიკული ჟანრის წარმომადგენელია ქართულ ლიტერატურაში. ამასთან, ილია სამართლიანად უწოდებს რუსთველის პოემას კლასიკურს; შესაფერისადვე რუსთველის მიმბაძველნი მონათლული არიან ცრუკლასიკური სტილის გამომხატველებად. ილია ჭავჭავაძე აქ ხელმ-

ძღვანელობს დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიის ანალოგით. საცილობელია სენტიმენტალური მიმართულების საკითხი. კრიტიკული რეალიზმის მედროშე საქართველოში სენტიმენტალურ მიმართულებას უარყოფითად უყურებდა. იგი ამბობდა: „სენტიმენტალური მიმართულება არავისთვის არ არის საჭირო და, სხვათა შორის ჩვენთვისაცო“ (II, 36). რა თქმა უნდა, თეიმურაზ პირველს ვერ ჩავთვლით სენტიმენტალური მიმართულების წარმომადგენლად ქართულ პოეზიაში („ვარდ-ბულბულიანი“ და „შამი-ფარვანიანი“ თეიმურაზის პოემები). ოღონდ აქ კარგად ჩანს ილია ჭავჭავაძის საერთო გუნება-განწყობილება და მისი სექსტიკური დამოკიდებულება, კერძოდ თეიმურაზ პირველის პოეზიისადმი. ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა პოეზიის აზრობრივ, იდეურ-შემეცნებით მნიშვნელობას. ამიტომაც იგი სენტიმენტალიზმის, მისი შეხედულებით, უსარგებლო მიმართულების ნიმუშებად აცხადებს ისეთ პოემებს. რომლებიც სინამდვილეში მართლაც არიან გამომხატველნი შიშველი მგრძნობელობისა. შემთხვევითი როდია, რომ ილია ჭავჭავაძე საზოგადოდ ეპკით უყურებდა თეიმურაზ პირველის შემოქმედებას. ყოველ შემთხვევაში თეიმურაზს იგი არჩილზე და ვახტანგ VI-ზე დაბლა აყენებდა (რომ არაფერი ვთქვათ რუსთველზე და დავით გურამიშვილზე). ილია ერთგან შენიშნავს: „არას ვიტყვიტ მეფე ვახტანგ VI-ზე, არჩილ მეფეზე, თეიმურაზ I-სა და II-ზედ, რომელთაც ნამეტნავად პირველს ორს, ვერავინ დასწამებს სიმჩატეს აზრებისას და გრძნობისას და რომელნიც მოელიან გონებაშახვილს კრიტიკოსს, რომ თავისი მიუწყონ და სამართლიანის შარავანდელით მოჰპრონ მათი ღირს-შესანიშნავი გონებრივი ღვაწლი“¹³. მოყვანილი ნაწყვეტის მეორე ნახევარი უშუალოდ თანამედროვე მკვლევარებს შეგვეხება. საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობამ ჯერ თავისი ვერ „მიუწყა“ და „სამართლიანის შარავანდელით“ ვერ „მოჰპრონ“ ეს შესანიშნავი მოღვაწენი და მწერალნი... საგულისხმო ისაა, რომ ილია ჭავჭავაძის მოსაზრებით ნამეტნავად ვახტანგსა და არჩილს „ვერავინ ვერ დასწამებს სიმჩატეს აზრებისას და გრძნობებისას“. აქედან აშკარაა, რომ შესაძლებელია თეიმურაზ პირველს კი დასწამონ აზრებისა და გრძნობების სიმჩატე. ასე ფრთხილად, მაგრამ მაინც გარკვეულად

¹³ რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს (თხულებანი, II, 112, დაყოფა ჩემია, — ა. ბ.)

ილია ჭავჭავაძე წუნს დებს თეიმურაზ პირველის პოეზიას, თეიმურაზ პირველის პოეზიაში იგი ვერ ხედავს აზრების სიღრმესა და გრძნობების სიმხურვალეს. ამასთან დაკავშირებით უნდა მოვიგონოთ, რომ თეიმურაზის პოეზიას ცხადლივ ტენდენციურად აფასებდნენ მესამოციანელთა თაობის ისეთი წარმომადგენლები, როგორც იყვნენ აკაკი წერეთელი და ანტონ ფურცელაძე. აკაკის სიტყვით „ქახეთის მეფე თეიმურაზ პირველი პოლიტიკაში პოეტობდა, პოეზიაში პოლიტიკობდა ის დალოცვილი“. აკაკის ლიტერატურული პერსონაჟების დახასიათებით, თეიმურაზის ლექსები, იყო „პიიპუუ პიიპუუს“ პოეზია და „ლაზღანდარობა“¹⁴. ანტონ ფურცელაძემ მიწასთან გაასწორა თეიმურაზის პოეზია, იგი ასე ახასიათებს თეიმურაზს: „უჭდა მთელი დღეობით უშნო და უაზრო ლექსებს და აკლავდა თავის სიცოცხლეს შიგა. სწერდა ლექსებს, სადაც არც ესთეტიკა, არც ხელოვნება არც იდეია, არც რამე აზრი, არც რამე ისტორიული მხატვრობა, არაფერი ღვთისაგან განაჩენი არ ისახებოდა, გარდა უბრალო და უაზროდ გადატმასვენული სიტყვების რახა-რუხისა, სიტყვების ტმასენა-გრეხისა“¹⁵. ილია ჭავჭავაძე გაცილებით უფრო ზომიერი და მიუდგომელი იყო თეიმურაზის პოეზიის შეფასებაში, ვიდრე აკაკი და ანტონ ფურცელაძე. მესამოციანელთა იდეურ-ესთეტიკური პოზიციებიდან ილია ჭავჭავაძემ არ დაინდო მეხოტბე პოეტი ჩახრუხაძე და მეტად მკაცრი განაჩენი გამოუტანა მის სახოტბო ლექსებს. ილიას უწერია:

„ჩვენში, ქართველებში, დიდი მწერლის ხმა აქვს დაგდებული ჩახრუხაძესა, მაგრამ არამც თუ დიდი, პატარაც არა ბრძანდება ის კურთხეული. მისი თამარის ქება მთელ მოთხრობის ოდენაა, ზედშესრულით დაიწყობა და თითქმის ზედშესრულით თავდება. რავაი-ვაგლახით და კისრის მტკრევით მოგოგავს დავარდნილ ცხენსავით მისი ოც-მარცვლოვანი ტყვიასავით მძიმე ლექსები!.. არც აზრი, არც სურათი, არც მშვენიერება, არც ჰქუა, არც გული, არაფრისთანა არაფერი, გარდა ზედშესრულების რახა-რუხისა! აბა ეხლა ნახეთ, რა სახელი აქვს ჩვენში! სადაც რუსთაველს... ახსენებენ, იქ, გინდათ თუ არა, წამოაყენეულებენ ჩახრუხაძესაც, რომელსაც, გვგონია, ფიქრალაც არა ჰქონია ამისთანა დიდების იმედი“ (II, 7). ჩახრუხაძისადმი სარდიონ მესხიევის გამოქომაგების გამო

¹⁴ თ ე ი მ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი. თქულებათა კრებული, აღ. ბარამიძის და გ. ჭავჭავაძის რედაქციით. თბილისი, 1934, გვ. 203, შენ.

¹⁵ იქვე, გვ. 202

ილია შენიშნავდა: „ჩახრუხაძეს აქებს და არაფრით კი არ ამტკიცებს. ცარიელი სიტყვები არ დაგვაჭერებენ, რომ ჩახრუხაძე დიდი მწერალია, ფაქტი უნდა, ფაქტი“ (II, 617). ფაქტი კი არ ჩანდა, არ ჩანდა იმიტომ, რომ „თამარიანი“ უაღრესად ენაწყლიანი სასოტბო ძეგლია, სადაც დიდი ადგილი უჭირავს წრესგადასულ ქებათა-ქებას. „თამარიანის“ ხელოვნურ სიტყვაშეკრობაში (იჩრდილებოდა ტექსტის იდეური შინაარსი. ამის გამო არ იყო გაგებული ამ ძეგლის იდეურ-აზრობრივი მხარე, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „თამარიანი“ საუცხოოდ გამოსცა და ამ ძეგლის შესანიშნავი იდეური შინაარსი, მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი იდეოლოგია გამოავლინა აკადემიკოსმა ნიკო მარმა¹⁶. მაგრამ ეს მოხდა 1902 წელს. ილია ჭავჭავაძეს კი შემდეგ აღარ მისცემია შემთხვევა დაბრუნებოდა ჩახრუხაძის პოეზიის საკითხს.

იდეურობისა, გრძნობების სიღრმე-სიფაქიზისა, ორიგინალობისა და მაღალი შემოქმედებითი ოსტატობისათვის რუსთველის შემდეგ ილია ჭავჭავაძე ძლიერ აფასებდა დავით გურამიშვილსა და სულხან-საბა ორბელიანს. ჩვენ ზემოთ უკვე მოვიყვანეთ ილიას აზრი იმის შესახებ, რომ დავით გურამიშვილმა ძირითადად დაძლია ქარბი ორნამენტული სტილი („ფიგურობა“ და „ალეგორია“) და ქართული პოეზია „ევროპეიზმის“ ლიანდაგზე გადაიყვანა. სხვაგან ილია ჭავჭავაძე მოკლედ და დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს: „ჩვენ არას ვიტყვით არც დავით გურამიშვილზედ, რომლის დიდაქტიური პოეზია პირს არ შეირცხვენს თუნდ ლუკრეცის, ვირგილის და პორაციოს დიდაქტიურ პოეზიას დაუყენეთ პირის-პირ, და რომლის სარწმუნოებრივი ლაღადება დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნების სიმალლემდეა ასული“. (II, 112); საყურადღებოა რომ ქართული მწერლობის ღირსება-ნაკლოვანების შეფასებისას ილია ჭავჭავაძე-ყოველთვის ითვალისწინებდა მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბს და მომთხოვნელობის შესაფერის საზომს. ამ მასშტაბითა და საზომით ილია დამსახურებულად თვლიდა დავით გურამიშვილის პოეზიას დიდი ლიტერატურული ღირებულების მოვლენად. „დავითიანი“ ამშვენებდა ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკას ვეფხისტყაოსნისა“ და „ქილილა და დამანას“ გვერდით¹⁷. უმთავრესად ამ ძეგ-

¹⁶ Древнегрузинские рукописцы (ТР, IV, 1902).

¹⁷ როგორც თამარ მაქავარიანმა გადმოიტანა, „დავითიანის“ ილია ჭავჭავაძისეული ცალი ამჟამად დატულია საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში.

ლებიდან ჰყრებდა ილია ჭავჭავაძე ბრძნულ აფორიზმებსა და სა-
ანდაზო ლექსებს¹⁸...

„სიბრძნე სიცრუის“ ავტორს ილია ჭავჭავაძე გვერდში უყენებს მსოფლიოს ისეთ გამოჩენილ მწერლებს, როგორც იყვნენ ეზოპე, ლა-ფონტენი, ძმები გრიმები, ანდერსენი, კრილოვი. ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა და დღესაც იწვევს საკითხი იმის შესახებ. თუ რა აზ-რია ჩაქსოვილი სულხან-საბა ორბელიანის ამ შესახიშნავი თხზულების სათაურში. „რას კნიშნავს ეს ორი სიტყვა — სიბრძნე-სიცრუე, ერთ-მანეთზე გადაბმული?“ — კითხულობს ილია და განაგრძობს: „საბა-ორბელიანმა რომ თავისი ზღაპრები დასწერა, სიბრძნე-სიცრუის წიგნი დაარქვა. მე ხშირად ჩავფიქრებივარ ამ უცნაურს სახელს წიგნისა-სო“¹⁹. ილიას საფუძველი ჰქონდა ღრმად ჩაპკვირვებოდა და ცდილი-ყო სინათლე შეეტანა სულხან-საბა ორბელიანის თხზულების „უცნაუ-რი“ სათაურის აზრის გაგებაში. „სიბრძნე სიცრუის“ ტექსტის ნაწ-ყვეტები პირველად დაბეჭდა დავით ჩუბინაშვილმა თავის ქრესტომა-თიაში (II, 1846, გვ. 1—16). სათაურად შეარქვა „სიბრძნე სიცრუის-ზღაპარი“ და ეს სათაური რუსულად შემდეგნაირად გადათარგმნა «Сказки мудрости и лжи» (იქვე, გვ. II). სპეციალურად შეეხო ამ სა-კითხს პროფ. ალ. ცაგარელი. იგი ამბობს: «Я перевожу заглавие этой книги сибрძნე სიცრუისა словами «мудрость вымысла», а не «мудрость и ложь», как это делают разные переводчики, ибо во 1-х, между этими двумя словами (на груз. языке) нет никакой соединительной частицы; во 2-х, второе существительное стоит в родит. падеже; в 3-х, грузинское слово სიცრუე означает и умственную и нравственную фальшивость, в настоящем случае, очевидно, его следует понимать в первом значении и перевести словом в ы м ы с е л (Dichtung, dichten), как единственно-противоположным понятию «мудрость», выражающим умственное совершенство. И так смысл заглавия упомянутой книги Сулхана есть, по моему мнению, след.: мудрое нравоучение, вытекающее (хотя бы и) из вымышленных рассказов и событий»²⁰. ასეთი ვრცელი და დასაბუთებული განმარტე-

¹⁸ საანდაზო ლექსები (ი. გრიშაშვილის გამოცემა), გვ. გვ. 12—13, 19; თ. შ. ო-
კ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა (ბიბლიოგრაფიის მოამბე,
№ 4—5, 1948), გვ. 234—235.

¹⁹ ჩეენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე (თხზულებანი, II, 276—293).

²⁰ О грамматической литературе грузинского языка. Санктпетербург,
1873. გვ. 100—101.

ბის მიუხედავად იგივე წიგნი იმავე ალექსანდრე ცაგარელმა რამდენიმე წლის შემდეგ რუსულად გადათარგმნა და განსხვავებული სათაურით გამოაქვეყნა: Книга мудрости и лжи (грузинские басни и сказки XVII—XVIII стол.) Саввы Сулхана Орбелиани. Перевод и объяснения Ал. Цагарели. Санктпетербург, 1878 г.

ასეთ ვითარებაში, ვიმეორებთ, ილიას საფუძველი ჰქონდა სერიოზულად ჩაფიქრებოდა „სიბრძნე სიცრუის“ მნიშვნელობის ამოცნობის საკითხს. საკითხის ყოველმხრივ გამოძიებისა და აწონ-დაწონის შედეგად ილია იმ დასკვნამდე მისულა, რომ: „საბა ორბელიანის სიცრუე ზღაპარია, არაკია, იგავია“. ოღონდ „ზღაპარი, არაკი, იგავი სიბრძნეც არის და სიცრუეც. ს ი ც რ უ ე თ ი თ ო ნ ა მ ბ ა ვ ი ა, ს ი ბ რ ძ ნ ე—შ ი გ ჩ ა ს ა ხ უ ლ ი ა ზ რ ი ა“ (გვ., 280—281). სხვაგვარად რომ გამოითქვას: „ზღაპარი, არაკი, იგავი ერთსა და იმავე დროს სიბრძნეც არის და სიცრუეც. ს ი ბ რ ძ ნ ე ს უ ლ ი თ, ს ი ც რ უ ე ხ ო რ ც ი თ. ა ქ ს ი ც რ უ ე ხ ა ტ ე ბ ა ა, გ ა ნ ს ა ხ ო ვ ნ ე ბ ა ა ს ი ბ რ ძ ნ ი ს ა“ (გვ. 281). ილია ჭავჭავაძის სიტყვით, „საბა-ორბელიანს ამის თქმა უნდოდა: მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნესკი გამცნებო (გვ. 280). ამიტომაც „საბა ორბელიანისებური სიცრუე ნამუსია“ (გვ. 283).

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, „სიბრძნე სიცრუისა“ ალეგორიული ხასიათის ნაწარმოებია, „სიცრუე თითონ ამბავია“, რომელიც იგავურად, გადატანით ანუ ალეგორიულად გამოხატავს სიბრძნეს. ვფიქრობთ, ეს არის სავსებით სწორი მეცნიერული ახსნა სულხან-საბა ორბელიანის თხზულების სათაურისა²¹.

ილია ჭავჭავაძის ლირიკულ ლექსს „ალაზანს“ ეპიგრაფად უძღვის:

სიკბაუჯისა ყვავილი
ღამიჭუნო ეამთა დენამა,
ნღომა მომავლო, ღამიგლო
სასაყროდ გული რბენამა.

²¹ ეს განმარტება ბოლო დრომდე საყოველთაოდ იყო გაზიარებული. იგი არ შეიწყნარა გ. იმედაშვილმა (წიგნი „სიბრძნე-სიცრუისას“ სათაურის განმარტებისათვის, სსსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XV, № 5, 1954, გვ. 303—309). გ. იმედაშვილს წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“ ესმის, როგორც წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა. გ. იმედაშვილს დაეთანხმა ინგლისელი ჟართველთმეტყველი დ. ლანგი (სიბრძნე სიცრუისას სათაურისათვის, „მნათობი“, 1957, № 5, გვ. 159—167).

ეპიგრაფის ტექსტს მიწერილი აქვს: საბა ორბელიანი (1,49). დამოწმებული ნაწყვეტი საბას „აქამდე უცნობ ლექსად“ ითვლებოდა²². ნამდვილად ეს მშვენიერი სტრიქონები ამოღებულია „ქილილა და დამანდან“, სახელდობრ „ქილილა და დამანას“ საბასეული რედაქციიდან²³. საყურადღებოა, რომ დიდხანს გაურკვეველი იყო საბას როლი „ქილილა და დამანას“ ქართული რედაქციის ჩამოყალიბების საქმეში²⁴. ილია ჭავჭავაძეს სავსებით სწორი აღლო გამოუჩენია და მოხმობილი სტრიქონები სამართლიანად მიუყუთვნებია საბა ორბელიანისათვის. ეპიგრაფის ტექსტი საუცხოოდ ეხმარება ილია ჭავჭავაძის ლექსის შინაარსს და მის საერთო ლირიკულ განწყობილებას.

ერთ თავის პოლემიკურ წერილში, რომელსაც ეწოდება გომართელის ფილოსოფია და ა. ჯორჯაძის ფსიხოლოგია²⁵, ილია ჭავჭავაძე ი. გომართელს ირონიულად უწოდებს „ყარამან ყათილ საპყირანს“ (გვ. 298), ე. ი. „ყარამანიანის“ მთავარი დევ-გმირი პერსონაჟის სახელს.

ერთ შემთხვევაში ილიას ციტირებული აქვს (მართალია, თავისებურად) ს ა ი ა თ ნ ო ვ ა ს აფორიზმი: „აშკარაა, რომ „გოგრა ვერ გახდება შირაზის შუშა, რაც გინდ მალღა თაროზე დასდო“ და დიპლომი მეცნიერებისა შუბლზე მიაკრა“ (II, 1941, გვ. 451).

ილია ჭავჭავაძის საყვარელი წიგნი უნდა ყოფილიყო „ქილილა და დამანა“, რომელიც გრ. გურიელის საფასითა და ილია ჭყონიას რედაქციით დაიბეჭდა თბილისში 1888 წელს. შენახულია „ქილილა და დამანას“ ის ცალი, რომელსაც „ეტყობა პატრონის, „ივერიის“ რედაქტორის ხელი და დაკვირვება“²⁶. ამ წიგნს გამოსვლისთანავე არაჩვეულებრივი პოპულარობა მოუპოვებია და ერთბაშად ფართოდ გავრცელებულა²⁷. „ქილილა და დამანანდანაც“ იწერდა

²² ტ. რ უ ჯ ა ძ ე. ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული ლიტერატურა: (მნათობი, 1937, № 5, გვ. 130.).

²³ ქილილა და დამანა, აღ. ბარამიძისა და პ. ინგოროყეას რედაქციით, თბილისი, 1949, გვ. 310 (ლექსის მეორე სტრიქონი ილ. ჭავჭავაძეს რამდენადმე შეუსწორებია) ეპიგრაფის პირველი სტრიქონი შესულაა საანდაზო ლექსებშიც (ი. გ რ ი შ ა შ ე ი ლ ი, საანდაზო ლექსები, გვ. 129).

²⁴ აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე. ანუ ქილილა და დამანას ქართული ვერსიები, (ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1. 1945).

²⁵ თხზულებათა კრებული, II, 297—304.

²⁶ თ. მ ა ჭ ა ვ ა ძ ი ა ნ ი, ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა, გვ. 235.

²⁷ ს უ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი. ცნობები ძველი ქართული ლიტერატურის ძე-

ილია ჭავჭავაძე საანდაზო ლექსების ნიმუშებს. იოსებ გრიშაშვილის გამორჩევევით, ილია როცა ამ ანდაზებს ადგენდა, „ქილილა და დამანა“ არ იყო დაბეჭდილი“²⁸. მამასადამე, მას ჰირდაპირ ხელნაწერი ტექსტით უნდა ესარგებლნა. მართლაც, მოგვეპოვება ცნობა, რომ ილია ჭავჭავაძეს, სხვა ხელნაწერ წიგნებთან ერთად, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სიძველეთ საცავისათვის შეუწირავეს „ქილილა და დამანას“ ხელნაწერი²⁹...

ილიას სათაყვანებელ პოეტად მთელი მისი ცხოვრების მანძილზე რჩებოდა უკვდავი შოთა რუსთველი, რუსთველის ვეფხისტყაოსანი იყო ილიას შთამაგონებელი პოეტური ძეგლი, მისი სულიერი საზრდოს უშრეტი წყარო. დაახლოებით ასეთსავე როლს ასრულებდა ვეფხისტყაოსანი საზოგადოდ XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ყველა ხელმძღვანელი მოღვაწისათვის. ილია ჭავჭავაძესთან ერთად აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილს, ივანე მაჩაბელს... თავი მოქონდათ ქართული სულიერი კულტურის ამ უჭკნობი გვირგვინით — შოთა რუსთველის გენიალური ვეფხისტყაოსნით. ქართველი ხალხი საუკუნეებან მანძილზე რუსთველს თვლიდა თავისი ჭირისა და ლხინის მოზიარე საყვარელ მგოსნად. მშვენიერად ამბობს არჩილი რუსთველის სახელით:

საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაქვხს,
ვის ლხინი აქვს, მას უბნობენ, ანუ ვისაც გული უწუხს.

თავისი ჰუმანისტური იდეებით რუსთველი ცოცხალ მოკავშირედ გამოდიოდა ქართველი ხალხის სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის წარმოებულ დიად ბრძოლაში. ამიტომაც იყო ილია ჭავჭავაძისათვის რუსთველის სახელი „წმინდათა-წმინდა“, „თავმოსაწონებელი“, „სასიქადულო“, „უკვდავი“, სიმბოლო ყოველგვარი ამაღლებულისა, მშვენიერებისა და სიკეთისა. ქართველი ერის ღირსების სწორუბოვარი ქომაგი ფხიზელ გუშავად უდგა რუსთველის დიდებულ სახელს ნიჰილისტთა და მკრეხელთა გაბოროტებული თავდასხმებისაგან.

ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, ვეფხისტყაოსანი წარმოად-

გლების გამოცემის ისტორიიდან (ლიტერატურული ძიებანი, VIII, 1953, გვ. 418—419).

²⁸ საანდაზო ლექსები. გვ. 13, შენ. 1.

²⁹ თ. შ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, დასახელებული წერილი, გვ. 227.

ვენდა ღრმა აზრებისა და მაღალი პოეტური ფორმის ჰარმონიული სრულყოფილების გამოხატულებას. „ვეფხისტყაოსანი თუ არის უკვდავი, — ამბობდა ილია — არა მარტო თავის ფორმით, არამედ თავისი შინაგან ღირსებებით“ (II, 36) და თავისი „მშვენიერი ენით“. (II, 10). ილიას, როგორც პოეტს და პუბლიცისტს, ძალიან ხშირად სახელმძღვანელო იდეად გამოჰქონდა რუსთველის აფორიზმები და მათ ეპიგრაფად ურთავდა თავის ნაწერებს. ასე, „კაკო ყაჩაღს“ ეპიგრაფად აქვს:

მივე გლახაკთა საქურკლე, ათაიხუფლე მონები,
მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.

„მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია“ უძღვის ილია ჭავჭავაძის ცნობილ მგზნებარე პუბლიცისტურ წერილს „კატკოვის პასუხად“ (II, 145). ეს წერილი იხურება რუსთაველის სიტყვებითვე (1309,3):

ესელა დაგერჩა ნუგეშად მის იშედისა დიდისა.

„თუ თავი ჩვენი ჩვენ გვახლავს, ღარიბად არ ვიხსენებით“, ამბობს ილია წერილში „ქართველი სტდენტობა რუსეთში“ (II, 590).

რუსთველის ტექსტების დამოწმების დროს ილია ჭავჭავაძე ზოგჯერ ასახელებს ავტორს, ზოგჯერ კი არა³⁰. პირველი შემთხვევის სანიმუშო მაგალითები:

1. „სხვა სხვის ომში ბრძენიაო“, ამბობს რუსთაველი (II, 39; II, 627).

2. რუსთაველი გვასწავლის, მოყვას როგორც უნდა მოექცეს კაცი:

ხამს მოყვასი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხილად
(II, 48).

3. აქაც გავამართლეთ ჩვენის რუსთაველის სიტყვები: ყოველთა მსგავსი მსგავსსა შობსო (II, 55).

4. ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიაო, უთქვამს რუსთაველს (II, 294).

უმეტეს წილად კი ილია ჭავჭავაძეს ავტორზე მიუთითებლად მოჰყავს რუსთველის აფორიზმები და სხვა საანდაზო ლექსები. მაგალითად:

³⁰ ჩვენი დაკვირვება ემყარება იმ ტექსტულურ მასალებს, რომლებიც გამოქვეყნებულია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ხუთტომეული სრული კრებულიის მეორე ტომში.

1. „იმ თაობამ, რომელმაც თავის „საყვარელსა უჩვენა სა-
ქმენი საგმირონია“. ვერ აღზარდა კარგი, მხნე და გონიერი თაობა“
(II, 175).

2. „ისიც ძალიან კარგად ვიცით, რომ „რა ვარდმან თვისი ყვა-
ვილი გაახმოს, დაამქნაროსა, იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა
საბაღნაროსა“ (II, 183).

3. „თ. გ. თუმანოვისათვის საქმე სხვაა, სიტყვა სხვაა, შუა
უზის დიდი ზღვარი“ (II, 217).

4. „ვიცი, კარგად ვიცი, რომ ოდეს ტურფა გაიფედეს, აღარა
ღირს არცა ჩირად“ (II, 279).

5. „ერთგან რომ ერთს იტყვის ავტორი, მეორეგან სულ სხვას
ამბობს, „უმსგავსოს და შორი შორსა“ (II, 331).

6. „კმარა ასე წინა და უკულმა ტრიალი. ყველაფერს რომ გა-
მოვუდგეთ, ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებინ“.

7. „საკვირველიც არ არის:
კარგი რამ სკირდეს, გვიკვირდეს, ავი რა საკვირველია“ (II,
363).

8. „ესეც კი საცოდნელია, რომ — ზოგჯერ სიწყინარე გმობილი
სჯობს სიჩქარესა ქებულსა“ (II, 388).

9. „ესეთია გადაუვალი ბუნებრივი კანონი: „კოკასა შიგან
რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების“ და „ყოველი მსგავსი მსგავს-
სა ჰშობს“ (II, 397).

10. „მოდით და ნუ იტყვით:

„ჰე, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გვირსა!“

11. „ხოლო რას იზამთ? „გული კრულია კაცისა, ხარბი და
გაუძლომელი“ (II, 471).

12. „გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირ-
დესო“; ჩვენ გულს გავვიგმირავს ხოლმე ცხრველი სიტყვა“ (II,
621) და სხვ³¹.

არის შემთხვევები, როდესაც ილია ჭავჭავაძეს თავისი სიტ-
ყვებით მოჰყავს რუსთველის ტექსტის აზრი. მაგალითად: „რუს-

³¹ ცალკე შემთხვევაში ილია ჭავჭავაძეს წერილის სათაურადაც აქვს გამოყენე-
ბული რუსთველის აფორიზმი. მაგალითად: „კარგი რამ მკირდეს, გვიკვირდეს. აჲ
რა საკვირველია“. (II, 252).

თაველმა ძალიან ადრე სთქვა, რომ მარტო ბრძენი საწუთროს ეურ-
ჩებო, სხვანი კი იმის მონები არიანო“ (II, 39, 627).

ილია ჭავჭავაძე თავის ადგილას მოხდენილად და მახვილგონი-
ვრულად ურთავდა თავის წერილებში რუსთველის „საანდაზო ლე-
ქსებს“, რომ მის მიერ წამოყენებული მოსაზრებანი უფრო მკვეთ-
რი, ბასრი, მკაფიო და ნათელი გამოსულიყო. რუსთველის აფო-
რიზმებს ილიასათვის ჰქონდა „საანდაზო“, სამაგალითო და საი-
ლუსტრაციო მნიშვნელობა. ამიტომაც მწერალი ზოგჯერ იძულე-
ბული ხდებოდა შესაფერისად შეეცვალა რუსთველის ტექსტის სი-
ტყვა, საქვევი, ფორმა, კილო, ინტონაცია: ასეთ უცოდველ ოპე-
რაციებს იგი შეგნებულად, მოფიქრებულად ჩადიოდა. იოსებ გრი-
შაშვილს მოჰყავს თვითონ ილიას შენიშვნა აღნიშნული გარემოე-
ბის გამო: „ზოგან, მხოლოდ ორიოდ ლექსში, თითო-ოროლა სი-
ტყვა შეეცვალეთ, რომ კერძოდ თქმულს აზრს ზოგადის აზრის
მნიშვნელობა მისცემოდა“³² აღნიშნულის საილუსტრაციოდ საკმა-
რისია ორიოდ მაგალითი:

ესელა და გ ვ რ ჩ ა ნუგეშად მის იმედისა დიდისა.
(ილიასეული რედაქცია)

ესელა და მ რ ჩ ე ს სა ნ ა ც ე ლ ო დ მის იმედისა დიდისა³³.
(დედნის რედაქცია)

რუსთველის ტექსტიდან სიტყვა „სანაცვლოდ“ ილიას შეუცე-
ლია სიტყვით „ნუგეშად“. შეცვლილია ზმნის „დამრჩეს“ პირისა
და რიცხვის ფორმა „დაგვრჩა“. ტექსტუალური ცვლილება გამო-
უწვევია ციტატის შესაბამისობას პოლემიკური წერილის ხასიათთან.
დედნის „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“,
ილია ჭავჭავაძეს ასე აქვს წარმოდგენილი:

თუ თავი ჩვენი ჩვენ გვახლავს, ღარიბად არ ვიხსენებით.

მნიშვნელოვნად გადაუქეთებია ილია ჭავჭავაძეს რუსთველის
განთქმული აფორიზმი:

ჩამს მოყვარე მოყვარისათვის თავი ჰირსა არ დამრიდად.
(ავტორისეული რედაქცია).

ჩამს მოყვასი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დამრიდად.
(ილიასეული რედაქცია).

³² საანდაზო ლექსები (გვ. 12).

³³ ტექსტი ჩართულია წერილში „კატკოვის პასუხად“, რომელიც დაიწერა 1880
წლის 23 თებერვალს. ამ დროისათვის ილია ჭავჭავაძეს შეეძლო ესარგებლნა ვეფხის-
ტყაოსნის ვახტანგისეული. ბროსესეული ან ჩუბინაშვილისეული გამოცემებით.

საგულისხმოა, რომ ეს აფორიზმი თავისი პერსონაჟის (მლედ-ლის) პირით („გლახის ნაამბობიდან“) ილიას ასეთი რედაქციითაც აქვს გადმოცემული: „უნდა კაცი კაცისათვის სიცოცხლისა არ დამრიდად“. ოღონდ პერსონაჟი იქვე შენიშნავს: „მგონია, ეგრე სწერია, თუ ხსოვნამ არ მიღალატა“ (1, 283). იმავე „გლახის ნაამბობში“ სხვაგან ეგვე აფორიზმი მოხმობილია რუსთველის რედაქციით (1, 299).

გამონაკლის შემთხვევაში რუსთველის ტექსტის სიტყვის შეცვლას იმდენად შეუცვლია დედნის შინაარსი, რომ მას დაუკარგავს ციტატის ხასიათი, ილია ასეთ შემთხვევაში აღარ ხმარობს ბრჭყალებს. რუსთველის ფილოსოფიური აფორიზმი „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან“ (848,1) ილიას ერთგან გოუხმია სატირული მიზნებისათვის, რის გამო შეუცვლია ტექსტის ერთი სიტყვა, რასაც ძირეულად გარდაუქმნია პოეტური ფრაზის შინაარსიც და ინტონაციაც, წერილში „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ ილია ჭავჭავაძე მწარე სარკაზმით ამბობს: „ბოყინი, ზაფრა კუჭის საქმეაო, მეტყვიით, და არა გულისაო. მართალია, მაგრამ გული, გონება და კუჭი ერთმანეთზედა ჰკიდიან, ნამეტნავად ეხლანდელ დროში“ (II, 276). როგორც შევნიშნეთ, რუსთველის სიტყვები აქ ბრჭყალებში აღარ არის ჩასმული, იმდენად დარღვეულია დედნის ტექსტის შინაარსობრივ-აზრობრივი მხარე.

ილია ჭავჭავაძის შესანიშნავ მეცნიერულ-პუბლიცისტურ ნარკვევს „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი“ ეპიგრაფად აქვს:

ეგრე მტრისა არ მეშინის,
რადგან ცხადად მაწყინარობს;
მოყვარესა მტერსა ვუფრთხი,
მეშოყვრება, მოცინარობს...

ეპიგრაფის ტექსტს მიწერილი აქვს რუსთველი. ვეფხისტყაოსანში მართლაც არის დამოწმებული ტექსტის შინაარსის გამომხატველი აფორიზმი „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია“ (1211,2). როგორც ზემოთ ვთქვით, ეს აფორიზმი კიდევაც არის გამოყენებული ეპიგრაფად წერილში „კატკოვის პასუხად“. საანალიზო აფორიზმი კი („ეგრე მტრისა არ მეშინის...“) რუსთველს შემთხვევით მიეწერება, იგი ამოღებულია „ქილილა და დამანადან“⁸⁴.

⁸⁴ ქილა და დამანა, აღ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით, თბილისი, 1949, გვ. 251 (შდრ. ი. გრიშაშვილი, საანდაზო ლექსები, გვ. 175—178).

საკმაოდ თავისუფლად ექცევა ილია ჭავჭავაძე „დავითიანიდან“ და „ქილილა და დამანადან“ ამოღებულ აფორიზმებსაც. „ქილილა და დამანას“ გამო. ი. გრიშაშვილი საგანგებოდ შენიშნავს: „ილია ჭავჭავაძე უფრო „ქილილა და დამანას“ ტექსტის გარედაქციებისათვის დამაშვრალა (შოთას და გურამიშვილს „ისე“ ვერ ასხვავებებს). „ქილილა და დამანას“ თითქმის ყოველი აფორიზმი ილიას თავისი გუნების მიხედვით შეუცვლია“³⁵.

ვეფხისტყაოსნის იდეურ-მხატვრულ რაობას ილია ჭავჭავაძე აფასებდა მსოფლიო ლატერატურის ისტორიის პოზიციებიდან. საგულასხმოა, რომ გ. ბრანდესის წიგნის «Главные течения литературы XIX столетия», М., 1831 г. კაოხვის დროს ილიას ყურადღებიდან არ გამოპარვია ქართული ლატერატურის ისტორიის ფაქტები, კერძოდ ვეფხისტყაოსანი, და შესაფერის ადგილას მიუწერია რუსთველის გმირების სახელები. ასე, იქ, სადაც დახასიათებულია ბენეამენ კონსტანის ელეონორა, ილიას ჩაუნაშნავს — თ ი ნ ა თ ი ნ ი. დე-სტალის შემოქმედებას განხალვას ილასსაათვის მოუგონებია რუსთველის ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი და „ნესტან და ტარაელის გამარჯვება“³⁶.

საგულასხმოა, რომ ილია ჭავჭავაძეს ხელთ ჰქონია ეკერმანის „გოეთესთან საუბრებას“ ცნობილი წიგნის რუსული გამოცემა. ილიას ყურადღება მიუპყრა წიგნის შემდეგ ადგილს: «Овладеть надлежащим образом своим сюжетом, сдерживать себя и сосредоточиться только на вполне необходимом, — все это требует сил поэтического гиганта и труднее, чем думают».

ეს ნაწყვეტი ილიას ჩამოუხზავს და მიუწერია — რუხაველი³⁷. აშკარაა, რომ ილია ჭავჭავაძე რუსთაველს თვლიდა სიუჟეტის შემქმნელ დიდოსტატად.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის მაღალი მომთხოვნელობის კრიტერიუმით ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე თავისი მეცნიერულ-კრიტიკული შემოქმედებითი შედეგების შექმნის დროს. ესაა წერილი „აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“³⁸. ილია ჭავჭავაძის წერილი გამოიწვია აკაკი წერეთლის ლექციებმა ვეფხისტ-

³⁵ საანდაზო ლექსები, გვ. 191—192.

³⁶ თ. შ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი. ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა, ბიბლიოგრაფიის მოამბე, 1948, № 4—5, 232—233.

³⁷ იქვე, გვ. 273.

³⁸ თხზულებანი, II, გვ. 61—69.

ტყაოსნის შესახებ³⁹. 1887 წელს საჯაროდ წაკითხულ ლექციებში აკაკიმ ის აზრი გამოთქვა, რომ რუსთველს სურდაო „დაეხატა მთელი საქართველოს სურათი და გამოეყვანა მისი საიდეალო გმირი როგორც მამაკაცის, ისე ღედაკაცისა“. ქართველთა ტომები სხვადასხვა ხასიათისა და ბუნებისანი არიან, ამისათვის რუსთველმა „საჭიროდ დაინახა, ერთი გმირის მაგიერ აეღო სამი, გადაეკავშირებია ერთ-მანეთთან, ერთი მეორით შეევესო და ისე წარმოედგინა ჩვენთვის. ამ აზრით იმან აიყვანა ამერიდან ტარიელი, იმერიდან ავთანდილი და შავი ზღვის პირიდან ფრიდონი, და მათი შეერთებით დაგვიხატა ერთი სრული გმირი მთელი საქართველოსა“. აკაკი არჩევს ვეფხისტყაოსნის გმირების ხასიათს და ასკვნის: „ტარიელში იხატება ქართლელების ხასიათი და ზნე, ავთანდილში იმერლების და ფრიდონში შავი ზღვის პირელებისო“. აკაკი საგანგებოდ შენიშნავს: „რაც აქ კაცების შესახებ ვთქვით და დაეინახეთ, იგივე ითქმის ქალების შესახებაცო“: ნესტან-დარეჯანი „ამერთა ქალია“, ხოლო თინათინი „იმერთა“.

ამრიგად, აკაკი წერეთლის შეხედულებით, ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები ასახეირებენ ქართველთა ტომების წარმომადგენლებს და გამოხატავენ იმათ სპეციფიკურ ეთნიკურ თვისებებს (ზნეს, ჩვეულებას, ხასიათს და ა. შ.).

ილია ჭავჭავაძე ჯერ დიდ ქებას ასხამს აკაკი წერეთლის ლექციებს. ილიას სიტყვით, აკაკი წერეთელმა თავისი ლექციების „დედა-აზრის... აკიდოზედ ბევრი მართალი მარგალიტები აასხა გონება-მახვილობისა, ლამაზის შედარებისა, როგორც ბ-ნ აკაკის ბედნიერის ნიჭის ამბავი მოგეხსენებათ“. მაგრამო. განაგრძობს, „ჩვენის ფიქრით, თითონ აკიდოს ღერო კი მეტის-მეტად სუსტი რამ არის და, თუმცა ზედ ასხმულს მარგალიტებს ჰზიდავს, მაგრამ კრიტიკის ხელშეხებას კი ვერ გაუძლებსო“. ილია ჭავჭავაძის მოსაზრებით, აკაკი წერეთელმა ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობა „ვიწრო ფარგლებში მოამწყვდია“ და დიდი ქართველი პოეტი-მოაზროვნე „უბრალო ეთნოგრაფის საჩხირკედლო საქმეზედ ჩამოახდინა“. აკაკი წერეთლის ლექციებიდან ისე გამოდისო, ცხარე გულისწყრომით ამბობს ილია, რომ: „რუსთაველი დიდად სადიდებელი პოეტი კი არ არის.

³⁹ სამი ლექცია ვეფხისტყაოსანზე (კრებული, V, 1898, განყ. I, გვ. 11, 31; იგივე, VI, 1898, განყოფილება, I, გვ. 19—56); რამდენივე სიტყვა ზატ. ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ ვეფხისტყაოსნის ვაგო (კრებული, V, 1898, განყ. II, გვ. 1—18) აკაკი წერეთლის ლექციების ტექსტი დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილის გამოქვეყნების შემდეგ.

არამედ უბრალო ეთნოგრაფია, ან ამის მსგავსი ერთი ჩურჩუქი რამ არამკითხე მოამბე“. ილია ჭავჭავაძის თვალთახედვით, ნამდვილად დიდი მწერალი ისაა, ვინც „ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნის“. ან „ზოგად-კაცობის ტიპს“, და არა რომელიმე „ქართლელ, კახელს, პეტრეს, ივანეს“. კერძო პიროვნების, პორტრეტის მხატვარს ილია არ თვლის შემოქმედ ხელოვანად, პორტრეტისტი იგი უწოდებს ოსტატს (ხელოსანს). ხელოვნების ძირითად დანიშნულებად ილია ჭავჭავაძეს მიაჩნია განზოგადებული, ტიპიური სახეების შექმნა. თავისი შეხედულება ზოგადისა და კერძოს მიმართებაზე ილიას ასე აქვს გამოთქმული: „ზოგადი სახე ადამიანისა, რამოდენადაც ამ შემთხვევაში უფრო წვრილზედ დახურდავებული იქნება, მაგალითებრ, ზოგადი-კაცი რომელისამე ერის კაცად, ერის კაცი რომელისამე თემის კაცად, თემის კაცი რომელისამე გვარეულობის კაცად, გვარეულობის კაცი ოჯახის კაცად, ოჯახის კაცი ივანედ, ფრიდონად და მებრვე სხვა, — იმოდენად შემოქმედობა მწერლისა მალლიდამ დაბლა ჩამოდის, იმოდენად მწერალი ნიჭ-ნაკლებია და დაქვეითებულია“. ჰომეროსი, შექსპირი და ძმანი მათნი თავიანთი შემოქმედებით გამოხატავენო, ამბობს ილია ჭავჭავაძე, არა კერძოსა და ცალკეულს, არამედ ზოგადსა და საერთოსო. „ვიწრო მოედანი, — წერს ილია, — მარტო ფალავნის სარბიელია და არა იმისთანა გოლიათისა, როგორც შექსპირია და თუნდა ჩვენი რუსთაველიცა. რუსთაველის ტიპებს იმ პაწია ჭუჭრუტანიდამ სინჯვა კი არ უნდა, საიდანაც მარტო ქართლელი, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელწოდებული კაცი დაინახება, არამედ იმ უშველებელ სარკმლიდამ, რომ მთელს კაცად-კაცობას თვალი გადევლებოდეს, მის სრულს სიგრძე-სივანესა და სიღრმე-სიმაღლეზედ“. ამ საზომით იხილავს ილია ჭავჭავაძე ვეფხისტყაოსნის პერსონაჟებს. რუსთაველის პერსონაჟები მას მიაჩნია ზოგადკაცობრიულ ტიპებად, ზოგადადამიანებად, რომლებიც ვერ მოთავსდებიან ვერც ნაციონალურსა და, მით უმეტეს, ვერც ტომობრივ-ეთნიკურ ჩარჩოებში. „ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, და სხვანი მამაკაცი და დედაკაცი ვეფხისტყაოსნისა ყველაზე უწინარეს ადამიანები არიან და, მაშასადამე, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით შექმნილნი და აგებულნი“. აცხადებს ილია ერთგან და სხვაგანაც ხაზგასმით იმეორებს: „კიდევ ვიტყვით, რომ ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვანი კაცად-კაცი არიან, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით აგებულნი და სულდგმულნი“. ამაშია მთელი სიდიადე რუსთაველის გენიოსობისაო“, ასკვნის ილია. ვეფხისტყაოსნის თითოეული პერსონაჟის

მოქმედებას, მკვლევრის მოსაზრებით, განსაზღვრავს არა ავტორის სუბიექტური წადილი, არამედ ამ პერსონაჟის ბუნება, მისი ხასიათი. თუ, მაგალითად, თინათინი და ნესტანი ერთგვარ სიტუაციაში სხვადასხვანაირად მოქმედებენ, ეს იმიტომ, რომ „თინათინი სხვა ბუნებისაა და ნესტან-დარეჯანი სხვა, და ეს ბუნების სხვადასხვაობა სხვადასხვა ზემოქმედებასაც ექვემდებარება“. ასევეა ტარიელი, ავთანდილი და პოემის სხვა პერსონაჟი. „აქ რა შუაშია ან ქართლელი, ან კახელი, ან იმერელი“, ერთგვარი ირონიით კითხულობს ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძის წერილი წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოების ღრმა კონკრეტული ანალიზის საუკეთესო ნიმუშს. მოკლედ, მაგრამ დიდი დაკვირვებით აქვს ილიას გარჩეული ვეფხისტყაოსნის მთავარი პერსონაჟების „ბუნების სხვადასხვაობის“ საკითხი, თუ როგორ „სხვადასხვა ზემოქმედებასაც ექვემდებარება“ ეს „ბუნების სხვადასხვაობა“. თინათინი და ნესტანი პირველად ხედებიან პირისპირ თავიანთ მიჯნურებს. თითქოს ერთგვარი უნდა ყოფილიყო ფსიქოლოგიური ეფექტი, სურათი კი სხვადასხვაგვარი გამოვიდა. თინათინმა და ავთანდილმა ტკბილი მუსაიფი გააბეს და საქმიანი გადაწყვეტილებაც მიიღეს. ნესტანისა და ტარიელის შეხვედრა კი უსიტყვოდ დამთავრდა. ილია ჭავჭავაძის განმარტებით, „დიდი მწუხარება ცრემლს უშრობს კაცს, პატარა კი ცრემლს აღენს; დიდს სიხარულს ხშირად ცრემლი მოჰყავს და პატარას კი — დიმილი; დიდი გულისტქმა, ჭეშმარიტი გრძნობა მუნჯია, უტყვია, და პატარა კი — ყბედი და ლაქლაქა“. ილია აღტაცებაში მოუყვანია რუსთველის მიერ პოეტურად აღწერილი ეპიზოდის ფსიქოლოგიურ სიმართლეს, დიდი კრიტიკოსი მღელვარე პათოსით ამბობს: „აი, გულთამხილავი რუსთაველი, რამ-სიდიდე გრძნობას ჰხედავს ნესტან-დარეჯანის გულში და რა ხატით გვაჩვენებს ჩვენც მის ძლიერებას, სიდიადეს და ძლევაშობას: ქალმა ველარა სთქვარა, სიტყვა შეკრაო. ეგ რატომ არ მოუვიდა თინათინს, როცა ავთანდილი დაიბარა პირველად სალაპარკოდ? იმიტომ, რომ ღრმად კაცად-კაცის მცოდნე რუსთაველმა იცოდა, რომ თინათინი სხვა ბუნებისაა და ნესტან-დარეჯანი სხვა და ეს ბუნების სხვადასხვაობა სხვადასხვა ზემოქმედებასაც ექვემდებარება“.

ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილის მნიშვნელობა ძალზე დიდია. ეს წერილი ახალი და ცოცხალი სიტყვა იყო რუსთველოლოგიაში. ქართველ მკვლევართაგან ილია ჭავჭავაძემ პირველად გაარჩია ვეფხისტყაოსანი ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზ-

რისით. ამ გარჩევის შედეგად მან რუსთველი დამსახურებულად ამოუყენა გვერდში მსოფლიო ლიტერატურის გიგანტებს — ჰომეროსს, შექსპირს და „მამათა მათ“.

მაინც პირუთენელობა გვაიძულებს აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძე ერთგვარად აზვიადებდა „ზოგადი ადამიანის“ ან „ზოგადი ადამიანის“ ტიპის მნიშვნელობას, რამდენადაც განყენებულად განიხილავდა ზოგადი ადამიანის ცნების შინაარსს. ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, „ზოგად ადამიანს“ თითქოს არ შეეფერება არა თუ ეთნიკური, გვაროვნული. ოჯახური და კერძო ხასიათის თვისებები, არამედ ეროვნულიც კი. ამიტომაც, პრინციპული ასპექტით სავსებით სწორად სვამდა კითხვას აკაკი წერეთელი: „რატომ არ შეიძლება, რომ ვეფხისტყაოსნის გმირები ერთსა და იმავე დროს ქართველებიც იყვნენ და საზოგადო, საყოველთაო ტიპებიც?“ რასაკვირველია, ეს მართებული შენიშვნა სრულიად არ ამბობს, რომ სწორი იყო აკაკი წერეთლის პოზიცია ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა გაგების საკითხში.

ილია ჭავჭავაძისათვის, როგორც კრიტიკული რეალიზმის დაჯერებული წარმომადგენლისათვის ქართულ მწერლობაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ლიტერატურული სახის ტიპიურობის პრობლემას. ილიასათვის მიუღებელი იყო ის ვიწრო და შეზღუდული შეხედულება, რომელიც ამ მხრით განავითარეს „მართლის თქმის“ მიმდევრებმა XVII—XVIII საუკუნეებში. თავის ერთ პოლემიკურ წერილში („ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“) ილია ჭავჭავაძე შემდეგნაირად მსჯელობს მხატვრული გამოგონებლობის შესახებ:

„მთელი ეგრეთ-წოდებული სიტყვაკაზმული ლიტერატურაც ამ საფუძველზეა აშენებული: მ ო გ ო ნ ი ლ ი ს ა მ ბ ი თ ც ხ ა დ ჰ ყ ო ს მ ა რ თ ა ლ ი. იგიც ამ სათავიდამ მოდის. ამიტომაც ამგვარს ლიტერატურაში არ არის არც ერთი მოთხრობილი ამბავი, რომ მართლა მართალი იყოს, მართლა ნამდვილი იყოს: სულ ადამიანის ფანტაზიით შექმნილია და ისეთის შემოქმედებით ხორცილსხმული, სულთჩასახული, რომ კაცს-კი არ ეჯავრება, დიდადაც მოსწონს და ესურვება. ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, ავთანდილ, ფრიდონ, თინათინ არც თავის-დღეში ყოფილან და არც არიან, არც ოდესმე უცხოვრიათ და არც ეხლა სცხოვრებენ, მაგრამ აბა ჰნახეთ ჩვენი საკვირველი რუსთაველი როგორ სასწაულთმოქმედობს ადამიანზე, როცა იმათს ცხოვრებას გვიამბობს, მათის ცხოვრების მაჯისცემას გვატყობინებს!.. შოთამ მის მიერ მოგონილ ამბავს ისეთი სული ჩა-

ატანა, რომ ამ ჭეშმარიტ სულისაგან თვით არაჭეშმარიტი ამბავი მართალი გგონია. აი ეს საოცარი გარდაქმნა, ანუ უკეთ ვთქვათ, ქმნა არ-ყოფილისა ყოფილად, მარტო შემოქმედს შეუძლიან და ამიტომაც ამ ლეთიურს ძალღონეს ქმნისას შემოქმედებას ეძახიან“ (II, 281—282).

მოყვანილი ამონაწერის მიხედვით ილია ჭავჭავაძე ამტკიცებს, რომ სიტყვაკაზმულ მწერლობაში სიმართლე ჩვეულებრივად იხატება მოგონილი ამბის საშუალებით. გარკვეული ქანრის ფარგლებში „არ არის არც ერთი მოთხრობილი ამბავი, რომ მართლა მართალი იყოს, მართლა ნამდვილი იყოს: სულ ადამიანის ფანტაზიით შექმნილია“. ხელოვანი მწერალი მას მსკვეალავს სინამდვილის სულით და სინამდვილის ხორცს ასხამს, მკითხველს საეჭვოდ არ მიაჩნია მოგონილი ამბის სიმართლეო. ერთი სიტყვით, შემოქმედი-ავტორის წყალობით მოგონილი ამბავი მხატვრულ მწერლობაში ლებულობს ნამდვილად მომხდარი, ჭეშმარიტად მართალი ამბის ხასიათს.

ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ ჩერდება სწორედ ვეფხისტყაოსანზე: „ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, ავთანდილ, ფრიდონ, თინათინ არც თავის-დღეში ყოფილან და არც არიან, არც ოდესმე უცხოვრიათ... შოთამ მის მიერ მოგონილ ამბავს ისეთი სული ჩაატანა, რომ ამ ჭეშმარიტ სულისაგან თვით არაჭეშმარიტი ამბავი მართალი გგონია“. სინამდვილის ამ გარდაქმნას ან სინამდვილის მხატვრულ გარდასახვას ილია ჭავჭავაძე უწოდებს შემოქმედებას. რა თქმა უნდა, ილიას მხედველობაში აქვს რეალისტური შემოქმედება. ყველაფრიდან ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე იცნობდა XVII—XVIII საუკუნეების ქართველი მწერლების აზრს ვეფხისტყაოსნის შესახებ. ამ მწერლებისაგან განსხვავებით ილია სავესებით სწორად სწყვეტს ვეფხისტყაოსნის მხატვრული სიმართლის, ვეფხისტყაოსნის რეალიზმის პრობლემას და დამარწმუნებლად აბათილებს რუსთველის პოემის ანტირეალისტურობის თვალსაზრისს. იმავდროულად ილია ჭავჭავაძე ვეფხისტყაოსნის კონკრეტულ მაგალითზე არკვევს რეალისტურ შემოქმედებაში მხატვრული გამომგონებლობის ხასიათს და სამართლიანად აკრიტიკებს ყოველგვარ ვიწრო, შეზღუდულ შეხედულებას⁴⁰.

ილია ჭავჭავაძემ წამოაყენა ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სახე-

⁴⁰ ალ. ბაკაძე, რეალისტური ნაადის შესახებ XVII—XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში (ლიტერატურული ძიებანი, IX, 1955, 112—113).

თა სისტემისა და პოემის იდეური შინაარსის გაგების ახალი, ორიგინალური თეორია.

რუსთველის პოეზიის უზომო სიყვარულის გამო ილია ჭავჭავაძემ მკაცრად გააკრიტიკა აკაკი წერეთელი. ილია მშვენიერად გრძნობდა თავისი წერილის კილოს სიმწვავეს. შემთხვევითი როდია, რომ მისი კრიტული შენიშვნები საგანგებო განცხადებით იხურება: „ჩვენ რუსთაველის სახელი მეტის-მეტად დიდ სახელად მიგვაჩნია და მოგვიტევონ, რომ მის სახელს და დიდებას ადვილად ვერავის დავეთმობთ“.

თუ ასე მკაცრი იყო ილია ჭავჭავაძე აკაკი წერეთლის მიმართ, რა საკვირველია, რომ ახალი ქართული კულტურის დამსახურებული მესვეური უკომპრომისოდ დაუნდობელი ყოფილიყო ნარ-დონისადმი (— ივანე ჯაბადარისადმი), რომლის უდიერმა წერილებმა «Письма о Грузии» მთელი მოაზროვნე ქართველი საზოგადოების ერთსულოვანი გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია. ილია ჭავჭავაძის ნაბეჭდი სიტყვით, ქართველი საზოგადოების ბუნებრივ გულისწყრომას იწვევდა ი. ჯაბადარის მხრით „ასე სასაცილოდ აგდება ყველაფრისა, ასეთი შელახვა და შებღალვა ლოდიკისა, ცოდნისა, მეცნიერებისა, ლიტერატურისა, ნამყოსი, აწმყოსი, მერმისისა...“ (II, 330).

«Письма о Грузии» — ამბობს ილია სხვაგან — თავიდან ბოლომდე ერთი გაბტყელებული და უშვერი ტყუილია, მარტო ძაგებისთვის შეთითხნილი, ჭირვეულობის და ყოვლად უაზრობისა და უეციობისაგან და თავგასულ მამლაყინწაობისაგან ურცხვად გატრაბახებული“ (II, 414). ნარ-დონის წერილების საისტორიო ნაწილს ილია ჭავჭავაძემ გამანდგურებელი პასუხი გასცა („აი, ისტორია“). ამის შემდეგ გამოქვეყნდა ნარ-დონის პასქვილის სალიტერატურო ნაწილი⁴¹, სადაც უდიერად იყო დახასიათებული ქართველი ხალხის დიდი სულიერი კულტურა და მისი დიდება ვეფხისტყაოსანი. ავტორს თავისი წერილების ნაწილი დაბეჭდვამდე წაუკითხავს „ივერიის“ რედაქციაში. იაკობ მანსვეტაშვილის სიტყვით, „ილია თავისებურად გაცხარდა და გაცეცხლებულმა უთხრა: არა, ბატონო ივანე, ჩვენ ეგრე ადვილად ვერ დაგიტომობთ რუსთაველს. დღევანდელი რუსული კრიტიკის თვალთახედვის ისრით ვერ გაიზომება ვეფხვის ტყაოსანი. ამას მეტი დაფიქრება, მეტი მოსაზრება უნდა. რუსული კრიტიკის ზენა-ქვერული ნაყარდობა აქ არ გამოდგება. აქ უფრო ღრმად უნდა საქმეს ჩახედვა. ვისაც რუსთაველზე წერა უნდა, იმან, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეითვი-

⁴¹ Северный вестник, 1889. № № 9, 10.

სოს იგი არა კეუთ მხოლოდ, არამედ გულითაც, უნდა იგრძნოს მისი გმირების სულისკვეთება, ჩასწვდეს ქართველი გულის სიღრმეს, იგრძნოს მისი მაჯის ცემა. ეს იქნება ქართველი კაცის ნამდვილი სულის-თქმა, მისი რწმენა, მისი სამართლიანი განსჯა და არა სკაბიჩევსკის კრიტიკა.

და კიდევ ბევრი მწარე სიტყვები შესთავაზა ილიამ ჯაბადარს⁴².

იმავე მანსვეტაშვილის მოგონების თანახმად, ჯაბადარმა მაინც დაბეჭდა თავისი თუ ლიუბატოვიჩის⁴³ წერილი... ხოლო „ივერიას“ კი შემოსწყრა და მას უკან რედაქციაში აღარ გაუვლია“⁴⁴.

ჯაბადარის საქციელმა დიდი მღელვარება გამოიწვია ქართველი ინტელიგენციის წრეში. საყოველთაო აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. ბევრი დაიწერა და კიდევ უფრო ბევრი ითქვა ჯაბადარის 'წერილების გამო. კამათში ჩაება გაზეთი «Новое обозрение» და იმისი რედაქტორი ნიკო ნიკოლაძე. მან გამოაქვეყნა რამდენიმე წერილი. პირველი და უმთავრესი წერილის სათაურია: «Византийские споры»⁴⁵.

ბევრ მართებულ კრიტიკულ შენიშვნებთან ერთად, წერილში გამოთქმული იყო ცალკეული საყურადღებო დადებითი მოსაზრებანი. მაგალითად, ნარ-დონის სიტყვით, რუსთველი თითქოს მონურად ბაძავდა ნიზამი განჯელის პოემას „ლეილი და მაჯნუნს“. ამის გამო ნ. ნიკოლაძე სამართლიანად წერდა:

«Скажите на милость, неужто среда, где процветали и процветают гаремы, была благотворнее для развития человеческого отношения к женщине, чем та, которая окружала грузинского поэта? Неужто Руставели, живя в стране, поклонявшейся св. Нине и возвеличенной Тамарою, не вокруг себя, а в гаремной Персии должен был искать идеалов женского культа?»

ნ. ნიკოლაძის წერილები იწყებოდა უცნაური შესავლით: «В гру-

⁴² იაკობ მანსვეტაშვილი, მოგონებანი, ლევან ასათიანის რედაქციით, თბ., 1936. გვ. 93.

⁴³ ი. მანსვეტაშვილი შენიშნავს: „შემდეგ შევიტყე, რომ ეს წერილი საესეებით მისი (ე. ი. ი. ჯაბადარისა — ა. ბ.) არ ყოფილიყო. ამას მხოლოდ ვეფხისტყაოსანის შინაარსის გადმოცემა ეკუთვნოდა, დაწერა ვაშუქება და კრიტიკული განხილვა იმის ცოლის ყოფილიყო ჯაბადარის ცოლი. შთამომავლობით რუსი, ლიუბატოვიჩის ქალი, დიდის ხნის რევოლუციონერი იყო. „ნაროდოვოლცების“ წრეს ეკუთვნოდა.“ (გვ. 94).

⁴⁴ იქვე. გვ. 94.

⁴⁵ Новое обозрение, 2. XI. 89, № 2022 (შემდეგი წერილები გამოქვეყნდა იმავე გაზეთში; იხ. №№ 2032, 2046, 2046).

ზინსკომ ობშესტვე სმჷთენი: ნაშელსჷ «ნეჩესტივეც», ოსომნივშისჷ
ვ სემობჷთნოსი ი ორიგინალნოსი შოტა რუსთაველი, თვორცა «ბარ-
სოვოი კოჷჷ». სომნიენი სვოი სეი ჯაღაზანსკიი გეროსტრატ იღო-
ჷლჷ — ო, ოჷსაჷ, — ნა რუსსკომ ოზჷკე ი პრედელ თისნენიუ ვ ლიბე-
რალნომ «სევერნომ ვესტნიკე» ოდ ჯაღლავნიემ «პისჷმთა ო გრუზიი».
ამ შესჯელის შემდღეჷ ავტორი ორიოდე სიტჷყეით ეხება ჯაბადარის წე-
რიღების სისტორიო ნაწილს, ხოლო ვრცლად ჩერდება ვეფხისტჷკაოს-
ნის პრობლემაზე სავროთოდ, კერძოდ კი ვეფხისტჷკაოსნის ორიგინალ-
ბის საკითხზე. ნ. ნიკოლაძე წერს:

«Во-первых, мы не понимаем, что собственно хотел доказать...
автор «Писем о Грузии»? Заимствовал-ли Руставели канву своей
поэмы у персиан, или из своей головы сочинил он ее, или хоть
слово в слово перевел ее от доски до доски, — разве не все рав-
но это с точки зрения значения «Барсовой кожи» в истории гру-
зинской литературы и грузинского развития? Серьезен тут один
только вопрос: да, или нет, «Барсова кожа» служила-ли в тече-
ние шести столетий настольною книгою грузин всех областей
грузинского царства? А раз она заучивалась наизусть, раз ее
выражения превратились в поговорки, раз ее сентенции стали
освოю грузинской морали, книга эта становится документом
для суждения о народе, ее присвоившем и ею проникшемся, все-
же остальные ее стороны уходят на задний план и ступенькываю-
тся для всякого серьезного мыслителя и критика». ნ. ნიკოლაძე
აღნიშნავს, რომ გოეთეს და შექსპირს თავიანთი თხზულებების სიუ-
ჷეტები „ნასესხები“ აქვთ, მაგრამ არაეინ არ დაეკვებულა ამ თხზულე-
ბათა ორიგინალობასა და სიდიადეშიო, და განავრძობს: «Все это так.
Но нас подобные ошибки автора «Писем о Грузии», признаться,
и не удивляли-б и не печалили-бы свыше меры: мало-ли в какие
ошибки впадают юные и неопытные писатели; вреда от того ни-
кому ни малейшего не причиняется, кроме непроизводительной
затраты сил, могших найти себя лучшее применение. Что нас осо-
бенно печалит, во всем этом деле, это — отношение грузинской
интеллигенции и публики к подобным ошибкам и несообразно-
стям». ნ. ნიკოლაძე ამბობს, რომ გერმანელსა და ინგლისელს სრული-
ად არ აინტერესებს და არ აწუხებს, საიდან აიღეს სიუჷეტები გოეთემ
და შექსპირმა. გერმანელსა და ინგლისელს რომ გოეთესა და შექსპი-
რის თხზულებების სიუჷეტების წყაროებზე მიუთითოთ, ისინი «не со-

ჩტუთ ვას ჯა ზო ნი ნეჩესტივცემ, ნი სვიათოთატცემ, ნი იზემენიშკომ, ნი პოსვიატელემ ნა «ჩესტი» იხ როდინი. ონი ზნაოთ, ჩო, ტემ ნე მენეე, ი გეტე, ი შექსპირ ოსაოტუსა ველიკიმი დო ოკონჩანიე მირა ი ჩო ობა ოტი პისატელა ი პოსლე ტაოკოე «რავობლენიე», კაკ ი დო ნეგო, ნე პერესაოტუსა ბუტი გორდოსტიუ ი სვოიხ სტრან, ი ვსეგო ჩელოვეჩესტვა. მეჯდუ ტემ, გრუზინი ონოსესა კ ავტორუ «პისემ ო გრუზინი» ი კ ეგო სვოამ ო «ჰაიმსტვოვანიე» შოტა რუსთაველი ს გნევომ ი რავდრავენიემ, ტოჩო ონი რავრუშილ დო ოსვონანიე მიჩეტსკიი ხრამ... ნე ბოლინო-ლი ვიდეტი ოთო?... ნე იავნიი ლი ოთო პრიჰვანიე ვიზანტიზმა?».

ქართველი მოწინავე ინტელიგენცია და მისი იდეური მესვეური ილია ჭავჭავაძე ვერ დააქმაცოფილა ნ. ნიკოლაძის გამოსვლამ. მეტიც, ილია აშკარად გულნაკლული დარჩა. ეს გულნაკლულობა მან გამობხატა წერილით: «Новое обзрение»-ს წერილის გამო⁴⁶. ილია ჭავჭავაძეს არაფერი უთქვამს, მაგრამ მას უდაგილოდ მიაჩნდა გერმანელის, ინგლისელისა და ქართველის შეპირისპირება მათი გენიალური ნაციონალური პოეტების შემოქმედების ზოგიერთი საკითხებისადმი დამოკიდებულების გამო. შეუძლებელია ნ. ნიკოლაძეს არ სცოდნოდნა, რომ ქართველი ინტელიგენციისათვის ვეფხისტყაოსანი არ წარმოადგენდა მარტოოდენ აკადემიური განსჯის საგანს და ვიწრო ლიტერატურულ პრობლემას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ვეფხისტყაოსანს უყურებდა როგორც უდიდესი აღმზრდელი ბიძი და შთამავგონებელი ძალის მქონე უბადლო მხატვრულ ნაწარმოებს, რომელსაც უნდა დაეცა ბუთებინა ქართველი ხალხის ეროვნულ-კულტურული მოწიფულობა და მისი კანონიერი უფლება ეროვნული და სოციალური თავისუფლებებისათვის. ამიტომაც იყო ილია ჭავჭავაძე შეუპოვარი ქომბაგი რუსთველის ღირსებისა და დაუნდობელი მებრძოლი ამ ეროვნული დიდების განმაქიქებელთა წინააღმდეგ⁴⁷.

ილია ჭავჭავაძე ბრალს სდებდა «Новое обзрение»-ს წერილის ორქოფული ხასიათისათვის⁴⁸. ნარ-დონის მხილებასა და კილვას ზოგ-

⁴⁶ ი. ჭავჭავაძე, თბ. სრ. კრებული, ტ. II, 404—414.

⁴⁷ აღ. ბარამიძე. ნ. შარის შეცდომების შესახებ ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხების გაშუქებაში (ლიტერატურული ძიებანი, VIII, 1953, გვ. 49).

⁴⁸ ილიას მხედველობაში ჰქონდა ნ. ნიკოლაძის პირველი წერილი («Визав-

ჯერ ქების იერი დაჰკრავსო. ილია ჭავჭავაძის უკმაყოფილებას განსაკუთრებით ის გარემოება აძლიერებდა, რომ ნ. ნიკოლაძემ გააკენწლა ქართველი ინტელიგენცია ჯაბადარის წერილებისადმი გრძნობიერი რეაგირების გამო. «Что нас особенно печалит, во всем этом деле, — წერდა ნ. ნიკოლაძე — это — отношение грузинской интеллигенции и публики к подобным ошибкам и несообразностям... не больно — ли видеть это?» მისებური პრინციპული პირდაპირობითა და პილიპლნარევი სიტხარით შენიშნავს ილია: „ახლა ჰნახეთ, რარიგის გამომეტებით, რა-რიგ დაუზოგველად «Новое обозрение» მიწასთან ასწორებს ქართველთა ინტელიგენციას იმისთვის, რომ გაჰბედა და აუპილიპლდა „ნარ-დონსა“ და ეომებაო მაშინ, როდესაც საომარი საგანი დახარჯულის ტყვია-წამლის ფასად აღარ ღირსო; აქ რათქმა უნდა «Новое обозрение» შემთხვევას არ ჰკარგავს ახაროს თავის მკითხველს, რომ ქართველთა ინტელიგენცია ისე გონებამიხდილი და დახშულიაო, რომ «Письма о Грузии»-ს მეტი სალაპარაკო საგანი იმათს გონებას ველარ მოუპოვებია და მოუხერხებია სავარჯიშოდაო“ ილია ჭავჭავაძის სიტყვით Новое обозрение-მ მოინდომა ქართველი ინტელიგენციის „უსაბუთოდ გაბიაბრუება“ და „ჩიტირეკიებად“ მონათლა საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი. ამ შემთხვევაში, განაგრძობს ილია, „წყაზარმა გაზეთმა“ (ე. ი. Новое обозрение-მ) „საბუთიც“ იპოვაო: „იგი ამბობს, ვითომც ქართველთა ინტელიგენცია აუპილიპლდა „ნარ-დონსა“ მარტო იმისათვის, რომ ამ ვაებატონმა შესწამა რუსთველს, ვითომ სხვისაგან გადმოელოს თავისი ვეფხისტყაოსნის ამბავი. ესთქვათ რომ ასე იყოსო. — ამბობს სხვა საგნებზე გონებაგადალესილი «Новое обозрение»: — აქ წყრომას და რისხვას ინტელიგენციისას რა ადგილი აქვსო? ვის არ გადმოუღია, ვის არ გადმოუკეთებია სხვისაგან გავონილი ან ამოკითხული ამბავი? «Новое обозрение»-ს მიზნად დაუსახავს ქართველი ინტელიგენციის ჰკუთის სწავლებაო, ამბობს ილია ჭავჭავაძე და ირონიულად ასკვნის: საწყალი ჰკუაუბადრუკი, გონება-გაუჩარხავი ქართველთა ინტელიგენცია!“

ილია ჭავჭავაძის გულისწყრომას ის იწვევდა, რომ ნარ-დონმა ხელალებით, უსაბუთოდ „ლაფში ამოსვარა“ „ქართველთაგან თაყვანცემული კაცი“, ნ. ნიკოლაძე კი გამომდგარა და ამტიციებს. რა მნიშვნელობა აქვს, რუსთველმა თვითონ შექმნა ვეფხისტყაო-

ПИСЬМО СПИРИД). რომელაც ჯელმოუწერლად გამოქვეყნდა (შემდეგი წერილები ჯელმოუწერილია).

სანი, თუ იგი „სიტყვა-სიტყვით“ გადმოთარგმნა უცხოური ლიტერატურიდან, რაკი ქართველმა ხალხმა იგი მიიღო, შეიყვარა, შეითვისა და თავისი ზნეობრივი ცხოვრების საფუძვლად გაიხადაო?

ვეფხისტყაოსნის მსგავსი საბუთებით გამოსარჩლებას ილია ჭავჭავაძე თვლიდა რუსთველის ლირების დამცირებად. „განა ვეფხისტყაოსანზე კაცმა მარტო ის უნდა სთქვას, რომ რაკი საქართველოს მთელი ექვსი საუკუნე ეს წიგნი სიყვარულით ხელში სჭერია, მისი სიტყვები ანდაზებად გაუხდია, გაუზეპირებია, რაკი მისი სენტენციები საფუძვლად დასდებია ქართველთა ზნეობას, რაკი ყოველივე ეს ასე მიუღია ქართველობას, იგი წიგნი დოკუმენტად უნდა ჩაითვალოს ამ ერის ავქარგიანობის გამოსარკვევად და სხვა მისი მხარენი კი უნდა დაყენებულ და გაბათილებულ უნდა იქმნან ქუდადამჯდარ მკვლევარისა და კრიტიკოსის თვალშიო? განა მარტო ეს უნდა ეთქვა «НОВОЕ ОТНОШЕНИЕ»-ს სარჩლად რუსთაველისა? ნუთუ ვეფხისტყაოსანი მარტო დოკუმენტია, მარტო მშრალი პროტოკოლია და სხვა არაა? ამით ხომ «НОВОЕ ОТНОШЕНИЕ» უფრო „ნარ-დონს“ კმოწიპოს, ვერე ამტყუნებს. მართლა კი ეგრეა? აბა ერთი გულზედ ხელი დაიდოს კაცმა და ესა ჰკითხოს თავის-თავსა“.

ილია ჭავჭავაძე სრულიად მართებულ კითხვას სვამს: „ნუთუ ვეფხისტყაოსანს სხვა არავითარი ღირსება არა აქვს-რა, გარდა იმისა, რომ ქართველებს მოსწონს?“ ილიას მოსაზრებით, «НОВОЕ ОТНОШЕНИЕ»-ს უნდა გამოერკვია და დაესაბუთებინა თ ა ვ ი ს თ ა ე ა დ ი ღირსება ვეფხისტყაოსნისა, თუ მას საქმიანად და გულწრფელად სურდა პოემის დაცვა ახალი დროის განმაქიქებელთა თავდასხმისაგან. ილია ჭავჭავაძე ითვალასწინებს საქმის მეორე მხარესაც და საბუთიანად ამბობს: „ესთქვათ, საქართველო ესე მოექცა და ექცევა თავის საყვარელ ვეფხისტყაოსანს, განა არ შეიძლება საქართველო მოტყუებული იყოს ამაში და ის მოსწონდეს, რაც მოსაწონი არ არის თავისთავად? განა ცოტა მაგალითებია მსოფლიო ისტორიაში, რომ „ხელი-ხელ საგოგმანებლად“ გაეხადნოთ უშვერი და ულაზათო რამ? განა თვით „ნარ-დონი“ არა ჰყვირას თავის ჩხაენა ხმითა რომ ეგ საქართველოს მიერ მოწონება ვეფხისტყაოსნისა ბევრს არას ნიშნავსო და არაფრის საბუთიაო? ნუთუ ვეფხისტყაოსანს სხვა არავითარი ღირსება არა-აქვს რა, გარდა იმისა, რომ ქართველებს მოსწონს?“

მხურვალე პატრიოტული პათოსითა და დამარწმუნებელი მეცნიერული საბუთიანობით დაიცვა ილია ჭავჭავაძემ რუსთაველისა და მისი მადიდებელი ქართველი ინტელიგენციის ღირსებანი ნარ-დონის

მკრეხელობისა და «Новое обозрение»-ს ერთგვარად შემარიგებლური⁴⁶ უნიათობისაგან.

ილია ჭავჭავაძის მთავარი დებულების სისწორის საილუსტრაციოდ შეიძლებოდა შემდეგი მაგალითის მოყვანა: ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა სპარსულიდან ვადმოთარგმნილმა „როსტომიანმა“. „როსტომიანის“ გავლენის კვალი ემჩნევა არა ერთსა და ორ ქართველ მწერალს. „როსტომიანის“ ზოგიერთი ეპიზოდი ზ ე პ ი რ ი ს გზითაც ფართოდ გავრცელდა, ამ ნიადაგზე წარმოიშვა ხალხური „როსტომ-ზურაბიანი“ და „ბეჟანიანი“. უცხოური წარმოშობის „როსტომიანის“ მკითხველებსა და მსმენელებს პოემაში გულწრფელად ეგულებოდა „ძველი ზნეობა და ზოგადი ჩვეულება ძველთა ქართველთა“. „როსტომიანის“ მაგალითებს არაიშვიათად „ძველნი ქართველნი შთამომავლობათა ანდაზად დაუდებდიან“. „როსტომიანის“ პერსონაჟები ძლიერ პოპულარული გახდნენ, ამ სახელებმა ნამდვილი ეროვნული იერი მიიღეს ჩვენში. საკმარისია დავიმოწმოთ, — ზაალი, როსტომი, ზურაბი, გოდერძი, გივი, ბეჟანი, უშანგი, თეიმურაზი, მანუჩარი, ნოდარი, ქაიხოსრო, ლუარსაბი, როდამი, ქეთევანი და სხვანი. ერთი სიტყვით, ნ. ნიკოლაძის გამოთქმა რომ ვიხმართ, უცხოური პოემა «заучивалась (в Грузии) наизусть, ее выражения превратились в поговорки, ее сентенции (нередко) стали основой грузинской морали, книга эта становится документом для суждения о народе, ее присвоившем». და თუ აღნიშნულის გამო «все остальные ее стороны уходят на задний план и стушевываются для всякого серьезного мыслителя и критика», მაშინ ქართველი საზოგადოებისათვის, და კერძოდ ამ საზოგადოების მოაზროვნე წრეებისათვის, პრინციპული განსხვავება აღარ არსებულა ვეფხისტყაოსანსა და როსტომიანს შორის. ქართველი მოაზროვნე საზოგადოებაც შესაფერისადვე ერთნაირად უნდა მოპყრობოდა გენიოს რუსთველსა და საბაშვილ-თურმანიძეს (სერაპიონ საბაშვილი და ქაიხოსრო თურმანიძე არიან „როსტომიანის გამლექსავეები). ყოველ შემთხვევაში ასე გამოდის «Новое обозрение»-ს ლოგიკით. საკითხის ამგვარი გაუბრალოების წინააღმდეგ აღიმართლა თავისი გოლიათური ხმა დიდმა ილია ჭავჭავაძემ.

ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო ქართველ საზოგადოებაში ჯაბადა-

⁴⁶ თვითონ ნარ. დონი ნ. ნიკოლაძის წერილს ერთგვარად თავის დაცვად თვლიდა (Н. Д., Поклонение «современности» и «архелогия», Новое обозрение, 8. XI 89, № 2028).

არის გამოხდომით გამოწვეული ვნებათა-ღვლეა, რომ განოქვეყნდა მაშინ ახალგაზრდა ორიენტალისტის ნ. მარის წერილი ვეფხისტყაოსნის შესახებ⁵⁰. ნ. მარი გამომწვევი კილოთი კითხულობდა: „ჯერ ვინ დავეიმტიცა, რომ რუსთაველი ცრუობს და ვეფხისტყაოსანი სპარსულიდან არ არის გადმოთარგმნილი?“ ანტორი აცხადებდა, რომ იგი ელის „ცნობებს ერთ სპარსულ ხელნაწერზე, რომელიც ზრტანულ მუზეუმში ინახება ლონდონში და იქნება თვით ვეფხისტყაოსნის დედანია, რადგან ხელნაწერი შეიცავს, როგორც კატალოგიდან სჩანს, „შაპრი-არ-ნამეს“, ესე იგი წიგნს შარიერზე (ტარიელზე), რომლის ამბავი ინდოეთში მომხდარაო“. ნ. მარის ვარაუდი არ გამართლდა. ბრიტანეთის მუზეუმის „შაპრიერ-ნამე“ არ აღმოჩნდა „ტარიელის წიგნი“ (ვეფხისტყაოსანი). მარი მაინც არ იხვედა უკან, ჯიჯუტურად იმეორებდა ნაჩქარევად და შეუშოწმებლად გამოთქმულ თავის მოსაზრებას: «Я продолжаю надеяться, что рано или поздно в персидской литературе всплывет и тот грузинский роман, прозаический перевод которого послужил материалом творцу поэмы «Юнша в барсовой коже»⁵¹. ამ დროისათვის (1895 წლისათვის) ნ. მარმა კიდევ უფრო გააღრმავა ვეფხისტყაოსნის სპარსულიდან წარმოშობილობის თეორია და უარყო უკვდავი პოემის ხასიათი ფორმის მხრივაც⁵².

ილია ჭავჭავაძემ ერთხანს მოთმინებით უსმინა ნ. მარს, ბოლოს კი, როდესაც ახალგაზრდა მეცნიერმა აზრი არ შეიცვალა, მას მოთმინების ფიალა აეგსო და ჩვეული პრინციპულობით მოური-დებლად დაესხა თავს რუსთაველის სახელის ახალ შემბლაღველს. თავის განთქმულ მეცნიერულ-პოლემიკურ ნაშრომში „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა დაღადი“⁵³ ილია ჭავჭავაძემ შემდეგი ცეცხლოვანი სტრიქონები დაუთმო ნ. მარის კრიტიკას.

„...ნი მარის სხვადასხვა ცრუება, თითქოს ჩვენზე ჯუღოსჯლია და ჯერის იყარის. „კარგა ხანია, რაც დაიქადა, რომ დამცადეთ, ეგ თქვენი რადეც ვეფხისტყაოსანია, — სულ თავზე დაგაფხრეწთო, ინგლისში ერთი მანუქრიპტი მეგულება. იმას ვიპოვი და დავეიმტიცებთ, რომ იქილამ არის ეგ ნათარგმნი. ან გადმოღებულთო. ვაი, ჩვენო თავ-მოსაწონებლო რუსთაველო: თურმე ჭურღი ყოფილხარ და... სხვისი შენად

⁵⁰ წერილი ვეფხისტყაოსნის განო (გაზეთი „თეატრი“, 1890, № 12, 18 მარტი).

⁵¹ Грузинский извод сказки о трех остроумных братьях из «Русуллаянаши» (Восточные замечки, СПб., 1895, гв. 229).

⁵² იქვე, გვ. 228.

⁵³ ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, 415—479 (ქ ვ ა თ ი ღ ა დ ი ჯ ე რ წერილების სახით იბეჭდებოდა ივერიაშია 1899 წელს. შემდეგ იმავე წელს ცალკე წიგნადაც გამოიცა).

გაგისადები! ჩვენ-ი რა დიდებულ ჯაცად მიგიჩინეთ, შენს სახელს შეეხაროდით! ბ-ნი მარჩი, რომელიც ვითარცა დიდგულა მეცნიერი შუბლზე ბუზსაც არ ისჯამს უბრალო სიკვდილის შილი ზომ არ არის. ტყუილად დაიქადის რამ და არ იცოდეს, რომ „ისარი და პირით სიტყვა, რა ვასტყორცნო, არ მობრუნდეს“. დაიქადა და აი... აი ის დღეა და ეს დღე. მას აქეთ შეიღობა, თუ არ მეტი, წელიწადი გაეზა, — მაგრამ ქადილი ქადილად დარჩა. ბ-ნმა მარჩმა კარგად იცის, — რა განაჩია ჩვენთვის ვეფხის-ტყაოსანი; კარგად იცის, — რა ბურჯია იგი ჩვენის თავმოწონებისათვის, ქვეყნად ხნის ამოღებისათვის. მაშასადამე, თუ თავში დასაცხებია ვისმე რამ უნდა, უკეთესი იქნება აქედამ დაგვეხოს, აქედამ შევვიწვიროს ციხე-სიმაგრე ჩვენის სახელისა და თავმოწონებულისა. თუ არ ამან, სხვა რა გულთაძვრამ უნდა აგვიხსნას ეს ამისთანა თავდაუქვრავი მუქარა და ქადება მეცნიერისა, ფსიხოლოგიურად რომ ჩაუქვირდეთ?

რა საკადრისია, ჯაცს ჭერ საბუთი არ ენახოს. არ გაეჩხრიკოს და არც იცოდეს, მართლა ამისთანა საბუთი არის სადმე თუ არა, აიღოს და მთელს ერს შეუვიწინოს მისი საშარტლიანად სახელოვანი კაცი, შეუბლაღოს იგი თითქმის წმიდათა-წმიდა, რომელსაც შეიღობა-რეაგის წელიწადია განუწყვეტლად შესტრფის და შეკხარის. შეურყიოს ძირი იმ დიდებულს სახსოვარს, რომელსაც მთელმა ერმავე შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თვისნი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი!.. რა საკადრისია იქედე ვიტყვი: ამისი საბუთი რომ ხელში ჰქონოდა, ვინ რაღას ეტყოდა, მართალს წინ რაღა დაუდგებოდა! მაშინ თუმცა შეეწუხდებოდით, მაგრამ მაინც ჰატევისცემითა და მოწიწებით თავს მოეხიზრდით მართლის წინაშე. საქმე ის არის, რომ ჭერ საბუთი არ ენახა, და ან რას ვნახავდა, რაც არ არის, და მაინც დაიქადა. მე ესე მომელანდაო, სიზმარში ენახეო. რომ ინგლისში ამისი საბუთი არისო. თუ ეს მართლა სიზმარში მოლანდებულ არ არის, მამ რა იქნა იგი ქადებული საბუთი? რამ ჩაუღაპა! თუ იგი საბუთი არ აღმოჩნდა. ის ჰატეოსანი და ყოვლად ღირსეული თვისება ქვეშარტის მეცნიერისა სადღაა, რომ სთქვას: შეეცად და ვინანო. განა რომ „სოფლის ნადიშთა მქდომელი სოფელსავეითვე ქრელია“⁸¹. განა რომ „ბუესგან ნუ გამოვლი ბოლოჯარჯაზის ბუდე-სა“⁸².

მოდით და გულზე ნუ მოხვალთ ამისთანა თავგასულ და შეუნანებელ საქციელი-საგანს ეშოშობთ, მაგრამ მაინც ვიტყვი: ნუთუ ამისთანა ქედმაღალმა მეცნიერმა, როგორც მარჩია, თითონ რომ ჰქიბოთ, მართალი არა სთქვა? და თუ არა სთქვა, რას გვეშარტლებოდა? რათ დაიქადა ასეთის გაბედულის რიხით, და თუ დაიქადა. რათ არ დასრულა ქადებულა? რა ანგარიშია, რომ ჰლამის ხელიდამ გამოგვატალოს ჩვენ ჩვენს საუნჯე და ამისათვის ცარიელ მუქარის და ქადილის დალაბრებული, პირგადაღე-ქილი ხმალი მოგვიდგრა. ვისთვის და რისთვის ირგება, რომ ასე უსაბუთოდ გვეტანება და ხელიდამ გვატლის ჩვენს ვეფხის-ტყაოსანსა? ვის შერკშია თვალში ეკლად ეს ქართველების ერთუნელ ღირსებისა და ვინაობის სახსოვარი, რომ ბ-ნი მარჩი აგრე თავზე-ხელადებულად იღწვის ამ ეკლას გამოღებისათვის? ყოველივე ეს თქვენ გამო-

⁸¹ აფორიზმი ამოღებულია „ქილილა და დამანადან“ (1949 წლის გამოცემა, გვ. 131). ოლონდ. უანანსენელი სიტყვა „ქრელია“ დედანში სხვაგვარადაა — „ტრელია“.

⁸² ამოღებულია „ქილილა და დამანადანე“ (იგივე გამოცემა, გვ. 223).

იციანთ, (მკითხველნი), და ჩვენ ვი დიდი ხანია ვიცით, რომ „ხარი ხართან დაბო, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო“⁵⁶.

ეტყობა, ნ. მარს მწარედ მოხვდა გულზე ილია ჭავჭავაძის კრიტიკის ბასრი მახვილი. იგი განაწყენებულა და გაგულსიგებულა. მაგრამ ბოლმა დაუფარავს. უფრო საყურადღებო ის არის, რომ ნ. მარს ერთგვარად გადაუსინჯავს თავისი შეხედულება ვეფხისტყაოსანზე უწინარეს ყოვლისა ილია ჭავჭავაძის კრიტიკის ზეგავლენით. ყოველ შემთხვევაში ნ. მარი აწ მორიდებულად აღნიშნავდა: «Естественно, в современной Грузии к вопросу охотнее подходят с национальной точки зрения», რამდენადაც ქართველები ვეფხისტყაოსანში სამართლიანად ხედავენო «высшее проявление своего гения в литературе», იმას უყურებენო „როგორც ეროვნულ სიამაყეს“, მეტიც, როგორც «священную реликвию родной исторической жизни, народную святыню»⁵⁷.

ნ. მარის მიერ აქ მოხმობილია სწორედ ილია ჭავჭავაძის განსაზღვრებანი. კერძოდ, პირველად ილია ჭავჭავაძემ უწოდა ვეფხისტყაოსანს ქართველთა „წმინდათა - წმინდა“ წიგნი. ეს იგივეა რაც ნ. მარის «священная реликвия» და «народная святыня». თავის წერილში „აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“ ილია ამბობს: „ჩვენ, ქართველებს, სამართლიანად მოგვუაქვს თავი მით, რომ ეგ დიდებული პოემა, შექმნილი ჩვენის ერის დიდებულთა დროსა, ჩვენის კაცისაგან და ჩვენს ენაზე დაწერილია. ყველამ იცის, რომ ამით ჩვენ თავს ვიწონებთ, ვსახელობთ, ვქაღულთ“⁵⁸. აღნიშნულის აშკარა აზრობრივი და ტექსტუალური გამოძახილია ნ. მარის სიტყვები იმის თაობაზე, რომ „ამ ძეგლში (ლაპარაკია ვეფხისტყაოსანზე) «грузины по праву видят высшее проявление своего гения в литературе, они в нем инстинктивно ценят современника, конечно не случайного, эпохи политического могущества и блеска родного государства, и на славу «Витязя в барсовой коже» с давних пор смотрят как на национальную гордость»⁵⁹.

⁵⁶ ილია ვადაკერით მოაგონებს მკითხველს, რომ ნ. მარი იყო პროფესორ ბატკაროვის მოწიფე.

⁵⁷ Вступительные и заключительные строфы «Витязя в барсовой коже» Шоты из Ругтава (ТР, XII, Санктпетербург, 1910, გვ. 1—11);

⁵⁸ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, 61 (დაყოფა ჩემია, ა. ბ.).

⁵⁹ ТР, XII, გვ. 1—11, (დაყოფა ჩემია, — ა. ბ.).

ამან ნ. მარს მაინც არ დაუშალა გულში ჩუმად ეტარებინა ბოლშა. გვიან, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის თითქმის ოცდახუთი წლის შემდეგ, სახელდობრ 1933 წელს, ნ. მარმა მოიგონა ილიას ოდინდელი პოლემიკური ლაშქრობა და შეუფერებელი კილოთი აღნიშნა: «От-селе (იგულისხმება XIX საუკუნის 90-იანი წლები, — ა. ბ.) мишень всех националистических нападков особенно острых со стороны грузинских националистов, вождь которых, известный писатель кн. Чавчавадзе, при общем молчаливом сочувствии пригвоздил его (т. е. Н. Я. Марра, А. Б.) публично к позорному столбу, как ученого продавшегося врагам Грузии»⁶⁰.

აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს ორი გარემოება. ჯერ ერთი, 30-იან წლებში სხვაგვარ მეცნიერულ გუნება-განწყობილებაზე მყოფ ნ. მარს თავი მოაქვს იმით, რომ თურმე ერთ დროს იგი სამარცხვინო ბოძზე გაუქრავს ქართველი ნაციონალისტები ბელად ილია ჭავჭავაძეს. მეორე მხრით, სახელმძღვანელო მეცნიერი ნებას აძლევს თავის თავს იმდროინდელი „რაკპული“ გემოვნების შესაბამისად ილიას უწოდოს თავადი ჭავჭავაძე. ამ ვითომცდა ოდიოზური დახასიათებით მარი ნებისთ თუ უნებლიეთ ცდილობდა სახელი გაეტეხა დიდი ქართველი პოეტისათვის. ნ. მარს ავიწყდებოდა, უკეთ, იგი შეგნებულად ივიწყებდა, რომ ქართველი ხალხი „თავად“ ჭავჭავაძეს (მიუხედავად თავადიშვილური წარმოშობისა) ერთსულოვნად აღიარებდა თავისი უკეთილშობილესი სულიერი ზრახვების გამომხატველ უდიდეს მოწინავე მოაზროვნე პოეტად, მხურვალე მამულიშვილად და უანგარო საზოგადო მოღვაწედ, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის უშიშარ წინამძღოლად, რომელიც სახალხო ინტერესების საბრძოლო სარბიელს მხოლოდ ცარიზმის მოსყიდული აგენტების ვერაგულმა ტყვიამ ჩამოაშორა⁶¹.

ჩვენ უნდა გავიმეოროთ ილიას მიერ დამოწმებული უკვდავი სიტყვები რუსთველისა:

ვა, სოფელო, რაშივან ხარ, რას ვეაბრუნებ, რა ზნე ვჭირსა!

რუსთველმა შთააგონა ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი, შემო-

⁶⁰ Яценкология в Ленинградском государственном университете (Н. Я. Марр, Избранные работы, I, 1933, გვ. 271).

⁶¹ ალ. ბარამიძე, ნიკო მარის შეცდომების შესახებ... (ლიტერატურული ძიებანი, III, 50).

ქმედი. ვეფხისტყაოსანი და მისი იდეები თავისებურად და სხვადასხვა ფორმით აისახა ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწერებში. საკითხის ეს მხარე საჭიროებს სპეციალურ შესწავლას⁶². ჩვენ აქ დაეკმაყოფილებით მარტოდენ გაკვირთი ხასიათის რამდენიმე წინასწარი შენიშვნით.

რუსთველის აფორიზმები, სენტენციები და სხვა ბრძნული გამოთქმები მარგალიტებივით თინათინობენ ილიას მოთხრობებში და ლექსებში.

უკანასკნელი დროის კვლევა-ძიებებით ცხადი ხდება, რომ „კაცია-ადამიანის“ სათაურის გააზრება ჩაგონებულია ვეფხისტყაოსნით. ავთანდილმა რომ პირველად ასმათი დაიხელთა, ქალმა იუცხოვა და კივილი მორთო. ავთანდილი მას ეხვეწებოდა დამშვიდებას: „ეტყოდა: ს უ ლ ე, რამც გიყავ? კაცი ვარ, ადამიანი“. ე. ი. დაჩუმდი, დაწყნარდი, რა უნდა გიყო, კაცი ვარ, ადამიანი“. მოყვანილი ტაეპის კაცი და ადამიანი სინონიმური სიტყვებია. აი, ეს სინონიმური სიტყვები კაცი და ადამიანი უდევს საფუძვლად ილია ჭავჭავაძის ჩანაფიქრს. დამფრთხალსა და შემკრთალ თამროსაც „გლახის ნამბობი“) გაბრო თითქმის ავთანდილის სიტყვებით მიმართავს „ქალო! რა მიგარბენინებს? მგელი ხომ არ ვარ, ბ ი ჳ ი ვ ა რ, ა დ ა მ ი ა ნ ი“. „კაცია-ადამიანის“ საგულვეტელ გაგებას კიდევ უფრო ნათელყოფს ამ მოთხრობის წინასიტყვის ვარიანტები. წინასიტყვის მესამე ვარიანტით მგზავრმა (ავტორმა) აშშორებული გუბიდან რალაც სულიერი არსების მსგავსი რამ გამოათრია და შეეკითხა: „ვი-ნა ხარ, რა სულიერი ხარ?“ — „კ ა ც ი ვ ა რ, ა დ ა მ ი ა ნ ი, — მიუ-გო იმანაცა“. გაკვირებული მგზავრი გულწრფელად აცხადებს: „რომ არ გეთქო, ღმერთი, რჯული, ვერ მივხვდებოდი, მართლა კაცი ხარ, ადამიანი?“ მგზავრს გადაწყვეტილი აქვს მზის სინათლეზე გამოიყვანოს ეს უცნაური ცხოველი, ქვეყანას უნდა ვაჩვენო, რაც „კაცი ხარ, ადამიანი“. წინასიტყვის მეოთხე ვარიანტითაც ხაფანგში მომწყვდეული ცხოველი ირწმუნება „კაცი ვარ, ადამიანიო“ და თავის ვინაობასაც გვაცნობს: „თავი არ მამიკვდება კაცი ვარ, ადა-მის ტომისა, ყმისა და მამულის პატრონი, ლუარსაბ თათქარიძეს მე-ძახიან“. მოყვანილი ტექსტები ეპყვებს აღარ ტოვებს; რომ ილია ჭა-

⁶² ამ საკითხს სინტერესო წერილები უძღვნეს კ. ღონღუამ, ალ. ჩაქლეი-შვილმა, რ. შამელაშვილმა და სხვ. იხილეთ აგრეთვე ჩენის წერილი „ისევ კაცია-ადამიანის სათაურის გაგების თაობაზე“. ნარკვევები, V, 1971, გვ. 319—320; ლუან მენაბდე. XIX საუკუნის ქართული კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, 1973.

კვავაძის ენაზე კაცია და ადამიანი სინონიმური ცნებებია, ეს ცნება—სახეები მსგავსი შინაარსით გამოყენებული აქვს შოთა რუსთველს. ილია ჭავჭავაძე ამ შემთხვევაში მეტყველებს ვეფხისტყაოსნის ენით. ილია ჭავჭავაძემ თავისი დანაპირები ბრწყინვალედ შეასრულა, მკითხველ საზოგადოებას მაღალი მხატვრულობით დაუხასიათა წუმპიდან გამოთრეული ცხოველის კაცობა და ადამიანობა. ამიტომაც „კაცია-ადამიანი“ ლექსით კი არ უნდა გაიყოს, არამედ ნიშნით მძიმე (,). სახელდობრ უნდა ვწეროთ: „კაცია, ადამიანი?“⁶³.

საერთოდ ვეფხისტყაოსნის ძლიერი ზემოქმედება განსაკუთრებით მკაფიოდ ეტყობა „გლახის ნაამბობს“. ეს თხზულება თავიდან ბოლომდის გამსჭვალულია ვეფხისტყაოსნის ჰუმანისტური აზრებით⁶⁴, ტექსტში ბევრია ვეფხისტყაოსნის ციტატი და ვეფხისტყაოსნის ტექსტუალური პერიფრაზი (როგორც, მაგალითად — „წაივიდა იგიცა, ვითა სიზმარი ღამისა...“). „გლახის ნაამბობით“ ილია ჭავჭავაძე ააშკარავებს ვეფხისტყაოსნის დიდს აღმზრდელობით მნიშვნელობას საზოგადოდ ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის, კერძოდ, მოზარდი თაობისათვის. მომაკვდავ გლახას შეუძახნია რუსთველის სიტყვებით. „სადაური სადა ვკვდებო“ და მოუყვანია შესაფერისი ტექსტი ვეფხისტყაოსნიდან („ვა, სოფელო, რაშიგან ხარ...“). ამის გამო ავტორი ურთავს: „მე, აბა, წარმოიდგინეთ, რა-რიგად გამიკვირდებოდა ძონძებში გახვეულის გლახისაგან ეს ვეფხისტყაოსნის სიტყვები!.. ბარაქალა იმ კაცის მეტყველებას, რომლის სიტყვები ამისთანა უნუგეშოსაც ანუგეშებს საფლავის კარამდინა! მშვიდობა ძლიერსა სულსა შენსა უკვდაო რუსთაველო!“.

ვეფხისტყაოსნის აღმზრდელობით-შემეცნებითი მნიშვნელობა კარგად არის დახასიათებული „გლახის ნაამბობის“ პერსონაჟის (მღვდლის) პირით: „ბევრგან იმის სიტყვები გაჰირებაში გულს მოგფხანენ, ჰირს გაგიადვილებენ, გულს და გონებას გაგიწვრთნიან და სიკეთისათვის წაგახალისებენ“. იმავე პერსონაჟის განმარტებით (პერსონაჟი გამოთქვამს ავტორის აზრებს) ვეფხისტყაოსანი არის „ქართველების გულის საუნჯე“, „ვენაცვალე შენს დამწერსა“, — გრძნობით ამბობს გლეხის ბიჭი გაბრო.

⁶³ სპეციალურ შესწავლას საჭიროებს აგრეთვე საკითხი — ასკეტიზმის პრობლემა ძველ ქართულ მწერლობაში და ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“.

⁶⁴ „გლახის ნაამბობი“ ამ მხრით კარგად აქვს გაანალიზებული პროფ. ვ. ბერაძეს (ილია ჭავჭავაძე და ვეფხისტყაოსანი, ცალკე ამონაბეჭდი, 1936).

„გლახის ნამბობში“ მხატვრული ერთ მოკლედ განმარტებულა ვეფხისტყაოსნის ჰუმანისტური იდეები ძმობა-მეგობრობაზე, მოყვასისათვის თავგამოდებაზე, ქალის ღირსებაზე, ადამიანის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე, მოვალეობის გრძნობაზე და ა. შ. ნაწარმოებიდან შეიძლება საყურადღებო მეთოდოლოგიური დასკვნის გამოტანა ვეფხისტყაოსნის ტექსტის გარკვეული თანმიმდევრობით შესწავლის შესახებ. მოძღვარმა გაბროს ჯერ „როსტევეანის ამბის“ კითხვა დააწყებინა. შეკითხვაზე „რატომ თავი დამ არ მაწყებინებო“, მოძღვარმა აუხსნა „ნუ აჩქარდები, ყველაფერი თავის დროზედ უნდა. თავი უფრო ძნელია, მგონი, შენთვისაც და ჩემთვისაც; თუნდ ეგ არ იყოს. ამბავი აქედამ იწყება. მერე, როცა მე და შენ კარგად მივხვდებით, მაშინაც მოვესწრობით მაგის გადაკითხვას“.

დამოწმებული ნაწყვეტი იმასაც გვირკვევს, თუ როგორ კარგად ესმოდა ილია ჭავჭავაძეს ვეფხისტყაოსნის პროლოგის („თავის“) მნიშვნელობა და მისი ტექსტობრივ-აზრობრივი მხარის სირთულე. ჩვენ უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ „კაკო ყაჩაღს“ ეპიგრაფად უძღვის რუსთველური ტექსტი. რუსთველური აფორიზმი აქვს ეპიგრაფად „აჩრდილსაც“:

რა ვარდმან მისი ყვეილი გაახზოს, დაამქნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.

ილია ჭავჭავაძის ლექსებშიც (ისე როგორც პუბლიცისტურსა და კრიტიკულ წერილებში) ვხვდებით რუსთველის პოეტურ ფრაზეოლოგიას ცალკეული გამოთქმებისა თუ მთელი ციტატების სახით. ილია აქაც ზოგჯერ (მაგრამ ძალიან იშვიათად) ასახელებს ავტორს, ზოგჯერ (და უმეტეს წილად) კი არა. მაგალითად „პასუხის პასუხი“ შემდეგი სტროფით იხურება (1. 95):

ვინა ყრიხართო,
ვირები ზართო, —
მაგ თქვენს ზრდილობას ვთ ეკადრება?
მაგრამ შოთამსთქვა, —
რაც კოკაში სდგა.
იგივე თურმე წამოსდინდება.

დამახასიათებელია, რომ ილია ჭავჭავაძე რუსთველურ ტექსტებს საგანგებოდ იყენებს თავის სატირულსა და ჰუმორისტულ ლექსებში. ამ შემთხვევაში ილიას ლექსებში ხშირად გადასულია, მართალია თავისებურად შეკეთებულ-შეფერადებული, რუსთველის

ტექსტის ტაეპები და სტროფებიც კი. მაგალითად, ი. გოგებაშვილის მიძღვნაში ვკითხულობთ:

ჩემი აწ სიკანით ყოველმან.
მას ვაქებ, რაცა მიქია:
დედა-ენა მიჩნს სახელად,
არ თავი გამიქიქია.
იგია ფულქე ქართელისა,
მაგარი ვითა ჭიქია...
დედა-ენითა წვრთნა ყრმისა
მე ბევრჯერ მითქვამს, მიქია.
დედა-ენა პირველადვე
სიბრძნისაა ერთი დარგი,
ტყბილი ტყბილად გასაგონი,
ყრმათა წვრთნისთვის დიდი მარგი...
მით ზრდას არვინ დამიწუნებს,
თუ რაცა მართლა ვარგი...
სიტყვა სრულად გულსა სწვდესა,
დედა-ენა მით არს კარგი.

ძირითად ტექსტს მიჰყვება ხოროს მოძახილი, საიდანაც აგრეთვე მოისმის რუსთველური სიტყვების ხმები⁶⁵.

რუსთველური სიტყვების გამოყენებით ჰკილავს ილია ჭავჭავაძე მიხეილ მაჩაბელს:

მე იგი ვარ, უნც თიანეთს
გადალაზა მთა და გორი...
თავი ყოლა ნუ ჰგონია
ვისმე ჩემი თანასწორი.
საცა ვისდათ მე მგზავნიან,
გზაა მოკლე. თუნდა შორი!..
არვინ უვით ჩემისთანა
გრძლად მეტყველი ორატორი.
ორატორი მას არ ჰქვიან,
ვინც სადმე სთქვას ერთი, ორი,
გრძელი სიტყვა მოკლედ მოსჭრას
და გაჭირდეს ვითა გორი.
ვითა ცხენმა შარა გრძელი
და გამოსცდის დიდი რბევა,
მართ აგრეთვე ორატორსა
გრძელთა სიტყვათ ცუდად ბნევა.
უპრაგონო ლაპარაკი,
გულში ცემა, ხელთა ქნევა,

⁶⁵ შტრ. „ვეფხისტყაოსნის“ 904-ე სტროფს.

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა⁶⁷, მაგრამ სურათი ნათელია. სატირული მიზნებითვე ილია ჭავჭავაძე ზოგჯერ მიმართავს ვეფხისტყაოსნის ტექსტის იმიტაციას⁶⁸. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ მისი ის ლექსი, რომელშიც ნ. ნიკოლაძე ჰყავს გაკენწლილი („იყო ქართლ-კახეთს, იმერეთს ნიკოლაძეი სვიანი...“).

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ-კრიტიკულ წერილებსა და მხატვრულ შემოქმედებაში ფართო გამოხატულება უპოვია დავით გურამიშვილის „დავითიანს“, ნაწილობრივ აგრეთვე „ქილილა და დამანას“. „დავითიანის“ ციტირების რამდენიმე ნიმუში:

1. „დრო მოვა და გატკბილდების, ხილად სჭამენ პანტის ჩირსა“; ამბობენ ქართველები (II, 279). ეს აფორიზმი ამოღებულია „დავითიანიდან“⁶⁹.

2. სჯობს „ტყუილით ქვე ყოფნასა,

ზე სიმართლით ავიბარგო“ (II, 516; ჭირი ქართლისა, 169, 2).

3. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან, განხეთქოს მთა და გორიო“ (II, 536; ჭირი ქართლისა, 375, 9).

4. გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს წარმოთქმულ სიტყვაში მოიპოვება ასეთი ადგილი: „დიდხანს და დიდხანს ქართველს საბუთი ექნება სთქვას, რაც მართო დიდ-ბუნებოვან კაცზეა თქმული: მოკვდა და თვისის ანდერძით აწისევსა ქმობს მკვდარიო“ (II, 544). ციტირებულ (დაყოფილ) სიტყვებს ამბობს გურამიშვილი პეტრე პირველის შესახებ (ჭირი ქართლისა, 190, 4). საგულისხმოა, რომ ამავე სიტყვებით ამკობს ილია ჭავჭავაძე ერეკლე მეფეს. წერილში „ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“ ვკითხულობთ: „სახელოვანი ერეკლე იმისთანა კაცი ყოფილა, რომელსაც შთამომავლობისაგან სამართლიანად ეთქ-

⁶⁸ მოყვანილ ნაწყვეტში მოხმობილია ცალკეული სიტყვები, გამოთქმები და ერთ შემთხვევაში („ვითა ცხენსა შარა გრძელი...“) მთელი ტაეპი ვეფხისტყაოსნის პრალოგის მე-13 მე-15 სტროფებიდან.

⁶⁷ იხ. თხზულებათა კრებული, I, გვ. გვ. 113, 115, 120, 121.

⁶⁸ იხ. თხზულებათა კრებული, II, გვ. 251.

⁶⁹ დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბილისი, 1955 (ამ წიგნთა გამლექავის გვარისა და სახელის გამოცხადება, 7, 4).

მის: „მოკვდა და თვისის ანდერძით აწ ისევ ჰსაქმობს მკვდარიო“ (II, 548).

საყურადღებოა შემდეგი გარემოება. როგორც ცნობილია, „ივე-რიში“ სისტემატურად იბეჭდებოდა ე. წ. საანდაზო ლექსები, სხვა-თა შორის „დავითიანიდან“. ჩვენამდის მოღწეულია „ივერიიდან“ ამოჭრილი და ცალკე აკინძული „საანდაზო ლექსების“ ცალი. აქ გვხვდება „დავითიანის“ შემდეგი ტექსტი: „მე კაცი ვარ ხორციე-ლი, სულ ხომ კაცს არ შევებრდები“. დაყოფილი სიტყვა „კაცს“ შეცდომით არის დაბეჭდილი. ეს შეცდომა შეუძენვეია ილია ჭავჭავაძეს და საკუთარი ხელით გაუსწორებია: „კაცს“ შეუცვლია სიტყვით „ცას“. ტექსტიც საუცხოოდ გამართულა:

მე კაცი ვარ ხორციელი, სულ ხომ ცას არ შევებრდები⁷⁰.

ჩვენ ზემოთ უკვე მივუთითეთ „ქილილა და დამანადან“ ციტი-რების რამდენიმე მაგალითზე. ამას ვიკმარებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ „ქილილა და დამანას“ ტექსტს, როგორც ეს ი. გრიშაშვილმა შენიშნა⁷¹, გამოხატულება უპოვია ილია ჭავჭავაძის პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“.

არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
კვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.

(დიმიტრი თავდადებული, XX).

კაცის სახელის მძებნელი უკვდავად შემირაცხია,
მკვდრად იგი თქმულა, ვას კაი სახელი ზედ არ აცხია.
(ქილილა და დამანა, 1949. გვ. 49).

დავით გურამიშვილის ლექსები (ისე როგორც ვეფხისტყაოს-ნის ტექსტები) ილია ჭავჭავაძეს უხვად გამოუყენებია სატირულ თხზულებებში. მრავალთაგან სანიმუშოდ დავიმოწმებ ერთ მაგა-ლითს: ივანე მაჩაბლისადმი მიძღვნილი ლექსის პირველი სტრო-ფი (I, 116)

მე საქორიდამ თვალთ მიჩანს
ჩვეულება მაქვს ბრმისაო;
დავიარები ამ ქვეუნად
ხელით მძებნელი ჰკვისაო.

⁷⁰ თ. შ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა, გვ. 235—236 (საანდაზო ტექსტია „ქართლის ჳირის“ 2¹¹-ე სტროფის პირველი ტაეპი).

⁷¹ საანდაზო ლექსები, გვ. 24.

შრდ. „დავითიანის“ ტექსტს (ჭირი ქართლისა, 64, 1—2):

ბელს საჭოჩრითვან თელა უჩანს, ქალს სახე აქეს ბრვისაო,
დაიარების ქვეყნადა, ხელით მძებნელი ქმრისაო.

ჩვენი საკითხისათვის ტიპიურია ხოროს მოძახილი ამ მიძღ-
ვნისადმი (I, 117):

მიდის, მოღის ეგ ბატონი,
იბრძვის, კშფოთავს, ჰორთის და ჰლეღავს...
თვითც არ იცის, — ცელს რას აჭნევს,
რასა სთიბავს, რასა სცეღავს?
თუ კაცო, თვის თავს ეტყვის,
რასა ჰქსოვს და რასა სთეღავს!..
ამად ვწუნობ ამგვარ კაცსა:
სულ ბნელია, რასაც ეღავს.

შრდ. „დავითიანის“ ტექსტს (ჭირი ქართლისა, 561):

მიდის-მოღის ეს სოფელი. ქარტეხილა ზღვისებრ ღელავს!
უკან დასდევს ღრო და ეამი. მის ნაქელავს ქსოვს და სთეღავს.
ის მკლე კაცო ცელს რას აჭნევს, რასა სთიბავს, რასა სცეღავს?
ამად ვწუნობ საწუთროსა, სულ ბნელია, რასაც ეღავს.

ჩვენი სულიერი თანამოქმენი

1. დიდი აოეტი-მოაზროვნე

(ალიშერ ნავოი)

ამ დღეებში საბჭოთა კავშირის ხალხები და მთელი პროგრესული კაცობრიობა პატივისცემის გრძნობით აღნიშნავენ უზბეკური ლეტერატურის ფუძემდებლის, დიდი პოეტისა და მოაზროვნის ალიშერ ნავოის დაბადების 525-ე წლისთავს.

ნავოი იყო თემურიდების ეპოქის დიდი სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, მწიგნობარი, პოეტი, ხუროთმოძღვარი, მხატვარი, მუსიკოსი... იგი დაიბადა და აღიზარდა შუა აზიის ხალხთა ისტორიის მეტად მღელვარე პერიოდში. როგორც ცნობილია, მრისხანე თემურლენგის გარდაცვალებას (1405 წ.) მოჰყვა ხანგრძლივი შინათაშლილობა. მონღოლთა იმპერიის მთლიანობა რამდენადმე შეინარჩუნა თემურის უმცროსმა შვილმა შაჰროხმა (1405—1447). ორიოდ წელი იბატონა შაჰროხის ძემ ულუღბეგმა (1447—1449), განთქმულმა მეცნიერმა ასტრონომმა. შემდეგ შინათაშლილობამ იმატა, შედარებით უფრო გამძლე აღმოჩნდა იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი, ძირითადად შუა აზია, ჩინგიზ-ყაენის (1219—1224) მეორე ვაჟის ჩაღათაის ყოფილი სამფლობელო.

ამ მხარეში მოსახლე ტომებს უწოდებდნენ ჩაღათაელებს, ხოლო მათ ენას — ჩაღათაურ ენას. „ჩაღათაური“ ენა საზოგადოდ თურქული მოდგმის ხალხთა ენაა, კერძოდ და საკუთრივ კი — ძველი უზბეკური ენა. ამ ჩაღათაურ ანუ ძველუზბეკურ ენაზე შექმნა თავის უკვდავ თხზულებათა დიდი უმრავლესობა ალიშერ ნავოიმ. ალიშერმა წერა დაიწყო სპარსულად (ფანის ფსევდონიმით). სპარსული მაშინ მთელი შუა აზიის ხალხთა სალიტერატურო ენას წარმოადგენდა.

ნავოის ისტორიული დამსახურება თავისი ხალხის წინაშე ის არის, რომ, თუმცა იგი დიდად აფასებდა სპარსულს (ფარსულს), სპეციალური ტრაქტატით („ორი ენის გაპაექრება“) უპირატესობა მშობლიურ უზბეკურს მიანიჭა. ნავოიმ თეორიულად დაასაბუთა და შემოქმედებითი პრაქტიკით უცილობლად ნათელყო უზბეკურის მაღალი გამომსახველობითი და მუსიკალური ღირსებანი. ნავოიმ მყარი საფუძველი დაუდო უზბეკურ ლიტერატურას და მისი შემდგომი წინსვლა შეაპირობა. ნავოი უზბეკური ლიტერატურის ფუძემდებელიც არის და დღემდე დაუძლეველი მწვერვალიც, მსოფლიო პუმანისტური პოეზიის აღიარებული ვარსკვლავი.

ალიშერ ნავოი დაიბადა შუა აზიის ქალაქ ჰერატში 1441 წელს. აღზრდა საუკეთესო მიიღო. ურთიერთშუღლისა და დესპოტური ბატონობის მიუხედავად თემურიდები მფარველობდნენ მეცნიერებას, ხელოვნებას, პოეზიას. კარგი მეცენატის სახელი ჰქონდა მოპოვებული შაჰროხს; ულულბეგი კი იყო თავისი დროის გამოჩენილი სწავლული და მწიგნობარი. მეცნიერებისა და პოეზიის მფარველებად ითვლებოდნენ სხვა თემურიდებიც, მათ შორის აბუსაიდი (1452—1469), ბაბური (1482—1530), განსაკუთრებით ნავოის მეგობარი და შემდეგ მისი მბრძანებელი ჰუსეინ ბაიყარა (1469—1506). აღმოსავლური მსოფლიოს მაშინდელ კულტურულ ცენტრებს წარმოადგენდნენ ქალაქები სამარყანდი და ჰერატი. ეს ორი ქალაქი ერთმანეთს ეჯიბრებოდა თავისი სიმდიდრით, კეთილმოწყობით, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით. ამ ქალაქებში იყრიდნენ თავს იმ დროის გამოჩენილი სწავლულები, მწიგნობრები. პოეტები, პედაგოგები, მხატვრები, ხუროთმოძღვრები, კალიგრაფები. ყოველივე ეს ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა ნავოის შესაფერისად აღზრდისა და განსწავლისათვის.

1469 წელს მთელი შუა აზიის უზარმაზარი სამფლობელო წილად ერგო ნავოის სკოლის ამხანაგს, განათლებულს, პოეზიის მოყვარულსა და თვითონაც პოეტ სულთან ჰუსეინ ბაიყარას. ჰუსეინმა დაუყოვნებლივ თავისთან მიიწვია ნავოი. პირველად სახელმწიფო ბეჭდის მცველის („მოჰრდარის“) საპატიო თანამდებობაზე დანიშნა, ხოლო მერმე ამირობა უბოძა და პირველ ვაზირად აიყვანა. ჰუსეინის არყოფნის დროს სახელმწიფოს საქმიანობას უშუალოდ ნავოი განაგებდა. ასე გრძელდებოდა 1469—1487 წლების განმავლობაში. შემდეგ სულთან ჰუსეინისა და ნავოის ურთიერთობას კრიტიკული ხანა დაუდგა. 1487 წელს სულთანმა ნავოი ქალაქ ასტარბადის მმართველად გადაიყვანა. ფაქტიურად ეს ნიშნავდა

ღვაწლმოსილი პოლიტიკური მოღვაწისა და განთქმული პოეტის გაძევებას. ნავოი დაემორჩილა ბედის განაჩენს. მაგრამ კულტურული ცხოვრების პირობებს შეჩვეული ვერ შეეგუა ყრუ და უდაბურ ასტარაბადს (ეს ის ასტარაბადია, სადაც 1663 წელს დაიღუპა იქ გადასახლებული ჩვენი პოეტი თეიმურაზ პირველი). ნავოიმ ითხოვა ჰერატში დაბრუნების ნებართვა. ეს ნებართვა მიიღო, დედაქალაქშიც დაბრუნდა; ოღონდ უწინდელი მდგომარეობა ვერ დაიბრუნა.

1490 წლიდან ისევ იწყება ნავოის პოლიტიკური გავლენის ზრდა. 1494 წელს იმარჯვებს ნავოის მომხრეთა დასი. ნავოი კვლავ ექცევა ქვეყნის სათავეში, კვლავ განაგრძობს განმაახლებლურ მოღვაწეობას. მის სახელს უკავშირდება სამხედრო და სამოქალაქო მშენებლობანი, გზებისა და არხების გაყვანა, ხელოსნობისა და აღებ-მიცემობის დაწინაურება, სწავლა-განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, პოეზიის წინსვლა. ნავოი დაუცხრომელ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივსა და შემოქმედებითს საქმიანობას განაგრძობდა სიცოცხლის ბოლო დღეებამდე. დიდი პოეტი გარდაიცვალა 60 წლის ასაკში, 1501 წლის 3 იანვარს.

ალიშერ ნავოი იყო ფართო ინტერესების მქონე, ღრმად მთაზროვნე და დახვეწილი გემოვნების ეროვნული პოეტი, რომელსაც უზომოდ უყვარდა თავისი ხალხი და თავისი მშობლიური ენა. ნავოის რწმენით, პოეზიის მოწოდება იყო ფართო საზოგადოებრივი წრეების სამსახური. ამიტომაც უკაფავდა გზას მწერლობას ხალხის სამეტყველო ენაზე, ამიტომაც აძლევდა უპირატესობას უზბეკურს, თორემ ის საუცხოოდ ფლობდა როგორც სპარსულს, ისე ყურანის ენას — არაბულს.

ნავოის ბევრი უწერია, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა თითქმის სრულად არის გადარჩენილი და მრავალ ტომს მოიცავს. განცვიფრებას იწვევს ნავოის ნაწერების თემატიკური მრავალფეროვნება და ლიტერატურული სრულყოფა. საკუთრივ პოეზიის სფეროდან ნავოის ეკუთვნის ექვსი პოემა და ლირიკული ლექსების რამდენიმე კრებული. პოემებიდან განცალკევებულია „ფრინველთა ენა“, დანარჩენი ხუთი გაერთიანებულია ტრადიციულად ქცეულ „ხამსეში“ (ხუთეულში). ამ ხამსეს შემადგენელი ნაწილებია: ჰაირათ — ალ ებრარ (მართალთა შემფოთება), „ლეილი და მაჯნუნი“, „ფარჰადი და შირინი“, „შვიდი მთიები“ (ბაჰრამგურიანი), „ისქანდერის ზღუდე“ (ალექსანდრიანი).

„ხამსეს“ შედგენილობიდან ჩანს, რომ დიდი უზბეკი პოეტი აზერბაიჯანელი ნიზამი განჯელის (1141—1203) გზას მიჰყვებოდა. ცნობილია, რომ „ხამსეს“ სათავე მისცა ნიზამიმ. მას ბევრი მიმდევარი გაუჩნდა. ამათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ხოსრო დეჰლელი (1253—1325) და ალიშერ ნავოი. ხოსრო დეჰლელი სპარსულად წერდა, ნავოიმ „ხამსეს“ საფუძველი განუმტკიცა თურქული მოდგმის ხალხთა მწერლობაში. რა თქმა უნდა, ნიზამიმ საერთოდ შთააგონა უზბეკი პოეტი, ბიძგი მისცა მის შემოქმედებთს ნიჰსა და მიდრეკილებას. ისე კი ნავოი სრულიად დამოუკიდებელი, ორიგინალურად მოაზროვნე ეროვნული პოეტია. უაღრესად თავისებური და ორიგინალურად გააზრებულია ნავოის ყველა პოემა. მაინც განსაკუთრებულია მისი „ფარჰადი და შირინი“. ამის პროტიპად აღებულია ნიზამის „ხოსროვი და შირინი“ (ხოსროვი-შირინიანი).

ნიზამის „ხოსროვი და შირინი“ მოგვითხრობს ძველი ირანის სამეფო გვარის (სასანიდების) წარმომადგენლის ხოსროვ ფარეზურსა (590—628) და მშვენიერი სეფეწულის შირინის რომანტიკული სიყვარულის ამბავს. ცვალებადი პერიოპტივების შემდეგ ხოსროვმა მიზანს მიაღწია და ცოლად შეირთო თავისი პატივმოყვარე მიჯნური. შირინს თავდავიწყებით უყვარდა ხოსროვი. მან თავი დააქლა ხოსროვის გაცივებულ გვამს. ნიზამის პოემაში ეპიზოდურად ჩართულია ხუროთმოძღვარ ფარჰადის შირინისადმი ტრაგიკული სიყვარულის ისტორია.

ნავოის „ფარჰადი და შირინი“ ნიზამის „ხოსროვი და შირინი-საგან“ არსებითად განსხვავდება შინაარსითაც და იდეური სარჩულითაც. შესაფერისადვე მან სათაურიც შეუცვალა პოემას. ის, რაც ეპიზოდური იყო ნიზამის თხზულებაში, ნავოის ნაწარმოებში მთავარი და ძირითადია. ნავოის ვრცლად აქვს აღწერილი ფარჰადის დაბადების, ყრმობის, საბერძნეთში მგზავრობის, სოკრატეს ხილვის, ურჩხულთან ბრძოლისა და სხვა ამბები, რაც ნიზამისათვის სრულიად უცნობია. ნავოის პოემით, ხოსროვი ჩნდება ფარჰადისა და შირინის ძლიერი სიყვარულის ჩასახვის შემდეგ. შირინი მკვახე უარით უპასუხებს ირანის მბრძანებლის წინადადებას ქორწინებაზე. ხოსროვის მუხტლობის შედეგად კეთილშობილი ფარჰადი იღუპება. ფარჰადის დაღუპვა იწვევს შირინის სიკვდილს.

ნავოის „ფარჰადი და შირინი“ ღრმა იდეურობით აღბეჭდილი პოემაა. ნიზამის ფარჰადი მხოლოდ მეორე რიგის ეპიზოდური გმირია. მისი ამბავი არ არის ორგანულად დაკავშირებული ნიზამის

პოემის მაგისტრალურ სიუჟეტურ ღერძთან. უამეპიზოდოდ ნიზამის „ზოსროვი და შირინი“ არ დაკარგავდა თავის მთლიან მონუმენტურ სახეს. სულ სხვაა ნავოს „ფარჰადი და შირინი“. ნავოს უმთავრეს ინტერესს იწვევს სწორედ ფარჰადი, ფარჰადის სიყვარულის ამბავი. ეს არის ნავოს პოემის მასულდგმულბელი სიუჟეტური წყარო. ნიზამის ეპიზოდური პერსონაჟი ნავოიმ გარდაქმნა სრულყოფილ, მიმზიდველ და წამყვან პოეტურ სახედ.

უმანკო, წმინდა და მიამიტია ფარჰადის და შირინის მხურვალე სიყვარული, ამალღებული, მიუწვდომელი, თითქოს რაღაც არა ამქვეყნიურად სულიერი, ჰაეროვანი. ფარჰადი და შირინი სიკვდილით ამტკიცებენ სიყვარულის უკვდავების იდეას. მომზიბლავად წარმტაცია ნავოს მიერ ქალწულებრივი სისპეტაკითა და სიკეთის ასპექტით წარმოსახული სათნო შირინი. იგი არაფრით არა ჰგავს თუმცა ზნეფაქიზსა და კეკლუცს, მაგრამ ჰირვეულ, კადნიერ, პატივმოყვარე, ამორძალის ხასიათის მქონე გმირ ქალს ნიზამის პოემიდან. ნიზამის მხატვრული სქემიდან ნავოიმ შექმნა ფარჰადის სრულყოფილი, რაინდული, რთული ფსიქოლოგიური სახე. სრულიად განსხვავებულა ნავოს პოემის ზოსროვი. ნიზამის ზოსროვი თუმცა ავზორციელ ჟინს იყო აყოლილი და გამოხატავს ზნეობაშელანძლულ, თავნება, ეგოისტ მიჯნურს, დესპოტ მბრძანებელს, მან იცოდა გულითადი გატაცება; ხოლო სიკვდილის ჟამს გასაოცარი სულდიდობა, ფაქიზი მგრძნობელობა და ადამიანური კეთილშობილება გამოიჩინა. ნავოს ზოსროვი კი მთლად დაცემულია, იგი ბოროტი საწყისის განსახიერებაა, მუხანათი, და გაიძვერა, ჯიუტი, ულმობელი და უმოწყალო, უსულგულო მტარვალი.

ნავოს ზოსროვი სისხლისმსმელი აგრესორია, რომელიც უმიზნოდ დაესხა თავს სომხეთს, ააოხრა და აიკლო მთელი ქვეყანა. ზოსროვი ცდილობდა ძალით ეგდო ხელთ სომხეთის სეფეწული და თავისი ავი ჟინი დაექმყოფილებინა. სხვა გრძნობა შირინის მიმართ მას არ ამოძრავებდა. ზოსროვმა მონობის უღელი დაადგა სომხეთის ხალხს, საშინელი ტირანია გააბატონა იქ. ნავოი მოგვითხრობს, თუ როგორი მხეტური უღმებელობით შემუსრა ზოსროვმა სომხეთის მიწა, „ვით გაძარცვა მისი ხალხი, მიუვლინა ჯოჯოხეთი“ (თარგმანი ხ. ვარდოშვილისა).

ნავოი ხატავს დარბეული, აწიოკებული და დამშეული სომხეთის შემადრწუნებელ სურათს. ჰუმანისტი პოეტი მკითხველს უნერგავს მოძალადე დამპყრობლების სიძულვილს და მსჭვალავს თანაგრძნობით დაპყრობილი ხალხის მიმართ. ნავოი ქადაგებს ეროვნულ-

სარწმუნოებრივ შემწყნარებლობას, ხალხთა სოლიდარობასა და თავისუფლებას. მომაჯადოებელი უბრალოებითა და ბუნებრივობით გამოხატავს პოეტი პატრიოტიზმის ამაღლევებელ გრძნობას, უცხოეთში გადახვეწილ ფარჰადს გულს უკლავდა მშობლიური ქვეყნის სიშორე, მას სევდა-ნაღველს უორკეცებდა უთვისტომობა, იგი შორიდან შეხაროდა და შეტრფოდა თავის მშობლიურ საოცნებო მხარეს.

„ფარჰადი და შირინი“ უძლეველი სიყვარულის წარმტაცი საგალობელია.

თუმცა პოემის ფინალი ტრაგიკულია, მთლიანად იგი ოპტიმისტური მსოფლმხედველობით არის გამსჭვალული. ნავოი უმღერის ჯანსაღ სიცოცხლეს და ადამიანის გრძნობის თავისუფლებას. მხოლოდ ხანდახან თუ აღმოხდება პოეტს უსასოობის შხამიანი სიტყვები:

მაინც არ ღირს ეს ქვეყანა
კარგი ღვინის არც ერთ წვეთად.

ნავოისა და მის პოემებს კარგად იცნობდნენ ძველ საქართველოში. „შვიდი მთიების“ (ბაპრამგურიანის) შესახებ XVII საუკუნის ქართველი პოეტი ნოდარ ციციშვილი იუწყება:

ესე ამბავი სპარსულებრ,
გონება მიუწვდომელი,
ნიზამის უთქვამს განჯელსა,
ბრძენთა ბრძენია რომელი.
მას კბაძავს ხოსრო დეჰლელი,
მუნ ენა დაუშრომელი;
მას ხოსრო სჯობს, თუ ნიზამი,
ვართ მისი მიუხვდომელი.
ნავაის ესე ამბავი
ჩაღათურისა ენითა
უთქვამს და მისებრ მელექსე
სხვა ვინმცა ვიარუნითა?
კელა ჯამის უთქვამს სპარსულად
მუნვეე ჰქუითა ბრძენითა.
ილხენს ყოველი მკითხველი
მათ ოთხთა ლექსთა სმენითა.

ნოდარ ციციშვილი ნავოის აკუთვნებს საპატიო ადგილს აღმოსავლური პოეზიის განთქმული კლასიკოსების წრეში აზერბაიჯანელ ნიზამი განჯელთან, ინდო-ირანელ დეჰლელთან და ირანელ

ჯამისთან ერთად. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ლიტერატურულად განათლებული ქართველი საზოგადოება თავისი ისტორიის შევბენობის ხანაშიც კარგად იცნობდა და აფასებდა აღმოსავლეთის ხალხთა პოეზიას, კერძოდ, იცნობდა და აფასებდა უზბეკეთის დიდ პოეტ-მოაზროვნე ალიშერ ნავოის. ნოდარ ციციშვილს გადმოუღია და „ბაპრამგურიანში“ შეუტანია ნავოის პოემის ზოგი ნოველა. ქართულად უნდა ყოფილიყო დამუშავებული ნავოის „ფარჰადი და შირინი“. ჩვენს დრომდე მოღწეულია „ფარჰად-შირინიანის“ შინაარსის ძველი ფრაგმენტული ჩანაწერი. საბჭოთა პერიოდში „ფარჰადი და შირინი“ საუცხოოდ გადმოთარგმნეს და 1946 წელს გამოაქვეყნეს ჩვენმა ცნობილმა პოეტებმა ალ. აბაშელმა, გრ. აბაშიძემ, ხ. ვარდოშვილმა, ი. მოსაშვილმა, კ. ნადირაძემ, ს. ეულმა, გრ. ცეცხლაძემ და კ. ქიქინაძემ.

როგორც ალ. გვახარიამ გამოარკვია, ნავოის ერთი მშვენიერი იგავ-არაკი XIX საუკუნის პირველ ნახევარში უთარგმნია ალექსანდრე სულხანიშვილს.

აი მოკლედ, რის თქმაც შეიძლებოდა ამ დიდ პოეტსა და მოაზროვნეს.

2. ტარას შევჩენკო*

ტარას შევჩენკოს დაბადების ასორმოცდაათი წლისთავი — უკრაინელი ხალხის ეს დიდი ეროვნული დღესასწაული — განსაკუთრებით ესალბუნება ქართველობის გულს.

უკრაინული ეროვნული ლიტერატურის სახელოვანი ფუძემდებელი, ინტერნაციონალური კულტურის მედროშეა.

რევოლუციური პათოსით ანთებული და მებრძოლი სულისკვეთებით გამსჭვალული შევჩენკოს პოეზია თუმცა უწინარესად უკრაინელი ხალხის ეროვნული და სოციალური თავისუფლების წარმატები ჰიმნია, რომელი დაჩაგრული ერის შვილს, რომელი ქვეყნის ექსპლოატირებულის გულს არ აატოკებს დიდი კობზარის საგალობლები ტკბილ სამშობლოზე, დნეპრზე, ვერხვებზე, ყორღანებზე, უკრაინის მზეზე და ცაზე, სამშობლოსათვის წამებულთა გმირების გუნდზე?

ვის გულს არ განაწყობს ბრძოლის ხალისით ტარას შევჩენკოს მქუხარე, ვაჟკაცური ხმა სოციალური კაცობიობის, თვითმ-

* სიტყვა წარმოთქმული საზეიმო სხდომაზე ოპერის თეატრში (10. III. 64).

პყრობელური ტირანიისა და მხეცური ძალმომრეობის წინააღმდეგ?

როგორც მოაზროვნისა და შემოქმედისათვის, შეეჩენკოსათვის ერთიანი იყო და განუყოფელი თავისუფლების დიადი ცნება. ერთიანია და მონოლითური ტარას შეეჩენკოს რკინისებურად მძლე პიროვნება ისე, როგორც ერთიანია და მონოლითური მისი ბრწყინვალე შემოქმედება.

შეეჩენკოს პოეტური აზრი ჩაისახა, ჩამოიქნა და ჩამოყალიბდა ამ უდრეკი ყმა-გლეხის შვილის სასტიკ ჭიდილში მკაცრი ცხოვრების ჯოჯოხეთურ სინამდვილესთან.

ამიტომაც ასე გვხიბლავს შეეჩენკოს პოეზია გრძნობების სიღრმით და უშუალოებით, იდეების მძლავრი გაქანებით და ფორმის სინატიფით.

როგორც კეთილშობილ პატრიოტსა და ნამდვილ ჰუმანისტს, ტარას შეეჩენკოს ეუცხოება რაიმე სახის ეროვნული განსაზღვრულობა თუ შეზღუდულობა: უკრაინის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური წინამძღვარი ვერ ურიგდებოდა სხვა ხალხების ჩაგვრას, იგი უპარესად თანაგრძნობით ეკიდებოდა თავისუფლებისათვის გამიზნულ ყოველგვარ ბრძოლას მეფის რუსეთის უზარმაზარი იმპერიის ყველა კუთხეში.

უკვე მრავალჯერ ითქვა და ჩვენც ვიმეორებთ, რომ დიდმა შეეჩენკომ გადაჭრით დაგმო კავკასიის ხალხთა ხელყოფა ცარიზმის მიერ და გენიალური ლექსით შეამკო შორეული ძმების რაინდული თავგამოდება: „კავკასი“

დიდება თქვენს ვაჟაცობას,
თოვლიანო მთებო!
თქვენ დიდება, არ დანებდეთ
მოძალადე სეაეებს!
სიმართლე თქვენს მხარეზეა,
შორეულო ძმებო!
ზეცის მაღლი ეფინება
თქვენს კალარა თავებს.

(თარგმანი ჯ. ლორთქიფანიძისა)

ისე როგორც ჩვენმა აკაკიმ „კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვული ამირანი“ წარმოგვიდგინა სამშობლოს სახედ და იმედინად იწინასწარმეტყველა მისი მომავალი თავისუფლება („მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს დასწყევტს გმირთა-გმირი, სიხარულად შეეცვლება ამდენი ხნის ვასპირი) — ტარას შეეჩენკომაც თავისუფ-

ლებისათვის მებრძოლ პრომეთეოსად წარმოგვისახა კავკასიელი ხალხი — გულ-მკერდს რომ უკორტნის და შეუბრალებლად სძიძგნის ცარიზმი.

მიჯაჭვეული გმირის მკერდიდან თუმცა ნაკადულივით გადმოსჩქეფს სისხლი, ტიტანი მაინც უდრეკია და ქედმოუხრელი, ურყევია მისი მხნე და შამაცი გული. პოეტი მკითხველს აჯერებს, რომ ადრე თუ გვიან პრომეთეოსი დაძლევს არწივის კლანჭებს, ამირანივით დაწყვეტს ბორკილებს და გაპარჯვების დღეს იზეიმებს.

მხატვრული წარმოსახვის ერთგვარი ფორმით და თითქმის ერთგვარი სიტყვით გვისაბუთებს თავისუფლების უძლეველობას სხვადასხვა ქვეყნის ორი სულმნათი.

ბორკილაყრილი, თავისუფალი, ახალი ცხოვრების მშენებელი ქართველი ხალხი ძმურად ულოცავს უკრაინელ ხალხს ტარას შევჩენკოს ნათელი ხსოვნის დიდ დღესასწაულს.

3. ЗАВЕТ БЕССМЕРТНЫХ

(по поводу юбилея Ованеса Туманяна)

В сентябре 1969 года армянский народ, народы Советского Союза и все прогрессивное человечество с чувством глубокого уважения отмечают 100-летие со дня рождения великого армянского национального поэта и выдающегося общественного деятеля Ованеса Туманяна.

Этот большой праздник армянского народа особенно дорог нам, грузинам. Ведь 14-летним юношей прибыл Ованес Туманян в Тбилиси, где он получил образование, здесь, на б. Вознесенской улице (ныне улица Давиташвили), в доме № 18, под Коджорами, он обрел теплый, уютный домашний очаг, ставший впоследствии средоточием, центром армянской творческой мысли нового времени. Здесь же, в Тбилиси, нашел великий поэт и вечный покой.

Ованес Туманян духовно был очень близок к грузинскому народу, к грузинской культуре, к грузинской жизни. Великий глашатай дружбы и братства народов, он не раз признавался и писал: «Безгранично любя все народы, я всегда особенно сильно любил наш братский грузинский народ, среди которого провел большую часть жизни и с которым связан глубокими и крепкими узами». «Безгранично люблю я

Грузию», — с присущей ему лиричностью заявлял О. Туманян. Он считал, что грузинский народ — «это поэтический народ, от природы наделенный чувством прекрасного», жизнерадостный, мужественный, возвышенный, с благородной душой. «Первый признак величия народа — его литература», — отмечал Туманян и подчеркивал при этом, что «грузинская литература всегда была в ряду передовых литератур» мира. «Да здравствует литература прекрасной Грузии», — писал Туманян известному грузинскому беллетристу Давиду Клдиашвили. Кто может забыть блистательное поэтическое послание Ованеса Туманяна «Поэтам Грузии», которое прекрасно звучит и в отличном русском переводе Мариэтты Шагинян:

О, мужественные друзья,
Вам всем поклон и честь!
Несу от Арарата я
Вам братской песни весть!

Ованес Туманян всегда выражал «почтительное уважение к светлomu гению грузинского народа».

Как известно, Туманян был глубоким почитателем и поклонником двух, как он сам говорил, великих тбилисцев, двух великих представителей армянской литературы в Грузии. Это Саят-Нова и Габриэл Сундукян. К числу таких избранных тбилисцев совершенно заслуженно можно причислить и самого Туманяна, и тогда получится яркое созвездие трех великих пастырей армянской духовной культуры, трех замечательных армянских писателей-тбилисцев.

В Ереване есть прекрасный дом-музей Туманяна. Тбилисский кабинет поэта воспроизведен там с абсолютной точностью. Помню, как-то раз его посетили участники одной из научных сессий, среди которых был и автор этих строк. После осмотра нас пригласила к себе пожилая, очень симпатичная женщина, которая повела с нами беседу на чистейшем грузинском языке, любезно угостила нас грузинским чаем, горийскими яблоками и кахетинскими чурчхелами. Это была Ольга Туманян, жена великого поэта. Встреча с ней, трогательная и волнующая, произвела на всех присутствующих неизгладимое впечатление.

Ованес Туманян высоко ценил «вековую, хорошую дружбу армянского и грузинского народов», их «крепкие братские узы». Великий поэт подчеркивал, что армяне и грузины, мифические родоначальники которых «Гайкос и Картлос были братьями, оставались и остаются навсегда нерушимо связанными своей бурной исторической судьбой и своими великими воспоминаниями». Отмечая, что дружба армянского богатыря Давида Сасунского с грузинским богатырем Георгием правдиво и колоритно отражает историческую правду дружбы и братства наших народов, Туманян заключал: «Вот вам всенародно высказанное мнение, поколениями скрепленная связь, навеки начертанный путь. И кто уклонится от этого пути, будь то армянин или грузин — он изменит духу своего времени».

Мне кажется, что нужно вдумчиво отнестись к этим замечательным словам великого правдолюбца и неутомимого борца за счастье наших народов.

Ованес Туманян всегда радовался достижениям грузинского народа. Напомню только один единственный пример. Когда в 1917 году было создано грузинское общество по организации национального университета в Тбилиси, Туманян не замедлил высказать свое искреннее сочувствие и восхищение. Он обратился к Правлению общества с пламенным письмом, присовокупив к нему свои трудовые сбережения (на первых порах Тбилисский университет существовал как частное высшее учебное заведение, всецело зависящее от пожертвований общества).

В ответном письме Правления на имя Ованеса Туманяна говорилось: «В глубоко прочувствованных словах Ваших, как лучшего сына своей родины и талантливый выразитель ее дум и чувств, мы видим ласку и привет всего армянского народа, тысячелетия добрососедски живущего бок о бок с грузинским народом и находящегося с ним в постоянном взаимодействии на почве культурного развития и духовного совершенствования».

Грузинский народ глубоко любил и уважал великого армянского поэта. Знаменательно, что в 1919 году, в момент широкого разгула националистических страстей, в Грузии

был отпразднован 50-летний юбилей со дня рождения Ованеса Туманяна. Конечно, лишь как исключительную скромность великого человека можно разценивать сейчас слова Туманяна, обращенные, как он сам пишет, своим братьям, грузинским писателям: «Признаюсь, что как ни безгранично люблю я Грузию, все же я не достоин такой великой чести. От отношения ко мне писателей Грузии веет дыханием ясной и благородной грузинской души, и это вызывает во мне горячее желание в ближайшем будущем оправдать эту честь».

Грузинский народ глубоко уважал и сердечно любил великого Ованеса Туманяна не только потому, что он был великим поэтом-гуманистом и мужественным борцом за братство народов, обаятельнейшим человеком и безгранично преданным народно-национальному делу общественным деятелем, а главным образом потому, что Туманян блистательным художественным языком выражал чаяния и сокровенные мысли своего родного народа. А мысли и чаяния армянского народа были всегда близки и понятны грузинскому народу. Армянским горем и армянскими ранами страдали и грузины. Слезы Аракса и Куры вместе лились потоком, создавая могучий водоворот освободительной борьбы против иноземных захватчиков и жестоких поработителей всех мастей.

Говоря словами Ованеса Туманяна, армяне и грузины в продолжении многих веков «вместе страдали... вместе мучились (и) вместе боролись за свое будущее».

Примерно то же самое говорили и великие грузинские поэты-мыслители XIX века, признанные вожди национально-освободительного движения грузинского народа.

Великие предки завещали нам, грузинам и армянам, лучше знать друг друга, глубоко уважать и любить друг друга, вместе бороться за светлое будущее наших народов.

Будем же следовать этим призывам наших духовных отцов, наших бессмертных поэтов!

(დაბადების 150-ე წლისთავის გამო)

უნგრული და მსოფლიო ლირიკული პოეზიის ბრწყინვალე ვარსკვლავი შანდორ პეტეფი დაიბადა 1823 წლის პირველი იანვრის გამთენიერს.

დავაჟკაცებულ პეტეფის წესად ჰქონდა შემოღებული დაბადების ყოველ წლისთავზე კრიტიკული თვლით გადაეხედა გარდასული წლის ნამოღვაწარი. ახლა დიდ უნგრელ პოეტსა და მოაზროვნეს დაბადების ასორმოცდამეათე წელი უსრულდება. საშინელი უსამართლობისა და შავი უმადურობით აღმფოთებულმა შანდორ პეტეფიმ, სიკვდილამდე რაღაც სამი თვით ადრე, პირში მიახალა გულზვიადსა და უხეშ სამხედრო მინისტრს, გენერალ დიერდკლაპკას: „თუ თანამედროვენი არ მომისმენენ, ავიჭრები ისტორიის (მალალ) ტრიბუნაზე და იქ განვაცხადებ ჩემეულ სარჩელს. სამართლიანი შთამომავლობა (მჭერა) მომისმენს“.

დღეს ყველას და ყველგან მშვენივრად ესმის ძველი სამყაროს წინააღმდეგ მიმართული შანდორ პეტეფის მღელვარე სიტყვა. ესმის, აფასებს და თავისას უზღავს უნგრელი ხალხის ამ ჰემშარიტად უკვდავ შვილს.

შანდორ პეტეფი ძლიერ ახლო იყო თავის მშობლიურ ხალხთან. იზიარებდა ამ ხალხის ჳირსა და ვარამს, სამაგალითო პოეტური სიტყვით გამოხატავდა მის გულისთქმას, მის იდეალებს. „ჩემი წმინდათა-წმინდა მიზანია ხალხის სამსახური“, წერდა პოეტი. მგზნებარე სიტყვით თუ მკვეთრი კალმით იგი თავგამოდებით ებრძოდა ყოველი ჳურის ძალმომრეობას, უსამართლობას, სოციალურ უკუღმართობას და ეროვნულ ჩაგვრას. „თუ პოეტი ხარ, მიჰყევი კიდეც შენს ხალხს ცეცხლს და მორევშიო“, მოუწოდებდა პეტეფი XIX საუკუნის უნგრელ ლიტერატორებს. „გაუმარჯოს ხალხს,“, „ხალხია ჩემი საკერპო და ჩემი ღმერთი“, „ხალხს დიდება აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“! — აცხადებდა პეტეფი. რასაკვირველია, პეტეფი თავიანს სცემდა და აღმერთებდა უნგრელ მშრომელ ხალხს. სამაგიეროდ იგი დაუზოგავად ამხილებდა და სამარცხვინო ბოძზე აკრავდა უქნარა, ყოყოჩა, გაბღენძილ არისტოკრატებს, ჩერჩეტ და ბრიყვ მოხელეებს, მსუნაგ სამღვდელოებას და საზოგადოების სხვა პარაზიტ წევრებს.

პეტეფი დაუძინებელი მტერი იყო ტირანიისა და დესპოტიისა. მას მთელი არსებით სძაგდა ცივილიზებულ მეფე-ბარბაროსთა-

და „მირონცხებულ ყაჩაღთა“ მოღვმა. „სახრჩობელაზე ხელმწიფენი“, ხმამალა გაიძახოდა პატრიოტი პოეტი.

უნგრეთის მრავალსაუკუნოვანი მდიდარი პოეზიის ისტორიაში შანდორ პეტეფი აღიარებულია ყველაზე ეროვნულ და ყველაზე პოპულარულ სახალხო პოეტად. აგი ნამდვილად იყო უნგრეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური წინამძღვარი: პოეტი-მოქალაქე, პოეტი-ტრიბუნი, პოეტი-რევოლუციონერი და, ბოლოს, პოეტი-ჯარისკაცი. პეტეფიმ უმშვენიერესი და უფაქიზესი ლექსებით უმღერა წარმტაცი საგალობლები უნგრეთის მიწას, მის მთასა და ბარს, მის მდინარეებს, უსიერ ტყეებს და თვალუწვდენელ გაშლილ ტრამალებს, მის ბეჭით, გამრჩე, კეთილ მშრომელ ხალხს. აი, ორიოდ სტრიქონი პეტეფის ლექსიდან „პატრიოტული სიმღერა“ გრიგოლ აბაშიძის საუცხოო თარგმანით:

ჩემო ქვეყანავ, შენი ვარ,
ჩემო უქრობო ცისკარო,
შენს გარდა ვინ მყვარებია.
შენს გარდა ვინ შეეაყვრო?

მშობლიური ქვეყნისა და სათაყვანებელი მშობლიური ხალხის უზომო სიყვარული მას უფლებას აძლევდა, ჩვენი ილიასი არ იყოს, ზოგჯერ ჰუმორისა და ზოგჯერ კი მწარე სატირის ენით გაეკიცხა თანამოძმეთა ხასიათის ზოგიერთი მანკიერება. ამ მხრივ სანიმუშოა ლექსი „უნგრეთის ერი“ (გვ. 51—53):

სხვა ქვეყანა არსად არი.
ჩვენი ქვეყნის დასაღარი
და ნუ ჩათვლთ ამას კეხნად:
ჩვენ ხალხს ტოლი არ ჰყავს ქვეყნად!

რაც გვაქვს ცუდი, რაც გვაქვს ავი.
მხოლოდ იმით მოგვაქვს თავი.

დიდი ხანი გვიცხოვრია.
მაგრამ ხალხთა ისტორია
არ გვახსენებს არსად ტუბილად;
თუ გვახსენებს — გასაკილად:
„ტისის პირად იყო ერა,
ზარმაცი და თვინიერი“.

პატრიოტიზმი პეტეფის პოეზიის საფუძველთა საფუძველია. პოეტი ცხარე ცრემლებით ლოცულობდა თავის სამშობლოზე, ღირ-

სეულად ამკობდა მის დიდებულ ჰეროიკულ წარსულს, ჰკიცხავდა აწმყოს უნიათობას და ოცნებობდა ბედნიერ მომავალზე:

ჰე მამულო ნეტაე იმ დღეს,
როს შენი მზე აპობრწყინდეს,
როს შეიცნობ ჩაქდილ სახეს.
ამაღლებ შენს დიდ სახელს!

პეტეფის სიტყვით „უნგრეთში ვერ ნახავთ ერთ ციდა მიწას, რომ უნგრული სისხლით არ იყოს იგი მორწყული“ (II, 266)¹. „ნუთუ შენ, ჩემო ტყბილო სამშობლოვ, ოდინდელი გმირული სული დაგეშრიტა?... ნუთუ შენი ოდინდელი დიდების დღეებს ველარ მიადწევე?“ — გულისტკივილით კითხულობდა სამშობლოს მოჭირნახულე დიდი პოეტი (II, 294). პეტეფის კონცეფციის თანახმად, უნგრელი ხალხი საუკუნეების განმავლობაში გუთანზე მარჯვედ დაყრდნობილი და ხმლით აღჭურვილი მამაცურად იგერიებდა მოზღვავებულ მტერს, სიკვდილის ფასით იცავდა იგი თავის წმინდათაწმინდა მიწა-წყალს, დედობის ნამუსს, დიდ ეროვნულ-კულტურას, მშვენიერ ენას (აქაც სრული ანალოგიაა ჩვენი ხალხის ისტორიასთან). აწმყოთი უკმაყოფილო შანდორ პეტეფი მწვავედ ამხილებდა და გმობდა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის სულიერ სიბეჩავეს, განკერძოებისადმი მიდრეკილებას, პირადული ინტერესებით გატაცების მავნე ტენდენციებს. პოეტი მოუწოდებდა თანამედროვეებს საღათის ძილისაგან გამოფხიზლებას და თავისუფლების საღარაჯოზე თავგამოდებას. „მაგრამ რად ითმენს ბორკილებს ერი? აღდგეს, მტარვალებს აღინოს მტვერი“, წერდა პეტეფი (გვ. 37) და არა ერთგზის იმეორებდა (გვ. 71):

აღესღგეთ, ქვეყანას გავაგებინოთ,
რომ გაჩენილი არ ვართ მონებად!
თუ გვიწერია სიკვდილი, მოვკვდეთ:
მონურ სიცოცხლეს მოვლოს ბოლო!
რაა სიკვდილი, თუნდ გაეწუდეთ ყველა,
ოღონდ საშობლოს ეღირსოს შველა,
წინ მაღიარო!

პეტეფის ურყევად სწამდა, რომ უნგრელი ერი უკვდავია, რომ იგი აღსდგება, განიმსჭვალება თავისუფლების გრძნობით და სამ-

¹ რომაული და არაბული ციფრები აქაც და შემდეგაც ყველგან მიუთითებს პეტეფის თხზულებათა ოთხბრძოველ რუსულ გამოცემაზე (დოსკოვი 1952—53).

კვდრო-სასიცოცხლოდ შეუტევს გამოუღვეველ მტერს. პეტეფისათვის განუყოფელი იყო ბრძოლა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის. შემთხვევითი როდია, რომ იგი გახდა 1848/1849 წლების უნგრული რევოლუციის არა მარტო იდეური მედროში, არამედ ამ რევოლუციის ერთ-ერთი ფაქტობრივი პრაქტიკოსი მესვეური. „რევოლუცია ჩემი სტიქიაა“, შენიშნავედა პოეტი. პეტეფის რევოლუციურ-პატრიოტული ლექსები ფრთებს ასხამდა და ბრძოლის წყურვილით აღგზნებდა უნგრელ ხალხს კონტრრევოლუციური ინტერვენტების, შინაური რეაქციონერებისა და სხვადასხვა ჯურის ოპორტუნისტების წინააღმდეგ. „ეროვნული სიმღერა“ პეტეფისა იქცა უნგრეთის რევოლუციის ჰემარიტ ჰიმნად (II 480), ხოლო მისმა „საბრძოლო სიმღერამ“ (გვ. 75—76) უნგრული მარსელიოზის როლი შეასრულა, „ჰონვედი“ კი უნგრეთის თავისუფლებისათვის მებრძოლთა შთამაგონებელი და იდეურად მორგანიზებელი მხურვალე მანიფესტია, რომელიც პროკლამაციის სახით საგანგებოდ ურიგდებოდა ფრონტზე მიმავალ ჯარისკაცებს. პეტეფიმ თვითონაც აისხა იარაღი და მოხალისედ წავიდა ფრონტზე, როგორც პუსარი. „ჩანგის სანაცვლოდ ხელში მაქვს ხმალი. ვიყავ პოეტი, ვარ ჯარისკაცი“, „დღეს ჩემი ლექსი ჯარისკაცია“, ამბობს პეტეფი.

პეტეფის ფიქრით, ინტერვენტების დამსჯელი არმიები ვერას გახდებოდნენ, რომ ერი ყოფილიყო ერთიანი და შინაგანად ვაუტეხელი. პოეტს ეჩვენებოდა, რომ მტერი ყველგანაა, შინაც და გარეთაც, მარჯენივ თუ მარცხნივ. ყველაზე საზიზღარ მტრებად მაინც იუდას ამბორს ჩვეულ თანამომძეებს თვლიდა. პოეტი წყევლიდა და კრულავდა სულით დაცემულ ძაბუნს და გამთიშველს:

კრულ იყოს, თავის ხალხს ვინც გადაუღვს,
ვინც ხალხის დროშას გაუჰკვას ხელი (გვ. 63).

პეტეფიმ მკაცრად ამხილა მერყევი და მტრებთან მორიგების მოსურნე მოღვაწენი, რომლებიც სამწუხაროდ ბლომად აღმოჩნდნენ არა მატრო მაგნატთა წრეში, არამედ ინტელიგენციის ფართო ფენათა შორისაც. სწორედ პეტეფის პრინციპულმა შეუპოვრობამ და უკომპრომისო შემართებამ ჩამოაშორა მას უფროსი თანამედროვე და მისი პირადი კეთილისმყოფელი, უნგრეთის სახელგანთქმული პოეტი მიხაი ვერეშმარტი (1800—1855) და სიყრმის მეგობარი, რომანიტი მორ იოკაი (1825—1890). პეტეფი არ მოერიდა უნგრეთის რევოლუციის საყოველთაოდ აღიარებულ ბელადს ლა-

იოშ კოშუტს (1802—1894), რომ არაფერი ვთქვათ უნგრეთის სხვა თვალსაჩინო პოლიტიკურ თუ სამხედრო მოღვაწეებზე. პეტეფი იწვოდა უნგრეთისათვის, უნგრეთის ღირსებისა და დიდებისათვის. უნგრეთის ღირსების და თავისუფლების საკითხში პეტეფი იყო უღრეკი და უკუმპრომისო. მაგრამ იგი აროდეს ყოფილა ვიწრო ეროვნული თვალთახედვით შეზღუდული ნაციონალისტი. პირიქით, პეტეფი გვევლინება თავის დროისათვის ნამდვილ ინტერნაციონალისტად, მთელ კაცობრიობის კეთილდღეობისათვის მებრძოლ პოეტ-მოქალაქედ, „თავი დასდო კაცობრიობისათვის, ეს არის სანეტარო სიკვდილი“, აღიარებდა პეტეფი (I. 427).

პეტეფიმ განვლო მეტისმეტად მძიმე ცხოვრების გზა. იგი შედარებით ადვილად ურიგდებოდა შიმშილს, სიცივეს, სილატაკეს, ვაჟაკურად უმკლავდებოდა ჭირსა და განსაცდელს, კონსერვატიულ-რეაქციული წრეების დევნას, მაგრამ სრულიად ვერ იტანდა ეროვნულ ნიპილიზმს, საზოგადოებრივ ინდიფერენტის, შემარიგებლობას და ორჭოფობას, მით უმეტეს სახალხო საქმის ამჟაჲრად დალატს და გამცემლობას. პეტეფი შეხაროდა რევოლუციის წარმატებებს და სანეტარო თავისუფლების მოახლოების საბედნიერო დღეებს.

შანდორ პეტეფის მთელ პოეზიას წითელი ზოლივით გასდევს ღვინის აპოლოგია და ვაკახური მოტივები, რის მიმოხილვაზე არ ვჩერდებით. ოღონდ ვიტყვი, რომ ამ მოტივებსაც სათავეს უდებს პატრიოტული განცდების სიმძაფრე. პოეტი შთამბეჭდავად წერს სამშობლო ქვეყნის ძისამართით: „და თუმცა ღვინოს ამწარებს, რაც შენთვის ცრემლი მდენია, მწარე სასმისსაც ტკბილად ველი, — ეს სადღეგრძელო შენია“!

პეტეფის პოეზიის დიდი შთაგონებაა სიყვარული, ქალის სიყვარული. სატრფიალო ინტიმური გრძნობების გამოხატვის მხრივ შანდორ პეტეფი ისევე ძლიერია, როგორც ძლიერია პატრიოტული განცდების გადმოცემისას. პეტეფის სიყვარული ყოვლის წამლეკავია, დაუოკებელი ნიაღვარია, ზღვარდაუდებელი და უნაპირო. „მიყვარხარ ძლიერ... ძლიერ; მიყვარხარ ცხადად, მალვით, როგორც აროდეს არვინ არ ჰყვარებია არვის“ (გვ. 56), უმხელს პოეტი სატრფოს, და კიდევ „შენ ერთს გეკუთვნის ყველა, რაც სიყვარულად ითქმის“ („მიყვარხარ“). შესანიშნავია მისი ერთი ჰუმორული შეძახილი: „მიჯნური ვარ, ფული არ მაქვს. აი, ჩემი ბიოგრაფია“ (IV, 251). მაგრამ ლირიკული აღსარების მიუხედავად პეტეფი მაინც მზად იყო პირადული სამიჯნურო ბედნიერება მიეტანა სამშობლო-

ქვეყნის კეთილდღეობის საჭიროებათა სამსხვერპლოზე. ასეც მოხდა. როცა საქმემ მოითხოვა და განსაცდელის ეამმა დარეკა, პეტეფიმ დაუფიქრებლად იშიშვლა ხმალი და დაუყოვნებლივ გაეშურა მტრის დასახვედრად. სიყვარულით ანთებული პეტეფის გული სწორედ მტერთან ბრძოლაში დაიფერფლა....

პეტეფი უმღეროდა ლომის შეუპოვრობას, უმღეროდა ფრინველთა ზვიად მეუფე არწივს და მამაც შეგვარდენს, უმღეროდა ლომის მეხრეთა უსაყვარლეს მგალობელ ტოროლას, როგორც განთიადის მაუწყებელ ფრთოსანს. პოეტი — რევოლუციონერი ტოროლანიტის ხმის წკრიალს ამჯობინებდა ბულბულის სევდიან „ყეფას“.

ორიოდე სიტყვა პეტეფის ერთ-ერთ შედეგზე, რომელსაც დედანში ეწოდება „ჩემი პეგასი“, ხოლო გრიგოლ აბაშიძის მშვენიერი თარგმანით — „მერანი“ (გვ. 29—31). ეს არის რომანტიკულ-რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული მოზრდილი ლირიკული ლექსი. ლექსის ლირიკული გმირი უნგრული ჯიმის ბედაურზეა ამხედრებული. ეს ბედაური მშობლიური კუთხის ტრამალებში ყოფილა აღზრდილი და იქვეა დაჭერილი. ელვაზე უსწრაფესი ეს ფრთაშესხმული ბედაური „მირბის, მიფრინავს როგორც ისარი“ და მიაქროლებს უშიშარ რაინდს. მალი ქენებით დაუღლეი და დაუქანცველი მერანის გზები ულეველია: „რადგან შორს იწევს (მხედრის) ოცნება“, რომ ქვეყნის კიდე გადაატაროს“, გულოვან მხედარს ჭერ კიდევ „დიდი აქვს გზა გასაღლეი“. აგულიანებს და ახალისებს თავის საყვარელ ოთხფეხა ფრთოსანს, რომ გადალახოს გადულახავი:

გასწო,
ნაპრაღზე გადამატარე,
ვერ მოგეწიოს
ქროლვით ვერაჟნ
და თუ გზად მტერი
გადაგეღობოს.
მტერი არ დაგრჩეს გაღუთქერავი.

„ჩემი პეგასის“ ყველა დაკვირვებული მკითხველი ადვილად იგრძნობს, ტიპოლოგიურად რა იდეურ-ლიტერატურულ ნათესაობას ამჟღავნებს ეს დიდებული ლექსი ანალოგიური ტიპის სხვა ხალხთა პოეტურ ქმნილებებთან, კერძოდ კი ჩვენი ბართაშვილის უკვდავ „მერანთან“. რა თქმა უნდა, მსგავსება აქ ტიპოლოგიური ნიშნების საზღვრებს ვერ გადაცდება. მაგრამ სწორედ ის არის ნიშანდობლივი, რომ ერთმანეთისაგან ისტორიულ-გეოგრაფიული სივრ-

ცით ასე დაშორებული და ერთმანეთისათვის სრულიად უცნობი ორი პოეტი ერთგვარი იდეურ-ემოციური ატმოსფეროთი სუნთქავს და შემსგავსებული მხატვრული სახეებით ამქლავენებს თავიანთ წაღილს. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ასეთივეა თავიანთი ხალხების ზოგიერთ თვისებათა იუმორისტულ-სატირული კილეა პეტეფისა და ილია ქავჭავაძის მხრით. ტიპოლოგიურ მსგავსებათა შესაძლებლობას, რასაკვირველია, აპირობებდა იმ ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიურ-კულტურული სინამდვილე, რომელთა საუკეთესო ამსახველებად ამ ქვეყნების სულიერი მოჭირნახულე პოეტები გვევლინებიან.

პეტეფიმ უდიდესი როლი შეასრულა როგორც ახალი, რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკური აზრის დამამკვიდრებელმა უნგრულ მწერლობაში: უნგრეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციის რადიკალურ-დემოკრატიული ფრთის უშუალო მეთაური, მწერლობაშიც მტკიცედ წერგავდა მაღალი იდეურობისა და ხალხურობის სამაგალითო პრინციპებს. პეტეფიმ უკუაგდო არისტოკრატიულ-სალონური, რიტორიკულ-ღვლარჭნილი ლიტერატურის გაბატონებული ტრადიციები და სათავე დაუდო მშობლიურ პოეზიაში ხალხურ-სასაუბრო ენას და ხალხურ პოეტურ საზომებს. ხალხური შეგნების ფესვებს ემყარება პეტეფის პოეზიის დიდი იდეურობა, განცდათა სიმართლე და ბუნებრიობა, გასაოცარი მხატვრული უბრალოება და სინატიფე. „რაც მართალია, ის ბუნებრივია: რაც ბუნებრივია, ის კარგია, და, ჩემის აზრით, ლამაზიც. აი, ჩემი ესთეტიკა“, წერდა პეტეფი თავის მეგობარს, პოეტ იანოშ არანის (IV, 247). „პოეზია მიმანია არა არისტოკრატიულ სალონად, ... (არამედ) ტაძრად, სადაც ქალამნებითა და ფეხშიშველიც კი შეიქლება შესვლა (II, 45, IV, 129). მხატვრული სისადავე, გულითადობა და გულწრფელობა არის პოეზიის დანიშნულებათ, აღნიშნავდა პეტეფი, იგი თავის თავს უწოდებდა რევოლუციის მათწყებელ გრიგალა-პოეტს. „მე ბედნიერი ვარ, რომ დავიბადე (უბრალო) ქონშიო“, სიამაყით აცხადებს ერთგან პეტეფი (IV, 44). პეტეფის მოსაზრებათა თანახმად, პოეზია უნდა ემსახურებოდეს სახალხო ინტერესებს, იყოს ხალხისათვის ხელმისაწვდომი და გასაგები. „თუ ხალხი გაბატონდება პოეზიაში, ის გაიადვილებს ბატონობის მოპოვებას პოლიტიკურ სფეროშიც. ეს არის ჩვენი საუკუნის ამოცანა“ (IV, 241). რადიკალურ-დემოკრატიულმა მიმართულებამ პოლიტიკურ სარბიელზე და ლიტერატურულ ცხოვრებაში აუმხედრა პეტეფის კონსერვატიულ-რეაქციული და არისტოკრატიულ-ლი-

ბერალური საზოგადოება. თანამედროვე ავტორიტეტული ლიტერატურათმცოდნეები აღნიშნავენ, რომ დიდი ვერეშმარტიც კი „არ იზიარებდა პეტეფის პლებეურ რევოლუციონერობასო“¹. პეტეფის თაყვანს სცემდა და აღმერთებდა რევოლუციური ახალგაზრდობა. უნგრეთის უნიჭიერეს და უპოპულარეს პოეტს (პეტეფის ღირსებას და პოპულარობას მტრებიც კი ვერ უარყოფდნენ) უკიდურესი ნიუთიერი ხელმოკლეობისა და მძიმე სულიერი ვითარების პირობებში უხდებოდა შეუპოვარი ბრძოლა შინაგანი რეაქციული ძალებისა და კონტრარევოლუციური ინტერვენტების წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ იმსხვერპლა ჯერ სრულიად ახალგაზრდა, რაღაც 26 წლის ასაკისა, მაგრამ უკვე საქვეყნოდ სახელმწიფოებრივი გენიოსი პოეტი და მამულიშვილი. შანდორ პეტეფი გამირულად დაიღუპა ბრძოლის ველზე 1849 წლის ივლისის 31-ე დღეს. საოცარია, რომ ასაკობრივი სიკაბუჯის მიუხედავად, პეტეფი თითქოს ინსტიქტით გრძნობდა სიცოცხლის აღსასრულის მოახლოებას. „რაც უფრო იწურება სიცოცხლის ჟამი, მით უფრო ძლიერად მიზიდავს იგიო“, გვიმელანებს გულისნაღებს და აღტაცებული განავრძობს სიცოცხლის ქებას: „რა მშვენიერია ეს ჩვენი მიწა და რა საამოა ცხოვრების დრონიო“ (II, 91). პეტეფის მხოლოდ ის ამინებდა, „ვთუ მოკვდელ ლოგინში წყნარად“, მე მინდა მოკვდელ ბრძოლით, ჭიდილითო“ (გვ. 25). პეტეფი ნატრობდა, რომ მისი ნეშტი დამარხულიყო მშობლიური ქვეყნის ვრცელ ტრამალებში, სადღაც დუნაისა და ტისის შორის (IV, 40).

მე რომ მოვედები, ჩემს საყვარეს ალბათ
ვერც კი შენიშნავს უცხო მნახველი,
ძღვის დანახავს პატარა დაფას,
ზედ წარწერილი ჩემი სახელით.

ასეთ სევდიან სიტყვებს მარცვლავდა სიცოცხლით გაუმძაღარი პოეტი-მეომარი. ერთი მოგზაურობის დროს პეტეფი ცნობილი უნგრელი მწერლის მიხაი ჩოკონაის (1773—1805) თითქმის მივიწყებლ საფლავს წააწყდა. „ალბათ, ოდესმე ვინმე სხვა მგზავრიც ჩაფიქრებული დააკვირდება ჩემს საფლავსაცო“, გულში გაუვლია ჩოკონაის ძეგლის შემყურე, მაშინ სიცოცხლით აღსავსე პოეტს. აქ კი წინათგრძნობამ უღალატა მას. პეტეფის საფლავი უცნობია.

¹ Краткая история венгерской литературы XI—XX вв. (Будапешт, 1962, стр. 121)

პოეტის ნეშტი უკვალოდ დაიკარგა სადღაც, ერდვის (ტრანსილვანიის) შორეულ ველზე. ეს კია, რომ პოეტს აუსრულდა თავისი ნატვრა: იგი შეაკვდა მისი უნგრეთის დასამონებლად შემოკრილ-გადამთიელ მტერს. პეტეფის გვამი ვერ გამოიცინეს და ანდერძისამებრ ვერ მიაბარეს მიწას. სამაგიეროდ დიდი უნგრელი პოეტის ხსოვნამ მტკიცედ გაიდგა ძირი და სამარადისო ბინა იპოვა უნგრელი ხალხის გულის სიღრმეში.

განახლებული, გამარჯვებული და სვებედნიერი უნგრელი ხალხი ახლა ღრმა სიყვარულის გრძნობით იგონებს თავის სასიქადულო შეილს და დიდი ზეიმით აღნიშნავს მისი დაბადების 150-ე წლისთავს. უნგრეთთანაა საბჭოთა ხალხი და მთელი მოწინავე კაცობრიობა.

ლიტერატურათმცოდნეობა საბჭოთა საქართველოში

ქართული მწერლობის შესწავლას დიდი ტრადიცია მოდგამს. საკმარისი იქნება თუ დავასახელებთ მ. ბროსეს (1802—1880), დ. ჩუბინაშვილს (1814—1891), ალ. ცაგარელს (1844—1929), ალ. ხანაშვილს (1866—1912), ნ. მარს (1864—1934), პლ. იოსელიანს (1809—1875), მ. ჯანაშვილს (1855—1934), კ. აბაშიძეს (1870—1917), ექვ. თაყაიშვილს (1863—1953), დ. კარიჭაშვილს (1860—1927), ს. გორგაძეს (1876—1929).

რევოლუციამდელ პერიოდში მოიხვეჭეს სახელი ქართული საბჭოთა მეცნიერების ისეთმა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა, როგორც იყვნენ ივანე ჯავახიშვილი (1876—1940) და კორნელი კეკელიძე (1879—1962). მაინც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ლიტერატურათმცოდნეობის, ისე როგორც საზოგადოდ ქართული მეცნიერების აღორძინება, წინსვლა და წარმატება ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ შეაპირობა. ახალი ქართული მეცნიერება თბილისის უნივერსიტეტის წიაღში ჩაისახა და იქიდან იწყო განვითარება. თუ ძველად, რევოლუციამდელ საქართველოში ქართული მწერლობის საკითხებს იკვლევ-იძიებდნენ ცალკეული ენთუზიასტები, საბჭოთა სინამდვილეში ეს საქმე მინდობილი აქვს დიდ კოლექტივებს, მრავალრიცხოვანი უმაღლესი სასწავლებლების კათედრებს და სპეციალურ სამეცნიერო კვლევითს დაწესებულებებს—საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებს (რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს).

რასაკვირველია, ჩვენ მხოლოდ ზოგადი შტრიხებით თუ შევძლებთ ვილაპარაკოთ ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ვითარებაზე განვლილი ორმოცდაათი წლის განმავლობაში.

საბჭოთა წყობილების დამყარებამ ჩვენში წიგნი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადა. საქართველოს მთელი მოსახლეობა ახლა წიგნიერია, წერა-კითხვის მცოდნეა. დიდია მოთხოვნილება წიგნზე და ჟურნალ-გაზეთებზე. საგულისხმოა, რომ 1970 წლის პირველი იანვრისათვის გაზეთ „კომუნისტის“ ტირაჟმა ნახევარ მილიონს გადააჭარბა. უზომოდ გაიზარდა საზოგადოდ წიგნის, კერძოდ კი ქართული მწერლობის ძეგლების გამოცემა. ცნობილია, რომ ისტორიული უკუღმართობის მიზეზით ქართული წიგნის ბეჭდვის საქმემ დაიგვიანა: პირველი ქართული წიგნი მხოლოდ 1629 წელს დაიბეჭდა და ისიც შორეულ უცხოეთში (იტალიაში). თითქმის სრული სამასი წლის განმავლობაში (1629 წლიდან 1921 წლამდე) ბეჭდურად გამოქვეყნდა 6300-მდე დასახელების ქართული წიგნი. 1921 წლიდან წლევანდლამდე მრავალგზის გაიზარდა ეს ციფრი. რა თქმა უნდა, ნაბეჭდი პროდუქციის მარტო რაოდენობრივი ზრდის მაჩვენებელი ციფრი არ კმარა. მნიშვნელოვანი გარემოებაა ამ პროდუქციის ტექნიკურ-პოლიგრაფიული და მეცნიერულ-შინაარსობრივი ხარისხი.

ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა მეცნიერულ-ფილოლოგიური პუბლიკაციის ტრადიცია დანერგა ნ. მარმა. მარისეული ტრადიცია საბჭოთა პერიოდში გრძელდება, ფართოვდება და ღრმავდება. ა. შანიძის თაოსნობით თბილისის უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა სპეციალური სერია „ძველი ქართული ენის ძეგლები“. ამ სერიებში დაიბეჭდა არა ერთი და ორი უძვირფასესი ძეგლი ქართული მწერლობისა, მათ შორის ქართული სალიტერატურო ენის უმდიდრესი საუნჯის — ბიბლიის ტექსტები, ხანმეტი ლექციონარი, სინური მრავალთავი და ბევრი სხვა. ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს სისტემატურად აქვეყნებდა კ. კეკელიძე. ამჟამად ამ საქმეს ფართო მასშტაბით ეწევა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. საგანგებოდ აღსანიშნავია ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოცემა „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“ (ილ. აბულაძის რედაქციით).

ძველი ქართული საერო მწერლობის ძეგლებიდან რამდენიმეჯერ დაიბეჭდა ამირანდარეჯანიანი, ვისრამიანი, აბდულმესიანი, თამარიანი, დავით გურამიშვილისა და ბესარიონ გაბაშვილის ლექსები; გამოქვეყნდა როსტომიანის დიდი ტომი, თეიმურაზ ბირველისა და თეიმურაზ მეორის თხზულებანი, რუსუდანისანი, კალმახობა (ორ წიგნად), ქილილა და დამანა; პირველად გამოიცა არჩი-

ლის, სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგის მხატვრულ თხზულებათა კრებულები.

ახალი ქართული მწერლობის ძეგლები ძველად კანტიკუნტად თუ იბეჭდებოდა და ისიც უხეიროდ. აკაკი წერეთელი ერთ დროს გულისტკივილით ჩიოდა: „ქართული მწერლობა საზოგადოდ ვერა სდგას კარგ ნიადაგზე, მაგრამ ყველაზე მეტი უბედურება-კი ჩემ ნაწერებს ეწია; ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ორი პატარა ტომის მეტი არ გამოსულა, მაშინ როდესაც რამდენიმე ათეული მაინც უნდა გამოსულიყო“. ამაზე ადრეც დიდ პოეტს უთქვამს: „ოცდაშვიდი წელიწადია, რაც ვწერ და ჭერ კიდევ ჩემს ნაწერებს ცალკე წიგნად გამოსვლა არ ღირსებიაო“¹. საბჭოთა პერიოდში დიდი ტირაჟით იბეჭდება აკაკის როგორც ცალკეული ნაწარმოებები. ისე თხზულებათა კრებულები. გამოქვეყნდა აკაკის თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად გიორგი აბზიანიძის რედაქციით (მოამზადა ლიტერატურის ინსტიტუტმა). ილია ჭავჭავაძის თხზულებათა საუკეთესო გამოცემად დიდხანს ითვლებოდა მიხეილ გედევანიშვილის გამოცემა (თბილისი, 1914), რომელიც არც სრულია და არც უნაკლო, ახლა გვაქვს ილიას თხზულებათა რამდენიმე კარგი პუბლიკაცია, მათ შორის „ქართული წიგნისა“ ათ ტომად (პ. ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით), სამჯერ დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველას ნაწერების სრული კრებული. ჩვენ არ ვასახელებთ სხვა ავტორთა ნაწერების გამოცემებს. მეტ-ნაკლები სისრულით გამოქვეყნებულია ახალი დროის ყველა ქართველი მწერლის ნაწარმოებნი. ბევრია დაბეჭდილი კრიტიკოსთა და პუბლიცისტთა ნააზრევი. ასე, მაგალითად, ქვეყნდება ნ. ნიკოლაძის თხზულებათა მრავალტომეული (დ. გამეზარდაშვილის რედაქციით), გამოვიდა ნაწერები ს. მესხისა 3 ტომად (ი. ბოცვაძის რედაქციით), ბოსლეველისა (ს. ზუციშვილის რედაქციით), გ. მაიაშვილი-ზდანოვიჩის რჩეული ორ ტომად (მ. კანდელაკის რედაქციით), კ. აბაშიძის ცნობილი „ეტიუდები“, აგრეთვე მისივე წერილების კრებული ესთეტიკისა და კრიტიკის საკითხებზე ერთ დიდ ტომად (რედაქტორი დ. გამეზარდაშვილი) და სხვა. ახალი ქართული მწერლობის ძეგლთა მეცნიერულად გამოცემის მხრივ განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის სიმონ ზუნდაძეს. XIX საუკუნის კლასიკოსების ნაწერთა გამოცემის საქმეს ამჟამად ხელმძღვანელობს რუსთაველის სახელობის ქართული

¹ პ. კ ე ე ლ ი ძ ე . ლ . მ ე ნ ა ბ დ ე , ქ ა რ თ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს ო ლ ტ ო რ ა (დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავზე), აზრლისის უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული, 1967, გვ. 77.

ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიური განყოფილება (განყოფილების ხელმძღვანელი პროფ. ს. ყუბანიევილი).

დიდი პატივითა და სიყვარულით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში თანამედროვე მწერლობა. უსაზღვროა ამ მწერლობის სარბიელი. საბჭოთა მწერლობას ემსახურება როგორც პერიოდული პრესა, ისე სპეციალური საგამომცემლო ორგანოები. ცალკე ნაწარმოებთა გამოცემაზე რომ არაფერი ვთქვათ, გამოქვეყნდა ჩვენი ყველა გამოჩენილი საბჭოთა მწერლის მრავალტომეული თუ თხზულებათა კრებულები. ათ ტომად დაიბეჭდა ვასილ ბარნოვის ნაწერები, მთლიანად გამოვიდა დავით კლდიაშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებანი. სრული კრებულების სახით დაიბეჭდა მიხეილ ჭავჭავაძის, ლეო ქიაჩელის, შალვა დადიანის, კონსტანტინე გამსახურდიას, გერონტი ქიქოძის, სერგო კლდიაშვილის, დემნა შენგელაიას, აკაკი ბელიაშვილის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, პოლიკარპე კაკაბაძის სანდრო შანშიაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ალიო მაშაშვილის და სხვათა ნაწარმოებნი. მალე დამთავრდება საბჭოთა ეპოქის დიდი ქართველი პოეტის — გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა გამოცემა 12 ტომად.

ჩვენ ცალკე მოვიტოვეთ ვეფხისტყაოსანი. რუსთველის უკვდავი პოემა საბჭოთა პერიოდში „ოცდაექვსჯერ“ გამოიცა დიდი ტირაჟებით (თუმცა მკითხველთა მოხთოვნილება მთლად მაინც არ არის დაკმაყოფილებული). მარტო 1966 წელს (რუსთაველის საიუბილეო წელს) ოთხი გამოცემა განხორციელდა. ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემების ტექსტი საგრძნობლად დახვეწილია და გამართული. მაგრამ სამუშაო ჯერ ბევრი რჩება ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დამდგენ კომისიას, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არის შექმნილი (კომისიის თავჯდომარეა პოეტი-აკადემიკოსი ირ. აბაშიძე, მთავარი რედაქტორი — აკადემიკოსი გიორგი წერეთელი)**.

ქართული მწერლობის ძეგლთა ერთიანი და მასობრივი გამოცემის გვირგვინად მიგვაჩნია „ჩვენი საუნჯის“ ოცტომეული, რომელიც სპეციალისტთა დახმარებით მოამზადა და გამოაქვეყნა გამომცემლობა „ნაკადულმა“.

ჩვენი მიმოხილება ცალმხრივი იქნებოდა, რომ არაფერი გვეთ-

* 1975 წელს უკვე 32-ჯერ დაიბეჭდა.

** 1973 წლიდან კი ამ სტრუქტურების აქტორია.

ქვა ფოლკლორული მასალების პუბლიკაციაზე. უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ფართოდ წარმოებს ქართული ხალხური სიტყვიერების ძეგლთა შემკრებლობა და პუბლიკაცია. ფოლკლორული ტექსტების მეცნიერული გამოცემის ნიმუშიც მოგვცა დაუცხრომელმა აკაკი შანიძემ (ქართული ხალხური პოეზია, ხეცსურული). დაიბეჭდა ხალხური ლექსებისა და პოემების, საისტორიო თუ მითოლოგიური თქმულებების, ლეგენდების, გადმოცემების, ზღაპრების, ანდაზების ხუთტომეული, ხალხური სიბრძნის ექვსტომეული („ნაკადულის“ პუბლიკაცია) და პეტრე უმიკაშვილის მიერ შეკრებილი ხალხური სიტყვიერების ძეგლთა ოთხტომეული. რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების კოლექტივმა მოამზადა გამოსაცემად და უახლოეს წლებში გამოქვეყნდება ქართული ხალხური პოეზიის სრული კორპუსი 8 ტომად.

ქართულმა მწერლობამ გადალახა მშობლიური ქვეყნის ფარგლები, გავიდა საკავშირო და მსოფლიო სარბიელზე. ეს შესაძლებელი გახდა მთარგმნელობითი საქმიანობის დიდი მასშტაბებით გაშლამ. გამოჩენილმა რუსმა პოეტმა (ბორის პასტერნაკმა, ნიკოლოზ ტიხონოვმა, ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ, პავლე ანტოკოლსკიმ, ვლ. დერკაეინმა, კონსტანტინე სამოუნაჟა, ლეონიდ მარტინოვმა, ალექსანდრე მეჟიროვმა, მიხეილ ლუკონინმა, ეგგენი ეგტუშენკომ, ბელა ახმადულინამ და სხვ.) გადაიღეს რუსულ ენაზე ქართული კლასიკური და საბჭოური პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. რუსულად გამოვიდა შესანიშნავი კრებულები «Грузинские романтики», «Антология грузинской поэзии», «Грузинская проза» (სამ ტომად), «Памятники древнегрузинской агиографической литературы» (კ. კეკელაძის თარგმანი) და სხვ. ქართული პოეზიის ანთოლოგიის ორტომეული დაიბეჭდა უკრაინულად; სომხურად გამოქვეყნდა „ქართული ლიტერატურის რჩეული ფურცლების“ დიდი ტომი, თავის მხრავ ქართულ ენაზე იბეჭდება რუსული, უკრაინული, სომხური, აზერბაიჯანული და საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხის სიტყვიერი შემოქმედების საუკეთესო ნაყოფი. მჭიდრო, ცოცხალი, ძმური კავშირი ხელს უმართავს ურთიერთ მიღწევათა გაზიარებას, ურთიერთზე კეთილ ზემოქმედებას, ურთიერთის გამდიდრებას, ერთიანი, მავრამ მრავალეროვანი საბჭოთა მწერლობის საერთო წინსვლას და საერთაშორისო ასპარეზზე დაწინაურებას.

თუ რევოლუციამდელ პერიოდში რუსულად მოიპოვებოდა ვეფხისტყაოსნის მხოლოდ ერთი სრული პოეტური თარგმანი (კ. ბალმონტისა), ახლა რუსულად გვაქვს ხუთი ახალი სრული და ათზე

მეტი ნაწილობრივი თარგმანი. ვეფხისტყაოსანი გადათარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა თითქმის ყველა ენაზე, აგრეთვე ინგლისურზე, ფრანგულზე, გერმანულზე, ესპანურზე, იტალიურზე. იაპონურზე, ჩინურზე, ებრაულზე, პოლონურზე, უნგრულზე, ჩეხურზე, რუმინულზე...

საბჭოთა პერიოდში ძალზე გაიზარდა ქართული მწერლობის. ნამეტნავად პოეზიის ავტორიტეტი როგორც საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებში, ისე საზღვარგარეთ. ქართული მწერლობის საერთაშორისო აღიარების დემონსტრაციას წარმოადგენდა რუსთველის დაბადების რვაასი წლის იუბილე, რომელიც არაჩვეულებრივი ბრწყინვალეობით აღინიშნა 1966 წლის შემოდგომაზე.

ბევრი ითარგმნება ქართულ ენაზე უცხოურიდან. საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ (ნაწილობრივ კონსტანტინე ჭიჭინაძის თანამშრომლობით) საუცხოოდ გადმოთარგმნა დანტეს ლეთაებრივი კომედია, ბოლო დროს გამოვიდა დანტეს „ახალი ცხოვრების“ ქართული თარგმანიც (მთარგმნელები ბაჩანა ბრეგვაძე და თამაზ ჩხენკელი). გამოქვეყნდა თუ ქვეყნდება მსოფლიო პოეტური კულტურის ისეთი შედეგები, როგორცაა ნიბელუნგები (კ. ჭიჭინაძე, გრ. ხავთასი), სიმღერა როლანდზე, ისლანდიური „დიდი ედა“ (გ. კალანდაძე), ფინური კალევალა (მ. მაჭავარიანი, დ. ძნელაძე, შ. ჩანტლაძე) და ბევრი სხვა. დაიწყო გამოცემა „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ ოთხმოცტომეულისა.

კვლავ განახლდა XIX საუკუნეში შეწყვეტილი მთარგმნელობა სპარსულიდან (მ. თოდუა, ალ. გვახარია, ვახუშტი კოტეტიშვილი). ახლა ქართულად ითარგმნება ინდური, არაბული, თურქული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები. კერძოდ, უკვე იბეჭდება „ათასერთი ღამის“ ქართული თარგმანის ტექსტი გ. წერეთლის რედაქციით (მთარგმნელი ნანა ფურცელაძე) მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია შესანიშნავი კრებულის „არამადანის“ პუბლიკაცია (კრებულის შემდგენელი და რედაქტორი მ. თოდუა).

ერთი სიტყვით, საბჭოთა პერიოდში ქართული მწერლობა ორგანულად ჩაერთო საერთაშორისო ლიტერატურული ცხოვრების მიმოქცევაში.

დაწინაურდა ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლა. განვლილი წლების მანძილზე საკვლევადობო საქმიანობაში თანდათანობით ებმებოდნენ მკვლევართა ახალ-ახალი თაობები, რომელთა მეცნიერული და მსოფლმხედველობრივი ფორმირება ზღვებოდა

საბჭოთა წყობილების პირობებში. მკვლევართა როგორც ახალი, ისე ძველი თაობა მტკიცედ დადგა მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის ნიადაგზე და ამ პოზიციებიდან ცდილობს ქართული მწერლობის საკითხების გაშუქებას. მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიით შეიარაღება და ამ მეთოდოლოგიის საერთო ფუძემდებლური პრინციპებით ხელმძღვანელობა უნდა ჩაითვალოს ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად. რა თქმა უნდა, მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიაზე გადასვლა უმტკივნეულო არ ყოფილა მკვლევართა ძველი თაობისათვის. მოწინავე მეცნიერულ-კრიტიკულ აზრს დიდი ბრძოლა დასჭირდა ანტი-მარქსისტული, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გადმონაშთების აღმოსაფხვრელად. რიგ შრომებში თავი იჩინა ვულგარულმა სოციოლოგიზმმა, ნიჰილიზმმა, კოსმოპოლიტიზმმა...

მაგრამ ქართული ლიტერატურათმცოდნეობის საერთო გეზი იყო სწორი და ამან უზრუნველყო ლიტერატურული ცხოვრების ძირითადად ჯანსაღი განვითარება. საკუთრივ ლიტერატურის მეთოდოლოგიის დარგში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გამოსაკვლევი. დასაზუსტებელი და დასახვეწი. მაგრამ ქართული საბჭოთა კრიტიკა და საერთოდ ლიტერატურული მეცნიერება ძირითადად თავისი მოწოდების სიმადლეზე იდგა და დგას როგორც თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების გაშუქების, ისე ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის მხრით.

სათუძელიანად გამოკვლეულია და კრიტიკულად შესწავლილი ძველი და ახალი მწერლობის ბევრი საჭირობოროტო საკითხი, გამოქვეყნებულია დიდძალი ნაშრომი (მონოგრაფიული გამოკვლევები და ნარკვევები, წერილები, სტატიები, ესეები და მისთანანი). რასაკვირველია, ზოგი მათგანი ემპირიული ხასიათისაა, მაგრამ ბევრია სერიოზული ნაფიქრ-ნააზრევის შედეგად განზოგადებული ნარკვევიც. სრულიად შეუძლებლად მიმაჩნია ორმოცდაათი წლის მანძილზე გამოქვეყნებული თუგინდ უმათერესი ნაშრომების დასახელება.

ლიტერატურათმცოდნეობის საკითხების გაღრმავებულ შესწავლას ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ლიტერატურული ძეგლების სანდო გამოცემები და სამუზეუმო-საარქივო მასალების პუბლიკაცია.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ინტენსიურად და ფართო მასშტაბით წარმოებდა ხელნაწერი მემკვიდ-

რეობის შეგროვება, კონცენტრირება და დაცვა. საქართველოს დაუბრუნდა რუსეთის სიძველეთსაცავების ქართული ხელნაწერი ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილი. უნაკლოდ დაგვიბრუნდა მენ-შევიკური მთავრობის მიერ საზღვარგარეთ გატანილი ხელნაწერი მასალებიც. ქართული სულიერი კულტურის უმდიდრესი განძი ახ-ლა საიმედოდ არის დაცული კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერ-თა ინსტიტუტის მშენიერი შენობის სეიფებში. ახალი მასალების გამოვლინება გააადვილა საარქივო-სამუზეუმო ხელნაწერი ფონ-დების აღწერილობათა და სხვადასხვა საბიბლიოგრაფიო ცნობარე-ბისა თუ საძიებლების გამოქვეყნებამ. დიდი კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტ-მა გამოსცა თავისი უმდიდრესი კოლექციების სისტემური აღწერი-ლობანი, დაიბეჭდა აგრეთვე აღწერილობანი ლენინგრადის ყოფი-ლი სააზიო მუზეუმის, საქართველოს ცენტრალური არქივის, . ლი-ტერატურული მუზეუმის, საჯარო ბიბლიოთეკის და ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ქართული ხელნაწერების ფონდე-ბისა. მიკროფილმებისა და ფოტოპირების საშუალებით ხელმისაწვ-დომი გახდა საზღვარგარეთული სიძველეთსაცავების ქართული ხელნაწერი კოლექციები. დაიბეჭდა იერუსალიმისა და სინას მთის ქართული ხელნაწერთა ფონდების აღრინდელი და ახალი აღწერი-ლობანი (ნ. მარისა, ი. ჭავჭავიძისა, რ. ბლაიკისა, ე. ვარითისა). სასარგებლო საქმიანი კონტაქტი დამყარდა საზღვარგარეთელ ქარ-თველოლოგებთან.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა პერიოდში დიდი წარმატებები მოიპოვა რუსთველოლოგიამ. დამუშავდა და გამო-ქვეყნდა არა ერთი და ორი ათეული მნიშვნელოვანი ნაშრომი რუს-თველოლოგიის სხვადასხვა პრობლემაზე. მათ შორის ბევრია სპე-ციალური მონოგრაფიული გამოკვლევა თუ განმარტავადებელი ხა-სიათის ვრცელი ნარკვევი. რუსთველოლოგიური ნაშრომების ავ-ტორებად გვევლინებიან როგორც უფროსი, ისე საშუალო და ახა-ლი თაობის მკვლევარები. ლიტერატურის ინსტიტუტმა 1957 წელს გამოსცა გ. იმედაშვილის მიერ შედგენილი რუსთველოლოგიური ლიტერატურის ვებერთელა ანოტირებული ბიბლიოგრაფია 84 თა-ბანის მოცულობისა. მზადდება ამ ბიბლიოგრაფიის შეესებულ-შეს-წორებული და 1970 წლამდე მოყვანილი ახალი გამოცემა. სხვადა-სხვა ხასიათისა და მნიშვნელობის რიგი ნაშრომების ავტორები არიან რუსთველოლოგიის დარგში ივ. ჭავჭავიძე, იუსტ. აბულა-ძე, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ვ. ბერიძე, პ. ინგოროყვა.

კ. ჭიჭინაძე, შ. ნუცუბიძე, მ. გოგიბერიძე, გ. წერეთელი, ს. იორდანიშვილი, გ. იმედაშვილი, გ. ჭიბლაძე, დ. ბენაშვილი, ვ. ნორაკიძე, ა. გაწერელია, ა. ზურაბაშვილი, ე. მეტრეველი, შ. ხიდაშელი, მ. ჩიქოვანი, ი. მეგრელიძე, შ. ძიძიგური, ი. გიგინეიშვილი, ი. იმნაიშვილი, ი. ლოლაშვილი, შ. ლლონტი, ს. ცაიშვილი, ზ. ჭუმბურიძე, მ. მახათაძე, მ. გუგუშვილი, ნ. ნათაძე, პრ. რატიანი, ს. სერებრიაკოვი, დ. ქუმსიშვილი, ე. ხინთიბიძე, მ. გიგინეიშვილი, გ. შარაძე და სხვანი. რუსთველოლოგიის ისტორიაში დაუეიწყარია 1960 წლის სამეცნიერო ექსპედიცია იერუსალიმში ირ. აბაშიძის ა. შანიძისა და გ. წერეთლის შემადგენლობით. ნამდვილი სახალხო ეროვნული ზეიმით აღინიშნა საქართველოში ვეფხისტყაოსნის დაწერის 750-ე და რუსთველის დაბადების 800-ე წლისთავები. ამ თარიღებმა დიდად შეუწყო ხელი რუსთველის გასვლას მსოფლიო დიდების სარბიელზე. რუსთველოლოგიური მუშაობის გასაღრმავებლად და გასაფართოებლად ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა რუსთველოლოგიის განყოფილება (ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ს. ცაიშვილი), ხოლო თბილისის უნივერსიტეტში დაარსებულია რუსთველის კაბინეტი (ხელმძღვანელი პროფ. ლ. მენაბდე). რუსთველოლოგიური კვლევა-ძიება მიმდინარეობს საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის მრავალ ცენტრში. საინტერესოა პროფესორების ზ. ავალიშვილისა და მ. წერეთლის უცხოეთში დაბეჭდილი ნაშრომები. საყურადღებო რუსთველოლოგიური ნარკვევები ეკუთვნით დ. ლანგს, რ. სტავენსონს, მ. ბაურას, საფრანგეთის აკადემიის წევრებს ედმონ ჟალუსა და მარსელ ბრიონს, ლუი არაგონს, რენე ლაფონს, გ. დეეტერსს, პ. ჰუპერტს, გ. პეჩს, ჩილელ გუსტავო ბოტაროს, ისრაელ სწავლულ ხაიმ ვარდის, იარომირ იედლიჩკას, ვ. კერნახს. მარტონ იშტვანოვიჩს, იან ბრაუნს და ბევრ სხვას. რუსი მეცნიერებიდან ფასეული რუსთველოლოგიური ნაშრომები დასტამბეს აკადემიკოსებმა ვ. შიშმაჩიოვმა, ალ. ბელეცკიმ, ი. ლუპოლმა. ა. ტოლსტოიმ, ნ. კონრადმა, ვ. ჟირმუნსკიმ, პროფესორებმა პ. ბერკოვმა და რ. სამარინმა, მწერლებმა ნ. ტიხონოვმა, პ. ანტოკოლსკიმ, ნ. ზაბოლოცკიმ, ვ. გოლცევმა და სხვ. სერიოზული რუსთველოლოგიური ნარკვევების ავტორებია აკადემიკოსი იოსებ ორბელი და პოეტი-აკადემიკოსი მიკოლა ბაჟანი. შეუჩნელებელი გატაცებით განაგრძობდა მუშაობას რუსთველოლოგიაში აკადემიკოსი ნიკო მარი (1864—1934).

საინტერესო საკვლევადიებო მუშაობა გაჩაღდა ლიტერატურის მეთოდოლოგიის, ლიტერატურის თეორიის, ესთეტიკისა და პოეტი-

კის საკითხებზე (გ. ჯიბლაძე, მ. დუდუჩავა, ა. ჭილაია, ნ. ჭავჭავაძე, ნ. ჯაში. ო. ეგაძე, ალ. ზავლელიშვილი, ვ. ჭელიძე და სხვ.). გამოქვეყნდა ამ საკითხებისადმი მიძღვნილი რიგი წიგნი და კრებულა. სოლოღური ნაშრომები დაიბეჭდა კერძოდ ლექსთ-მცოდნეობაზე (ს. გორგაძე, ა. გაწერელია, ა. ხინთიბიძე და სხვ.).

ქართული მასალების საფუძველზე საინტერესოდ დამუშავდა მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები (გ. გაჩეჩილაძე). გარმავედა კვლევა-ძიება ისეთ ტრადიციულ დარგებში, როგორცაა ლიტერატურული ურთიერთობანი — ბერძნულ-ქართული და ქართულ-ბერძნული (კ. კეკელიძე, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ნუცუბიძე, პ. ბერაძე, ნ. კეჭაყმაძე, ა. ურუშაძე, რ. მიმინოშვილი, ვ. ბააკაშვილი, ალ. გამყრელიძე, ე. ხინთიბიძე, ა. ალექსიძე, რ. გორდენიანი და სხვ.), ქართულ-სომხური და სომხურ-ქართული (ლ. მელიქსეთ-ბეგი, ილ. აბულაძე, ბ. არველაძე, ე. ცაგარეიშვილი, ზ. ალექსიძე), სპარსულ-ქართული და ქართულ-სპარსული (იუსტ. აბულაძე, ი. მარი, ვლ. ფუთურიძე, დ. კობიძე, მ. თოდუა, კ. ფაღავა, ა. გვახარია, თ. კეშელავა, მ. მამაცაშვილი, თ. გორელიშვილი და სხვ.). ძლიერ გაფართოვდა კვლევა-ძიება რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხებზე (ა. ჩხეიძე, ვ. შადური, ირ. ანდრონიკაშვილი, ი. ნათაძე, ა. ნიკოლაძე, გ. ციციშვილი, ი. ბოგომოლოვი, თ. ბუაჩიძე ნ. მახათაძე, შ. გვენეტაძე და სხვ.). საფუძველი ჩაეყარა ქართულ უკრაინულ და უკრაინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხების დამუშავებას (ლ. ასათიანი, ბ. ელენტი, ო. ბაქრაძე, დ. კოსარიკი, ი. ლუცენკო და სხვ.). საბჭოთა ქვეყნებთან და უცხოეთთან გაძლიერებულ ლიტერატურულ ურთიერთობათა შესწავლის მეცნიერულ ნიადაგზე დასაყენებლად რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში შეიქმნა სპეციალური განყოფილებანი (ხელმძღვანელები პროფ. გ. ციციშვილი და დოც. დ. ლაშქარაძე).

ძველთაგანვე დიდი ყურადღება ექცეოდა ჩვენში ქართული ხალხური სიტყვიერების მასალების შეკრებას, მაგრამ ქართული ფოლკლორისტიკა, როგორც მეცნიერება, საბჭოთა დროის პირმშოა. მომზადდა, გაიწაფა და საქმეში ჩაება ფოლკლორისტთა ახალი კადრი, გამოქვეყნდა რიგი მნიშვნელოვანი ნაშრომი ვ. კოტეტიშვილისა, მ. ჩიქოვანისა, ქ. სიხარულიძისა, ელ. ვირსალაძისა, ალ. ღლონტისა, ი. მეგრელიძისა, თ. ოქროშიძისა, ე. არჭევანიძისა, და სხვ.

უყურადღებოდ არ დარჩენილა ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურული კრიტიკის ისტორიის განვითა-

რების საკითხები (შ. ნუცუბიძე, ს. ხუნდაძე, გ. ჯიბლაძე, გ. აბზიანიძე, დ. გამეზარდაშვილი, ჯ. ჭუმბურიძე, ს. ხუციშვილი და სხვ.).

ზოგი რამ გაკეთდა ქართული მწერლობის მსოფლიო ისტორიულ-კულტურული როლის გასარკვევადაც. შალვა ნუცუბიძემ წამოაყენა აღმოსავლური რენესანსის საინტერესო თეორია, რომელმაც ცხოველი კამათი გამოიწვია ჩვენშიც და საზღვარგარეთაც. იმავე შ. ნუცუბიძემ და ბელგიელმა სწავლულმა ერნესტ პონიგმანმა საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთეს, რომ ე. წ. არეოპაგიტული წიგნების ავტორი უნდა ყოფილიყო V საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოღვაწე პეტრე იბერიელი. კ. კეკელიძის რიგმა პუბლიკაციებმა გაამდიდრა მსოფლიო საქრისტიანო კულტურის ისტორიის საღარო. იური მარმა, ვლადიმერ ფუთურაძემ და დ. კობიძემ გამოიძიეს ქართულის წელილი ირანულ და სპარსულენოვან სამყაროში.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ალექსანდრე ცაგარელი ამბობდა, რომ ქართული მწერლობის საკითხების დამუშავება მაშინ მხოლოდ პირველი დაგროვებისა და აღრიცხვის სტადიაში იმყოფებოდა, „რამდენადმე მეცნიერული იერას მქონე მიმოხილვა ქართული ლიტერატურის ისტორიისა ჯერ თითქმის შეუძლებელია“. მეცნიერი იმედს გამოთქვამდა, რომ დადგებოდა დრო, როცა მოსახერხებელი გახდებოდა «цельный, стройный и систематический обзор памятников грузинской письменности и литературы».

1895—1907 წლების მანძილზე რუსულად გამოვიდა ალ. ხახანაშვილის „ნარკვევები ქართული სიტყვიერების ისტორიიდან“ ოთხ მოზრდილ ტომად. შემდეგ ავტორმა თავისი რუსული ნაშრომის საფუძველზე ქართულად დაამუშავა „ქართული სიტყვიერების ისტორია“ ორ წიგნად. ალ. ხახანაშვილის „ნარკვევებმა“ თავის დროზე დიდი როლი შეასრულა და დიდი სამსახურიც გაუწია მოსწავლეს ახალგაზრდობას, მაგრამ მათ ბევრი რამ აკლდა სისრულისა და სისტემურობისაგან. ნარკვევებში მოიპოვება მძიმე ფაქტობრივი შეცდომებიც. სისრულის პრეტენზია არ ჰქონია კ. აბაშიძის დიდი ცოდნითა და გემოვნებით დაწერილ ორტომიან ნაშრომს „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“.

ალ. ხახანაშვილისა და კ. აბაშიძის ნარკვევებით ამოიწურებოდა რევოლუციამდელი განმარტოვებული ნაშრომები ახალი ქართული მწერლობის ისტორიაზე.

მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიის განმარტოვებულ-შემაჯამებელი ნაშრომების შექმნისა და სისტემატიზირე-

ბული კურსებისა და სახელმძღვანელოების შედგენის რთული პრობლემაც საბჭოთა პერიოდში გადაიჭრა. ჯერ კიდრე 1923—1924 წლებში გამოქვეყნდა კ. კეკელიძის ძველი ქართული მწერლობის ისტორიის დიდი ორტომეული. ავტორის სიცოცხლეში იგი შემდეგ სამჯერ გამოცა (უკანასკნელი გამოცემა დაიბეჭდა 1958—1960 წლებში.). თითოეული ახალი გამოცემა წინანდელთან შედარებით გამდიდრებულია ფაქტობრივი მასალებით, დახვეწილია ენობრივ-სტილებრივად, უკეთ გამართულია იდეურ-შინაარსობრივად. შეიძლება ავტორს არ დაეთანხმოთ კურსის აგების პრინციპებში, შეიძლება სადავოდ გახადოთ ცალკეული საკითხების გაშუქება, მაგრამ სრულიად უცილობელია კ. კეკელიძის მონუმენტური კურსის ორიგინალობა, სისრულე და სხვა დიდი მეცნიერული ღირსებანი. კ. კეკელიძეს მოუხდა უზარმაზარი შრომის გაწევა, რომ წესრიგში მოეყვანა, შეემოწმებინა, გამოეკვლია, აეწონ-დაეწონა, განეზოგადებინა და დაესისტემებინა უამრავი ლიტერატურული მასალა და შეექმნა ისეთი ნაშრომი, რომელზედაც ოცნებობდა ალ. ცაგარელი («цельный, стройный и систематический обзор памятников грузинской письменности и литературы»).

კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ განსაკუთრებული ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა კარგად შეაფასეს საზღვარგარეთაც. ცნობილი ბელგიელი ქართველოლოგის პაულ პეეტერსის სიტყვით, კ. კეკელიძის ვეებერთელა ორტომეული მაშინ ჩამოყალიბდა, როცა „ქართველი ხალხი შევიდა თავისი (ეროვნული) განვითარების გადამწყვეტ ფაზაში“. პეეტერსმა ხმამალა განაცხადა, რომ კ. კეკელიძის „ათას ორას გვერდიანი ქართული ლიტერატურის ისტორია არის დასაბუთება საქართველოს ინტელექტუალური ღირსებებისა და იმის უფლებისა, რომ მან იცხოვროს თავისი საკუთარი ცხოვრებით“, „ღირსებანი ბრწყინვალეა და უფლება უცილობელია“, — ასკვნიდა უცხოელი მკვლევარი.

კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომის საფუძველზე მიქელ თარხნიშვილმა და იულიუს ასფალგმა დაამუშავეს და გერმანულ ენაზე გამოაქვეყნეს რომში 1955 წელს „ქართული საეკლესიო ლიტერატურის ისტორია“ (მზადდება გამოსაცემად მეორე ტომიც. ამ ტომის მომზადება ადრე იკისრეს იარომირ იედლიჩკამ და იულ. ასფალგმა). თვითონ კ. კეკელიძემ კი თავისი დიდი შრომის მოკლე კონსპექტი გამოსცა რუსულ ენაზე («Конспективный курс истории древнегрузинской литературы», 1938).

1954 წელს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის ავტორობით გამოსცა ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომი (ძველი ქართული მწერლობა). აქ უფრო შემჭიდროებულად და თანმიმდევრულად, ამასთან შედარებით ადვილად დასაძლევია ენით წარმოდგენილია ძველი ქართული მწერლობის განვითარების რთული ისტორია მეხუთე საუკუნიდან მეცხრამეტემდის. თავის მხრივ ამ შრომის საფუძველზე შეიქმნა ძველი ქართული მწერლობის ისტორიის საუნივერსიტეტო კურსი, რომელიც 1969 წელს გამოქვეყნდა.

ძველი ქართული მწერლობის შესწავლის სარბიელზე კ. კეკელიძის მეთაურობით მოღვაწეობდნენ ილია აბულაძე, გ. ჭაკობია, ე. მეტრეველი, ს. ყუბანეიშვილი, გ. იმედაშვილი, ტ. რუხაძე, დ. კობიძე, ლ. მენაბდე, თ. ჭყონია, ი. ლოლაშვილი, ს. ცაიშვილი, დ. ბრეგაძე, რ. ბარამიძე, რ. მიმინოშვილი, ვ. ბააკაშვილი, ნ. მახათაძე, ქ. სანიკიძე, გ. მიქაძე, შ. ონიანი, შ. ჩიჭავაძე, ლ. ძოწენიძე, ლ. ქუთათელაძე, მ. ქავთარია, თ. ბრეგაძე, ც. ქურციკიძე, მ. რაფავა, ლ. ჭღამაია, ე. ხინთიბიძე, რ. სირაძე და ბევრი სხვა. თვითონ კ. კეკელიძის ცალკეული ნაშრომები თავმოყრილია მის ეტიუდებში — „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“. გამოქვეყნებულია ამ „ეტიუდების“ ათი წიგნი (1936—1968).¹ ამ სტრიქონების ავტორს ეკუთვნის „ნარკვევების“ ხუთი წიგნი (1940—1970), მონოგრაფიები შოთა რუსთაველზე (1958, 1966), სულხან-საბა ორბელიანზე (1959) და სხვ.

ძველი ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლის მხრივ, რასაკვირველია, დიდია ღვაწლი ძველი თაობის ისეთი მკვლევარებისა, როგორც იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, იუსტინე აბულაძე, სერგი გორგაძე, პავლე ინგოროყვა, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი. XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნის, ე. წ. გარდამავალი ხანის, ქართული მწერლობის ისტორიის საკითხები განხილულია უმთავრესად ტ. რუხაძის და გ. მიქაძის შრომებში.

XIX საუკუნის ლიტერატურის ისტორია მოამზადა სამ წიგნად და 1925—1927 წლებში ბეჭდურად გამოაქვეყნა ვ. კოტეტიშვილმა, სამ წიგნადვე გამოიცა მ. ზანდუკელის „ახალი ქართული ლიტერატურა“ (რამდენჯერმე დაიბეჭდა). მასვე ეკუთვნის «Очерки по истории грузинской литературы XIX века». XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის თავისებური, ორიგინალური კურსი შეადგინა გერონ-

¹ ახლა უკვე „ეტიუდების“ 14 წიგნია გამოცემული.

ტი ქიქოძემ. სიმონ ხუნდაძის „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ (ორ წიგნად) და „ქართველი ინტელიგენციის პროფილი XIX საუკუნეში“ ფრიად საინტერესოა ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისითაც. თავის დროზე სახელმძღვანელოს როლს ასრულებდა თ. ბეგიაშვილის სამტომეული „ქართული სიტყვიერების ისტორია“, დ. გამეზარდაშვილმა ორ წიგნად გამოაქვეყნა „ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, აგრეთვე, «Становление критического реализма в грузинской литературе». აღსანიშნავია კ. კაპანელის „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი“. გ. ჯიბლაძემ გამოსცა დიდი მონოგრაფია ილია ჭავჭავაძეზე, მანვე მიუძღვნა მონოგრაფიული ნარკვევი ნიკოლოზ ბარათაშვილს. იგი ავტორია სოლიდური წიგნისა «Романтики и реалисты в грузинской литературе XIX века» და მრავალრიცხოვანი წერილებისა ახალი და უახლესი პერიოდების ქართული მწერლობის საკითხებზე. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ გ. ჯიბლაძის „ესთეტიკური თეორიის საკითხები“ და „რუსთაველის ესთეტიკური სამყარო“. საყურადღებოა მონოგრაფიები პ. კეკელიძისა („აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები“), ა. ჭილაიასი („გიორგი წერეთელი“), ალ. კალანდაძისა („ნარკვევები ქართული ეურნალისტიკის ისტორიიდან“), კ. მეძველიასი („თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციური მოღვაწეები“), ე. მაღრაძის („გრიგოლ ორბელიანი“), ა. გაჩეჩილაძის ნარკვევები აკაკი წერეთელზე და სხვა. სპეციალური მონოგრაფიები მიუძღვნა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას (ს. დანელია, გრ. კიკნაძე, ა. გაწერელია, დ. რამიშვილი, დ. ბენაშვილი, ბ. დობორჯგინიძე). კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს გურამ ასათიანის მონოგრაფიული ნარკვევები „მერანი და მისი ავტორი“. ორჯერ გამოიცა პ. ინგოროყვას წიგნი ნ. ბარათაშვილზე. მკითხველი გვერდს ვერ აუვლის შ. რადიანის „XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურას“, ჯ. ჭუმბურიძის „ქართული კრიტიკის ისტორიას“, ს. ხუციშვილისა და ა. მახარაძის ნარკვევებს XIX საუკუნის ქართული კრიტიკული აზროვნებისა და მწერლობის ისტორიის საკითხებზე და ბევრ სხვა ნაშრომს, რომელთა დასახელება დიდ ადგილს მოითხოვდა, და სამწუხაროდ, არ ხერხდება.

ბოლო დროს თბილისის უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის კათედრა შეუდგა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის საუნივერსიტეტო კურსის მომზადებას. ჯერჯერობით დასტამბულია ამ კურსის პირველი ტომი.

საქმარ ჩაოდენობით მოგვეპოვება საყურადღებო ნაშრომები (მონოგრაფიები, ნარკვევები, წერილები) ქართული საბჭოთა მწერ-

ლობის საკითხებზე. აქ იმოდენა ზღვაა მასალისა, რომ ძალზე გა-
ჭირდება რისიმე ცალკე გამოყოფა. ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნით
დავკმაყოფილდებით, რომ ქართული საბჭოთა მწერლობის მკვლე
ვარ-კრიტიკოსთა უფროს და საშუალო თაობას — ბ. ბუაჩიძეს,
ბ. ჟღენტს, ლ. ასათიანს, ალ. სულავას, ა. გაწერელიას, დ. ბენა-
შვილს, გ. ჯიბლაძეს, შ. რადიანს, გ. ნატროშვილს, გ. ლომიძეს,
გ. ციციშვილს, ლ. კალანდაძეს, ს. ქილაიას, გ. მერკვილაძეს, გ. მარ-
გველაშვილს, გ. ასათიანს, ტ. კვანჭილაშვილს, გ. კანკავას, გ. გვერდ-
წითელს, შ. ჩიჩუას, დ. თევზაძეს, გრ. ხერხეულიძეს... გვერდში
ამოუდგა ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელიც მონდომებით ეზი-
დება თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკის
მძიმე ტვირთს (სამწუხაროდ, ბოლო დროს მოულოდნელად დაე-
კარგეთ ამ თაობის ორი საუკეთესო წარმომადგენელი — ნოდარ
ჩხეიძე და ფილიპე ბერიძე).

მაინც უნდა ითქვას, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურა სის-
ტემურად მიმოხილულია სერგი ქილაიას ნაშრომებში („მე-20 საუკუნის
ქართული მწერლობა“ სამ წიგნად, «Очерки истории грузинской со-
ветской литературы»). პრობლემური სიმახვილით გამოირჩევა გი-
ორგი ლომიძის შრომები. დიდად ფასეულია ბესარიონ ჟღენტის კრი-
ტიკული წერილები.

ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარი-კრიტიკოსი თანაბარი ინტერე-
სითა და წარმატებით იკვლევ-იძიებს როგორც კლასიკური, ისე თა-
ნამედროვე საბჭოთა მწერლობის აქტუალურ, საკვანძო საკითხებს.
უწინარეს ყოვლისა, ასეთია აკაკი გაწერელია, რომლის ნაშრომები
ფართო მკითხველი საზოგადოების მოწონებას იმსახურებს. ლიტე-
რატურათმცოდნეობის სფეროდან ღირსშესანიშნავე ნაშრომები
გამოაქვეყნეს ჩვენმა ცნობილმა მწერლებმა კონსტანტინე გამსა-
ხურდიამ, კონსტანტინე ჭიჭინაძემ, იოსებ გრიშაშვილმა, გიორგი
ლეონიძემ, ტიტოან ტაბიძემ, შალვა აფხაიძემ, სიმონ ჩიქოვანმა.
დემნა შენგელაიამ, ირაკლი აბაშიძემ, გრიგოლ აბაშიძემ, გიორგი
შატბერაშვილმა, რევაზ ჭაფარიძემ...

მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ქართული მწერლობის ისტო-
რიის მთლიანი, თანმიმდევრული, სისტემური, მეთოდოლოგიურად
სწორი და, რამდენადაც მოხერხდება, სრული გაშუქება აქვს მიზნად
დასახული რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის დიდ კოლექტივს,
რომელიც ამზადებს ქართული ლიტერატურის ისტორიის ექვსტო-
მეულს (საერთო მოცულობა 300 თაბანი). ამ ექვსტომეულის ჰორიზონ-
ტი

ლი სამი ტომი უკვე გამოვიდა, იბეჭდება IV და V ტომები. მზადდება დასაბეჭდად VI ტომი, იგი მოიცავს საბჭოთა მწერლობის პერიოდს 1921 წლიდან დღემდის.

მთელი ქართული მწერლობის ერთიანი ისტორიის მოკლედ მიმოხილვის პირველ ცდას წარმოადგენს «История грузинской литературы», რომელიც 1958 წელს გამოქვეყნდა (ავტორები ალ. ბარამიძე, შ. რადიანი, ბ. ჟღენტი). დასასრულ ცალკე უნდა მოვიხსენიოთ საბჭოთა მრავალეროვანი ლიტერატურის ისტორია («История советской многонациональной литературы»), რომელსაც ექვს ტომად სცემს გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ექვსტომეულის შედგენაში მონაწილეობა მიიღო რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა კოლექტივმა. ექვსტომეულის მთავარი რედაქტორებია გ. ლომიძე და ლ. ტიმოფეევი, მთავარი რედაქციის წევრია ბ. ჟღენტი, 1970 წელს გამოქვეყნდა ექვსტომეულის პირველი ტომი (მოიცავს 1917—1931 წლებს). ტომის ქართული მონაკვეთი დაწერილია ბ. ჟღენტის მიერ, იგი არის ტომის სარედაქციო კოლეგიის წევრიც, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის კოლექტივი მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ათტომეულის შედგენაში. ამ ათტომეულსაც გორკის სახელობის ინსტიტუტი ამზადებს.

რიგი განმაზოგადებელი ნაშრომი გამოქვეყნდა ფოლკლორის დარგში, ასეთებია, მაგალითად, მ. ჩიქოვანის „ქართული ეპოსი“ ორ წიგნად, მისივე «Народный грузинский эпос о прикованном Амиране». და „ქართული სიტყვიერების ისტორია“, ქს. სიხარულიძის „ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“, ე. ვირსალაძის— „ქართული სამონადირეო ეპოსი“, თ. ოქროშიძის — „ქართული ხალხური შრომის პოეზია“, სახელმძღვანელოდ არის განკუთვნილი რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის ფოლკლორისგთა კოლექტიური ნაშრომი „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება“.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს რომ საბჭოთა პერიოდში დაიწყო ჩვენში დასავლეთ ევროპის ლიტერატურის სერიოზული შესწავლა და ამის შედეგად საყურადღებო ნაშრომებიც გამოქვეყნდა (გრ. ხავთასისა, გივი გაჩეჩილაძისა, მ. კვესელავასი, ნ. კაკაბიძისა, ო. ჯინორიასი, ნ. ორლოვსკაიასი, ნ. ყიასაშვილისა, შ. რევიშვილისა, ზ. ქარხალაშვილისა, დ. ფანჩულიძისა, ვ. ჭელიძისა და სხვ.). ქართულ ენაზე გამოვიდა ანტიკური (ბერძნულ-რომაული) და ბიზანტიური ლიტერატურის მალალხარისხოვანი სახელმძღვანელოები

(ვრ. წერეთლისა, სიმ. ყაუხჩიშვილისა). დ. კობიძემ შეადგინა და დაბეჭდა „სპარსული მწერლობის ისტორია“, მანვე შეადგინა სპარსული მწერლობის ქრესტომათია ორ ტომად.

თბილისის უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრის თაოსნობით (ვანო შადურისა და გიორგი ტალიაშვილის რედაქციით) მომზადდა რუსული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელო სამ ტომად (თბილისი, 1961—1963). თბილისის უნივერსიტეტშივე მომზადდა „ქველი სომხური ლიტერატურის ისტორია“ ლეონ მელიქსეთ-ბევისა (თბილისი, 1941).

ასე გვეხატება ჩვენ ძალიან მოკლედ საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მდგომარეობა. მიღწევები უდავოა, წარმატებები უცილობელი, მაგრამ, რასაკვირველია, მიღწეული და მოპოვებული სრულიადაც არ არის საქმარისი. მდიდარი ქართული მწერლობის ისტორიის ყოველმხრივი და ღრმად მეცნიერული შესწავლის საქმეს ჯერჯერობით მხოლოდ მყარი საფუძველი აქვს ჩაყრილი. გამოსაძიებელი, გამოსარკვევი და გამოსაკვლევი ბევრზე ბევრია. დასამალი არ არის, რომ ლიტერატურათმცოდნეობა საერთოდ, კერძოდ კი ლიტერატურული კრიტიკა, ფეხდაფეხ ვერ მიჰყვება ჩვენი ცხოვრების მაჩისცემას, მხარს ვერ უბამს მხატვრული მწერლობის წინსვლას. ლიტერატურათმცოდნეობა მოვალე რჩება სოციალისტური სამშობლოს წინაშე. ჩვენ საეჭვოდ არ მიგვაჩნია, რომ იგი პირნათლად გადაიხდის ამ ვალს. ამის საწინდარია განვლილი წლების თვალსაჩინო მიღწევები, აწინდელი ვითარების ფხიზელი შეფასება და იმედის მომცემი ახალგაზრდა ძალების აქტიური ამოქმედება ჩვენი მეცნიერების სამოღვაწეო სარბიელზე.

РОЛЬ РОССИЙСКОЙ АКАДЕМИИ НАУК В РАЗВИТИИ ГРУЗИНСКОЙ НАУКИ

(Литературоведение)

Возникновение и развитие подлинно научного грузиноведения неразрывно связано с Российской Академией Наук. Пионерами этого большого исторического дела являются Мари-Фелисите или Марий Иванович Броссе (1802—1880) и просвещенный грузинский царевич Теймураз Багратиони (1782—1846). Броссе еще у себя на родине, во Франции, проявил себя незаурядным ориенталистом, в частности грузиноведом, опубликовав ряд интересных работ из области грузинской лингвистики, литературы и историографии. Именно за эти работы и был избран Броссе в декабре 1836 г. адъюнктом Российской Академии, а затем (в марте 1838 г.) — ее действительным членом. С самого же начала своей научной деятельности Броссе установил контакт с Теймуразом Багратиони, проживавшим в Петербурге и хорошо известным в Петербургских научных кругах. Броссе интенсивно переписывался с Теймуразом, получал от него книги и консультации. В 1837 г. Броссе переезжает на постоянное жительство в Петербург и целиком отдается кипучей научной деятельности. Он установил связи с грузинскими учеными, писателями, с любителями старины, продолжая и укрепляя дружбу с Теймуразом, которого считал своим ученым другом и учителем. Действительно, Теймураз поощрял, вдохновлял и, некоторым образом, направлял научную деятельность Броссе.

За большие заслуги перед отечественной литературой и наукой сам Теймураз в 1837 г., не без содействия своего уче-

ного друга, был избран почетным членом Российской Академии Наук.

С целью углубления своих познаний в области грузинского языка, а также для сбора необходимых материалов, Броссе предпринял поездку в Грузию в 1847 г. по решению и при материальном обеспечении со стороны Академии. Он прбыл в Грузии почти год, точнее, полных одиннадцать месяцев, объездив всю страну вдоль и поперек, побывав даже в таких ее отдаленных горных районах как Сванетия. В поездке по стране Броссе всегда сопровождали квалифицированные прсеодники из числа грузинской интеллигенции. Научная командировка Броссе оказалась чрезвычайно плодотворной: он собрал богатые эпиграфические, археологические, этнографические, лингвистические, литературоведческие и др. материалы, установил живые связи с местными учеными — Платоном Иоселиани, Дмитрием Мегвинетхуцишвили, Дмитрием Бакрадзе (избранным в 1879 г. членом-корреспондентом Академии Наук) и др., которые потом вели с ним переписку и систематически снабжали его разными справками, литературой и т. п. материалами¹. Вернувшись в Петербург, Броссе приступил к разработке добытых во время научной командировки материалов. Так появился в свет его труд «Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie» (I, 1849; II, 1850; III, 1851, СПб).

Помимо Теймураза Багратиони, Броссе приблизил к себе петербургского образованного грузина Давида Иессеевича Чубинова-Чубинашвили (1814—1891), получившего в 1845 г. кафедру грузинского языка и словесности в Петербургском университете. В дальнейшем Броссе и Чубинашвили продолжали исключительно дружно и плодотворно сотрудничать на благо грузиноведения. Говоря словами проф. А. А. Цагарели, сменившего в 1871 г. Чубинашвили на посту руководителя кафедры, «в течение почти столетия Д. И. Чубинов и М. И. Броссе трудились на поприще грузинологии рука об руку, с редким единодушием; поддерживая и помогая друг

¹ Пока что изданы письма Платона Иоселиани академику Броссе на грузинском языке под редакцией и примечаниями С. И. Кубанашвили, 1941.

другу словом и делом»². Броссе подвизался главным образом в Академии, а Чубинашвили — в университете.

Заслуги Броссе в области грузинологии поистине огромны³. Как филолог-литературовед, он, конечно, в первую очередь занимался собиранием рукописного (и печатного) материала, его каталогизацией и описанием, но отнюдь не чуждался характеристики имеющихся в его распоряжении памятников письменности, иногда он набрасывал схемы развития грузинской литературы в целом или отдельных ее периодов. В этом отношении представляет определенный интерес одна из первых обзорных работ Броссе «Современное состояние грузинской литературы», опубликованное в Париже еще в 1828 году (NJA, I, стр. 434—454). Обзорно-обобщающий характер имеет и первый публичный доклад Броссе на общем собрании Академии Наук в качестве его члена в декабре 1837 г. — «Взгляд на историю и литературу Грузии»⁴, а также одна из его последних печатных публикаций по грузинской литературе «De la littérature romanesque Géorgienne» (Bulletin de l'Académie, XXIV, 1878).

В типологическо-сопоставительном плане весьма любопытно специальное исследование Броссе о богатырско-героической повести «Амиран-Дареджаниани» — «Разбор грузинского романа «Амиран-Дареджаниани» (BSc, 1838, III, стр. 1—14). Это грузинское произведение XII века Броссе считал рыцарским романом западноевропейского типа. Вообще говоря, хотя Броссе и интересовался вопросами грузинской церковной письменности, он предпочтительное внимание уделял памятникам светской литературы («Абдулмесани», «Тамариани», «Амиран-Дареджаниани», «Висрамиани», «Русуданиани», «Барамани», «Караманиани», «Мириани» и др.). Исключительно ценные сведения опубликовал Броссе о «Калиле и Димне», позволив тем самым распутать узел сложных историко-литературных проблем, связанных с гру-

² Сведения о памятниках грузинской письменности, III, 1894, СПб, стр. 11.

³ Н. Я. М а р р. К столетию со дня рождения М. И. Броссе (ЗВОРАО, т. XIV вып. IV, СПб 1902, стр. 073—078).

⁴ ЖМНП, 1838 XIX, стр. 274—335.

зписскими версиями этого замечательного памятника мировой литературы⁵.

Интересные соображения высказал Броссе о крупных грузинских поэтах и писателях XVII—XVIII вв. — Теймуразе (1589—1663), Арчиле (1647—1713), С. С. Орбелиани (1658—1725), Вахтанге (1675—1737), Давиде Гурамишвили (1705—1792) и Бесики (1850—1891). Кстати, он перевел на французский язык стихотворение Бесики «Сад тоски». Перу Броссе принадлежит французский перевод «Мирнаии» (сказочно-фантастической повести) и знаменитого прозаического произведения Ильи Чавчавадзе (1837—1907) «Человек ли он?» Сохранились также отрывки из его перевода «Висрамиани».

Несколько слов о работах Броссе вокруг Руставели и его поэмы «Витязь в барсовой шкуре», которую он вначале называл просто «Тариель» (Tariel), а потом „L'Homme à la peau de tigre». На протяжении всей своей жизни Броссе живо интересовался вопросами руствелологии. Еще на заре своей научной деятельности, ознакомившись с двумя рукописями «Витязя» из коллекции Парижской национальной библиотеки, Броссе дал их описание, перевел прозаически начальные строфы поэмы и изложил краткое содержание всего произведения⁶. Броссе писал о своем намерении перевести поэму Руставели целиком. Обещание свое он в общем-то выполнил, но, по-видимому, не успел должным образом отделать текст перевода, который так и остался в рукописи в его архиве. Значительным событием в истории руствелологии было Петербургское издание поэмы Руставели на грузинском языке в 1841 г. под редакцией М. Броссе, З. Палавандишвили и Д. Чубинашвили⁷, подготовленное и осуществленное по определению Академии Наук. Это второе по счету издание поэмы (первое появилось в 1712 г. в редакции Вахтанга

⁵ А. Барамидзе, Исследования из истории груз. литературы, I, 1945, стр. 244—372 (на груз. яз.); Е го же, О грузинских версиях «Каллы и Димны» (Итоги изучения), Литературные взаимосвязи, III, Тб., 1972, стр. 5—9.

⁶ С. Иорданшвили, Переводы «Витязя в барсовой шкуре» на европейские языки (Сборник Руставели, Тб., 1938, стр. 241—251, на груз. яз.).

⁷ Это издание обыкновенно называется изданием Броссе.

VI). Покровителем и вдохновителем петербургского издания «Витязя» был Теймураз Багратиони, ему почтительно и посвятили благодарные издатели свою публикацию. Петербургское издание «Витязя» ценно, в первую очередь, в текстологическом отношении. Это научно-критическое, академическое издание с обстоятельным предисловием (за подписью Броссе), с кратким словарем и стихотворным послесловием (первоначальный текст послесловия был составлен Теймуразом, в издании он приписывается Броссе⁸). В предисловии Броссе развивает свои основные мысли, высказанные в статьях 1828—1831 гг., особенно в его «Разысканиях по грузинской поэзии» (*Recherches sur la poésie Géorgienne*, NJA, V, VI, VII—1830—1831).

По мнению Броссе, «Витязь в барсовой шкуре» — высокоидейнохудожественное и философское произведение, не имеющее себе равных в грузинской литературе и занимающее почетное место в мировой поэзии, которое в иносказательном виде отображает историческую действительность Грузии XII века. Героические образы Руставели, подчеркивал Броссе, только внешне напоминают индийцев, по имени они персияне, а по духу — грузины (*Recherches*, 372).

В 1846 г. Д. Чубинашвили переиздал полностью и без изменений текст издания поэмы Руставели 1841 года, включив его в свою учебную хрестоматию грузинской литературы. Позднее, в 1860 г., во втором издании хрестоматии Д. Чубинашвили напечатал «Витязя» уже в собственной редакции (расходящейся с предыдущим изданием) с довольно пространными толкованиями отдельных слов, а иногда и целых фразеологических единиц. Д. Чубинашвили принимал также деятельное участие в подготовке подстрочника «Витязя» для первого серьезного русского поэтического перевода Руставели, принадлежащего перу поэта Ипполита Бардтинского⁹. Д. Чубинашвили — признанный автор историко-аллегорической интерпретации образной системы «Витязя».

⁸ Л. Кутателадзе, К вопросу о колофоне «Витязя в тигровой шкуре» издания 1841 г. (Матле, 1970, № 5, стр. 131—136).

⁹ Текст перевода И. Бардтинского под названием «Таргел, Барсова Кожа», оставшегося незаконченным, опубликован в журн. «Иллюстрация» (№ 67 1845 г.), а также в хрестоматии Д. Чубинашвили (II, 1846, IX—XXVIII).

Нельзя забывать, что Броссе много сделал и в области арменистики. Он хорошо видел взаимосвязь в историческом пути развития армянского и грузинского народов, и поэтому считал необходимым комплексное изучение родственной по общему духу истории и культуры этих народов. По словам Н. Я. Марра, «Броссе для нас еще особенно ценен как европейский ученый, впервые проложивший путь к признанию единства задач армянской и грузинской филологии»¹⁰.

Броссе создал прекрасную коллекцию грузинских рукописей и старопечатных книг, которая по его завещанию поступила в Азиатский Музей Академии Наук (ныне Ленинградское отделение Института Востоковедения АН СССР)¹¹.

